

ევროკავშირის სახელმძღვანელო

APG

საქართველოს გამომცემელთა ასოციაცია
Tel/Fax(99532)330394,(99532)322223
E-mail apg@www.com
www.apg.ge.

ევროკავშირის სახელმძღვანელო

დიკ ლეონარდი

თარგმანი მე-7 გამოცემიდან

THE ECONOMIST IN ASSOCIATION WITH
PROFILE BOOKS LTD

Published by Profile Books Ltd
58A Hatton Garden, London EC1N 8LX

First published in 1988 as *Pocket Guide to the European Community*;
reprinted 1988; revised editions 1989, 1992, 1994

Copyright © The Economist Newspaper Ltd, 1988, 1989, 1992, 1994, 1997,
1998, 2000

Text copyright © Dick Leonard, 1988, 1989, 1992, 1994, 1997, 1998, 2000

All rights reserved. Without limiting the rights under copyright reserved above, no part of this publication may be reproduced, stored in or introduced into a retrieval system, or transmitted, in any form or by any means (electronic, mechanical, photocopying, recording or otherwise), without the prior written permission of both the copyright owner and the publisher of this book.

The greatest care has been taken in compiling this book.
However, no responsibility can be accepted by the publishers or compilers
for the accuracy of the information presented.

Where opinion is expressed it is that of the authors and does not necessarily
coincide with the editorial views of the Economist Newspaper.

Typeset in EcoType by MacGuru
macguru@pavilion.co.uk

Printed in Great Britain by St Edmundsbury Press

A CIP catalogue record for this book is available
from the British Library

ISBN 1 86197 186 9

ქართული გამოცემის საავტორო უფლება დაცულია

© საქართველოს გამოცემლობათა ასოციაცია
© გამოცემლობა ჯისიაი 2002
ISBN 99928-21-58-2

სარედაქციო საბჭო:

შადიმან ხელაძე (თავმჯდომარე)

რამაზ აბდულაევი (სამეცნიერო რედაქტორი)

სოფიკო ჭუმბურიძე (მთარგმნელი)

მანანა მექვაბიშვილი (რედაქტორი)

ლუიზა კოროშინაძე

დიანა ჯორჯაძე

საქართველოს გამომცემელთა ასოციაციის წერილობითი
ნებართვის გარეშე დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის
ნაწილობრივ ან სრულად გამოქვეყნება, შეესება ან
კომერციული მიზნებით გამოყენება.

Translated and published with support from the
UK Department For International Development,
British Books for Managers scheme.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ცხრილების ნუსხა	V
დიაგრამების ნუსხა	VI
შესავალი	IX
შენიშვნები	
ნაწილი 1 წარმოქმნა	1
1. სათავეები	3
2. ევოლუცია	10
3. ხელშეკრულებები	49
ნაწილი 2 ინსტიტუციები	55
4. კომისია	57
5. მინისტრთა საბჭო	65
6. ევროსაბჭო	73
7. ევროპარლამენტი	76
8. ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი და რეგიონების კომიტეტი	87
9. სასამართლო	90
10. აუდიტორული სასამართლო	98
11. ევროპის საინვენსტიციო ბანკი	99
12. ევროკავშირის სხვა ორგანოები	104
13. ბიუროკრატია: ფაქტები, ციფრები, ხარჯები	106
ნაწილი 3 კომპეტენცია	113
14. კავშირის დაფინანსება	115
15. ვაჭრობა	125
16. ერთიანი ბაზარი	139
17. კონკურენციის პოლიტიკა	146
18. ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა	154
19. დაბეგვრა	170

20. სოფლის მეურნეობა	181
21. კვლევა და ახალი დარგები	196
22. რეგიონული პოლიტიკა	207
23. სოციალური პოლიტიკა	219
24. მშრომელთა უფლებები	225
25. ფოლადი	233
26. ენერგეტიკა	238
27. ტრანსპორტი	248
28. თევზის რეწვა	262
29. გარემოს დაცვა	267
30. მომხმარებლები	273
31. განათლება	280
32. ქალთა უფლებები	285
33. კულტურა და მედია	291
34. მოქალაქეთა უფლებები და სიმბოლიკა	299
35. დახმარება და განვითარება	308
36. საგარეო, თავდაცვის და უშიშროების პოლიტიკა	319
ნაწილი 4 სპეციფიკური პრობლემები	329
37. გაფართოება	331
38. გაერთიანებული სამეფო და ევროკავშირი	343
39. მომავალი	353
დანართი	361
1. წვერი ქვეყნების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები	363
2. უმაღლესი ორგანოს და კომისიის პრეზიდენტები	365
3. კომისია	366
4. კომისიის გენერალური დირექტორატები და სამსახურები	372

5. ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუციების მისამართები	373
6. პარტიული ჯგუფები ევროპარლამენტში	375
7. ევროკავშირის ზღვისგადაღმა კავშირები	377
8. მასტრიხტის და ამსტერდამის ხელშეკრულებები	379
9. აბრევიატურები და აკრონიმები	382
10. ევროკავშირთან დაკავშირებული უმთავრესი მოვლენების ქრონოლოგიური ჩამონათვალი	397

დამატებითი ლიტერატურა	407
-----------------------	-----

ცხრილების ნუსხა

1. პრეზიდენტობის განაწილება - ქვეყნების' მიხედვით 1996 - 2003	66
2. ევროპარლამენტის არჩევნები 1999	80
3. ევროპის სასამართლო: 1997 წლის საქმეები განხილული თემატიკის მიხედვით	94
4. მოვალეობის არასათანადო შესრულების გამო აღძრული სარჩელები	97
5. გაცემული სესხების გეოგრაფიული სია, 1998 და 1994-98	102
6. ევროკავშირის თანამშრომლები, 1998 წლის ბოლოს	107
7. ძირითადი თვიური ხელფასი თითოეულ კატეგორიაში	110
8. საბიუჯეტო შემოსავალი, 1998-99	116
9. ევროკავშირის საერთო ბიუჯეტი, 1999 წლის ასიგნება	120
10. ფინანსური პერსპექტივა, 2000-06	122

11. წევრ-სახელმწიფოთა საბიუჯეტო ბალანსი, 1998	168
12. ევროს კონვერტირების კურსი	
13. „დღგ“ განაკვეთის კონვერგენცია, 1987 და 1997 წ.წ.	176 179
14. აქციზის მინიმალური განაკვეთები	
15. ევროკავშირის სოფლის მეურნეობა: ძირითადი მონაცემები, 1996წ.	184
16. მსმმმზ-ს გარანტიის განაწილება პროდუქტების ჯგუფებზე, 1997	186 186
17. მსმმმზ-ს გარანტიის ხარჯი, 1973-99	192
18. სპკ-ის ხარჯები, 2000-06.	194
19. SAPARD: ბიუჯეტის წლიური განაწილება	
20. კვლევის მეოთხე მიზნობრივი პროგრამა, 1994-98წ.წ.	203
21. კვლევის მეხუთე მიზნობრივი პროგრამა, 1998-2002 წ.წ.	204 210
22. მრგზ-ის თანხების გამოყოფა	
23. სტრუქტურული ფონდების განაწილება, 1998	212
24. სტრუქტურული ფონდების მიერ გაცემული თანხების ეროვნული წილი, 1988	214
25. შერწყმის ფონდიდან გამოყოფილი სახსრები, 1998	218
26. რეადაპტაციის ხელშეწყობა: გამოყოფილი თანხები, 1998	223 311
27. ლომე IV: ხარჯები განვითარებაზე, 1998	
28. ევროკავშირის დახმარება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე და ხმელთაშუა ზღვისპირეთის არამოკავშირე ქვეყნებზე, 1995-99	317

დიაგრამების ნუსხა

1. ევროკავშირი	VIII
2 ევროპის კავშირის სამი სვეტი	53
3 გაერთიანების გადაწყვეტილების მიღების პროცესი	61
4. ევროპის საინვენსტიციო ბანკის მიერ განხორციელებული დაფინანსება	101
5. გაერთიანების ბიუჯეტი 1973 და 1999	120
6 ევროგაერთიანების შიდა ვაჭრობის ზრდა, 1960-1997წ.წ.	126
7. ევროკავშირი მსოფლიო ვაჭრობაში	137
8. ვაჭრობა როგორც მშპ-ის პროცენტული წილი 1995	138
9. გადასახადები და სოციალური შენატანები მიმდინარე ფასებში	172
10. Phare პროგრამით დაფინანსება ქვეყნების მიხედვით, 1990-97	315
11. Tacis პროგრამით დაფინანსება 1990-98	316

შესავალი

რომის ხელშეკრულების დადებიდან 40-ზე მეტი წლის განმავლობაში ევროპის კავშირმა¹ თავი დაიმკვიდრა როგორც მსოფლიოს წამყვანმა ძალამ და მისი ამჟამინდელი საქმიანობა სულ უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს წევრი ქვეყნების მოქალაქეების ცხოვრებაზე. მიუხედავად ამისა, ფართო საზოგადოებრიობა ნაკლებადაა გათვითცნობიერებული ევროპის კავშირის შესახებ. ევროპის კავშირის შესახებ მრავალი შესანიშნავი წიგნია დაწერილი. მათი უმრავლესობა ან გამიზნულია სპეციალისტებზე, ან კავშირის როლის კერძო ასპექტებს ეხება. ამ წიგნის დანიშნულება რამდენადმე განსხვავებულია. ის გათვალისწინებულია ფართო საზოგადოებისათვის და მისი მიზანია გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას გონიერ მკითხველს კავშირის დაარსებაზე, ისტორიაზე, ინსტიტუციებზე და ფუნქციებზე. ამასთან არავითარი წინასწარი ცოდნა მკითხველს არ მოეთხოვება.

წიგნი შედგება ხუთი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი შეიცავს ცნობებს ევროპის კავშირის წარმოქმნის შესახებ, რასაც მოსდევს კავშირის ისტორიული განვითარების აღწერა რომანო პროდის თავჯდომარეობით ახალი კომისიის შექმნამდე და მის შემდეგ. მეორე ნაწილი ეძღვნება ევროპული ინსტიტუციების, როგორცაა: ევროპული კომისია, ევროპის სასამართლო და ა.შ., აღწერას. მესამე ნაწილი ეხება კავშირის კომპეტენციებს სოფლის მეურნეობით დაწყებული და ტექნოლოგიური კვლევით დამთავრებული. მეოთხე ნაწილში განხილულია ზოგიერთი სპეციფიკური პრობლემა, მათ შორის კავშირის გაფართოების პრობლემები და ის გაუთავებელი სირთულეები, რომლებსაც განიცდიდა გაერთიანებული სამეფოს კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. აქვეა მოცემული

¹ *European Union* მართებულია, ქართულად გადმოვთარგმნოთ როგორც ევროპული კავშირი და არა - ევროპის კავშირი. წინამდებარე სახელმძღვანელოში ყველაზე ხშირად გამოიყენება შესატყვისი შემოკლება - ევროკავშირი.

გარკვეული დასკვნები კავშირის პერსპექტივების შესახებ. მეხუთე ნაწილი შედგება დამატებებისაგან, რომლებიც შეიცავენ საცნობარო მასალას კავშირისა და მისი ინსტიტუციების შესახებ. და ბოლოს, აქვეა რჩევები იმ მკითხველთათვის, რომელთაც განზრახული აქვთ ამ საკითხთა შესწავლის გაგრძელება.

ამ წიგნში მოტანილი ცხრილებისა და ფაქტობრივი მასალის დიდი ნაწილი აღებულია ევროპული კომისიის გამოცემებიდან. მაღლიერების გრძობით ვადასტურებ ინფორმაციის რეპროდუქციის ნებართვის მიღებას.

მსურს, ეს წიგნი მივუძღვნა ჩემი სიდედრის, შეუპოვარი ქალბატონის, დოქტორ გერტრუდ ჰეიდელბერგერის ხსოვნას, რომელიც განასახიერებდა ყველაფერს საუკეთესოს ევროპული კულტურის სამყაროდან.

დიკ. ლეონარდი. ბრიუსელი
1999 წლის ოქტომბერი

შენიშვნები

ევროპული კავშირი თუ ევროპული გაერთიანება?

ამ წიგნში ტერმინები ევროპის კავშირი (მკ) და ევროპული გაერთიანება (მბ) ხშირად ერთმანეთს ენაცვლება. მკაცრად რომ ვთქვათ, ევროპული გაერთიანება ევროპის კავშირს შეუერთდა 1993 წლის ნოემბერში, როდესაც ძალაში შევიდა მაასტრიხტის ხელშეკრულება. თუმცა ევროპული გაერთიანება კვლავაც წარმოადგენს ბირთვის ევროპის კავშირის საქმიანობის იმ სფეროებში, სადაც პასუხისმგებლობა ეკისრება ევროპულ კომისიას მინისტრთა საბჭოს, ევროპის პარლამენტსა და სასამართლოსთან ერთად. კავშირის საქმიანობის სხვა მხარეები, სახელდობრ, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, ასევე სამართალდამცავი და სამართლებრივი საქმიანობის კოორდინაცია, ორგანიზებულია მთავრობათაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ვალუტა

ამ წიგნში ყველა ფულადი თანხა გამოსახულია ევროპულ ფულად ერთეულებში, ეკიუ – (European currency unit - ecu), მისი ღირებულება ემყარება წვერი ქვეყნების ფულის ერთეულების „კალათის“ საშუალო მნიშვნელობას. იგივეა ევრო - ახალი ერთეული, რომელიც 2002 წლის იანვარში შეცვლის შესაბამისი ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ეროვნულ ვალუტებს. გაცვლითი კურსი ევროს მიმართ ნაჩვენებია 172-ე გვერდზე. 1999 წლის ოქტომბერში ევრო ღირდა 0.65 გირვანქა სტერლინგი, 1.06 დოლარი, 113 იენი.

ნაწილი I

წარმოშენა

1. სათავმები

პიტლერი კატალიზატორი იყო

პიტლერი იყო ევროპული გაერთიანების მთავარი კატალიზატორი. თუმცა ამ გაერთიანების არც ერთ ლიდერს აზრადაც არ მოუვა აღიაროს ის დამფუძნებლად. მსგავსად შარლემანისა და ნაპოლეონისა მან მახვილით გააერთიანა ამჟამინდელი ევროპის ეკონომიკური კავშირის წვერი ქვეყნების ფაქტობრივად მთელი ტერიტორია. ამ პროცესში დაიმსხვრა ამ ქვეყნების ერების თვითშეგნება.

ეს ქვეყნები აღსდგენენ 1945-ში, მაგრამ ვეღარ აღიქვამენ თავს დამოუკიდებელ მოქმედ პირებად მსოფლიო ასპარეზზე. 1944 წელს სამი ყველაზე მცირე ქვეყნის - ნიდერლანდების, ბელგიისა და ლუქსემბურგის მთავრობებმა, ჯერ კიდევ მათი ტერიტორიების სრულ განთავისუფლებამდე, გადაწყვიტეს, რომ მათი მომავალი ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია მჭიდრო ურთიერთკავშირის გარეშე. 1948 წლის 1 იანვარს ბენილუქსის კავშირი ძალაში შევიდა საბაჟო კავშირის ფორმით, შემდგომში ყოველსმომცველი ეკონომიკური კავშირის ჩამოყალიბების პერსპექტივით.

მარშალის გეგმა

ორივე ქვეყანამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა ძლიერი ბიძგი მისცეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს გაერთიანებისაკენ, პირველმა აშკარა კეთილი დამოკიდებულებით, მეორემ კი ავი ზრახვების წყალობით. ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია - (ეეიო); Organization for European Economic Co-operation - OEEC) დაარსდა 1947 წელს წვერ ქვეყნებს შორის მარშალის გეგმით შემოსული ამერიკული დახმარების განაწილების მიზნით. სამი წლის თავზე დახმარების პროგრამა ამოიწურა, მაგრამ ეეიო-მ განაგრძო საქმიანობა როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის და თავისუფალი ვაჭრობის ხელშემწყობმა ფორუმმა. შემდგომში მან გააფართოვა წვერთა რიცხვი, შეიერთა რა არაკომუნისტური სამყაროს ყველა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყანა და 1961 წელს შეიცვალა სახელი. ამიერიდან მას ეწოდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

(OECDE; Organisation for Economic Co-operation and Development - OECD).

შიში საბჭოთა კავშირისა...

მაშინ, როდესაც აშშ, ნაწილობრივ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, იმედს უნერგავდა ევროპას, საბჭოთა კავშირი თავზარს სცემდა. მისმა სასტიკმა ზეწოლამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე, რომელიც 1948 წლის თებერვალში ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტების ზეობით დაგვირგვინდა, თავის გადასარჩენად გაერთიანებისკენ უბიძგა დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას. ჯერ კიდევ 1948 წლის 17 მარტს ხელი მოეწერა ბრიუსელის ხელშეკრულებას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა 50 წლიან შეთანხმებას გაერთიანებულ სამეფოს, საფრანგეთს, ბელგიას, ნიდერლანდებსა და ლუქსემბურგს შორის. ეს გაერთიანება ცნობილია დასავლეთ ევროპის კავშირის (შეთანხმდნენ, 50 წლის ვადით ეთანამშრომლათ დასავლეთ ევროპულ კავშირში - (დემკ; Western European Union - WEU) სახელით. იგი უზრუნველყოფს „თანამშრომლობას ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურის სფეროებში და კოლექტიური თავდაცვის საქმეში“. 1949 წელს NATO-ს ჩამოყალიბებასთან ერთად დემკ-ს ჩამოერთვა ფუნქციათა მნიშვნელოვანი ნაწილი. თუმცა მან განაგრძო არსებობა და ხუთ თავდაპირველ წევრ ქვეყანას შეუერთდა 1954 წელს დასავლეთ გერმანია და იტალია.

...და გერმანიისა

ომის შემდგომ წლებში საბჭოთა კავშირის შიშს ერთვოდა შიში გერმანიისა, რომელიც მეორე მსოფლიო ომში შეეცადა დაეპყრო დასავლეთ ევროპა და რომელსაც უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში სამი სასტიკი ომი გადახდა საფრანგეთთან. უშუალოდ ომის შემდგომ პერიოდში დასავლეთ ევროპაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, მრავალ გონებას არ ასვენებდა ფიქრი, თუ როგორ დაეღწია თავი მომავალში ასეთი ომებისაგან. გამოიკვეთა ორი შესაძლო გზა. პირველი მდგომარეობდა იმაში, რომ გერმანია არამარტო გაყოფილი უნდა დარჩენილიყო (ყოველ შემთხვევაში, ევროპის გაყოფა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპად უფრო უსაფრთხო ჩანდა), არამედ უნდა მომხდარიყო მისი პერმანენტული ეკონომიკური უკუსვლა. გარდა შინაგანი განუხორციელებადობისა,

ამ გზას სხვა ნაკლიც ჰქონდა. სახელდობრ, ეს გზა ეწინააღმდეგებოდა ევროპის მეორე პრიორიტეტს - ბრძოლას საბჭოთა კომუნისტური ექსპანსიის წინააღმდეგ. ამ გარემოებამ განაპირობა, როგორც გერმანიის სამხედრო მონაწილეობის საჭიროება დასავლეთის თავდაცვის საქმეში, ასევე ძლიერი ეკონომიკის აუცილებლობა დასავლეთ ევროპელთა მზარდი მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ მოსაზრებამ გადასწონა სასწორი „გერმანიის პრობლემის“ მეორე ამოხსნის სასარგებლოდ. ეს ამოხსნა მდგომარეობდა იმაში, რომ გერმანია (ან უკიდურეს შემთხვევაში, დასავლეთ გერმანია) ისე ორგანულად უნდა დაკავშირებოდა თავის მეზობლებს, და ეს კავშირი იმდენად სასარგებლო უნდა ყოფილიყო გერმანიისა და სხვა ერების ინტერესებისათვის, რომ ახალი ომი დასავლეთ ევროპის ხალხებს შორის შეუძლებელი გამხდარიყო.

მონეს გადამწყვეტი როლი

ამ კონცეფციის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე კონტინენტის ქვეყნებს შორის იყო საფრანგეთი. საბედნიეროდ, ამ მიდგომის ყველაზე უფრო მიზანსწრაფული და ურყევი მომხრეც ფრანგი - ჟან მონე იყო. თუ ჰიტლერმა ევროპას გაერთიანებისკენ უბიძგა, ამ გაერთიანების მთავარი არქიტექტორი უდავოდ მონე იყო.

მას შესანიშნავი კარიერა ჰქონდა, რომელიც თითქმის მთლიანად საერთაშორისო თანამშრომლობის პრაქტიკულ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. თავიდან იგი მუშაობდა პროდუქციის რეალიზატორად მისი ოჯახის კუთვნილ ბრენდის გამოსახდელ ფირმაში, გაერთიანებულ სამეფოში. პირველი მსოფლიო ომის წლები მან გაატარა დროებითი სახელმწიფო მოხელის თანამდებობაზე, სადაც მას ევალებოდა საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკური თანამშრომლობის კოორდინაცია ომის მოთხოვნილებისათვის. მსოფლიო ომებს შორის პერიოდში იგი მოღვაწეობდა ერთა ლიგის გენერალური მდივნის თანაშემწის პოსტზე, მაგრამ 1939 წელს იგი კვლავ იქნა დანიშნული ინგლის - საფრანგეთის თანამშრომლობის კოორდინატორის თანამდებობაზე. 1940 წელს ჩერჩილის მიერ წამოყენებული გეგმა ინგლის-საფრანგეთის კავშირისა მონეს ეკუთვნოდა. ეს იყო გერმანიის წინაშე საფრანგეთის კაპიტულაციისაგან თავის დაღწევის უშუალო მცდელობა. ომის დარჩენილი წლები მონემ ლონდონსა და ვაშინგტონში გაატარა, სადაც კვლავაც

კორდინაციას უწევდა მოკავშირე ერების ეკონომიკურ თანამშრომლობას.

იგი დაბრუნდა საფრანგეთში როგორც დე გოლის მთავრობის წევრი. მოგვიანებით მან დაიკავა საგეგმო ორგანიზაციის თავჯდომარის პოსტი. 1950 წელს დადგა მისი აღზევების უამრავი - სწორედ მისმა წინადადებამ გაუქვალა გზა საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის შერიგების პროცესს, რაც არსებითად საფუძვლად დაედო ევროპის კავშირის შექმნას. ვითარება კი გამწვავებული იყო საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის დავით საარლანდის თაობაზე. ამ დავას საფუძვლად ედო საფრანგეთის შიში იმისა, რომ საარლანდის რკინისა და ქვანახშირის ინდუსტრიის ინტეგრაცია დასავლეთ გერმანიის დანარჩენი ნაწილის ინდუსტრიასთან კვლავაც გაბატონებულ მდგომარეობას შეუქმნიდა დასავლეთ გერმანიას ევროპაში. საფრანგეთი უშედეგოდ ცდილობდა საარლანდის ანექსიას, რომლის მოსახლეობა გერმანული იყო და ეს მცდელობები წამლავდა ურთიერთობებს ამ ორ ქვეყანას შორის, ისევე როგორც 1919 წლის მომდევნო პერიოდში.

შუმანის გეგმა

მონემ შესძლო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, რობერ შუმანის ყურადღების მიპყრობა. შუმანის ცხოვრების გზამ (ის იყო ლუქსემბურგში დაბადებული ელზასელი) განაწყო იგი ევროპული ინტეგრაციის სასარგებლოდ. მონეს წინადადება, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ წარმოადგინა, როგორც შუმანის გეგმა, მდგომარეობდა იმაში, რომ საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობა მოქცეულიყო ერთი უზენაესი მმართველობის ქვეშ, რომელიც წარმართავდა ამ დარგების განვითარებას. „ორი ქვეყნის სოლიდარობა დაფუძნებული საერთო პროდუქციაზე ცხადყოფს, რომ ომი საფრანგეთსა და გერმანიას შორის არა თუ წარმოუდგენელია, არამედ მატერიალურადაც შეუძლებელია“ თქვა შუმანმა თავისი გეგმის წარდგენისას 1950 წლის 9 მაისს.

როგორც კი ევროპის ქვეყნებს შესთავაზეს ეს გეგმა, გერმანიის კანცლერმა კონრად ადენაურმა, გერმანიის მთავრობის სახელით, მყისვე გაიზიარა ის, დაინახა რა მასში გზა ევროპელი ხალხების ურთიერთდღიარებისა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. იტალია

და ბენილუქსის ქვეყნები მკვირცხლად გამოეხმაურენ ამ წინადადებას და 1951 წლის 18 აპრილს (იხ. გვერდი 55) ფორმალურად დააარსდა ევროპის ქვანახშირის და ფოლადის გაერთიანება (მქშპ; European Coal and Steel Community - ECSC), რომელმაც ხორცი შეისხა 1952 წლის 10 აგვისტოს. მისი პირველი პრეზიდენტი გახდა ჟან მონე.

გაერთიანებული სამეფო განზე დგას

საგულისხმო გამონაკლისი იყო გაერთიანებული სამეფო, რომელსაც შესთავაზეს შეერთებოდა ამ გაერთიანებას, მაგრამ მან, მეტნაკლები ფიქრის შემდეგ, უარი განაცხადა.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კლემენტ ეტლის ლეიბორისტული მთავრობის მიერ და დადასტურებულ იქნა უინსტონ ჩერჩილის კონსერვატული მთავრობის მიერ, რომელიც 1951 წლის ოქტომბერში აირჩიეს. გაერთიანებული სამეფო არ აღიქვამდა თავს უპირატესად ევროპულ ქვეყნად და ახალი ორგანიზაციის მიმართ ქედმაღლური პოზიცია დაიკავა, რაც დასტურდება ჩერჩილის მიერ მის პირად ექიმთან საუბრისას ნათქვამი ფრაზით „მე მიყვარს საფრანგეთი და ბელგია, მაგრამ ჩვენ ვერ მივცემთ ჩვენს თავს უფლებას დავიდეთ მათ ღონემდე“¹

ინგლისის უარმა გააადვილა ამ ახალი გაერთიანების აგება, რომელიც განსხვავდებოდა იმავე პერიოდში დაფუძნებული სხვა მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციისაგან, როგორც, მაგალითად, ევროპის საბჭო, ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) და ვაჭრობისა და ტარიფების საერთო შეთანხმება. თითოეულმა ამ ორგანიზაციათაგან დააარსა მუდმივი სამდივნო, რომელსაც გარდა ადმინისტრაციული საქმიანობისა არაფერი ეკითხებოდა, გადაწყვეტილების მიღების უფლება ჰქონდათ წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა შეკრებებს. მქშპ იყო ერთადერთი, რომლის უზენაეს ზეეროვნულ მმართველ ორგანოს მინიჭებული ჰქონდა ფართო უფლებამოსილება განესაზღვრა წარმოების ორი ძირითადი მიმართულება წევრ ქვეყნებში. არსებობდა შეთანხმება მინისტრთა საბჭოს, წმინდად სათათბირო ასამბლეას (ანუ არაპირდაპირ არჩეული პარლამენტის) და სასამართლოს შესახებ, მაგრამ უზენაესი სამმართველოს არსი და დანიშნულება იყო ყოფილიყო გადაწყვეტილების მიღების ორგანო. მქშპ-ს აგებულება, ჩამოყალიბებული პარიზის ხელშეკრულებაში, საკმარისად ზუსტად

ასახავს მონეს ნააზრევს, რომელიც თავის მემუარებში ასაბუთებს მყარი ინსტიტუციონალური საფუძვლის არსებობის აუცილებლობას იმისათვის, რომ პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა სასურველი ნაყოფი გამოიღონ. „არაფერია შესაძლებელი ადამიანის გარეშე, არაფერია მყარი ინსტიტუციების გარეშე.“ მას განზრახული ჰქონდა შეექმნა ეპსო-ს პარალელურად ევროპის ერთობლივი თავდაცვის ძალები, რომლებიც შეცვლიდნენ ეროვნულ არმიებს და გააადვილებდნენ დასავლეთ გერმანიის არმიის გადახალისებას სპეციფიკური დასავლეთ გერმანული შეიარაღებული ძალების შექმნის გვერდის ავლით. იმავე ექვსმა ქვეყანამ - საფრანგეთმა, დასავლეთ გერმანიამ, იტალიამ, ნიდერლანდმა, ბელგიამ და ლუქსემბურგმა 1952 წლის მაისში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელსაც უნდა უზრუნველყო ევროპის თავდაცვის გაერთიანების (ეპსო; European Defence Community - EDC) შექმნა, მაგრამ 1954 წლის აგვისტოში საფრანგეთის ეროვნულმა ასამბლეამ უარი თქვა მის რატიფიკაციაზე.

ეკონომიკური გაერთიანებისაკენ

ეპსო-ის მარცხს ორი ღირსშესანიშნავი შედეგი მოჰყვა. პირველი იყო ის, რომ დასავლეთ გერმანიამ განაგრძო შეიარაღება ეროვნულ საფუძველზე. მეორე კი მდგომარეობდა იმაში, რომ 1954 წელს დასავლეთ გერმანია სრულუფლებიანი წევრის სტატუსით მიღებულ იქნა NATO-ში. თავის მხრივ მონემ დაასკვნა, რომ ევროპული ერთიანობისაკენ მიმავალი გზა უფრო ეკონომიკურ თანამშრომლობაზე გადის, ვიდრე სამხედრო თანამშრომლობაზე. როდესაც 1955 წელს უზენაესი სამმართველოს თავმჯდომარეობის პირველი ვადა დამთავრდა, მან უარი განაცხადა ხელახალი ვადით ამ პოსტის დაკავებაზე. სამაგიეროდ ის გახდა ძალიან გავლენიანი ჯგუფის თავმჯდომარე, რომელსაც ეწოდებოდა ევროპის გაერთიანებულ სახელმწიფოთა მოქმედების კომიტეტი (ეპსმპ; Action Committee for the United States of Europe - ACUSE). ამ კომიტეტში შედიოდნენ ექვსივე ქვეყნის სოციალისტური, ქრისტიან დემოკრატიული და ლიბერალური პარტიების წამყვანი ფიგურები.

ეპსმპ-ს დიდი ლოდინი არ დასჭირვებია თავისი საქმიანობის პირველი ნაყოფის მისაღებად. 1955 წლის ივნისში ექვსეულის საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ მესინაში და დანიშნეს კომიტეტი ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის, პოლ-ანრი სპააკის თავმჯდომარეობით. ამ კომიტეტს უნდა შეესწავლა საერთო ბაზრის

დაფუძნების შესაძლებლობა. მან წარმოადგინა ანგარიში, რომელიც განაცხადობდა 1957 წლის 25 მარტს რომში ხელმოწერილი ხელშეკრულება. ამ უკანასკნელმა საფუძველი ჩაუყარა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას (ემკ; European Economic Community - EEC). ცალკე ხელშეკრულებამ, რომელიც იმავე დღეს იყო ხელმოწერილი, რომში დააფუძნა ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანება ევროატომი (European Atomic Energy Community - Euratom). ექვსივე ქვეყნის პარლამენტებმა მოახდინეს ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია. ისინი ძალაში შევიდა 1958 წლის 1 იანვარს. ემკ-ის პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა გერმანელი ვალტერ ჰალშტაინი.

ემკ-ს დებულება ემკ-ს დებულების მსგავსი იყო, მაგრამ მასში საგრძობლად ნაკლები იყო ზეეროვნული ელემენტები. ემკ-ს კომისიას, რომელიც ემკ-ს უზენაესი სამმართველოს მსგავსი ორგანო იყო, მასზე არსებითად ნაკლები ძალაუფლება ჰქონდა, მინისტრთა საბჭოს კი (რომელიც წევრ ქვეყნების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა) - არსებითად მეტი, ვიდრე პარიზის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ემკ-ს მოღვაწეობის პირველ წლებში ეს განსხვავება ნაკლებად იყო თვალშისაცემი, რამეთუ გაერთიანების საქმიანობას განაგებდა მიზანსწრაფული და გამბედავი ჰალშტაინი, მაგრამ 1965-66 წლებში წარმატებით დაუპირისპირდა საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი, რის შემდეგმაც ჰალშტაინი გადადგა. აღარცერთი მისი მემკვიდრე აღარ ფლობდა ისეთ ძალაუფლებას, როგორც ჰალშტაინი და მისი წასვლის შემდეგ მინისტრთა საბჭოს უპირატესობა ზეეროვნულ კომისიასთან შედარებით აშკარა გახდა.

შერწყმა

სამი ორგანიზაცია ემკ, ევროატომი და ემკ ფორმალურად გაერთიანდა 1967 წლის 1 ივლისს. ეს ახალი გაერთიანება ცნობილი გახდა ევროპული გაერთიანების (ემკ; European Community - EC), ან ხანდახან ევროპული გაერთიანებების სახელით, (European Communities), თუმცა აბრევიატურა ემკ (EEC) კვლავაც რჩება ამ კომბინირებული ორგანიზაციის აღსანიშნავად.

2 ეპოქა

მე-2-ს მისი საქმიანობის პირველივე წლებში დაშლა დაემუქრა. 1958 წლის 1 ივნისს მე-2-ის დაარსებიდან ხუთი თვის თავზე, გენერალი შარლ დე გოლი გახდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი, შემდგომ კი პრეზიდენტი. მისი მომხრეები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ მე-2-ის შექმნას, თუმცა დე გოლმა ჩათვალა, რომ ეს ორგანიზაცია შეიძლება სასარგებლო ყოფილიყო საფრანგეთის გავლენის გასაზრდელად და მისი მმართველობის პირველ წლებში იგი იწონებდა მე-2-ის საქმიანობას.

ძალაუფლების ხელში აღებიდან 3 თვის შემდეგ დე გოლს ჰქონდა ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა დასავლეთ გერმანიის კანცლერ კონრად ადენაუერთან. ეს შეხვედრა, ფრანგი ისტორიკოსის აღფრედ გროსეს სიტყვებით, „ერთი ნახვით სიყვარულის“¹ დასაბამი გახდა. გროსეს მოჰყავს ციტატა დე გოლის მემუარებიდან: „იმ დღიდან მოყოლებული 1962 წლის შუა პერიოდამდე მე და კონრად ადენაუერმა ერთმანეთს 40-ჯერ მივწერეთ, ჩვენ ერთმანეთს შევხვდით 15-ჯერ. ჩვენ საუბრებში გავატარეთ 100 საათზე მეტი“. ამ ურთიერთმიზიდულობამ წარმოქმნა მყარი ალიანსი, რომელმაც დაამტკიცა, რომ ამერიიდან სწორედ ის არის გაერთიანების მთავარი მამოძრავებელი ძალა. ფორმალურად ეს ალიანსი გაფორმდა როგორც საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულება 1963 წლის 22 იანვარს. ეს ხელშეკრულება უზრუნველყოფდა ორი ქვეყნის საქმიანობის კოორდინაციას საგარეო პოლიტიკის, თავდაცვის, ინფორმაციისა და კულტურის სფეროებში.

ეს კოორდინაცია დროდრო შეფერხებასაც განიცდიდა, მაგრამ, როცა კი საფრანგეთი და გერმანია გაერთიანების შიგნით ერთობლივად მოქმედებდნენ, მათი ზემოქმედება იმდენად ძლიერი იყო, რომ ისინი ყოველთვის აღწევდნენ მიზანს. ამის გარეშე გაერთიანება მერყეობდა და, ან არ ეთანხმებოდა მოქმედების კურსს, ან თვლიდა ამ კურსს ძნელად განსახორციელებლად. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი სახელმწიფოდან დასავლეთ გერმანია უფრო მძლავრი იყო, ის წლების მანძილზე კმაყოფილდებოდა დაქვემდებარებული როლით. როდესაც დასავლეთ გერმანიის ლიდერთა ხედვა განსხვავდებოდა საფრანგეთის ლიდერთა ხედვისაგან, ისინი ხშირად თანახმანი იყვნენ დაეთმოთ პარტნიორებისათვის, ან უკიდურეს შემთხვევაში თავი შეეკავებინათ მწვავე დაპირისპირებისაგან.

დამაიმედებელი სტარტი

საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის კავშირზე დაყრდნობით, ექვსივე ქვეყნის ძლიერი ეკონომიკური აღმავლობის ფონზე და შეერთებული შტატების ხალისიანი მხარდაჭერით გაერთიანებამ 1958 წლის მომდევნო პერიოდში ფრიად დამაიმედებელი სტარტი აიღო. გაერთიანების შიგა ვაჭრობამ პირველი 10 წლის განმავლობაში, 28,4%-იან წლიურ ზრდას მიაღწია, ხოლო მესამე ქვეყნებიდან იმპორტის საშუალო ზრდამ 10%-ს.

ყველა შინაგანი ტარიფის და კვოტების შეზღუდვების გაუქმების განრიგი თავიდანვე ისე იყო შედგენილი, რომ მიმდევრობითი ეტაპების გავლით პროცესი უნდა დასრულებულიყო 1969 წლის 31 დეკემბერს, მაგრამ ეს პროცესი ორჯერ იქნა დაჩქარებული და იგი დასრულდა განრიგით გათვალისწინებულ ვადამდე 18 თვით ადრე - 1968 წლის 1 ივლისს. შიგა ტარიფების გაუქმებასთან ერთად გაიზარდა საერთო გარე ტარიფი, რომლის მნიშვნელობა დამყარებული იყო წევრი ქვეყნების მიერ აკრეფილი საბაჟო გადასახადების რამდენადმე შემცირებულ დაზუსტებულ საშუალო მნიშვნელობაზე. ორივე ეს პროცესი დასრულდა 18 თვით ადრე. გაერთიანებამ ითანამშრომლა აშშ-თან GATT-ის კენედის რაუნდში, რომლის შედეგი იყო საშუალო 35%-იანი შემცირება მისი გარე ტარიფებისა.

კიდევ ერთი ეკონომიკური ასპექტი, რომელიც საკმარისად დეტალურად იყო აღწერილი რომის ხელშეკრულებაში, მიზნად ისახავდა ერთიანი სასოფლო სამეურნეო პოლიტიკის (მსსპ; Common Agricultural Policy-CAP) გატარებას, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო პროტექციონიზმზე იყო დაფუძნებული, ვიდრე თავისუფალ ვაჭრობაზე. სინამდვილეში ემპ-ს ორი მთავარი ისარი, როგორც *quid pro quo* (ერთი მეორეს სანაცვლოდ) შეთავაზება ცხადად მიმართული იყო დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთისადმი. ინდუსტრიული ნაწარმით თავისუფალი ვაჭრობა ეთანხმებოდა დასავლეთ გერმანიის წარმოების ინტერესებს, ხოლო გარანტირებული ბაზარი სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის ასევე ეთანხმებოდა ფრანგი ფერმერების ინტერესებს. მიუხედავად რომის ხელშეკრულების პირობებისა, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის განხორციელებას გაცილებით მეტი სირთულე შეხვდა, ვიდრე საბაჟო კავშირს, მაგრამ 1962 წლის იანვრის მოლაპარაკებების შედეგად, რომლებსაც კომისიამ „გაჭიანურებული და ხშირად მწვავე“ და „მოლაპარაკებების უგრძესი მარათონი გაერთიანების ისტორიაში“ უწოდა, მინისტრთა საბჭომ

მიიღო ძირითადი დებულებები საერთო სასოფლო სამეურნეო ბაზრის შესახებ.

საგარეო პოლიტიკური განხეთქილება

ექსპულსის (ასე ეწოდებოდათ გაერთიანების დამფუძნებელ წევრ ქვეყნებს) ეკონომიკურმა პროგრესმა სულ მალე თვალსაჩინო გახადა რომის ხელშეკრულების ერთი აშკარა ხარვეზი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მასში სიტყვა არ იყო ნათქვამი პოლიტიკურ თანამშრომლობაზე. 1961 წლის თებერვალში ექსპულსის მთავრობების მეთაურების შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ექსპულსმა უნდა დააფუძნოს პოლიტიკური კავშირი. ფრანგი პოლიტიკოსის კრისტიან ფუშეს თავმჯდომარეობით შექმნილმა კომიტეტმა შეიმუშავა ორი მიმდევრობითი გეგმა, რათა მიღებულ გადაწყვეტილებას ხორცი შეესხა. მაგრამ ფუშეს არც პირველ და არც მეორე გეგმას ცხოვრებაში გატარება არ ეწერა დიდ და მცირე ქვეყნებს შორის არსებითი უთანხმოების გამო. დიდი ქვეყნები, განსაკუთრებით კი გოლისტური საფრანგეთი, თვლიდნენ, რომ ექსპულსის საგარეო პოლიტიკას ძირითადად მათ უნდა უხელმძღვანელონ. მეორე მხრივ, მცირე ქვეყნებს, განსაკუთრებით კი ბენილუქსს, სურდათ თანაბარი ხმის უფლება, შიშობდნენ რა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. საბოლოოდ არავითარი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, გარდა იმისა, რომ მთავრობის მეთაურები შეთანხმდნენ რეგულარული შეხვედრების ჩატარებაზე ზოგადი პოლიტიკური კონსულტაციების მიზნით. მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა ექვსი წლის განმავლობაში არც ერთი სამიტი არ შემდგარა. მხოლოდ 1974 წლის დეკემბერში, ევროპის საბჭოს ფორმალური დაფუძნების შემდეგ, მთავრობის მეთაურებმა დაიწყეს რეგულარულად შეხვედრა წელიწადში სამჯერ (1986 წლიდან შეხვედრების რიცხვი ორამდე შემცირდა).

სხვა ევროპულმა ქვეყნებმა ყურადღება მიაქციეს გაერთიანების ქვეყნების ეკონომიკურ წინსვლას. საბერძნეთმა და თურქეთმა გამოთქვეს მზადყოფნა გამხდარიყვნენ გაერთიანების ასოცირებული წევრები 1959 წლის, განმავლობაში.

რადგანაც ინგლისის ადრინდელი მცდელობები ეთიპი-ს ჩარჩოებში მოლაპარაკებები ეწარმოებინა ვაჭრობის თავისუფლების შესახებ, მარცხით დამთავრდა, ამიტომ იგი მარტოდმარტო დარჩენის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ამ გარემოებამ უბიძგა მას ინიციატივა

გამოეჩინა ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EMSA; European Free Trade Association - EFTA) დასაარსებლად. ამით იგი იოლად დაუკავშირდა ევროპის ექვს მცირე ქვეყანას. 1960 წლის 4 იანვარს მან ავსტრიასთან, ნორვეგიასთან, პორტუგალიასთან, შვედეთთან და შვეიცარიასთან ერთად ხელი მოაწერა სტოკჰოლმის კონვენციას, რითაც დაფუძნებულ იქნა EMSA.

გაერთიანებული სამეფო კარზე აკაკუნებს

ვერ მოასწრო ინგლისმა სტოკჰოლმის კონვენციაზე ხელის მოწერა, რომ მისმა მთავრობამ პრემიერ-მინისტრ ჰაროლდ მაკმილანის მეთაურობით ერთხელ კიდევ გადახედა თავის პოზიციას და გადაწყვიტა, რომ დააკმაყოფილოს გაერთიანებულ სამეფოს სავაჭრო ინტერესები (EMSA-ს მოსახლეობა არ აღემატებოდა 90 მილიონს მაშინ, როდესაც ექვსეულის მოსახლეობა 170 მილიონს შეადგენდა). 1961 წლის ივლისში გაერთიანებულმა სამეფომ განაცხადი შეიტანა EFTA-ის სრულუფლებიანი წევრობის თაობაზე, რასაც მალე ირლანდიის, დანიისა და ნორვეგიის ანალოგიური ქმედებები მოჰყვა.

გაერთიანებული სამეფოს განაცხადი გულთბილად მიიღო ექვსეულის ხუთმა ქვეყანამ, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ პრეზიდენტი დე გოლი საკმაოდ გულგრილად, რომ არ ვთქვათ, ფაქტიურად მტრულად იყო განწყობილი „ანგლო-საქსური“ ქვეყნის წევრების მიმართ. გაწევრიანების დეტალებზე მოლაპარაკება დაიწყო 1961 წლის ნოემბერში, მაგრამ მალე ჭაობში ჩაეფლო, რადგანაც გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლები უგუნურად ცდილობდნენ მიეღწიათ აუარებელი შეღავათებისათვის სოფლის მეურნეობის, თანამეგობრობის ვაჭრობისა და EMSA-ს სხვა წევრებთან მომავალი ურთიერთობების სფეროში. ამასობაში მაკმილანმა და კენედიმ ნასაუში გააფორმეს ხელშეკრულება პოლარისის ტიპის რაკეტების განლაგების შესახებ, რამაც დაადასტურა დე გოლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გაერთიანებული სამეფოსათვის აშშ-თან კავშირი უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე ნებისმიერი ევროპული კვლდებულება. დე გოლმა დრო იხელთა და 1963 წლის იანვარში პარიზში ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე სწრაფად დაადო ვეტო გაერთიანებული სამეფოს განაცხადს. სამმა დანარჩენმა აპლიკანტმა ქვეყანამ გაიტანა განცხადება.

EMSA-ს დანარჩენი ხუთი ქვეყანა გაოგნებული იყო საფრანგეთის ქმედებით, მაგრამ მოერიდნენ საკითხის გამწვავებას. მათი ხედვით

გაერთიანებულ სამეფოს გარეშე მმბ წარუმატებელი იქნებოდა, საფრანგეთის გარეშე კი საერთოდ ვერ იარსებებდა. ასე რომ, ისინი თუმც უხალისოდ, მაგრამ მაინც დაეთანხმნენ დე გოლს. ერთი კვირის შემდეგ კი ხელმოწერილ იქნა საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულება. სამი წლის შემდეგ ჰაროლდ ვილსონის ლეიბორისტულმა მთავრობამ ერთხელ კიდევ სცადა გაერთიანებული სამეფოს მმბ-ში გაწევრიანება, მაგრამ დე გოლმა კვლავაც გამოიყენა ვეტოს უფლება და საფრანგეთის პარტნიორები კვლავაც დაემორჩილნენ მის ნებას.

ჰალშტაინი დე გოლის წინააღმდეგ

ევროპულ კომისიას პირველი ცხრა წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა პროფესორი ვალტერ ჰალშტაინი, კონრად ადენაუერის ადრინდელი თანაშემწე და ნდობით აღჭურვილი პირი. მის სახელთანაა დაკავშირებული ე.წ. ჰალშტაინის დოქტრინა, რომლის ძალითაც დასავლეთ გერმანია უარს აცხადებდა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე ნებისმიერ ქვეყანასთან, რომელიც სცნობდა აღმოსავლეთ გერმანიის რეჟიმს. ჰალშტაინი ხელმძღვანელობდა დასავლეთ გერმანიის დელეგაციას შუმანის გეგმისადმი მიძღვნილ 1950 წლის კონფერენციაზე. იგი სარგებლობდა, როგორც საფრანგეთის არსებითი მხარდაჭერით, ასევე დასავლეთ გერმანიის კეთილი ნებით მისი პრეზიდენტობის საწყის პერიოდში, რაც მას დიდად დაეხმარა შეენარჩუნებინა წინმსწრაფი იმპულსი. დროთა განმავლობაში ზეეროვნული ევროპის მისეულ ხედვასა და დე გოლის უფრო ნაციონალისტურ მიდგომას შორის სულ უფრო და უფრო მზარდი ნაპრაღი წარმოიქმნა და ალბათ სწორედ ეს იყო მიზეზი მომავალი განხეთქილებისა.

შესაძლოა ამის მიზეზი გახდა განსხვავება საგარეო პოლიტიკაში, ან საფრანგეთის უარი გაერთიანებული სამეფოს მმბ-ში გაწევრიანებაზე. ფაქტობრივად, რღვევის პროცესი მინისტრთა საბჭოს წიაღში განვითარდა. გაერთიანების არსებობის ადრეულ წლებში საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა ერთხმად, როგორც ამას რომის ხელშეკრულება თხოულობდა. 1966 წლიდან მოყოლებული, ტრადიციული პერიოდის დამთავრების შემდეგ, მრავალი გადაწყვეტილება იქნა მიღებული კვალიფიციური უმრავლესობის საფუძველზე. პრეზიდენტი დე გოლი სულაც არ იყო განწყობილი

მშვიდად ეცქირა საფრანგეთის დამარცხებისათვის მთავარ საკითხებზე კენჭისყრისას. და როდესაც 1965 წლის ივნისში იხილებოდა საკითხი მსსპ ფინანსირების, მისი უზრუნველყოფისა საკუთარი ფინანსური რეზერვებით და ევროპული პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილების გაზრდის შესახებ. საფრანგეთი კომისიის მიერ წამოყენებული წინადადების წინააღმდეგ ეულ უმცირესობაში აღმოჩნდა, მან ჩაშალა გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ექვსი მომდევნო თვის განმავლობაში საფრანგეთი ბოიკოტს უცხადებდა მინისტრთა საბჭოს ყველა სხდომას და ეს „ცარიელი სკამის“ პოლიტიკა მან მიატოვა მხოლოდ 1966 წლის იანვარში, როდესაც მიღწეულ იქნა ე.წ. ლუქსემბურგის შეთანხმება. ამ შეთანხმებამ ყველა წევრ ქვეყანას მისცა ვეტოს უფლება, თუ კი საქმე ეხებოდა მის „სასიცოცხლო ინტერესებს“. ამის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და ჰალშტაინმა, რომელიც სამართლიანად თვლიდა, რომ ლუქსემბურგის შეთანხმებამ ძლიერ დააქინა კომისიის, როგორც პოლიტიკის მთავარი ინიციატორის როლი, განაცხადა თავისი გადადგომის შესახებ.

ფერმერული მეურნეობის გარდაქმნა

ერთ-ერთი ღრმა ცვლილება გაერთიანების შიგნით 60-და70-იან წლებში იყო სოფლის მეურნეობის გარდაქმნა. მოხდა არა მარტო ნაყოფიერებისა და პროდუქციის მატება, რამაც გაერთიანება თვით-საკმარი გახადა ყოველდღიური მოხმარების საქონლის თვალსაზრისით, არამედ ექვსეულის ქვეყნებში მოხდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის რიცხვის მკვეთრი შემცირება - 15,2 მილიონიდან 1960 წელს - 5.8 მილიონამდე 1984 წელს. ეს პროცესი უფრო მეტად განვითარდებოდა დოქტორ მანშოლტის გეგმა რომ მიეღოთ. ამ გეგმას სახელი დაერქვა სოფლის მეურნეობის კომისიის წევრისა და შემდგომში ამ კომისიის თავმჯდომარის სიკო მანშოლტის საპატივცემულოდ. 1968 წელს წამოყენებული ეს გეგმა ითვალისწინებდა უხვ ფინანსურ წახალისებას მიწის ნაკვეთების გაზრდის, სასოფლო სამეურნეო საშუალებების მექანიზაციის და 5 მილ ჰა. მწირი მიწის დამუშავებიდან ამოღებისათვის. საბოლოოდ 1972 წელს მინისტრთა საბჭომ მიიღო უფრო მოკრძალებული პროგრამა, მაგრამ საუბედუროდ, მან ვერ უშველა სტრუქტურული სიჭარბის პრობლემას და ვერც ის ტვირთი ვერ შეამსუბუქა

გაერთიანების ფონდებს რომ აწვა პროდუქციის გარანტიების სახით.

კიდევ ერთი საგულისხმო მოვლენა იყო 1963 წელს კამერუნის დედაქალაქ იაუნდუში 18 აფრიკული ქვეყნის მიერ კონვენციის ხელის მოწერა. ეს ის ქვეყნები იყო, რომლებიც ახლო წარსულში მშპ-ის წევრი ქვეყნების მმართველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ეს კონვენცია უზრუნველყოფდა მათი პროდუქციის უბაჟო ექსპორტს, გარდა ზოგიერთი განსაკუთრებული საქონლისა, რომელიც მსსპ-ით იყო გათვალისწინებული. გარდა ამისა გათვალისწინებული იყო ფინანსური დახმარება, რომელსაც უზრუნველყოფდა განვითარების ევროპული ბანკი და ევროპის საინვესტიციო ბანკი. იაუნდეს პირველი კონვენცია შეცვალა იაუნდუ II-მ და შემდგომ მიმდევრობით კიდევ ოთხმა კონვენციამ, რომლებიც ხელმოწერილ იქნა 1975, 1979, 1984 და 1989 წ.წ. ლომეში (ტოგო). ამ კონვენციებს თანამეგობრობის მრავალი ქვეყანა შეუერთდა. ლომე IV, რომელსაც ხელი მოაწერა 70-მა ქვეყანამ, მათ შორის კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის ნაპირებიდან აგრძელებს პროგრამას 2000 წლამდე.

1969 წლის დეკემბერში ჰააგაში ჩატარებული მშპ-ის სამიტი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ამ კონფერენციამ საბოლოოდ დამტკიცა წინადადებები მსსპ-ის დაფინანსების, გაერთიანების საკუთარი ფინანსური რესურსების და ევროპის პარლამენტის საბიუჯეტო სახსრების შესახებ, რაც ადრე საფრანგეთის მიერ იყო დაბლოკილი. კონფერენციაზე შეთანხმდნენ, რომ მშპ-ი უნდა შეუდგეს ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნას იმ ვარაუდით, რომ ეს პროცესი 1980 წლისათვის დასრულდეს (როგორც აღმოჩნდა ეს სრულიად ზეოპტიმისტური ვადა იყო). გარდა ამისა, დავალებულ იქნა მოხსენების მომზადება წევრ ქვეყნებს შორის საგარეო პოლიტიკის სფეროში კოორდინაციის დახვეწის გზების შესახებ. ეს მოხსენება, დაწერილი ბელგიელი დიპლომატის ეტიენ დავინიონის (შემდგომში კომისიის გავლენიანი წევრის) მიერ, დამტკიცებულ იქნა ათი თვის შემდეგ. ამიერიდან წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები, ისევე როგორც საგარეო საქმეთა უწყებების მაღალი რანგის მოხელეები, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს „პოლიტიკური თანამშრომლობის მიზნით“, რათა განეხილათ და შეძლებისდაგვარად შეეჯერებინათ მოსაზრებები და ქმედებები საგარეო პოლიტიკის სარბიელზე.

დანის, ირლანდიის და გაერთიანებული სამეფოს გაწევრიანება

1969 წელს პრეზიდენტ დე გოლის გადადგომამ და ერთი წლის შემდეგ მისმა გარდაცვალებამ მოშალა მთავარი წინაღობა გაერთიანებულ სამეფოს გაწევრიანებისა. დე გოლის მემკვიდრე ჟორჟ პომპიდუ უფრო დამყოლი იყო, ხოლო დასავლეთ გერმანიის ახალი კანცლერი ვილი ბრანდტი დაჟინებით არწმუნებდა მას გაერთიანების გაფართოების მიზანშეწონილობაში. დანის, ირლანდიის, ნორვეგიისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობებმა განაახლეს განცხადებები და გახურებული ვაჭრობის შემდეგ 1972 წლის 22 იანვარს, ბრიუსელში ხელი მოეწერა ამ ქვეყნების გაწევრიანების ხელშეკრულებას. ნორვეგიამ 1972 წლის სექტემბრის რეფერენდუმზე ხმების მცირე უპირატესობით უარყო (53% წინააღმდეგი, 47% მომხრე) ხელშეკრულების პირობები. დანარჩენი სამი ქვეყანა ფორმალურად გახდა გაერთიანების წევრი 1973 წლის 1 იანვარს. დანიაშიც და ირლანდიაშიც ჩაატარეს რეფერენდუმები მშპ-ში შესვლის თაობაზე, რომლებმაც უპირატესობა გაწევრიანებას მიაკუთვნეს ხმათა შესაბამისად 83%-იანი და 63%-იანი უმრავლესობით.

თავიდან გაერთიანებულმა სამეფომ არ ჩაატარა რეფერენდუმი, თუმცა მისი შედეგი ფრიად საჭოჭმანო იყო. პრემიერ-მინისტრი ედვარდ ჰიტი დიდი შეუპოვრობით ცდილობდა მიეღწია გაერთიანებული სამეფოს გაწევრიანებისათვის, რაშიც მხარს კონსერვატული პარტიის საპარლამენტო უმრავლესობა უჭერდა. ლეიბორისტულ პარტიაში კი ღრმა განხეთქილება იყო გადაწყვეტილების გამო, თუმცა უმრავლესობა მკვეთრად საწინააღმდეგოდ იყო განწყობილი. 1971 წლის ოქტომბერში თემთა პალატაში კენჭისყრის დროს ლეიბორისტული პარტიის 69 ურჩმა წევრმა როი ჯენკინსის მეთაურობით დაჟინებით მოითხოვა ფრაქციის ლიდერის წინააღმდეგ კენჭისყრა და მხარი დაუჭირა პირობებს, რომელთა შესახებ მოლაპარაკებას ჰიტი აწარმოებდა. შემდგომში ლეიბორისტულმა პარტიამ დაადგინა, რომ ჩატარდებოდა რეტროსპექტული რეფერენდუმი გაერთიანებული სამეფოს წევრობის გაგრძელების თაობაზე, თუ კი ის გაიმარჯვებდა მომდევნო არჩევნებში.

1974 წელს ხელისუფლებაში მოვიდა ჰაროლდ ვილსონის მთავრობა. იგი ჯერ უმცირესობის მთავრობა იყო, შემდეგ კი სუსტი უმრავლესობის. მან შეასრულა ეს ვალდებულება 1975 წლის ივნისში

„ხელახლა მოლაპარაკების“ შემდეგ. მთავარი მიღწეული ცვლილება მდგომარეობდა „მაკორექტირებელი მექანიზმის“ შემოღებაში, რომლის დანიშნულება იყო თავიდან აეცილებინა გაერთიანებული სამეფოს ჭარბი გადასახადები მბ-ის ბიუჯეტში. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს მექანიზმი ქმედითუნარო იყო, მაგრამ რეფერენდუმზე გამოიკვეთა გაერთიანებული სამეფოს მბ-ში წევრობის გაგრძელების მომხრეთა გადამწყვეტი უპირატესობა (67% მომხრე) და ჩანდა თითქოს წინააღმდეგობებს ბოლო მოეღო.

დანიამ და გაერთიანებულმა სამეფომ მბ-ში გაწევრიანებისთანავე დასტოვეს მთმბ, მაგრამ არ გაუწყვეტიათ სავაჭრო კავშირი და როგორც მთმბ-ს წარმომადგენლები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მბ-თან თავისუფალი ინდუსტრიული ვაჭრობის თაობაზე. ამით მათ შექმნეს გარკვეული „გარე რგოლი“, რამაც საშუალება მისცა მათ მიეღოთ მოგების წილი უტარიფო ვაჭრობისაგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარდა. ამავე დროს არავითარი ვალდებულება გამოძინარე მბ-ის წევრობისაგან მათ არ ეკისრებოდაათ.

გაფართოების პრობლემები

1973 წლის გაფართოება, რომელმაც მბ-ის წევრთა რიცხვი ექსიდან ცხრამდე გაზარდა, ხოლო წევრი ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა 191 მილიონიდან 255 მილიონამდე, იმედს იძლეოდა, რომ გაერთიანება ძალებს მოიკრებდა და 70-იან წლებში სწრაფი განვითარების გზას დაადგებოდა. ეს იმედები უმეტესწილად გაცრუვდა და ეს მოხდა იმის გამო, რომ გაფართოებულ მბ-ას აკლდა განვითარების საშუალო ვადიანი შეთანხმებულ პროგრამა, როგორც ეს რომის ხელშეკრულებაში იყო, სადაც მოცემული იყო საბაჟო კავშირის შექმნის ზუსტი განრიგი და მსსპ-ის ძირითადი მდგენელების აღწერილობა გაერთიანების არსებობის პირველი ხუთი წლის განმავლობაში. გარდა ამისა ცხრა წევრ ქვეყანას შეკავშირების ნაკლები უნარი აღმოაჩნათ, ვიდრე თავდაპირველ ექვსეულს. და კიდევ, გაერთიანების მიმართ ინგლისისა და დანიის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მტრული განწყობილების გამო ამ ქვეყნებს საგრძნობი სიძნელეები ექმნებოდათ ბუნებრივ კომპრომისებთან შეგუების მხრივ, ისევე როგორც „მიეცი და აიღე“-ს პრინციპის გატარებაში, რასაც გაერთიანების შეუფერხებელი საქმიანობა თხოვლობდა.

უდავოდ, გაერთიანების განვითარებას ყველაზე დიდი დარტყმა მიაყენა ხანგრძლივმა ეკონომიკურმა დაღმასვლამ, რომელიც 1973

წლის იომ კიპურის ომით იყო გამოწვეული. ამას მოჰყვა ნავთობპროდუქტებზე ფასების გაოთხეცება. გაერთიანების ყველა წევრი ქვეყანა დაზარალდა აღმავალი ინფლაციისა და უმუშევრობისაგან და მათი უმრავლესობა საგადასახადო ბალანსის მწვავე დეფიციტის ვითარებაში აღმოჩნდა. უფრო მეტიც, წევრი ქვეყნების ძალისხმევა მოეხდინათ ენერგეტიკული პოლიტიკის კოორდინაცია, უსუსური აღმოჩნდა, ისევე როგორც მათი მცდელობა მიეგნოთ საერთო ეკონომიკური სტრატეგიისათვის, რათა თავი დაეღწიათ უკუსვლისაგან. წევრი ქვეყნების მთავრობები იბულებული გახდნენ თავიანთ ქვეყნებში სხვადასხვა ზომით მკაცრი პოლიტიკა გაეტარებინათ.

მათი დარწმუნება გაერთიანების ეგიდით ახალი საერთო პოლიტიკის გასატარებლად საჭირო რესურსების აუცილებლობაში მზარდ სიძნელეებს წააწყდა. მიუხედავად ამისა, 1974 წლის დეკემბერში მბ-ის პარიზის სამიტზე გადაწყდა ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის (მრბზ; European Regional Development Fund - ERDF) დაარსება, რომლის დანიშნულება იყო ამოეცო ნაპრალი გაერთიანების ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფ და ყველაზე წარმატებულ რეგიონებს შორის. თუმცა მრბზ გამიზნული იყო ყველა წევრ ქვეყნებისათვის, მისი საქმიანობის მომხმარებელი პირველი 10 წლის განმავლობაში იყვნენ გაერთიანებული სამეფო, ირლანდია და იტალია.

ევროპის საბჭო.

ამავე სამიტზე მიღებულ იქნა სამი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. დადგენილ იქნა, რომ ამიერიდან მთავრობის ხელმძღვანელები უფრო ხშირად უნდა ეთათბირობდნენ ერთმანეთს. გარდა ამისა დაარსებულ იქნა ევროპის საბჭო, რომელიც წელიწადში სამჯერ უნდა შეკრებილიყო და უნდა განეხილა საგარეო პოლიტიკის საკითხები და გაერთიანების საქმიანობა. და ბოლოს, დადგენილ იქნა, რომ 1978 წლიდან (შემდგომ ამ ვადამ გადაიწია 1979 წლისათვის) ევროპის პარლამენტი არჩეული უნდა ყოფილიყო საყოველთაო პირდაპირი არჩევნების საფუძველზე. ამავე სამიტზე ბელგიის პრემიერ მინისტრს ლეო ტინდემანს დაევალა 1975 წლის ბოლოსათვის საანგარიშო მოხსენების მომზადება ევროპის კავშირისათვის.

ერთი წლის შემდეგ ტინდემანმა თავის მოხსენებაში საბჭოს შესთავაზა ღონისძიებათა პაკეტი, რომელიც ეხებოდა კავშირის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებს. მათ შორის საგარეო პოლიტიკას,

ეკონომიკურ და სავალუტო კავშირს, ევროპულ სოციალურ და რეგიონულ პოლიტიკას და ინდუსტრიის აღმავლობის საკითხებს. მბ-ის მოქალაქეთა ინტერესებს და კავშირის ინსტიტუციების არსებით გადახალისებას. ევროპის საბჭოს მიერ ეს საანგარიშო მოხსენება არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა ვითარებაში. მაგრამ არავითარი ქმედება ამას არ მოჰყოლია, რაც დასავლეთ ევროპის ლიდერთა პოლიტიკური ხედვის დაქვეითების შედეგი იყო ევროპის კავშირთან მიმართებაში.

1977 წლის იანვარში როი ჯენკინსის კომისიის პრეზიდენტის პოსტზე დანიშვნა ოთხწლიანი ვადით განიხილებოდა როგორც იმედის მომცემი ნაბიჯი. ეს თვალსაჩინო პოლიტიკური ფიგურა, რომელიც ლეიბორისტული პარტიის ლიდერი იყო და ხაზინის კანცლერისა და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტები ეკავა გაერთიანებული სამეფოს მბ-ში გაწევრიანების ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული და თანმიმდევრული მომხრე იყო ედვარდ ჰიტთან ერთად. მისი თაყვანისმცემლები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან იმედოვნებდნენ, რომ მისი მისვლა ბრიუსელში გაერთიანებას დამატებით წინსწრაფ ბიძგს მისცემდა, რაც ვერ შესძლო ოთხი წლის წინანდელმა გაფართოებამ.

ჯენკინსი საკმაოდ საზრიანი და მონდომებული პრეზიდენტი აღმოჩნდა, მაგრამ ჯერ ჯეიმს კალაჰანის, შემდეგ კი მარგარეტ ტეტჩერის მხრიდან არასაკმარისი მხარდაჭერის გამო მან ვერ გაამართლა სრულად ის იმედები რომლებსაც მასზე ამყარებდნენ. და მაინც, მის ანგარიშზე ორი უდავო მიღწევია. მიუხედავად ვალერი ჟისკარ დესტენის ჯიუტი წინააღმდეგობისა და კალაჰანის ნელთბილი მხარდაჭერისა მან დააკანონა დასავლეთ ევროპის ლიდერების ყოველწლიურ სამიტებზე ეკონომიკის საკითხებში კომისიის პრეზიდენტის დასწრების უფლება მბ-ს წარმომადგენლის სტატუსით. ამის გარდა იგი იყო ერთ-ერთი არქიტექტორი ევროპის სავალუტო სისტემისა, რომელიც ძალაში შევიდა 1979 წლის მარტში.

ევროპის სავალუტო სისტემა

ევროპის სავალუტო სისტემის (მსს; The European Monetary System -EMS) დანიშნულება იყო გარკვეულწილად მოეხდინა იმ შეფერხებათა კომპენსირება, რაც განიცადა ადრინდელმა სწრაფვამ 1980 წელს მიეღწიათ სრული ეკონომიკური და სავალუტო ერთიანობისათვის. ეს დამყარებული იყო ევროპულ სავალუტო ერთეულზე

(ეკიუ) და შეიცავდა გაცვლისა და ინტერვენციის მექანიზმებს, კრედიტის წახალისების საშუალებებს და გაერთიანების ნაკლებად წარმატებული ქვეყნების მდგომარეობის შემსუბუქების გზებს. ამ გეგმას, რომელიც ჯენკინსის მიერ იყო წამოყენებული ფლორენციაში, მხარი დაუჭირა დასავლეთ გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ შმიდტმა. ჰელმუტ შმიდტმა და ჟისკარ დ'ესტენმა ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყვეს ამ გეგმის მოწონება ევროპის საბჭოზე სამი მიმდევრობითი შეხვედრის განმავლობაში 1978 წელს, მიუხედავად გაერთიანებული სამეფოს უარისა შეერთებოდა შეთავაზებულ სავალუტო გაცვლის მექანიზმს პირველი 11 წლის განმავლობაში. ამ სისტემამ მაინც მოიპოვა ნდობა ვალუტების მერყეობის შემცირებაში დიდი წვლილისა და წევრ ქვეყნებს შორის ფინანსური კოოპერაციის წახალისების გატარების გამო.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება უწყვეტად მიმდინარეობდა 70-იანი წლების განმავლობაში. GATT-ის ტოკიოს რაუნდი უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო იმ მოლაპარაკებებისა, რომლებსაც ევრო-აწარმოებდა სხვა 99 მონაწილესთან. მსოფლიოს ეკონომიკური დაღმასვლისა და უმუშევრობის ზრდის პირობებში (რომელმაც ამ დროისათვის 10 მილიონს მიაღწია და შემდეგ 16 მილიონამდე გაიზარდა) რაუნდის მიღწევები შთამბეჭდავი იყო. შედეგად 1980 წლისათვის ერთი მესამედით იქნა შემცირებული საშუალო საბაჟო გადასახადები.

კავშირმა მნიშვნელოვნად გაზარდა ორმხრივ ხელშეკრულებათა რიცხვი განვითარებად ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების და დახმარების სფეროში. მალრიბის ქვეყნებთან (ალჟირი, ტუნისი, მაროკო) 1976 წელს ხელმოწერილ ხელშეკრულებებს 1977 წელს მოჰყვა მაშრიყის ქვეყნებთან (ეგვიპტე, სირია, იორდანია და ლიბანი) ხელმოწერილი ხელშეკრულებები. 1975 წელს დადებულ იქნა ხელშეკრულება ისრაელთან, ხოლო 1980 წელს იუგოსლავიასთან, რამაც კავშირს საშუალება მისცა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში გლობალური პოლიტიკის წარმოებისა. აზიაში უფრო შეზღუდული ხელშეკრულება იქნა დადებული შრი-ლანკასთან (1975 წ.), ბანგლადეშთან, პაკისტანთან (1976 წ.) და ინდოეთთან (1981წ.). ამავე 1981 წელს დადებულ იქნა ხელშეკრულება ACEAN-ის 5 ქვეყანასთან. ლათინურ ამერიკაში ურუგვაისთან (1973წ.), მექსიკასთან (1975წ.) და ბრაზილიასთან (1980წ.) დადებულ ხელშეკრულებებს მოჰყვა თანამშრომლობის ხელშეკრულება – ხუთ წევრიან ანდების პაქტთან (1983) წელს. ლომეს მესამე ხელშეკრულებამ, რომელიც 1984

წელს დაიღო განსაზღვრა სავაჭრო ურთიერთობანი აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის რეგიონების 66 ქვეყანას შორის და უზრუნველყო 8500 მილიონი ეკიუს ოდენობის დახმარება 1985-90 წლებში.

მცირე წარმატებას მიაღწია კომუნისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების მცდელობამ. საბჭოთა გავლენის ქვეშ მყოფ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსთან (Comecon) მოლაპარაკებამ ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ 1977-80 წლებში არაკეთილად დასრულდა. დიალოგი გარკვეული შედეგით დასრულდა მხოლოდ 1986 წელს ხელისუფლებაში გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ. დადებულ იქნა სავაჭრო ხელშეკრულებები ზოგიერთ კომუნისტურ ქვეყანასთან.

საბერძნეთი შედის გაერთიანებაში

ამასობაში დღის წესრიგში დადგა მბ-ის ახალი გაფართოების საკითხი. სამმა ქვეყანამ, რომლებმაც ცოტა ხნის წინ თავი დაიხსნეს დიქტატორული თუ სამხედრო რეჟიმებიდან, განაცხადი გააკეთეს გაწევრიანების შესახებ. საბერძნეთმა თავისი განაცხადი 1975 წელს შეიტანა, პორტუგალიამ და ესპანეთმა 1977 წელს.

მოლაპარაკებებმა საბერძნეთთან შედარებით უმტკივნეულოდ და აუღელვებლად ჩაიარა ნაწილობრივ იმის გამოც, რომ ამ ქვეყნის მთავრობა თვლიდა, რომ, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, უნდა გაწევრიანებულიყო მბ-ში. ამიტომ ის დიდად არ გაჭირვებულა ხელშეკრულების პირობების განხილვისას, თვლიდა რა, რომ საბერძნეთის სავაჭრო შესაძლებლობები დიდად გაიზრდება გაწევრიანების შედეგად. საბერძნეთი გაწევრიანდა 1981 წლის 1 იანვარს.

მოლაპარაკებები ესპანეთთან და პორტუგალიასთან უფრო რთულად მიმდინარეობდა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქვეყნებმა მოლაპარაკებების უფრო ხისტი რეჟიმი აირჩიეს. ამ ქვეყნების გაწევრიანების მიმართ ძლიერ ოპოზიციას ჰქონდა ადგილი თვით გაერთიანების შიგნით. საფრანგეთის სამხრეთის ფერმერები, ისევე როგორც იტალიისა და საბერძნეთის ფერმერები, შემოფოთებული იყვნენ ესპანელი ფერმერების შესაძლო მეტოქეობით. არსებობდა საფუძვლიანი შიში იმისა, რომ საფრანგეთი ისევ გამოიყენებს ვეტოს უფლებას და თუმცა ეს არ მოხდა, პრეზიდენტმა ჟისკარ

დ'ესტენმა 1980 წელს მოლაპარაკების პროცესი განზრახ მიიყვანა ჩაშლამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კონტექსტში უისკარ დ'ესტენმა უარყოფითი როლი ითამაშა, მისი გავლენა გაერთიანებაზე უდავოდ დადებითად უნდა შეფასდეს. თავისი პრეზიდენტობის შეიდი წლის განმავლობაში ის მჭიდროდ თანამშრომლობდა დასავლეთ გერმანიის კანცლერ შმიდტთან რომელთანაც მას, მიუხედავად მათი განსხვავებული პოლიტიკური წარმომავლობისა, ბევრი საკითხის თანმთხვევი ხედავდა ჰქონდა. ისინი თავისუფლად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს ინგლისურად, გვერდიგვერდ ისხდნენ ევროპის საბჭოს სხდომაზე და უნარი შესწევდათ საბჭოს საქმიანობა მათთვის სასურველი მიმართულებით წარემართათ. თუკი ვინმე იყო კავშირის ლიდერი ამ შეიდი წლის განმავლობაში, ესენი იყვნენ: ჰელმუტ შმიდტი და ვალერი უისკარ დ'ესტენი.

1981-82 წლებში ორივე მათგანი ჩამოშორდა ხელისუფლებას და მათმა მემკვიდრეებმა ფრანსუა მიტერანმა და ჰელმუტ კოლმა ვეღარ შესძლეს მსგავსი დამოკიდებულების დამყარება. ამის შედეგად კავშირის სადავეებთან შეიქმნა ვაკუუმი და წლების მანძილზე უსასოოდ დარჩენილი კავშირი ვეღარ ახერხებდა მოზღვავებულ პრობლემებთან გამკლავებას. ამას ისიც დაემატა, რომ დაახლოებით იმავე დროს ჯენკინსი გადადგა კომისიის პრეზიდენტის პოსტიდან, ხოლო მის მემკვიდრეს ლუქსემბურგელ გასტონ თორნს არ გააჩნდა ისეთი წონა, რომ შესძლებოდა ამ ნაპარალის ამოვსება.

პრობლემების ლაბირინთი

1980-იანი წლების დასაწყისში კავშირის წინაშე აღმოცენდა პრობლემების დასტა, რომლებიც წლების განმავლობაში სულ უფრო იზლართებოდა. 1984 წლამდე მათი ამოხსნა ვერ მოიძებნა.

ეს პრობლემებია:

- ბიუჯეტში გაერთიანებულ სამეფოს არაპროპორციულად მაღალი შესატანების პერსპექტივა;
- საბიუჯეტო რესურსების შემაშვოთებელი შემცირება, რაც დაკავშირებული იყო ხარჯების მაღალი ღონის შეზღუდვის აუცილებლობასთან;

- კავშირის ინსტიტუციების რეფორმის საჭიროება, რათა გაზრდილიყო მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების სიჩქარე და პასუხისმგებლობის დონე;
- შეერთებული შტატებისა და იაპონიის ტექნოლოგიურ გამოწვევაზე პასუხის გაცემის აუცილებლობა, რათა ევროპა არ ჩაძირულიყო ინდუსტრიულ ჭაობში;
- კავშირის შიგნით არსებული ზღუდეების დანგრევის აუცილებლობა;
- მოლაპარაკებების გაგრძელება პორტუგალიასა და ესპანეთთან.

გაერთიანებული სამეფოს ბიუჯეტის პრობლემა წლების მანძილზე ყველაზე მოურჯულებელი პრობლემა იყო, ნაწილობრივ ამ პრობლემაში ჩართული პიროვნებების თვისებების გამო. მათ შორის მარგარეტ ტეტჩერისა, რომლის მებრძოლი ხასიათი არასასიამოვნო აღმოჩენა იყო მისი კოლეგების - მთავრობათა მეთაურებისათვის. ის გარეობდა, რომ გაერთიანებულ სამეფოს გაუმართლებლად დიდი თანხების შეტანა უხდებოდა ურთიერთთანადგომის ფონდში, ერთხელაც, გადარიცხვის პერიოდის დასასრულს გამოაშკარავდა. ეს მოხდა ჯეიმს კალაჰანის ლეიბორისტული მთავრობის ბოლო თვეებში 1979 წელს. ამის მთავარი მიზეზი გახდა ის ურთიერთსაწინააღმდეგო მაჩვენებლები, რომლებიც გამოიკვეთა გაწვევრიანების თაობაზე გამართულ მოლაპარაკებაზე და განმეორებით მოლაპარაკებაზე. ამ დროს კავშირის ბიუჯეტის ლომის წილი გათვალისწინებული იყო სოფლის მეურნეობისათვის. გაერთიანებულ სამეფოს, როგორც საკვები პროდუქტების მსხვილ იმპორტიორს, არაპროპორციულად დიდი თანხები ჰქონდა შესატანი საიმპორტო მოსაკრებლების სახით, მაშინ, როდესაც იგი, როგორც საკვები პროდუქტების მცირე რაოდენობის მწარმოებელი, გაცილებით ნაკლებს იღებდა იმასთან შედარებით, რასაც შეადგენდა მისი წილი მსსპ-ში შენატანების სახით.

როდესაც 1979 წელს, ქალბატონი ტეტჩერი პრემიერ მინისტრი გახდა, მან განსაკუთრებით მკაცრი პოზიცია დაიკავა გაერთიანებული სამეფოს პოზიციების დასაცავად. ის ცდილობდა დაეყოლებია სხვა წვერი ქვეყნები 1980 წლისათვის დაედო დროებითი ხელშეკრულება, რომელიც 2-3 წლით შეზღუდავდა გაერთიანებული სამეფოს გადასახადებს, ვიდრე შესაბამისი გრძელვადიანი ხელშეკრულება არ იქნებოდა შემუშავებული. ქალბატონი ტეტჩერის ამ მძაფრი კომპანიის

არასასურველი შედეგი ის იყო, რომ მან გააღვივა ანტი-მზ გრძნობები ლეიბორისტულ პარტიაში, რომლის 1980 წლის კონფერენციაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია გაერთიანებული სამეფოს მზ-დან გამო-სვლის სასარგებლოდ. მაიკლ ფუტის თაოსნობით ეს რეზოლუცია შევიდა როგორც ნაწილი ლეიბორისტული პარტიის წინასაარჩევნო მანიფესტში 1983 წლის საყოველთაო არჩევნების დროს.

გრძელვადიანი ხელშეკრულების შემუშავება გრძელდებოდა 1984 წლამდე. ამ ხელშეკრულებას ფაქტიურად მონოპოლიზებული ჰქონდა ევროპის საბჭოს მრავალი შეხვედრის დღის წესრიგი. ბოლოს და ბოლოს შეთანხმება მიღწეულ იქნა, თუმცა ბევრის აზრით, ეს ბევრად ადრე შეიძლებოდა მომხდარიყო, გონიერული რჩევებისათვის ყური რომ დაეგდოთ.

საბიუჯეტო კრიზისი

გაერთიანებული სამეფოს საბიუჯეტო კამათი გარდაუვალად ევაჭვებოდა მოსალოდნელ ზოგად კრიზისს გაერთიანების საბიუჯეტო საქმეებში, რადგანაც მისი „საკუთარი სახსრები“ არაადეკვატური აღმოჩნდა მრავალრიცხოვანი საბიუჯეტო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. შემოსავალი საბაჟო გადასახადებიდან და სასოფლო-სამეურნეო მოსაკრებელი ყოველწლიურად მცირდებოდა. მოახლოებული იყო ის დღე, როდესაც კავშირის სხვა რესურსები - მაქსიმუმ 1% დღგ-სა მთელი კავშირის მასშტაბით - ამოწურული იქნებოდა.

წვერი ქვეყნები გაიყვნენ ორ ნაწილად - დღგ-ის ლიმიტების გაზრდის მომხრეებად და იმ ქვეყნებად (განსაკუთრებით ეს ეხება გაერთიანებულ სამეფოს), რომლებიც მომხრენი იყვნენ ბიუჯეტის შეკვეცისა, სახელდობრ კი, სოფლის მეურნეობისთვის განკუთვნილი ნაწილისა (ბიუჯეტის დაახლოებით 70%).

ის, ვინც ბიუჯეტის გაზრდის მიმხრე იყო, ეყრდნობოდა კომისიის მიერ არაერთგზის გამოთქმულ სურვილს გაეძლიერებინა კავშირის ძალისხმევა ტექნოლოგიური კვლევების მიმართულებით, რათა ევროპულ ფირმებს შესაძლებლობა მისცემოდათ თავისი ადგილი დაემკვიდრებინათ მსოფლიო ბაზარზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მონოპოლიზირებული იქნებოდა „მესამე ტექნოლოგიური რევოლუციის“ პროდუქციის მწარმოებლების მიერ იაპონიიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ამის პარალელურად ნათლად იკვეთებოდა, რომ საბოლოო მოწესრიგებისათვის დასავლეთ ევროპამ, როგორც

თავიდან იყო ჩაფიქრებული, უნდა შექმნას „საერთო ბაზარი“ და მოსკოს ის ბარიერები, რომლებიც კავშირის დაარსების დღიდან უკვე მეოთხედი საუკუნე ელობებოდნენ თავისუფალ ვაჭრობას.

შიგა ბაზარზე ბარიერების ნგრევის პროცესის განვითარება შეაფერხა მინისტრთა საბჭოს უარმა დათანხმებოდა მრავალრიცხოვან წინადადებებს ლიბერალიზაციის შესახებ, რომელსაც წლების მანძილზე ადგენდა კომისია. ამავე დროს საბჭო უარყოფითად მოეკიდა ხმათა უმრავლესობის წესით კენჭისყრის ჩატარებას, რაც რომის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული და ამით შექმნა მუხტი, რომელმაც ძლიერი ბიძგი მისცა გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დემოკრატიზაციასა და დაჩქარებას, რაც კერძოდ, ევროპული პარლამენტიდან მომდინარეობდა. და ბოლოს, ესპანეთსა და პორტუგალიაში სახიფათოდ იზრდებოდა უკმაყოფილება მიმდინარე მოლაპარაკების ზოზონით. კავშირის შიგნითაც იზრდებოდა შეგრძნება იმისა, რომ ორმა ახალბედა დემოკრატიულმა ქვეყანამ არ მიიღო ის წახალისება, რომელსაც ისინი იმსახურებდნენ.

მიტერანის ინიციატივა

ისევე როგორც მისმა წინამორბედმა, ფრანსუა მიტერანმაც, როგორც, საფრანგეთის პრეზიდენტმა შესამჩნევი წვლილი შეიტანა მშ-ის ისტორიაში. მას შემდეგ, რაც ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები, მიუხედავად მათ გარშემო გაუთავებელი ბჭობისა, წლების მანძილზე უცვლელი დარჩა, ფრანსუა მიტერანმა ცალსახად განსაზღვრა ის ამოცანები, რომლებიც მინისტრთა საბჭოს სათავეში საფრანგეთის ყოფნის პერიოდში უნდა გადაწყვეტილიყო 1984 წლის პირველ ნახევარში. ამის მისაღწევად იგი უნდა დამდგარიყო საფრანგეთის ვიწრო ინტერესებზე მალლა, თუ კი ესპანეთის გაწვევრიანებისა და გაერთიანებული სამეფოს საბიუჯეტო შეღავათების საკითხი დადებითად გადაწყდებოდა. ეს გეგმა წარმატებით განხორციელდა და 1984 წლის ივნისში ფონტენბლოს სამიტზე დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომელიც ეხებოდა გაერთიანებული სამეფოს ბიუჯეტის საკითხს, კავშირის საკუთარი რესურსების გაზრდას და სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი ხარჯების შემცირებას. აქვე დაისახა ესპანეთისა და პორტუგალიის კავშირში გაწვევრიანების გზები.

ეს ხელშეკრულება გულისხმობდა გაერთიანებული სამეფოს მიერ დღგ-ის შესატანი თანხისა და ემ-დან მიღებულ წილის შორის სხვაობის 6%-ით შემცირებას. ამის სანაცვლოდ ქალბატონი ტეტჩერი დათანხმდა დღგ-ის შესატანი საერთო თანხის ლიმიტის გაზრდაზე 1-დან 1,4%-მდე. გარდა ამისა, შეთანხმდნენ, რომ მომავალში სოფლის მეურნეობაზე გაწეული ხარჯები ყოველწლიურად ნაკლები პროპორციით გაიზრდებოდა, ვიდრე საერთო ხარჯები. ამით მიიღწეოდა მსსპ-ში გადასარიცხი თანხების ყოველწლიური შემცირება.

1992 წლის პროგრამა

ერთი წლის შემდეგ, მილანის სამიტზე მიღწეულ იქნა პროგრესი კიდევ ორი პრობლემის ხაზით: მიღებულ იქნა შიდა ბაზრის ხელშემშლელი 300 ბარიერის გაუქმების შვიდწლიანი განრიგი და შეთანხმდნენ, რომ ჩატარებულიყო მთავრობათაშორისი კონფერენცია, რომელზედაც განხილული იქნებოდა რომის ხელშეკრულების შესწორებები და სხვა გზები, რომელიც ხელს შეუწყობდა გადაწყვეტილებების მიღების დაჩქარებისა და დემოკრატიზაციის პროცესს. ამ გადაწყვეტილებების შედეგი იყო 1985 წლის დეკემბერში ლუქსემბურგში მიღებული საგანგებო ევროპული აქტი, რომელსაც ხორცი შეესხა 12-ვე ქვეყნის პარლამენტების მიერ რატიფიკაციის შემდეგ (დანამ და ირლანდიამ რეფერენდუმებიც კი მოაწყვეს).

ემ-ს შიდა ბაზრის სრულყოფის პროგრამა ცნობილია 1992 წლის ან ზოგიერთ წევრ ქვეყანაში 1993 წლის პროგრამის სახელით. ეს ორაზროვნება წარმოიშვა გამიზნული ვადის - 1992 წლის 31 დეკემბრის გამო. ამ თარიღისათვის 300-ვე დაგეგმილი ღონისძიება უნდა დასრულებულიყო. საწყისი იდეა ეკუთვნოდა ჟაკ დელორს. მაგრამ პროგრამის დეტალური დაგეგმვისა და მისი ენთუზიასტური განხორციელების დაშლახურება უნდა მიეწეროს შიგა ბაზრის საქმეთა რწმუნებულს ლორდ კოჟილდს. საწყისი სკეპტიციზმის მიუხედავად, მალე ცხადი გახდა, რომ პროგრამა არსებითად შესრულდებოდა დადგენილ ვადებში და რომ იგი მნიშვნელოვან ეკონომიკურ მოგებას მოუტანდა ყველა წევრ ქვეყანას. ამის მეოხებით კავშირისკენ სწრაფვამ ახალი აზრი შეიძინა და შეიქმნა ატმოსფერო, რომელშიც კავშირის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების ინიციატივები

უფრო სასურველი და განხორციელებადი გახდა. 1992 წლის დეკემბრისათვის ამ პროგრამის 95% ფაქტობრივად დაკანონებული იყო.

ამასობაში მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელმაც დასაბამი მისცა მზ-ს მრავალრიცხოვან საკვლევ პროგრამას (იხ. თავი 21), მათ შორის Eureka-ს პროგრამასაც.

ამ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო მრავალმა არა წევრმა ქვეყანამაც, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის განკუთვნილი თანხები არსებითად ნაკლები იყო, ვიდრე კომისიას ჰქონდა დაგეგმილი. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ კავშირი გამოფხიზლდა და შეუდგა განსაკუთრებით გადაუდებელი ამოცანების გადაჭრას, მაგრამ, საუბედუროდ წარმოიშვა ახალი დაბრკოლებები ზოგიერთი უკვე მიღწეული შეთანხმებებისადმი. მოლაპარაკებები ესპანეთისა და პორტუგალიის გაწევრიანების თაობაზე წარმატებით დასრულდა, მაგრამ ბოლო მომენტში მათი რატიფიკაცია ეჭვქვეშ დადგა საბერძნეთის მთავრობის ოინის გამო. მან უარი განაცხადა დათანხმებოდა ხელშეკრულების პირობებს, თუ არ გაიზრდებოდა საბერძნეთისადმი კავშირის ეკონომიკური დახმარება. საბოლოოდ საბერძნეთი მოსყიდულ იქნა ხმელთაშუაზღვის გაერთიანებული პროგრამის დაფუძნებით, რომლითაც ამ მიზნისათვის 600 მილიონი ეკიუ გამოიყო 7 წლიანი ვადით (იხ.გვ.220) ამ თანხის დიდი ნაწილი უნდა მოხმარებოდა საბერძნეთის ეკონომიკის მოდერნიზაციას, მაგრამ ამ თანხის მომხმარებლები იყვნენ აგრეთვე, იტალია და სამხრეთ საფრანგეთი.

ესპანეთისა და პორტუგალიის გაწევრიანება და ახალი საბიუჯეტო კრიზისი

ვერ მოასწრეს ესპანეთმა და პორტუგალიამ კუთვნილი ადგილების დაკავება გაერთიანებაში 1986 წლის იანვარში, რომ ფონტენბლოში მიღებულ საბიუჯეტო ღონისძიებებს მოშლის ნიშნები დაეტყო.

მსოფლიო ფასების ვარდნისა და 1986-1987 წლებში დოლარის მკვეთრი გაუფასურების ფონზე დრამატულად გაიზარდა მზ-ს საკვები პროდუქტების ექსპორტის ანაზღაურების ხარჯები. პოლიტიკურად შეუძლებელი გახდა სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი ხარჯების დაცვა და იმ წელს, როდესაც ღღ-ის ლიმიტი 1%-დან 1,4%-მდე გაიზარდა გაერთიანების ბიუჯეტი კიდევ ერთხელ იქნა ამო-

წერილი. 1987 წლის დასაწყისისათვის ცხადი გახდა, რომ გაერთიანების ბიუჯეტის წლიური დეფიციტი იქნება 5-6 მილიარდი ეკიუ, ამასთან სოფლის მეურნეობის ხარჯები დაგეგმილზე ბევრად მეტი იქნება. არავითარი პერსპექტივა იმისა, რომ არსებულ ხარჯებში გადასინჯულიყო მშ-ის პოლიტიკური და ფინანსური მიზნები, არ არსებობდა. მაშინ კომისიამ უკ დელორის ხელმძღვანელობით გამოიმუშავა პროგრამა, რომელიც ცნობილი გახდა, როგორც „დელორის პაკეტი“. ამ პროგრამის დანიშნულება იყო გაერთიანების სახსრების უფრო მყარ ბაზისზე დაფუძნება და ამავე დროს სოფლის მეურნეობისათვის და პრიორიტეტული მიზნებისათვის განკუთვნილი ხარჯების გამკაცრება. პრიორიტეტულ მიზნებს მიეკუთვნებოდა, კერძოდ, მოძიება და ექსპანსია ე.წ. სტრუქტურული ფონდებისა (რეგიონული და სოციალური ფონდები და ევროპის სოფლის მეურნეობის მართვისა და საგარანტიო ფონდის ხელმძღვანელი სექცია), რომლებიც რეალური ვადებიდან გამომდინარე, კომისიის მტკიცებით 1992 წლისათვის გაორკეცდებოდა.

ახალი დასაწყისი

დელორის პაკეტის თაობაზე თანხმობის მისაღწევად საჭირო შეიქნა ევროპის საბჭოს სამი სხდომის ჩატარება, ნაწილობრივ, მომავალი ხარჯების გაკონტროლების წინადადებებისადმი მარგარეტ ტეტჩერის აგდებული დამოკიდებულების გამო. მისი აზრით ეს წინადადებები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. გარდა ამისა ის თვლიდა, რომ ნებისმიერი ახალი ბაზისი საბიუჯეტო გადასახადებისა უნდა შეიცავდეს მექანიზმს, რომელიც შეამცირებდა გაერთიანებული სამეფოს წილს სულ მცირე საწყის დონემდე, ან კიდევ უკეთესი, ფონტენბლოს შეთანხმებით დადგენილ დონემდე. ბოლოს და ბოლოს 1988 წლის თებერვალში ბრიუსელში გამართულ საგანგებო შეხვედრაზე იგი დათანხმდა სხვა 11 ქვეყნის ლიდერების იმ წინადადებებს, რომლებიც ემყარებოდნენ მათ მიერ ერთი წლის წინ შემოთავაზებულ გეგმას.

ბრიუსელის შეთანხმება გაერთიანებას ახალი სტარტის აღების შესაძლებლობას აძლევდა. ახალი საბიუჯეტო ლიმიტი ითვალისწინებდა გაერთიანების ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 1,2%-ს, რაც ეკვივალენტური იყო ადრინდელ საფუძველზე გამოთვლილი დღგ-ის 1,9%-2%-იანი მოსაკრებლებისა. ამან შესაძლებელი გახდა დამ-

ტკიცებულიყო 1988 წლის ბიუჯეტი 43.8 მილიარდი ეკიუს ოდენობით. წინა წლის რეალური ხარჯები შეადგენდა 37 მილიარდს. 1991 წლისათვის ბიუჯეტი გაიზარდა 55.6 მილიარდ ეკიუმდე. მიღწეული შეთანხმების ძალით შემოსავლების სამ არსებულ მთავარ წყაროს ემატებოდა მეოთხე, რომელიც ემყარებოდა პროდუქციის მთლიან წილს. ფონტენბლოში მიღწეული შეთანხმება, რომლის ძალითაც გაერთიანებულ სამეფოს უნაზღაურდებოდა მის მიერ გადახდილი თანხის 66%, ახალ განაწილებაშიც იქნა შეტანილი.

ამ შეთანხმების სხვა მთავარი მახასიათებლიდან უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილება სტრუქტურული ფონდების გაორკეცვის შესახებ რეალურ ვადებში 1993 წლამდე. ამასთან მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა ჩამორჩენილ არეებს, ხოლო სოფლის მეურნეობისთვის გამოიზნული ხარჯები დაექვემდებარებოდა პირდაპირ კონტროლს. მომავალში მათ არ უნდა გადაეჭარბებინათ ერთობლივი ეროვნული პროდუქციის 74%-სათვის, პროგრესულად უნდა ყოფილიყვნენ გამოყენებული ე.წ. „სტაბილიზატორები“ ჭარბი მარაგებისათვის სუბსიდიების დონის შესამცირებლად. გარდა ამისა, გადასახადების გადავადებას უნდა წაეხალისებინა ფერმერები უარი ეთქვათ მწირი მიწების დამუშავებაზე.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირი ისევ დღის წესრიგშია

ამ ღადგენილების შემდეგ ევროგაერთიანების ლიდერებს ხელფეხი გაეხსნათ ეკონომიკური და სავალუტო კავშირის მიძინებული პროექტის გამოცოცხლების გზების საძებნელად. 1988 წლის ივნისში ჰანოვერის სამიტზე ჟაკ დელორი ხელახლა იქნა დამტკიცებული კომიტეტის თავმჯდომარედ ორი წლის ვადით 1989 წლის იანვრიდან. ამ კომიტეტს დაევალა შეესწავლა სავალუტო კავშირის შექმნის გზები და მოემზადებინა დასკვნა. სამიტზე დაადასტურეს, რომ პროგრამით გათვალისწინებული შიგა ბაზრის სრულყოფის პროგრესი შეუქცევადია და, რომ საგანგებო ევროპული აქტის დებულებები გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დაჩქარების შესახებ წარმატებით ხორციელდება. შემდგომ, 1988 წლის დეკემბერში, როდოსის სამიტზე აღნიშნულ იქნა, რომ 1992 წლის პროგრამაში ჩართული კანონპროექტების თითქმის ნახევარი მინისტრთა საბჭოს მიერ

მიღებულ იქნა. შეხვედრამ დაადასტურა ერთიანი ბაზრის სოციალური ასპექტების მნიშვნელობა. კომისიამ წარმოადგინა წინადადებები ძირითადი სოციალური უფლებების ქარტიის შესახებ, რომელიც, როგორც იმედოვნებდნენ, უნდა დამტკიცებულყო მადრიდის სამიტზე 1989 წლის ივნისში. ამასობაში გაერთიანებას ახალი თავსატეხი გაუჩნდა უფრო მჭიდრო ევროპული ინტეგრაციისადმი გაერთიანებული სამეფოს უარყოფითი დამოკიდებულების გამო. ეს კრიზისი, თუ ეს მართლაც კრიზისი იყო, გამოწვეული იყო მარგარეტ ტეტჩერის მწვავე შეტევით ევროპის კომისიაზე, რომელიც მან განახორციელა თავის განმარტებულ მოხსენებაში 1988 წლის სექტემბერში ბრიუკელში, ევროპის კოლეჯში. ამ მოხსენებაში მ. ტეტჩერმა დაადასტურა კომისია საკუთარი მიზნებისათვის ძალაუფლების თავმოყრაში და „ერგვაროვანი ევროპული პიროვნების“ შექმნის მცდელობაში.

ქალბატონ ტეტჩერის ამ გამოსვლას (რომელიც დახასიათებულ იქნა როგორც „გოლისტური“) მოჰყვა წინასწარგანზრახული პოლიტიკა კომისიის წინადადებების დაწვრილმანებული გარჩევისა, რასაც მოჰყვა გაღიზიანება არამართო წევრ ქვეყნებში, არამედ თვით გაერთიანებულ სამეფოშიც, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ასეთი პოლიტიკა აღიქმებოდა, როგორც გაერთიანებული სამეფოს სპეციფიკური ინტერესებისათვის საზიანო. ერთი ასეთი შემთხვევა იყო პროგრამა Lingua -ს საკანონმდებლო უარყოფა. ეს პროგრამა ითვალისწინებდა უცხო ენების სწავლების მხარდაჭერას და მას სწორედ გაერთიანებული სამეფოსთვის შეეძლო სარგებლობის მოტანა. ქალბატონი ტეტჩერის ამ კამპანიამ, რომელმაც აშკარად შეაცბუნა მისი საკუთარი მინისტრებიც კი, მწვერვალს 1989 წელს მიაღწია, ევროპის პარლამენტის მესამე არჩევნების დროს, როდესაც, მისი ინიციატივით, კონსერვატული პარტიის მიმართვა ჩამოყალიბებული იყო ვიწრო ნაციონალისტურ ტერმინებში.

კონსერვატული პარტიის მარცხმა ამ არჩევნებზე და ლეიბორისტული და მწვანეთა პარტიების მიერ მოპოვებულმა მხარდაჭერამ თითქოს და გამოაფხიზლა გაერთიანებული სამეფოს პრემიერ მინისტრი. ეს გამოიკვეთა მადრიდის სამიტზე ერთი კვირის შემდეგ. დღის წესრიგის მთავარი პუნქტი იყო დელორის კომიტეტის მოხსენება სავალუტო კავშირის შესახებ. კომიტეტმა, რომელიც ძირითადად 12 წევრი ქვეყნის წამყვანი ბანკირებისაგან შედგებოდა, წამოაყენა სამსაფეხურიანი პროცესის გეგმა. ეს პროცესი უნდა დაგვირგვინებუ-

ლიყო სრული სავალუტო კავშირისა და წვერი ქვეყნების ცენტრალური ბანკების სისტემის შექმნით. 12-ვე ქვეყანა დაეთანხმა გაცვლითი ტარიფების მექანიზმს. დადგინდა, რომ პირველი საფეხური დაიწყებოდა 1990 წლის ივლისში. ის ითვალისწინებდა მთავრობათაშორისო კონფერენციის მომზადებას. თავის მხრივ ამ კონფერენციას უნდა მოემზადებინა მომდევნო ორი საფეხური და შეეთანხმებინა რომის ხელშეკრულების აუცილებელი შესწორებები. მიუხედავად წინასწარმეტყველებისა, რომ გაერთიანებული სამეფო თუმცა კი წინააღმდეგი გამოუვა ამ კონფერენციის ჩატარებისა, მაგრამ მაინც ითანამშრომლებს მასთან, ქალბატონი ტეტჩერი მდუმარედ დაეთანხმა მის გადაწყვეტილებებს და დაადასტურა, რომ გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში გაერთიანებული სამეფო შეუერთდებოდა გაცვლის ტარიფების მექანიზმს. მიუხედავად ამისა, მან უარი განაცხადა შეერთებოდა 11 ლიდერის მიერ მოწონებულ სოციალურ ქარტიას, რომელიც მათ მიერ მოგვიანებით იმავე წელს იქნა ხელმოწერილი.

კომუნიზმის დაცემა

ამ დროს აღმოსავლეთ ევროპაში მოხდა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები, რომლებმაც ღრმა კვალი დაამჩნიეს გაერთიანებას. 1989 წლის ზაფხულისათვის პოლონეთი და უნგრეთი ცალსახად დაადგა კომუნიზმიდან დემოკრატიისაკენ გადასვლის გზას, მომდევნო თვეებში კი დაიმსხვრა კომუნისტური მმართველობა აღმოსავლეთ გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიასა და, გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, რუმინეთში. ახალბედა დემოკრატიულმა ქვეყნებმა მზერა ინსტიტუტურდ გაერთიანებას მიაპყრეს და არა მარტო ეკონომიკური დახმარების მოლოდინში, არამედ იმიტომაც, რომ მასში ხელდავდნენ დემოკრატიული განვითარების გარანტს.

პოლონეთსა და უნგრეთს გაერთიანებამ სასწრაფო დახმარებებით და სესხებით უპასუხა. 1989 წლის ივლისში დასავლეთ ევროპის ეკონომიკურ სამიტზე ევროპის კომისიას დაეუალა კოორდინაციის გაწევა დასავლეთის ფართო ეკონომიკური დახმარების ოპერაციისათვის, რომელიც 24 დონორ ქვეყანას მოიცავდა (მთბო)-ს წევრ ქვეყნებს). შემდგომში ეს პროგრამა გავრცელდა ჩეხოსლოვაკიაზე, ბულგარეთზე, რუმინეთსა და იუგოსლავიაზე. ყველა ამ ქვეყნებმა ხელი მოაწერა მბ-სთან სავაჭრო და თანამშრომლობის ხელშეკრუ-

ლებას. 1989 წელს იგივე გააკეთა საბჭოთა კავშირმაც.

მსგავსი ხელშეკრულების თაობაზე აღმოსავლეთ გერმანიასთანაც მიმდინარეობდა მოლაპარაკება, მაგრამ ვიდრე იგი ძალაში შევიდოდა, 1990 წლის ოქტომბერში გერმანია გაერთიანდა. მანამდე კი ექვსი თვით ადრე მბ-ის მთავრობათა მეთაურები შეიკრიბნენ დუბლინში საგანგებო სამიტზე, სადაც შეთანხმდნენ, რომ გარდამავალი ხელშეკრულების სუბიექტი - ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორია გაწვევრიანებული იქნება კავშირში ხელშეკრულების რევიზიის გარეშე, როგორც კი გერმანიის გაერთიანება დაკანონდებოდა. ასე რომ აღმოსავლეთ გერმანია მბ-ში გაწვევრიანდა, როგორც ფედერაციული რესპუბლიკის ნაწილი, ყოველგვარი გაჭიანურებული მოლაპარაკებების გარეშე, როგორც ეს ხდებოდა ხოლმე ადრინდელი გაფართოებების დროს.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს არ ხვდათ წილად ასეთი სწრაფი გადასვლა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყნის ლიდერმა, იუგოსლავიისა და მოგვიანებით 1991 წელს ალბანეთის ჩათვლით, განაცხადა, რომ მათი გრძელვადიანი მიზანი გაერთიანების წევრობაა. სამაგიეროდ, 1991 წლის დეკემბერში ხელმოწერილ იქნა ათწლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულება პოლონეთთან, უნგრეთთან და ჩეხოსლავაკიასთან, რომელიც ითვალისწინებდა სავაჭრო შეღავათებს, ფინანსურ დახმარებას და თანამშრომლობას მრავალმხრივ საქმიან ურთიერთობაში. შეთანხმებები განსაკუთრებით უსუამდნენ ხაზს იმ გარემოებას, რომ მონაწილე ქვეყნები საბოლოოდ კავშირის სრულუფლებიანი წევრები გახდებოდნენ. მალე მსგავსი მოლაპარაკებები გაიმართა რუმინეთთან, ბულგარეთთან, ალბანეთთან და ბალტიისპირეთის სამ სახელმწიფოსთან - ესტონეთთან, ლატვიასა და ლიტვასთან, რომელთა დამოუკიდებლობა აღიარებული იქნა 1991 წლის სექტემბერში. 1994 წელს ყველა ამ ქვეყანამ ხელი მოაწერა ე.წ. ევროპულ ხელშეკრულებას. იგივე გააკეთეს ჩეხეთმა და სლოვაკეთმა ჩეხოსლოვაკიასთან დადებული ხელშეკრულების სანაცვლოდ. 1994 წლის მარტში მბ-სთან პარტნიორობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა უკრაინამ. იმხანადვე წარმატებით ვითარდებოდა მსგავსი ხელშეკრულების მისაღწევად გამართული მოლაპარაკებები რუსეთთან და ყოფილი საბჭოთა კავშირის

რესპუბლიკებთან, ბელორუსიასთან, ყაზახეთთან და ყირგიზეთთან. განსხვავებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან დადებულ ხელშეკრულებებისაგან, ეს ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდნენ მზ-ში საბოლოო გაწვევრიანებას. სამაგიეროდ ეს გათვალისწინებული იყო სლოვენიასთან 1993 წლის აპრილში ხელმოწერილ ხელშეკრულებაში. ნაგარაუდები იყო მსგავსი ხელშეკრულების დადება ყოფილი იუგოსლავიის სხვა რესპუბლიკებთან, როგორც კი იქ უსაფრთხო მშვიდობა დაისადგურებდა.

ევროგაერთიანება რეალურად, თითქმის თავიდან იყო ღრმად ჩაფლული იმ საომარი მოქმედებების მშვიდობიანი მოწესრიგების მცდელობაში, რომლებიც 1991 წლის ივნისში დაიწყო ხორვატიასა და სლოვენიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. 28-29 ივნისს ლუქსემბურგში შეკრებილმა ევროპის საბჭომ სასწრაფოდ მიავლინა საგარეო საქმეთა მინისტრების გუნდი, რათა მათ როგორმე მოეხერხებინათ ცეცხლის შეწყვეტა. მოგვიანებით, 1991 წლის სექტემბერში, მზ-ს ხელშეწყობით ჰააგაში შედგა სამშვიდობო კონფერენცია გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ლორდ კარინგტონის თავჯდომარეობით. იუგოსლავიაში გაიგზავნა მზ-ის დამკვირვებელთა ჯგუფი, რათა თვალყური ედევნებინა ცეცხლის შეწყვეტისათვის. სლოვენიაში შეწყდა ცეცხლი, ხორვატიაში კი არა. აქ თორმეტზე მეტი ახალი შეიარაღებული შეტაკება მოხდა. ხორვატია სერბიის ჯარებისა და იუგოსლავიის ფედერალური არმიის მიერ იქნა დაპყრობილი. დიდი მსხვერპლი და ნგრევა მოჰყვა ამ ომს ვიდრე, გაეროს დიპლომატიური ჩარევის შემდეგ იქ მშვიდობამ დაისადგურა, რომელიც უფრო განმტკიცდა 1992 წლის მარტში გაეროს სამშვიდობო ძალების ძლიერი კონტინგენტის ჩასვლის შემდეგ. ეს პირველი შემთხვევა იყო მზ-ის მიერ შუამავალი როლის შესრულების მცდელობისა მის საზღვრებს გარეთ. მოგვიანებით, 1992 წელს, მსგავსი სცენარი იქნა გათამაშებული ბოსნია-ჰერცეგოვინაში. აქ მზ-ის როლი უფრო მოკრძალებული იყო, რადგანაც ამ კონფლიქტში გაერო ადრეულ სტადიაზევე ჩაერია, თუმცა არაეფექტურად. მზ ძირითადად დაკავებული იყო ჰუმანიტარული დახმარებითა და დაკვირვებით. მთავარი როლი კი კონფლიქტის მოგვარებაში ითამაშა NATO-მ გაეროს დაკვეთით. ეს მოხდა 1995 წლის აგვისტოში, როდესაც ბოსნიელი სერბების წინააღმდეგ საპერო დარტყმები იქნა განხორციელებული. ამით ბოლო მოეღო საომარ მოქმედებებს, რაც საბოლოოდ დეიტონის სამშვიდობო ხელშე-

კრულებით დასრულდა. ესლა მზ-მ გადაწყვიტა ხელმძღვანელობა გაეწია რეკონსტრუქციისათვის დახმარების აღმოჩენისათვის. იგი უშუალოდ იყო ჩართული ქ. მოსტარის დროებითი ადმინისტრაციის ჩამოყალიბებაში. ეს ქალაქი ხორვატებისა და მუსლიმების ყველაზე მძაფრი შეტაკების ასპარეზი იყო. ამის მსგავსად, კოსოვოს 1999 წლის კონფლიქტის შემდეგ, მზ-მ მსოფლიო ბანკთან ერთად თავის თავზე აიღო დანგრეული ტერიტორიის აღდგენის ძირითადი ფინანსური პასუხისმგებლობა, დააარსა რა რეკონსტრუქციის ევროპული სააგენტო, რომელიც რეკონსტრუქციის ძალისხმევის პირდაპირი მაკონტროლებელი იყო.

მზ ჩართული აღმოჩნდა აგრეთვე დასავლეთის ძალისხმევის ყოფილი საბჭოთა კავშირისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის პროცესში, ჯერ კიდევ 1990 წლის ივნისში მზ-ის ქვეყნების მთავრობათა მეთაურებმა კომისიას დაავალეს კონსულტაციების ჩატარება საბჭოთა კავშირთან მოკლევადიანი კრედიტებისა და სტრუქტურული რეფორმებისათვის გამიზნული გრძელვადიანი დახმარების თაობაზე. 1990 წლის დეკემბერში მოწონებულ იქნა საკვები პროდუქტებისათვის დანიშნული პროგრამა 750 მილიონი ეკიუს მოცულობით და 400 მილიონიანი პროგრამა ტექნიკური დახმარებისათვის. ეს პროგრამები 1991 წლის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ შემდგომში მეორე პროგრამა შეჩერებულ იქნა საბჭოთა კავშირის მიერ ბალტიისპირეთში ჩატარებული რეპრესიების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

1991 წლის აგვისტოს წარუმატებელი ამბოხების შემდეგ, უფრო ფართო დახმარების პროგრამა იქნა წამოწყებული, რომელიც 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გავრცელდა არა მარტო რუსეთზე, არამედ ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაზე. ექვსი მათგანი: სომხეთი, აზერბეიჯანი, ბელორუსია, საქართველო, მოლდავეთი და უკრაინა თავს ევროპულ სახელმწიფოებად აცხადებს. ბევრი მათგანი აცხადებს მზადყოფნას გაწევრიანდეს მზ-ში, მაგრამ არც ერთ მათგანს, მომდევნო საუკუნეშიც კი, კარგა ხანს არ მიეცემათ ეს შესაძლებლობა, მაშინ, როდესაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობა მიზანს 2002 წლისათვის, ან რამდენადმე უფრო ადრეც მიაღწევს.

ამასობაში ევროგაერთიანებამ ინიციატივა გამოიჩინა რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის (რბმზ; European Bank for Reconstruction and Development - EBRD) დაარ-

სებისა, რომლის კაპიტალი 40 მილიარდს შეადგენს და უზრუნველყოფილია 40 ქვეყნის მიერ. მისი დანიშნულებაა დაეხმაროს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარების საქმეში.

მთავრობათაშორისო კონფერენციები

გერმანიის სწრაფი გაერთიანება მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ სხვა ქვეყნები დარწმუნებული იყვნენ დასავლეთ გერმანიის მშვიდობიან განზრახვებში და მისი დემოკრატიული ინსტიტუტების სიმყარეში. მიუხედავად ამისა, გერმანიის გაერთიანების პროცესის საჭეთმპყრობელი კანცლერი ჰელმუტ კოლი, დარწმუნებული იყო, რომ გაერთიანებული გერმანია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მისი მეზობლებისათვის მისაღები, თუ ის მჭიდრო ურთიერთობებს დაამყარებდა უფრო დემოკრატიზებულ ევროპის კავშირთან. ამის შესაბამისად, 1990 წლის აპრილში, დუბლინის სამიტის წინ, გერმანიის მთავრობამ საფრანგეთთან შეთანხმებით, წამოაყენა ევროპის მეტი შეკავშირებისათვის საჭირო ახალი ქმედითი ნაბიჯების ინიციატივა. ივნისში დუბლინის მომდევნო შეხვედრებზე შეთანხმდნენ, რომ ჩატარებდნენ მეორე მთავრობათაშორის კონფერენციას (მპ; Inter-governmental conference -IGC) და მის პარალელურად ეკონომიკური სავალუტო კავშირის კონფერენციას ამ ცვლილებათა ჩამოსაყალიბებლად, რომლებსაც გაერთიანება „პოლიტიკური კავშირისაკენ“ უნდა მიეყვანა. შეთანხმდნენ, რომ ორივე კონფერენცია 1990 წლის დეკემბერში ჩატარებულიყო იმ ვარაუდით, რომ წევრ ქვეყნებს კონფერენციის შედეგების რატიფიკაცია 1992 წლის ბოლოსათვის მოეხდინათ.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა წევრი ქვეყანა დაეთანხმა ორივე მპ-ის დადგენილებას, ცხადი გახდა, რომ მარგარეტ ტეტჩერის მთავრობა არც აღფრთოვანებული იყო და არც განწყობილი შეერთებოდა იმ შორს გამიზნულ წინადადებებს, რომელთა განხორციელების მოუთმენელ მზადყოფნაში იყვნენ სხვა წევრი ქვეყნები საფრანგეთისა და გერმანიის მეთაურობით. მიუხედავად იმისა, რომ 1990 წლის ოქტომბრის დასაწყისში ქალბატონი ტეტჩერი დათანხმდა მოექცია გირვანქა სტერლინგი შეთანხმებულ გაცვლითი ტარიფების მექანიზმში მისი დაარსებიდან თერთმეტნახევარი წლის შემდეგ,

მისი მტრული განწყობილება მსკ-ს მიმართ უცვლელი დარჩა. სამი კვირის შემდეგ რომის სამიტზე ის ეულ უმცირესობაში აღმოჩნდა მსკ-ის მეორე საფეხურის დაწყების თარიღის დადგენისას. მისმა თავშეუკავებელმა რეაქციამ ამ მარცხზე გამოიწვია ის, რომ ნოემბრის ბოლოს იგი პრემიერ მინისტრის პოსტზე ჯონ მეიჯორის მიერ იქნა შეცვლილი.

1990 წლის 14-15 დეკემბერს რომის მეორე სამიტზე მეიჯორი არ შეუდგა პარტნიორებთან შეხედულებათა შორის განსხვავების გარკვევას. სწორედ ამ სამიტზე გადაწყდა ორი მკ-ის ჩატარება 12 წევრი ქვეყნის ფინანსთა და შესაბამისად, საგარეო საქმეთა მინისტრების შემადგენლობით. რამდენადაც მათი მუშაობა რამდენიმე მომდევნო თვის მანძილზე უნდა გაგრძელებულიყო, ცხადი გახდა, რომ გაერთიანებულ სამეფოს სრული იზოლაციის სერიოზული რისკი აღარ არსებობდა. უფრო სავარაუდო იყო, რომ მიღწეული იქნებოდა გარკვეული კომპრომისი, რომელიც მსკ-სკენ სვლას უფრო ნელი ტემპით განახორციელებდა, ვიდრე თავიდან იყო დაგეგმილი. ხოლო პოლიტიკური კავშირით გამოწვეული ცვლილებები - ნაკლებად რადიკალური იქნებოდა, ვიდრე საფრანგეთსა და გერმანიას სურდათ.

მაასტრიხტის ხელშეკრულება

ასეც მოხდა, 1991 წლის დეკემბერში ევროპის საბჭო მაასტრიხტში შეიკრიბა, რათა ორი მთავრობათაშორისი კონფერენციის ნაღვაწზე დაფუძნებული ხელშეკრულების პირველი ვარიანტი განეხილათ. ორდღიანი გახურებული კამათის შემდეგ ევროპის კავშირის ხელშეკრულება მოწონებულ იქნა, მაგრამ ამას წინ უსწრებდა ჯონ მეიჯორის დაჟინებული მოთხოვნა გაერთიანებული სამეფოსათვის ორი დათმობის დაშვებისა. მათი პრაქტიკული შედეგი დიდი არ იყო, მაგრამ, ამან, კიდევ ერთხელ, სიმბოლურად დაამტკიცა ის, რომ გაერთიანებული სამეფო, ან მისი მთავრობა მაინც, მთლად ხალვათად ვერ გრძნობდა თავს ევროპულ კავშირში.

მაასტრიხტის ხელშეკრულება დეტალურადაა აღწერილი მე-8 დამატებაში და განხილულია - მე-18, 23-ე და 36-ე თავებში. ეჭვგარეშეა, რომ რომის ხელშეკრულების შემდეგ იგი უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს მკ-ის ისტორიაში. მან არა მარტო ეკონომიკური და

საეკლესიო კავშირის დეტალური განრიგი დაადგინა 1999 წლამდე და ერთობლივი საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის განვითარება უზრუნველყო, არამედ მკ-ის ახალი ინსტიტუციების კონცეფცია შემოიტანა. 11 ქვეყნის მიერ ხელმოწერილმა დოკუმენტმა (ინგლისმა თავი აარიდა ამ პროცედურას) გზა გაუხსნა სოციალური ქარტიის განხორციელებას ამ ქვეყნებში. და ბოლოს, ამ ხელშეკრულებამ დაავალა მკ-ს მოემზადებინა მომავალი მთავრობათაშორისი კონფერენცია 1996 წელს, რათა განეხილათ მასტრიხტის ხელშეკრულების სიახლეების მოქმედება და დაედგინათ 21-ე საუკუნეში საქმიანობის ძირითადი დებულებები.

1992 წლის ივნისიდან დაიწყო მასტრიხტის ხელშეკრულების საწინააღმდეგო მოვლენების აღმოცენება, როდესაც დანიამ რეფერენდუმზე ხმათა მცირე უპირატესობით (50% – 43%) უარი თქვა ხელშეკრულების რატიფიკაციაზე. მიუხედავად ამავ თვეში მოგვიანებით ირლანდიაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგისა, სადაც რატიფიკაციის მომხრეთა ძლიერი უპირატესობა გამოიკვეთა, წარმოიქმნა საგანგაშო პრესპექტივა იმისა, რომ ფრანგი ამომრჩევლები არ გაიზიარებდნენ ამ პროექტს 1992 წლის არჩევნებზე. მართალია, მჭიდრო ევროპული ინტეგრაციის იდეას საფრანგეთში მრავალი მხარდამჭერი ჰყავდა, მაინც არსებობდა იმის რისკი, რომ ფრანგი ამომრჩევლები გამოიყენებდნენ შანსს დაპირისპირებოდნენ სოციალისტურ მთავრობას, რომელმაც ყოველგვარი საჭიროების გარეშე დანიშნა რეფერენდუმი. საბოლოოდ, რეფერენდუმზე ხელშეკრულება მცირე უპირატესობით (51,9%მომხრე 48,95%-ის წინააღმდეგ) იქნა მოწონებული.

გაერთიანებულ სამეფოში ხელშეკრულების რატიფიკაციის უზრუნველყოფა სერიოზულ სიძნელეებს წააწყდა. პრემიერ მინისტრს - ჯონ მეიჯორს დიდი ჯაფა დაადგა მისი საკუთარი კონსერვატორული პარტიის შიგნით არსებული ოპოზიციის დასაძლევად. რამდენადაც იგი არ იყო განწყობილი უარი ეთქვა სოციალური ქარტიის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებაზე, ამდენად მას არ შეეძლო იმედი ჰქონოდა ოპოზიციური ლეიბორისტული და ლიბერალურ - დემოკრატიული პარტიების არსებითი მხარდამჭერისა თემთა პალატაში ხელშეკრულების რატიფიკაციის გრძელი პროცედურის მსვლელობისას. გაუთავებელი გადავადების შემდეგ, რამაც ლამის აავსო გაერთიანებული სამეფოს პარტნიორების მოთმინების ფიალა, 1993 წლის 20 მაისს თემთა პალატამ, ხოლო 20 ივლისს ლორდთა

პალატამ, როგორც იქნა დაამტკიცა კანონი რატიფიკაციის შესახებ, რითაც გაერთიანებულმა სამეფომ რატიფიკაციის ინსტრუმენტი მიიღო. იგი დანიშნა აგვისტოს დასაწყისში.

ცხრა თვით ადრე, 1992 წლის დეკემბრის ედინბურგის სამიტზე ქვეყნები დანიის მთავრობის მიმართ დათმობაზე წაყენდნენ, რაც დანიას საშუალებას აძლევდა უარი ეთქვა ერთიან ევროპულ ვალუტაზე. დათმობის არსი იგივე იყო, რითაც გაერთიანებული სამეფო დაიყოლიეს, თუმცა იყო კიდევ მრავალი შეღავათი ხელშეკრულების მუხლების ინტერპრეტაციის სახით, რომლებიც მეტწილად კონსტიტუტურ ხასიათს ატარებდა. ამ დათმობებს უნდა წაეხალისებინა დანიელი ამომრჩევლები, უკუეგლო მისი ადრინდელი უარყოფითი დამოკიდებულება ხელშეკრულებისადმი. შედეგად, მომდევნო რეფერენდუმზე 1993 წლის მაისში დანიამ მოიწონა ხელშეკრულება (53% მომხრე, 43.3% წინააღმდეგი).

ახლა ახალი დაბრკოლება წარმოჩნდა, ხელშეკრულების გერმანელმა ოპონენტებმა აღმოაჩინეს დებულება, რომლის ძალითაც ეს ხელშეკრულება უთავსადი იყო გერმანიის კონსტიტუციასთან, თუნდაც ის პარლამენტის მიერ დიდი უპირატესობით ყოფილიყო მოწონებული. ეს მცდელობა გაქარწყლებული იქნა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 1993 წლის 12 ოქტომბერს და გერმანიის სარატიფიკაციო კანონი იმავე დღეს იქნა მიღებული. ამან მოშალა უკანასკნელი წინაღობა და ბოლოს და ბოლოს ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს – ათი თვით უფრო გვიან, ვიდრე დაგეგმილი იყო. ამ დროიდან მოყოლებული ევროპულ გაერთიანებას ვიცნობთ *ევროპული კავშირის* (მპ) სახელით.

დანიის, საფრანგეთში, გერმანიასა და გაერთიანებულ სამეფოში რატიფიკაციის წინაშე წარმოქმნილმა სიძნელებებმა ცხადი გახადა, რომ ევროპული ლიდერების სწრაფვა ევროპული ინტეგრაციისაკენ შორს უსწრებს მათი ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს. გაერთიანებული სამეფოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა, ეს ხელშეკრულება დაახასიათა, როგორც „შორი მომავლის ხელშეკრულება“. ეს კრიტიკა ნაწილობრივ სამართლიანი იყო. ისიც მართალია, რომ ფართო საზოგადოებრიობის ცოდნა მასტრიხტის ხელშეკრულების შესახებ საკმარისად მწირი იყო, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ მპ-ით აღფრთოვანების შესუსტება გამოწვეული იყო სამი სხვა ფაქტორით. ეს ფაქტორები იყო ეკონომიკური დაღმასვლა, რომელიც სხვადასხვა ძალით განიცადა თითქმის ყველა

ევროპულმა ქვეყანამ 1990-1994 წლებს შორის, ალიაქოთი სავალუტო ბაზარზე, რომელმაც გამოიწვია გაერთიანებული სამეფოსა და იტალიის გასვლა გაცვლის ტარიფების შექმნიზმიდან 1992 წლის სექტემბერში, ასევე მცირერიცხოვანი ჯგუფების გასვლა ათი თვის შემდეგ; და ბოლოს, იუგოსლავიაში მშვიდობის დასამყარებლად მკ-ის ძალისხმევის აშკარა მარცხით გამოწვეული ჭმუნვა.

ახალი გაფართოება

1995 წელს მთმპ-ს სამი წევრი ქვეყანა - ავსტრია, ფინეთი და შვედეთი გახდა ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი. ეს იყო 1985 წელს დაწყებული 1992 წლის პროგრამის კულმინაცია. მთმპ-ს შვიდივე ქვეყანა შემოერთებული იყო საერთო 370 მილიონიანი მოსახლეობის ბაზრის განვითარების პროცესიდან ამოვარდნის პერსპექტივით და ებედნენ შესაძლო მოგებების წილის მიღების საშუალებას. ჟაკ დელორის ინიციატივით მკ-მ მთმპ-ს შესთავაზა დაეწყოთ მოლაპარაკება ევროპის ეკონომიკური ზონის (მეზ; European Economic Area - EEA) შექმნის თაობაზე, ეს საშუალებას მისცემდა მთმპ-ში შემავალ ქვეყნებს შეერთებოდნენ 1992 წლის პროგრამას მკ-ის წევრი ქვეყნების მრავალი ვალდებულებების შესრულების ფასად. მეზ-ს დაარსების ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1992 წელს, მაგრამ იგი უარყოფილ იქნა შვეიცარიაში რეფერენდუმზე. როდესაც 1994 წელს ის ძალაში შევიდა, მან, გარდა ავსტრიის, ფინეთის, შვედეთისა და ნორვეგიისა, რომლებიც ისედაც შორს წასული იყვნენ მკ-ში სრული გაწევრიანების გზაზე, დამატებით მხოლოდ ირლანდია მოიცვა. მკ-ში შესასვლელი კარი ლიხტენშტეინისათვისაც ღია დატოვეს. იგულისხმებოდა, რომ ის მოგვიანებით შეუერთდებოდა ხელშეკრულებას, როდესაც მოაგვარებდა თავის ეკონომიკურ ურთიერთობებს შვეიცარიასთან. შვეიცარიამაც გამოთქვა სრული გაწევრიანების სურვილი, მაგრამ მის განაცხადს არ მიეცა მსვლელობა მეზ-ს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამო. სხვა ოთხმა აპლიკანტმა ქვეყანამ დაასრულა მოლაპარაკებები 1994 წლის მარტში. მოგვიანებით, იმავე წელს ავსტრიაში, შვედეთში და ფინეთში ჩატარებულ რეფერენდუმებზე გაწევრიანების პირობები მოწონებულ იქნა, რამაც საშუალება მისცა ამ სამ ქვეყანას მკ-ში ადგილების დაკავებისა. ნორვეგიაში ჩატარებული რეფერენდუმი უარყოფითი შედეგით დამთავრდა. ამდენად ნორვეგია კვლავაც გარეთ რჩე-

ბა, თუმცა ინარჩუნებს ქეო-ს წევრობას.

პერსპექტივაში კი 21-ე საუკუნის პირველ წლებში კავშირი თორმეტიოდე ახალი წევრით გაიზრდება. ქეო-სთან მოლაპარაკება ჯერ დამთავრებულიც არ იყო, როდესაც უნგრეთმა და პოლონეთმა წარმოადგინეს გაწევრიანების განაცხადები. მომდევნო ორი წლის განმავლობაში მათ მოჰყვა: რუმინეთის, ბულგარეთის, სლოვაკეთის, ჩეხეთის, სლოვენის და ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის განაცხადები. მანამდე რამდენიმე ხნით ადრე კვიპროსმა და მალტამ მიმართეს ქეო-ს და 1995 წლის დეკემბერში ევროპის საბჭოს მადრიდში გამართულ შეკრებაზე გადაწყდა, რომ მოლაპარაკებები ყველა 12 კანდიდატთან დაიწყებოდა მთავრობათაშორისი კონფერენციის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში. ეს კონფერენცია უნდა დაწყებულიყო 1996 წლის მარტში ტურინში და დამთავრებულიყო ამსტერდამში 1997 წლის ივნისში. ამასობაში მალტის ახლად არჩეულმა ლეიბორისტულმა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი აღარ გააგრძელებს აპლიკაციის მოქმედებას. 1995 წლის მარტში კომისიამ გამოსცა „თეთრი წიგნი“, სადაც წვრილად იყო გადმოცემული რეკომენდაციები აპლიკანტი ქვეყნების ეკონომიკის, სასამართლოსა და ადმინისტრაციული სისტემის მოდიფიკაციის შესახებ, რომლებიც სავალდებულო იყო გაწევრიანებისათვის ცხადად იყო ჩამოყალიბებული აგრეთვე, რომ თავისუფალი ბაზრის შემოღება და დემოკრატიისა და ადმინისტრაციული უფლებათა დაცვის მყარი გარანტიები ასევე აუცილებელი იყო ქვეყნის გაწევრიანებისათვის. ამსტერდამის სამიტიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ, კომისიამ შესაძლებლად ჩათვალა 1998 წლის მარტში მოლაპარაკებების დაწყება ექვს ქვეყანასთან - კვიპროსთან, ჩეხეთთან, ესტონეთთან, უნგრეთთან, პოლონეთთან და სლოვაკეთთან. დანარჩენ აპლიკანტ ქვეყნებს კომისიამ შეატყობინა, რომ მათ ჯერ არ შეუსრულებიათ მოლაპარაკებების დასაწყებად აუცილებელი პირობები, მაგრამ მათ დაეხმარებიან მზადებაში და მათი მდგომარეობა მუდმივი ყურადღების ქვეშ იქნება. ლუქსემბურგის სამიტი დაეთანხმა ამ რეკომენდაციას, მაგრამ გადაწყვიტა, რომ თერთმეტივე ქვეყანა (პლუს თურქეთი) უნდა მიწვეულ იქნენ ყოველწლიურ ევროპულ კონფერენციაზე, რომელიც პირველად 1998 წლის მარტში უნდა შემდგარიყო. თურქეთის მთავრობამ, განაწყენებულმა იმის გამო, რომ განსხვავებით სხვა ხუთი კანდიდატისაგან (ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი და სლოვაკეთი), მას არ დაუდასტურეს სრული გაწევრიანების შესაძლებლობა, გადაწყვიტა ბოიკოტი გამოეცხადებინა

კონფერენციისათვის. მოლაპარაკებები ექვს მოწონებულ კანდიდატთან დროულად დაიწყო 1998 წლის მარტში, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ისინი ერთდროულად დამთავრდება, ან რომ ყველა ეს ქვეყანა ერთდროულად გაწევრიანდება II-ში. ამ ქვეყნების მზადყოფნას შორის დიდი სხვაობაა.

ტურინის მთავრობათაშორისო კონფერენცია

მთავრობათაშორისი კონფერენცია, რომელიც 1996 წლის მარტში გაიხსნა ტურინში თავიდან ჩაფიქრებული იყო როგორც მასტრიხტის ხელშეკრულების ქმედითუნარიანობის განხილვის კონფერენცია. მაგრამ მის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე ცხადი გახდა, რომ მისი დღის წესრიგი გაცილებით უფრო ვრცელი იქნებოდა, ვიდრე დაგეგმილი იყო. მთავრობათაშორის კონფერენციას უნდა მოეხდინა კავშირის ინსტიტუციონალური მოწყობის ძირეული გადაფასება, რომელიც თავიდან 6 წევრისათვის იყო გათვალისწინებული. იმხანად კავშირი უკვე 15 წევრისაგან შედგებოდა და პერსპექტივაში უახლოეს ათწლეულში ეს რიცხვი 27-მდე, ან კიდევ უფრო გაიზრდებოდა. კერძოდ, შესასწავლი იყო შემდეგი საკითხები:

- რამდენადაც წევრების რიცხვის ზრდასთან ერთად ძნელდება ერთსულოვნების მიღწევა, ხომ არ უნდა გაიზარდოს იმ კეჭისყრათა რიცხვი, სადაც მინისტრთა საბჭოს უფლება ექნება გადაწყვეტილება მიიღოს ხმათა უმრავლესობის საფუძველზე?
- ხომ არ უნდა ჰქონდეს ადგილი ხმათა „აწონვას“, რათა კენჭისყრის დროს გამოირიცხოს დიდი ქვეყნების დამარცხება მცირე ქვეყნების კომბინაციის მიერ, რომელთა ერთობლივი მოსახლეობის რიცხვი ბევრად ნაკლებია? კერძოდ, ხომ არ არის საჭირო მბლოკავი უმცირესობის წინააღმდეგ უსაფრთხოების ზომების გაძლიერება?
- რა შემადგენლობის უნდა იყოს მომავალში კომისია? და უნდა ჰქონდეს თუ არა ყველა წევრ ქვეყანას, მცირესაც კი, კომისიაში საკუთარი წარმომადგენლის ყოლის უფლება?
- როგორ უნდა მოქმედებდეს მომავალში იუსტიცია და შინაგან საქმეთა უწყებები - მთავრობათაშორისი შეთანხმების საფუ-

ძველზე თუ მკ-ის ინსტიტუციების ღაქვემღებარების ქვეშ?

- როგორ უნღა გახღეს ერთიანი საგარეო ღა თავღაცვის პოლიტიკა უფრო ეფექტური მთავრობათაშორისი გამგებლობის ქვეშ?

მთავრობათაშორისი კონფერენციის მუშაობის პროცესში ცხადი გახღა, რომ ყველა აღნიშნულ საკითხზე აღგილი აქეს აზრთა სხვაღდასხვაობას. კერძოდ, გამოიკვეთა ინტერესთა კონფლიქტი ღიდ ღა მცირე ქვეყნებს შორის. მაგრამ ამავე ღროს აშკარა იყო, რომ არსებობს ძლიერი სწრაფვა ყველა მთავარ საკითხებზე კონსენსუსის მიღწევისაკენ. თუმც აღგილი ჰქონღა ერთ მნიშვნელოვან გამონაკლისს; გაერთიანებული სამეფოს მაშინღელმა მთავრობამ შეუვალი პოზიცია ღაიკავა მკ-ის ძალაუფლების ნებისმიერი სახით გაძლიერებისა ღა ხმათა უმრავლესობის საფუძველზე კენჭისყრათა რაღღენობის გაზრღის წინააღმღევ. ამის გამო კონფერენციის მუშაობა, რომლის ღამთავრებასაც თავიღან 1977 წლის ზაფხულისათვის ვარაუღობღნენ, შეჩერღა. სხვა წვერი ქვეყნები არაოფიციალურად შეთანხმღნენ ღალოღებოღნენ გაერთიანებულ სამეფოში საყოველთაო არჩევნებს, რომელიც 1997 წლის 1 მაისს უნღა ჩატარებულყო. ამ არჩევნების შემღევ გამოჩნღებოღა, თუ რამღენაღ იქნებოღა მოწაღინებული გაერთიანებული სამეფოს ახალი მთავრობა მიეღწია კომპრომისული შეთანხმებისათვის თავის პარტნიორებთან.

გაერთიანებული სამეფოს იზოლაცია მთავრღება ბღერის არჩევასთან ერთაღ

გაერთიანებულ სამეფოს არაკოოპერაციული პოზიცია კონფერენციაზე იმ მოვღენათა კულმინაცია იყო, რომლებიც პროგრესულაღ ამორებღა გაერთიანებულ სამეფოს ევროპის განვითარების მთავარ ნაკაღს. ტეტჩერის პერიოღში მომხღარი ამბები ზემოთ იყო ჩამოთვლილი. მაგრამ იმღროინღელ იმეღებსაც, რომ მეიჯორის ხელისუფლება შესძლებღა ღაპირისპირებოღა განხეთქილებას, ცუღი პირი უჩანღა. ყველაფრის თავი ღა თავი კი ის სიძნელეები იყო, რომელსაც მეიჯორი განიცღიღა თავისი მცღელობებისას განეწყო თავისი

თანაპარტიული პარლამენტარები მასრტრიხტის ხელშეკრულების რატიფიკაციისაკენ. შექმნილმა ვითარებამ მიიყვანა იგი იმ დასკვნამდე, რომ ერთადერთი გზა მისი თანაპარტიული ევროსკეპტიკოსების მზარდი რიცხვის ზეწოლის მოთოკვისა მდგომარეობს იმაში, რომ მან სულ უფრო მტრული პოზიცია უნდა დაიკავოს მპ-ში პარტნიორების მიმართ. ეს მცდარი ნააზრევი იყო. ყოველი დათმობა თანაპარტიელებისადმი მათ მეტ მადას უღვიძებდა და ისინი უფრო მეტს თხოულობდნენ. ამასობაში კი გაერთიანებული სამეფოს გავლენას მპ-ში სულ უფრო ეთხრებოდა ძირი.

მეიჯორის ზოგიერთი ქმედება აშკარად ირაციონალური იყო. მან კორფუს სამიტზე 1994 წლის ივნისში ვეტო დაადო ბელგიის პრემიერ-მინისტრის ჟან ლიუკ დეაენის კანდიდატურას (მას მხარი დაუჭირა ყველა დანარჩენმა წევრმა ქვეყანამ) კომისიის პრეზიდენტის პოსტზე. მას ამ პოსტზე ჟაკ დელორი უნდა შეეცვალა. თავისი ვეტო მეიჯორმა იმით დაასაბუთა, რომ დეაენი ევროპელი ფედერალისტი იყო, რომელსაც თითქოს ევროპის ზესახელმწიფოდ გადაქცევა სურდა. ამის მიუხედავად, რამდენიმე თვის შემდეგ, მეიჯორი დათანხმდა ლუქსემბურგის პრემიერ მინისტრის ჟაკ სანტიერის დანიშვნას, რომელიც საჯაროდ აცხადებდა, რომ მისი და დეაენის შეხედულებები იდენტურია. შემდგომში 1996 წლის აპრილში, ის მინისტრთა საბჭოსთან არათანამშრომლობის პოლიტიკას დაადგა (დე გოლის 30 წლის წინანდელი „ცარიელი სკამის“ ტაქტიკის რემინისცენცია). ამ პოლიტიკის ძალით მისი მინისტრები ვეტოს ადებდნენ ფაქტიურად ყველა განსახილველ წინადადებას, მათაც კი, რომლებიც თავიდან გაერთიანებული სამეფოს მიერ იყო წამოყენებული. ეს იყო უნაყოფო მცდელობა აეძულებინა მპ მოეხსნა გაერთიანებული სამეფოდან საქონლის ხორცის ექსპორტის აკრძალვა. ეს წამგებიანი ტაქტიკა გაერთიანებულმა სამეფომ თავად მიატოვა ექვსი კვირის შემდეგ, მაგრამ განაგრძობდა ზოგადად ნეგატიურ მცდელობებს 1997 წლის მაისამდე, როდესაც არჩევნებზე მძიმე მარცხი იწვნია. ახლად არჩეულმა ლეიბორისტულმა მთავრობამ მყისვე გამოაცხადა „ახალი სტარტი“ მპ-თან დამოკიდებულებაში, რამაც საშუალება მისცა მთავრობათაშორის კონფერენციას მუშაობა მეგობრულ ვითარებაში დაესრულებინა. მისი რეკომენდაციები დროულად იქნა მიღებული ამსტერდამის სამიტზე 1997 წლის ივნისში და მინც ხელმოწერილი ხელშეკრულება ერთობ მოკრძალებული დოკუმენტი იყო, ხოლო შეთანხმება მთავარ ინსტიტუცი-

ონალურ საკითხებზე, რომელთა გადაჭრა აუცილებელი იყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპიდან ახალი კანდიდატების მიღებაამდე, გადაიდო. ეს საკითხები ეხებოდა მინისტრთა საბჭოს ხმების „აწონვას“, კომისიის წევრთა რაოდენობას და კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის გავრცელებას ყველა საკითხზე გარდა უნიშვნელოვანესი საკითხებისა. ხსენებული საკითხების გადასაჭრელად მომდევნო კონფერენციის ჩატარება დაიგეგმა 2000 წლის პირველ ნახევარში.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირი

ამასობაში სულ უფრო სარწმუნო ხდებოდა, რომ ეკონომიკური და სავალუტო კავშირის მესამე საფეხური, რომელიც ერთიანი ვალუტის შემოღებით უნდა დამთავრებულიყო, დაიწყებოდა, როგორც ეს დაგეგმილი იყო, 1999 წლის 1 იანვარს. ისიც აშკარა იყო, რომ ამ პროცესში მონაწილეობას მიიღებდა წევრი ქვეყნების უმრავლესობა. 1995 წლის დეკემბერში მადრიდის სამიტზე შეთანხმდნენ, რომ ამ ახალი ვალუტის ერთეულს სახელად დაერქმეოდა „ევრო“ და ღირებულებით იგი ეკიუს ტოლი იქნებოდა. ეს ერთეული დამყარებული იქნებოდა ეროვნული ვალუტების კალათაზე და გამოყენებული იქნებოდა მკ-ის საბიუჯეტო სივრცეში. ერთი წლის შემდეგ დუბლინში მიღებულ იქნა სტაბილურობის პაქტი. მისი დანიშნულება იყო შეექმნა გარანტიები იმისა, რომ ქვეყნებს, რომლებიც აკმაყოფილებდნენ მსკ-ში შესვლის კრიტერიუმებს, არ გადაეხვიათ სწორი გზიდან. ბოლოს ბრიუსელის სპეციალურ სამიტზე 1998 წლის 1-2 მაისს დაამტკიცეს კომისიისა და ევროპის სავალუტო ინსტიტუტის რეკომენდაციები, რომელთა ძალით 11 წევრი ქვეყანა (15-დან) უერთდებოდა მსკ-ის მესამე საფეხურს და 1999 წლის 1 იანვრიდან იწყებდა მონაწილეობას ერთიან სავალუტო სისტემაში. საბერძნეთი ამ სისტემის გარეთ დარჩა, რადგანაც ვერ აკმაყოფილებდა მასტრიხტის ხელშეკრულების პირობებს, ხოლო გაერთიანებულმა სამეფომ, დანიამ და შვედეთმა უარი თქვეს შეერთებაზე უფრო პოლიტიკური მიზეზების გამო. გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ აღნიშნა, რომ ჰარინციპში ის თანახმაა შეუერთდეს კავშირს, მაგრამ ამას არ გააკეთებს, ვიდრე არ ჩატარდება რეფერენდუმი, რაც ნაკლებად სავარაუდოა 2001 ან 2002 წლამდე. სამიტმა ევროპის ცენტრალური ბანკის პირველ პრეზიდენტად დანიშნა ვიმ დუიზენბერგი. ამ ბანკმა

შეცვალა ევროპის სავალუტო ინსტიტუტი 1998 წლის 1 ივნისს.

1998 წლის 31 დეკემბერს Ecofin -ის საბჭომ შეათანხმა ევროს გაცვლის ფიქსირებული ტარიფები 11 მონაწილე ეროვნული ვალუტისათვის. (იხ.გვ. 172) 1999 წლის 1 იანვრიდან ევრო შევიდა ხმარებაში საბანკო ოპერაციებში, მაგრამ ქალაქის ფული და მონეტები არ იქნება ბრუნვაში 2002 წლის დამდეგამდე, როდესაც ეროვნული ვალუტები ამოღებული იქნება ბრუნვიდან.

სანტერის კომისიის გადადგომა

პირველი შეტაკებები ევროპულ პარლამენტსა და კომისიას შორის 1998 წლის დეკემბერში მოხდა. ოთხი თვის შემდეგ კი ამას მოჰყვა კომისიის გადადგომა. პარლამენტმა უარი თქვა დაემტკიცებინა 1996 წლის ბიუჯეტის საბოლოო ხარჯთაღრიცხვა, თაღლითობის, უუნარობისა და პროტექციონიზმის გამოვლინებული ფაქტების გამო, რაშიც კომისიის მრავალი წევრი იყო ეჭვმიტანილი. განსაკუთრებით კი ედით კრესონი - საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელიც პასუხს აგებდა საკვლევ პროგრამებსა და განათლებაზე. უნდობლობის ვოტუმის თავიდან ასაცილებლად სანტერი დაეთანხმა ხუთი წევრისაგან შემდგარი დამოუკიდებელი კომიტეტის შექმნას კომისიის საქმიანობის აუდიტის ჩასატარებლად. ხუთმა „ბრძენმა“ ხუთ კვირაში წარმოადგინა მოხსენება, როგორც ამას პარლამენტი თხოულობდა. ამ მოხსენებაში მკაცრად იყო გაკრიტიკებული ქ-ნი კრესონი თავისი მეგობარი კბილის ექიმის ფიქციურ სამუშაოზე დანიშვნისათვის და პროფესიული სწავლების პროგრამის „Leonardo“ სუსტი ხელმძღვანელობისათვის. კომისიის სხვა წევრების მიმართ კი კომიტეტი საკმაოდ ლმობიერი კრიტიკით შემოიფარგლა. მიუხედავად იმისა, რომ აქტიური კორუფციის გამოვლინების ხაზით ბევრი ვერაფერი იქნა მოპოვებული, კომიტეტის მოხსენება შეიცავდა მსუსხავ ფრაზას „ძნელი გახდა ისეთი პიროვნების მოძებნა, ვისაც ოდნავი წარმოდგენა მაინც ექნებოდა პასუხისმგებლობაზე“.

პარლამენტს არ შესწევდა ძალა ინდივიდუალურად გაეკიცხა კომისიის წევრები, ქ-ნი კრესონი კი უარს იყო გადაამდგარიყო ან გულწრფელი მონანიება გამოეხატა მაინც. ვერც სანტერმა ვერ აიღო საკუთარ თავზე მოეთხოვა მისი გადადგომა. მოხსენების

გამოქვეყნებიდან ორიოდე დღის შემდეგ ცხადი გახდა, რომ პარლამენტს ძალუძს კომისიის გადადგომის მოთხოვნისათვის აუცილებელ ხმათა ორი მესამედის მოგროვება. აქ კი კომისიამ დაასწრო მოვლენების ასეთ განვითარებას და 1999 წლის 11 მარტს კომისიის 20-ვე წევრმა განაცხადა გადადგომის შესახებ. ორი კვირის შემდეგ, ბერლინში მპ-ის მთავრობათა მეთაურების შეკრებაზე სანტერის მემკვიდრედ დაასახელეს რომანო პროდი, იტალიის ყოფილი პრემიერ მინისტრი, მაგრამ მისი და კომისიის ახალი წევრების დამტკიცება ევროპარლამენტის მიერ შედგა მხოლოდ სექტემბერში. ამ კომისიის შემადგენლობაში შევიდა სანტერის კომისიის გადარჩენილი 4 წევრი, რომელთაც უნდა ემუშავათ სანტერის კომისიის ვადის გასვლამდე დარჩენილი 4 თვე და შემდეგ კიდევ 5 წელი 2005 წლის იანვრამდე.

ახალი საბიუჯეტო პერსპექტივა

მეორე მთავარი საკითხი, რომელიც ბერლინის სამიტს უნდა გადაწყვიტა იყო მპ-ის საბიუჯეტო პერსპექტივების მოწესრიგება შვიდწლიანი პერიოდისათვის 2000-2006 წ.წ. გერმანიის ახლადარჩეული კანცლერი გერჰარდ შრიოდერი იმედოვნებდა, რომ შესძლებდა არსებითად შეემცირებინა მისი ქვეყნის მიერ მპ-ის ბიუჯეტში შესატანი თანხა, რომელიც ბევრად აღემატებოდა დანარჩენი 14 ქვეყნის შესატან თანხებს ერთად აღებულს. საბოლოოდ, საერთო თანხმობის მისაღწევად, ის დაყაბულდა უკიდურესად მცირე შეღავათს, ხოლო ბრიტანეთის წლიური შეღავათი (რასაც ძლიერ აკრიტიკებდნენ სხვა წევრი ქვეყნები, უცვლელი დარჩა). შეთანხმება საშუალებას აძლევდა მპ-ს რამდენადმე განეუცხო თავისი საქმიანობა მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში. დროის ამ მონაკვეთში, უნდა უზრუნველყოფილიყო წინასწარი დახმარების გამოყოფა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც 2006 წლისათვის მპ-ში გაწევრიანების კანდიდატებად ირიცხებოდნენ.

ახალი ათასწლეული

1999 წლის დეკემბერში ჰელსინკის სამიტზე მთავრობათა მეთაურებს უნდა განეხილათ „სწრაფი“ მოლაპარაკებებისათვის არჩეული ექვსი ქვეყნის გაწვევრიანების თაობაზე მიმდინარე თათბირზე მიღწეული პროგრესი. მოსალოდნელი იყო აგრეთვე, რომ მიღებული იქნებოდა რეკომენდაციები სხვა ექვს ქვეყანასთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ (ბულგარეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა და რუმინეთი) და რომ თურქეთს დაუდასტურებდნენ მის შესაძლო სრულუფლებიან წევრობას. სიმბოლურად სამიტის დანიშნულება იყო ახალი ათასწლეულის დასაწყისის აღნიშვნა, რაც გამოიხატა კავშირის გრძელვადიანი მისწრაფებების ამაღლებულ დეკლარაციაში.

-
1. *Allred Grosser. ციტირებული შრომა, გვ.189*
 2. *Steps to European Unity. European Documentation, 1985.*
 3. *გაერთიანებულმა სამეფომ დანიაში და პორტუგალიამ შემდგომ დატოვეს ეთიკა რომ შეერთებოდნენ ევროგაერთიანებას, ფინეთი, ისლანდია და ლიხტენშტეინი გახდნენ ეთიკა-ს წევრები.*
 4. *სოფლის მეურნეობის მართვის და გარანტიის ფონდი*

3 ხელშეკრულებები

რომის ხელშეკრულება, ხელმოწერილი 1957 წლის 25 მარტს ბელგიის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდებისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა მიერ, არის ევროპული გაერთიანების ბიბლია, უზენაესი ავტორიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს გაერთიანების გადაწყვეტილებებსა და პასუხისმგებლობას. იმავე დღეს, იმავე პირების მიერ კიდევ ერთი ხელშეკრულება იყო ხელმოწერილი, რომელიც ევრატიომის - ევროპული ატომური ენერჯის - გაერთიანებას აფუძნებდა. მანამდე კი, 6 წლით ადრე, 1951 წლის 18 აპრილს პარიზში ამავე ექვსმა ქვეყანამ დააფუძნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (მძშშ).

რომის ხელშეკრულება ვეებერთელა დოკუმენტია, რომელიც შეიცავს 248 მუხლსა და კიდევ დამატებების, პროტოკოლების და შეთანხმებების 160 გვერდს. ქვემოთ სრულადაა მოტანილი ამ ხელშეკრულების ოთხი მუხლი, რომლებიც განსაზღვრავენ ევროპული ეკონომიკური გაერთიანების მიზნებს და მის მთავარ ინსტიტუციებს, რომელთა შექმნით უნდა იყოს მიღწეული ეს მიზნები.

მუხლი 1. ამ ხელშეკრულებით მაღალი მონაწილე მხარეები ერთობლივად აფუძნებენ ევროპულ ეკონომიკურ გაერთიანებას.

მუხლი 2. გაერთიანება მიზნად ისახავს საერთო ბაზრის დაარსებითა და წვერი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკების შეჯერებით გაერთიანების სივრცეში ჰარმონიული ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტი და გაწონასწორებული გაფართოების, სტაბილურობის ამაღლების, ცხოვრების დონის გაუმჯობესების და გაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარების უზრუნველყოფას.

მუხლი 3. იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც მეორე მუხლში არის გადმოცემული, გაერთიანების საქმიანობა თანახმად ხელშეკრულებისა უნდა მოიცავდეს:

(ა) წევრ ქვეყნებს შორის საქონლის ექსპორტისა და იმპორტისათვის დაწესებულ საბაჟო გადასახადების და რაოდენობრივი შეზღუ-

ღვების გაუქმებას, ისევე, როგორც ეკვივალენტური ეფექტის მქონე ყველა სხვა ღონისძიებას;

(ბ) მესამე ქვეყნების მიმართ ერთიანი საბაჟო ტარიფების შემოღებასა და ერთიანი სავაჭრო პოლიტიკის გატარებას;

(გ) წვერ ქვეყნებს შორის პიროვნების, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების დაბრკოლებების გაუქმებას;

(დ) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის გატარებას;

(ე) ტრანსპორტის დარგში ერთიანი პოლიტიკის გატარებას;

(ვ) ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს საერთო ბაზარზე შეუფერხებელ კონკურენციას;

(ზ) ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდება წვერი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია და მათ საგადასახადო ბალანსებს შორის განსხვავების მოწესრიგება;

(თ) წვერი ქვეყნების კანონმდებლობის შეჯერება საერთო ბაზრის სათანადო ფუნქციონირების მოთხოვნილებებისათვის;

(ი) მშრომელთა დასაქმების შესაძლებლობათა გაზრდისა და მათი ცხოვრების დონის ასამაღლებლად ევროპის სოციალური ფონდის შექმნას;

(კ) გაერთიანების ეკონომიკური ექსპანსიისა და ახალი რესურსების მოძიების გასაადვილებლად ევროპის საინვენსტიციო ბანკის დაარსებას;

(ლ) შორეულ ქვეყნებთან და ტერიტორიებთან კავშირების დამყარებას ვაჭრობის გაფართოებისა და ერთობლივი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნით.

მუხლი 4

1. გაერთიანების მიერ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებას უზრუნველყოფს შემდეგი ინსტიტუციები:

- ასამბლეა;
- საბჭო;
- კომისია;
- სასამართლო.

თითოეული ამ ინსტიტუციათაგან მოქმედებს უფლებამოსილების იმ ფარგლებში, რომელიც მას მინიჭებული აქვს ამ ხელშეკრულებით.

2. საბჭოს და კომისიას მათ საქმიანობაში ეხმარება ეკონომიკური

და სოციალური კომიტეტი მრჩეველის უფლებით.

მუხლი 5 - 248. ეს მუხლები ეხება შემდეგ არეებს:

- 5 - 8: გაერთიანების ჩამოყალიბება 12 წლიანი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში;
- 9 - 11: საქონლის თავისუფალი გადაადგილება;
- 12 - 29: საბაჟო კავშირის დაფუძნება;
- 30 - 37: რაოდენობრივი შეზღუდვების გაუქმება;
- 38 - 47: სოფლის მეურნეობის მოწესრიგება;
- 48 - 73: პიროვნების, მომსახურეობის და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება;
- 74 - 84: მოთხოვნები ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკისადმი;
- 85 -102: კონკურენციის პოლიტიკა, დაბეგვრა და კანონმდებლობების შეჯერება;
- 103- 116: ეკონომიკა და საეკონომიკური პოლიტიკა;
- 117 -128: სოციალური პოლიტიკა;
- 129 - 130: ევროპის საინვენსტიციო ბანკის დაარსება;
- 131 - 136: შორეულ ქვეყნებთან და ტერიტორიებთან კავშირის დამყარება;
- 137 - 198: გაერთიანების სხვადასხვა ინსტიტუციების აგებულება და უფლებამოსილება;
- 199 - 209: ფინანსური უზრუნველყოფა;
- 210 -248: გაერთიანება, როგორც იურიდიული პირი, ახალი წევრების მიღების წესები. ინსტიტუციების დაფუძნება და სხვა მრავალი. მუხლი 240 ადგენს, რომ „ხელშეკრულება დადებულია შემოუსაზღვრელი დროით“. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1958 წლის 1 იანვარს.

სხვა ხელშეკრულებები

წლების მანძილზე რომის საწყისი ხელშეკრულებების შემავსებელი მრავალი ხელშეკრულება, პროტოკოლი და შეთანხმება იქნა ხელმოწერილი წევრი ქვეყნების მიერ. უმნიშვნელოვანესი მათ შორის ქვემოთაა მოტანილი.

1. ხელშეკრულება, რომელმაც მოახდინა სამი ევროპული გაერთიანების (მეფშ, მეშ და მპრატომი) შერწყმა, ხელმოწერილ იქნა 1965 წლის 8 აპრილს. იგი ცნობილია ევროპის კავშირის ხელშეკრულების სახით.

2. ხელშეკრულება დანიის, ირლანდიის, ნორვეგიისა და გაერთიანებული სამეფოს კავშირში გაწევრიანების შესახებ ხელმოწერილ იქნა 1972 წლის 22 იანვარს (შემდგომში ნორვეგიამ რეფერენდუმზე უარი თქვა ამ ხელშეკრულების რატიფიკაციაზე).

3. ეკვივალენტური ხელშეკრულება საბერძნეთთან ხელმოწერილ იქნა 1980 წელს, ესპანეთთან და პორტუგალიასთან - 1985 წელს, ავსტრიასთან, ფინეთთან, შვედეთსა და ნორვეგიასთან - 1994 წელს (ნორვეგიამ ისევ უარი თქვა მის რატიფიკაციაზე).

4. 1986 წელს ხელმოწერილი საგანგებო ევროპული აქტი, რომელმაც სხვა დადგენილების მიღებასთან ერთად, დახვეწა რომის ხელშეკრულების მრავალი მუხლი, კერძოდ, მინისტრთა საბჭოში კენჭისყრის პროცედურის შესახებ და ევროპარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილების გაფართოების შესახებ. მთავარი მიზანი ამ ხელშეკრულებისა იყო შიგა ბაზრის სრულყოფისათვის საჭირო დაახლოებით 300 დადგენილების მიღება (იხ. თავი 16). ეს იყო რომის ხელშეკრულების პირველი ქმედითი გაუმჯობესება მისი მოქმედების 30 წლის განმავლობაში.

5. ევროპის კავშირის ხელშეკრულება, რომელიც ცნობილია მას-ტრიხტის ხელშეკრულების სახელით, შეთანხმებულ იქნა 1991 წლის დეკემბერში და ხელმოწერილი 1992 წლის იანვარში. ეს იყო რომის ხელშეკრულების ყველაზე სრული რევიზია და შეიცავდა დადგენილებათა ორ ჯგუფს: პირველი ეხებოდა ეკონომიკური და სავალუტო კავშირის დაარსებას არა უგვიანეს 1999 წლის 1 იანვრისა, ხოლო მეორე ჯგუფი განსაზღვრავდა საფეხურებს, რომელთაც ევროკავშირი უნდა მიეყვანა პოლიტიკურ კავშირამდე, საერთო საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის ჩათვლით. სხვა მუხლები განაგრცობდნენ ან აზუსტებდნენ გაერთიანების კომპეტენციებს პოლიტიკის სხვა არეებში და ხეწდნენ გაერთიანების სხვადასხვა ინსტიტუციების უფლებამოსილებას. ხელშეკრულებამ დააფუძნა ევროკავშირის სამი სვეტი. პირველი მოიცავდა სამი არსებული ევროპული გაერთიანების ხელშეკრულებებს (მეფშ, მეშ და მპრატომი). მეორე სვეტი მოიცავდა

6. ამსტერდამის ხელშეკრულება, შეთანხმებული 1997 წლის ივნისში და ხელმოწერილი ამავე წლის ოქტომბერში, ძალაში შევიდა 1999 წლის 1 მაისს მონაწილე მხარეების მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ. ამ ხელშეკრულებას უმეტესწილად მოწესრიგების დანიშნულება ჰქონდა. მან გადაადგილა რამდენიმე გადაწყვეტილების მიმღები ორგანო მესამე სექტიდან პირველში, დახვეწა საერთო საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების მექანიზმი, ეზის ჩარჩოებში მოაქცია სოციალური პოლიტიკის პროტოკოლი და შენგენის შეთანხმება, გააფართოვა ევროპარლამენტისა და კომისიის პრეზიდენტის უფლებამოსილებანი, დაუმატა დასაქმებისა და ადაპტაციის მუხლები და უზრუნველყო მეტი გამჭვირვალება.

ამ ხელშეკრულების მოკლე შინაარსი გადმოცემულია მერვე დამატებაში.

თავი 2

ინსტიტუციები

რომის ხელშეკრულების ძალით მისი მიზნების განსახორციელებლად დაარსდა ოთხი ძირითადი ინსტიტუცია. ქვემოთ მოყვანილია მათი ფუნქციების მარტივი განსაზღვრა.

- ევროკომისია წარადგენს პოლიტიკურ ინიციატივას და ამოქმედებს პოლიტიკას, რომლის თაობაზეც გადაწყვეტილება უკვე მიღებულია;
- მინისტრთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ან კანონებს კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე;
- ევროპარლამენტს ძირითადად ჰქონდა მრჩეველის ფუნქცია, თუმცა შემდგომ მისი უფლებამოსილება საკმაოდ გაიზარდა;
- ევროპის სასამართლო განიხილავს კომისიის გადაწყვეტილებებსა და ხელშეკრულების პირობებს საკამათო შემთხვევაში.

გაერთიანების ინსტიტუციები განაგრძობენ ფუნქციონირებას ევროკავშირის ხელშეკრულების (იგივე მაასტრიხტის ხელშეკრულების) ძალით. გარდა ამისა, ევროკავშირმა მოიპოვა უფლებამოსილება, რომელიც არ ექვემდებარება მზ-ს ინსტიტუციებს, არამედ მოქმედებს მთავრობათაშორისი შეთანხმებების საფუძველზე. ეს უფლებამოსილება მოიცავს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას და თანამშრომლობას სამართლებრივ, პოლიციურ და იმიგრაციის სფეროებში. მკაცრად თუ ვილაპარაკებთ, ამჟამად ევროკავშირი წარმოადგენს ჰიბრიდ ორგანიზაციას, რომელიც შედგება ევროგაერთიანებისაგან მის შემადგენელ ინსტიტუციებს შორის უფლებამოსილების მკვეთრი გაყოფით და დამატებითი მთავრობათაშორისი კომპონენტისაგან. ამ წიგნის მეორე ნაწილი დაწერილებით აღწერს მზ-ის ინსტიტუციებისა და სხვა ორგანოების ფუნქციებსა და სტრუქტურას.

4 კომისია

ევროპული კომისია წარმოადგენს გაერთიანების აღმასრულებელ ორგანოს. მას ხშირად მიიჩნევენ ევროპული იდეის ხორცშესხმად, ვინაიდან მის წევრებს, რომელთა დანიშვნაც ხდება ეროვნული მთავრობების მიერ, არავითარი ვალდებულება არ აკისრიათ მათ წინაშე. კომისიის წევრთა მთელი ლოიალობა მიმართულია გაერთიანების, როგორც ერთი მთლიანობის ინტერესებისაკენ. კომისიის თითოეული წევრი მოცემულ თანამდებობაზე დანიშნვისას წარმოთქვამს შემდეგ საზეიმო დეკლარაციას.

„საზეიმოდ პირობას ვდებ:

შევასრულო ჩემი მოვალეობები სრული დამოუკიდებლობით და გაერთიანების ინტერესების გათვალისწინებით;

მოვალეობის შესრულებისას არ მივმართო არც ერთ მთავრობას და არ მივიღო მათგან არანაირი ინსტრუქცია;

თავი შევიკავო ჩემი მოვალეობისათვის შეუფერებელი ნებისმიერი ქმედებისაგან. განსაკუთრებით აღვნიშნავ იმას, რომ ყოველი წევრი ქვეყანა ვალდებულია პატივს სცემდეს ამ პრინციპს და არ ცდილობდეს კომისიის წევრთა ქმედებებზე ზეგავლენის მოხდენას;

ვიძლევი პირობას პატივი ვცე ჩემს მოვალეობებს, როგორც თანამდებობაზე ყოფნის დროს, ასევე მის შემდეგაც. განსაკუთრებით, ეს ეხება მოვალეობას, მოვიქცე გონივრულად და ობიექტურად ნებისმიერი თანამდებობის ან სარგებლის პატივისცემის ნიშნად, რომელსაც მე მივიღებ ამ პოსტის დატოვების შემდეგ.“

როგორც სინამდვილე სრულად არ შეესიტყვება მოცემულ სულისკვეთებას, ისევე წარუმატებელი შეიძლება იყოს კომისიის წევრების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება და გაერთიანების მიზნების სრულყოფილი ხორცშესხმა.

კომისრები

ამჟამად კომისია შედგება ოცი წევრისაგან. ხუთი უდიდესი ქვეყანა (საფრანგეთი გერმანია, იტალია, ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო) წარმოდგენილია ორ-ორი წევრით. ათი შედარებით პატარა ქვეყანა (ავსტრია, ბელგია, დანია, ფინეთი, საბერძნეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, შვედეთი) კი თითო-

თითო წევრით. მოცემულ თანამდებობაზე დანიშვნა ხდება მინისტრთა საბჭოს მიერ 5 წლის ვადით ეროვნულ მთავრობათა წარდგენით. 1995 წლამდე ვადა განისაზღვრებოდა 4 წლით. შესაძლებელია კომისიის წევრის ხელახალი დანიშვნა. ტრადიციულად კომისიის წევრთა ერთი ნაწილი ოთხწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ხელახლა ინიშნება. ნაწილი კი იცვლება ახალი კანდიდატებით. კომისიის წევრთა უმრავლესობას შეადგენენ პოლიტიკოსები, ჩვეულებრივ წევრი ქვეყნის მმართველი პარტიის წარმომადგენლები. რაც შეეხება გაერთიანებულ სამეფოს, ტრადიციულად მისი კანდიდატებიდან ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელია, მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატებს მოქმედი პრემიერ მინისტრი ირჩევს. კომისიის წევრების მცირე ნაწილს შეადგენენ უფროსი ადმინისტრატორები, პროფკავშირების ლიდერები და ბიზნესმენები.

პრეზიდენტის პოსტი

თავდაპირველად კომისიის პრეზიდენტის არჩევა ხდებოდა ორი წლის ვადით, თუმცა, როგორც წესი, მოცემული ვადა ფაქტიურად ავტომატურად იზრდებოდა ოთხ წლამდე. კომისიის ყოველ ახალ შემადგენლობას როგორც წესი, მისი პრეზიდენტის სახელით მოიხსენიებენ. მაგ.: ჯენკინსის კომისია, თორნის კომისია, დელორის კომისია. მასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად კომისიის დანიშვნისათვის საჭირო პროცედურა შეიცვალა. 1995 წლიდან კომისიისა და პრეზიდენტების ვადა ხუთ წლამდე გაიზარდა. ამჟამად წევრი ქვეყნების მთავრობებს მოეთხოვებათ კომისიის პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელებამდე ევროპარლამენტთან კონსულტაციის ჩატარება. ამას გარდა, ისინი უნდა მოეთათბირონ პრეზიდენტობის კანდიდატს კომისიის სხვა წევრების კანდიდატურების შესახებ. ამის შემდეგ კომისიის პრეზიდენტი და კომისიის წევრები, როგორც ერთიანი გუნდი, მოწონებულ უნდა იქნეს ევროპარლამენტის მიერ კენჭისყრის საფუძველზე და მხოლოდ ამ კენჭისყრის დადებითი შედეგით დამთავრების შემთხვევაში ხდება პრეზიდენტისა და კომისიის ფორმალური დანიშვნა წევრი ქვეყნების მთავრობების მიერ.

1994 წლის ივლისში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობების მეთაურთა მიერ დასახელებული ჟაკ სანტერი ძლივს გადაურჩა ევროპარლამენტის მცდელობას ჩაეგდო მისი კანდიდა-

ტურა პრეზიდენტის პოსტზე. ეროპარლამენტმა განიხილა თითო-ეული კომისიის კანდიდატურა და 1955 წლის იანვარში ხმათა მნიშვნელოვანი უმრავლესობით მოიწონა მთელი კომისია. 1999 წლის მარტში სანტერის კომისიის გადადგომის შემდეგ ეროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობების მეთაურებმა მის მემკვიდრედ დაასახელეს რომანო პროდი, რის შემდგომ პროდისთან კონსულტაციის შედეგად შეირჩა 19 კომისიის კანდიდატურა. ეს კანდიდატურები ეროპარლამენტის მიერ განხილული და 1999 წლის სექტემბერში სამჯერადი უმრავლესობით იქნა დამტკიცებული. კომისიის უფლებამოსილება განისაზღვრა სანტერის კომისიის ვადიდან დარჩენილი 4 თვით და შემდეგ სრული 5 წლიანი ვადით -- 2000 წლის იანვრიდან 2005 წლის იანვრამდე.

მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად შეიცვალა კომისიის ვიცე-პრეზიდენტების დანიშვნის განმსაზღვრელი დებულება. მანამდე მინისტრთა საბჭო ვიცე-პრეზიდენტებად ნიშნავდა ექვს კომისარს. ამ თანამდებობას ძალზე მცირე პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. განსხვავება ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ ვიცე-პრეზიდენტი თავის კოლეგებზე ოდნავ მეტ ხელფასს ღებულობდა. ახლა, ხელშეკრულების თანახმად, „კომისიას შეუძლია თავად დანიშნოს ერთი ან ორი ვიცე-პრეზიდენტი კომისიის წევრებიდან“. ამგვარად არჩეული კომისრის (ან კომისრების) მდგომარეობა უფრო თვალსაჩინო იქნება, რამეთუ საჭიროების შემთხვევაში ისინი იმოქმედებენ, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლები. 1999 წლის სექტემბერში კომისიამ ვიცე-პრეზიდენტებად აირჩია ორი წევრი - ნიელ ქინოქი და ლოიოლა დე პალასიო.

კომისიის პრეზიდენტს ხშირად მცდარად ადარებენ წევრი ქვეყნის პრემიერ მინისტრს თავის კაბინეტთან მიმართებაში. პრეზიდენტის დომინირება მის კოლეგებზე, როგორც წესი, გაცილებით სუსტია. მის კომპეტენციაში არ შედის კომისიის წევრთა არჩევა - მოხსნა, იმის განსაზღვრა, თუ რა პორტფელებს უნდა ფლობდნენ ისინი. ამ უკანასკნელ საკითხში პრეზიდენტს მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია, ვინაიდან ახალი კომისიის ფორმირებისას მას შემოაქვს თავისი წინადადება პასუხისმგებლობების (მოვალეობების) განაწილების შესახებ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას თავად კომისრები იღებენ, საჭიროების შემთხვევაში, კენჭისყრის გზით. მომავალში პრეზიდენტის ძალაუფლება უეჭველად გაიზრდება, ნაწილობრივ ამსტერდამის ხელშეკრულების ძალით, მაგრამ ძირითადად კი რომანო

პროდის კანდიდატად დასახელებისას შექმნილი ვითარების გამო. სანტერის კომისიის გადადგომის შედეგად გამოწვეულმა კრიზისმა რომანო პროდის ყველა მის წინამორბედზე მეტი ძალაუფლება შესძინა. მან შესძლო მოეპოვებინა პორტფელის განაწილებისა და მოგვიანებით მათი საჭიროებისამებრ გაცვლის უფლება. მან აგრეთვე მოითხოვა და შესაბამისად მიიღო პირობა ყოველი კანდიდატისაგან, რომ ისინი პრეზიდენტის ბრძანებას დაემორჩილებიან და თანამდებობიდან გადადგებიან, თუ ამას ევროკავშირის ინტერესები მოითხოვს.

კომისრების ვალდებულებები


ხელშეკრულების ძალით თითოეულ კომისარს განკუთვნილი აქვს პასუხისმგებლობის არე და ადმინისტრაციული მანქანის სხვადასხვა დანაყოფები ანგარიშვალდებულნი არიან უშუალოდ მის წინაშე. (იხ.დანართი №3 „პასუხისმგებლობების ამჟამინდელი განაწილება“). მათ დაქვემდებარებაში არის აგრეთვე ექვსი თანაშემწისაგან დაკომპლექტებული მცირე კაბინეტი, რომლებიც არა მარტო მრჩეველთა მოვალეობას ასრულებენ, არამედ კომისრის სახელით მონაწილეობენ კომისიის ბიუროკრატიული საქმიანობის ყველა დონეზე.

კომისიის მოვალეობები

კომისიის მოვალეობები ჩამოთვლილია რომის ხელშეკრულების 155 მუხლში. მოვალეობები ზოგადად მოიცავს საინიციატივო, აღმასრულებელ და ზედამხედველობის ფუნქციების შესრულებას.

ინიციატივა. ხელშეკრულება კომისიას აკისრებს ზოგად პასუხისმგებლობას მისი წინადადებების შესრულების უზრუნველყოფაზე. ამასთან ხელშეკრულება კომისიას განსაკუთრებულ უფლებას ანიჭებს წარადგინოს წინადადებები მინისტრთა საბჭოს წინაშე, რომელიც უმეტესწილად უძღურია მიიღოს გადაწყვეტილება ამგვარი წინადადების არარსებობის შემთხვევაში.

დიაგრამა №3 გაერთიანების გადაწყვეტილების მიღების პროცესი



აზოგიერთ შემთხვევაში თანანაზრობლობისა და ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პროცედურების საგანი წყარო: ევროკომისია

გადაწყვეტილების მიღების პროცესი გაერთიანებაში არსებობს ხუთი გზა, რომლითაც გაერთიანების ინსტიტუციებს შეუძლიათ წევრ ქვეყნებში არსებული კანონის შეცვლა ან მასზე ზეგავლენის მოხდენა.

მინისტრთა და/ან კომისიის საბჭო უფლებამოსილია გამოსცეს:

- კანონები
- დირექტივები
- გადაწყვეტილებები
- რეკომენდაციები
- შეხედულებები

კანონმდებლობა, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, ზორციელდება კანონებისა და დირექტივების მეშვეობით, რომელთაგანაც ორივე წარმოადგენს კომისიის ინიციატივას და რომელთა მიღებაც ხდება საბჭოს მიერ უმეტესწილად ევროპარლამენტისა და საჭიროებისამებრ ეკონომიკური და სოციალური კომიტეტების ისევე, როგორც რეგიონთა კომიტეტებისაგან მოსაზრებების მოსმენის შემდგომ. კანონებს საყოველთაო გამოყენება აქვთ. ისინი სავალდებულო არიან მთლიანობაში და მოქმედებენ ყველა წევრ სახელმწიფოში. შედეგის თვალსაზრისით დირექტივები სავალდებულოა იმ წევრ-სახელმწიფოსათვის, რომელთათვისაც ისინი არიან გამიზნული. რაც შეეხება ამ შედეგის მიღწევის ფორმასა და გზას, ეს უკვე ეროვნული ორგანოების კომპეტენციაში შედის (უმეტესწილად შედეგის მიღწევა ხდება დირექტივებზე დაყრდნობილი ეროვნული კანონმდებლობის მეშვეობით).

კომისიის ან საბჭოს გადაწყვეტილება მიღებული რომის ხელშეკრულებით უფლებამოსილი ორგანოს მიერ, ან უკვე დამტკიცებული კანონებისა და დირექტივების ძალით მიმართულია მთავრობის, საწარმოების გაერთიანების, ან ფიზიკური პირისადმი. იგი კანონით სავალდებულოა მათთვის ვისაც ეს ეხება. რეკომენდაციები და შეხედულებები არ არის კანონით სავალდებულო. (იხ. მაჩვენებელი № 3).

ეროვნულ კანონმდებლობაზე ზემოქმედების მეექვსე გზა არის ევროპის სასამართლოს კერძო განჩინება, რომლის დანიშნულებაა მბ-ზე რომის ხელშეკრულების ზეგავლენის ინტერპრეტაცია და მოსამართლის ფუნქციის შესრულება ინსტიტუციებს შორის, ან რომელიმე ინსტიტუციასა და ერთ, ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოს შორის წამოჭრილი კამათის დროს. (იხ. თავი 9).

პრაქტიკაში განხორციელება. კომისიას ევალება საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკაში განხორციელება. ქვანახშირისა და ფოლადის წარმოების თვალსაზრისით კომისიას თავად გააჩნია გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, რომელიც მან შემკვიდრებით მიიღო მქშპ-ს უმაღლესი მმართველობისაგან. კომისიას შეუძლია ამ უფლებამოსილების გამოყენება მინისტრთა საბჭოს ჩარევის გარეშე. მას აგრეთვე გააჩნია არსებითი ავტონომიური ძალაუფლება კონკურენციის პოლიტიკისა და საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის გატარების სფეროში. კომისია განაგებს გაერთიანების მიერ დაარსებულ სხვადასხვა ფონდებს (სოფლის მეურნეობის მართვის და გარანტიის ფონდი (სმმპფ)). სოციალური რეგიონალური ფონდი, შერწყმის და ა.შ. იგი ამზადებს ბიუჯეტის კანონპროექტს, რომელიც საბჭოსა და ევროპარლამენტს უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად. კომისია გაერთიანების სახელით აწარმოებს მოლაპარაკებებს საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ახდენს საბჭო.

ზედამხედველობის ფუნქცია. კომისია ახდენს წევრ-სახელმწიფოების მიერ გაერთიანების კანონების შესრულების კონტროლს. როგორც კი კომისია მიიჩნევს, რომ წევრ-სახელმწიფომ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები მან უნდა გამოთქვას თავისი აზრი და შემდგომ შეუძლია აღძრას საქმე უზენაეს სასამართლოში მოცემული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ადგილმდებარეობა. კომისიის შტაბ-ბინა ბრიუსელშია და უკავია სპეციალურად ამ მიზნით 1992 წელს აგებული მინის ფასადის მქონე ბარლეიმონის შენობა. 1992 წლისთვის ბარლეიმონის შენობა დაიხურა და უახლოეს 7-8 წელიწადში მოხდება მისი სრული რეკონსტრუქცია. ზემოხსენებულის მიზეზი გახდა შენობის სტრუქტურაში ასბესტის დიდი შემცველობის გამო არსებული ინფექციის საშიშროება. შენობის რეკონსტრუქციის განმავლობაში კომისიამ და მისმა პერსონალმა დაიკავა იქვე მდებარე ბრეიდელის შენობა. პერსონალის დარჩენილი ნაწილი განლაგდა სხვადასხვა შენობებში. 1999 წლის სექტემბრის პროდის კომისიის დანიშვნის შემდეგ ინდივი-

დუალური კომისიების ოფისები გადატანილ იქნა იმ შენობაში, სადაც განლაგებულია მათი გენერალური დირექტორატების ოფისები. მოცემულ მომენტში ბრეიდელის შენობა უკავია პრეზიდენტსა და გენერალურ სამდივნოს.

პერსონალი. კომისიის პერსონალი 16000 კაცისაგან შედგება, რომელთა ერთი-მესამედს დაკავებულია გაერთიანების 11 ოფიციალურ ენაზე (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, პოლანდიური, დანიური, ბერძნული, ესპანური, პორტუგალიური, შვედური, ფინური) თარგმნით 1.600 თანამშრომელი დაკავებულია მეცნიერული კვლევებით ისპრაში (იტალია), ქალკემში (გაერთიანებული სამეფო). გილში (ბელგია) და სხვა მრავალ ცენტრში.

პერსონალი, რომლის ნაწილიც ლუქსემბურგშია ორგანიზებულია 36 დეპარტამენტად და გენერალურ-დირექტორატად, რომელთაგანაც თითოეული ექვემდებარება ერთ ან ორ კომისარს (იხ. დანართი 4.).

მუშაობის პრაქტიკა. კომისია იკრიბება ყოველ ორშაბათს დილით და თუ დღის წესრიგი დატვირთულია სხდომა შეიძლება გაგრძელდეს ლანჩის შემდეგ. ხშირად იგეგმება დამატებითი სხდომები, უფრო ხალვათ გარემოში, სადაც განიხილება კერძო თემები ან სამომავლო პერსპექტივები. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს როგორც წესი კენჭისყრის, მაშასადამე კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპის საფუძველზე.

მოუხედავად იმისა, რომ კომისიის ყველა ოფიციალური დოკუმენტი ითარგმნება და ქვეყნების ოფიციალურ პირთა დასწრებით ჩატარებული სხდომების სინქრონული თარგმნა 11-ვე ენაზე ხდება, კომისიის შიგნით ყოველდღიური საქმიანობა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე წარმოებს.

5 მინისტრთა საბჭო

თუ კომისია გამოხატავს საერთო ევროპულ ინტერესებს, მინისტრთა საბჭოში ხდება თითოეული წევრი სახელმწიფოს ინტერესის დაფიქსირება. იგი უდავოდ გაერთიანების ყველაზე ძლიერი ორგანოა და ევროპარლამენტის კვლევის გენერალური დირექტორატის სიტყვებით „იგი გადაიქცა ევროგაერთიანების პოლიტიკურ ცენტრად“.¹

სტრუქტურა

საბჭო შედგება წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისაგან. მის სხდომას ესწრება ერთი კომისარი მინც და საბჭოს სამდივნოს მოხელეები. წევრთა შემადგენლობა მუდმივად იცვლება. თუ დღის წესრიგში სოფლის მეურნეობაა, სხდომას ესწრებიან სოფლის მეურნეობის მინისტრები. მრეწველობის საკითხების განხილვას ესწრებიან მრეწველობის მინისტრები, ბიუჯეტის განხილვაში კი მონაწილეობენ ფინანსთა მინისტრები.

საგარეო საქმეთა მინისტრთა სხდომას, რომელიც ტარდება თვეში ერთხელ მინც, გარდა აკვისტოსი, ეწოდება ზოგად საქმეთა საბჭო. საგარეო საქმეების განხილვის გარდა საგარეო საქმეთა მინისტრები ახდენენ სხვა მინისტრების საბჭოების მუშაობის კოორდინაციას, ამასთან ისინი წყვეტენ განსაკუთრებით რთულ და სასწრაფო საკითხებს, რომლებიც ზუსტად არ ესადაგება მათი უფრო სპეციალიზებული კოლეგების კომპეტენციას. მათ მოვალეობას შეადგენს აგრეთვე წელიწადში ორჯერ მთავრობათა მეთაურების სხდომის მომზადება, რომელიც ცნობილია ევროსაბჭოს სახელით (იხ. თავი 6).

პრეზიდენტის პოსტი.

საბჭოს თავმჯდომარის ანუ პრეზიდენტის პოსტი როტაციულია. ამ პოსტს ექვსი თვით მორიგეობით იკავებენ წევრი ქვეყნების მინისტრები. კონკრეტული სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრს ენიჭება მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტის ტიტული და საბჭოს სამდივნოს დახმარებით მისი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო სათავეში უდგას საბჭოს საქმიანობას ექვსი თვის განმავლობაში. ასეთ პერიოდებს უწოდებენ საფრანგეთის პრეზიდენტობის, პოლან-

დიის პრეზიდენტობის ვადას და ა.შ., იმის მიხედვით, თუ რომელი ქვეყნის წარმომადგენელია ამ პოსტზე.

პრეზიდენტის მოვალეობის ერთერთ ნაწილს წარმოადგენს გაერთიანების ფუნქციონირების გაუმჯობესება და შეძლებისდაგვარად ბევრი საკითხის გადაჭრა. აქედან გამომდინარე პრეზიდენტის მხრიდან მოსალოდნელია კომპრომისული წინადადებების შემოტანა მოლაპარაკებების ჩიხში მომწყვდევის თავიდან ასაცილებლად და მისი ქვეყნის, ისევე როგორც სხვა წევრი ქვეყნების წარმომადგენლების მათი მოთხოვნების მოდიფიკაციაზე დაყოლიების მცდელობა.

თითოეული საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში, შესაბამის ქვეყანაში ტარდება მთავრობათა მეთაურთა სამიტი (ანუ ევროსაბჭო), ამასობაში სპეციალიზირებული საბჭოები მართავენ არაფორმალურ შეხვედრებს, როგორც წესი ქალაქგარეთ, სადაც ხდება გრძელვადიანი საკითხების განხილვა, რომლებიც არ არის გართულებული დღის წესრიგის ამაფორიაქებელი ეფემერული პუნქტებით. ასეთი არაფორმალური თავშეყრა ევროწრებში ცნობილია როგორც გიუმნიხის ტიპის შეხვედრა. ეს სახელი მას ეწოდა ციხე-დარბაზ შლოს გიუმნიხის - შეხვედრის პირველად ჩატარების ადგილის მიხედვით.

პრეზიდენტობის ვადის განსაზღვრა თავიდან ხდებოდა ანბანის მიხედვით, მაგრამ 1996 წლიდან შემოტანილ იქნა ახალი წესი, მიჩნეულ იქნა რა, რომ უფრო გონივრულია დიდი ქვეყნებიდან პრეზიდენტობის კანდიდატების დაშორიშორება, ვიდრე მათი თავმოყრა.

ცხრილი №1. პრეზიდენტობის განაწილება
ქვეყნების მიხედვით 1996 - 2003

	იანვარი ივნისი	ივლისი-დეკემბერი
1996	იტალია	ირლანდია
1997	ნიდერლანდი	ლუქსემბურგი
1998	გაერთიანებული სამეფო	ავსტრია
1999	გერმანია	ფინეთი
2000	პორტუგალია	საფრანგეთი
2001	შვედეთი	ბელგია
2002	ესპანეთი	დანია
2003	საბერძნეთი	

მუდმივი წარმომადგენლები.

საბჭოს სხდომების დღის წესრიგში მხოლოდ რამდენიმე საკითხი ხვდება წინასწარ დაბალ საფეხურზე განხილვის გარეშე. ყოველ წევრ დელეგაციას გააჩნია თავისი მრავალრიცხოვანი დელეგაცია ბრიუსელში, ცნობილი როგორც მუდმივი წარმომადგენლობა. იგი დაკომპლექტებულია არამარტო დიპლომატებით, არამედ იმ ეროვნული სამინისტროების მოხელეებით, რომელთათვის მშ-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა. მათ თანაშემწეებს წარმომადგენენ მოხელეები დედაქალაქებში, რომლებიც ასრულებენ დამაკავშირებელ რგოლის როლს.

მუდმივი წარმომადგენლების კომიტეტი. დელეგაციების მეთაურები - მუდმივი წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნიათ უფროსი ელჩის რანგი, კვირაში ერთხელ ატარებენ სხდომას მუდმივი წარმომადგენლების კომიტეტში, რომელიც ცნობილია ფრანგული აბრევიატურით Coreper. კომიტეტი მეთოდურად იხილავს ყველა იმ საკითხს, რომლის თაობაზეც მინისტრთა საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. თუ მუდმივი წარმომადგენლები მიაღწევენ სრულ თანხმობას პროექტის თაობაზე ეროვნული მთავრობებისაგან მიღებული ინსტრუქციების საფუძველზე, წინადადება შევა საბჭოს დღის წესრიგში, როგორც „A“ საკითხი, შემდგომ ეს საკითხი მტკიცდება მორიგ საბჭოს სხდომაზე ყოველგვარი განხილვის გარეშე, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც მთავრობა უკანასკნელ მომენტში ცვლის გადაწყვეტილებას. უფრო ხშირად მუდმივი წარმომადგენლების შეხედულებები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასეთ შემთხვევაში წინადადება უფრო დეტალური განხილვის მიზნით გადაეცემა ქვემდგომ ინსტანციას-ექსპერტთა ჯგუფს. უმეტეს შემთხვევებში საკითხი მაშინ გადაეცემა მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღების იმედით, როცა არაუმეტეს ორი ქვეყნის მთავრობა არ ეთანხმება დანარჩენს.

სხვა მოქმედი ჯგუფები. მიუხედავად იმისა, რომ მუდმივი წარმომადგენლები ძალზე მრავალმხრივი პიროვნებებია, მათ არ შეუძლიათ მათი განხილვის არეში მოხვედრილი ყველა დეტალური საკითხის მეტნაკლებად თანაბარი დონის სიზუსტით შესწავლა. განსახილველ თემათა მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცემა

მოადგილეებს, რომლებიც ხვდებიან ერთმანეთს ასევე კვირაში ერთ-ხელ. მოადგილეთა ჯგუფს Coreper II-ს უწოდებენ. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც წესი, განიხილება სოფლის მეურნეობის სპეციალური კომიტეტის მიერ (სმსპ). რომელიც შედგება ეროვნული სამინისტროების უმაღლესი მოხელეებისაგან ან სოფლის მეურნეობის საბჭოს წევრებისაგან მუდმივ წარმომადგენლობაში. რეგულარულად ეწყობა უფრო დაბალი რანგის მოხელეებისაგან შემდგარი ჯგუფების შეხვედრები, რომელზედაც ხდება გაერთიანების კანონმდებლობის წინაშე წაყენებული წინადადების დეტალების განხილვა.

საკანონმდებლო როლი.

ეროვნული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სადაც პარლამენტი ასრულებს საკანონმდებლო ფუნქციებს, ეს როლი ეპ-ში ეკუთვნის მინისტრთა საბჭოს. გაერთიანების კანონმდებლობა, ცნობილი როგორც დირექტივები და წესები, (იხ.გვ.67), შეიძლება განსახილველად შემოტანილი იქნას მხოლოდ კომისიის მიერ. ევროპარლამენტის, ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის შეხედულებები ხშირად მხედველობაში მიიღება, მაგრამ გადაწყვეტილებას მინისტრთა საბჭო ღებულობს, და კვლავ, ეროვნული პარლამენტისაგან განსხვავებით საკანონმდებლო ფუნქციის განხორციელება ხდება დახურულ კარს მიღმა, თუმცა განხილვის თემა ხშირად არ წარმოადგენს საიდუმლოს, ვინაიდან ბრიუსელის მედია ყოველ შეხვედრის შემდეგ იღებს მოკლე ინფორმაციას თითოეული ეროვნული მთავრობის სპიკერისაგან.

სხდომები.

საბჭოს სხდომები იმართება წელიწადში 80-90-ჯერ. როგორც წესი სხდომები გრძელდება ერთი დღე, ხანდახან ორი დღე, იშვიათად კი უფრო მეტ ხანს. ხშირად ორი-სამი სხდომა ერთდროულად ტარდება. მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრების ერთ პალატაში, და ფინანსთა მინისტრების კი - მეორეში.

გადაწყვეტილების მიღება.

როდესაც საკითხი აღწევს საბჭოს სხდომაზე, არავითარი გარანტია იმისა, რომ იგი მოწონებულ იქნება, არ არსებობს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საკითხი „A“ საკითხია. რომის ხელშეკრულებაში მოცემულია ზუსტი წესები საბჭოში გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, მაგრამ მათი გამოყენება არ ხდება გეგმისებრ. თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით ხელშეკრულების 148 მუხლის თანახმად გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მოხდეს ხმათა ჩვეულებრივი უმრავლესობით, კვალიფიციური უმრავლესობით (87-დან 62 ხმა) ან ერთხმად.

ხმათა ჩვეულებრივი უმრავლესობით გადაწყვეტილებები მიიღება შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხების შესახებ რომელთაც ხშირად მხოლოდ პროცედურული ხასიათი აქვს. რომის ხელშეკრულების თანახმად გადაწყვეტილებათა უმრავლესობის მიღება უნდა მოხდეს ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით, ხოლო უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს ერთხმად. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, რომელიც გეგმით 1965 წელს უნდა დასრულებულიყო, გადაწყვეტილების ერთხმად მიღება ხდებოდა საკითხების უფრო ფართო სპექტრის თაობაზე, მაგრამ, როგორც კი გაერთიანებამ დაგეგმა კენჭისყრაში კვალიფიციური უმრავლესობის შემოღება, წარმოიშვა დიდი კრიზისი საფრანგეთის გოლისტურ მთავრობასა და მმმ-ს დანარჩენ თავდაპირველ ხუთ წევრს შორის.

ლუქსემბურგის კომპრომისი.

ამ კრიზისის შედეგად ხუთი წევრი არც თუ დიდი ენთუზი-აზმით დათანხმდა ე.წ. „ლუქსემბურგის კომპრომისზე“, რათა შეენარჩუნებინათ საფრანგეთის წევრობა გაერთიანებაში. მისი ქმედითი დებულება გახლდათ:

თუ კომისიის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე ხმათა უმრავლესობის წესით გადაწყვეტილების მიღებისას ერთი ან მეტი პარტნიორის უმნიშვნელოვანესი ინტერესები სასწორზე აღმოჩნდება, საბჭოს წევრები ეცდებიან გონივრულ ვითარებაში მიაღწიონ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებული იქნება საბჭოს ყველა წევრის მიერ თავიანთი და გაერთიანების ინტერესების გათვალისწინებით,

ტბნბბბდ ბელშეკრულების მორე მუბლისბ.

შედგბდ მიღებული პრბქტიკბ სრულბდ რომ მოსულიყო შესბბბ-მისობბში სიტყვბ „კომპრომისტბნ“, რომელიც უკავშირდებოდა სპეცი-ფიკურბდ „უმნიშვნელოვბნეს ინტერესებს“, იგი ბშირბდ არ მობხდნდბ გავლენბს გბდბწყვეტილების მიღების პროცესზე. ტუმცბ პრბქტიკბში სბბჰო ღიღბდ არ დბინტერესებულბ რომელიმე სბკითბის კენჭისყრბზე გბტბნით დბ ერთბბბდ მიღების წესი გბვრცელდბ გბდბწყვეტილებბტბ ფბრტო სბქეტრზე, რომელიც სინბმდვილეში არ ბელყოფდბ წვერ კვეყბნბტბ „უმნიშვნელოვბნეს ინტერესებს“. ბსე რომ ლუქსემბურგის კომპრომისს ფორმალურბდ იშვიბტბდ ტუ მიმბრტბვდნენ. ერთი ბსეთი შემბბბვევბ დბფიქსირდბ 1982 წლის მბისში, როდესბც გბერთბბნებული სამეფოს მტბვრობბ შეეცბდბ მოეხდინბ ფერმების ფბსების დბრეგულირების ბლოკირებბ სავსებით სბვბ სბკითბტბნ დბკავშირებული ტბქტიკური მიზნების გბმო (გბერთბბნებული სამეფოს სბბიუ-ჯეტო გბნბილვბ). დბნბრჩენმბ წვერებმბ უბრი გბნბცბბდღეს გბერთბბნებული სამეფოს მოტბზონის მიღებბზე დბ დბრეგულირებბსტბნ დბკავშირებით ოცზე მეტი კბნონპროექტი ბმბტბ კვბლიფიციურ უმრბველესობბზე დბყრდნობით მიიღეს.

შესწორებები სბგბნგებო ევროპული ბქტის ტბნბბბბდ

ბმ შემბბბვევის შემდგე ყველბსბტვის დბ მბტ შორის სბფრბნგეთის მტბვრობისტვისბც ცბბდი გბხდბ, რომ ბმბტბ უმრბველესობის პრინციპი უფრო ბშირბდ უნდბ ყოფილიყო გბმოყენებული. მიუბბდბვბდ იმისბ, რომ „ლუქსემბურგის კომპრომისი“, რომელსბც ფბქტიურბდ არ გბჩნდბ ბრბნბბრი იურიდიული ბბლბ, ჯერ კიღვე მოქმედებს, სბგბნ-გებო ევროპული ბქტის სბფუბქველზე, რომელიც 1987 წლის ივლი-სიღბნ შევიდბ ბბლბში, რომის ბელშეკრულებბში შეტბბნილი ცვლი-ლებების მეშვეობით შემცირდბ იმ სბკითბტბ რიცბვი, რომლებიც გბდბწყვეტილების ერთბბბდ მიღების პრინციპს ექვემდებბრებბბნ. კერბოდ, ბმბტბ კვბლიფიციური უმრბველესობბ შეებებოდა 300-ბმღე ქმედებბს, რომელტბ მიღებბც უნდბ გბნბორციელებულიყო მბ-ს შიდბ ბბზრის სრულყოფის 1992 წლის პროგრამის რბტიფიცირების შემბბბვევბში. მბბსტრისბტის ბელშეკრულებბმბც, რომელიც 1993 წლის ბბნვბრში შევიდბ ბბლბში, გბზბრდბ კვბლიფიციური უმრბველესობის პრინციპის გბმოყენების სპექტრი, მბსში

შევიდა ტრანსპორტთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხებიც. ამ საკითხთა სია კიდევ უფრო გაიზარდა 1999 წლის მაისში მიღებული ამსტერდამის ხელშეკრულების ძალით. შედეგად ზემოხსენებულ სფეროებში აღარ აქვს ადგილი წინადადებების წლობით შეჩერებას ერთი ან ორი წევრის წინააღმდეგობის გამო.

გადაწყვეტილებები მიღებულია

ზემოთ აღწერილ ფონზე ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ ხდება საერთოდ გადაწყვეტილების მიღება, თუ კი გავითვალისწინებთ იმ სირთულეს, რომელიც უკავშირდება 15 სხვადასხვა ქვეყნის დარწმუნებას თვალი დახუჭონ მათ განსხვავებებზე. სინამდვილეში, მრავალი გადაწყვეტილება მიიღება „ურთიერთსამსახურის“ პრინციპით, რომელიც გულისხმობს მთავრობის დათანხმებას კონკრეტულ საკითხებზე, რომლის წინააღმდეგაც არის იგი, სრულიად სხვა საკითხებში თანხმობის მიღების სანაცვლოდ.

ხმათა განაწილება

ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის სისტემის თანახმად წევრ ქვეყნებს ეძლევათ ხმები მათი ტერიტორიის ფართობის მიხედვით. გერმანიას, საფრანგეთს, იტალიასა და გაერთიანებულ სამეფოს გააჩნიათ ათ-ათი ხმა, ესპანეთს რვა, ავსტრიასა და შვედეთს - ოთხ-ოთხი, დანიას, ფინეთს და ირლანდიას - სამ-სამი, ხოლო ლუქსემბურგს ორი ხმა. ვინაიდან წინადადების გასვლისათვის საჭიროა 62 (87-დან) „მბლოკავ უმცირესობას“ სჭირდება 26 ხმა. წინადადების ბლოკირება შეუძლია სამ დიდ სახელმწიფოს ერთად, ან ორ დიდ სახელმწიფოს პლუს ორი მცირე სახელმწიფო (გარდა ლუქსემბურგისა) ამ მინიმუმ ექვს მცირე სახელმწიფოს (თითოეულზე ხუთ-ხუთი ან ნაკლები ხმით). ეს განაწილება 1995 წლის იანვრიდან შეიცვალა, როდესაც კავშირს შეუერთდა სამი ახალი წევრი. ადრე ხმათა მთლიანი რიცხვი შეადგენდა 76-ს, რომლიდანაც კვალიფიციური უმრავლესობისათვის საჭირო იყო 54 ხმა, მბლოკავი უმცირესობისათვის კი 23 ხმა. ესპანეთისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობათა მოთხოვნით, რომელთაც სურდათ ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილებების მიღების გართულება, 1994 წლის მარტში მინისტრთა საბჭოს ბრძანებით, თუ წინადადების წინააღმდეგ დაფიქსირდებოდა 23-დან 25 ხმამდე, წინადადების განხილვა გადა-

იღებოდა გონივრული ღრობით, კომპრომისის მიღწევამდე.

საბჭოს სხვა ვალდებულებები

გარდა მშ კანონმდებლობისა საბჭო ინაწილებს პასუხისმგებლობას ევროპარლამენტთან (თუმცა მისი როლი მეორეხარისხოვანია) გაერთიანების ბიუჯეტის მიღებაზე. მის კომპეტენციაში შედის აგრეთვე სხვა ინსტიტუციების, როგორცაა: ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის, ან აუდიტორული სასამართლოს დანიშვნა. მისი საქმიანობის მრავალფეროვნება კარგად არის ასახული ბრიტანეთის ყოფილი მუდმივი წარმომადგენლის სერ მაიქლ ბატლერის სიტყვებში, რომელმაც განაცხადა:

„ერთი მხრივ, მუდმივი წარმომადგენლების კომიტეტი და საბჭო ერთად წარმოადგენენ წევრ მთავრობებთან საკითხთა ფართო სპექტრის შესახებ მუდმივი მოლაპარაკებების ერთად წარმოების ფორუმს. მეორე მხრივ, ისინი წარმოადგენენ გაერთიანების საკანონმდებლო ორგანოს, მესამე მხრივ კი ღირეუტოროთა უმაღლეს საბჭოს, რომელიც იღებს მრავალ ყოველდღიურ გადაწყვეტილებას გაერთიანების პოლიტიკის შესახებ“?

ადგილმდებარეობა

საბჭო და მისი სამდივნო იუსტუს ლიქსიუს ბილდინგში, ბრიუსელშია. ეს არის ვრცელი და უგემოვნო მავზოლეუმი, რომელიც ბარლეიმონ ბილდინგის მოპირისპირე მხარეს დგას. იგი 1995 წელს გაიხსნა, ამ დრომდე კი საბჭოს ეკავა ბარლეიმონის გვერდით მდგომი შარლემან ბილდინგი. წლის სამი თვის (აპრილი, ივნისი და ოქტომბერი) განმავლობაში სხდომები ტარდებოდა ლუქსემბურგში, (1965 წელს სამი გაერთიანების შერწყმის შემკვიდრეობა), სადაც ადრე განთავსებული იყო ყოფილი ექვშ.

1. Fact Sheet 1/B/2, European Parliament, Directorate-General for Research, 1987.

2. Michael Butler, Europe: More than a Continent, Heinemann, London, 1986, გვ.30

6 ევროსაბჭო

რომის ხელშეკრულებაში არ იყო ნახსენები წევრ ქვეყანათა მთავრობების მეთაურების შეხვედრები და ემპ-ს არსებობის პირველი ათი წლის განმავლობაში ისინი შეხვედრენ მხოლოდ სამჯერ. თანდათანობით ნათელი გახდა მოსაზრებათა რეგულარული გაცვლის აუცილებლობა გაერთიანების სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრისათვის და იმ პრობლემათა გადასაჭრელად, რომლის მოგვარებასაც ვერ ახერხებდა მინისტრთა საბჭო და ევროკომისია ემპ-ს ჩვეული პროცედურების მეშვეობით.

ინაუგურაცია

1974 წლის დეკემბერს პარიზის სამიტზე ოფიციალურად გადაწყდა, რომ მთავრობების მეთაურები წელიწადში სამჯერ უნდა შეხვედრენ ერთმანეთს ევროსაბჭოს ეგიდით.

1975 წლის მარტში დუბლინში გამართული შეხვედრიდან მოყოლებული ევროსაბჭო იკრიბებოდა ამ პრინციპით 1985 წლის დეკემბრამდე, როდესაც შეხვედრათა რიცხვი დაყვანილ იქნა წელიწადში ორამდე. 1990 წლის შემდეგ, როდესაც საჭირო გახდა ორი საგანგებო სამიტის მოწვევა, გადაწყდა, რომ შეხვედრები ჩატარდებოდა წელიწადში სამჯერ ან ოთხჯერაც კი. შეხვედრები ტარდება იმ წევრ სახელმწიფოში, რომელსაც მოცემულ მომენტში უკავია პრეზიდენტის პოსტი მინისტრთა საბჭოში, ხოლო მისი პრემიერ მინისტრი (საფრანგეთის შემთხვევაში კი მისი პრეზიდენტი) ასრულებს თავჯდომარის მოვალეობას და პასუხს აგებს სხდომების ორგანიზებაზე.

სტატუსი

1985 წლის დეკემბერში მიღებულმა საგანგებო ევროპულმა აქტმა კანონიერად სცნო ევროსაბჭო, თუმცა არ განსაზღვრა მისი ძალაუფლება.

სინამდვილეში მას იგივე სტატუსი გააჩნდა, რაც მინისტრთა საბჭოს ჩვეულებრივ სხდომას, თუმცა, იგი ჩვეულებრივ თავს არიდებს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისათვის ფორმალური

სახის მიცემას, უტოვებს რა მათ საგარეო საქმეთა მინისტრების მორიგ სხდომას მოსაზრებების დასამტკიცებლად. ევრო საბჭოს უმთავრესი დანიშნულება ის არის, რომ მისი მოსაზრებები არაფორმალურია. სხდომები ტარდება ეროვნული მოხელეების დასწრების გარეშე, მაგიდასთან მჯდომ მთავრობათა მეთაურებს ახლავს მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრები და კომისიის პრეზიდენტსაც მხარს უჭერს მხოლოდ ერთი ვიცე-პრეზიდენტი. უფრო დაძაბული დისკუსიები ჩვეულებრივ იმართება ფაქტობრივ სესიებს შორის არსებულ ინტერვალებში (რომელიც ორ დღეს გრძელდება), განსაკუთრებით კი სადილის შემდეგ ან პირველი დღის საღამოს, რამდენადაც ყველა თუ არა, უმეტესობა მთავრობის მეთაურებისა ლაპარაკობს ინგლისურად და სინქრონული თარგმანი აღარ არის საჭირო.

მისი მზარდი გავლენა...

ევროსაბჭომ გარკვეულწილად შეცვალა კომისია - როგორც გაერთიანების მამოძრავებელი ძალა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 1974-81წწ., როდესაც მჭიდრო თანამშრომლობაში მყოფი ვალერი ჟისკარ დ'ესტენი და კანცლერი ჰელმუტ შმიდტი ლიდერების როლს ასრულებდნენ. რამდენიმე თვეში მათი ერთდროული გადადგომით აღინიშნა 2-3 წლიანი პერიოდის დასაწყისი, რომლის დროსაც ევროსაბჭომ სულ რამოდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ნაესი 1984 წლის იენისში ფონტენბლოში გატყდა, როდესაც პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანის წყალობით გადაწყდა გაერთიანებული სამეფოს ბიუჯეტთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც თან სდევდა გაერთიანებას რამდენიმე წლის მანძილზე და მოგვარდა ესპანეთის და პორტუგალიის გაწევრიანებასთან დაკავშირებული სიძნელეები.

მას შემდეგ ევროსაბჭოს სხდომებზე მიღებულ იქნა გაერთიანების ახალი მნიშვნელოვანი ინიციატივები, როგორცაა 1992 წლის პროგრამის დაწყება, მბ-ში გაერთიანებული გერმანიის მიღება, ეკონომიკური, სავალუტო და პოლიტიკური კავშირის თაობაზე მთავრობათა შორისი კონფერენციის მოწვევა, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევის ინიციატივა და გადაწყვეტილება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების წარმოების შესახებ. ევროსაბჭო დაეთანხმა აგრეთვე 1985 წლის დეკემბერში ლუქსემ-

ბურგში ხელმოწერილ საგანგებო ევროპულ აქტს, 1991 წლის დეკემბერში მასტრიხტში ხელმოწერილ ევროკავშირის ხელშეკრულებას და 1997 წლის ივნისში მიღებულ ამსტერდამის ხელშეკრულებას.

ამგვარი მნიშვნელოვანი და რთული საკითხების გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სამიტზე, ვინაიდან, მხოლოდ მთავრობის მეთაურებს გააჩნიათ უფლებამოსილება და პოლიტიკური ძალა არამარტო გაატარონ არც თუ ისე სასურველი გადაწყვეტილება, არამედ მოახდინონ მისდამი საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური ძალებისა და ზეწოლის გავლენიანი ჯგუფების შერეება.

...აფერხებს გადაწყვეტილების მიღებას ნაკლებმნიშვნელოვან საკითხებზე.

თუმცა, ისიც არ წარმოადგენს სადავო ფაქტს, რომ რეგულარული სამიტის არსებობა ხშირად აფერხებს გადაწყვეტილების მიღებას ბევრ ნაკლებად მასშტაბურ საკითხებზე, რომელიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვილად გადაწყდებოდა უფრო დაბალი დონის შეხვედრაზე. დროდადრო მთავრობათა მეთაურების მოწვევა ხდებოდა იმ ტექნიკური საკითხების განსახილველად, რომელთა გადაჭრაც ვერ შესძლეს დაქვემდებარებულმა ორგანოებმა მხოლოდ იმის გამო, რომ მოერიდნენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას. ევროსაბჭომ არ უნდა შეასრულოს საბოლოო სააპელაციო სასამართლოს როლი უმნიშვნელოვანესი საკითხების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების გარდა, მაგრამ, როგორც ჩანს ეს ასე არ ხდება.

7 ევროპარლამენტი

ევროპარლამენტის მიზანია მოახდინოს მმ-ს სხვადასხვა ინსტიტუციების დემოკრატიული კონტროლი და დააკისროს მათ პასუხისმგებლობა, თუმცა მისი ძალაუფლება საკმაოდ შეზღუდულია. იგი არ წარმოადგენს გაერთიანების საკანონმდებლო ორგანოს და მის სტატუსს ვერ შევადარებთ წევრ-სახელმწიფოთა ეროვნული პარლამენტებისას. ევროპარლამენტი წარმოადგენს მქვზ ასამბლეის მემკვიდრეს, რომელიც დაარსდა სტრასბურგში, როგორც მრჩეველთა ორგანო. 1952 წლის სექტემბერში მასში შედიოდა 78 წევრი, ყველა მათგანი იყო ეროვნული პარლამენტების წევრი, რომლის ძირითად ფუნქციებსაც ემატებოდა ასამბლეაზე დასწრების მოვალეობა. 1958 წელს ასამბლეა 142 წევრამდე გაიზარდა, როდესაც მისმა კომპეტენციამ მოიცვა მმ-სა და ევრატიომის ფუნქციებიც, რომლებიც მქვზ შეუერთდნენ 7 წლის შემდეგ. 1973 წელს ასამბლეა 198 წევრამდე გაიზარდა დანიის, ირლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს გაწევრიანების შედეგად, ხოლო მისი ძალაუფლება ოდნავ გაიზარდა 1970 წლის აპრილში ლუქსემბურგში და 1975 წლის ივლისში ბრიუსელში ხელმოწერილი ხელშეკრულებების ძალით.

1979 წლის პირდაპირი არჩევნები

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო 1979 წლის ივნისში საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა, როდესაც 4 დღეში არჩეულ იქნა 410 წევრი ცხრა წევრ სახელმწიფოდან. 1984 წლის ივნისში დანიშნულ მეორე პირდაპირ არჩევნებში არჩეულ იქნა ევროპარლამენტის წევრები ათი წევრ სახელმწიფოდან. აქედან საფრანგეთიდან, დასავლეთ გერმანიიდან, იტალიიდან და გაერთიანებული სამეფოდან 81 წევრი, ნიდერლანდებიდან 25 წევრი, ბელგიიდან და საბერძნეთიდან 24, დანიიდან 16, ირლანდიიდან 15 და ლუქსემბურგიდან 6 წევრი. მოგვიანებით შეემატა 60 წევრი ესპანეთიდან, 24 - პორტუგალიიდან. სულ 518 წევრი. ეს გაცილებით დიდი მოცულობის პარლამენტი, შემდგარი 518 სრულ განაკვეთიანი წევრისაგან, არჩეული დაახლოებით 100 მლნ. ადამიანის მიერ, არ სარგებლობდა მის წინამორბედ ნახევარგანაკვეთიანი წევრებისაგან შემდგარ პარლამენტზე მეტი ძალაუფლებით. (ამ ბოლო პარლამენტის შემადგენლობა გაიზარდა

626-მდე, ავსტრიის, ფინეთისა და შვედეთის 59 წევრის დამატებით). მოსალოდნელი იყო მუდმივი კონფლიქტი პარლამენტსა და მინისტრთა საბჭოს შორის, ისევე, როგორც დიდი დაპირისპირება ევროპარლამენტის წევრებს შორის.

ევროპარლამენტის წევრები.

ევროპარლამენტის წევრების არჩევა ხდება 5 წლიანი ფიქსირებული ვადით, მორიგი არჩევნები დანიშნულია 2004 წლისთვის. რომის ხელშეკრულების 138-ე მუხლის თანახმად ყოველ წევრსახელმწიფოში უნდა მოქმედებდეს ერთნაირი საარჩევნო სისტემა. 1982 და 1993 წლებში პარლამენტმა თავად წარმოადგინა ამგვარი სისტემა, მაგრამ მინისტრთა საბჭომ ვერ მიიღო ეს წინადადება უმეტესწილად იმ მიზეზით, რომ ბრიტანეთის მაშინდელ მთავრობას არ სურდა პროპორციული წარმომადგენლობის (პწ) სასარგებლოდ მისი არსებული სისტემის დათმობა. ამრიგად, ჩატარდა პირველი ოთხი პირდაპირი არჩევნები წევრ-სახელმწიფოში მოქმედი სხვადასხვა საარჩევნო სისტემების მეშვეობით, თუმცა ყველა, გარდა ბრიტანეთისა, იყენებდა პწ-ს ვარიანტებს. 1997 წლის მაისში ბრიტანეთში არჩეულმა ლეიბორისტულმა მთავრობამ განაცხადა, რომ გაერთიანებული სამეფოც მიიღებდა პწ-ს 1999 წლის ივნისისათვის დაგეგმილი შემდგომი ევროპარლამენტის არჩევნებისათვის. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები ჩატარდა 15 სხვადასხვა სისტემის მიხედვით, პირველი ევროპარლამენტარები არჩეულ იქნენ პროპორციული წარმომადგენლობის წესით.

ხელფასი. ევროპარლამენტარების ხელფასი იგივეა, რაც მათივე ქვეყნის პარლამენტარებისა, რაც გულისხმობს იმას, რომ მათი ხელფასები სხვადასხვა ოდენობისაა, რომელთაგანაც ყველაზე მაღალია საფრანგეთის და გერმანიის წარმომადგენლის, ყველაზე დაბალი კი პორტუგალიის წარმომადგენლის ხელფასი. გარდა ამისა, იგივე წესით ყველა წევრზე გამოიყოფა საკმაოდ დიდი თანხები მგზავრობისათვის, წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის, გამოკვლევებზე და სამდივნოებზე.

პოლიტიკური ჯგუფები. ევროპარლამენტარები ქმნიან - არა ეროვნულ დელეგაციებს, არამედ მრავალეროვნულ პოლიტიკურ

ჯგუფებს. 1999 წლის არჩევნების შემდეგ ევროპარლამენტში 7 ასეთი ჯგუფია, ხოლო 27 პარლამენტარმა ამჟობინა არ გაერთიანებულიყო არც ერთ ჯგუფში. ჩამოყალიბდა შემდეგი ჯგუფები:

ევროპის ხალხთა პარტია (ქრისტიან დემოკრატები)	
(მსკ)	233
ევროპის სოციალისტთა პარტია (მსკ)	180
ევროპის ლიბერალ დემოკრატიული და რეფორმისტული ჯგუფი (ელდრ)	50
მწვანეები/ ევროპის თავისუფალი ალიანსი (მთა)	48
ევროპის გაერთიანებულ მემარცხენეთა/ ჩრდილოეთის მწვანეთა მემარცხენე ჯგუფები (მბმ/ჩმმ)	30
ევროპის ერთა კავშირი (ემკ)	
დემოკრატიებისა და მრავალფეროვნების ევროპა	16
დამოუკიდებელი წევრები (არაგაწევრიანებული)	27
სულ	626

ორი უდიდესი ჯგუფი ერთად შეადგენს პარლამენტის ორ მესამედს და როდესაც ისინი ერთად მუშაობენ, მათ ძალა შესწევთ მოახდინონ მის საქმიანობაზე დომინირება. ევროპის ხალხთა პარტია მოიცავს ქრისტიან დემოკრატებსა და მემარჯვენე ცენტრისტულ პარტიებს ყველა წევრ-სახელმწიფოდან. მათ შორისაა ფიან გეილი ირლანდიიდან და ოლსტერის უნიონისტთა პარტია. ბრიტანეთის კონსერვატორები მიეკუთვნებიან ჯგუფს, მაგრამ არა თავად პარტიას. ევროპის სოციალისტთა პარტია მოიცავს ლეიბორისტებს, სოციალისტებს ან სოციალ დემოკრატიულ პარტიებს 15-ივე წევრი სახელმწიფოდან. მათ შორისაა: იტალიის ყოფილი კომუნისტური პარტია, რომელსაც შემდგომში ეწოდა დემოკრატიული სოციალიზმის პარტია, ევროპის ლიბერალური დემოკრატიული და რეფორმისტული ჯგუფი, რომელშიც უდიდეს კონტინგენტს წარმოადგენენ ბრიტანეთის ლიბერალ-დემოკრატები. ამ ჯგუფში შედის ირლანდიის დამოუკიდებლობის პარტიის ერთი წევრი, რომელიც ჯგუფის ლიდერის მოვალეობას ასრულებს.

მწვანეების მთა ჯგუფი მოიცავს პარლამენტის 38 წევრს 11 წევრი სახელმწიფოს მწვანეთა პარტიებიდან, ასევე 10 წევრს შოტლანდიის, უელსის, ბასკეთის, გალიციისა და ანდალუზიის თვითმმართველობის და სეპარატისტული პარტიებიდან; ევროპის გაერთი-

ანებულ მემარცხენეთა/ ჩრდილოეთის მემარცხენე მწევანეების კონფედერაციული ჯგუფი მოიცავს წევრებს: დანიის, ფინეთის, გერმანიის, საბერძნეთის, იტალიის, ნიდერლანდის, ესპანეთისა და შვედეთის მემარცხენე /მწევანეთა პარტიებიდან, ისევე, როგორც კომუნისტური პარტიების წევრებს საფრანგეთიდან, საბერძნეთიდან და პორტუგალიიდან. ევროპის ერთა კავშირის ჯგუფში შედიან: ევროპარლამენტარები საფრანგეთიდან, იტალიიდან, ირლანდიიდან, დანიიდან და პორტუგალიიდან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ევროპის შემდგომ ინტეგრაციას. ევროპის დემოკრატიისა და მრავალფეროვნების ჯგუფს შეადგენს ექვსი წევრი საფრანგეთის პრო-ნადირობის/ სოფლის ტრადიციების და დაცვის ჯგუფებიდან, სამი წევრი გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტიიდან, ევროკავშირის მოწინააღმდეგე ოთხი დანიელი წევრი და სამი პოლანდიელი კალვინისტი. დამოუკიდებელ წევრებს ძირითადად შეადგენენ უკიდურესი მემარჯვენეთა ჯგუფები, მათ შორის: იენ პეისლი - დემოკრატიულ იუნიონისტთა პარტიიდან, იტალიელი რადიკალები და ერთი ბასკი სეპარატისტი (იხ. დანართი №6)

ევროპარლამენტში კენჭისყრა ნაკლებად დისციპლინირებულია, ვიდრე უმეტეს ეროვნულ პარლამენტში და ხშირად იქმნება სპეციალური კოალიციები ისეთი საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივ იდეოლოგიურ და ეროვნულ საზღვრებს. აქედან გამომდინარე, ხშირად წარმოიქმნება გაურკვეველობა იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება პარლამენტში კენჭისყრა.

ევროპარლამენტის არჩევნები.

1979 წლიდან ევროპარლამენტის არჩევნები ხდება ყველა წევრ სახელმწიფოში ერთდროულად ხუთი წლის ვადით. უფლებამოსილების ვადაზე ადრე გაუქმება გათვალისწინებული არ არის. უნდა არსებობდეს ერთიანი საარჩევნო სისტემა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეთანხმება ამ საკითხზე არ არის მიღწეული. შესაბამისად ყველა წევრი-სახელმწიფო იყენებს საკუთარ სისტემას, რომელიც უმეტესწილად წააგავს საარჩევნო სისტემას, რომელიც გამოიყენება საკუთარი ეროვნული პარლამენტის არჩევნებისას.

ჩატარდა შემდეგი არჩევნები:

- 1979 წელს ივნისის 7-10 რიცხვებში ჩატარდა არჩევნები ცხრა წევრ-სახელმწიფოში. საბერძნეთში, რომელიც გაერთი-

ანებაში 1981 წლის 1 იანვარს გაწვევრიანდა, არჩევნები ჩატარდა 1981 წლის 18 ოქტომბერს, რომელზედაც არჩეულ იქნა 24 წევრი.

- 1984 წლის არჩევნები ათ წევრ სახელმწიფოში ჩატარდა 1984 წლის 14-17 ივნისს. ესპანეთში და პორტუგალიაში, რომლებიც ეპ-ში 1986 წლის 1 იანვარს შევიდნენ არჩევნები ჩატარდა 1987 წლის 10 ივნისსა და 19 ივლისს.
- მესამე არჩევნები, რომელიც ყველა ქვეყანაში ერთდროულად წარიმართა, ჩატარდა 1989 წლის 15-18 ივნისს.
- ცალკე ჩატარდა არჩევნები 1995 და 96 წლებში ახალ წევრ სახელმწიფოებიდან - ავსტრია, ფინეთსა და შვედეთიდან 59წევრის ასარჩევად, რამაც წევრთა საერთო რაოდენობა 626-მდე გაზარდა.
- მეოთხე არჩევნები, 576 წევრის შემცველი გაფართოებული შემადგენლობის ასარჩევად, ჩატარდა 1994 წლის 9-12 ივნისს
- მეხუთე არჩევნები, 626 წევრის ასარჩევად, ჩატარდა ყველა წევრ-სახელმწიფოში ერთდროულად 1999 წლის 10-13 ივნისს

1999წელს გამოყენებული საარჩევნო სისტემები და თითოეულ ქვეყნიდან წევრთა რაოდენობა მოყვანილია ცხრილში №2

ცხრილი №2 ევროპარლამენტის არჩევნები 1999

ქვეყანა	ადგილი	კენჭისყრის მეთოდი
ავსტრია	21	პწ ეროვნული სიები
ბელგია	25	პწ ეროვნული სიები
დანია	16	პწ ეროვნული სიები
ფინეთი	16	პწ ეროვნული სიები
საფრანგეთი	87	პწ ეროვნული სიები
გერმანია	99	პწ ეროვნული სიები
საბერძნეთი	25	პწ ეროვნული სიები
ირლანდია	15	პწ მაჟორიტ. სიები
იტალია	87	პწ რეგიონული სიები

ქვეყანა	ადგილი	კენჭისყრის მეთოდი
ლუქსემბურგი	6	პწ ეროვნული სიები
ნიდერლანდი	31	პწ ეროვნული სიები
პორტუგალია	25	პწ ეროვნული სიები
ესპანეთი	64	პწ რეგიონული სიები
შვედეთი	22	პწ ეროვნული სიები
გაერთიანებული სამეფო	87	პწ რეგიონული სიები
სადაც:		
ჩრდილოეთ ირლანდია	3	პწ მაჟორიტარული სიები

ევროპარლამენტის უფლებამოსილება

ევროპარლამენტს აკისრია კომისიისა და საბჭოს ზედამხედველობის მოვალეობა, საკანონმდებლო პროექტში განაწილების უფლება და საბიუჯეტო ძალაუფლებანი.

ზედამხედველობის უფლებამოსილება

ზედამხედველობის უფლებამოსილება, რომელიც განსაზღვრულია რომის ხელშეკრულებით, მოიცავს კომისიისათვის კითხვების დასმის უფლებას წერილობით თუ სიტყვიერი ფორმით, წლიური საერთო ანგარიშის განხილვისა და წლიური ბიუჯეტის უარყოფის უფლებას და უნდობლობის ვოტუმის ამოქმედების უფლებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომისიის, როგორც ორგანოს გადაყენება. ამრიგად, 1997 წელს კომისიისადმი წაყენებულ იქნა 3737 წერილობითი და 913 სიტყვიერი შეკითხვა, მინისტრთა საბჭოსადმი კი 377 წერილობითი და 546 სიტყვიერი შეკითხვა. კითხვებზე პასუხები გასცეს მოცემულ მომენტში პრეზიდენტის პოსტზე მყოფი ქვეყნის მინისტრებმა, რომლებიც ამ მიზნით ესწრებიან პარლამენტის ყოველ პლენარულ სესიას. 1981 წლიდან პრაქტიკა შეიცვალა და ახლა თავად ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი აკეთებს პირად ანგარიშს პარლამენტის წინაშე ევროსაბჭოს ყოველი სხდომის შემდეგ. პარლამენტს შეუძლია განახორციელოს უფრო ინტენსიური ზედამხედველობა კომისიაზე, ვიდრე ამას ხელშეკრულება ითვალისწინებს, რადგან კომისიის უფროსი მოხელეები და წევრები ესწრებიან მისი

კომიტეტების სხდომებს და კომისია წინასწარ წარუდგენს მუშაობის წლიურ ანგარიშს პარლამენტს, ისევე, როგორც წლიურ ანგარიშს, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ხელახალ განხილვას.

პარლამენტის უფლება - დაითხოვოს კომისია მრავალი წლის განმავლობაში მხოლოდ თეორიულად არსებობდა. უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების პროცედურის დაწყება შესაძლებელია ევროპარლამენტის უმრავლესობის ხმათა ორი მესამედის მოგროვების შემთხვევაში. უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება ცალკეული კომისრის მიმართ არ არის გათვალისწინებული, თუმცა ეს უფრო ეფექტური სანქცია იქნებოდა. პრაქტიკაში ევრო-პარლამენტარები კომისიის დათხოვნის უფლებას მიიჩნევდნენ ბირთვული იარაღის ფლობის ანალოგად, რომლის ფაქტიურად გამოყენების შედეგებზე ფიქრიც კი შეეზარავია. და მაინც 1999 წლის მარტში, როდესაც პარლამენტმა ვერ შესძლო ედიტ კრესონის - პროტექციონიზმში და სხვა დარღვევებში დადანაშაულებული ფრანგი კომისრის გადაყენება, ნათელი გახდა, რომ პარლამენტის წევრთა დიდი უმრავლესობა მხარს დაუჭურდა მთლიანი კომისიის დათხოვნას. ამის მომლოდინე სანტერის კომისია ერთიანად გადადგა, რითაც ევროკავშირის საქმეებს მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნა. ზემოხსენებულის ერთ-ერთი შედეგი უდავოდ იყო პარლამენტის წონის გაზრდა და მინისტრთა საბჭოსა და კომისიის მხრიდან მის მიმართ მეტი სიფრთხილის გამოჩენა.

მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად პარლამენტს მიეცა უფლება დაენიშნა ევროპის ომბუდსმენდი, რომელიც განიხილავდა საჩივრებს ევროკავშირის ინსტიტუციების არასათანადო ფუნქციონირების თაობაზე, განსხვავებულს უზენაესი სასამართლოსაგან. 1995 წლის ივლისში დაინიშნა პირველი ომბუდსმენი იაკობ ზოდერმანი. მას უფლება აქვს მიიღოს საჩივარი კავშირის ნებისმიერი მოქალაქისაგან, წევრ ქვეყანაში მცხოვრები ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, რომლის ოფისიც რეგისტრირებულია ევროკავშირში. 1997 წლის ბოლოსათვის ომბუდსმენდმა მიიღო 2257 საჩივარი, თუმცა მათგან მხოლოდ ერთი მეოთხედი იყო განსახილველი, ვინაიდან სხვა დანარჩენი არ შედიოდა ევროგაერთიანების იურისდიქციაში. მოცემულ მომენტში ომბუდსმენდი ცდილობს ფართოდ გაავრცელოს ინფორმაცია მისი ინსტიტუციონალური როლის შესახებ, რათა თავიდან იქნას აცილებული საჩივრის დაკმაყოფილების შესაძლებ-

ლობების ფუჭი მოლოდინი.

საკანონმდებლო როლი. პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქცია ძირითადად მრჩევლის როლს წარმოადგენს. ხელშეკრულებებში მოცემულია მთელი რიგი სფეროები, სადაც მინისტრთა საბჭო ვერ მიიღებს ვერანაირ კანონს ევროსაბჭოსთან კონსულტაციის გარეშე. გარდა ამ სავალდებულო კონსულტაციისა ევროპარლამენტს, როგორც წესი იწვევენ კომისიის მიერ წარმოდგენილი დირექტივებისა და წესების კანონპროექტებზე შეხედულების გამოსათქმელად.

პარლამენტის მიერ შემოთავაზებული შესწორებები კომისიამ შეიძლება ჩართოს საბჭოსთვის წარდგენილ კანონპროექტში, მაგრამ უარყოფის შემთხვევაში კომისია ვალდებულია აუხსნას პარლამენტს მიზეზები, თუ რატომ არ იყო ეს შესწორებები გაზიარებული.

ევროპარლამენტის საკანონმდებლო როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა საგანგებო ევროპული აქტის მიღების შემდეგ 1987 წლის ივლისში და 1993 წლის ნოემბერში მიღებული მასტრიხტის ხელშეკრულების ძალით. ეს უზრუნველყოფს პარლამენტის მიერ კონსულტაციების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამონაწილეობას, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს მის უნარს შესწორებები შეიტანოს კანონში. ამასთან „უარყოფითი თანხმობის“ პროცედურის მეშვეობით აძლევს მას უფლებას ვეტო დაადოს ზოგიერთ კანონპროექტს ხმათა უმრავლესობის პრინციპზე დაყრდნობით. მასტრიხტის ხელშეკრულება აძლევს პარლამენტს ინიციატივის შემოტანის ახალ უფლებას, რითაც კომისიას მხოლოდ ხმათა უმრავლესობით შეეძლება წინადადების შემოტანა ნებისმიერ სფეროში. ხელშეკრულება ასევე უფლებას ანიჭებს ევროკავშირის ყველა მოქალაქეს პეტიციით მიმართოს პარლამენტს, თუ საქმე ეხება პირდაპირი და ინდივიდუალური მნიშვნელობის საკითხს. ამასთან იგი უფლებამოსილებას ანიჭებს პარლამენტს დანიშნოს ომბუდსმენი, რომელიც განიხილავს საჩივრებს ე.წ. მ.პ.ს-ის ინსტიტუციების არასრულყოფილი ფუნქციონირების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ საქმე იურიდიულ ჩარევას არ მოითხოვს, პარლამენტს შეუძლია წევრთა ერთი მეოთხედის მოთხოვნით შექმნას დროებითი კომიტეტი, რომელიც გამოიკვლევს განცხადებებს კანონმდებლობის არასრულყოფილი ფუნქციონირებისა ან კანონის დარღვევების შესახებ. ამსტერდამის ხელშეკრულებით, რომელიც 1999 წლის მაისში შევიდა ძალაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში

თანამონაწილეობის უფლება, რომელიც პარლამენტს აძლევს შესაძლებლობას ვეტო დაადოს განსახილველ კანონპროექტს, გაფართოვდა და მოიცვა ევროკავშირის კომპეტენციაში შემავალი პოლიტიკური სფეროების უმრავლესობა. მიუხედავად ამ ცვლილებებისა პარლამენტი ჯერ კიდევ ვერ ახერხებს იყოს მინისტრთა საბჭოს თანაბარი პარტნიორი საკანონმდებლო პროცესში.

საბიუჯეტო უფლებამოსილება. პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილება უფრო არსებითია. იგი ოფიციალურად ითვალისწინებს საბიუჯეტო ძალაუფლების განაწილებას მინისტრთა საბჭოსთან და მისი თანხმობის გარეშე შეუძლებელია ბიუჯეტის დამტკიცება. მიუხედავად ამისა, მისი გავლენა თუმცა კი მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საბჭოს გავლენა, ზემოხსენებული ამის ნათელი ილუსტრაციაა.

საბიუჯეტო პროცესი მოიცავს ხუთ ეტაპს.

1. მომავალი წლის ბიუჯეტის კანონპროექტის წარდგენა მინისტრთა საბჭოს წინაშე, რაც კომისიის კომპეტენციაში შედის, ხდება მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის.

2. საბჭოს შესწორებები შეაქვს კანონპროექტში. მუდმივად ამცირებს შემოთავაზებულ ხარჯებს და შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს, რომელიც 5 ოქტომბრამდე წარედგინება პარლამენტს.

3. პარლამენტს თავისი პოზიციის გამოსახატავად აქვს 45 დღე. მან შეიძლება შემოიტანოს წინადადება ბიუჯეტის სავალდებულო ნაწილის მოდიფიკაციასა და არასავალდებულო ნაწილში შესწორებების შეტანაზე. სავალდებულო ნაწილი (ამჟამად მთლიანი ბიუჯეტის 66%) მოიცავს ხარჯებს უშუალოდ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მუხლებზე (ძირითადად სოფლის მეურნეობაზე). არასავალდებულო ნაწილი მოიცავს ევროგაერთიანების მიერ გათვალისწინებულ ხარჯებს სხვა მუხლებზე. პარლამენტს თავისუფლად შეუძლია შესწორებების შეტანა, თუმცა მას არ შეუძლია გადააჭარბოს ყოველწლიურად საბჭოს მიერ დადგენილ ე.წ. „მაქსიმალურ ღონეს“.

4. საბჭო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სავალდებულო ხარჯებში პარლამენტის მიერ შემოთავაზებული ცვლილებების შეტანაზე, რომელზედაც მან შეიძლება უარი განაცხადოს. თუ მოდიფიკაცია არ შეიცავს ხარჯების გაზრდას, მაშინ, საბჭოს მიერ მისი

მიღებისათვის საჭიროა ხმათა კვალიფიციური უმრავლესობა. თუ ცვლილებები გულისხმობს სავალდებულო ხარჯების გაზრდას, მაშინ მისი უარყოფისთვის საჭიროა პოზიტიური უმრავლესობა. საბჭოს ასევე შეუძლია არასავალდებულო ნაწილში პარლამენტის მიერ შეტანილი ცვლილებების უარყოფა. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ამ ორ ინსტიტუციას შორის კომპრომისის მიღწევა „მორიგების პროცედურის“ მეშვეობით.

5. პარლამენტს შეუძლია ამ ცვლილებებში შესწორებების შეტანა და შემდგომ ბიუჯეტის დამტკიცება. მან შეიძლება უარი განაცხადოს ბიუჯეტის დამტკიცებაზე წევრების უმრავლესობით წარმოდგენილ ხმათა ორი მესამედით.

პარლამენტმა სამჯერ განაცხადა უარი ბიუჯეტის დამტკიცებაზე, რამაც განაპირობა გაერთიანების ახალი კალენდარული წლის დასაწყისის დამტკიცებული ბიუჯეტის გარეშე. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მთლიანი ხარჯები იზღუდება წინა წლის ბიუჯეტის 1/12-ით. ყოველ ასეთ შემთხვევაში პარლამენტმა მოგვიანებით მიიღო კანონპროექტი, რომელიც მხოლოდ მცირედ გავსისწავლდებოდა თავიდან დაწუნებულ პროექტისაგან. საერთოდ წარმატების მიღწევა უფრო ხშირად ხდებოდა დადგენილი მორიგების პროცედურის გამოყენებითა და მინისტრთა საბჭოში ერთ წევრი სახელმწიფოს მეთორვე წინააღმდეგ განწყობით, ვიდრე პროექტის პირდაპირი უარყოფით. თუმცა ყოველწლიურად ადგილი აქვს საბჭოსა და პარლამენტს შორის ნებათა დაპირისპირებას, რომელშიც ამ უკანასკნელს მუდმივად სურს უფრო დიდი ბიუჯეტი, ხოლო პირველი ნაკლებ ყურადღებას უთმობს სოფლის მეურნეობას. ევროპარლამენტარები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სავალდებულო ხარჯებში შესწორებების შეტანის თაობაზე თავიანთი უუნარობისა და საბჭოსათვის მინიჭებული „მაქსიმალური ღონის“ განსაზღვრის უფლების გამო.

ადგილმდებარეობა

წევრ-სახელმწიფოებს ჯერ არ შეუსრულებიათ გათვალისწინებული მოვალეობა პარლამენტის მუდმივი ადგილმდებარეობის დამკვიდრების შესახებ. პარლამენტის ეფექტურობაზე უარყოფით გავლენას ახდენს მისი საქმიანობის გეოგრაფიული დანაწევრება. ყოველთვიური პლენარული სესიები ტარდება სტრასბურგში (დამატებითი სხდომები ეწყობა ბრიუსელში), კომიტეტების უმრავლეს-

სობის სხდომები იმართება ბრიუსელში, ხოლო სამდივნოს ძირითადი ნაწილი განთავსებულია ლუქსემბურგში. ეს და ამასთან ის ფაქტიც, რომ საჭიროა საქმიანობის წარმართვა 11 სხვადასხვა ენაზე სინქრონული თარგმნის მეშვეობით და ლოკუმენტების თარგმნა 11-ივე ენაზე, მნიშვნელოვნად ზრდის ინსტიტუციის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებს, რაც 1997 წელს შეადგენდა 884 მლნ ეკიუს (\$1.020 მლნ ან £ 630 მლნ.).

ევროპარლამენტართა უმრავლესობას უთუოდ ურჩევნია, რომ პარლამენტის საქმიანობის კონცენტრირება მოხდეს ბრიუსელში, მაგრამ ლუქსემბურგისა და საფრანგეთის მთავრობები შეუპოვრად ილაშქრებენ ამის წინააღმდეგ და სწორედ მათ შეაფერხეს გადაწყვეტილების მიღება ევროპარლამენტისათვის მუდმივი ადგილმდებარეობის განსაზღვრის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად ეს ერთ-ხმად უნდა მომხდარიყო. ამსტერდამის ხელშეკრულების ოქმით, რომელიც 1997 წლის ივნისში იქნა მიღებული, დადგინდა, რომ წელიწადში 12 პლენარული სესია, საბიუჯეტო სესიის ჩათვლით კვლავაც სტრასბურგში ჩატარდება, დამატებითი პლენარული სესიები და კომიტეტის სხდომები გაიმართება ბრიუსელში, ხოლო სამდივნო ლუქსემბურგში დარჩება.

სესიები

ჩვეულებრივ პარლამენტის პლენარული სესიები ტარდება ერთი კვირის განმავლობაში ყოველ კალენდარულ თვეს, აგვისტოს გარდა, ასევე ეწყობა დამატებითი სესიები მარტსა და ოქტომბერში, რომელზედაც განიხილება სოფლის მეურნეობის ფასები და წლიური ბიუჯეტი. ამ საქმიანობის უმეტესი ნაწილი წარმოებს კომიტეტებსა და ქვეკომიტეტებში, რომელთა რიცხვიც შეადგენს 45-ს. მათი შეხვედრები ჩვეულებრივ ყოველი თვის ორი კვირის განმავლობაში გრძელდება. დარჩენილი ერთი კვირა კი ეთმობა არჩევნებთან დაკავშირებულ საქმიანობას.

8 ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი და რეგიონების კომიტეტი

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი წმინდად მრჩეველის ფუნქციას ასრულებს, მაინც აუცილებელია ევროკომისიისა და მინისტრთა საბჭოს მხრიდან მასთან კონსულტაცია მთელ რიგ საკითხებზე. რომის ხელშეკრულებაში ჩამოთვლილია სფეროები, რომლებშიც დირექტივების და წესების მიღებამდე კონსულტაციები დებულებით არის გათვალისწინებული. მაგრამ საბჭო, ისევე როგორც კომისია, სხვა მრავალი საკითხის შემთხვევაში ჩვეულებრივ მიმართავს მსპ-სთან კონსულტაციას. საერთოდ თითქმის არ არსებობს შეზღუდვები მსპ-ს მიერ აზრის გამოთქმაზე იმ საკითხების შესახებ, რომელთა შეთავაზებაც სურთ მის წევრებს.

კონტინგენტი

მსპ-ს კონტინგენტი შედგება გაერთიანების მასშტაბით არსებულ ინტერესთა ჯგუფებისაგან. იგი ქმნის შეხმატკბილებულად მოქმედ წარმომადგენელთა საბჭოს, როდესაც მათთან დაკავშირებული კანონის განხილვაა განზრახული. წევრები იყოფიან სამ ჯგუფად:

- I ჯგუფი - წარმოადგენს დამქირავებლებს;
- II ჯგუფი - წარმოადგენს მუშა-მოსამსახურეებს;
- III ჯგუფი - წარმოადგენს სხვადასხვა ჯგუფების, როგორცაა: მომხმარებელთა, ფერმერთა, თვითდასაქმებულთა, მეცნიერთა და სხვა ჯგუფთა ინტერესებს.

წევრთა დანიშვნა ხდება მინისტრთა საბჭოს მიერ მთავრობების წარდგენით, რომლებიც, როგორც წესი, კანდიდატების დასახელებამდე კონსულტაციებს ატარებენ ინტერესთა უმნიშვნელოვანეს ჯგუფებთან, განსაკუთრებით პროფკავშირებთან და დამქირავებელთა ორგანიზაციებთან. მოცემულ მომენტში კონტინგენტი შეადგენს 222 წევრს, აქედან 24-24 საფრანგეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან და გაერთიანებული სამეფოდან. 21-ესპანეთიდან, 9-9 წევრი დანიიდან, ფინეთიდან და ირლანდიიდან და 6 წევრი - ლუქსემბურგიდან. წევრთა დანიშვნა ხდება 4 წლიანი განახლებადი ვადით. არსებული

კომიტეტის ვადა იწურება 2002 წლის სექტემბერს. მსპ ირჩევს თავჯდომარეებს ორი წლით, როგორც წესი თავჯდომარის პოსტი სამ ჯგუფს შორის განიცდის როტაციას. მსპ-ს წევრები მუშაობენ ნახევარი განაკვეთით და ნახევარ განაკვეთს უთმობენ თავიანთ ჩვეულ სამსახურს.

ადგილმდებარეობა და მუშაობის პრაქტიკა

მსპ-ს სათაო ოფისი განთავსებულია ბრიუსელში და სხდომებიც ყოველთვიურად იქ ტარდება. დეტალური სამუშაოები ტარდება სპეციალიზებულ სექციებში (ჩვეულებრივ 9 სექცია). რომლებიც ამზადებენ მოსაზრებათა პროექტს მსპ-ს პლენარულ სხდომაზე მისაღებად. არსებობს შემდეგი სექციები:

- სოფლის მეურნეობის
- ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის
- ენერგეტიკის და ბირთვული საკითხების
- ეკონომიკური და ფინანსური საკითხების
- ინდუსტრიის, ვაჭრობის, ხელოსნობის და მომსახურების
- სოციალური საკითხების
- რეგიონული განვითარების
- გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სამომხმარებლო საკითხების

ისეთი საკითხების განხილვისას, როგორცაა მუშა-მოსამსახურეთა უფლებები ან მენეჯმენტი, მსპ ჩვეულებრივ იყოფა მემარცხენე და მემარჯვენე ფრთებად. ოპოზიციაში როგორც წესი, იმყოფებიან I და II ჯგუფის წევრები. ასეთ შემთხვევაში III ჯგუფის წევრების ხმები გადაამწყვეტ მნიშვნელობას ღებულობს და უფრო ხშირად ისინი უპირატესობას ანიჭებენ პროფკავშირების მხარდაჭერას, ვიდრე მეწარმეებისას. მსპ-ს მიერ განხილული საკითხებიდან უმრავლეს შემთხვევაში უთანხმოება წარმოიქმნება ჯგუფებს შიგნით და არა მათ შორის. წინააღმდეგობრივი ხასიათის პოლიტიკური განხილვისას მსპ-ს გავლენა, რომელმაც 1998 წლისთვის 2,500-ზე მეტი მოსაზრება გამოთქვა, ძალზე იშვიათადაა თვალსაჩინო. ის არე, სადაც მსპ-ს შეუძლია და ახდენს კიდევ ზეგავლენას გაერთიანების კანონმდებლობაზე არის ტექნიკური საკითხები, რამდენადაც

მისი წევრების მიერ ჩატარებული ექსპერტიზა ხშირად გადაწყვეტია.

რეგიონების კომიტეტი

მსგავსი ორგანო, ცნობილი რეგიონების კომიტეტის სახელით, დაარსდა მასტრიხტის ხელშეკრულების ძალით. მისი პირველი სხდომა გაიმართა 1994 წლის მარტში, კომიტეტს ხშირად მიმართავენ მოსაზრებების გამოსათქვამად მშ-ის იმ კანონების შესახებ, რომლებიც სავარაუდოდ დიდ გავლენას იქონიებენ ამა თუ იმ რეგიონზე. კერძოდ, ამ კომიტეტთან სავალდებულოა კონსულტაციების ჩატარება შემდეგ სფეროში:

- განათლება, პროფესიული დაოსტატება და ახალგაზრდობა;
- კულტურა;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობა;
- ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელები, ტელეკომუნიკაცია და ენერგეტიკა;
- ეკონომიკური და სოციალური შერწყმა.

მსკ-ს მსგავსად მასში შედის 222 წევრი, დანიშნული ოთხწლიანი განახლებადი ვადით. ეროვნული საწევრო კვოტები იგივეა რაც მსკ-ში. კომიტეტი განთავსებულია ბრიუსელში და თავდაპირველად მას მსკ-თან ზიარი შენობა და სამდივნო ჰქონდა. 1997 წლიდან კი საკუთარი შტაბ-ბინა აქვს.

9 სასამართლო

ხელშეკრულების თანახმად, გაერთიანების მასშტაბით კანონის მოქმედების შემოწმების ამოცანას ასრულებს სასამართლო, რომელიც განთავსებულია ლუქსემბურგში.

შემადგენლობა

სასამართლო ამჟამად შედგება 15 მოსამართლისაგან (თითო-თითო ყოველი წევრ სახელმწიფოდან) და 9 გენერალური ადვოკატისაგან. მოსამართლეთა არჩევას ახდენს მინისტრთა საბჭო, წევრ სახელმწიფოთა წარდგენის საფუძველზე, რომელთა დამოუკიდებლობა ეჭვგარეშეა და რომლებიც ფლობენ თავიანთ ქვეყანაში უმაღლეს იურიდიულ თანამდებობაზე დანიშნვისათვის საჭირო კვალიფიკაციას, ან რომლებიც წარმოადგენენ აღიარებული კომპენტენციის მქონე იურისტ-კონსულტანტებს. (რომის ხელშეკრულების 167 მუხლი). მათი დანიშვნა ხდება ექვსწლიანი განახლებადი ვადით. სასამართლოს შემადგენლობის ნახევრის განახლება ხდება ყოველ სამ წელიწადში. იგივე პრინციპით ხდება გენერალური ადვოკატების დანიშვნაც.

მოსამართლეები თავიანთივე წევრებიდან ირჩევენ სასამართლოს პრეზიდენტს სამწლიანი განახლებადი ვადით. მნიშვნელოვანი საქმეების და წევრი ქვეყნის, ან გაერთიანების ინსტიტუციის მიერ აღძრულ საქმის განხილვისას სასამართლო განუხრელად მოქმედებს როგორც ერთიანი ორგანო. სხვა საქმეების განხილვა ევალებათ სასამართლოს შიგნით მოქმედ პალატებს. ამჟამად მოქმედებს სამსამი მოსამართლისაგან შემდგარი ოთხი პალატა და ექვს-ექვსი მოსამართლისაგან შემდგარი ორი პალატა. ნებისმიერ ეტაპზე პალატას შეუძლია გადასცეს საქმე სრულ სასამართლოს, თუ მისი აზრით წარმოქმნილი იურიდიული გარემოება მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას.

იურისდიქცია

სასამართლოს ან მისი პალატების წინაშე ხდება ძირითადად ექვსი ტიპის საქმის წარდგენა.

- კამათი წევრ ქვეყნებს შორის.
- კამათი ევროგაერთიანებასა და წევრ ქვეყნებს შორის.

- კამათი ინსტიტუციებს შორის.
- კამათი ფიზიკურ პირთა, ან კორპორაციულ ორგანოთა და გაერთიანებას შორის (მომსახურე პერსონალთან დაკავშირებულ საქმეთა ჩათვლით).
- მოსაზრებები საერთაშორისო შეთანხმებებზე.
- ეროვნული სასამართლოების მიერ გადმოცემულ საქმეებზე წინასწარი გადაწყვეტილების მიღება.

ეს უკანასკნელი ტიპი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა გაერთიანების კანონმდებლობის ევროგაერთიანების მასშტაბით მოქმედების უზრუნველსაყოფად. იგი ასახავს სხვაობას ამ სასამართლოსა და აშშ-ის უზენაეს სასამართლოს შორის, რომლებსაც ხშირად ადარებენ ერთმანეთს. ორივე სასამართლო უზენაესია იმ თვალსაზრისით, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აპელაციას არ ექვემდებარება. მაგრამ აშშ-ის სასამართლო წარმოადგენს ოლქის, შტატის და ფედერალური სასამართლოების სტრუქტურის წვეროს. ამ სტრუქტურის ქვედა საფეხურის გადაწყვეტილებების გაპროტესტება შეიძლება ზედა ინსტანციებში, ვიდრე უზენაეს სასამართლომდე. ევროპის სასამართლო კი წარმოადგენს ერთადერთ სასამართლოს გაერთიანების ფარგლებში, და არ გააჩნია იერარქიული ურთიერთობა ქვედა დონის სასამართლოებთან, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა იურიდიული სისტემის ნაწილებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნულ სასამართლოში აღიძვრება საქმე, რომელშიც გაერთიანების კანონმდებლობა ეროვნულ კანონმდებლობაზე პრიორიტეტულია, და თუ, ამ საქმესთან დაკავშირებული რაიმე საკითხი გაერთიანების კანონმდებლობის კომპეტენციაში შედის, საქმე წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით გადაეცემა ევროპის სასამართლოს, რომლის საფუძველზეც ეროვნული სასამართლოს მოსამართლეებმა უნდა გამოიტანონ თავიანთი განაჩენი. წმინდად ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებისა და ინტერპრეტაციის შემთხვევაში, რაც შეადგენს სხვა სასამართლოების საქმეების უმეტეს ნაწილს, ევროპის სასამართლოს არ გააჩნია არავითარი იურისდიქცია.

სასამართლოს პროცედურები

სასამართლოში სარჩელის შეტანა შეუძლია წევრ სახელმწიფოს, გაერთიანების ინსტიტუციას (უმეტესწილად კომისიას) ან კორპორა-

ციულ ორგანოს და ფიზიკურ პირს (იმ პირობით, თუ მას აკავშირებს პირადი, უშუალო ინტერესი საქმის საგანთან) სასამართლოს პროცედურა ორი ცალკეული ნაწილისაგან შედგება, რომელთაგანაც ერთი სიტყვიერია, მეორე კი წერილობითი.

პირველ ეტაპზე მომჩივანისაგან წერილობითი განცხადების მიღებისას სასამართლო ადგენს, რომ საქმე შედის მის იურისდიქციაში და რომ მისი წარდგენა მოხდა ხელშეკრულებით დადგენილ დროში, ლიმიტის გათვალისწინებით. შემდეგ განცხადება წარედგინება მოპასუხე მხარეს, რომელსაც ჩვეულებრივ ეძლევა ერთი თვე საპასუხო სარჩელის წარმოსადგენად. აპელანტს გააჩნია კიდევ ერთი თვე პასუხის წარსადგენად, მოპასუხე მხარეს კი ერთი თვე ბრალდების უარყოფისათვის.

ყოველი საქმე განიხილება მომხსენებელი მოსამართლის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც ინიშნება პრეზიდენტის მიერ. ყველა დოკუმენტის მიღებისას მომხსენებელი მოსამართლე სასამართლოს წარუდგენს წინასწარ მოხსენებას, ამის შემდეგ სასამართლო გადაწყვეტს აუცილებელია თუ არა საქმის წინასწარი განხილვა (რომელიც ითვალისწინებს მხარეების გამოცხადებას, დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენას, სიტყვიერ ჩვენებას და ა.შ.), თუ უნდა მოხდეს საქმის გადაცემა სრული სასამართლოსთვის, ან მისი ერთ-ერთი პალატისათვის. შემდეგ პრეზიდენტი ადგენს საჯარო მოსმენის თარიღს, რომელზედაც მოსამართლეთა წინაშე წარდგება ორივე მხარე, მოტანილი იქნება მოსარჩლეთა არგუმენტები და მათი სურვილისამებრ, დაიკითხებიან მოწმეები. მოსამართლეები და გენერალური ადვოკატი (რომელიც დაახლოებით იგივე ფუნქციას ასრულებს, რასაც სახალხო ბრალმდებელი საფრანგეთის სასამართლოში) უსვამს მხარეებს სათანადო კითხვებს. რამდენიმე კვირაში გენერალური ადვოკატი შემდგომ მოსმენებზე გამოთქვამს თავის მოსაზრებებს, იძლევა ფაქტებისა და იურიდიული ასპექტების დეტალურ ანალიზს და განსახილველად შემოაქვს გადაწყვეტილება.

გენერალური ადვოკატის მოსაზრება ხშირად ნათლად უჩვენებს, თუ როგორ გადაწყდება სასამართლო პროცესი, თუმცა, ეს ყოველთვის ასე არ ხდება. მოსამართლეებს განაჩენი გამოაქვთ დახურულ კარს მიღმა, მომხსენებელი მოსამართლის მიერ მოზადებული წინასწარი გადაწყვეტილების საფუძველზე. თუ მოსამართლეებს დასჭირდებათ დამატებითი ინფორმაცია, მათ შეუძლიათ პროცედურის განახლება მხარეებისაგან დამატებითი სიტყვიერი, თუ წერილობითი

ახსნა-განმარტების მოთხოვნით, ან შემდგომი გამოძიების ჩატარებით.

სასამართლოს გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობის საფუძველზე, როდესაც სასამართლოში ხმები თანაბრად იყოფა. უმცროსი მოსამართლეების ხმები უქმდება, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ხდება მოსამართლეთა კენტი რაოდენობის დასწრების უზრუნველყოფა (სასამართლოს ქვორუმი შეადგენს შვიდს), საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადება ხდება საჯარო მოსმენაზე, რომელიც საშუალოდ სარჩელის მიღებიდან 18 თვეში ტარდება.

საქმეთა ნუსხა

სასამართლოს საქმეთა ნუსხა იქმნება მისი დაარსებიდან, 1953 წლიდან.

1998 წლის 31 დეკემბრისათვის სასამართლოს წინაშე წარდგენილ საქმეთა რაოდენობამ 10391-ს მიაღწია. ცხრილი №3 იძლევა 1997 წელს დეტალურ სიას მოსმენილი საქმეების თემების შესახებ, როდესაც აღძრულ იქნა 444 საქმე და გამოტანილ იქნა 341 განაჩენი.

საერთო აგრარული პოლიტიკის სირთულისა და მნიშვნელობის გამო არ არის გასაკვირი, რომ სიაში ძირითადად სოფლის მეურნეობა ფიგურირებს. იგივე შეინიშნებოდა 1953 წლიდან ყოველ წელს. თუმცა თავისუფალი გადაადგილებისა და დამკვიდრების უფლებიდან გამომდინარე, რომელიც გააძლიერა 1992 წლის პროგრამით გათვალისწინებულმა ერთიანი ბაზრის კანონმდებლობამ, ამჟამად სასამართლო უმეტესწილად ამ სფეროებით, ისევე, როგორც დაბეგვრის და გარემოს დაცვის საქმეებით, არის დაკავებული.

ბოლო პერიოდამდე საქმეთა დიდი ნაწილი შეეხებოდა ევროგაერთიანების სხვადასხვა ინსტიტუციების მოხელეების საჩივრებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ანაზღაურება, ხელფასი, დაწინაურება, სადისციპლინო პროცედურები, და ა.შ., რომლებიც ეროვნული მმართველობის შემთხვევაში შრომითი ურთიერთობების სასამართლოს წინაშე წარდგებოდა. ის რომ უზენაესი სასამართლოს განრიგი, რომლის უმთავრესი ფუნქციაც გაერთიანების კანონმდებლობის უზნიშვნელოვანესი საკითხების მოგვარება არის, გადაიტვირთა წვრილმანი საქმეებით, რომელთა უმრავლესობის ადეკვატური განხილვაც შესაძლებელია უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლოში, ერთგვარი ანომალიაა.

პირველი ინსტანციის სასამართლო

1987 წლის ივლისში ძალაში შესული ერთიანი საგანგებო ევროპული აქტი (იხ.გვ. 38) ითვალისწინებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს შექმნას, რომელიც მოისმენდა ფიზიკური პირების - მათ შორის გაერთიანების მოხელეთა სარჩელებს. ამ სასამართლომ, რომელიც 15 მოსამართლისაგან შედგება ფუნქციონირება დაიწყო 1989 წლის სექტემბერში. მთავარი სასამართლოს განრიგიდან პერსონალის სარჩელების მოხსნამ შეამცირა დაყოვნება სხვა საქმეებზე განაჩენის გამოტანისა. 1997 წელს პირველი ინსტანციის სასამართლომ მოისმინა 636 საქმე, რომელთაგან 155 პერსონალის მიერ შემოტანილი სარჩელები შეადგენდა.

ცხრილი №3 ევროპის სასამართლო: 1997 წლის საქმეები განხილული თემატიკის მიხედვით

	ახალი სარჩელები	მათ შორის აქტიურები	განაჩენის გარეშე დარჩენილი საქმეები	გადაწვეტილი საქმეები	მათ შორის აქტიურები
ემჟვბ	5	3	—	4	3
ევრატომი	4	1	2	3	1
ევროგაერთიანება საქონლის თავისუფალი გადაადგილება	48	1	16	58	—
საბაჟო	13	—	12	21	—
სოფლის მეურნეობა	62	3	16	42	4
თევზის რეწვა	4	—	—	2	—

დამკვიდრების უფლება და მომსახურების მიწოდების თავისუფლება	39	1	2	34	-
მუშა-მოსამსახურეთა თავისუფალი გადაადგილება და სოციალური დაზღვევა	51	-	10	60	1
ტრანსპორტი	11	-	1	6	-
კონკურენცია	25	9	1	11	7
სახელმწიფო დახმარება დაბეგვრა	20 61	3 -	1 3	8 37	4 -
კომერციული პოლიტიკა და ვაჭრობის დაცვა	-	-	1	5	-
გარემოს დაცვა	47	-	37	14	11
სხვა და სხვა მოსაზრებები	34	1	4	19	2
პრივილეგიები და იმუნიტეტი კონვენციის 220-ე მუხლი	6	-	1	6	-
პერსონალის საქმეები	14	11	-	11	9
სულ	444	35	107	341	32

ვინ აღძრავს საქმეებს

საქმეები, რომელიც ეხება წევრ სახელმწიფოებს და ჩვეულებრივ მოიციავს მათ მიერ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ბრალდებას, როგორც წესი, აღიძვრება კომისიის მიერ. ხანდახან ერთი წევრი სახელმწიფო უჩივის მეორეს. №4 ცხრილში ნაჩვენებია, რომ იტალია ისტორიულად ყველაზე ხშირად იქნა დადანაშაულებული, თუმცა მისი 1998 წლის მაჩვენებელი გაცილებით უკეთესია. იტალიის პარლამენტი ცნობილია კანონების შემოღების ნელი ტემპით, და სარჩელთა უმრავლესობა შემოტანილი იქნა მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დირექტივების დაგეგმილ ვადებში ვერ ამოქმედების გამო. კომისია ღვას, როგორც მომჩივანთა, ისე ბრალდებულთა სიების სათავეში.

სწორედ მისი მოვალეობაა ხელშეკრულების მოქმედების უზრუნველსაყოფად ფიზიკურ პირთა, კომპანიების და წევრ-სახელმწიფოების წინააღმდეგ საქმის აღძვრა, მაგალითად კონკურენციასთან დაკავშირებულ საკითხებში. თუმცა ისევ კომისია არის ბრალდებული ფაქტიურად ყველა საქმეში, სადაც მას ბრალი ედება ევროკავშირის პოლიტიკის გატარებით გამოწვეულ ზარალსა ან ზიანში.

ხანდახან ერთი ინსტიტუცია საქმეს აღძრავს მეორეს წინააღმდეგ. მინისტრთა საბჭომ უკვე არაერთხელ აღძრა საქმე პარლამენტის წინააღმდეგ, დაადანაშაულა რა იგი საბიუჯეტო უფლებამოსილებების გადაჭარბებაში. ამავდროულად პარლამენტმა შეიტანა სარჩელი საბჭოს წინააღმდეგ რომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ერთიანი სატანსპორტო პოლიტიკის შემოუღებლობის გამო.

სასამართლოს განაჩენის სიკეთის მომტანი ეფექტურობა

სასამართლოს განაჩენი ხელს უწყობს გაერთიანების კონსოლიდაციას, არის გარანტი იმისა, რომ მოქალაქეები, ისევე როგორც ეროვნული მთავრობები, დაცულნი არიან გაერთიანების კანონმდებლობის მიერ და ექვემდებარებიან მას. სასამართლომ თავისი განაჩენით არაერთხელ შეუშალა ხელი მთავრობათა მცდელობას არ შეესრულებინათ ის მოვალეობები, რომელიც მათ, (ან მათ წინამორბედებს) ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დაეკისრათ. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მას სანქციების შეზღუდული რაოდენობა გააჩნია წევრი ქვეყნების წინააღმდეგ, (მაგალითად მას არ შეუძლია ცოდვილი მინისტრების დაპატიმრება) - მის განაჩენს თითქმის ყოველთვის ემორჩილებოდნენ, იშვიათად დაგვიანებით და დროდადრო სასამართლოს ხელახალი განაჩენის შემდეგ. მასტრიხტის ხელშეკრულებით დაწესდა ჯარიმა იმ წევრ სახელმწიფოებზე, რომლებიც არ ემორჩილებიან მის განაჩენს კომისიის მიერ დადგენილ ვადებში.

ერთი კონკრეტული განაჩენი გამოდგა გაერთიანების შიდა ვაჭრობაში ბარიერების გაუქმების კარგი სტიმული. 1979 და 1980 წლებში სასამართლომ „Cassis de Dijon“-ის საქმის თაობაზე გამოიტანა განაჩენი, რომ როდესაც პროდუქტით საცალო ვაჭრობა კანონიერია ერთ წევრ სახელმწიფოში, (ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ალკოჰოლურ სასმელს, თუმც შემდგომში იგივე გავრცელდა მთელ რიგ საკვებ პროდუქტებზე) შეუძლებელია მისი რეალიზაციის აკრძალვა სხვა წევრ სახელმწიფოში, გარდა იმ შემთხვევისა თუ, იგი მიჩნეული იქნება ჯამრთელობისთვის საზიანოდ.

ცხრილი № 4

მოვალეობის არასათანადო შესრულების გამო
აღძრული სარჩელები

წინააღმდეგ	1998	1998-53
ბელგია	22	225
დანია	1	21
გერმანია	5	122
საბერძნეთი	17	160
ესპანეთი	6	60
საფრანგეთი	22	185
ირლანდია	10	84
იტალია	12	355
ლუქსემბურგი	8	86
ნიდერლანდი	3	59
ავსტრია	4	5
პორტუგალია	5	41
ფინეთი	1	1
შვედეთი	1	1
გაერთიანებული სამეფო	1	41
სულ	118	1,446

წყარო: ევროპის სასამართლო

1. არ უნდა შეგვემალოს სტრასბურგში ძღვებარე ევროპის ადამიანთა უფლებების დაცვის სასამართლოში, რომელიც დააარსა ევროსაბჭომ 1950 წლის ევროპის ადამიანთა უფლებების დაცვის კონვენციის თანახმად. ევროკავშირის ყველა წევრ-სახელმწიფო სცნობს ამ სასამართლოს იურიდიქციას ადამიანთა უფლებების საქმეების დროს.

10 აუდიტორული სასამართლო

ევროგაერთიანების ინსტიტუციებს შორის ყველაზე ნაკლებად ცნობილი არის აუდიტორული სასამართლო, რომელიც განთავსებულია ლუქსემბურგში. იგი დაარსდა 1977 წელს და მან შეცვალა მაშინდელი აუდიტორთა საბჭო, რომელსაც ნაკლები მასშტაბის უფლებამოსილებანი გააჩნდა.

კონტინგენტი

თითოეულ წევრ-სახელმწიფოდან წარმოდგენილია თითო წევრი, სულ 15, რომელთა არჩევა ხდება იმ პირთაგან, რომლებიც მუშაობენ ან მუშაობდნენ თავიანთი ქვეყნის გარე აუდიტის დეპარტამენტებში, ან რომლებსაც სხვა გზით აქვთ მიღებული კვალიფიკაცია. მათი დანიშვნა ხდება მინისტრთა საბჭოს მიერ 6 წლიანი განახლებადი ვადით. ისინი წევრებიდან ირჩევენ თავჯდომარეს სამწლიანი განახლებადი ვადით.

კომპეტენცია

სასამართლოს ამოცანას წარმოადგენს შეისწავლოს გაერთიანების ინსტიტუციების, ისევე როგორც ევროგაერთიანების მიერ დაარსებული ნებისმიერი ორგანოს ხარჯთაღრიცხვა, რათა დარწმუნდეს, რომ ყველა შემოსავალი და გასავალი კანონიერია. მის კომპეტენციაში შედის აგრეთვე დარწმუნდეს ზორციელდება თუ არა მენეჯმენტი სათანადო დონეზე. მისი ფუნქციები წააგავს გაერთიანებულ სამეფოში მოქმედ მთავარი კონტროლისა და აუდიტორული დეპარტამენტების ფუნქციებს.

გავლენა

სასამართლო გამოსცემს წლიურ ანგარიშს, ასევე პერიოდულ სპეციალურ ანგარიშებს, შემუშავებულს საკუთარი ინიციატივით, ან გაერთიანების რომელიმე ინსტიტუციის მოთხოვნით. მას არა ერთხელ გამოუშკარავებია ზედმეტი ხარჯები, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში და ღროლადრო არასწორი ფინანსური მართვა. მის როლს დიდი გავლენა აქვს და მის მიერ შემუშავებულ ანგარიშებს ხშირად შეუზღუდავს ევროგაერთიანების პროცედურები.

11 ევროპის საინვესტიციო ბანკი

ევროპის საინვესტიციო ბანკი, (მსბ) ერთდროულად წარმოადგენს გაერთიანების ინსტიტუციას და ბანკს. დაარსდა 1958 წელს რომის ხელშეკრულების 130-ე მუხლის თანახმად და წარმოადგენს ევროგაერთიანების ბანკს გაერთიანების განვითარების მხარდამჭერი კაპიტალდაბანდების დასაფინანსებლად. იგი ახდენს მისი ფინანსური რესურსების დიდი ნაწილის მობილიზებას კაპიტალის ბაზრებზე (სადაც მას გააჩნია AAA რეიტინგი) და მიღებულ თანხებს გაასესხებს (არა მოგების მიღების მიზნით) მშ-ის, პრიორიტეტული მიზნებისათვის საჭირო კაპიტალდაბანდებისათვის. მისი სესხების გაცემის საქმიანობა ძირითადად ფოკუსირებულია გაერთიანების ნაკლებგანვითარებულ რეგიონებზე. იგი აგრეთვე მხარს უჭერს ევროგაერთიანების განვითარების პროგრამების გავრცელებას, განსაკუთრებით იმ თანამშრომლობისა და კავშირის ხელშეკრულებების მეშვეობით, რომლებიც გაერთიანებამ დადო 12 ქვეყანასთან ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, 70 აფრიკულ, კარიბის და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებთან ლომს მეოთხე კონვენციის თანახმად. იგი აგრეთვე ახდენს მნიშვნელოვანი სახსრების გასესხებას ევროკავშირის Phare და Tacis პროგრამებით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე, ასევე აზიის და ლათინური ამერიკის ქვეყნებზე და 1995 წლიდან სამხრეთ აფრიკაზე.

წევრები და ფინანსური რესურსები

მსბ-ს წევრები არიან მშ-ის 15-ე წევრი ქვეყანა. მათ ერთად შეადგინეს ბანკის საწესდებო კაპიტალი—100 მილიარდი ეკიუ (რომლიდანაც 6 მილიარდი ეკიუ განაღდებულია). 1998 წლის ბოლოსათვის ბანკმა სესხების სახით მოახდინა 250 მლრდ ეკიუს მობილიზება. 1998 წლის განმავლობაში მან ისესხა 30 მლრდ ეკიუ და გაასესხა 29.5 მლრდ ეკიუ. იგი უდიდესი მსესხებელი და გამსესხებელია საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე.


საქმიანობა ევროგაერთიანებაში

სესხები გაიცემა წევრ სახელმწიფოზე. იტალია და გაერთიანებული სამეფო დიდი ხანია მთავარი რეციპიენტები არიან, მაგრამ

ესპანეთმა და პორტუგალიამ (რომლებიც ევროგაერთიანებაში გაწევრიანებამდეც სარგებლობდნენ მსბ-ს სესხებით) სწრაფად გაზარდეს ბანკიდან გამოტანილი თანხის ოდენობა. გაერთიანების შემდეგ გერმანიაც მთავარი რეციპიენტი გახდა და მიღებული სესხებით ახდენს აღმოსავლეთ გერმანიაში ფინანსური ინვესტიციების ჩადებას. 1998 წელს ის ძირითადი რეციპიენტი იყო.

მსბ-ს სესხები ევროგაერთიანების შიგნით 1998 წლის განმავლობაში გამიზნული იყო ძირითადად რეგიონულ განვითარებაზე, ენერგეტიკაზე, მოწინავე ტექნოლოგიაზე, საწარმოების კონვერსიასა და მოდერნიზაციაზე, ტელეკომუნიკაციაზე, ტრანსპორტზე და სხვა ინფრასტრუქტურულ განვითარებასა და გარემოს დაცვაზე.

დიაგრამა 4 ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ განხორციელებული დაფინანსება მილიონი ეკუ მიმდინარე ფასებში



წყარო: ევროპის საინვესტიციო ბანკი

ცხრილი №5 გაცემული სესხების გეოგრაფიული სია, 1998 და 1994-98				
	1998		1994-98	
	მლნ.ეკიუ	%	მლნ.ეკიუ	%
ევროკავშირის შიგნით				
ბელგია	858	3.4	3935	3.7
დანია	745	3.0	3845	3.7
გერმანია	5168	20.6	16831	16.0
საბერძნეთი	736	2.9	3246	3.1
ესპანეთი	3152	12.6	14252	13.5
საფრანგეთი	2837	11.3	12750	12.1
ირლანდია	263	1.0	1278	1.2
იტალია	4387	17.5	18557	17.6
ლუქსემბურგი	109	0,4	289	0.3
ნიდერლანდი	426	1.7	2309	2.2
ავსტრია	358	1.4	1645	1.6
პორტუგალია	1505	6.0	6490	6.2
ფინეთი	551	2.2	1,434	1,4
შვედეთი	664	2.6	2,709	2.6
გაერთიანებული სამეფო	3074	12.2	13,924	13.2
სხვა	282	1.1	1,812	1.7
სულ ევროკავშირის შიგნით	25116	100.0	105309	100.0
ევროკავშირის გარეთ				
აპლიკანტი ქვეყნები	2375	53,9		
ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნები	886	20,9		
აქწ მდ შტკ ა)	560	12,7		
სამხრეთ აფრიკა	135	3.1		
აზია და ლათინური ამერიკა	362	8,2		
მაკედონია/ალბანეთი	92	2.1		
სულ ევროკავშირის გარეთ	4410	100,0	15001	100,0
სულ	29526		120310	

შენიშვნა: შესაძლებელია შეცდომები დამრგვალების გამო.

ა) კვიპროსის გარეშე

ბ) აფრიკის, კარიბის ზღვის და წყნარი ოკეანის ქვეყნები მ შორეული ტერიტორიები და ქვეყნები

წყარო: ევროპის სინეკსტიციო ბანკი.

ადგილმდებარეობა და სტრუქტურა

მსბ განთავსებულია ლუქსემბურგში. მისი მმართველთა საბჭო შედგება წევრი სახელმწიფოების ფინანსთა მინისტრებისაგან, რომლებიც ერთმანეთს წელიწადში ერთხელ ხვდებიან. მას აგრეთვე გააჩნია ნაწილობრივი განაკვეთით მომუშავე დირექტორთა საბჭო (24 წევრი წარდგენილი წევრი სახელმწიფოების მიერ და ერთი წევრი წარდგენილი ევროკომისიის მიერ) და სრული განაკვეთით მომუშავე მენეჯმენტის კომიტეტი, რომელიც შედგება ბანკის პრეზიდენტისა და 7 ვიცე-პრეზიდენტისაგან. მათი დანიშვნა ხდება მმართველთა საბჭოს მიერ ექვსწლიანი განახლებადი ვადით დირექტორთა საბჭოს წარდგენით.

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი

1990 წლიდან მსბ გასცემს სესხებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე, რათა ხელი შეუწყოს მათი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს. მან აგრეთვე დიდი წვლილი შეიტანა 1991 წლის აპრილში ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის დაარსებაში, რომლის შტაბბინაც ლონდონში მდებარეობს. ხსენებული ბანკის პირდაპირი ფუნქციაა ფულის ამ მიზნით გასესხება. მართალია მის შექმნაში 40-მა ქვეყანამ შეიტანა წვლილი, მაგრამ მრბზ-ის კაპიტალის \$10 მილიარდიანი წილი ევროგაერთიანებამ და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა შეიტანეს. ბანკის კაპიტალში მსბ-ს წილი შეადგენს კაპიტალის 3%-ს.

12 ევროკავშირის სსკა ორგანოები

გარდა ზემომოყვანილი ძირითადი ევროპული ინსტიტუციებისა არსებობს მრავალი სპეციალიზებული ბიურო, ფონდი და ცენტრი შექმნილი ევროკომისიის ან ევროსაბჭოს გადაწყვეტილების ძალით. მათი უმრავლესობა შეიქმნა 1994-1995 წლებში 1993 წლის დეკემბერში გამართული ბრიუსელის სამიტის თანახმად, თუმცა ორი მათგანი 20 წლის წინ დაარსდა. განსხვავებულ კატეგორიაში შედის ევროპის სავალუტო ინსტიტუტი, დაარსებული მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, როგორც წინამორბედი ევროპის ცენტრალური ბანკისა. 1998 წლის ივლისში მას ეს უკანასკნელი ჩაენაცვლა. ბანკი განთავსებულია ფრანკფურტში და მისი ფუნქციები აღწერილია 166-169 გვერდებზე.

სამედიცინო პროდუქტების შეფასების ევროპის სააგენტო (სკშმს) European Agency for the Evaluation of Medicinal Products (EMA)

სკშმს-მ ფუნქციონირება 1995 წლის 31 იანვარს დაიწყო. იგი განთავსებულია ლონდონში და მისი მიზანია დაადგინოს ხდება თუ არა ევროკავშირის ერთიან ფარმაცევტულ ბაზარზე პროდუქციით ვაჭრობა იდენტური პირობების დაცვით. მან დამოუკიდებელი, მეცნიერული შეფასებით სარგებლობა უნდა მოუტანოს, როგორც მომხმარებელს, ისე წარმოებას.

ევროპის გარემოს დაცვის სააგენტო (ეპდს) European Environment Agency (EEA)

ეპდს და მისი ფართო ქსელი დაარსდა 1994 წელს კოპენჰაგენში. მისი ამოცანაა წვერი სახელმწიფოებისთვის, ისევე, როგორც ზოგადად ფართო მასებისათვის გარემოს შესახებ ხარისხიანი ინფორმაციის მიწოდება. სააგენტოს მთავარ მიზანს წარმოადგენს გარემოს ამჟამინდელი და მომავალი მდგომარეობის აღწერა და შესაბამისი ინფორმაციის მოწოდება გაერთიანების გარემოს დაცვის პოლიტიკის პრაქტიკაში განსახორციელებლად.

ევროპის პროფესიული დახელოვნების ფონდი European Training Foundation

ევროპის პროფესიული დახელოვნების ფონდის ინაუგურაცია

მოხდა 1995 წლის იანვარში, ტურინში. იგი შეიქმნა სავალდებულო განათლების შემდგომი ეტაპების სფეროში ევროკავშირის საქმიანობის მხარდაჭერის კოორდინაციის მიზნით. იგი შეადგენდა შუა აზიის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური რესტრუქტურის პროგრამების Phare და Tacis შემადგენელ ნაწილს.

პროფესიული დახელოვნების განვითარების ევროპული ცენტრი (პლბმც) European Centre for the Development of Vocational Training (CEDEFOP)

პლბმც დაარსდა ბერლინში 1975 წელს. ბოლო დროს მან განაწესდა სალონიკში. ცენტრს აკადემიური და ტექნიკური საქმიანობით თავისი წვლილი შეაქვს ევროპაში გაცვლითი პროფესიული დახელოვნების განვითარებაში.

ევროპის ნარკოტიკებთან და ნარკომანიასთან ბრძოლის ცენტრი (მეხბც) European Centre for Drugs and Drug Addiction (EMCDDA)

მეხბც შეიქმნა 1994 წელს და განთავსებულ იქნა ლისაბონში. ცენტრის მიზანია საზოგადოებას მიაწოდოს „ობიექტური, სანდო და ევროპის მაშტაბის შედარებითი ინფორმაცია ნარკოტიკების, ნარკომანიისა და მათი შედეგების შესახებ“. რამდენადაც ნარკოტიკის ფენომენი მოიცავს მრავალ რთულ და ურთიერთდაკავშირებულ ასპექტს, ცენტრის ამოცანას წარმოადგენს წვევრ ქვეყნებსა და გაერთიანების ინსტიტუტს, რომლებიც ცდილობენ შეიმუშაონ ამ ფენომენტთან ბრძოლის გზები, მიაწოდონ ნარკომანიის პრობლემის სტატისტიკური, ტექნიკური და დოკუმენტური სურათი.

ცხოვრების დონისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების ევროპული ფონდი European Foundation for the Improvement of Living and Working Conditions

დაარსდა დუბლინში 1975 წელს. ფონდის მიზანია წვლილი შეიტანოს უკეთესი სამუშაო პირობების და ცხოვრების დონის დაგეგმვისა და დამყარების საქმეში ხელშემწყობი ცოდნის გავრცელებით. წარმოადგენს რა მრჩეველ ორგანოს, მისი ძირითადი ამოცანაა მიაწოდოს კომისიასა და სხვა ინსტიტუტებს მეცნიერული ინფორმაცია და

ტექნიკური მონაცემები.

შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის ოფისი (შბჰმ) Office for Harmonisation in the Internal Market (OHIM)

შბჰმ-მ (საეაჯრო ნიშნები და დიზაინი) ფუნქციონირება დაიწყო 1994 წლის 1 სექტემბრიდან ალიკანტეში. ოფისი პასუხს აგებს ევროკავშირის მასშტაბით გაერთიანების საეაჯრო ნიშნების და მომავალში გაერთიანების დიზაინის რეგისტრაციასა და შემდგომ მართვაზე. შბჰმ-ს მიზანია წვლილი შეიტანოს ინტელექტუალური საკუთრების ასპექტში შიდა ბაზრის ჰარმონიზაციასა და საეაჯრო ნიშნებისა და დიზაინის სფეროში.

ევროპული გაერთიანების მცენარეთა სელექციის უფლებების ოფისი Community Plant Variety Rights Office

ოფისმა ფუნქციონირება დაიწყო 1995 წლის 27 აპრილს. იგი დროებით განთავსებულია ბრიუსელში. იგი ევროკავშირის სხვა ინსტიტუციებისაგან დამოუკიდებლად მუშაობს და პასუხს აგებს გაერთიანების უფლებების, სამრეწველო ასორტიმენტის ნაწარმის, ასევე, საავტორო და პატენტის უფლებების ახალი რეჟიმის გატარებაზე. მცენარეთა სელექციონერებს შეუძლიათ ევროკავშირის მასშტაბით დაცვის მიღება ზემოხსენებულ ოფისში განცხადების შეტანით.

სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ევროპული სააგენტო European Agency for Safety and Health at Work

სააგენტომ ფუნქციონირება დაიწყო 1995 წლის ოქტომბერში. იგი განთავსებულია ბილბაოში. სააგენტოს პრიორიტეტია შექმნას ეროვნული საინფორმაციო ქსელების დამაკავშირებელი კომპლექსი და შესაძლებელი გახადოს სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის სფეროში ინფორმაციის მიწოდება.

ევროკავშირის დაწესებულებების თარგმნის ცენტრი Translation Centre for Bodies in the European Union

ცენტრი დაარსდა 1994 წელს ლუქსემბურგში. იგი დაკავებულია მთარგმნელობითი საქმიანობით ზემოხსენებულ ორგანოებსა და სააგენტოებში.

13 ბიუროკრატია: ზაქტები, ციფრები, ხარჯები

თანამშრომლების რაოდენობა

მიუხედავად მოარული აზრისა, რომ ევროკავშირის ბიუროკრატიული აპარატი ძალზე ხალხმრავალია, უნდა აღინიშნოს, რომ მისი ხელფასის ფონდი ერთობ მოკრძალებულია წვერი ქვეყნების ეროვნული სამოქალაქო სამსახურების ხელფასის ფონდებთან შედარებით.

ევროკომისიაში მუშაობს 17000-მდე მუშაკი, 2300 მუშაობს მეცნიერულ კვლევით ინსტიტუტებსა და სხვა განყოფილებებში; დანარჩენ ინსტიტუტებში დასაქმებულთა რიცხვი ამ უკანასკნელი ციფრის ნახევარს შეადგენს. 1998 წლის ბოლოსათვის მოსამსახურეთა მთლიანი რიცხვი ნაჩვენებია ცხრილში №6.

ცხრილი № 6 ევროკავშირის თანამშრომლები, 1998 წლის ბოლოს

	მუღმივი	ღრიოებითი
კომისია	16344	750
კვლევითი ინსტიტუტები	2180	114
მინისტრთა საბჭო	2441	18
პარლამენტი	3489	603
ევროპის სასამართლო	727	226
აუდიტორული სასამართლო	412	91
მსკ და რეგიონული კომიტეტი	847	-
სულ	26440	1802

დაკომპლექტება

კომისიის მომსახურე პერსონალის დაკომპლექტება, გარდა უმაღლესი პოსტების იმ შეზღუდული რაოდენობისა, რომელზედაც კანდიდატებს ეროვნული მთავრობები წარმოადგენს, ღია კონკურსის პრინციპით ხდება. კონკურსები პერიოდულად ცხადდება გაერთიანების „ოფიციალურ ჟურნალში“ და წვერი ქვეყნების წამყვან გაზეთებში.

მსურველთათვის, როგორც წესი არსებობს ზედა ასაკობრივი ზღვარი, რაც გულისხმობს, რომ ევროკრატთა უმრავლესობა გაერთიანებაში თავიანთ კარიერას იწყებს 20 ან 30 წლის ასაკიდან. თანამდებობაზე დანიშვნა ხდება განურჩევლად რასისა, რწმენისა და სქესისა, ამასთან არცერთი პოსტი არ არის განკუთვნილი კონკრეტული ქვეყნის მოქალაქისათვის. პრაქტიკაში არსებობს არაოფიციალური ეროვნული ქვოტები, რომლებითაც უზრუნველყოფილია წევრ ქვეყნებს შორის მართვის ნებისმიერ დონეზე პოსტების გონივრული გადანაწილება. სხვა მხრივ, ზოგადი მოთხოვნები მოყვანილია გაერთიანების მომსახურე პერსონალის წესების მე-2 მუხლში.

თანამდებობაზე პიროვნების დანიშვნა ხდება მხოლოდ შემდეგი პირობების შესრულებისას:

- ა) იგი არის გაერთიანების ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს მოქალაქე. გამონაკლისების გარდა მას მოცემულ პოსტზე დანიშვნით ენიჭება უფლებამოსილება, და სარგებლობს მოქალაქის სრული უფლებებით.
 - ბ) მას შესრულებული აქვს კანონით დაკისრებული მოვალეობები სამხედრო სამსახურის თვალსაზრისით.
 - გ) მას გააჩნია მისი მოვალეობის სათანადო შესრულებისათვის შესაფერისი თვისობრივი მონაცემები.
 - დ) მან გაიარა კონკურსი, რომელიც ეყრდნობა კვალიფიკაციას ან ტესტს, ან ორივეს ერთად.
 - ე) მას ფიზიკურად შეუძლია მოვალეობის შესრულება;
- და
- ვ) იგი ავლენს გაერთიანების ერთ-ერთი ენის სრულყოფილ ცოდნას და ასევე დამაკმაყოფილებლად ფლობს გაერთიანების კიდევ ერთ ენას თავისი მოვალეობების შესრულებისათვის სათანადო დონეზე.

მთარგმნელთა და თარჯიმანთა პოსტების კანდიდატები, გარდა მშობლიური ენისა, სრულყოფილად უნდა ფლობდნენ გაერთიანების ორ ენას.

დახელოვნება

გარდა მუდმივი პერსონალისა, კომისიაში გათვალისწინებულია წლიურად 200 სტაჟიორის დახელოვნება. იგი გრძელდება 2-5 თვეს.

თანამდებობაზე კანდიდატთა შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე. სტაჟიორებს ძირითადად შეადგენენ ახლად უმაღლეს დამთავრებულები. მათ არ ეძლევათ მომავალი დასაქმების გარანტია, მაგრამ ეს „სტაჟი“ შესანიშნავ გამოცდილებას აძლევს მათ, ვინც დაინტერესებულია ევროპული დონის კარიერით, გაერთიანების შიგნით, თუ მის გარეთ.

ხელფასი

კომისიის წევრთა უმრავლესობა დაკავშირებულია A1 სკალის მაქსიმუმთან. კომისიის პეზიდენტი იღებს 138%-ს (€ 229 700) ვიცე პრეზიდენტი 125%-ს (€ 208 063), კომისრები 112.5%-ს (€ 187 257). გარდა ამისა მოხელეებზე გაიცემა სხვადასხვა სახის ანაზღაურება. კერძოდ ექსპატრიაციის ანაზღაურება, რომლის საშუალებითაც ყველა კომისიონერის ხელფასს ბელგიელების გარდა ემატება 14%.

ევროკავშირის თანამშრომლები საშემოსავლო გადასახადს იხდიან უფრო გაერთიანების სასარგებლოდ, ვიდრე იმ ქვეყნისა, სადაც მუშაობენ (საშემოსავლო გადასახადი ამჟამად 25%-ს შეადგენს). მათი გადასახადების განაკვეთები გაცილებით მაღალია, ვიდრე ეროვნული სამოქალაქო მოხელეებისა, რითაც ხდება სხვა ქვეყნებში ცხოვრებისა და მუშაობის კომპენსირება. გარდა ძირითადი ხელფასებისა, გათვალისწინებულია საოჯახო ანაზღაურება, ექსპატრიაციის ანაზღაურება და მთელი რიგი პრივილეგიები, როგორცაა ბავშვებისათვის უფასო სწავლა კომისიის დაფინანსებაში მყოფ ერთ-ერთ ევროპულ სკოლაში. დროდადრო ხელფასების სკალა ქვეყნდება „ოფიციალურ ჟურნალში“, სადაც ხელფასები გამოხატულია ყოველთვიურად ევროში. ბოლო სკალა რომელიც 1999 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში ნაჩვენებია ცხრილში №7

ცხრილი №7

ძირითადი თვიური ხელფასი თითოეულ კატეგორიაში, 1999(€)

A კატეგორია

A1	გენერალური დირექტორი	10959.87-13870.87
A2	დირექტორი	9725.98-12503.73
A3	განყოფილების გამგე	8054.88-11456.53
A4	მთავარი ადმინისტრატორი	6766.95-9422.05
A5		5579.02-7892.66
A6	ადმინისტრატორი	4821.31-6662.73
A7		4150.18-5182.68
A8	ადმინისტრატორის თანაშემწე	3670.46-3818.48

B კატეგორია

B1	მთავარი ადმინისტრაციული თანაშემწე	4821.31-6662.73
	უფროსი ადმინისტრაციული თანაშემწე	
B2	უფროსი ტექნიკური თანაშემწე	4177.30-5548.18
B3	სამდივნოს უფროსი თანაშემწე	3503.88-4643.76
	ადმინისტრაციული თანაშემწე	
B4	ტექნიკური თანაშემწე	3030.55-4019.09
B5	სამდივნოს თანაშემწე	2708.91-3051.75

C კატეგორია

C1	აღმასრულებელი მდივანი	3091.03-3963.51
	მთავარი მდივანი	
	კანცელარიის მთავარი მოხელე	
C2.	მდივანი სტენოგრაფი მბეჭდავი	2688.55-3488.16
C3	კანცელარიის მოხელე	2507.91-3193.00
C4.	მბეჭდავი	2266.09-2908.62
C5.	კანცელარიის მოხელის თანაშემწე	2089.47-2346.33

D კატეგორია

D1	განყოფილების გამგე	2361.41-3084.16
D2	კვალიფიციური თანამშრომელი	2153.15-2795.05
D3	კვალიფიციური მუშაკი არაკვალიფიციური თანამშრომელი	
D4	არაკვალიფიციური მუშაკი	1889.52-2121.99

შენიშვნა: 1999 წლის 1 ოქტომბერს ვერო ლირდა £ 0.65 ან \$ 1.04

ნაწილი 3

კომპეტენცია

ევროკავშირი ჯერ კიდევ შორს არის პოლიტიკურ კავშირად გარდაქმნისაგან, რისკენაც მიისწრაფოდნენ მისი დამაარსებლები და რაც არაერთხელ, სულ ბოლოს კი 1997 წლის ივლისში ამსტერდამში, დასახელებულ იქნა ევროგაერთიანების მთავრობათა მეთაურების მიერ მათ საბოლოო მიზნად. იგი შორს არის ევროპულ მთავრობად ჩამოყალიბებისგან და მისი პროგრესი აშკარად მოიკოჭლებს. წვერ სახელმწიფოთა შორის საბაჟო გადასახადების გაუქმება და ერთიანი აგრარული პოლიტიკის შემუშავება დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა გაერთიანების ყველაზე კონკრეტულ მიღწევებად, თუმცა არსებობს ეკონომიკური საქმიანობის მრავალი სხვა სფეროც, სადაც მას გააჩნია კომპეტენცია, რომელსაც იგი ხშირად გარკვეულწილად იზიარებს წვერ სახელმწიფოსთან. მაასტრიხტის ხელშეკრულებამ შეინარჩუნა „სუბსიდიების“ პრინციპი განაცხადა რა, რომ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას შეძლებისდაგვარად მოქალაქეების ინტერესებში. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულებამ გააფართოვა მშ-ის ინსტიტუციების კომპეტენციები მრავალი მიმართულებით, ისევე როგორც ეს მოხდა ხუთი წლის შემდეგ ამსტერდამის ხელშეკრულების მიღებით. მე-3 ნაწილში გადმოცემულია გაერთიანების საქმიანობის ძირითადი სფეროების მიმოხილვა, ამასთან მოტანილია მისი ყოველგვარი საქმიანობის დაწერილებითი აღწერა.

14 კავშირის ღაფინანსება

ეროკავშირის ბიუჯეტი საკმაოდ მოკრძალებულია წვერ ქვეყნების ბიუჯეტებთან შედარებით. იგი არ აღემატება ეროვნული ბიუჯეტების ჯამის 2.5%-ს. 1997 წელს, ეროკომისიის თანახმად, ეროკავშირის თითოეული მოქალაქე კავშირს უხდიდა საშუალოდ 220 ეკიუს, საკუთარ ქვეყანას კი ამ თანხაზე ალბათ 50-ჯერ მეტს. მიუხედავად ამ უთანასწორობისა, ეროკავშირის ბიუჯეტი არაერთხელ გამხდარა კამათის საგანი წვერ ქვეყნებს შორის, ისევე, როგორც წვერ ქვეყნებს, კომისიასა და პარლამენტს შორის.

შემოსავალი

წყაროები

ეროგაერთიანების შემოსავლების წყაროები წლების განმავლობაში იცვლებოდა. ექვშბ, რომელსაც გააჩნდა საკუთარი საოპერაციო ბიუჯეტი (1999 წელს იგი შეადგენდა 196 მლნ. ეკიუს) ყოველთვის კანონდებოდა ქვანახშირისა და ფოლადის მწარმოებელ ფირმებზე დაკისრებული გადასახადით. გაერთიანების საერთო ბიუჯეტის დაფინანსება თავდაპირველად ხდებოდა ეროვნული შენატანებით, რაც ეფუძნებოდა წვერ სახელმწიფოთა მთლიან ეროვნულ პროდუქტს. 1970 წელს გადაწყდა ამ შენატანების შეცვლა გაერთიანების საკუთარი წყაროებით. ისინი შედგება შემოსავლების წყაროებისაგან, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ უმეტესწილად წვერ ქვეყნებში იკრიბება, კანონის უფლებით გაერთიანებას ეკუთვნის. ამჟამად ისინი ოთხი ცალკეული ელემენტისაგან შედგება.

1. საბაჟო გადასახადი გაერთიანების ფარგლებს გარედან იმპორტირებულ საქონელზე.
2. სასოფლო-სამეურნეო (აგრარული) გადასახადები იმპორტირებულ საკვებ პროდუქტებზე, რათა მოხდეს ფასების აწვევა გაერთიანების ღონემდე, პლუს გადასახადები ჭარბი მოწოდების საქონელზე.
3. ღღ-ს ნაწილი. თავდაპირველად იგი შეადგენდა საქონლისა და მომსახურების საბოლოო გასაყიდი ფასის მაქსიმუმ 1%-ს (ეს

საჭირო გახდა, ვინაიდან დღე-ს განაკვეთები და ტარიფები განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში) 1986 წელს ლიმიტი გაიზარდა 1,4%-მდე, მაგრამ 1999 წლისათვის თანდათანობით ისევ 1%-მდე დაიწია.

4. წვერ-სახელმწიფოთა შენატანები, რომელიც ევრდნობა წვერი სახელმწიფოს წილს გაერთიანების მთლიან ეროვნულ პროდუქტში (მმპ). კონტრიბუციის მოცულობა უნდა შეიზღუდოს იმ მოცულობამდე, რომელიც გაზრდის ევროგაერთიანების მთლიან შემოსავალს 1993-94 წლებში გაერთიანების მმპ-ს მაქსიმუმ 1,2%-მდე, რაც თანდათანობით უნდა გაიზარდოს 1999 წელს მაქსიმუმ 1,27%-მდე.

ცხრილი № 8 საბიუჯეტო შემოსავალი 1998-99 (მლ.ეკიუ)

	1998	1999
აგრარული გადასახადები	1101,8	1054,5
შაქარზე და იზოგლუკოზაზე გადასახადები	1069,8	1080,0
საბაჟო გადასახადი	13504,8	13215,4
საკუთარი რესურსების მოკრების ხარჯები	-1567,6	-1535,0
დღმ-ის საკუთარი რესურსები	32752,8	30374,2
მმპ-ზე დაფუძნებული საკუთარი რესურსები	34501,6	39260,0
დღმ-ზე და მმპ-ზე დაფუძნებული წინა წლის საკუთარი რესურსების ბალანსი.	988,7	„
წინა წლის ბიუჯეტის ბალანსი	960,0	1400,0
სხვა შემოსავლები	668,1 ^ა	708,6
სულ	839 67.1	85557,7

% „მმპ“

მაქსიმალური საკუთარი რესურსები რომლებიც შეიძლება იქნას ასიგნებული ბიუჯეტზე ასიგნებული საკუთარი რესურსები.	1,26	1,27
	1,13	1,09

ა ცარიელი უჯრა. ბ ჯამი წყაროში არ არის მოცემული.

წყარო: ევროკომისია.

საბიუჯეტო რეფორმა

1988 წლის თერბერვალში ბრიუსელის სამიტზე, საბიუჯეტო რეფორმის თაობაზე მიღწეული შეთანხმების შედეგად, 1989 წელს გაერთიანების შემოსავლებს დაემატა მეოთხე წყარო.

წლის მანძილზე გაერთიანებას პირველად მიეცა შესაძლებლობა ჰქონოდა საკუთარი რესურსების იმ მოცულობაზე დაყრდნობილი ბიუჯეტი, რომელიც საკმარისი იქნებოდა მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის დასაფინანსებლად. რამდენიმე წლის მანძილზე დეფიციტის დაფარვა ხდებოდა წევრი ქვეყნების არაკომპენსირებული წინასწარი შენატანებით, ცხრილი №8 უჩვენებს 1998-99 წლების გამოთვლილ შემოსავალს.

ბიუჯეტის დაფინანსების აღრინდელი მეთოდები თანდათანობით უფრო არადამაკმაყოფილებელი ხდებოდა. 1988-87 წლის ბიუჯეტების დაბალანსება მოხდა მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედებითი ბულალტერიის სხვადასხვა ფორმების საშუალებით. საბაჟო გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავალმა თანდათანობით იკლო, ვინაიდან გაერთიანების გარე ტარიფები შემცირებულ იქნა, აგრარული გადასახადები დაეცა, ვინაიდან ევროგაერთიანებაში დაფიქსირდა ჭარბი საქონლის მზარდი რაოდენობა. ამან მოახდინა ზეწოლა დღგ-ს გადასახადებზე, რომლებიც უკვე მაქსიმუმამდე (შესყიდვების 1.4%) იქნა გაზრდილი ერთ წელიწადში (1%-დან). მეოთხე წყაროს დამატებამ შესაძლებელი გახადა საბიუჯეტო ვალდებულების გრძელვადიანი დაგეგმვა, ვიდრე 1992 წლამდე, რაც შემდგომ 1999 წლამდე გაიზარდა. ამ დროისათვის კი იგი გადაიქცა შემოსავლის ერთადერთ უდიდეს წყაროდ.

ხარჯები

ცხრილში №5 მოყვანილია 1999 წლის ევროკავშირის მთლიანი ბიუჯეტის ხარჯები და შედარებულია 1973 წლის მონაცემებთან, როდესაც გაერთიანებული სამეფო კავშირში გაწევრიანდა. ბიუჯეტის ძირითადი ელემენტებია:

სოფლის მეურნეობა და თევზის რეწვა. ეს ნაწილი შეადგენს 1999 წლის ხარჯების 41.9%-ს, რაც გაცილებით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებლებზე. მიზეზი, იმისა, თუ რატომაც მოიხმარს სოფლის

მეურნეობა ბიუჯეტის ასეთ დიდ ნაწილს არის ის, რომ, იგი წარმოადგენს ხარჯვის მთავარ სფეროს, რომელშიც ღიად დაფინანსებული მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ნაწილი გადის ევროკავშირის ბიუჯეტში. ეს ქმნის სხვა სფეროებში პროგრამების გაუქმების საშიშროებას. სწორედ ამგვარ სფეროს წარმოადგენს ტექნოლოგიური კვლევები, რომელშიც კავშირი გაცილებით მეტ შენატანებს უნდა აკეთებდეს. ბოლო წლებში იყო სოფლის მეურნეობაზე გაწეული ხარჯების შეკვეცის რამდენიმე მცდელობა, გადაიდგა ნაბიჯები იმისთვის, რომ უკიდურეს შემთხვევაში შეემცილებინათ აგრარული დანახარჯების ზრდის განაკვეთი საერთო დანახარჯების ზრდასთან შედარებით. (იხ.გვ.191-195)

რეგიონული პოლიტიკა. აქ ხარჯები შეადგენს 1999 წლის შეფასებული ხარჯების 16.2%-ს. 1973 წლის ბიუჯეტში საერთოდ არ იყო გათვალისწინებული ხარჯები რეგიონულ პოლიტიკაზე. ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი დაარსდა 1975 წელს, 1973 წელს გაერთიანებული სამეფოს, დანიისა და ირლანდიის გაწევრიანების შემდეგ. იგი ხელს უწყობს ღარიბ რეგიონებში და განსაკუთრებით რეცესიისაგან დაზარალებულ მხარეებში, ინდუსტრიული მომსახურებისა და ინფრასტრუქტურული საინვესტიციო პროექტების და განვითარების პროგრამების დაფინანსებას. ფონდი მუშაობს კონკრეტული წევრი ქვეყნების შესატყვისი შენატანების საფუძველზე. მასტრიხტის ხელშეკრულების ძალით დაარსდა ახალი „შერწყმის ფონდი“ (1999 წლის გამოთვლილი ხარჯების 3.2%), რომელიც დაეხმარება ინფრასტრუქტურული ინვესტიციების განხორციელებას ოთხ ყველაზე ღარიბ ქვეყანაში. ესენია: საბერძნეთი, ესპანეთი, პორტუგალია და ისლანდია.


სოციალური პოლიტიკა. ამ ნაწილში ხარჯები შეადგენს 1999 წლის გამოთვლილი ხარჯების 10.1%. 1973 წლიდან გვაქვს მცირე პროცენტული ზრდა, მიუხედავად უმუშევრობის მასიური ზრდისა ამ შუალედში. ხარჯის უმეტესი ნაწილის დაფინანსება ხდება ევროპის სოციალური ფონდის მეშვეობით, რომელიც ახდენს კვალიფიკაციის ამაღლებისა და ახალი პროფესიის დაუფლების პროგრამების და დასაქმების თანადაფინანსებას. 1988 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ მთლიანი ხარჯები „სტრუქტურულ ფონ-

დებზე“, ანუ რეგიონულ ფონდებზე, სოციალურ ფონდებსა და სოფლის მეურნეობის მართვის ფონდებზე 1993 წლისათვის გაორმაგდება. 1999 წლისათვის შემოხსენებული ხარჯები „შერწყმის ფონდთან“ ერთად შეადგენენ მთლიანი ბიუჯეტის 40.3%-ს.

ენერგეტიკა, კვლევა, მრეწველობა, ტრანსპორტი და გარემოს დაცვა. 1999 წელს ამ ნაწილმა შეადგინა მთლიანი ხარჯების 4.6%, რაც ძალზე მცირე ნაწილია იმ თანხებისა, რასაც წვერი ქვეყნები ხარჯავენ ამ სფეროებში. უდიდესი ნაწილი განსაზღვრულია კვლევაზე, რაც აშკარად სრულიად არაადეკვატურია აშშ-სა და იაპონიაში ამ სფეროებზე გაწეული ხარჯებისა. კომისიის მცდელობა, დაარწმუნოს წვერი ქვეყნები მკვეთრად გაზარდონ კვლევების დაფინანსება, ჯერჯერობით მხოლოდ ნაწილობრივი წარმატებით სარგებლობს.

თანამშრომლობა განვითარებისათვის. ამ ხარჯებმა შეადგინა 1999 წლის შეფასებული ხარჯების 6.1%, რაც ძირითადად განსაზღვრულია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირის და ყოფილი იუგოსლავიის, ასევე ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებთან თანამშრომლობის პროგრამებზე, იგი აგრეთვე მოიცავს საკვებით სასწრაფო დახმარებას აზიურ და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. გარდა ამისა, ლომეს კონვენცია ითვალისწინებს ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას 70 აფრიკულ, კარიბის და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყანაში, რისი დაფინანსებაც ხდება ცალკე ევროკავშირის ბიუჯეტიდან ეროვნული შენატანების ხარჯზე და ცალკე ევროპის საინვენსტიციო ბანკის სესხებით. (ცხრილი №5).

დიაგრამა №5 გაერთიანების ბიუჯეტი 1973^ა და 1999^ბ ბიუჯეტი, მილიონზე ფასები, საერთო წილი %-ებში



ცხრილი №9 ევროკავშირის საერთო ბიუჯეტი, 1999 წლის ასიგნება (1999წ. ფასები)

სექტორი	მილ.ეკიუ
საერთო აგრარული პოლიტიკა	40440
სტრუქტურული ოპერაციები (მათ შორის „შერწყმის ფონდი“)	39025
შიდა პოლიტიკა (სტრუქტურული ოპერაციების გარდა)	5862
გარე ქვეყნები	5908
ადმინისტრაციული ხარჯები	4502
რეზერვი	1192
სულ	96929
მმპ-ს %-ის სახით საჭირო გადასახადები	1,23
საკუთარი რესურსების ზედა ზღვარი	
როგორც მმპ-ს %	1,27

წყარო: ევროკომისია

გამოყოფილი თანხები და დანახარჯები

წლიური ბიუჯეტის დამტკიცებისათვის საჭირო პროცედურები იხილეთ გვ.89-90 1999 წლის ასიგნებული თანხები სულ შეადგენდა 96929 მლნ.ეკიუს, შეფასებული დანახარჯები კი შეადგენს 85558 მლნ.ეკიუს. რამდენადაც ყოველწლიურად ფაქტიური დანახარჯები ნაკლებია ასიგნებულ თანხებზე, ყველა ვალდებულების შესრულება არ ხდება. 1999 წლისთვის თანხების ძირითადი ასიგნება ნაჩვენებია ცხრილში № 9.

ხარჯების პროექტები 2000-2006 წლებზე

1999 წლისთვის მინისტრთა საბჭოს მიერ უნდა დამტკიცებულიყო ახალი გრძელვადიანი პერსპექტივა, რომელიც მოიცავდა 5 ან 7 წლიან პერიოდს 2000 წლიდან. 1997 წლის ივლისში კომისიამ წარმოადგინა ანგარიში „2000წლის პროგრამის“ შესახებ, რომლის თანახმადაც არ არის მიჩნეული აუცილებლად არსებული ზღვრის – მშპ-ის 1,27%-ის გაზრდა. ევროკავშირში ზრდის სავარაუდო საშუალო 2,5%-იანი ზრდის განაკვეთის, პრეტენდენტ ქვეყნებში 4%-იანი განაკვეთის საფუძველზე 2006 წლისათვის მოსალოდნელია 20 მლრდ. ეკიუს ოდენობის დამატებითი რესურსების მიღება. პროექტით გათვალისწინებული მთელი ხარჯი გაიზრდება 17%-ით, რაც განაპირობებს რეზერვის შექმნას, ვინაიდან ხარჯი ნაკლებია მშპ-ს მოსალოდნელ 24%-თან ზრდაზე. შვიდწლიანი პერიოდისათვის 2000-06 ევროკავშირის მთლიანი ხარჯი უნდა შეადგენდეს 684 მლრდ. ეკიუს, რომლიდანაც 21,84 მილიარდი ევრო გაცემულ უნდა იქნას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაწვევრიანებამდელი დახმარების სახით. 1999 წლის მარტში ბერლინში გამართულ სამიტზე მთავრობათა მეთაურებმა ეს ციფრი 6,6%-ით შეკვეცეს 640 მლრდ.ეკიუ-მდე, დახმარებაზე გამოყოფილი თანხა კი ხელშეუხებელი დატოვეს. ცხრილი №10 უჩვენებს დეტალურ ფინანსურ პერსპექტივას 2000, 2003 და 2006 წლებისათვის, როგორც ეს ბერლინის სამიტზე იქნა მიღებული.

ცხრილი №10 ფინანსური პერსპექტივა 2000 - 06 (€მლნ 2000წ. ფასები)			
	2000	2003	2006
ასიგნებული ვალდებულებები			
1. სოფლის მეურნეობა	41738	44646	42493
საერთო აგრარული პოლიტიკა (სოფლის განვითარების გამორიცხვით)	37352	40219	38036
სოფლის განვითარება და თანმდევი ზომები	4386	4427	4457
2. სტრუქტურული ოპერაციები	32678	30882	29746
სტრუქტურული ფონდები	30019	28223	27193
შერწყმის ფონდი	2659	2659	2553
3. შიდა პოლიტიკა	6031	6366	6712
4. საგარეო საქმიანობა (1999 წლიდან Phare-ს გამორიცხვით)	4627	4658	4688
5. ადმინისტრაცია	4638	4882	5187
6. რეზერვი	906	406	406
ფულადი რეზერვი	500		
სასწრაფო დახმარების რეზერვი	203	203	203
საგარანტიო რეზერვი			
7. გაწვევრიანებამდელი დახმარება	3174	3174	3174
სოფლის მეურნეობა	529	529	529
გაწვევრიანებამდელი სტრუქტურული ინსტრუმენტი	1058	1058	1058
Phare პრეტენდენტი ქვეყნები	1587	1587	1587
სულ ასიგნებული ვალდებულებები	93792	95014	92406
სრული ასიგნებული			
ანგარიშსწორება	91322	96714	91347
ასიგნებული ანგარიშსწორება მმპ-ის% - ში	1,13%	1,11%	0,98%
საზარჯო თანხები (ასიგნირებული ანგარიშსწორება)		6842	14501
სოფლის მეურნეობა		2071	3468
სხვა ზარჯები		4771	11033

ზედა ზღვარი, ასიგნებული ანგარიშსწორება	91322	103556	105848
ზედა ზღვარი, ანგარიშსწორება მმპ-ის %-ს სახით	1,13%	1,19%	1,13%
გაუთვალისწინებელი ხარჯების ზღვარი	0,14%	0,08%	0,14%
საკუთარი რესურსების ზედა ზღვარი.	1,27%	1,27%	1,27%

წყარო: ევროკომისია

ვინ იგებს და ვინ აგებს?

მრავალი წლის განმავლობაში არ არსებობდა ზუსტი ინფორმაცია ევროკავშირის ბიუჯეტის წმინდა გადამხდელებისა და წმინდა მოსარგებლებების შესახებ. ყველამ იცოდა, რომ გერმანია იყო ყველაზე დიდი გადამხდელი, რომ გაერთიანებული სამეფოს გადასახადი 1984 წლიდან შემცირდა წლიური შეღავათების მეშვეობით და რომ ირლანდია იყო ყველაზე დიდი მოსარგებლე - მის ტერიტორიულ სიდიდესთან შეფარდებით. „2000 წლის პროგრამის“ საანგარიშო დებატებმა განაპირობა უფრო დაწვრილებითი დეტალების მოთხოვნა, რამდენადაც გერმანიის საზოგადოებრივი აზრი აგიტაციას უწევდა გერმანიის ტვირთის შემსუბუქებას, ხოლო დანარჩენი წევრები მოითხოვდნენ გაერთიანებულ სამეფოსათვის შეღავათების გაუქმებას. აქედან გამომდინარე, 1998 წლის ნოემბერში კომისიამ გამოაქვეყნა ეროვნული გადასახადების გამოთვლა (იხ. ცხრილი № 11), რომელიც უჩვენებდა, რომ ნიდერლანდები, შვედეთი და ავსტრია ბიუჯეტში მათ „სამართლიან წილზე“ მეტს იხდიდნენ. ბერლინში მიღწეული შეთანხმებით ამ ოთხ ქვეყანას უმნიშვნელოდ შეუმსუბუქდათ ეს მდგომარეობა, განთავისუფლებულ იქნენ რა გაერთიანებული სამეფოსათვის შეღავათის საჭირო თანხის სამი მეოთხედის გადახდიდან. დაბალანსება უნდა მომხდარიყო დარჩენილი ათი წევრ-სახელმწიფოს ხარჯზე. რაც შეეხება გაერთიანებულ სამეფოს, მისთვის განკუთვნილი კომპენსაცია, რომელიც ამჟამად 3 მილიარდ ეკიუს შეადგენს, ხელშეუხებელი დარჩა, მაგრამ ამის სანაცვლოდ გაერთიანებული სამეფო დათანხმდა 240 მილ.ეკიუს დათმობაზე, რომელსაც იგი მიიღებდა სხვა სახის საბიუჯეტო ცვლილებებით.

ცხრილი № 11 წევრ-სახელმწიფოთა საბიუჯეტო ბალანსი.
 1998 წლის გამოთვლები
 (ეკიუ მილიარდი გაერთიანებული სამეფოს კომპენსაციის
 შემდეგ)

წმინდა კონტრიბუტორები		წმინდა მოსარგებლები	
გერმანია	11,46	ესპანეთი	5,54
საფრანგეთი	1,76	საბერძნეთი	4,31
ნიდერლანდი	1,22	ირლანდია	2,80
შვედეთი	1,20	პორტუგალია	2,68
ავსტრია	0,87	ბელგია	1,71
გაერთიანებული სამეფო	0,66	ლუქსემბურგი	0,72
იტალია	0,56	დანია	0,09
		ფინეთი	0,01

წყარო: ევროკომისია

სატარიფო ბარიერების მოხსნა


რომის ხელშეკრულება ითვალისწინებდა თორმეტი წლის განმავლობაში გაერთიანების ყველა სახის შიდა სატარიფო ბარიერების მოხსნას. რეალურად თავდაპირველმა ექვსმა წევრმა სახელმწიფომ ეს პროცესი 1968 წელს, დაგეგმილზე 12 თვით ადრე შეასრულა. ამან უზარმაზარი შედეგები გამოიღო და ხელი შეუწყო ევროკავშირის შიდა ვაჭრობის ზრდას (იხ. მაჩვენებელი №6). მოგვიანებით გაწევრიანებულმა ქვეყნებმა ეს პროცესი ეტაპობრივად განაგრძეს: 1977 წელს გაერთიანებულმა სამეფომ, ირლანდიამ და დანიამ, 1986 წელს საბერძნეთმა, ესპანეთმა და პორტუგალიამ, რომლებიც გაერთიანებაში 1986 წელს გაწევრიანდნენ. ტარიფები ევროგაერთიანების სხვა წევრ სახელმწიფოთა მიმართ 1992 წლის ბოლოსათვის გააუქმეს. ავსტრიამ, ფინეთმა და შვედეთმა ტარიფები 1995 წლამდე - მათ გაერთიანებაში გაწევრიანებაამდე დიდი ხნით ადრე გააუქმეს. შიდა ტარიფების გაუქმებას მოჰყვა სხვა ქვეყნების საქონელზე ერთიანი გარე ტარიფის დაწესება, რომელიც თავდაპირველად საშუალოდ 10%-ს უდრიდა. ეს ციფრი ტარიფებისა და ვაჭრობის საერთო შეთანხმების (ტმსშ) (General Agreement on Tariffs and Trade - GATT) მოლაპარაკებათა რაუნდების შემდეგ ეტაპობრივად საშუალოდ 5%-მდე შემცირდა, რაც აშშ-ს მაჩვენებელზე დაბალი, მაგრამ იაპონიის საბაჟო ტარიფზე მაღალი იყო. 1993 წელს ტმსშ-ს ურუგვაის რაუნდზე მიღწეული შეთანხმებით, ეს საშუალო ციფრი, 3%-მდე შემცირდა, და კიდევ უნდა შემცირდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსწ) (World Trade Organisation- WTO) მოლაპარაკებაზე, რომელმაც 1995 წელს შეცვალა ტმსშ.

ევროკავშირის მიერ წარმოდგენილი წევრი ქვეყნები

ხელშეკრულება გულისხმობს, რომ ევროგაერთიანება წარმომადგენელია წევრი ქვეყნების გარე ვაჭრობის საკითხებში და რომ წევრი ქვეყნები მათ სუვერენულ უფლებას ფორმალურად გაერთიანებას გადასცემს. შედეგად 165 ქვეყანამ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა გაერთიანებასთან. მათ უმეტესობას ბრიუსელში

აქვთ საელჩოები და მისიები, რომლებიც ხშირად შეწყვილებულია ბელგიაში აკრედიტებულ საელჩოებთან, თუმცა ევროკავშირის როლი უმეტეს შემთხვევაში გაცილებით მნიშვნელოვანია. ევროკავშირი, რომელსაც ჩვეულებრივ კომისია წარმოადგენს, გამოდის წევრი ქვეყნების სახელით მსო-ში და ჩრდილო-ატლანტიკური თევზჭერის ორგანიზაციაში

ევროკავშირმა ხელი მოაწერა შეთანხმებას 120 ქვეყანასთან და აგრეთვე 30-მდე მრავალმხრივ შეთანხმებას. მათი უმრავლესობა შეეხებოდა ევ-ის ვაჭრობას და მათი მეშვეობით უნდა მომხდარიყო მისი ძირეული მოდიფიკაცია. ვაჭრობის მოწესრიგების გეგმები ოთხ ძირითად კატეგორიად იყოფა, ესენია: ევროპის ეკონომიური ზონა (ემზ), სხვა განვითარებული ქვეყნები, ყოფილი კომუნისტური ქვეყნები, განვითარებადი ქვეყნები.



მთვა

ევროკავშირის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი

1973 წელს ევრო-კავშირმა ჩამოაყალიბა თავისუფალი სამრეწველო ვაჭრობის ზონა ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის - მთვა. (European Free Trade Association - EFTA) შვიდ ქვეყანასთან, ესენია: ავსტრია, ფინეთი, ირლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია, შვედეთი და შვეიცარია. გაუქმდა საბაჟო გადასახადები და ვაჭრობის შეზღუდვები სამრეწველო საქონელზე. გაკეთდა რამოდენიმე ურთიერთდათმობა სოფლის მეურნეობის საქონელზე. ყოველივე ამან გაზარდა მრეწველობის საერთო ბაზარი 370 მლნ. ადამიანით. მთვა გახდა ევროკავშირის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი.

ევროპის ეკონომიკური ზონა

მზ-ს ერთიანი ბაზრის პროგრამის დაწესებისთანავე მთვა-ის ქვეყნებმა გამოთქვეს გაერთიანებასთან უფრო ახლო კავშირის დამყარების სურვილი. მოლაპარაკებები ევროპის ეკონომიკური ზონის (ემზ) შექმნის თაობაზე დაიწყო 1989 წლის დეკემბერში. ამ ზონაში მთვა-ს ქვეყნებს დაეკისრებოდათ ევროგაერთიანების წევრობით გათვალისწინებული მრავალი ვალდებულება და წესი, მათ შორის თანხმობა კაპიტალის, პიროვნებათა და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებაზე, რის სანაცვლოდ ეს ქვეყნები გაიზიარებდნენ ერთიანი ბაზრის პროგრამიდან მოსალოდნელ სარგებელს. მოლაპარაკებები დასრულდა 1991 წლის შემოდგომაზე და ემზ ძალაში 1993 წლის 1 იანვრიდან უნდა შესულიყო, მაგრამ შეთანხმება უარყოფილ იქნა შვეიცარიაში 1992 წელს ჩატარებული რეფერენდუმით. იგი ძალაში მხოლოდ 1994 წლის იანვარში შევიდა დანარჩენ ქვეყნებთან დამატებითი მოლაპარაკებების შემდეგ. შვეიცარია არ შევიდა მათ რიცხვში, ხოლო ლიხტენშტეინის გაწევრიანება შემდგომი წლისათვის (1995) გადაიდო. სხვა სამი ქვეყნისათვის ემზ-მ მხოლოდ და მხოლოდ ევროკავშირის სრული წევრობის პლაცდარმის როლი შეასრულა. 1995 წლის იანვარში ავსტრია, ფინეთი და შვედეთი ევროკავშირში გაწევრიანდნენ. ნორვეგიაც აწარმოებდა მოლაპარაკებებს სრულუფლებიანი წევრობის თაობაზე, მაგრამ 1994 წლის დეკემბერში გამართულ რეფერენდუმზე მისმა ამომრჩევლებმა უარყვეს ეს განზრახვა, ასე რომ, იგი დარჩა ემზ-ში

ისლანდიასა და ლიხტენშტეინთან ერთად. შვეიცარიის მთავრობა შეთანხმდა ევროკავშირთან ორმხრივი მოლაპარაკებების სესიის ჩატარებაზე, რამდენადაც მისი გაწევრიანების განაცხადის განხილვა განუსაზღვრელი დროით გადაიდო. ამჟამად შვეიცარია ევროკავშირის მეორე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, აშშ-ს შემდეგ.

სხვა ბანკითარებული ქვეყნები

ჩრდილოეთ ამერიკა

აშშ-თან სავაჭრო ურთიერთობების მართვა ძირითადად ხდება ტქსს-ში და მსწ-ში დადებული ხელშეკრულებებით. ორივე აღიარებს თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს, მაგრამ ხშირად ისინი ბრალს სდებენ ერთმანეთს პროტექციონისტურ ტენდენციებსა ან საკუთარი ექსპორტიორებისათვის სახელმწიფო სუბსიდიების მეშვეობით უთანასწორო პირობების შექმნაში. 1980-იან წლებში განსაკუთრებით გახშირდა კამათი სოფლის მეურნეობისა და ფოლადის ნაწარმის საკითხებში, რასაც დროდადრო მოჰყვებოდა ხოლმე ურთიერთსაპირისპირო ზომების მიღება, რომლებიც მოგვიანებით უქმდებოდა ორმხრივი დათმობების შედეგად. მსგავსი დაპირისპირება ისეთ საკითხებზე, როგორცაა ევროკავშირის მიერ ჰორმონების შემცველ ხორცის იმპორტის შეზღუდვა და ლათინურ ამერიკაში აშშ-ის კომპანიების მიერ ბანანის იმპორტის დისკრიმინაცია, მოგვარებულ იქნა მსწ-ს კამათის პროცედურებით, რომლის გადაწყვეტილებაც ორივე საკითხში აშშ-ის სასარგებლოდ იქნა მიღებული. რამდენიმეჯერ შეიქმნა ფართო მასშტაბიანი სავაჭრო ომის საშიშროება, რომელიც სერიოზულ ზიანს მიაყენებდა როგორც ორივე მხარეს, ისე ზოგადად მსოფლიო ვაჭრობას. თუმცა ჯერჯერობით ხერხდება კეთილგონიერული გადაწყვეტილებებით ამგვარი დაძაბულობის განმუხტვა.

კანადა აშშ-ის მსგავს პოზიციაზე დგას, მიუხედავად 1976 წელს მიღწეული ჩარჩო-შეთანხმებისა, რომლის ძალითაც შეიქმნა კომერციული და ეკონომიკური თანამშრომლობის მექანიზმები. 1990 წლის ნოემბერში ევროგაერთიანებას, აშშ-სა და კანადას შორის ხელი მოეწერა ტრანსატლანტიკურ დეკლარაციას, რომელიც ითვალისწინებდა საერთო ინტერესების სფეროში უფრო მჭიდრო თანა-

მშრომლობას და მუდმივ დიალოგს მომვალში შექმნილ დაპირისპირების გადასაჭრელად ან შესასუსტებლად. ამას მოჰყვა ახალი ტრანსატლანტიკური პროგრამა, რომელსაც ხელი მოაწერეს კლინტონმა და ევროკავშირის ლიდერებმა 1995 წლის დეკემბერში, ბრიუსელში. ამ ხელშეკრულებით უნდა დამყარებულიყო თანაბარი და მჭიდრო ურთიერთობები. თუმცა აშშ-ის კონგრესის მიერ ექსტრატერიტორიული შედეგების მქონე ჰოლმს-ბარტონის აქტის მიღებამ გამოიწვია მკვეთრი დაპირისპირება ევროკავშირთან (რომელიც მას საერთაშორისო კანონმდებლობით უკანონოდ მიიჩნევდა), კუბასთან, ირანთან და ლიბიასთან ვაჭრობის თაობაზე. თუმცა 1998 წლის მაისში ევროკავშირი - აშშ სამიტზე პრეზიდენტმა კლინტონმა გადაწყვიტა თხოვნით მიემართა კონგრესისათვის იმგვარი ცვლილებები შეეტანათ ხსენებულ აქტში, რომ მისი შედეგები არ შეხებოდა ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს. ამასობაში 1996 წლის ივლისში მოგვარდა კამათი კანადასთან თევზჭერის უფლებების შესახებ, რამაც განაპირობა 1996 წლის დეკემბერში ოტავაში დადებული შეთანხმება მჭიდრო სავაჭრო და სხვა ურთიერთობის ერთიანი გეგმის მიღების თაობაზე.

იაპონია

ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობა იაპონიასთან საკმაოდ რთულია, რაც უმეტესწილად განპირობებულია მნიშვნელოვანი სავაჭრო დეფიციტით. იაპონიის იმპორტი კავშირიდან მისი ექსპორტის ნახევარზე ნაკლებია. ეს დისბალანსი განსაკუთრებით მტკივნეულია, რამდენადაც იაპონიის ექსპორტი ფოკუსირებულია საკმაოდ შეზღუდული რაოდენობის სექტორებზე - ავტომანქანებზე, ელექტრონიკაზე, აუდიო-ვიდეო ტექნიკაზე, კომპიუტერებზე და ტელეკომუნიკაციაზე, რომლებშიც ევროპული ფირმები ცდილობენ შეინარჩუნონ ან მიაღწიონ არსებით წილს მსოფლიო ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის ტარიფები საშუალოდ ევროკავშირის ტარიფებზე ნაკლებია, ევროკავშირმა არაერთხელ მოუწოდა იაპონიის მმართველობას მოხსნან არასატარიფო ბარიერები და გადადგან უფრო გადამწყვეტი ნაბიჯები უცხოური იმპორტისათვის თავიანთი შიდა ბაზრის გახსნის თვალსაზრისით.

ამასობაში იაპონიის ექსპორტი ევროპაში სხვადასხვა საშუალებით იზრდება. ზოგიერთ ზომებს უფრო ინდივიდუალური წევრი ქვეყნები

იღებენ, ვიდრე თავად ევროკავშირი. ესენია „ნებაყოფლობითი“ შეთანხმებები წელიწადში იაპონიიდან იმპორტირებული ავტომანქანების რაოდენობის შეზღუდვაზე. კომისიამ მზარდი ინტენსივობით მიმართა ანტიდემპინგურ ზომებს, რომლითაც უნდა მომხდარიყო ისეთი საქონლის იმპორტის შეზღუდვა, როგორცაა: მამრავლებელი დანადგარები, პრინტერები და ელექტრული საბეჭდი მანქანები, ფერადი ტელევიზორები, ხოლო ციფრული მანქანა-ხელსაწყოების, კომპაქტდისკ საკრავების, ვიდეო-მაგნიტოფონების და მიკროტალღური ლუმელების იმპორტი ბოლო წლებში, ოფიციალურად, თუ არაოფიციალურად, შეიზღუდა.

რეგულარულად ტარდება მაღალი დონის შეხვედრები იაპონიის მინისტრებსა და ოფიციალურ პირებთან, ასევე ორმხრივი შეხვედრები აშშ-სა და კანადის მონაწილეობით. ამ შეხვედრებზე გამოყენებულმა ზეწოლამ შედეგად გამოიღო იაპონიის ინიციატივა მოეხდინა იმპორტიორთა სტიმულირება და შიდა ბაზარზე დაბრკოლებების მოხსნა ან შესუსტება. პირველი ხუთი წლის მანძილზე, 1990 წლამდე იაპონიის მბ-სთან ვაჭრობის ჭარბი მაჩვენებლები მეტად შემცირდა, მაგრამ იგი კვლავ მკვეთრად გაიზარდა 1991 წელსა და შემდგომ წლებში. ევროგაერთიანებამ მკაცრად მოსთხოვა იაპონიას ბაზრის გამხსნელი ზომების მიღება, რომელმაც, თავის მხრივ, ბაზარზე ევროგაერთიანების ექსპორტიორთა შეღწევის გავრცელების წარუმატებლობა თავად მათსავე არაკომპეტენტურობას დააბრალა. 1991 წლის ივლისში მბ-მ და იაპონიამ ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომელიც ითვალისწინებდა სამომავლო ახალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას. 1993 წელს დაარსდა ვაჭრობის შეფასების მექანიზმი (3შმ) (Trade Assessment Mechanism - TAM), რათა დაედგინა, თუ, რატომ იყო წარუმატებელი ევროკავშირის ბიზნესი იაპონიაში, მაშინ, როცა იგი საკმაოდ კარგად ფუნქციონირებდა მსოფლიოში. ამავე მექანიზმს უნდა შემოეტანა წინადადება ვაჭრობის შიდა დაბრკოლებების მოხსნისთვის საჭირო ზომების თაობაზე. ამასობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, იაპონიის ავტომობილების ექსპორტზე ევროკავშირის შეზღუდვების მოთხოვნის თაობაზე, თუმცა 2000 წლის 1 იანვრამდე არ არის მოსალოდნელი, რომ ევროკავშირის ბაზარი სრულიად თავისუფალი გახდება.

ავსტრალაზია

ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას არა აქვთ დადებული სავაჭრო შეთანხმებები ევროკავშირთან. თუმცა ისინი მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენენ, ახდენენ რა საკვები პროდუქტების და ნედლეულის ექსპორტსა და სამრეწველო საქონლის იმპორტს კავშირიდან. ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის საკვები პროდუქტების ექსპორტზე უარყოფითი გავლენა იქონია გაერთიანებული სამეფოს გაწვევრიანებამ ევროგაერთიანებაში. ახალ ზელანდიას ნაწილობრივ კომპენსაციის სახით მიენიჭა ექსპორტის დროებითი ქვოტა ყველსა და კარაქზე. ყველის ქვოტა ხუთ წელიწადში ამოიწურა, თუმცა მიუხედავად ევროკავშირის საკუთარი ჭარბი წარმოებისა, ყველის ლიმიტირებული ოდენობის ექსპორტის ვადა გაგრძელდა.

ყოფილი კომუნისტური ქვეყნები

კომუნისტური რეჟიმის დამხობამდე 1988-90 წლებში ვაჭრობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან მკვეთრად ჩამორჩებოდა ნორმალური სავაჭრო ურთიერთობების უკმარისობისა და გეგმური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მანკიერებების გამო.

1988 წელს დაიდო ურთიერთდღარების შეთანხმება კომმეკონთან, კომუნისტური ქვეყნების უმრავლესობის დამაკავშირებელ ეკონომიკურ ორგანიზაციასთან, რომლიც 1991 წელს გაუქმდა. ამან შესაძლებელი გახად დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება მბ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ცალკეულ ქვეყნებთან ისევე, როგორც კუბასთან. ხელი მოეწერა სავაჭრო თანამშრომლობის შეთანხმებებს: პოლონეთთან, უნგრეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან და საბჭოთა კავშირთან. ამავდროულად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ტექნიკური დახმარება გაეწია პირველ სამ ქვეყანას, ასევე ჰუმანიტარული დახმარება გაეწია: ბულგარეთს, რუმინეთსა და საბჭოთა კავშირს.

სამოკავშირეო ასოციაციის ხელშეკრულებები

1990-01 წელს დაიწყო მოლაპარაკებები, რომელზედაც უნდა დამყარებულიყო შორს მიმავალი სამოკავშირეო ხელშეკრულებები (ცნობილი როგორც ევროპის ხელშეკრულებები) ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ახალბედა დემოკრატიულ ქვეყნებთან. ეს

ხელშეკრულებები ითვალისწინებდა მშ-ის ბაზარზე მათი სამრეწველო საქონლის უტარიფო დაშვებას, ხოლო საფეიქრო და სოფლის მეურნეობის საქონლის თავისუფალ ექსპორტზე შეზღუდვები შენარჩუნებული იქნებოდა. პირველი სამი ხელშეკრულება დაიდო 1991 წლის დეკემბერში ჩეხოსლოვაკიასა, უნგრეთსა და პოლონეთთან. ხელშეკრულება ჩეხოსლოვაკიასთან შემდგომ შეიცვალა ცალკეული შეთანხმებებით ჩეხეთის რესპუბლიკასთან და სლოვაკეთთან. გარდა ამისა, ხელი მოეწერა შეთანხმებებს ბულგარეთსა და რუმინეთთან. ნაკლებად მრავლისმომცველი ხელშეკრულებები დაიდო ალბანეთსა, სლოვენიასა და ბალტიისპირეთის სამ სახელმწიფოსთან, ასევე, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვას და უზბეკეთის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან. საცდელი მოლაპარაკებები მიმდინარეობს თურქეთთან. 1994 წლის ივნისში კორფუს სამიტზე ხელი მოეწერა პარტნიორობის და თანამშრომლობის შეთანხმებას რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინთან, რამაც შესაძლოა მოგვიანებით მიგვიყვანოს ევროკავშირისა და რუსეთის თავისუფალი ვაჭრობის ზონის ჩამოყალიბებამდე. 1970 წელს ყოფილ იუგოსლავიასთან დადებული სავაჭრო შეთანხმება აღარ არის ქმედითი. კავშირი განიცდის მკვეთრ დეფიციტს ყოფილ კომმუნისტ-ის ქვეყნებთან, რაც უმეტესწილად გამოწვეულია დასავლეთ ევროპაში რუსეთის ენერგორესურსების რეალიზაციით და დაინტერესებულთა საკუთარი სამრეწველო საქონლის ექსპორტის ფორმირებაში. თუმცა, პროგრესი ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს. მისი ტემპი კიდევ უფრო შეანელა რუსეთის ეკონომიკურმა კრიზისმა.

ბანკითარებადი ქვეყნები

ხმელთაშუა ზღვისპირეთი

გაერთიანებამ დადო სამოკავშირეო ან თანამშრომლობის ხელშეკრულებები ხმელთაშუა ზღვისპირეთის 12 ქვეყანასთან (ალბანეთისა და ლიბიის გარდა), რომელთა მეშვეობითაც ამ ქვეყნებს შესაძლებლობა მიეცათ მათი სამრეწველო პროდუქციის ყველა ან უმეტესი სახეობების უბაჟო მიწოდებისა. გარდა ამისა გათვალისწინებულ იქნა შეღავათები სოფლის მეურნეობის მთელ რიგ საქონელზე და გარკვეული ფინანსური დახმარება სესხებისა და გრანტების

სახით. 1990 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა მსგავსი შეთანხმება სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრ ქვეყნებთან

სამ ქვეყანასთან დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება. 1987 წელს თურქეთმა შეიტანა განაცხადი მპ-ის სრულუფლებიან წევრობაზე და 1995 წლის 31 დეკემბერს შევიდა საბაჟო კავშირში ევროკავშირთან. 1997 წელს სრულად შევიდა ძალაში ადრინდელი ორეტაპობრივი შეთანხმება საბაჟო კავშირის შესახებ სოფლის მეურნეობის საქონლის ჩათვლით.

1990 წელს მპ-ში სრული გაწევრიანების სურვილი გამოთქვა კვიპროსმა და მის მაგალითს მიბაძა მესამე მოკავშირე ქვეყანამ, მალტამ.

აფრიკის, კარიბის ზღვის და წყნარი ოკეანის ქვეყნები (აპწ ქვეყნები)

აფრიკაში, კარიბისა და წყნარი ოკეანის აუზში 71 ქვეყანა ლომეს კონვენციის წევრია (იხ. დანართი №7) რაც ხელმომწერ ქვეყნებს ათავისუფლებს ყოველგვარი ბაჟისაგან კავშირში მათი ექსპორტის მოცულობის 99.5%-სათვის, ყოველგვარი სანაცვლო დათმობების გარეშე.

აზია

ისეთი ქვეყნები, როგორცაა: ინდოეთი, ბანგლადეში, პაკისტანი და შრი-ლანკა სარგებლობენ ევროკავშირის შედეგათების ზოგადი სისტემით, რომელიც აძლევს განვითარებადი ქვეყნების მზა პროდუქციასა და ნახევარფაბრიკატებს ბაზარზე უბაჟო შეღწევის საშუალებას. ამასთან ევროკავშირს აქვს სეპარატული ეკონომიკური და განვითარების შეთანხმებები ინდოეთსა და პაკისტანთან და თანამშრომლობის ხელშეკრულება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციასთან - სააქა (Association of South-East Asian Nations - ASEAN), რომელშიც შედის: ბრუნეი, ინდონეზია, მალაიზია, ფილიპინები, სინგაპური, ვიეტნამი და ტაილანდი. ევროპა-აზიის პირველმა სამიტმა, რომელიც შედგა ბანგკოკში 1996 წლის მარტში და რომელშიც მონაწილეობდა იაპონია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა, და სააქა-ს შეიდი ქვეყანა, ოდნავ თუ გააუმჯობესა ეკონომიკური და პოლიტიკური მოკლევადიანი კავშირები, მაგრამ მან საფუძველი მოამზადა ყოველ ორ წელიწადში მთავრო-

ბათა მეთაურების კონსულტაციების გაგრძელებისათვის. აზია-ევროპის მეორე სამიტზე ლონდონში, 1998 წლის აპრილში აღმოცენდა რამდენიმე ინიციატივა, მათ შორის მსოფლიო ბანკში აზია-ევროპის სატრასტო ფონდის შექმნის, აზიაში ფინანსური რეფორმების გატარებისათვის საჭირო ფინანსური ექსპერტების ქსელის შექმნის, ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშემწყობი სამოქმედო გეგმების დამუშავების და „ვიუენ ჯგუფის“ შექმნის, რომელსაც დაევალა აზიასა და ევროპის ურთიერთობის გრძელვადიანი პერსპექტივების შესწავლა. ბანკონგში დაარსდა აზია-ევროპის გარემოს შემსწავლელი ცენტრი, სინგაპურში კი აზია-ევროპის ფონდი.

ლათინური ამერიკა

დადებულია ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის ხელშეკრულებები ძირითადი ქვეყნების უმრავლესობასთან. მათ შორის ანდების პაქტის ხუთ წევრ ქვეყანასა და ცენტრალური ამერიკის „ყელის“ - ექვს ქვეყანასთან. ყველა ლათინურ ამერიკული სახელმწიფო სარგებლობს ზოგადი შეღავათებით.

სავაჭრო პოლიტიკა

სამრეწველო საქონელი

ევროკავშირის საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა ეყრდნობა ან ცდილობს რომ მიაღწიოს თავისუფალ ვაჭრობას, როდესაც ეს სამრეწველო საქონელს შეეხება. თუმცა მისი ამგვარი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა იაპონიის მიმართ. გამონაკლისს მიეკუთვნება გემომშენებლობა, ფოლადის წარმოება და საფეიქრო მრეწველობა. ევროკავშირში საფეიქრო ნაწარმის იმპორტის დარეგულირება მოხდა „მულტიბოჭკოვანი“ შეთანხმებებით (მბშ) (Multi-Fibre Arrangement - MFA). მბშ წარმოადგენდა გარიგებას აშშ-ს, ევროგაერთიანებასა და იაფი საქონლის მომწოდებლებს შორის, რომელიც მიღწეულ იქნა 1973 წელს და ითვალისწინებდა განვითარებული ქვეყნიებიდან მომწოდებლებისათვის ბაზრის გახსნას მაშინ, როცა ინდუსტრიული ქვეყნების არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი საფეიქრო მრეწველობა თანდათანობით მცირდებოდა. მოკლე დროში თვალსაჩინო გახდა, რომ ეს გზა გამოყენებულ იქნა, როგორც

პროტექციონისტული ხერხი, რათა შენარჩუნებულიყო განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტის მოკრძალებული ღონე. ურუგვაის რაუნდზე მიღწეული შეთანხმებების თანახმად მბშ ათი წლის განმავლობაში გაუქმდება და ევროკავშირის ბაზარი პროგრესულად გაიხსნება საფეიქრო იმპორტისათვის.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის მართვა პროტექციონიზმის პრინციპს ეყრდნობა. ინდოეთიდან და აპწ ქვეყნებიდან სპეციალური შეთანხმებებით შაქრის გარანტირებულ ფასად შესყიდვის კვოტის გარდა ევროკავშირში ზომიერი სარტყლის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემოტანა ფაქტიურად არ ხდება (იხ.თავი 20), რადგანაც აგრარული ბეგარის დაწესების შედეგად ეს საქონელი არაკონკურენტუნარიანი გახდა. ურუგვაის რაუნდის შედეგად მომავალში მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვლება. თუმცა ევროკავშირი რჩება საკვები პროდუქტების მსოფლიოში უდიდესი იმპორტიორი. ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ვაჭრობაში ადგილი აქვს არსებით მნიშვნელოვან დეფიციტს, რაც გამოწვეულია ტროპიკული პროდუქტებისა და ცხოველების საკვების შესყიდვით.

ევროკავშირი - მსოფლიო ვაჭრობის ლიდერი

ამ შეთანხმებების შედეგი არის ის, რომ ევროკავშირი მსოფლიო ვაჭრობის ლიდერია. 1996 წლის საქონლის მსოფლიო ვაჭრობაში მისი წილი იყო (ექსპორტ-იმპორტის საშუალო მაჩვენებელი) 19,2%, მაშინ, როდესაც აშშ-ზე მოდიოდა 18,1% და იაპონიაზე -9,6%. კომერციული მომსახურებების სფეროში ევროკავშირის წილი მსოფლიო ვაჭრობაში უფრო მეტია, იგი ერთ მეოთხედს აღემატება (იხ. მაჩვენებელი №7). თუ ამას დავუმატებთ ვაჭრობას წევრ ქვეყნებს შორის, ევროკავშირის დომინირება კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, მიუხალოვდება რა როგორც საქონლის, ისე მომსახურების სფეროში 40%-ს.



მის არეალში წარმოებული მთლიანი ეკონომიკური საქმიანობის თვალსაზრისით ევროკავშირი თავის მხრივ კონკურენტებზე მეტად არის დამოკიდებული ვაჭრობაზე. ბელგიასა და ლუქსემბურგში იმპორტ-ექსპორტი შეადგენს მშპ-ს თითქმის 60%-ს. სხვა წევრ სახელმწიფოთა დამოკიდებულების ოდენობა მოყვანილია მაჩვენებელზე №8.

კავშირისათვის ვაჭრობის ამ დონეზე შენარჩუნება აუცილებელია ენერგო-რესურსებისა და ნედლეულის სიმწირის გამო. ენერგეტიკის მოთხოვნილების 45%-ის, ისევე როგორც სხვა სახის სასიცოცხლო მნიშვნელობის ნედლეულის მოთხოვნილების სამი მეოთხედის დაკმაყოფილება ხდება იმპორტის ხარჯზე. მათი შესყიდვისათვის კავშირმა უნდა მოახდინოს მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში ძირითადად მზა პროდუქციის ექსპორტი. მიუხედავად იმისა, რომ 1958 წელს გაერთიანების დაარსების შემდეგ შიდა ვაჭრობა წევრ ქვეყნებს შორის მკვეთრად გაიზარდა, მსოფლიო ვაჭრობაში მისი წილი გარკვეულწილად შემცირდა იაპონიისა და ახალი ინდუსტრიული ქვეყნების - სამხრეთ კორეის, ბრაზილიისა და სინგაპურის მხრიდან ძლიერი კონკურენციის ფონზე.

დიაგრამა №7
ვეროკავშირი მსოფლიო ვაჭრობაში



მსოფლიო სასაბაზო ვაჭრობის წილი 1996 წელს (%)

მსოფლიო კონსტრუქციის მშენებლობის წილი 1996 წელს (%)



მთავარი პარტნიორების წილი ვაჭრობის მთლიან საცალო ვაჭრობაში


მთავარი პარტნიორების წილი მსოფლიო კონსტრუქციის მშენებლობის მთლიან საცალო ვაჭრობაში



ა) ვეროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის გამოყოფებით
 ბ) იმპორტი+ექსპორტი
 წყაროები: ეკონოსტატი, საერთაშორისო საკალოგო ფონდი, მსოფლიოს ვაჭრობის ორგანიზაცია

დიაგრამა № 8

ვაჭრობა როგორც მშპ-ის პროცენტული წილი, 1995 წ.



" წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის გამორიცხვით წყარო: ევროსტატი

16 პრეზიდენტი ბაზარი

ეროტიანი ბაზარი მოჩვენებითი გამოდგა

1980-იან წლებში გამოითქვა შეშოთება იმის გამო, რომ ევროკავშირის ექვსი თავდაპირველი წევრის მიერ 15 წლის წინათ შიდა ვაჭრობაზე არსებული გადასახადებისა და შეზღუდვების გაუქმების მიუხედავად, გაერთიანება ჯერ კიდევ შორს იყო ე.წ. „ერთიანი ბაზრად“ ჩამოყალიბებისაგან.

- საზღვრების ფორმალური პროცედურები აფერხებდა ერთი წევრი ქვეყნიდან მეორეში საქონლის ტრანსპორტირებას და ზრდიდა მის ღირებულებას.
- ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო ევროკავშირის მოქალაქეებისათვის სხვა წევრ ქვეყანაში მათი პროფესული მოვალეობების შესრულება, მიუხედავად რომის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული თავისუფალი გადაადგილებისა.
- მომსახურებების დარგი, როგორცაა დაზღვევა ვერ ფუნქციონირებდა გაერთიანების მასშტაბით.
- განსხვავებული არაპირდაპირი საგადასახადო ტარიფები ხელს უშლიდა გაერთიანების შიდა ვაჭრობას.
- საზოგადოებრივი მიწოდების კონტრაქტები წევრ ქვეყნებში ინახებოდა ეროვნული მიმწოდებლებისათვის და არ ხდებოდა მათი გამოტანა ღია ტენდერზე.

ევროპარლამენტისათვის წარდგენილ შთამბეჭდავ მოხსენებაში, რომლის ავტორებიც იყვნენ ორი წამყვანი ფრანგი და ბრიტანელი ეკონომისტი, ნათქვამი იყო, რომ ამგვარი შეზღუდვები გაერთიანების ყოველ მშრომელს წლიურად უჯდებოდა ერთი კვირის ხელფასის ეკვივალენტური თანხა. ყველასთვის ნათელი იყო, რომ გაერთიანება ვერ ახერხებდა იმ ოდენობის მოგების მიღებას, რისი მოცემაც შეეძლო 321 მლნ ადამიანისაგან შემდგარ ერთიანი ბაზარს (1986 წელს პორტუგალიის და ესპანეთის გაწევრიანების შემდეგ) მის ძირითად ინდუსტრიულ კონკურენტებთან, ნაკლები მოსახლეობის მომცველ აშშ-სა და იაპონიასთან შედარებით.

ევროსაბჭო მიმართავს კონკრეტულ ქმედებებს

ეს პრობლემა განიხილებოდა ევროსაბჭოს მიმდევრობით სხდომებზე 1982-85 წლებში. მრავალ ასეთ სხდომაზე მთავრობათა მეთაურებმა პირობა დადეს შიდა ბაზრის, როგორც უმაღლესი პრიორიტეტის სრულქმნის თაობაზე, მაგრამ ამას დიდი შედეგები არ მოჰყოლია. მინისტრთა საბჭოში დაგროვდა ევროკომისიაში შემოტანილი ღირეუტეობების და კანონპროექტების მთელი გროვა, რომლის თაობაზეც გადაწყვეტილების მიღებაც ხშირად ფერხდებოდა მხოლოდ ერთი წერილი სახელმწიფოს წინააღმდეგობისა ან ორჭოფობის გამო. და ბოლოს, 1985 წელს ევროსაბჭოს ორ მიმდევრობით სხდომაზე (მარტი-ბრიუსელი და ივნისი-მილანი) გადაიდგა ორი გადამწყვეტი ნაბიჯი. ბრიუსელში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კომისიისათვის ინსტრუქციების მიცემის შესახებ, რომელსაც დაეკალა 1992 წლისათვის ერთიანი ბაზრის სრულქმნის დეტალური პროგრამის და მასთან კონკრეტული განრიგის შემუშავება. გადაწყდა მილანში მთავრობათაშორისი კონფერენციის მოწვევა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განიხილავდა რომის ხელშეკრულებაში შესწორებების შეტანას, რაც ითვალისწინებდა ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის გამოყენებას შიდა ბაზართან დაკავშირებული ისეთი საკითხების განხილვისას, რომლებიც ადრე საჭიროებდნენ გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას. ამ ინიციატივამ მიგვიყვანა საგანგებო ევროპულ აქტამდე, რომელიც ძალაში 1987 წლის 1 ივლისს შევიდა.

ერთიანი ბაზრის თეთრი ფურცელი

ბრიუსელის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას მალე მოჰყვა საპასუხო ქმედება კომისიის მხრიდან, რომელმაც წარმოადგინა ლორდ კოკფილდის მიერ შემუშავებული „თეთრი ფურცელი“. კომისარი ლორდ კოკფილდი პასუხისმგებელი იყო შიდა ბაზარზე. „თეთრი ფურცლის“ მილანში დასამტკიცებლად წარდგენა დროულად მოხდა. ეს დოკუმენტი მოიცავდა 300-მდე ღონისძიებას, რომელიც უნდა განხორციელებულიყო ერთიანი ბაზრის მისაღწევად. ისინი იყოფოდნენ შემდეგ კატეგორიებად:

- ფიზიკური ბარიერების მოხსნა;
- ტექნიკური ბარიერების მოხსნა;
- ფისკალური ბარიერების მოხსნა.

ფიზიკური ბარიერები. „თეთრი ფურცლის“ მთავარ მიზნად მიჩნეული იყო 1992 წლისათვის სასაზღვრო კონტროლის არა უბრალო შემსუბუქება, არამედ მთლიანი გაუქმება. მიღებულ იქნა ზომები, რომლებიც შეასუსტებდა და გაამარტივებდა არსებულ კონტროლს. ეს პროცესი დაიწყო ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტის სად-ის (Single Administrative Document - SAD) შემოღებით, რომელიც ჩაენაცვლა ევროკავშირის შიდა საზღვრის გადაკვეთისას სატვირთო მანქანის მძღოლებისათვის ადრე საჭირო 70 ფორმას. ამით იხსნებოდა გზა პერიოდის ბოლოსათვის ყოველგვარი შეზღუდვების სრული გაუქმებისა საქონელზე და ინდივიდუალურ მგზავრებზე.

ტექნიკური ბარიერები. „თეთრი ფურცლის“ მეორე ნაწილის დანიშნულება იყო სხვადასხვა ეროვნული კანონებით და სტანდარტებით შექმნილი ბარიერების მოხსნა. კომისიის წინადადებით ათასობით განსხვავებული საწარმოო პროცესის ეროვნული სტანდარტების ჰარმონიული შეთანხმების პროგრამა უნდა შეცვლილიყო ეროვნული სტანდარტების ცნობის სისტემით, რაც დაგვირგვინდებოდა ევროპული სტანდარტების მიღებით. სანაცვლოდ ევროგაერთიანებამ უნდა მოახდინოს ყურადღების კონცენტრაცია ყველა წევრ ქვეყანაში ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მინიმალურ სავალდებულო მოთხოვნებზე.

სხვა წინადადებები მოიცავდა:

- საზოგადოებრივი მიწოდების ლიბერალიზაცია;
- ისეთი მომსახურებებისათვის როგორცაა: ტრანსპორტი, საბაჟო საქმე, დაზღვევა და ინფორმაცია ერთიანი ბაზრის შექმნა;
- გაერთიანების შიგნით კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება;
- ევროგაერთიანების მასშტაბის კომპანიების ფორმირებაზე იურიდიული შეზღუდვების მოხსნა;
- გაერთიანების სავაჭრო ნიშნების სისტემის მიღება.

ფისკალური ბარიერები. „თეთრი ფურცლის“ მესამე ნაწილი ძირითადად შეეხებოდა გაერთიანებაში სააქციზო გადასახადებისა და დღგ-ს ურთიერთდაახლოების საკითხს. კომისიას შიდა ბაზრის სრულქმნისათვის საჭიროდ არ მიაჩნდა სრული ჰარმონიის მიღწევა. იგი კმაყოფილი იქნებოდა გეგმური თუ ნორმირებული ტარიფიდან +/-25%-იანი გადახრის არსებობის შემთხვევაშიც.

შიდა ბაზრის სრულქმნის განრიგში დადგენილი თარიღები შიდა ბაზრის სრულქმნის განრიგში დადგენილ იქნა თარიღები 300-ვე ღონისძიების განხორციელებისათვის, როგორც კომისიის მიერ ღირეპტივების და წესების პროექტების წარდგენისა, ასევე მინისტრთა საბჭოს მიერ მათი მიღებისათვის. მიუხედავად მთავრობათა მეთაურების დიდი ენთუზიაზმისა, შეიმჩნეოდა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობებისადმი ძლიერი სკეპტიციზმი. თუმცა პროგრამამ მალე აიღო ტემპი, რაც ნაწილობრივ განპირობებული იყო ჟაკ დელორისა და ლორდ კოკფილდის „თეთრი ფურცლის“ წინადადებების შესრულებისათვის გაწეული ძალისხმევით. 1992 წლისათვის დათქმულმა ვადამ დიდი ინტერესი გამოიწვია, როგორც წევრ-სახელმწიფოთა, ისე დანარჩენ ქვეყნებს შორის, რომელთა მთავრობებსა და ვაჭრებსაც ეშინოდათ კიდევ უფრო ინტეგრირებული ევროპული ბაზრის შედეგებისა, საიდანაც ისინი შესაძლებელია გარიცხულნი ყოფილიყვნენ. ლორდ კოკფილდი აღარ იქნა ხელახლა არჩეული 1989 წლის იანვარში დელორის მეორე კომისიაში, მაგრამ ამ დროისათვის მისი პროგრამა განუხრელ პროგრესს განიცდიდა, რასაც ხელს უწყობდა საგანგებო ერთიანი ევროპული აქტით გათვალისწინებული კენჭისყრის ახალი პროცედურები, რომელთაც საკმაოდ დააჩქარეს პროგრესი მინისტრთა საბჭოში. მოგვიანებით 300 ღონისძიება გაერთიანებულ იქნა 282 ღირეპტივისა და კანონის პროექტებში. 1992 წლის 31 დეკემბრისათვის - დაგეგმილი თარიღისათვის, მათგან არანაკლებ 258-სა, ე.ი. 90%-ზე, მეტი მიღებულ იქნა მინისტრთა საბჭოს მიერ, ხოლო 79% უკვე გამოიყენებოდა წევრ ქვეყნებში. ზოგიერთ შემთხვევაში, მათ შორის არაპირდაპირი ბეგარის ჰარმონიზაციის საკითხში (იხ. თავი 19) თავდაპირველი წინადადებები აშკარად არ შესრულდა, მაგრამ უდავოა, რომ პროგრამის უმეტესი ნაწილი გეგმის თანახმად განხორციელდა.

შენგენის შეთანხმება

უდიდესი წარუმატებლობა იყო ის, რომ 1993 წლის 1 იანვარს ევროკავშირის შიდა საზღვრებზე საქონლის ტრანსპორტირებაზე დაწესებული საბაჟო კონტროლის მთლიანად მოხსნის მიუხედავად, მრავალ სასაზღვრო პუნქტზე, განსაკუთრებით კი საზღვაო პორტებსა და აეროპორტებში კვლავაც წარმოებდა პასპორტების სისტემატური შემოწმება. შვიდი წლით ადრე მთავრობათა ერთი ნაწილის, მათ შორის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის აზრით, სასაზღვრო შემოწმებების მოხსნა გამოიწვევდა ტერორიზმის, არალეგალური იმიგრაციისა და ცხოველური ავადმყოფობების კონტროლთან დაკავშირებულ პრობლემებს. სწორედ ამ დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით 1990 წლის ივნისში ხუთმა წევრმა სახელმწიფომ გადაწყვიტა გაეუქმებინა მათი ევროგაერთიანების შიდა საზღვრები და ამასთანავე გაეძლიერებინა კონტროლი გარე საზღვრებზე. ამრიგად: ბელგიას, საფრანგეთს, ლუქსემბურგსა და ნიდერლანდს შორის ხელი მოეწერა შენგენის ხელშეკრულებას, რომელსაც ეს სახელი ეწოდა ლუქსემბურგის იმ სოფლის მიხედვით, სადაც შედგა ზემოთხსენებული შეთანხმება. ქვემოთ მოტანილია ორი უმნიშვნელოვანესი სფერო, რომელსაც მოიცავს ეს ხელშეკრულება.

გარე საზღვრები. მთავარ მიზანს წარმოადგენდა ვიზის მოთხოვნათა ჰარმონიზაცია და ისეთი ვიზების გაცემა, რომელიც მოქმედი იქნებოდა შენგენის ხელშეკრულების ყველა ქვეყნისათვის. უნდა მომხდარიყო 100-მდე ქვეყნის სიის შედგენა, რომელთა მოქალაქეებსაც დასჭირდებოდათ შესასვლელი ვიზები. შემუშავდებოდა აგრეთვე საექვო პირთა სია და დაწესდებოდა მათზე მეთვალყურეობა გარე საზღვრებზე. გათვალისწინებული იქნებოდა პოლიტიკური თავშესაფრის პროცედურებიც.

იურიდიული საკითხები. გათვალისწინებულ იქნა მჭიდრო თანამშრომლობა დაბეგერაში, სააქციზო და საბაჟო გადასახადების სფეროში გაუგებრობების წამოჭრის შემთხვევაში. ამასთან ერთი წევრი სახელმწიფოს სასამართლოში გამოტანილი განაჩენი ძალაში რჩება იმ ქვეყანაში, სადაც იძოფება სამართალდამრღვევი. სამართალდამცავ ორგანოებმა უნდა მიმართონ მჭიდრო თანამშრომლობას, მათ ეძლევათ უფლება დენისას გადაჭრან საზღვრები, თუმცა

საფრანგეთი არ აძლევს უცხოურ პოლიციას მის ტერიტორიაზე დაპატიმრების უფლებას. სტრასბურგში დაარსებული შენგენის საინფორმაციო სამსახური შეადარებს მონაცემებს ყოველ წევრ სახელმწიფოში პოლიციის მიერ ძებნილ პირებისა და საქონლის შესახებ. შეთანხმებულ იქნა ამ მონაცემების კონფიდენციაურობის დამცველი სისტემა. შენგენის ქვეყნები მოახდენენ კანონების ჰარმონიზაციას იარაღის ფლობასა და გამოყენებაზე და მჭიდროდ ითანამშრომლებენ ნარკოტიკების კონტრაბანდასთან ბრძოლაში.

შეთანხმება ძალაში 1992 წლის დასაწყისში უნდა შესულიყო, მაგრამ გარკვეული შეფერხებების გამო იგი 1994 წლის ბოლოს ამოქმედდა. 1997 წლისათვის 15 წევრი ქვეყნიდან ამ ხელშეკრულებას შეუერთდება 13 ქვეყანა, მათ შორის ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მყოფი ნორვეგია და ისლანდია. ერთ-ერთი წევრი სახელმწიფო, რომელსაც არ სურს სასაზღვრო კონტროლის გაუქმება, არის გაერთიანებული სამეფო, მაგრამ შენგენის შეთანხმებას არ შეუერთდა ირლანდიაც, ვინაიდან მას სურდა შეენარჩუნებინა არსებული შეთანხმება, რომლის ძალითაც ირლანდიის მოქალაქეები არ გადიან საპასპორტო შემოწმებას გაერთიანებული სამეფოს საზღვრის გადაკვეთისას. 1997 წლის ივნისში ხელმოწერილი ამსტერდამის ხელშეკრულებით შენგენის შეთანხმება ჩართული იქნა ევროკავშირში, თუმცა მასში არ შევიდნენ გაერთიანებული სამეფო და ირლანდია.

ჩეკინის მოხსენება და მისი შედეგები

1992 წლის პროგრამის განხორციელება დაიწყო რწმენით, რომ იგი მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა გაერთიანების ქვეყნებსა და ხალხებს. ამ სარგებლის აღრიცხვისას კომისიამ 1988 წელს შექმნა ექსპერტთა კომისია ახლახანს გადამდგარი ევროკავშირის უფროსი მოხელის პაოლო ჩეკინის მეთაურობით. რომელის გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, (რომელიც ეყრდნობოდა 11000 საწარმოო ეკონომეტრიკული მოდელირების მიმოხილვას), მიღებული ზომების კუმულიაციური ზემოქმედება 5-6 წელიწადში წევრი ქვეყნების მშპ-ს 4,5%-ით გაზრდიდა, ფასებს 6%-ით შეამცირებდა, შექმნიდა 2 მლნ. სამუშაო ადგილსა და „ევროპას გადაიყვანდა მომავალ საუკუნეში ეკონომიკური ზრდის მაღალ ტრაექტორიაზე“. 1996 წლის ოქტომბერში კომისიამ გამოსცა პროგრეს-მოხსენება,

რომლის თანახმადაც პირველ სამ წელიწად-ნახევარში მშპ გაიზარდა 1,1%-დან 1,5%-მდე. ინვენსტიციები 2.7%-ით აღემატებოდა აღრინდელ მაჩვენებლებს და შექმნილი იყო 900000 ახალი სამუშაო ადგილი. ინფლაცია მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ არსებობდა რამდენიმე შავი ლაქა, რაც გამოწვეული იყო ზოგიერთი წვერი სახელმწიფოს წარუმატებლობით ადეკვატურად შემოეღოთ ერთიანი ბაზრის კანონმდებლობა. ეს განსაკუთრებით საზოგადოებრივ მომარაგებას შეეხებოდა. დღე-ს აკრების ერთიანი სისტემის შემოღების წარუმატებელი მცდელობა ნიშნავდა იმას, რომ მომწოდებელს კვლავაც მოუწევდა მომქანცველ დოკუმენტაციასთან შეხება, ხოლო ბეგარის ჰარმონიზაციის საკითხში პროგრესის ნაკლებობამ ნამდვილად შეზღუდა ვაჭრობა.

1997 წლის მარტში, შიდა ბაზარზე პასუხისმგებელმა კომისარმა მარიო მონტიმ განაცხადა, რომ 1999 წლის 1 იანვრისათვის დაგეგმილი სავალდებულო და სავალუტო და ეკონომიკური კავშირის შექმნის დასაწყებად საჭირო იყო მძლავრი ბიძგი. ამ პროცესის დასასრულებლად მონტის მიზნები სრულად ვერ შესრულდა, თუმცა მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი პროგრესი, განსაკუთრებით დაბეგერის სფეროში, (სადაც წარმატებით დამარცხდა დაბეგერის მანეკონკურენცია) ინტელექტური საკუთრების დაცვისა, მეკობრეობისა და ფალსიფიკაციის აღკვეთის, მათ შორის ფინანსური მომსახურების სფეროში, რაც განაპირობა საკანონმდებლო ზომების ერთიან ჩარჩოებში მოქცევა. ბოლოს და ბოლოს თუ გამოვიციხავთ რამდენიმე ხარვეზს ერთიანი ბაზრის ფორმირება ფაქტიურად დასრულდა.

1. მ. ალბერტი და რ.ჯ. ბელი. 1980-იან წლებში ევროპის ეკონომიკური აღდგენისაკენ ევროპარლამენტისათვის წარდგენილი მოხსენება 1983წ.

17 კონკურენციის პოლიტიკა

ევროგაერთიანების დამაარსებლების მოსაზრებით საბაჟო კავშირის შექმნას აზრი არ ჰქონდა, თუ სხვადასხვა წევრი სახელმწიფოს ფირმებს შორის არსებულ კონკურენციას ხელს შეუშლიდა კარტელები და შემზღუდველი შეთანხმებები. ამისათვის რომის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა 85 და 86 მუხლები. პირველი კრძალავს კომპანიებს შორის შეთანხმებებს ფასების ფიქსირების თაობაზე, ბაზრების განაწილებას, წარმოების, ტექნიკური განვითარებისა და ინვენსტიციების ლიმიტირებას და სხვა შემზღუდველ პრაქტიკას. მეორე კრძალავს ფირმებისა ან ფირმების ჯგუფების მიერ გაბატონებული პოზიციის ბოროტად გამოყენებას. ამასთან მუხლები 92-94 კრძალავს ხელისუფლების სუბსიდიებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ან ხელს უშლიან კონკურენციას.

კომისიას ფართო უფლებამოსილება გააჩნია

ბოროტად გამოყენების აღკვეთის უფლებამოსილება კომისიის ხელთაა, რომელსაც შეუძლია იმოქმედოს მინისტრთა საბჭოს ჩარევის გარეშე, თუმცა მისი გადაწყვეტილებები ექვემდებარება გასაჩივრებას და ხშირად კიდევ არის ხოლმე გასაჩივრებული ევროპის სასამართლოში კომპანიების მიერ. კომისია მოქმედებს, როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე წევრი ქვეყნების, კომპანიების ან ფიზიკურ პირთა საჩივრების თანახმად. ყოველწლიურად განიხილება რამდენიმე ასეული საქმე, რომელშიც ჩართულია, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ფირმები, ისევე ბუნდოვანი საქმიანობის კომპანიები, რომელთა სათავე ოფისებიც ევროკავშირის ფარგლებს გარეთაა - და რომლებიც წარმოებისა და პროდუქციის ფართო სპექტრს წარმოადგენენ.

მრავალ შემთხვევაში საქმეების გადაჭრა ხდება კონკრეტული ქვეყნებისა და კომპანიების მიერ პოლიტიკის ნებაყოფლობით შეცვლით. ამის ცნობილ მაგალითს წარმოადგენს 1980 წლის შემთხვევა, როდესაც IBM-ი დაადანაშაულებს კომპიუტერების ბაზარზე დომინირებული პოზიციის ბოროტად გამოყენებაში, რაც გამოიხატებოდა ახალი პროდუქციის შესახებ ინფორმაციის მიჩქმალვასა და პროდუქციის დააკეტიებაში (ანუ ფირმა ნაწარმის რამდენიმე ერთეულს ყიდდა ერთად, პაკეტის სახით ისე, რომ მომხმარებელი

იძულებული იყო, ან მთლიანი პაკეტი ეყიდა ან არაფერი). ადვოკატთა გასამრჯელოებზე უზარმაზარი თანხის დახარჯვის შემდეგ IBM-მა 1984 წელს უკან დაიხია, ნებაყოფლობით დაღო რა შეთანხმება კომისიასთან, რომ შეცვლიდა თავის საეაჭრო პრაქტიკას. სხვა შემთხვევებში კომისია ბრალდებულს ამართლებს, ან აღძრულ საქმეს სამართლიანად მიიჩნევს და ადგენს პოლიტიკის შეცვლას, ან აწესებს ჯარიმას, რომლის მოცულობაც ხშირად მილიონ ეკიუს აღწევს (ჯარიმის მოცულობაზე არ არის დაწესებული ლიმიტი, თუმცა მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს კომპანიის მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით მიღებული შემოსავლის 10%-ზე მეტს).

კომისიას გააჩნია დიდი ძალაუფლება გამოძიების სფეროში. მის მოხელეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს ეწვიონ კომპანიას, მოითხოვონ დოკუმენტების წარმოდგენა და მათი ასლების ნივთმტკიცების სახით წაღება. შემდგომ ხდება საქმის განხილვა მოკამათე მხარეების დასწრებით და ვერდიქტის გამოტანა. დადანაშაულებულ ფირმებს შეუძლიათ, როგორც ვერდიქტის, ასევე ჯარიმის მოცულობის ევროპის სასამართლოში გაპროტესტება, სადაც ხანდახან ხდება ჯარიმის მოცულობის შემცირება. ევროპის სასამართლომ შექმნა იურიდიული პრეცედენტის ფართო ერთობლიობა. ეროვნული კანონი ევროგაერთიანების კონკურენციის კანონს ექვემდებარება და იგი უშუალოდ გამოიყენება წევრ ქვეყნებში. კომპანიებსა და ფიზიკურ პირებს, რომლებიც თავიანთ თავს ევროგაერთიანების კონკურენციის წესების დარღვევის მსხვერპლად მიიჩნევენ, შეუძლიათ საქმის აღძვრა ეროვნულ სასამართლოში.

კომისიას წინასწარ უნდა აცნობონ იმ შეთანხმებების შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება რომის ხელშეკრულებას. კომპანიებს შეუძლიათ მოითხოვონ „უარყოფითი ანგარიშსწორება“, რაც ნიშნავს იმას, რომ თავისუფალი კონკურენცია არ იზღუდება, ან „განთავისუფლება“ რაც ნიშნავს საერთო აკრძალვიდან შემზღუდველი შეთანხმების გამორიცხვას, თუ კი მას მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი (როგორც ეს რომის ხელშეკრულებაშია განსაზღვრული) სარგებლის მოტანა შეუძლია. კომისიას ნებისმიერ დროს შეუძლია შეთანხმება ან სხვა რომელიმე მიუღებელი საქმიანობა უკანონოდ გამოაცხადოს და მოითხოვოს მისი გაუქმება.

კომისიამ აკრძალა შემდეგი სახის შეთანხმებები:

■ შეთანხმებები ბაზრის გაყოფაზე. მაგალითად, ქინინის კარტელის (1969წ.) საქმე, როდესაც კომისიამ პირველად დააკისრა ჯარიმები, შაქრის მწარმოებელთა კარტელი (1973წ.), თუთიის და ფურცლოვანი მინის მწარმოებელთა კარტელი (1984წ.). ამ შემთხვევებში დაკისრებულმა ჯარიმამ ერთობლივად 4 მლნ. ეკიუ შეადგინა.

■ შეთანხმებები ფასების ფიქსირებაზე. მაგალითად, საღებავების კარტელი (1969წ.), რომელიც აკონტროლებდა ევროპის ბაზრის 80%-ს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კომისიამ დააჯარიმა ფირმა, რომლის სათავე ოფისიც გაერთიანების გარეთ მდებარეობდა. 1998 წელს კომისიამ 50 მლნ ეკიუთი დააჯარიმა „ბრიტიშ შუგარ“ი და სამი სხვა ფირმა, რომლებიც გაერთიანებული საფეხოს ბაზრის 90%-ს აკონტროლებდნენ, თეთრი შაქრის ფუნდამენტზე ფასების ფიქსირების შეთანხმებების დადებისათვის.

■ შეთანხმებები შესყიდვის ექსკლუზიურ უფლებაზე. ამგვარი შეთანხმებები აიკრძალა პროდუქციის მთელ სპექტრზე გრამფირფიტებიდან დაწყებული გამათბობელი აღჭურვილობით დამთავრებული.

■ შეთანხმებები ინდუსტრიული და კომერციული საკუთრების უფლებაზე. პატენტების, სავაჭრო ნიშნებისა და ხელოვნების ნიმუშების ექსკლუზიური გამოყენება ყოველთვის არ არის კონკურენციის წესებიდან განთავისუფლებული. 1982 წელს სიმინდის მარცვლის საქმის განხილვისას ევროპის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი პატენტის ლიცენზირების კონტრაქტით გათვალისწინებული სრული ტერიტორიული მფარველობის წინააღმდეგ.

■ შეთანხმებები განაწილების ექსკლუზიურ და სელექციურ უფლებაზე. მაგალითად, ისეთი შეთანხმებები, როგორც ავტომობილებით ვაჭრობაში, როდესაც ცდილობენ პარალელური იმპორტის შეზღუდვას. კომპანიებს შორის, რომელთაც ამგვარი შეთანხმებებისათვის დიდი ჯარიმები დაეკისრათ, ან სხვაგვარად იქნენ დასჯილი არიან: ფორდი, ტელეფუნკენი და მოეტ ჰენესის ჯგუფი. 1998 წელს ფოლკსვაგენი 102 მლნ. ეკ-თი დაჯარიმდა, იმის გამო, რომ მან აუკრძალა მის იტალიელ დილერებს ავტომანქანების უცხოელ მყიდველებზე გაყიდვა.

ზეწოლა უფრო მკაცრი ხდება

1977 წლამდე კომისია საკმაოდ დუნჯდ ატარებდა კონკურენციის

პოლიტიკას. შემდეგ კი იგი მნიშვნელოვნად გააქტიურდა. ეს უმეტეს-წილად განპირობებული იყო იმით, რომ ამ წლიდან კონკურენციის პორტფელი გადავიდა ინდივიდუალური კომისრების ხელში, რომლებიც გაცილებით უფრო დიდი მონდომებით ეკიდებოდნენ ძალაუფლების გამოყენებას, ვიდრე მათი წინამორბედები. თუმცა კომისია კვლავაც იყენებს წარმოების განთავისუფლების, ან ერთიანი გამო-ნაკლისის დაშვების უფლებას, როდესაც მისი აზრით კონკურენციას საფრთხე არ ემუქრება, ან საკითხი არც ისე მნიშვნელოვანია და მას მოსალოდნელი საზოგადო სარგებელი გადაწონის. კომისია განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს მცირე და საშუალო საწარმოებს შორის შეუფერხებელ თანამშრომლობას.

მან დაადგინა შეთანხმებების ის რამდენიმე ტიპი, რომლებზეც არ ვრცელდება საერთო აკრძალვა. ესენია:

- სავაჭრო წარმომადგენლებთან დადებული ექსკლუზიური წარმომადგენლობის კონტრაქტები.
- მცირე მასშტაბიანი შეთანხმებები, რომელთა ბრუნვა არ აღემატება 50 მლნ. ეკიუს და მოიცავს ბაზრის არაუმეტეს 5%-ს.
- ქვეკონტრაქტული შეთანხმებები.
- კომპანიებს შორის ინფორმაციის გაცვლა, ერთობლივი კვლევები და საწარმოების ერთობლივი გამოყენება.

კომისია აგრეთვე ითვალისწინებს იმ კომპანიათა ეკონომიკურ მდგომარეობას, რომლებიც ცდილობენ ინდივიდუალური განთავისუფლების მიღებას. თუ დაფიქსირდება პროდუქციაზე მოთხოვნის ხანგრძლივი ვადა, იგი უფლებას აძლევს ფირმებს მოახდინონ წარმოების შემცირების კოორდინაცია. ამგვარ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 1984 წელს სინთეტიკური ბოჭკოების სექტორში.

იურისდიქცია კომპანიების შერწყმის შესახებ...

1990 წლამდე კომისიას არ გააჩნდა განსაკუთრებული უფლებამოსილება კომპანიათა შერწყმის შეფერხების თვალსაზრისით, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში იგი ჩაერია ამ პროცესში მისთვის რომის ხელშეკრულების 85-86 მუხლებით მინიჭებული ძალით, ვინაიდან, მისი აზრით საფრთხე ექმნებოდა გაერთიანებაში ეფექტური

კონკურენციის არსებობას. 1973 წლიდან იგი ცდილობდა შემოეღო წესი, რომელიც მას მისცემდა სხვადასხვა ქვეყნების ფირმების შერწყმის განხილვის უფლებას, ხოლო წვერი ქვეყნების იურისდიქციაში დარჩებოდა მათი ტერიტორიის ფარგლებში კომპანიების შერწყმის მართვა. 1987 წელს წინადადება ხელახლა იქნა წამოყენებული განსახილველად და წვერ ქვეყნებთან დეტალური მოლაპარაკებების შედეგად 1990 წლის 21 სექტემბერს იგი ძალაში შევიდა. მან კომისიას მიანიჭა იურისდიქცია ფართო მასშტაბიანი შერწყმისა და ერთზე მეტი წვერი სახელმწიფოს მომცველი და გარკვეული ჩარჩოების დარღვევით განხორციელებული შერწყმის საკითხის განხილვაზე. ამგვარი ჩარჩოებია:

- კომპანიების ბრუნვა მსოფლიო მასშტაბით არ უნდა აღემატებოდეს 5 მლრდ. ეკიუს.
- მინიმუმ ორი კომპანიის ინდივიდუალური ბრუნვა ევროგაერთიანების შიგნით არ უნდა აღემატებოდეს 250 მლნ. ეკიუს. ამასთან ბრუნვის არა უმეტეს ორი მესამედისა კონცეტირებული უნდა იყოს ერთ წვერ-სახელმწიფოში.

კომპანიებმა, რომლებიც შერწყმას აპირებენ და რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმებს წინასწარ უნდა წარუდგინონ კომისიას განაცხადი. კომისიის მიერ ერთი თვის ვადაში მიღებულ იქნება დასკვნა კომპანიების შერწყმის შედეგად ევროგაერთიანებაში კონკურენციისათვის შესაძლო საფრთხის წარმოქმნის თაობაზე. ასეთი საფრთხის არ არსებობის შემთხვევაში შერწყმა განხორციელდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ჩატარდება გამოკვლევა, რომელიც უნდა დასრულდეს ოთხ თვეში.

შემთხვევა, როდესაც ბრუნვა მსოფლიო მასშტაბით 2 მლრდ. ეკიუზე ნაკლებია, კომისიის იურისდიქციაში არ შედის. ამგვარ შემთხვევებს განიხილავს ეროვნული ანტისატრასტო ორგანო, როგორცაა მონოპოლიებისა და შერწყმის კომისია გაერთიანებულ სამეფოში. 2-დან 5 მილიარდი ეკიუს ფარგლებში პასუხისმგებელნი არიან ეროვნული სამმართველოები, თუ ისინი არ მიმართავენ თხოვნით ევროკომისიას ჩაატაროს გამოკვლევა მათი სახელით. კომისიამ მიიჩნია, რომ საზღვრების ეს ღონე ზედმეტად დაბალია და განაცხადა, რომ 1993 წლამდე იგი დააყენებდა წინადადებას ძირითადი კრიტერიუმის 5 მილიარდიდან 2 მილიარდ ეკიუმდე

შემცირების შესახებ.

1993 წლის ივლისში კომისიამ წარმოადგინა მოხსენება შერწყმის მაკონტროლებელი წესის მოქმედების შესახებ და გამოთქვა მოსაზრება 1996 წლამდე კრიტერიუმების გადასინჯვის თაობაზე. მისი მოქმედების პირველი ორნახევარი წლის განმავლობაში მიღებულ იქნა 164 ოფიციალური შეტყობინება კომპანიების განზრახული შერწყმის შესახებ, რომელთაგანაც 17 შემთხვევა არ ხდებოდა წესის მოქმედების სფეროში. დარჩენილი 147 შემთხვევიდან 131 (თითქმის 90%) გადაწყდა ერთი თვის ვადაში. ხოლო 16 შემთხვევა გადაეცა შემდგომი გამოკვლევისათვის. მოგვიანებით 7 მათგანი პირობითად იქნა დამტკიცებული, ორი უარყოფითად, ხოლო ხუთი განაცხადი უკანვე იქნა გატანილი. კომპანიასა შერწყმა მხოლოდ ერთ შემთხვევაში აიკრძალა. ეს იყო ფრანგულ-იტალიური კონსორციუმის აეროსპასიალ-ალენიას მიერ 1991 წლისათვის კანადური საავიაციო საწარმოს დე ჰეილენდის შესყიდვა. შედეგად კომპანიების შერწყმის შესახებ შეტყობინებების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. 1996 წელს მათი რაოდენობა შეადგენდა 131-ს, რომლიდანაც 125-ის შესახებ მიღწეულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება. შერწყმის სამი შემთხვევა აიკრძალა, მიჩნეულ იქნა რა ერთიანი ბაზრისათვის შეუსაბამოდ. ხოლო დარჩენილ სამ შემთხვევაში განზრახული შერწყმის შესაძლებლობა გარკვეულ პირობებს დაექვემდებარა. მიუხედავად კომისიის რეკომენდაციისა არავითარი გადასინჯვა კრიტერიუმებისა 1996 წელს არ მომხდარა და ისინი უცვლელი დარჩა. 1997 წელს განაცხადებათა რიცხვი კვლავ გაიზარდა 172-მდე, რომელთაგანაც 135 შემთხვევაში მიღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება. მათ შორის განიხილებოდა ბოინგის მიერ მაკლონელ დუგლასის კორპორაციის შესყიდვა, რომელიც კომისიის იურისდიქციაში შევიდა ამ ორი საავიაციო კომპანიის ევროპის მასშტაბით ინტენსიური საქმიანობის გამო. საბოლოოდ კომპანიების შერწყმა მოწონებულ იქნა, თუმცა ბოინგს მოუწია თავისი თავდაპირველი წინადადების მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია და ვალდებულებების აღება მთელ რიგ სპეციფიკური ელემენტების თაობაზე. მათ შორის არსებული და მომავალი ექსკლუზიური მომარაგების, მაკლონელის კომერციული საავიაციო საქმიანობის შეზღუდვა და სხვა რეაქტიული თვითმფრინავების მწარმოებლებისათვის პატენტების ლიცენზირება.

1998 წელს კომპანიების შერწყმის რიცხვმა კიდევ უფრო იმატა (225 განაცხადი და 238 საბოლოო გადაწყვეტილება). კომისიამ

მოიწონა ორი ფარმაცევტული კომპანიის ჰიფოთი-ლა როშესა და ბოვინგერ მანჰაიმის შერწყმა, რამდენადაც ლა როშემ უარი თქვა კლინიკურ სამკურნალო დიაგნოსტიკურ საქმიანობაზე. ასევე გამოკვლევის შემდეგ ნებადართული იქნა დიდი ექვსეულიდან ორი საბუნალო ფირმის პრაის-უოთერჰაუსის და კუპერს & ლაიბრენდის შერწყმა. თუცა აკრძალა გერმანული ფირმების ბერტელსმანისა და დოიჩე ტელეკომის შერწყმა, ენაიდან მათი გაერთიანება შექმნიდა მონოპოლიას, ან დაიკავებდა ვაბატონებულ პოზიციას ფასიანი ტელევიზიის სექტორში.

რომისა და პარიზის ხელშეკრულება არ ანსხავებს კერძო და საზოგადო საკუთრებაში მყოფ ფირმებს, ასე რომ პრივატიზაცია და ნაციონალიზაცია არ ეწინააღმდეგება მათ. რაც შეეხება სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ კონცერნებს, ისინი ისევე უნდა სცემდნენ პატივს ევროგაერთიანების კონკურენციის კანონს, როგორც კერძო კომპანიები. 1980 წელს მიღებულ იქნა დირექტივა, რომელიც ითვალისწინებდა ფინანსურ "გამჭვირვალობას" წევრ ქვეყნებსა და სახელმწიფო საწარმოებს შორის დადებულ ვარიეტეტებში.

... და სახელმწიფო სუბსიდიები

როგორც წესი, აკრძალულია საზოგადო საკუთრებაში მყოფი თუ კერძო ფირმების სახელმწიფო სუბსიდირება, თუ ეს ხელს უშლის ან საფრთხეს უქმნის კონკურენციას. კონტროლისაგან განთავისუფლებულია რამდენიმე სახის დახმარება, მათ შორის: სპეციალური დახმარება სტიქიური უბედურებების დროს; დახმარება დაზარალებული რეგიონებისათვის; დახმარება ახალი ეკონომიკური საქმიანობის მხარდასაჭერად.

წვერი ქვეყნები ვალდებულნი არიან აუწყონ კომისიას დადგენილი დახმარების შესახებ. კომისია კი გადაწყვეტს შეიძლება თუ არა დაიშვას გამოჩენილი ხელშეკრულების წესებიდან. იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ნებადართული დახმარების უკან დაბრუნება და შეუძლია დააჯარიმოს წესების დამრღვევი წვერი სახელმწიფო. 1988 წელს დაფიქსირდა ორი ამგვარი შემთხვევა, როდესაც კონკურენციის კომისარმა სერ ლეონ ბრიტენმა მოსთხოვა საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობებს უზრუნველყოთ მათ მიერ გაცემული უკანონო სახელმწიფო დახმარების უკან დაბრუნება. საფრანგეთის მთავრობა არც თუ ისე დიდი ენთუზიაზმით დათანხმდა უკან მოეთხოვა გაცემული 6 მილიარდი ფრანკი (დაახლოებით £600

მლნ), რენოსათვის, რომელმაც ვერ შეასრულა კომისიის მიერ ამ პროექტზე თანდართული პირობების შესრულება. გაერთიანებული სამეფოს მთავრობაც იძულებული გახდა მოეთხოვა £44 მლ.-ის ოდენობის საიდუმლო ნუბარი, რომელიც მან „ბრიტიშ აეროსპეისს“ მისცა როვერის ავტომობილების კომპანიის შესასყიდად.

1970-იანი და ადრეულ 80-იან წლებში კომისიამ მიიღო სახელმწიფო დახმარების პროგრამა იმ დარგებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალდნენ ეკონომიკური კრიზისით. მან დაჟინებით მოითხოვა, რომ ამგვარი დახმარებები განხორციელებულიყო გამონაკლის შემთხვევებში, შეზღუდულიყო დროში და გაცემულიყო გასაჭირში მყოფ სექტორებში წარმოების მოცულობის შემცირების გზით, ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობის აღდგენის მიზნით. ოთხი ყველაზე დაზარალებული დარგისათვის - გემთმშენებლობა, საფეიქრო მრეწველობა, სინთეტიკური ბოჭკოების წარმოება და მეტალურგია სპეციალური დადგენილებები იქნა მიღებული (იხ. თავი 25). დახმარებების უმეტესობის გაცემა ხდებოდა მრავალი წლის წინ მიღებული სქემების თანახმად. ასე რომ 1990 წელს კომისიამ წამოიწყო წევრ ქვეყნებში არსებული დახმარებების სისტემების ხელახალი განხილვა, რომელიც განხორციელდა რომის ხელშეკრულების 93 მუხლის თანახმად. ხელახალ განხილვას შესაძლებელი უნდა გაეხადა შიდა ბაზრის ფორმირების და სრულყოფისათვის გათვალისწინებული ეკონომიკური და ინდუსტრიული სიტუაციის შეცვლა. კომისიას ღრმად სწამს, რომ სახელმწიფო დახმარების ყველა კატეგორია მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი, და რამდენადაც იგი ცდილობს წესების უფრო მტკიცედ გატარებას, წარმოიქმნება კონფლიქტი ეროვნულ მთავრობებთან, რომლებიც პოლიტიკური ზეწოლის გზით ცდილობენ თავიანთი მოქალაქეებისათვის დასაქმების შესაძლებლობების შენარჩუნებას. 1998 წელს კომისიამ წამოიწყო პროცედურები სახელმწიფო დახმარების 100 შემთხვევის თაობაზე, რომლებიც კომისიის აზრით ეწინააღმდეგებოდა რომის ხელშეკრულების 93 (2) მუხლს, და მათგან 40 შემთხვევაში მთავრობის ღონისძიება არ იქნა გამართლებული.

18 ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა

ეკონომიკურ პოლიტიკაში კოორდინაციის უკმარისობა... მიუხედავად იმისა, რომ რომის ხელშეკრულების 103 მუხლი წვერი ქვეყნებისაგან მოითხოვს ერთმანეთთან კონსულტაციებს, მათი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას კოორდინაცია ჯერაც ძალზე სუსტია. რამდენადაც 1970-80 -იან წლებში მთავრობების უმრავლესობა ერთობ მსგავს პოლიტიკას ატარებდა, ამიტომ ისინი უფრო მსოფლიო ეკონომიკურ ზეწოლაზე რეაგირებდნენ, ვიდრე მათი ყოვლისმომცველი სტრატეგიების ერთობლივ დაგეგმვაზე. ასე რომ, მინისტრებს შორის რეგულარული დისკუსიების მიუხედავად, ერთობლივ მობარაგებაში, ენერგეტიკული ინფლაციის მოთოკვაში და უმუშევრობის შემცირებაში ევროპის საერთო პოლიტიკა არ არსებობს. კომისიის მიერ წარმოდგენილ წლიურ ეკონომიკურ მოხსენებებში ეროვნულ მთავრობებს ეძლეოდათ რჩევები, თუმცა ეს რჩევები მათ არ ავალდებულებდა. ევროსაბჭოს სხდომებზე მთავრობათა მეთაურებს შორის იმართება ფართომასშტაბიანი დისკუსიები, სადაც „მსოფლიოში და გაერთიანებაში არსებული ეკონომიკური და სოციალური სიტუაცია“ დღის წესრიგის მუდმივ თემას წარმოადგენს. უფრო დეტალურად ეს საკითხები განიხილება ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების შეხვედრებზე, რომლებიც ტარდება ყოველ ორ თვეში ეკოფინის¹ საბჭოს სხდომებზე და ხანდახან უფრო ხშირად საეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტებში. რეგულარულ შეხვედრებს აწყობენ ცენტრალური ბანკების მმართველებიც მათ საკონსულტაციო კომიტეტებში. ამრიგად ეროვნული ლიდერები კარგად არიან ინფორმირებულნი ერთმანეთის მოსაზრებებისა და პოლიტიკის შესახებ და გარკვეულწილად ითვალისწინებენ მათ, თუმცა ყოველი სახელმწიფო თავად აკებს პასუხს საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკაზე,

... ნიშნავს, რომ ევროკავშირის ელემენტს დაქვემდებარებული პოზიცია უკავია

არც ევროკავშირის ბიუჯეტი იმდენად დიდი, რომ მნიშვნელოვანი მაკრო-ეკონომიკური გავლენა იქონიოს დასავლეთ ევროპის ეკონო-

მიკაზე, სადარი იმ მოქმედებასთან, რომლითაც ეროვნული ბიუჯეტები წარმართავენ ქვეყნის ეკონომიკას ექსპანსიისა თუ დეფლაციის მიმართულებით. თუ კი წვერი ქვეყნების ეკონომიკაში არსებობს ევროკავშირის ელემენტი, მას უდავოდ დაქვემდებარებული პოზიცია უკავია, და ამგვარი მდგომარეობა სავარაუდოდ განჭვრეტად მომავალშიც შენარჩუნდება,

ევროგაერთიანების ინსტიტუციების მიერ აღებული სესხები არსებობს ორი სფერო, რომლებშიც ევროგაერთიანება უდავოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. პირველი არის სესხების მიზიდვა წვერი ქვეყნების სახელით და მეორე - ვალუტის კურსის მერყეობის დარეგულირება. მაგალითად 1996 წლის განმავლობაში გაერთიანების ინსტიტუციებმა მოახდინა დაახლოებით 23 მილიარდი ეკიუს მობილიზება ძირითადად შემდეგი არხებით:

- ევროპის საინვესტიციო ბანკმა (იხ.თავი11) გაასესხა 21 მილიარდი ეკიუ კავშირის ფარგლებში. დაახლოებით სამი მეოთხედი მოხმარდა ნაკლებად წარმატებული რეგიონების ეკონომიკის განვითარებას. სხვა პროექტები, რომელთაც მიიღეს მსბ-ის დახმარება მოიცავდა ენერჯის დაზოგვას, მრეწველობის მოდერნიზაციასა და აღდგენას, ახალ ტექნოლოგიებსა და გარემოს დაცვას. გარდა ამისა, მსბ-მა გასცა 2,5 მილიარდი ეკიუ კავშირის ფარგლებს გარეთ მყოფ ქვეყნებზე, განსაკუთრებით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე და ხმელთაშუა ზღვის რეგიონზე.
- ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებამ გასცა დაახლოებით 280 მილ. ეკიუს ოდენობის სესხები, ძირითადად საწარმოო ინვესტიციებისათვის ქვანახშირისა და მეტალურგიის დარგში. გარდა ამისა, იგი აფინანსებდა პროექტებს, რომელთა მიზანიც იყო ქვანახშირისა და ფოლადის მარკეტინგისა და ტრანსპორტირების გაუმჯობესება და ქვანახშირისა და მეტალურგიის რეგიონებში ახალი ინდუსტრიების შექმნის სქემების შემუშავება. მან აგრეთვე დააფინანსა მუშების საცხოვრებელი სახლების აშენება და მოდერნიზაცია.
- ევრატომს, რომელსაც აქვს 4 მილიარდი ეკიუს ოდენობის სესხების ფონდი, ძირითადად ბირთვული ენერჯისა და ბირთვული საწვავის სექტორის ინვესტიციებისათვის, 1992 წლიდან აღარ

გაუცია ახალი სესხები, რაც განპირობებულია დარგის არასახარბიელო მდგომარეობით 1992 წლის დეკემბერში.

- ელნბურგის სამიტზე ხელმოწერილ იქნა აღმავლობის ინიციატივა, რომლის თანახმადაც მსბ-ის შიგნით დაარსდა ახალი დროებითი 5 მლრდ. ეკიუს ოდენობის ფონდი, და მაშინ, როცა შეიქმნა ევროპის საინვესტიციო ფონდი მსპ 2 მლრდ. ეკიუს ოდენობის კაპიტალით, იგი იმედოვნებდა 10 მილიარდიდან 16 მილიარდამდე ეკიუს ოდენობის გარანტიების დაფარვას. 1996 წლის ბოლოსათვის დამტკიცებულ იქნა პროექტები 2-3 მილიარდ ეკიუს ფარგლებში. ევროპის საინვესტიციო ფონდს სურს მიმართოს თავისი საქმიანობა ფართომასშტაბიან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებიც უკავშირდება ტრანს-ევროპულ ქსელებს, (ტმქ) და მცირე და საშუალო საწარმოებს (მსს).

არსებობს აგრეთვე მოკლევადიანი სესხების ფონდი წვერი ქვეყნებისათვის ანგარიშსწორების სიძნელეების დროებითი დაბალანსებისათვის. 1993 წელს სესხის სახით მხოლოდ იტალიაზე 8 მილიარდი ეკიუ გაიცა. მას შემდეგ არც ერთ ქვეყანას აღარ უსარგებლია ამ შესაძლებლობით და 1998 წლისთვის მსბ პასუხისმგებელი იყო ევროკავშირის ინსტიტუციების მიერ გასესხებული 29.95 მილიარდი ეკიუს არანაკლებ 98.6%-ზე.

ევროპის სავალუტო სისტემა

ევროპის სავალუტო სისტემა მსს თავდაპირველად შეიქმნა, როგორც ევროგაერთიანების ფარგლებში ვალუტის მერყეობის სტაბილიზაციის საშუალება, მას შემდეგ რაც 1970-იან წლებში კრაზი განიცადა 1944 წელს ბრეტონ ვუდის შეთანხმებით დაარსებულმა ვალუტების კურსის სისტემამ. ევროპის ვალუტების კურსების დარეგულირების პირველი მცდელობა ე.წ. „გველის“ სისტემით, რომელიც ითვალისწინებდა ნებადართულ მერყეობას +/- 2,25%-ის ფარგლებში ფრიად წარუმატებელი გამოდგა. ამ ლიმიტებში დარჩენა შეძლო მხოლოდ დასავლეთ გერმანიამ, დანიამ და ბენილუქსის ქვეყნებმა. მსს, რომლის შექმნის იდეა თავდაპირველად როი ჯენკისმა წამოაყენა 1977 წლის ოქტომბერს, უფრო ამბიციურ პროექტს წარმოადგენდა, რომელშიც ვალუტის კურსის მექანიზმი (მპმ) გამტკიცებული იყო სხვადასხვა ფინანსური სიდიდეების მექანიზმებით და ერთიანი სავალუტო ერთეულით (ეკიუ-თი).

მკმ-ის თანახმად მონაწილე ვალუტას გააჩნდა ცენტრალური კურსი ეკიუს მიმართ. თავდაპირველად მონაწილეობდა მხოლოდ რვა სახვადასხვა ქვეყნის ვალუტა.² გაერთიანებულმა სამეფომ გადაწყვიტა დროებით განზე გამდგარიყო 1979 წლის მარტში დამტკიცებული სისტემიდან. ევროგაერთიანების სამი მოგვიანებით გაწვერიანებული ქვეყანა საბერძნეთი, ესპანეთი და პორტუგალია ჯერ არ თვლიდნენ თავს საამისოდ მზად. 1989 წელს სისტემას შეუერთდა ესპანეთი, 1990 წლის ოქტომბერში კი გაერთიანებული სამეფო, რასაც წინ უსწრებდა მარგარეტ ტეტჩერის მხრიდან ადრე მიღებული გადაწყვეტილების მუდმივი დაბლოკვა. ტეტჩერმა მხოლოდ თანამდებობის დატოვებამდე ერთი თვით ადრე შეცვალა თავისი პოზიცია. 1992 წელს სისტემას შეუერთდა პორტუგალიაც და საბერძნეთი თამაშგარეთ აღმოჩნდა. თითოეული ვალუტის ცენტრალური კურსის „გადახალისება“ შეიძლება მხოლოდ მონაწილე ქვეყნების ერთობლივი შეთანხმების შემდეგ. ეკიუს ცენტრალური კურსიდან გამოითვლება ორმხრივი ცენტრალური კურსები, მონაწილე ქვეყნების ვალუტებს შორის თითოეული ვალუტისათვის დაშვებულია გადახრა ცენტრალური კურსიდან +/- 2,25%-ის, ხოლო გირვანქა სტერლინგისა და პესეტას შემთხვევაში +/-6%-ის ფარგლებში.

თუ ვალუტა მიაღწევს კურსის ქვედა ან ზედა ზღვარს ცენტრალური ბანკები მოვალენი არიან ჩაერიონ სავალუტო ბირჟების ოპერაციებში რათა შეინარჩუნონ კურსი შეთანხმებულ ლიმიტებში. პრაქტიკაში ეს ხდება იმ ვალუტის გაყიდვით, რომელმაც მიაღწია უმაღლეს ზღვარს და იმ ვალუტის შესყიდვით, რომელიც დაეცა მინიმალურ ზღვრამდე. ასეთ სიტუაციაში მსსს-ს შიგნით იქმნება სხვადასხვა სახის საკრედიტო მექანიზმები, რომლებიც მოკლევადიან დახმარებას უწევენ რთულ ვითარებაში მყოფ ქვეყნებს. თუ ვალუტა ღიდხანს ჩერდება მინიმალურ, ან მაქსიმალურ ზღვარზე, ან, თუ მოსალოდნელია ამგვარი სიტუაცია, მაშინ ნათელი ხდება, რომ აუცილებელია ცენტრალური კურსის შეცვლა. ასეთ შემთხვევებში ევროკავშირის ფინანსთა მინისტრები ბრიუსელში ხვდებიან ერთმანეთს ჩვეულებრივ კვირის ბოლოს, რათა დაამტკიცონ კურსის შეცვლა. ეს არ ნიშნავს მხოლოდ ერთი კონკრეტული ვალუტის კურსის შეცვლას რომელიმე მიმართულებით, არამედ ხდება მთელი რიგი მარჟინალური შესწორებების შეტანა ორივე მიმართულებით სხვა ვალუტების კურსებშიც. შედეგად თავიდან იქნა აცილებული წარსულში არსებული უეცარი, ხშირად კონკურენტული დევალვაცია

და სისტემაში გაერთიანებული ვალუტების მერყეობა სხვა, სისტემაში არ მონაწილე ვალუტებთან შედარებით (გირვანქის ჩათვლით) გაცილებით სუსტი გახდა.

მსს-ის მნიშვნელობას გარკვეული ზიანი მიაყენა გაერთიანებულ სამეფოს გადაწყვეტილებამ არ მოეხდინა გირვანქა სტერლინგის შეყვანა მსს-ში დიდი ხნის განმავლობაში. ამ გადაწყვეტილებამ ეკონომისტთა უმრავლესობის აზრით ზიანი უფრო გაერთიანებულ სამეფოს მიაყენა, ვიდრე ევროგაერთიანებას. მიუხედავად ამისა, გაერთიანებული სამეფოს შუღბივი წარმომადგენლის სერ მაიქლ ბატლერის სიტყვებით, თუმცა გაერთიანებული სამეფო „ერთი მეოთხედით მსს-ს შიგნით და სამი მეოთხედით მის გარეთაა“ მსს-მ მაინც მოიტანა მრავალი სარგებელი, გარდა ვალუტის სტაბილიზაციისა. მან ხელი შეუწყო წვერი ქვეყნების ეკონომიკის უფრო მჭიდრო კონვერგენციას და სისტემაში მოწესრიგების ღინისძიებებმა ნდობა მოიპოვეს. წვერ ქვეყნებში 1980-იანი წლების დასაწყისში ინფლაციის საგრძნობლად შემცირებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულებით. საშუალოდ ინფლაცია 1980 წლის 12%-იდან 1985 წლისთვის 5%-მდე დაეცა, ხოლო ქვეყნებს შორის საშუალო დივერგენცია 6,2%-დან 2,8%-მდე შემცირდა. ევროგაერთიანების გარეთ მყოფმა ქვეყნებმა აღიარეს მსს-ს მნიშვნელობა იმ აზრით, რომ იგი აძლევდა მათ მყარ რეკომენდაციებს მათი ეკონომიკური პოლიტიკისათვის. ჩრდილოეთის სამმა ქვეყანამ - ფინეთმა, ნორვეგიამ და შვედეთმა 1990-91 წლებში მათი ვალუტა ეკიუს დაუკავშირეს.

1992 წელს მსს-ს წინაშე პრობლემები წარმოიქმნა, რაც ნაწილობრივ განაპირობა რეცესიამ, ნაწილობრივ კი ფინანსური კონტროლის გაუქმებამ, რის გამოც ვალუტის დიდი მოცულობა ყოველდღიურად ბრუნვაში იყო და ამით სპეკულანტებს მანიპულაციის შესაძლებლობა ეძლეოდათ. სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა იმ ფაქტმა, რომ მსს-ში გირვანქა არარეალურად მაღალი კურსით იქნა შეტანილი და გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა ზეწოლას დათანხმებულიყო რეგულირებულ დეველვაციას. შედეგად 1992 წლის სექტემბერში მასიურმა სპეკულაციურმა ოპერაციამ გამოიწვია რამდენიმე ვალუტის დეველვაცია. მსს ერთდროულად დატოვეს გირვანქამ და ლირამ, რომლებმაც თავისუფალი კურსით დაიწყეს არსებობა. 1993 წლის ივლისში ანალოგიური სპეკულაციური შეტევა მოგიერებულ იქნა მსს-ში მერყეობის ზღვრის დროებით 15%-მდე გაზრდით ორმხრივი

ცენტრალური კურსის ორივე მიმართულებით. სინამდვილეში ვალუტების მერყეობა დიდად არ გაცვილებია თავდაპირველ ვიწრო საზღვრებს, რაც იმას ნიშნავდა, რომ წინა წლისაგან განსხვავებით არც ერთ ვალუტას არ განუცდია სერიოზული ვარდნა - აწვევა. მექანიზმმა განაგრძო მოქმედება, მაგრამ ამჯერად გაერთიანებული სამეფოს, იტალიისა და საბერძნეთის გარეშე. 1996 წლის ნოემბერში იტალია ხელახლა შევიდა მსს-ში, საბერძნეთი კი 1998 წლის მარტში. გაერთიანებული სამეფო და შვედეთი კი მის ფარგლებს გარეთ დარჩა. მსს-მ თავისი მნიშვნელობა თითქმის მთლიანად დაკარგა 1998 წლის 31 დეკემბერს, როდესაც 11 ქვეყნის ვალუტის კურსი ევროს მიმართ იქნა დაფიქსირებული. რხვეის თავდაპირველ საზღვრებში დარჩა მხოლოდ ბერძნული დრამა და დანიური კრონა.

ეკიუ

ეკიუს (ევროპის სავალუტო ერთეული) გარდა ევროგაერთიანების ეროვნული ვალუტების აღმრიცხველის როლისა, გააჩნია მრავალი სხვა ფუნქცია. მან შეცვალა ყოფილი მსმ (ევროპის საანგარიშო ერთეული) - EUA (European Unit of Account), რომელიც წარმოადგენდა წმინდა საბუღალტრო საზომს მბ-ის ანგარიშებზე შემაჯავლი და გამომაჯავლი ანგარიშსწორების ფარდობითი ღირებულების გამოსათვლელად. რაც შეეხება ეკიუს, (რომელსაც გააჩნია კეთილხმოვანობის უპირატესობა და ფრანგული რევოლუციამდელი ცნობილი მონეტის სახელი, მას ზურგს უმაგრებდა დიდი სარეზერვო ფონდი - ევროპის სავალუტო თანამშრომლობის ფონდი (მსთფ), რომელშიც წევრ ქვეყნებს უნდა შეეტანათ მათი ოქროს მარაგის 20% და დოლარის მარაგის 20%.

შედეგად ეკიუმ მოიპოვა საერთაშორისო ნდობა. იგი გამოიყენებოდა მრავალ გარიგებაში, რომლებიც ევროკავშირის ფონდებთან არავითარ კავშირში არ იმყოფებოდნენ (1986 წლისთვის იგი გახდა მესამე ყველაზე გავრცელებული ვალუტა, რომელიც გამოიყენებოდა საერთაშორისო ფინანსურ გარიგებებში დოლარისა და გერმანული მარკის შემდეგ). კომპანიების და ფიზიკურ პირთა მზარდი რიცხვი იყენებოდა ეკიუს საბანკო დეპოზიტების, სამოგზაურო ჩეკების, კომერციული ანგარიშფაქტურებისა და ანგარიშსწორებისათვის. ეს მართლაც დიდი მიღწევა იყო ვალუტისათვის, რომელიც ფიზიკურად არ არსებობდა, რამდენადაც ბრუნვაში არ იყო გამოშვებული ეკიუს არც კუპონური, არც მონეტები. კერძო და კომერციული

ფინანსური გარიგებებისათვის მისი სარგებლიანობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ეკიუს ღირებულება ნებისმიერ კონკრეტულ ეროვნულ ვალუტაზე ნაკლებად მერყევი იყო.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირი (მსკ)

მართალია რამდენიმე წლის მანძილზე ეროვნულ ეკონომიკებს შორის სრული კონვერგენციის არავითარი მოახლოება (ან „შერწყმა“- როგორც ეს მოვლენა ევროფარგონით მოიხსენიება) არ გამოიკვეთა, რაც განპირობებული იყო კავშირში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მასიური ფინანსური ტრანსფერების არარსებობით, მსკ-ს დაფუძნება მაინც წარმოადგენს ამ მიმართულებით გადადგმულ ერთ ნაბიჯს. იგი უდავოდ გახდა უმნიშვნელოვანესი ძეგლი შორს გამიზნული ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნისაკენ, რომელიც განხორციელდა 1988 წლის ივნისამდე, როდესაც ჰანოვერის სამიტზე გადაწყდა, რომ დადგა დრო ამ მიმართულებით ახალი ბიძგის მიცემისა. მასზე განხილულ იქნა ევროპის ცენტრალური ბანკების მეთაურთაგან და რამდენიმე დამოუკიდებელი სავალუტო ექსპერტისაგან შედგენილი კომიტეტის მიერ, რომელსაც სათავეში კომისიის პრეზიდენტი ჟაკ დელორი ედგა, მსკ-ს ხორცშესხმის გზები. 1989 წელს, აპრილში მოხსენება წარმოადგინა დელორის კომიტეტმა, რომელშიც აღწერილი იყო კავშირის შექმნის სამეტაპიანი პროცესი. თუმცა კონკრეტული განრიგი არ იყო მოცემული.

პირველი ეტაპი. უნდა გაუმჯობესებულიყო თანამშრომლობა და კოორდინაცია ეკონომიკისა და სავალუტო სფეროებში. ეს, გარდა სხვა შედეგებისა, მიგვიყვანდ მსკ-ს, ეკიუს როლისა და ცენტრალური ბანკის მმართველთა კომიტეტის უფლებამოსილების გაძლიერებამდე. მრავალმხრივი ინსპექტირების პროცედურის დანერგვა გზას გაუხსნიდა უფრო ეფექტურ თანამშრომლობასა და ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის და პრაქტიკის მჭიდრო კონვერგენციას.

მეორე ეტაპი. იგი ვერ დაიწყება ახალი ხელშეკრულების დადებამდე, ან რომის ხელშეკრულებაში შესწორებების შეტანამდე, რომელებიც დაადგენდნენ მსკ-სათვის აუცილებელ ძირითად ინსტიტუციონალურ და საოპერაციო წესებს. იგი უნდა შედგებოდეს 1992 წლის პროგრამით მიღებული ზომების კონსოლიდაციისა და შეფასებისაგან (იხ.თავი16) და ასრულებდეს სასტარტო პერიოდის

მსგავს ეტაპს ახალი პროცედურებისათვის. ამ გარდამავალ პერიოდში უნდა დაიწყოს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების თანდათანობითი გადანაცვლება ეროვნულიდან გაერთიანების დონეზე. მეორე ეტაპის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი იქნება ევროპის ცენტრალური ბანკების ფედერალური ტიპის სისტემის შექმნა (მცბს ან მპროფმდი), რომელიც საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით თანდათანობით დამოუკიდებელი გახდება სავალუტო პოლიტიკისა და სავალუტო ბირჟებზე ინტერვენციის პოლიტიკის თვალსაზრისით. თუმცა ეროვნული ცენტრალური ბანკები შეინარჩუნებენ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებას.

მესამე ეტაპი. ვალუტების გაცვლის უცვლელად ფიქსირებული კურსისკენ სვლა და ახალ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გადაცემა საბოლოოდ ერთიანი ვალუტის მიღებამდე მიგვიყვანს.

დელიორის კომიტეტის ზოგადი მიდგომა მისაღები იყო 12 ქვეყნიდან 11-სთვის. მაგრამ გაერთიანებული სამეფოს მთავრობა მარგარეტ ტეტჩერის მეთაურობით ამ ინიციატივას ცუდად შეხვდა და ერთიანი ვალუტის კონცეფციისადმი განსაკუთრებით მტრულად განეწყო. მიუხედავად იმისა, რომ გამოკვლევებმა ამ ნაბიჯით მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღება იწინასწარმეტყველეს, რომელიც 1990 წლის 1 ივლისისათვის, წლიურად 15 მილიარდ ეკიუს შეადგენდა. გაერთიანებული სამეფო არ ცვლიდა თავის პოზიციას მეორე და მესამე ეტაპების მიმართ.

მიუხედავად მარგარეტ ტეტჩერის უარისა, ევროგაერთიანების მეთაურებმა სტრასბურგში 1989 წლის დეკემბერში გამართულ მთავრობათა სამიტზე ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს, რომ მოეწვიათ მთავრობათაშორისი კონფერენცია, რომელზედაც მიღებული იქნებოდა გადაწყვეტილება მეორე და მესამე ეტაპებისათვის საჭირო ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების შესახებ. შემდგომ მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ჩატარდებოდა ორი მთავრობათაშორისი კონფერენცია ერთი მსპ-ს, ხოლო მეორე პოლიტიკური კავშირის შესახებ. ორივე მათგანი გაიხსნებოდა 1990 წლის დეკემბერში რომში და დაასრულდებდა მუშაობას 1991 წლის დეკემბრისათვის დაგეგმილ მასტრიხტის სამიტზე მოხსენების წარდგენამდე. მანამდე კი 1990 წლის ოქტომბერში ჩატარებულ

რომის პირველ სამიტზე, მარგარეტ ტეტჩერის ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად გადაწყდა, რომ მსპ-ს მეორე ეტაპი და ევროფედის შექმნა დაიწყებოდა 1994 წლის 1 იანვარს. სწორედ ტეტჩერის ბობოქარმა რეაქციამ დაულო სათავე მოვლენათა იმ ჯაჭვს, რომელმაც განაპირობა მისი გადადგომა ერთი თვის შემდეგ. გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ თანხმობა განაცხადა ორ მთავრობათაშორის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე და მისი დამოკიდებულება ტეტჩერის წასვლის შემდეგ უფრო შემრიგებლური გახდა. მთავრობათაშორის კონფერენციაზე მან წამოაყენა მე-13-ე ვალუტის „მყარი ეკიუს“ შექმნის გეგმა, რომელიც შეცვლიდა დელორის მოხსენებაში წარმოდგენილ ერთიან ვალუტას. მიუხედავად იმისა, რომ ამ წინადადების ასპექტები თანაგრძნობით მიიღო რამდენიმე სხვა წევრმა ქვეყანამ, უმეტესობას მიაჩნდა, რომ ერთიანი ვალუტის შემოღება აუცილებელი იყო მსპ-ს ძირითადი სარგებელის მისაღებად. ყველა მოელოდა, რომ ჯონ მეიჯორი, რომელმაც ჯერ კიდევ ხაზინის კანცლერის თანამდებობაზე ყოფნისას წამოაყენა „მყარი ეკიუს“ წინადადება, უარს იტყვოდა თავის გეგმაზე და დათანხმდებოდა კომპრომისს, რომლითაც მიღებული იქნებოდა ერთიანი ვალუტისათვის აუცილებელი ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებები, გაერთიანებული სამეფო კი შეინარჩუნებდა გადაწყვეტილების მიღების უფლებას გირვანქა სტერლინგის ამ ვალუტით შეცვლისა და ამ ოპერაციის თარიღის შესახებ.

ევროკავშირის ხელშეკრულება

ფაქტიურად ამის თაობაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება 1991 წლის დეკემბერში გამართულ მაასტრიხტის სამიტზე, რომელზედაც ხელი მოეწერა ევროკავშირის ხელშეკრულებას. ხელშეკრულება მოიცავდა მსპ-ს შექმნასთან დაკავშირებულ ოთხ თავს, ესენია: ეკონომიკური პოლიტიკა, სავალუტო პოლიტიკა, ინსტიტუტები და ტრანსეპროვინული ასპექტები. ეკონომიკურ პოლიტიკისადმი მიძღვნილი თავი წვერი ქვეყნებისაგან მოითხოვს ეკონომიკური პოლიტიკის იმგვარად მართვას, რომ მიღწეულ იქნას მსპ-ს მიზნები და „ეთანხმდებოდეს თავისუფალი კონკურენციის და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს“. წვერი ქვეყნები მათ ეკონომიკურ პოლიტიკას უნდა მიუდგნენ, როგორც საერთო ინტერესის საგანს და მოვალენი არიან მოახდინონ მათი კოორდინირება ეკოფინის საბჭოს მეშვეობით. ეკონომიური პოლიტიკის ზოგადი პრინციპები უნდა განისაზღვროს

ევროსაბჭოს მიერ (ანუ ევროკავშირის სამიტებზე) და შემდეგ ეკოფინის საბჭოზე ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით.

უკვე შემოღებულ იქნა მრავალმხრივი ინსპექტირების პროცედურა, რომლის მეშვეობითაც ეკოფინის საბჭო, წევრი ქვეყნების ეკონომიკების მჭიდრო კოორდინაციისა და კონვერგენციის უზრუნველსაყოფად, ახდენს თითოეულ წევრი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მონიტორინგს კომისიის მიერ წარმოდგენილი მოხსენებების საფუძველზე. თუ იგი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური პოლიტიკა არ ეთანხმება მიღებულ ზოგად პრინციპებს, საბჭო უფლებამოსილია, ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით, პოლიტიკური რეკომენდაციები გაუწიოს წევრ ქვეყნებს. რეკომენდაციები სურვილისამებრ შეიძლება საჯაროდ გაკეთდეს. თუ წევრი ქვეყანა განაგრძობს ზოგად პრინციპებთან შეუსაბამო პოლიტიკას და ქვეყანაში კერძოდ კვლავაც დაფიქსირდება საბიუჯეტო დეფიციტი, მის წინააღმდეგ გატარდება სერიოზული სანქციები, დამთავრებული იმ-ის ინსტიტუციებიდან სესხების გაყინვით, უპროცენტო საყრდენი დეპოზიტების მოთხოვნით და საბოლოოდ „სათანადო მოცულობის ჯარიმის დაწესებით“. ხელშეკრულებაში ნათლად არის ნაჩვენები, რომ ევროგაერთიანების მიზანს არ წარმოადგენს ფინანსურ სიძნელებებში მყოფი წევრი ქვეყნის დახსნა, თუმცა ქვეყანას შეიძლება გაეწიოს ფინანსური დახმარება სტიქიური უბედურების შემთხვევაში, ან სხვა სიძნელების დროს, რომლებიც არ არიან გამოწვეული წევრი ქვეყნის უყაირათობით.

სავალუტო პოლიტიკის შესახებ მასში ნათქვამია, რომ მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს „ფასების სტაბილიზაციის უზრუნველყოფა“, ანუ ინფლაციის მინიმალური დონე. ამ მიზნით უნდა შექმნილიყო ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემა (მცბს), რომელიც შემდგარი იქნებოდა წევრი ქვეყნების ეროვნული ცენტრალური ბანკებისაგან (მრცბ). ეროვნული ცენტრალური ბანკები დამოუკიდებელი უნდა გამხდარიყვნენ მათი ეროვნული მთავრობებისაგან და მსკ-ის მესამე ეტაპის დასაწყისში უნდა დაარსებულიყო ევროპის ახალი ცენტრალური ბანკი (მცბ).

ხელშეკრულება ადასტურებს, რომ მსკ-ს მეორე ეტაპი დაიწყებოდა 1994 წლის 1 იანვარს, ამ დროისათვის სავარაუდოდ ყველა წევრი სახელმწიფო გაატარებდა კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებისათვის აუცილებელ ზომებს, მიიღებდა მრავალწლიან პროგრამებს მსკ-სათვის საჭირო შემდგომი მუდმივი კონვერგენციის

უზრუნველსაყოფად და განსაკუთრებით კი ფასების სტაბილიზაციისა და ჯანსაღი საზოგადოებრივი საფინანსო გარემოს შესაქმნელად. მეორე ეტაპის დასაწყისში დაარსდა ევროპის სავალუტო ინსტიტუტი (მსი), როგორც მცბ-ს წინამორბედი. მისი წევრები იყვნენ სხვადასხვა ეროვნული ბანკები. მან შეცვალა მმართველთა კომიტეტი და ევროპის სავალუტო თანამშრომლობის ფონდი, რომელმაც არსებობა შეწყვიტა. მის ამოცანას წარმოადგენდა მესამე ეტაპისათვის სიტუაციის შემზადება და მრცბ-ებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, რომელთა სახელითაც მას ექნებოდა ვალუტის რეზერვები.

მსი, კომისიასთან ერთად ვალდებული იყო წარედგინა მოხსენებები ეკონომის საბჭოსათვის წევრი ქვეყნების მიერ მათი კანონმდებლობის მსს-სთან შესაბამისობაში მოყვანისათვის გაწეული ძალისხმევის წარმატებულობის შესახებ. მიეწოდებინა ინფორმაცია წევრ ქვეყნებში ფასების სტაბილურობის, საბიუჯეტო დეფიციტების, ვალუტის გაცვლითი კურსის, კონვერგენციის მაჩვენებლების და გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთების შესახებ. ამის შემდეგ საბჭოს უნდა განესაზღვრა, თუ რომელმა წევრ-სახელმწიფომ შეასრულა ერთიანი ვალუტის სისტემაში მისაღებად საჭირო ოთხი პირობა, რომელიც მოყვანილია ხელშეკრულების პროტოკოლში:

■ ინფლაცია წინა წლის მაჩვენებლებს არ უნდა აღემატებოდეს 15%-ზე მეტით, რაც საშუალოდ მიღწეულია სამ ყველაზე დაწინაურებულ ქვეყანაში.

■ ქვეყნის ვალუტა მოქცეული უნდა იყოს მმ-ის ვიწრო საზღვრებში სულ ცოტა წინა ორი წლის მანძილზე და ამ პერიოდში არ უნდა ჰქონდეს განცდილი დევალვაცია.

■ მისი გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთები არ უნდა აღემატებოდეს წინა წლის მაჩვენებელს 2%-ზე მეტით, რაც წარმოადგენს, ფასების სტაბილურობის თვალსაზრისით, სამ ყველაზე დაწინაურებული ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებს.

■ იგი არ იყო საბჭოს გადაწყვეტილების სუბიექტი ჭარბი დეფიციტის ვითარების გამო.

პოლიტიკაში ჭარბი დეფიციტი განისაზღვრა, როგორც დეფიციტი, რომელიც აღემატება წლიურ ბიუჯეტში მმპ-ს 3%-ს ან როდესაც

მთავრობის დაგროვილი ვალი აღემატება მშპ-ს 60%-ს. თუმცა ამ კრიტერიუმებს ემიჯნება მასტრიხტის ხელშეკრულებაში მოტანილი განმარტებები, რომელიც ითვალისწინებს გამონაკლისის დაშვებას ისეთი ქვეყნებისათვის რომლებიც მიუახლოვდნენ 3% წლიური დეფიციტის მაჩვენებლის, ან რომელთა ჭარბი დეფიციტის მაჩვენებლები გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ „გამონაკლისი და დროებითი ფაქტორებით“. მსგავსად, დაგროვილი დეფიციტის თვალსაზრისით, რომელმაც რამდენიმე წევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ბელგიასა და იტალიაში მკვეთრად გადააჭარბა 60%-იან დონეს, ხელშეკრულებაში მხოლოდ იმის აუცილებლობა იყო აღნიშნული, რომ „დეფიციტი ყოფილიყო საკმაოდ კლებადი და მისი გათვალისწინებულ დონემდე დაღმასვლის ტემპი დამაკმაყოფილებელი ყოფილიყო“. მაშასადამე ქვეყნები, რომელთა ეკონომიკაც ზოგადად კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა და სხვა კრიტერიუმების თვალსაზრისით ისინი წარმატებულნი იყვნენ არ გაირიცხებოდნენ მსპ-დან მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ზუსტად ვერ დააკმაყოფილებდნენ დეფიციტის ნორმას.

მასტრიხტის ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ, თუ 1996 წლისათვის ევროსაბჭო გადაწყვეტდა, რომ წევრი ქვეყნების უმრავლესობამ დააკმაყოფილა ოთხი კრიტერიუმი, მესამე ეტაპი დაიწყებოდა 1997 წელს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მესამე ეტაპის დასაწყისი გადაიდებოდა 1999 წლის 1 იანვრამდე. მალე აშკარა გახდა, რომ 1997 წლის დასაწყისისათვის დაგეგმვა არარეალური იყო, ასე რომ, 1995 წელს წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ბოლო ეტაპი 1999 წელს დაიწყებოდა.

1998 წლის 1 ივლისამდე ეკოფინის საბჭოს უნდა გადაეწყვიტა რომელმა წევრმა ქვეყნებმა შეასრულეს ერთიანი ვალუტის შემოღებისათვის საჭირო პირობები. ხელშეკრულებას დაერთო სპეციალური პროტოკოლი, რომელიც გაერთიანებულ სამეფოს აძლევდა კავშირში არ შესვლის უფლებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი შეასრულებდა ზემოთ მოტანილ პირობებს. პროტოკოლის თანახმად გაერთიანებული სამეფო არ იყო ვალდებული შეერთებოდა მესამე ეტაპს ქვეყნის მთავრობისა და პარლამენტის განსაკუთრებული გადაწყვეტილებების გარეშე. ანალოგიური უფლება მიენიჭა დანიასაც. მესამე ეტაპის დასაწყისში მსი შეიცვალა მცბ-ით, რომლის აღმასრულებელი საბჭო დანიშნული იქნა იმ წევრი ქვეყნების მიერ, რომლებიც მზად იყვნენ ერთიანი ვალუტის შემოღებისათვის. ეკოფინის საბჭოს მონაწილე ქვეყნების ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების თანახმად,

უნდა შემოეღოთ კონვერსიული განაკვეთები რომელთა საშუალებითაც მოხდებოდა მათი ვალუტების კურსების უცვლელი ფიქსირება, და ეკიუს ჩანაცვლება ეროვნული ვალუტების ადგილზე, რითაც ეკიუ გადაიქცეოდა ფაქტიურ ვალუტად.

მცბ, მრცბ-ებთან ერთად, რომლებიც ქმნიან მცბს-ს პასუხისმგებელი იქნებოდა ახალი ვალუტის მართვაზე, თუმცა მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ გამოუშვან მონეტები მას შემდეგ, რაც მიიღებენ მცბ-ს თანხმობას გამოშვების ოდენობაზე. საბჭოს, კომისიის წინადადებით, ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით მცბ-სთან კონსულტაციის საფუძველზე და ევროპარლამენტთან თანამშრომლობით შეუძლია მიიღოს ზომები ბრუნვაში მყოფი ფულის ნიშნების ტექნიკური მახასიათებლების და დენომინატორების ჰარმონიზაციისათვის, რაც აუცილებელია გაერთიანების ფარგლებში ფულის ნიშნების შეუფერხებელი ბრუნვისათვის.

1995 წლის დეკემბერში მადრიდში გამართულ სამიტზე გადაწყდა, რომ ახალ ფულად ერთეულს ეწოდოს ევრო და რომ იგი გადაიცვლება ეკიუზე ერთი-ერთზე პრინციპით. იგი დაიყოფა 100 ცენტად. 1996 წლის თებერვალში გამოცხადდა კონკურსი (ბანკოტების) დიზაინზე და 1996 წლის დეკემბრის დუბლინის სამიტზე მოეწყო გამარჯვებული ნიმუშების გამოფენა. ბრუნვაში იქნება 5,10,20,50,100, 200 და 500 ევროს ბანკოტები და 1,2,5,10 და 50- ცენტის მონეტები, ასევე 1 და 2 ევროს ღირებულების მონეტები. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 1999 წლიდან მრავალი საბანკო გარიგება ევროებში განხორციელდება, მონეტები და ბანკოტები 2001 წლის ბოლოსა და 2002 წლის დასაწყისამდე ბრუნვაში არ შემოვა, ვინაიდან ფულის ბეჭდვა და მოჭრა ძალზე ხანგრძლივ პროცესს მოითხოვს: საჭირო იქნება კავშირში ამჟამად ბრუნვაში მყოფი 12 მილიარდი ბანკოტისა და 70 მილიარდი მონეტის შეცვლა. დაახლოებით ორი თვის განმავლობაში ორივე, ძველი და ახალი ვალუტა, ერთდროულად იქნება ბრუნვაში, ხოლო ამის შემდეგ ძველი ვალუტა კანონით გაუქმდება.

მსკ-ს საბოლოო ეტაპი

1998 წლის გაზაფხულზე კომისიამ და მსკ-მ შეისწავლეს 15 წევრი ქვეყნის მონაცემები და განაცხადეს, რომ მათგან 11-მა წარმატებით გაართვა თავი მაასტრიხტის ხელშეკრულებაში მოცემული

კრიტიკიუმების შესრულებას და მამასადამე, მზად არიან 1999წლის 1 იანვრისათვის დაგეგმილ მსპ-ს მესამე ეტაპისათვის. ამ ქვეყნებს შორის იყვნენ: ავსტრია, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, პორტუგალია და ესპანეთი. დარჩენილმა ორმა ქვეყანამ - გაერთიანებულმა სამეფომ და დანიამ მართალია დააკმაყოფილეს კრიტიკიუმები, მაგრამ ისარგებლეს მათთვის მინიჭებული უფლებით არ შეერთებოდნენ მესამე ეტაპს. შედეგთა დააკმაყოფილა ეკონომიკური კრიტიკიუმები, მაგრამ არ მიიღო ზომები მისი ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, რაც ასევე წარმოადგენდა მსპ-ს წვერობის აუცილებელ პირობას. საბერძნეთმა კი ვერ დააკმაყოფილა კრიტიკიუმები, თუმცა ამ მიმართულებით გარკვეული პროგრესი მანაც განიცადა.

1998 წლის 1-2 მაისს ბრიუსელში შემდგარ ევროსაბჭოს სპეციალურ სხდომაზე მიღებულ იქნა რეკომენდაციები და 1999წლის 1 იანვარს 11-მა ქვეყანამ მიიღო ერთიანი ვალუტა. მოსალოდნელია, რომ 2001- 2002 წლისთვის - ანუ ახალი ვალუტის ბანკნოტების და მონეტების ბრუნვაში გაშვების დროისათვის, ან ცოტა ხნის შემდეგ, მათ დარჩენილი 4 ქვეყანაც შეუერთდება. საბერძნეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი აუცილებლად შეასრულებდა პირობებს რამდენიმე წელიწადში და დაუყოვნებლივ შეიყვანდა დრაკმას მსპ-ში. გაერთიანებულმა სამეფომ უფრო ფრთხილი პოზიცია დაიკავა, განაცხადა რა, რომ პრინციპში იგი მსპ-ში გაერთიანების მომხრე იყო, მაგრამ ამისათვის საჭირო რეფერენდუმის მოწყობა ალბათ ვერ მოხერხდებოდა 2002 წლის ივნისში დაგეგმილ საყოველთაო არჩევნებამდე. ამასობაში კონსერვატიულმა ოპოზიციამ, უილიამ ეიგის მეთაურობით კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი მტრული განწყობა მსპ-სადმი და დაიმუქრა, რომ არ განიხილავდა გაწვევრიანების საკითხს 10 წლის მანძილზე, თუ კი საერთოდ განიხილავდა.

სინამდვილეში გაერთიანებულ სამეფოს შესვლა მსპ-ში დამოკიდებულია შემდგომი არჩევნების შედეგებზე. თუ ხელისუფლებაში ლეიბორისტული პარტია დაბრუნდება, გაერთიანებული სამეფო რა თქმა უნდა (რეფერენდუმის შედეგების თანახმად) სავარაუდოდ გადაწყვეტს კავშირში გაწვევრიანებას. კონსერვატორების გამარჯვების შემთხვევაში კი, თუ მათი მოსაზრებები მკვეთრად არ შეიცვალა,

მოსალოდნელია ბრიტანეთის იზოლაციის ხანგრძლივი პერიოდი და შესაძლოა ევროკავშირიდან გასვლაც კი. მიმომხილველთა უმრავლესობის აზრით დანიაც და შვედეთიც მიბაძავენ გაერთიანებული სამეფოს მაგალითს და გაწევრიანდებიან მსკ-ში, თუ რა თქმა უნდა, მათ არ გადაწყვიტეს ამის გაკეთება მანამდე. ამ ხნის განმავლობაში ეს სამი ქვეყანა (საბერძნეთთან ერთად) გაირიცხება მინისტრთა ევრო-11 ახალი კომიტეტიდან, რომელიც შეიქმნება მსკ-ს ფონზე ევროკავშირის პოლიტიკის განვითარებაზე სამეთვალყურეოდ. გაერთიანებულმა სამეფომ მძიმედ განიცადა კომიტეტიდან გაირიცხვა და შეებრძოლა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ ამაოდ.

1998 წლის მაისის სამიტზე ასევე არჩეულ იქნა მსკ-ს პირველი პრეზიდენტი და ხუთი ვიცე პრეზიდენტი. პრეზიდენტი გახდა პოლანდიის ყოფილი ფინანსთა მინისტრი და ცენტრალური ბანკის მმართველი ვიმ დუიზენბერგი, რომელიც სათავეში ედგა მსკ-ს 1996 წლიდან. მთავრობების 15 მეთაურიდან თოთხმეტს სურდა მისი დანიშვნა მასტრიხტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული რვა წლის ვადით, თუმცა ამას ვჯიუტად ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი, რომელიც ამაოდ ცდილობდა პრეზიდენტად საფრანგეთის ცენტრალური ბანკის მმართველის ჟან კლოდ ტრიშეს დანიშვნას. საბოლოოდ მიღწეულ იქნა კომპრომისი, რომლის მიხედვითაც დუიზენბერგი მართალია, ფორმალურად დაინიშნა რვა წლის ვადით, მაგრამ დათანხმდა ვადის დამთავრებამდე თავისი პოსტი დაეთმო ტრიშესათვის, რომელიც ამ პოსტზე რვა წლის ვადით დაინიშნებოდა. ამ გადაწყვეტილებამ საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია და დუიზენბერგმა ნათელჰყო, რომ იგი არც თუ ღიმილი ენთუზიაზმით დათანხმდა მასზე, და რომ იგი თავად განსაზღვრავდა პოსტიდან წასვლის დროს, არ აპირებდა რა გაემართლებინა ფრანგების იმედები პოსტის ოთხ წელიწადში დატოვებაზე. 1998 წლის 31 დეკემბერს მოეწყო ეკოფინის საბჭოს სხდომა, რომელზედაც შეთანხმებულ იქნა 11 წევრი ქვეყნის ვალუტების ფიქსირებული კურსები ევროს მიმართ (იხ. ცხრილი № 12).

ცხრილი №12

ევროს კონვერტირების კურსი

ევრო 1=	13,7603	ავსტრიული შილინგი
	40,3399	ბელგიური ფრანკი
	40,3399	ლუქსემბურგის ფრანკი
	1,95583	გერმანული მარკა
	166,386	ესპანური პესეტა
	5,94573	ფინური მარკა
	6,55957	ფრანგული ფრანკი
	0,787564	ირლანდიური ფუნტი
	1,936.27	იტალიური ლირა
	2,20371	ჰოლანდიური გულდენი
	200,482	პორტუგალიური ესკუდო

1. ეკონომიკური და ფინანსური საქმეების საბჭოს შეთანხმებული აბრევიატურა.
2. ლუქსემბურგის ფრანკის ჩართვით, რომელიც უთანაბრდება ბელგიურ ფრანკს.
3. Michael Butler, (ციტირებული ნაშრომი, გვერდი 69).
4. ეკიუს ღირებულება განისაზღვრა წვერი ქვეყნების ვალუტების საშუალო მაჩვენებლით. ამ მაჩვენებელმა შეწყვიტა არსებობა 1999წელს, როდესაც ეკიუ შეიცვალა ევროთი, ერთი-ერთზე პრინციპით.
5. ბელგიამ, რომის ხელშეკრულების 30 წლისთავის აღსანიშნავად, 1987 წელს მოჭრა 5 და 50 ეკიუს ღირებულების ოქროსა და ვერცხლის მონეტები. ისინი კანონიერად არიან ბრუნვაში.
6. იხ. Michael Emerson-ის და Christopher Huhne-ს მოხსენება ეკიუს თაობაზე, Pan Books ლონდონი 1991 წ.

19 დაბეგვრა

კავშირის დაარსების დღიდან დაბეგვრა მიჩნეულ იქნა წევრი ქვეყნების სუვერენულ უფლებად: გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბეგარის დაკისრება ხელს უშლის კონკურენციას კავშირის ფარგლებში ან იწვევს ევროკავშირის სხვა ქვეყნების ერების დისკრიმინაციას, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როგორცაა ორმაგი დაბეგვრა, ევროგაერთიანების გადაწყვეტილებები ბეგარის საკითხებზე შემოიფარგლება არაპირდაპირი დაბეგვრით: ერთის მხრივ საბაჟო გადასახადით, ხოლო მეორე მხრივ დღგ-ითა და სააქციზო გადასახადით. დაბეგვრასთან დაკავშირებული თითქმის ყველა გადაწყვეტილება მინისტრთა საბჭოში ერთხმად უნდა იყოს მიღებული. საგანგებო ევროპული აქტით, რომელმაც საკმაოდ გააფართოვა იმ საკითხთა სპექტრი, რომლის შესახებაც გადაწყვეტილება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით მიიღება, ეს მოთხოვნა შესრულებული არ იქნა. კავშირის შიგნით დაბეგვრის განსაზღვრა და სპექტრი დიდად განსხვავდება. შედეგში და დანიაში ყველაზე მაღალი ბეგარაა ევროკავშირის ქვეყნებს შორის, ხოლო ირლანდიაში და საბერძნეთში კი ყველაზე დაბალი. (იხ. ცხრილი №9)


დღგ-ის - საყოველთაო გამოყენება

ყველაზე დიდი ღონისძიება, რომელიც განხორციელდა დაბეგვრის სფეროში იყო დღგ-ს საყოველთაო გამოყენება, რომელმაც შეცვალა წევრ ქვეყნებში მოქმედი სხვადასხვა არაპირდაპირი გადასახადების სიმრავლე. 1967 წელს მიღებული ორი დირექტივა იმ წევრი ქვეყნებისაგან, რომლებიც ჯერ-ჯერობით არ იყენებდნენ დღგ-ს, მის შემოღებას კონკრეტულ ვადებში მოითხოვდა, ხოლო აპლიკანტი ქვეყნებისაგან კი დაბეგვრის სისტემის სათანადოდ შეცვლას. 1986 წელს გაწვევრიანებისას ესპანეთმა თანხმობა განაცხადა დღგ-ის გამოყენებაზე. საბერძნეთმა შემოიღო ეს სისტემა 1987 წელს, ხოლო პორტუგალიამ 1989 წელს მის მაგალითს მიბაძა ავსტრიაში, ფინეთმა და შედეგთა შემოიღეს დღგ ევროკავშირში 1995 წელს გაწვევრიანებამდე. დღგ გაერთიანებისათვის მისაღები იყო მისი ეკონომიკური ნეიტრალიტეტის გამო. პროდუქციის შექმნისა და რეალიზაციის ყოველ საფეხურზე წინა საფეხურებზე გადახდილი

ბეგარა აკლდება გამყიდველის მიერ გადახდილ ბეგარას. ამ გზით გადასახადი პროპორციულია საქონლის და მომსახურების ღირებულებისა, მიუხედავად მათზე წარმოებული გარიგებების რაოდენობისა. 1977 წელს წვერმა ქვეყნებმა დადეს ხელშეკრულება დღგ-ის გამოთვლის ერთიან ბაზისზე. თუმცა მრავალი გამონაკლისი გაკეთდა. მიუხედავად ამისა ევროგაერთიანებას შესაძლებლობა მიეცა ამ ბაზისზე დაყრდნობით მიეღო მისი „საკუთარი რესურსების“ ნაწილი, რომლის მაქსიმალურ განაკვეთს თავდაპირველად 1% შეადგენდა, 1986 წლიდან კი 1,4%-ს; წვერი ქვეყნები კვლავაც განსხვავდებოდნენ დღგ-ით დაბეგვრის ღონით, განსხვავებული განაკვეთებითა და დაუბეგრავი საქონლისა და მომსახურების რაოდენობით.

მაჩვენებელი № 9 გადასახადები და სოციალური შენატანები მიმდინარე ფასებში

მშპ-ს %



ა) 1994 და 1989

წყარო: ევროსტატი

აქციზი

არაპირდაპირი დაბეგვრის მეორე ფორმა, რომელიც მოქმედებს წევრ ქვეყნებში, არის აქციზი მთელ რიგ პროდუქტებზე, როგორცაა: ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ნაწარმი და საწვავი. მიუხედავად კომისის მიერ შემოტანილი მრავალი წინადადებისა, 1991 წლის ივლისამდე მიღებული ერთადერთი საერთო კანონი ეხებოდა სიგარეტზე განსაზღვრული გადასახადის სტრუქტურას, თუმცა კომისიის მიერ შემოტანილი საჩივრების საფუძველზე ევროპის სასამართლომ გამოიტანა რამდენიმე განაჩენი, რომელიც მიზნად ისახავს წევრი ქვეყნების მიერ ეროვნული წარმოების ლუდის, ღვინისა და სპირტიანი სასმელებისათვის ხელშეწყობისა და იმპორტული საქონლის დაზავების პრაქტიკის აღკვეთას, რამაც განაპირობა მრავალი ქვეყნის მიერ გადასახადების სპექტრის მოდიფიცირება.

კომისიამ აგრეთვე შემოიღო ერთიანი ბაზისი წევრ ქვეყნებს შორის მოგზაურთათვის, რომელიც დაუბეგრავი დახმარებისათვის 1993 წლის 1 იანვრიდან ევროკავშირის შიდა ბაზრის ფორმირების დღიდან უნდა გაუქმებულიყო. მაგრამ გადაწყდა, რომ 1999 წლის 30 ივნისამდე დაუბეგრავი ვაჭრობა გაგრძელდებოდა აეროპორტებში, თვითმფრინავებზე და ბორნებზე, რომლებსაც გადაჰყავთ მგზავრები ერთი სახელმწიფოდან მეორეში.

მიუხედავად დაუბეგრავი ინდუსტრიის მიერ წარმოებული ინტენსიური ლობირებისა, რომელიც ძირითადად ფინანსდებოდა თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლების მიერ, მინისტრთა საბჭომ უარი განაცხადა 1999 წლის ივნისში ამ გადაწყვეტილების გაუქმებაზე და ევროკავშირის ფარგლებში მოგზაურთათვის არსებული დაუბეგრავი ვაჭრობა დათქმულ დროს გაუქმდა.

ირიბი ბეგარის განაკვეთების ჰარმონიზაცია

ირიბი ბეგარის განაკვეთების ჰარმონიზაციისათვის ძლიერ ბიძგს წარმოადგენდა 1985 წელს გაერთიანების შიდა ბაზრის ფორმირების დასრულების კონკრეტული გეგმის მიღება.

1985 წლის ივნისში (იხ. გვ.143-144) „ეთერი ფურცლის“ წარდგენისას ლორდი კოფილდი მყარად იღვა იმ მოსაზრებაზე, რომ ამ განაკვეთების „აპროქსიმაცია“ მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი თუ კი მიღწეული იქნებოდა ყველა სახის შიდა სასაზღვრო კონტროლის მოხსნა. „აპროქსიმაციაში“ იგი გულის-

ზმობდა განაკვეთების ერთმანეთთან იმდენად დაახლოებას, რომ ადგილი არ ჰქონოდა ვაჭრობის მნიშვნელოვან შეფერხებას. ნიმუშად მან აშშ გამოიყენა, სადაც სხვადასხვა შტატებში მოქმედებს ბეგარის განსხვავებული განაკვეთები ვაჭრობაზე, თუმცა მათ შორის სხვაობა იშვიათადაა იმდენად დიდი, რომ გამოიწვიოს საზღვრის გადაღმა ვაჭრობის ზრდა დაბალი ბეგარის გადახდის მიზნით. 1987 წლის ივლისში კომისიამ წარმოადგინა თავისი წინადადებები, რომლებიც მისი აზრით უნდა გატარებულიყო წვერი ქვეყნების მიერ არაუგვიანეს 1992 წლის 31 დეკემბრისა. შემოტანილ იქნა წინადადება განაკვეთის შემდეგი ორი დღე საზღვრის შესახებ: სტანდარტული განაკვეთი - 14 - 20% და შემცირებული განაკვეთი „ძირითადი მოხმარების პროდუქტზე“ - 4-9%. შემცირებული განაკვეთი მოიცავდა საკვებ პროდუქტებს, ელექტროენერგიას გათბობისა და განათებისათვის, წყალს, ფარმაცევტულ ნაწარმს, წიგნებს, გაზეთებს და პერიოდულ გამოცემებს, სამგზავრო ტრანსპორტს. წვერ ქვეყნებს ეძლეოდათ უფლება დაეფიქსირებინათ თავიანთი ეროვნული განაკვეთები ნებისმიერ პოზიციაზე 5-ნ პროცენტის საზღვრებში „თუმცა“, განაცხადა ლორდ კოჟილდმა თავისი წინადადების წამოყენებისას, „ზოგიერთი მგრძობიარე სექტორის (როგორცაა კულტურის სექტორი) ჩართვის თვალსაზრისით კომისია რეკომენდაციას აძლევს წვერ ქვეყნებს დაბეგრა განახორციელონ შემცირებული განაკვეთის საზღვრების ქვედა ნახევარში“.

აქციზი. კომისიამ წამოაყენა წინადადება სრული ჰარმონიზაციის შესახებ და განაცხადა, რომ, თუ დღე გამოყენებულ იქნებოდა აქციზთან ერთად, იგი გააფართოებდა დღე-ის ლიმიტების მოქმედ საზღვრებს იმაზე მეტად, ვიდრე ეს მოხდებოდა მოქნილობის ანალოგიური ხარისხის შემოღებით. აქედან გამომდინარე, მან კონკრეტულად დაასახელა აქციზის ოდენობა ყველა იმ პროდუქტზე, რომელზედაც ვრცელდებოდა სააქციზო გადასახადი.

კომისიის წინადადებებს ნაკლები უთანხმოება უნდა გამოეწვია...

კომისიის წინადადებები, რომელიც მინისტრთა საბჭოს ერთხმად უნდა მიეღო ევროპარლამენტის მოსაზრების გაცნობის შემდეგ იმ

იმედით იქნა შემუშავებული, რომ წევრ ქვეყნებში იგი შეძლების-
დაგვარად მინიმალურ სიძნელეებს გამოიწვევდა. მიუხედავად იმისა,
რომ ყოველი წევრი სახელმწიფოსათვის აუცილებელი იქნებოდა გა-
რკვეული შესწორებების შეტანა, კომისიის აზრით სამი წევრი სახე-
ლმწიფო (ბელგია, იტალია და ნიდერლანდები) შეძლებდა დღგ-სა
და აქციზის შემოთავაზებული განაკვეთებიდან იგივე მთლიანი საგა-
დასახადო შემოსავლის მიღებას, რამდენსაც იმხანად იღებდა, ერთი
წევრი სახელმწიფო (საფრანგეთი) განიცდიდა მცირედენ საბი-
უჯეტო ზრდას, სამ წევრ ქვეყანაში (გერმანია, საბერძნეთი და
გაერთიანებული სამეფო) კი დაფიქსირდებოდა საბიუჯეტო შემოსა-
ვლების მცირე ან საშუალო ზრდა. ორი წევრი სახელმწიფო
(დანია და ირლანდია) განიცდიდა მნიშვნელოვან საბიუჯეტო დანა-
კარგს, ხოლო დანარჩენ წევრ ქვეყნებში (ლუქსემბურგი, ესპანეთი
და პორტუგალია) დაფიქსირდებოდა საბიუჯეტო შემოსავლების
მნიშვნელოვანი ზრდა¹.

გარდა დანიისა და ირლანდიისა, რომლებიც საჭიროებდნენ
კომპენსაციას „მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დანაკარგის გამო“, ქვეყანა,
რომელსაც ყველაზე დიდი სიძნელეები შეექმნებოდა ამ წინადადების
მიღების შედეგად უდავოდ გაერთიანებული სამეფო იყო, რომელიც
იმხანად არ ბეგრავდა ისეთ პროდუქტებს, როგორცაა: საკვები,
საბავშვო ტანსაცმელი და წიგნები (ისევე როგორც ირლანდია).
1987 წლის საარჩევნო კომპანიაში მარგარეტ ტეტჩერმა განაცხადა,
რომ იგი ვეტოს დაადებდა მომავალში გაერთიანებულ სამეფოში
ნულოვანი დაბეგვრის გაუქმების ნებისმიერ მცდელობას.

... მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას დრო დასჭირდა

მიუხედავად იმისა, რომ კოკფილდის წინადადებაში არ იყო
გათვალისწინებული ნულოვანი დაბეგვრის შენარჩუნება, საბჭომ
აღიარა, რომ წინადადების სრული ფორმით განხორციელების შემ-
თხვევაში რამდენიმე წევრი სახელმწიფო მნიშვნელოვანი „პოლი-
ტიკური, სოციალური და საბიუჯეტო“ პრობლემების წინაშე აღმო-
ჩნდებოდა. ამიტომ კომისიამ წარმოქმნილი სიძნელეების შესწა-
ვლის შემდეგ მოიწვია წევრი ქვეყნები, რათა მათ შემოეთავაზებინათ
„გადახრები“ (დირექტივებში და წესებში შესატანი გამონაკლისები,
რომლებიც პრინციპში დროებითი იქნებოდა, ხოლო სინამდვილეში
განუსაზღვრელი დროით იარსებებდა) რომლებიც საშუალებას მის-
ცემდა მათ არ შეესრულებინათ შემოთავაზებული გეგმის ცალკეული

ნაწილები.

ოთხი წელი და დიდი ვაჭრობა დასჭირდა წვერი ქვეყნების მიერ კოკფილდის წინადადებზე რალაც შეთანხმების მიღწევას. 1991 წლის ივნისში მინისტრთა საბჭოში მიღწეულ იქნა პოლიტიკური შეთანხმება, რომ კოკფილდის წინადადებები უნდა დამტკიცებულიყო, თუმცა მრავალი შესწორებებითა და შერბილებული სახით.

ცხრილი №13

დღგ განაკვეთის კონვერგენცია 1987 და 1997 წწ.

	1987		1997	
	მაქსიმუმი	სტანდარტი	მაქსიმუმი	სტანდარტი
ავსტრია	-	-	20	20
ბელგია	33	19	21	21
დანია	22	22	25	25
ფინეთი	-	-	22	22
საფრანგეთი	33,3	18,6	20,6	20,6
გერმანია	14	14	15	15
საბერძნეთი	36	18	18	18
ირლანდია	25	21	21	21
იტალია	38	19	19	19
ლუქსემბურგი	12	12	15	15
ნიდერლანდი	20	18,5	17,5	17,5
პორტუგალია	30	17	17	17
ესპანეთი	33	12	16	16
შვედეთი	-	-	25	25
გაერთიანებული სამეფო	15	15	17,5	17,5

შესწორებული წინადადებები დღგ-ის შესახებ

შესწორებული წინადადების პირობებით 1993 წლის 1 იანვრიდან ყველა მცირე წევრ სახელმწიფოში დღგ-ის სტანდარტული განაკვეთი უნდა ყოფილიყო მინიმუმ 15%, მაქსიმუმი დადგენილი არ იყო. გარდა ამისა, დაშვებულ იქნა ერთი, ან რამდენიმე შემცირებული განაკვეთი - მინიმუმი 5% -ოციოდე დასახელების საქონელზე და მომსახურებაზე, რომლებიც მიჩნეულ იქნა ძირითადი მოხმარებისა და ეროვნულ საზღვრებს გარეთ ნაკლებად რეალიზებად პროდუქციად (მათ შორის საკვები, საცხოვრებელი სახლების გათბობა და განათება, სამეზაგრო ტრანსპორტი, წიგნები და გაზეთები). გაკეთდა მნიშვნელოვანი დათმობა გაერთიანებული სამეფოს მიმართ, რომელმაც მიიღო უფლება შეენარჩუნებინა ნულოვანი დაბეგვრა და 5%-ზე ნაკლები განაკვეთები იმ შემთხვევაში, თუ ისინი უკვე 1991 1 იანვრისათვის მოქმედებდნენ. განსაკუთრებული გადახრები იქნა დაშვებული ლუქსემბურგის, პორტუგალიისა და ესპანეთისათვის, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი ცვლილებების განხორციელება მოუწევდათ წინადადების მიღების შემთხვევაში. გაერთიანებულ სამეფოს არ მოუწევდა არანაირი მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა შეთანხმების შედეგად. 1992 წლის ივლისში შესწორებული წინადადებები საბოლოოდ დამტკიცდა ღირეკტივაში, რომლის თანახმადაც ოთხი წლის ვადით დაწესდა 15%-იან მინიმალური სტანდარტული დღგ. ყველა გეგმა უკავშირდებოდა გარდამავალ პერიოდს, რომელიც 1997 წლის 1 იანვრისათვის უნდა დასრულებულიყო და რომლის განმავლობაშიც გაერთიანების შიგნით ექსპორტირებულ საქონელზე დღგ-ის დაწესება მოხდებოდა არა მომწოდებელ ქვეყანაში, არამედ დანიშნულების ადგილზე. ამ თარიღის შემდეგ ყველა სახის საქონლის დაბეგვრა უნდა მომხდარიყო იგივე პრინციპით განურჩევლად იმისა, სად მოხდებოდა საქონლის რეალიზაცია. კომისიას მიმართეს თხოვნით წარედგინათ წინადადებები ისეთი მუდმივი სისტემის შესახებ, რომელიც ამას შესაძლებელს გახდიდა 1994 წლის ბოლოსათვის. მიუხედავად იმისა, რომ კომისიამ ეს ვადა დააკმაყოფილა, წევრი ქვეყნები ვერ შეთანხმდნენ გადასახადების აკრეფის მუდმივ სისტემაზე და მიუხედავად იმისა, რომ საქმიანი და მომხმარებელთა ჯგუფები დაინტერესებულნი იყვნენ ერთიანი სისტემის შექმნით, გარდამავალი პროცედურები გაგრძელდა დროული ცვლილებების მცირეოდენი

იმედით. როგორც ცხრილი №13 გვიჩვენებს 1987-1997 წლებში ადგილი ჰქონდა დღე-ის განაკვეთების მნიშვნელოვან კონვერგენციას, რაც ერთის მხრივ განაპირობა საბაზრო მექანიზმებმა, ხოლო მეორე მხრივ 1992 წლის ღირექტივის მიღებამ. წევრ ქვეყნებს შორის მაქსიმალურ განაკვეთებს შორის სხვაობა შემცირდა 26%-დან 10%-მდე და სტანდარტის ზემოთ ყველა განაკვეთი გაუქმდა.

წინადადებების განხილვა აქციზის თაობაზე შეწყდა

თუ დღე-ის აპროქსიმაციის წინადადებებმა მკვეთრი ცვლილებები განიცადა, აქციზის შესახებ წინადადებების წამოყენება საერთოდ შეწყდა. ლორდ კოფილდის მიერ შემოთავაზებული სრული ჰარმონიზაციის ნაცვლად 1991 წლის ივნისში მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მინიმალური გადასახადები, რომლებიც უმეტეს წევრ ქვეყნებში არსებულ გადასახადებზე მნიშვნელოვნად ნაკლები იყო, შემოღებულ უნდა ყოფილიყო 1993 წლის 1 იანვრის შემდეგ. ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ჩრდილოეთის წევრ ქვეყნებთან, რომლებიც ალკოჰოლურ სასმელებზე და თამბაქოს ნაწარმზე მაღალი გადასახადების დაკისრების არგუმენტად ჯანდაცვას და შემოსავლებს ასახელებდნენ, და ღვინისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის თამბაქოს მსხვილ მწარმოებელ ქვეყნებთან, რომლებიც ტრადიციულად აწესებდნენ ნულოვან ან დაბალ ბეგარას. ცხრილი №14 აჩვენებს მინიმალურ განაკვეთებს, რომლებზედაც მიღწეულ იქნა შეთანხმება.

დაბეგვრის სხვა ფორმები

კომისია შეფიქრიანებული იყო იმ ფაქტით, რომ რამდენიმე სხვა სახის ბეგარა თრგუნავდა სხვადასხვა წევრ ქვეყანაში არსებულ კომპანიების კონკურენტუნარიანობას და მოსალოდნელი იყო, რომ უახლეს მომავალში მაინც, კომისია შემოიტანდა კომპანიების დაბეგვრის ჰარმონიზაციის წინადადებებს, თუმცა ეს ალბათ არ შეეხებოდა შემოსავლის დაბეგვრას. 1989 წელს საფრანგეთის მთავრობის მოთხოვნით კომისია შეეცადა მიეღო საინვენსტიციო შემოსავალზე ერთიანი დაქვითვითი ბეგარა, მაგრამ წინადადება უკან იქნა გატანილი, რამდენადაც ცხადი გახდა, რომ სხვა წევრი ქვეყნები არ დათანხმდებოდნენ მასზე

ცხრილი № 14 აქციზის მინიმალური განაკვეთები

ნავთობპროდუქტები	ეკიუ /'000ლიტრი
ტყვიის შემცველი ბენზინი	337
ტყვიის არშემცველი ბენზინი	287
დიზელის საწვავი	245
ნავთი	0
მაზუთი ('000კგ)	13
LPG & მეთანი	
საწვავი	100
სამრეწველო გამოყენება	36
გათბობა	0

ალკოჰოლური საშემლები	ეკიუ /'000 ლიტრი
ლუდი ^ა	0,748 პლატოს გრადუსისათვის 1,87 ალკოჰოლის შემცველი
ღვინო	0
შუშხუნა ღვინო	0
შუალედური პროდუქტები	450

თამბაქოს ნაწარმი	ბეგარა
სიგარეტი(100), გლობალური აქციზი (სპეციფიკური & ლირებულიდან დღმ-ს გარეშე)	57% საცალო ფასიდან (ყველა ბეგარის ჩათვლით)სიგარეტის ყველაზე პოპულარული ტიპებისათვის
თამბაქოს სსკა ნაწარმი	20%

შენიშვნა: საბერძნეთსა და ლუქსემბურგს მიენიჭათ ორწლიანი გარდამავალი პერიოდი 1994 წლის ბოლომდე, რომლის დროსაც დიზელის საწვავზე მინიმალური აქციზი იქნებოდა 195 ეკიუ/'000 ლიტრზე. ლუქსემბურგში აგრეთვე დაშვებული იქნა მინიმალური განაკვეთები ტყვიის შემცველ ბენზინზე (295 ეკიუ/'000ლიტრზე) და ტყვიის არ შემცველ ბენზინზე (242ეკიუ/'000 ლიტრზე).

- ა) როგორც შეთანხმებულ იქნა 1992 წლის მიღებულ ღირებულებაში.
ბ) ლულის მცირე დამოუკიდებელ საწარმოებში (რომლებიც აწარმოებენ წლიურად 200000 კექტოლიტრზე ნაკლებს) ეს მინიმალური განაკვეთები 50%-ით მცირდება.
წყარო: მინისტრთა საბჭო, ევროკომისია.

1990 წელს კომისიამ, ხანგრძლივი შეფერხების შემდეგ, მოახერხა მინისტრთა საბჭოს დარწმუნება მიეღო სამი ღირებულება, რომლებიც უზრუნველყოფდა დაბეგვრის ერთიანი სისტემის გამოყენებას შერწყმულ კომპანიებზე, ფილიალებზე ან მოკავშირე კომპანიებზე, როდესაც ისინი განლაგებულნი არიან სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში. 1997 წლისათვის წევრი ქვეყნების უმრავლესობა ემზადებოდა პარმონული დაქვითვის ბეგარის შემოღებას და 1998 წლის მაისში კომისიამ მიიღო ღირებულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა 20%-იან მინიმალურ განაკვეთს, ეს მოხდა მინისტრთა საბჭოში, სადაც 14 წევრი ქვეყნის თანხმობის მიუხედავად, გაერთიანებული სამეფო მტკიცედ იდგა საპირისპირო პოზიციაზე. მას ეშინოდა, რომ ღირებულების მიღება უარყოფით გავლენას მოახდენდა აქციების ევროპულ ბაზარზე, რომელიც ძირითადად ლონდონის სიტიში იყო განთავსებული. მთელი წლის განმავლობაში გაერთიანებული სამეფოსათვის მისაღები კომპრომისის ინტენსიურმა ძიებამ შედეგი ვერ გამოიღო. 1999 წლის ოქტომბრისათვის შეთანხმებების მიღწევა ვერ მოხერხდა.

1998 წლის მაისში 15 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მართვის ნებაყოფლობით კოდექსებზე, რათა მოეხდინათ ბეგარის ჭარბი კონკურენციის შეზღუდვა. ბრიტანეთის ზაზინის მინისტრის დონ პრიმაროლოს თავჯდომარეობით შეიქმნა სხვადასხვა წევრი ქვეყნების ოფიციალური პირებისაგან შემდგარი შემსწავლელი ჯგუფი და კომისია ევროკავშირის ფარგლებში, 1999 წლის განმავლობაში ბეგარის სპეციალური სქემების ფართო სპექტრის შედეგების შესახებ მოხსენებების წარმოდგენის დაეალებით. კოდექსის თანახმად სქემები, რომლებიც მიჩნეული იქნებოდა საზიანოდ, 2003 წლის 1 იანვრისათვის უნდა გაუქმებულიყო.

1. ფისკალური საზღვრების გაუქმება: კომისიის წინადადებების ანოტაცია 1987 წლის ივლისი

20 სოფლის მეურნეობა

საპ იყო პირველი ამოქმედებული საერთო პოლიტიკა ევროგაერთიანების საერთო აგრარული პოლიტიკა, საბაჟო კავშირთან ერთად, წარმოადგენდა რომის ხელშეკრულებაში დეტალურად ჩამოყალიბებულ მიზანს. იგი დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა გაერთიანების მიერ ამოქმედებულ ერთადერთ საერთო პოლიტიკად. ევროპელი ფერმერების აზრით იგი თვალსაჩინო წარმატებას წარმოადგენდა, თუმცა ამ წარმატებამ უამრავი პრობლემები შეუქმნა გაერთიანებას. ერთი მხრივ, საპ მოიხმარდა ბიუჯეტის იმდენად დიდ ნაწილს, რომ შეუძლებელი ხდებოდა სხვა პოლიტიკური ჩანაფიქრების განვითარება. მეორე მხრივ, მთელი რიგი პროდუქტების ჭარბი რაოდენობის სუბსიდირებულმა ექსპორტმა, მნიშვნელოვნად შეაფერხა მსოფლიო ვაჭრობა, რის გამოც ევროკავშირი დაუპირისპირდა აშს-სა და საკვების სხვა ტრადიციულ მომწოდებლებს, ასევე განვითარებად ქვეყნებს, რომელთა სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკას ზემოხსენებულმა ექსპორტმა საფრთხე შეუქმნა.

გავლენა ევროკავშირის სოფლის მეურნეობაზე ხელშეკრულების 39-ე მუხლის თანახმად საპ-ის მიზანია:

1. სოფლის მეურნეობის პროდუქციულობის გაზრდა;
2. სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ღირსეული დონით უზრუნველყოფა;
3. ბაზრების სტაბილიზაცია;
4. რეგულარული მარაგის გარანტირება;
5. მომხმარებლისთვის პროდუქტის გონივრულ ფასად მიწოდება.

საპ-მა დიდი წვლილი შეიტანა კავშირის სოფლის მეურნეობის სტრუქტურის გარდაქმნაში. ფასების უხემა მხარდაჭერამ და ტექნოლოგიურმა სიახლეებმა განაპირობა წარმოებისა და პროდუქციულობის მასობრივი ზრდა. ევროკავშირი ფაქტიურად თავად ახდენს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ყოველგვარი პროდუქციით, ტროპიკული პროდუქტებისა და ცხოველებისათვის მცენა-

რეული პროტინებისა და სახამებლის გარკვეული ნაწილის გარდა. 1958 წლიდან ქალაქების მოსახლეობის რაოდენობის ორი მესამედით შემცირების გამო, დარჩენილი რაოდენობის ცხოვრების საშუალო ღირებულება მკვეთრად გაუმჯობესდა. მართალია პოლიტიკამ ხელი შეუწყო პირველი ოთხი მიზნის განხორციელებას, მაგრამ ეს ხდებოდა მეხუთე მიზნის ხარჯზე. ევროკავშირის ფერმების მხარდასაჭერად ფასები მსოფლიო ფასებზე მაღალია, ხშირად მნიშვნელოვნად მაღალიც კი. ამიტომ ევროგაერთიანების მომხმარებელს მოუწია აენახლაურება ფერმერული სექტორის წარმატება არამართო მაღალი ფასებით, არამედ გადასახადების სახითაც, რომლებიც შედის ევროკავშირის, ძირითადად სოფლის მეურნეობის მხარდაჭერაზე გათვლილ ბიუჯეტში.

საპ შეიცავს სამ ძირითად ელემენტს:

- ერთიანი ბაზარი სასოფლო საქონლისათვის (თავისუფალი გადაადგილება გაერთიანების მასშტაბით და საერთო ფასები)
- გაერთიანების უპირატესობა (საერთო სატარიფო ბარიერები ევროკავშირის ფარგლებს გარედან იმპორტირებული საქონლისათვის)
- საერთო ფინანსური პასუხისმგებლობა (ხარჯების დაფარვა ხდება ერთიანი ფონდიდან, რომელიც იქმნება ყველა წევრის მონაწილეობით).

ფულადი კომპენსაციის მოცულობები

საერთო ფასები ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე შემოღებულ იქნა 1962-1967 წლებში, მაგრამ მას შემდეგ განხორციელებულმა ვალუტის კურსის მოდიფიკაციამ იძულებული გახადა გაერთიანება შემოეღო ე.წ. „მწვანე ვალუტა“, რათა შეენარჩუნებინა საერთო ფასების სტრუქტურა. ძირითად პროდუქტებზე ღირებულებაში სხვაობა „მწვანე“ და ნამდვილ ვალუტებს შორის იფარებოდა ფულადი კომპენსაციის თანხებით (შკმ), რომელიც გამოიყენებოდა გაერთიანების შიდა და მესამე მსოფლიოს ქვეყნებთან ვაჭრობაში. უარყოფითი შკმ-ს მქონე ქვეყნებში ფერმერებისათვის გადახდილი ფასები უფრო დაბალი იყო, დადებითი შკმ-ს მქონე ქვეყნებში კი იმაზე მაღალი, ვიდრე ეს სხვა შემთხვევაში იქნებოდა. ვინაიდან ევროგაერთიანების ვალუტების კურსები ბოლო წლებში

შედარებით სტაბილურობას ინარჩუნებდნენ (რაც ნაწილობრივ განაპირობა ევროპის სავალუტო სისტემის შემოღებამ. (იხ. გვ.159-160) შპმ-ს მნიშვნელობა შემცირდა და სხვადასხვა ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები 1970-იან წლებში ნაკლებად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. 1999 წლიდან კი საერთო ვალუტის შემოღებისთანავე შპმ გაუქმდა, თუმცა, უკვე 1996 წლისათვის იგი სპპ-ს ბიუჯეტის მეტად მცირე ნაწილს წარმოადგენდა.

ევროპის სოფლის მეურნეობის მართვისა და გარანტიის ფონდი

საერთო ფონდი, ცნობილი, როგორც ევროპის სოფლის მეურნეობის მართვისა და გარანტიის ფონდი (სმმმშ, რომელსაც საერთოდ FEOGA-ს უწოდებენ (ფრანგული აკრონიმი) წარმოადგენს სპპ-ს ყველაზე საკამათო ასპექტს. მისი მართვის სექტორზე, რომელიც აფინანსებს მოდერნიზაციასა და გაუმჯობესებას, მოდის მთლიანი თანხების 10%-ზე ნაკლები და მისი საქმიანობა არ იწვევს ღიდ წინააღმდეგობას. სწორედ გარანტირების სექტორი მოიხმარს მთლიანი ხარჯების ლომის წილს. მისმა საქმიანობამ კი არაერთხელ გამოიწვია კავშირის ფინანსების მკვეთრი დაძაბულობა.

გარანტიის სექტორის უმთავრესი მიზანია საჭიროებისამებრ მოახდინოს ევროპის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოს ფერმერთა შემოსავლების შენარჩუნება. ამის განხორციელება ხდება ოთხი სხვადასხვა მექანიზმით, იმისდა მიხედვით, თუ რომელ პროდუქციასთან არის დაკავშირებული.

ცხრილი № 15. ევროკავშირის სოფლის მეურნეობა:
ძირითადი მონაცემები 1996წ.

	1	2	3	4*	5*	6	7	8*	9*	10*	11*
ევროკავშირი	135260	7514	5,1	7341	17,5	220346	1,7	9,6	7,4	-9,980	18,2
ავსტრია	3432	269	7,4	222	15,4	3637	1,0	7,0	4,6	-1,708	17,1
ბელგია	1371	104	2,7	71	18,8	6817	1,3	12,2*	11,9*	9,41*	16,4
დანი	2727*	102	3,9	69	39,6	6915	2,4	13,4	25,7	5,456	20,0
ფრანკი	2192*	161	7,9	101	21,7	2274	0,8	7,0	2,8	-817	20,5
საფრანკო	30215	1072	4,8	735	38,5	46897	1,9	10,4	13,7	8,946	18,2
გერმანია	17135	1046	2,9	567	30,3	33348	0,8	10,4	5,3	-15,083	15,2
საქსონი	3465*	784	20,3	774	4,5	8809	6,7	15,2	29,4	-616	36,6
ირლანდია	4125*	146	11,2	153	28,2	4404	4,1	9,1	15,9	3,554	33,3
იტალია	14685*	1332	6,7	2482	5,9	35694	2,7	12,0	6,9	-5,993	19,3
ლუქსემბურგი	126	4	2,4	3	39,9	185	0,7	12,2*	11,9*	9,41*	18,2
ნიდერლანდი	1969	247	3,8	113	17,7	7156	2,8	13,9	21,7	12673	14,3
პორტუგალია	3927	541	12,2	451	8,7	4937	3,3	13,7	7,4	-2299	28,0
ესპანეთი	30281	1065	8,6	1278	19,7	27523	3,5	12,8	15,7	1163	19,7
მდელი	3060*	130	3,3	89	34,4	3484	0,5	7,5	2,5	-2241	19,5
გერმანია	16149*	511	2,0	235	70,1	18185	0,8	10,3	6,4	-10065	19,9

1. გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები ('000 ა.). 2.&3 დასაყება 2.(‘000) 3. დასაყებელი მოსახლეობის % 4 კოლდინგების('000) 5 გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ფართობი ერთ კოლდინგზე(ჰა) 6. შუა პროდუქცია (მლნ.ეკო) 7.შპკ-ში სოფლის მეურნეობის % 8.საკვების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის % მილიან იმპორტში. 9. საკვებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის% მილიან ექსპორტში. 10. საკვების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარე ვაჭრობის ბალანსი (მლნ.ეკო) 11. საკვებზე, სამეცხვებზე და თამბაქოს ნაწარმზე გაწეული ხარჯების % მომხმარებლის მილიან დანახარჯებში.

ა) 1995 ა) წერი ქვეყნისათვის შიდა და გარე ვაჭრობა, ევროკავშირის გარე ვაჭრობა კ)დამატებითი სტრატეგიული ხარჯები ევროკავშირის მასშტაბით.
წყარო: ევროკომისია

ერთად ეს მექანიზმები მოიცავენ ევროპის სასოფლო-სამეურნეო წარმოების 94%-ს. დანარჩენი ნაწილი კი თავისუფალი საბაზრო ოპერაციების მოქმედების არეშია.

1. პროდუქციის დაახლოებით 70% (მათ შორის ხორბალი, ქერი, ჭვავი, სიმინდი, ბრინჯი, შაქარი, რძის ნაწარმი, ძროხისა და ცხვრის ხორცი) სარგებლობს მხარდამჭერი ფასების სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს ფასის და რეალიზაციის მუდმივ ან პირობით გარანტიას. როდესაც საბაზრო ფასები ეცემა გარკვეული დონის ქვემოთ და სრულდება სხვა პირობები, ინტერვენციის ორგანოები შეისყიდის ყველა სახის შემოთავაზებულ პროდუქციას, ინახავს მას და ახდენს გაყიდვას კავშირის წესების თანახმად. ბაზრის ხელშეწყობა აგრეთვე ხდება უფრო მოქნილი საშუალებითაც, როგორცაა, მაგალითად, დახმარება ღორის ხორცის შენახვაში, სუბსიდიები სუფრის ღვინის დისტილირებისათვის, დახმარებები მწარმოებლებისათვის ჭარბი ხილისა და ბოსტნეულის შესასყიდად.

2. პროდუქციის 21%-ის (სხვა მარცვლეული, სამარკო ღვინოები, ხილისა და ბოსტნეულის ზოგიერთი სახეობა, ღორის ხორცი, კვერცხი და ფრინველი) დაცვა ხდება მხოლოდ კავშირის გარედან იაფი იმპორტის შემაფერხებელი ზომების მიღებით.

3. პირდაპირი სახის სუბსიდიები ვრცელდება სხვა პროდუქტების უმრავლესობაზე (ხორბლის ფქვილი, ზეთუნის ზეთი, ზეთოვანი კულტურები და თამბაქო) ძირითადად კავშირის გარედან იმპორტირებული საქონლის შემთხვევაში მომხმარებლისათვის შენარჩუნებულია დაბალი ფასები, მწარმოებლისათვის კი გარანტირებულია მინიმალური შემოსავალი. ზეთოვანი კულტურების შემთხვევაში, რომელზედაც დაწესებულია სხვადასხვა საიმპორტო ბეგარა, დეფიციტის გადასახადი ათანასწორებს სხვაობას მსოფლიო საბაზრო ფასსა და მწარმოებლისათვის გარანტირებულ ფასს შორის..

4. პროდუქციის 1%-ზე ნაკლებ რაოდენობაზე გათვალისწინებულია თანაბარი დახმარება დარგული პექტრების ან წარმოებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით (ბამბა, სელი, კანაფი, სვია, აბრეშუმი და დეჰიდრირებული ფურაჟი).

საკ-ის საკამათო ელემენტები

გარანტირებული ფასების სისტემა. იგი წარმოადგენს საკ-ის ბირთვს. ყოველწლიურად ფასებს ადგენენ ევროკავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრები, რომლებიც თავის მხრივ განიცდიან ზეწოლას საკუთარი სასოფლო გაერთიანებებისაგან, რომელთაც სურთ შეძლებისდაგვარად მაღალი ფასების დაწესება. ამის შედეგს წარმოადგენს ჭარბი წარმოების მუდმივი სტიმული და მასთან დროდადრო ამა თუ იმ პროდუქციის ჭარბი რაოდენობის დაგროვება („კარაქის მთები“, „ლვინის ტბები“), რომლის შენახვისა და ლიკვიდაციის ხარჯებიც დამატებით ტვირთად აწევს ფონდს. ამ მხრივ ყველაზე მეტი დამნაშავენი არიან რძის მწარმოებელი ფერმერები, რომლის სიჭარბემაც 1980 წელს შთანთქა საგარანტიო ფონდის 43%. მიუხედავად იმისა, რომ რძის პროდუქტები შეადგენენ მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 20%-ს. მარცვლეულმა (15.8%) და შაქარმა ასევე შთანთქა ფონდის სათანადოზე მეტი მოცულობა. მას შემდეგ ამ პროდუქციაზე კონტროლი გაძლიერდა წლიური ფასების ფიქსირებისას და 1997 წლისათვის რძის პროდუქტების წილი შემცირდა 8.9%-მდე, ხოლო შაქრის 4.5%-მდე (იხ. ცხრილი №16). მარცვლეულზე გაწული ხარჯების მკვეთრი ზრდა (39.6%-მდე) განაპირობა დროებითმა საკომპენსაციო ანგარიშსწორებამ იმ ფერმერებთან, რომლებმაც შეწყვიტეს წარმოება ან წარმოებიდან ამოიღეს ნაყოფიერი მიწა. მარცვლეულზე საგარანტიო გადასახადების ნორმა დაღმავლობას განიცდის და აისახება მომავალი წლების სტატისტიკაზე.

ცხრილი №16

ქსმმპზ გარანტიის განაწილება პროდუქტების ჯგუფებზე
1997 (მთლიანის %)

სახნავ - სათესის მოსავალი	39,6
ძროხის, ცხერის, თხის და ღორის ხორცი	23,5
ხილი და ბოსტნეული, ღვინო, თამბაქო	8,7
რძე და რძის პროდუქტები	8,9
შაქარი	4,5
ზეითუნის ზეთი	5,3
სხვა სექტორები	4,4
სხვა ხარჯები	5,1

წყარო: ევროკომისია.

ცხრილი №17

ქსმმპზ-ს გარანტიების ხარჯი 1973-99 (მლნ.ეკიუ)

1973	3928
1977	6830
1980	11315
1985	19744
1989	25873
1990	26522
1994	32970
1995	34502
1996	39108
1997	40423
1998	40437*
1999	40440*

ა) ასიგნება

წყარო: ევროკომისია

საექსპორტო სუბსიდირები. მეორე ძვირადღირებული და საკმაოდ ელემენტი სპპ-ში არის საექსპორტო სუბსიდირების გაცემა (ცნობილი როგორც „რესტიტუცია“ ან ანაზღაურება) იმისათვის, რომ ევროპულ საქონელს შეეძლოს კონკურენციის გაწევა მსოფლიოს ბაზრებზე. ექსპორტიორებს ეძლევათ იმ სხვაობის კომპენსაცია, რომელიც არსებობს მათ მიერ კავშირის შიგნით შესყიდულ პროდუქციის ფასსა და იმ უფრო დაბალ ფასს შორის, რომლითაც მათ უწევთ საქონლის გაყიდვა მსოფლიო ბაზარზე. 1986 წელს ექსპორტის კომპენსაციების თანხამ 8600 მლნ.ეკიუ შეადგინა, ანუ საგარანტიო ფონდის მთლიანი ხარჯის 40%, თუმცა 1994 წლისათვის ეს პროპორცია ერთ მეოთხედამდე შემცირდა.

დემინგის ამ სახემ დიდი პროტესტი გამოიწვია აშშ-სა და სხვა კონკურენტი ექსპორტიორების მხრიდან, როგორიცაა, მაგალითად, არგენტინა, ავსტრალია და ახალი ზელანდია. ამასთან არსებობს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ სუბსიდირებული ვაჭრობა და ევროკავშირის მიერ უღარიბესი განვითარებადი ქვეყნებისათვის საკვების სახით გაწეული დახმარებაც კი აფერხებს ამ ქვეყნის საკუთარი სოფლის მეურნეობის განვითარებას.

საბიუჯეტო ზეწოლამ...

კომისია უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში მკაფიოდ აცნობიერებდა სოფლის მეურნეობის ხარჯების შეკვეცის აუცილებლობას, რომელიც გაერთიანების მთლიანი რესურსების მოცულობაზე გაცილებით სწრაფი წლიური ტემპით იზრდებოდა. იგი ემხრობოდა ტაქტიკას, რომლის თანახმადაც, ფერმერები უნდა აქედლებინათ თავადვე ანაზღაურებინათ საკუთარი არასასურველი პროდუქცია მასზე დაკისრებული გადასახადების სახით (განსაკუთრებით ეს ეხებოდა რძეს). თავდაპირველად კომისიის მცდელობამ დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია სოფლის მეურნეობის მინისტრების მხრიდან. მაგრამ ერთი მხრივ ევროგაერთიანების საბიუჯეტო კრიზისმა, ხოლო მეორე მხრივ რამდენიმე წვერი სახელმწიფოს, განსაკუთრებით კი, გაერთიანებული სამეფოს განზრახვამ მოეხდინა მთლიანი ხარჯების შეკვეცა განაპირობა 1984 წლის ივლისში ფონტენბლოს სამიტზე გადაწყვეტილების მიღება, რომლის თანახმადაც სოფლის მეურნეობის ხარჯები უნდა გაზრდილიყო საერთო ბიუჯეტზე დაბალი ტემპით. ამ გადაწყვეტილების პრაქტიკაში განხორციელება შეუძლებელი გახდა 1986-87 წლებში დოლარის

კურსის მკვეთრმა დაცემამ, რამაც ავტომატურად გაზარდა ხარჯები საექსპორტო კომპენსაციაზე (გამოთვლების თანახმად დოლარის კურსის 1%-ით ვარდნა გაერთიანების ბიუჯეტს 150 მლნ. ეკიუ უჯდებოდა).

...განაპირობა გარკვეული მოდიფიკაცია

გარდა საბიუჯეტო ზეწოლისა, ისედაც ცხადი იყო, რომ საპასუხაო მოდიფიკაციას საჭიროებდა. მან გამოიწვია მრავალი სახეობის პროდუქციის სტრუქტურული სიჭარბე და ახლა საჭირო იყო მკვეთრი ცვლილებების შეტანა, რათა მომხდარიყო პროდუქციის საბაზრო მოთხოვნილებისადმი შესაბამისობაში მოყვანა. თეორიულად ცვლილებების შეტანისას ყურადღება განსაკუთრებით უნდა გამახვილებულიყო თითქმის წამგებიან წარმოების გაუქმებაზე, უნდა მომხდარიყო მეტი რესურსების კონცენტრაცია სმმშპ მართვის სექტორში და შედარებით უნაყოფო მიწების დიდი ტერიტორიების წარმოებიდან ამოღება. სამწუხაროდ, 1973 წლიდან დაწყებული კრიზისი ნიშნავდა, რომ ხალხი, რომელიც შეწყვეტდა მიწაზე მუშაობას, ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი სხვა სამუშაო ადგილებით, ასე რომ, ეს პროცესი განზრახ შეყოვნდა, მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაო ძალები კლებულობდა წელიწადში დაახლოებით 2,5%-ით.

გარანტირებული ფასების სისტემით უზრუნველყოფილი შეუზღუდავი სუბსიდირება გარკვეულად შემცირდა საგარანტიო ლიმიტებისა და ზოგიერთ პროდუქტზე თანაპასუხისმგებლობის გადასახადების შემოღებით. ეს განსაკუთრებით ეხება 1986 წლიდან შემოღებულ რძის კვოტას. 1987 წლის აგვისტოში კომისიამ შეიმუშავა წინადადებები ყველა პროდუქტზე მასტაბილიზებული სისტემის დაწესების შესახებ. მას უნდა ავტომატურად შეეკავა ფასების ხელშეწყობა შემოსავლის ფიქსირებული ზღურის გადაჭარბების შემთხვევაში. საერთო საბიუჯეტო რეფორმის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენდა ამგვარი სტაბილიზატორების დაწესება მარცვლეულზე და მთელ რიგ სხვა პროდუქტზე, რის შესახებაც გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1988 წლის თებერვალში ბრიუსელის სამიტზე. შემოღებულ იქნა, აგრეთვე, ახალი წესები, რომლის ძალითაც ხდებოდა სოფლის მეურნეობის ხარჯების შეზღუდვა, რათა მათ წლიურ ზრდას არ გადაეჭარბებინა მშპ-ის ზრდის 74%-სათვის.

მთავარ მიზანს წარმოადგენდა საპ-ზე ევროგაერთიანების

ხარჯების პროგრესული შემცირება

...თუმცა გაცილებით ძირეული რეფორმა 1990-იან წლებში გატარდა

1990-91 წლებში ევროგაერთიანების აგრარული ბიუჯეტი ახალი ზეწოლის ქვეშ მოექცა, რაც გარკვეულწილად განაპირობა საერთო აგრარულ პოლიტიკაში აღმოსავლეთ გერმანიის ფერმების ჩართვის ხარჯებმა. ამას დაერთო სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიმწოდებელი სხვა ქვეყნების მოთხოვნა ევროგაერთიანების მიერ მისი სუბსიდიების ყველა პროგრამის მკვეთრი შეკვეცისა. ეს მოთხოვნები წარმოჩნდა 1990 წლის დეკემბერში ბრიუსელში გამართულ GATT-ის სავაჭრო მოლაპარაკებების ურუგვაის რაუნდის დასკვნით ეტაპზე. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმწოდებელმა ქვეყნებმა აშშ-ს მეთაურობით, ევროგაერთიანებისაგან მოითხოვეს სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის 75%-ით შეკვეცა სამივე სფეროში. ესენია: შიდა სუბსიდიები, ბაზარზე შეღწევა და ექსპორტის კონკურენცია. ერთადერთი, რისი შემოთავაზებაც ევროგაერთიანებას შეეძლო წევრი ქვეყნების სოფლის მეურნეობის მინისტრების ხანგრძლივი კამათის შემდეგ, იყო 1986 წლიდან ათი წლის განმავლობაში ხელშეწყობის 30%-ით შეკვეცა. სწორედ ეს ჩიხი გახდა GATT-ის მოლაპარაკებების ჩაშლის ძირითადი მიზეზი, რომლის განახლებაც დიდი ძალისხმევის ფასად მხოლოდ 1991 წლის ზაფხულში მოხერხდა.

ამასობაში ევროკომისიამ შემოიტანა წინადადებები 1991-92 წლებისათვის სასოფლო-სამეურნეო ფასების შესახებ, რომლებმაც შეძლეს ბიუჯეტის ფარგლებში ჩატევა ფასების გაყინვითა და კვოტის შეკვეცით. ამის შემდგომ სოფლის მეურნეობის კომისარმა, რეი მაკშერიმ წამოაყენა მკაცრი წინადადებები სპაპ-ის ძირეული რეფორმების შესახებ, რომლებიც მოახდენდნენ ფასების გარანტიების ჩანაცვლებას ნაკლებად წარმატებული ფერმერებისათვის პირდაპირი საშემოსავლო დახმარების გაცემით.

ეს როგორც იმედოვნებდნენ არამარტო შეკვეცდა ევროგაერთიანების ხარჯებს მომავალში, არამედ ხელს შეუწყობდა ევროგაერთიანებისა და მსოფლიო ფასებს შორის არსებული სხვაობის შემცირებას. ამასთან იგი გააადვილებდა შეთანხმების მიღწევას GATT-ის მოლაპარაკებების, ურუგვაის რაუნდის, სოფლის მეურნეობის სექტორში. მაკშერიმ წინადადებებმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, ნაწილობრივ გაერთიანებული სამეფოს პროტესტის გამო, თითქოს

იგი ხელყოფდა მსხვილი, უფრო უნარიანი ფერმერების უფლებებს, ისინი საბოლოოდ მიღებულ იქნა 1992 წლის მაისში, პაკეტის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა სამი წლის მანძილზე მარცვლეულის ფასების 29%-ით შემცირება, რაც შინაური ცხოველების საკვებს გაიაფებდა. ეს კი, თავის მხრივ 15%-ით დაწვედა ფასებს ძროხის ხორცზე, 20%-ით ღორისა და ფრინველის ხორცზე, 7-8%-ით - კარაქზე და დაახლოებით 3%-ით - პურზე.

ფერმერებს აუნაზღაურდებოდათ ზარალი პირდაპირი საშემოსავლო ანგარიშსწორებით, რაც თავის მხრივ დამოკიდებული იქნებოდა ფერმერთა მიერ ნაყოფიერი მიწის 15%-ის წარმოებიდან ამოღებაზე. ევროპაში არსებულ ჭარბი წარმოების მკვეთრი ვარდნის მიზნით. მაკშერის საწყისი გეგმა ითვალისწინებდა ამგვარ ანგარიშსწორებას მხოლოდ მცირე ფერმერებზე, თუმცა მოდიფიკაციის შედეგად იგი ხელმისაწვდომი გახდა ყველა ფერმერისათვის, მიუხედავად მათი სავარგულების ფართობისა. ფასების ამგვარ შეკვეცას უნდა გამოეწვია ევროკავშირის გარე ფასებსა და მსოფლიო საბაზრო ფასებს შორის არსებული სხვაობის არსებითი შემცირება. ეს იმას ნიშნავდა, რომ 1997 წლისათვის ევროკავშირის მიერ ჭარბი პროდუქციის დემინგის მიზნით გამოყენებული ექსპორტის სუბსიდიები მკვეთრად შემცირდა. რასაც უნდა გაექარწყლებინა აშშ-სა და Cairns ჯგუფის 14 ქვეყნის (მათ შორის არგენტინის, ავსტრალიისა და კანადის) უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ ევროკავშირი მათ ბაზარს პარავდა. რეფორმის ახალმა პროგრამამ 1992 წლის ნოემბერში ბლერ ჰუსის ხელშეკრულების ძალით, GATT-ის მსოფლიო ვაჭრობის მოლაპარაკებების ურუგვაის რაუნდზე შესაძლებელი გახდა ევროკავშირისა და აშშ-ს მეთაურთა შეთანხმება, სოფლის მეურნეობის რთული სექტორის პრობლემის ერთობლივ მიდგომაზე. 1993 წლის მარტში არჩეული საფრანგეთის ახალი მთავრობის მხრიდან გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად შეთანხმება შედგა და 1993 წლის დეკემბერში რაუნდი წარმატებით დასრულდა.

საბპ-ის შემდგომი მოდიფიკაცია განაპირობა 1994 წლის მარტში დასრულებულმა მოლაპარაკებებმა ავსტრიის, ფინეთის და შვედეთის გაწევრიანებაზე. ეს სამი ქვეყანა იმაზე მეტ ფინანსურ დახმარებას უწევდა თავიანთ ფერმერებს, ვიდრე ამას საბპ ითვალისწინებდა. ამართლებდნენ რა თავიანთ ქმედებებს იმ მკაცრი კლიმატური პირობებით (არქტიკული ან ალპური), რომელშიც უხდებოდათ

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. ევროკავშირი დაუნებით მოითხოვდა ამ სამ ქვეყანაში არსებული ფასების გათანაბრებას ევროკავშირის ფასებთან, თუმცა დაუშვა პირდაპირი კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობა, იმ პირობით, თუ ეს მოხდებოდა კონკრეტული ეროვნული მთავრობის ხარჯზე. ევროკავშირის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპაში გაფართოების მოლოდინში კომისია სპკ-ის უფრო რადიკალურ ცვლილებებს ვარაუდობს. 1997 წლის ივლისში გამოქვეყნებული „პროგრამა 2000“-ში მან აღნიშნა, რომ მოსალოდნელია სასოფლო-სამეურნეო მიწის 50%-ით ზრდა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაო ძალის გაორმაგება.

ცხრილი 18 სპკ-ის ხარჯები 2000-06. მლნ. ევრო
1999 წლის ფასები.

მთლიანი მომავალი სპკ	მათ შორის ბაზრები	სოფლის განვითარება	
2000	40.920	36620	4300
2001	42800	38480	4320
2002	43900	39570	4330
2003	43770	39430	4340
2004	42760	3841-	4350
2005	41930	37570	4360
2006	41660	37290	4370
სულ	297740	267370	30370

წყარო. ევროკომისია

მოუხედავად ამისა, გადაწყდა შენარჩუნებულიყო ხარჯების ზრდის არსებული წლიური ლიმიტი - მმპ-ს ზრდის 74%. ამას დაემატებოდა ევროკავშირისა და მსოფლიო ფასებს შორის არსებული სხვაობის

შემცირების ხელახალი მცდელობა. მოსალოდნელი იყო 2000 წელს მარცვლეულის საინტერვენციო ფასების 20%-ით, 2000-02 წლებში ძროხის ხორცის ფასების გარანტიის თითქმის 30%-ით, და რძის პროდუქტების სექტორში 2006 წლისათვის ფასების ხელშეწყობის 10%-ით შეკვეცა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოდა სოფლის განვითარებასა და ფერმის მშრომელთათვის ალტერნატიული სამუშაო ადგილების შექმნას.

გაფართოებისათვის მზადება

1997 წლის მაისში შემოღებული „პროგრამა 2000“ -ის შესახებ კომისიის მოხსენების ერთ-ერთი მიზანი იყო შეიდი წლის პერიოდით - 2000-06 - სოფლის მეურნეობის ხარჯებზე ზედა ზღვარის დაწესება. უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა მისი გაყინვა 1999 წლის დონეზე, ანუ ევრო 40,5 მილიარდზე. ამ წინადადებას დიდი წინააღმდეგობა გაუწია რამდენიმე წევრმა ქვეყანამ და 1999 წლის მარტში ბერლინის სამიტზე მიღწეულ იქნა შეთანხმება მომხდარიყო სპ3- ხარჯების სტაბილიზება ოდნავ მაღალ დონეზე - საშუალოდ ევრო 42,5 მილიარდზე, შეიდი წლის მანძილზე (იხ. ცხრილი 18). სამიტზე დაიდო შეთანხმება „სმსგსდ“ პროგრამის (სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სპეციალური დახმარების პროგრამა (SAPARD) შექმნაზე, რომელიც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის აპლიკანტ ქვეყნებს დაეხმარებოდა ევროკავშირში გაწევრიანებისათვის მათი სოფლის მეურნეობის სექტორის მომზადებაში. ამ მიზნით გადაწყდა წლიურად 520 მლნ. ევრო-ს გამოყოფა. დეტალები ნაჩვენებია ცხრილში №19.

გარკვეულ პირობებში სმსგსდ-ს შეუძლია შემდგომი ოპერაციების დაფინანსება:

- სასოფლო-სამეურნეო პოლდინგებში ინვესტიციების ჩადება.
- სოფლის მეურნეობის და თევზჭერის პროდუქციის წარმოებისა და მარკეტინგის მეთოდების გაუმჯობესება.
- ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის კონტროლი, საკვების ხარისხი და მომხმარებელთა დაცვა.
- წარმოების იმ მეთოდების მხარდაჭერა, რომლებიც იცავენ გარემოსა და სასოფლო მემკვიდრეობას.
- ეკონომიკურ საქმიანობაში მრავალფეროვნების შეტანა და

შემოსავლის ალტერნატიული წყაროების განვითარება.

- სასოფლო-სამეურნეო შელაგობების და მენეჯმენტის მომსახურება.
- მწარმოებელთა ჯგუფების შექმნა.
- სოფლების განახლება და სასოფლო მემკვიდრეობის დაცვა.
- მიწის გაუმჯობესება და გადანაწილება.
- კადასტრის მოდერნიზაცია.
- პროფესიული მომზადება.
- სასოფლო ზონებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
- სოფლის მეურნეობისათვის საჭირო წყლის რესურსების მართვა.
- სატყეო და სოფლის ტყიანი ფართობების პროექტები, კერძო სატყეო პოლდინგების ინვესტირება, სატყეო მეურნეობის პროდუქციის დამუშავება და მარკეტინგი.
- ტექნიკური მხარდაჭერა, (სწავლა, მონიტორინგი, ინფორმაცია, სარეკლამო კამპანიები).

ცხრილი № 19 SAPARD: ბიუჯეტის წლიური განაწილება
(მლნ.ევრო. 1999 წლის ფასები)

ბულგარეთი	52,124
ჩეხეთის რესპუბლიკა	22063
ესტონეთი	12137
უნგრეთი	38054
ლიტვა	38054
ლატვია	29829
პოლონეთი	21848
რუმინეთი	168683
სლოვენია	150636
სლოვაკია	6337
სულ	18289
	520000

სკპ კრიზისი

სერიოზული დისკუტი წარმოიშვა 1996 წლის მარტში, როდესაც კომისიამ აკრძალა გაერთიანებული სამეფოდან ევროკავშირის ქვეყნებში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა სახელმწიფოში, მსხვილ-

ფეხა პირუტყვის, ძროხის, ხბოს ზორცისა და საქონლის ნებისმიერი პროდუქტის გატანა. ეს მოჰყვა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის განცხადებას საქონლის პარაზიტული ენცეფალოპათიის (სპმ) და კროიცფელდ-იაკობის ავადმყოფობით ადამიანების დაავადების რამდენიმე შემთხვევას შორის შესაძლებელი კავშირის თაობაზე. გაერთიანებულმა სამეფომ ამაოდ სცადა გადაწყვეტილების ევროპის სასამართლოში გაპროტესტება და საპასუხოდ ორი თვის განმავლობაში ახდენდა ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების პროცესის ბლოკირებას, სანამ 1996 წლის ივნისში ფლორენციაში არ იქნა მიღწეული შეთანხმება ექსპორტის აკრძალვის მოხსნის შესახებ, იმ პირობით, თუ გაერთიანებული სამეფო დააკმაყოფილებდა ევროკავშირის ვეტერინარ-ექსპერტების მიერ წაყენებულ მკაცრ პირობებს და საქონლის სავალდებულო განადგურების პოლიტიკისათვის საჭირო ფინანსების უმეტეს ნაწილს სპკ-საგან მიიღებდა. 1998 წლის შუა პერიოდში გაერთიანებულმა სამეფომ წარმატებით შეასრულა ეს პირობები და საქონლის ზორცის ექსპორტის აკრძალვა ჩრდილოეთ ირლანდიიდან მოიხსნა, თუმცა აკრძალვის საყოველთაო მოხსნა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ განხორციელდა. მიუხედავად ამისა 1999 წლის ბოლოს საფრანგეთსა და გერმანიაში კვლავაც მოქმედებდა აკრძალვა, თუმცა კომისია არწმუნებდა მათ, რომ ამის მიზეზი არ არსებობდა.

ნაწილობრივ იმის გამო, რომ ევროკავშირი უკეთ ყოფილიყო მომზადებული სპმ-ს მსგავს კრიზისთან გასამკლავებლად და მომხმარებელთათვის უკეთესი დაცვა უზრუნველყო, სოფლის მეურნეობის კომისარმა ფრანც ფიშერმა 1996 წლის დეკემბერს შემოიტანა წინადადება ევროკავშირის კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების სააგენტოს დაარსებისა, მსგავსად აშშ-ის კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების სამმართველოსი. ეს წინადადება უეჭველად იქნება წვერი ქვეყნების მიერ სერიოზული განხილვის საგანი, მაგრამ თვით მისი მიღების შემთხვევაშიც კი ამგვარი სააგენტოს დაარსებას რამდენიმე წელი დასჭირდება.

21 კვლევა და ახალი დარგები

ევროკავშირის სამრეწველო პოლიტიკის ორ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს: ტრადიციული, დაღმავლობის ტენდენციის მქონე დარგების, როგორცაა: საფეიქრო მრეწველობა, გემთმშენებლობა და მეტალურგია (იხ. თავი 25) რესტრუქტურისაციისათვის ხელშეწყობა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გარდუვალი მტკივნეული პროცესები და განადგურება და ახალი ტექნოლოგიების გავრცელებისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა, რაც მომავალი ეკონომიკური ზრდის საფუძველს წარმოადგენს.

1980-იან წლებში დაიწყო ევროკავშირის ინდუსტრიული კვლევა.

მართალია გაერთიანება მრავალი წლის მანძილზე სერიოზულად იყო დაკავებული ბირთვული ინდუსტრიის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევით, მის მიერ დარგობრივი კვლევა დაიწყო მხოლოდ 1980-იანი წლების დასაწყისიდან, გაცნობიერებულ იქნა რა, რომ ევროგაერთიანება სერიოზულად ჩამორჩებოდა აშშ-სა და იაპონიას და რომ მას დაჩაგვრის საფრთხეს უქმნიდა სამხრეთ კორეის, სინგაპურისა და ტაივანის მძლავრად აღმავალი ეკონომიკური სისტემები. ევროკომისიის მოხსენების თანახმად ევროკავშირის მოთხოვნილებების 50%-ს მიკროპროცესორებზე, 75%-ვიდეომაგნიტოფონებზე და 80%-ს მიკროკომპიუტერებზე იმპორტი აკმაყოფილებს.

ევროპის თანამშრომლობამ უკვე გამოიღო ნაყოფი რამდენიმე სფეროში, სადაც წარმატების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა დიდი კაპიტალდაბანდებები და მსოფლიო ბაზრის დიდი ნაწილის ხელში ჩაგდება. ამის მაგალითებია Airbus და Ariane აერონავტიკის სექტორში და ევროგაერთიანების მართვის ქვეშ მყოფი ძლიერი ექსპერიმენტული კვლევითი ინსტიტუტი JET ბირთვული ინტეგრაციის სექტორში, რომლებმაც მსბ-სგან მიიღეს სესხები (იხ. გვ.246-247). თუმცა კომისია ძალზე შემოფოთებული იყო კვლევის ხარჯების უყარათო გაორმაგებით, რომლის მაჩვენებლები ევროკავშირში უტოლდებოდა აშშ-სა და იაპონიის მაჩვენებლებს ერთად აღებული, მაგრამ, რომელიც მისი ფრაგმენტული ხასიათის გამო ვერ იძლეოდა მსგავს შედეგებს.

კომისიის მიზანს წარმოადგენდა ევროპის მასშტაბით თანამშრომ-

ლობის სტიმულაცია ბიზნესსა, ლაბორატორიებსა და უნივერსიტეტებს შორის, რათა ხელი შეეწყოს არსებული და პოტენციური ბაზრების მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი ახალი პროდუქციისა და ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისათვის. კერძოდ, მისი სტიმულირება იყო აუცილებელად იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც ერთობლივი ქმედების განხორციელება ტექნოლოგიური განვითარების წინა-საკონკურენტო ეტაპზე. ის კი, თუ როგორ წარმართა წარმოების და მარკეტინგის ეტაპი და ესარგებლა შიდა ბაზრის ფორმების დასრულებით შექმნილი დინამიური და კონკრეტული კომერციული გარემოთი, თავად ბიზნესზე იყო დამოკიდებული.

პროგნოზირება და შეფასება მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში Forecasting and assessment in science and technology (FAST)

იმ არეების აღმოჩენის ადრეულ ინიციატივას, რომელშიც გაერთიანების ძალისხმევა ყველაზე გონივრული იქნებოდა, წარმოადგენდა 1978 წელს FAST პროგრამის შექმნა. საკმაოდ მცირე - 5,6 მლნ. ეკიუს ოდენობის ბიუჯეტის (ასოცირებული ორგანოების 1,2მლნ. ეკიუს ოდენობის შენატანების ჩათვლით) მქონე მეტად ძლიერმა ჯგუფმა მოახდინა მასობრივი მრავალდარგობრივი, როგორც ტექნიკური, ისე სოციალ-ეკონომიკური კვლევების ორგანიზება და კოორდინირება, რომელიც მოიცავდა 36 საკითხსა და გაერთიანების ქვეყნებში არსებულ 54 კვლევით ცენტრს. FAST ჯგუფმა დეტალურად გამოიკვლია ის სამი სფერო, რომელშიც ევროგაერთიანების ჩარევა შეიძლება გადამწყვეტი გამოდგეს:

- საინფორმაციო ტექნოლოგია
- ბიოტექნოლოგია
- შრომისა და დასაქმების გარდაქმნა

1983 წლის ივნისში დაიწყო მეორე ოთხწლიანი FAST პროგრამა, რომელიც დაჯდა 10,5 მლნ.ეკიუ (ასოცირებული ორგანოებისაგან მიღებული 2 მლნ.ეკიუს ჩათვლით). იგი დაკომპლექტდა 12 მკვლევართ, რომლებსაც ეხმარებოდა წევრი ქვეყნიებიდან 1-2 წლით წარგზავნილი 10 კაციანი ჯგუფი. FAST II ყურადღებას ამახვილებდა

კვლევის ოთხ ძირითად საკითხზე:

- ტექნოლოგიას, შრომასა და დასაქმებას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება.
- განახლებადი ბუნებრივი რესურსების ერთიანი სისტემის განვითარება.
- კომუნიკაციის და საკვების სექტორებში ახალი დარგობრივი სისტემების გამოძლევა.
- მომსახურების გარდაქმნა და ტექნოლოგიური ცვლილებები.

FAST პროგრამის აღმოჩენებმა სტიმული შემატა კომისიას, რომელმაც მინისტრთა საბჭოს წარუდგინა კვლევასა და განვითარებაში ტრანსნაციონალური თანამშრომლობის სტიმულირების რამდენიმე პროგრამა.

ევროპის საინფორმაციო ტექნოლოგიის სტრატეგიული პროგრამა. European strategic programme for information technology (ESPRIT)

ESPRIT წარმოადგენდა ხუთწლიან პროგრამას (1984-88), რომელსაც ხელი უნდა შეეწყო საინფორმაციო ტექნოლოგიის სფეროში უცხოური კონკურენციის საპასუხო ქმედებებისათვის. გაერთიანებამ დააფინანსა წინა საკონკურენტო კვლევისა და განვითარების სამუშაოების 50%, რომლებიც ერთობლივად ჩატარდა სულ მცირე, ორი წვერი ქვეყნის საწარმოების, უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების მიერ. სამუშაოები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- მაღალი ინტეგრაციის სქემებზე მოწინავე მიკროელექტრონიკის განვითარება.
- კომპიუტერული პროგრამები.
- ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე მეთოდები.
- ოფისების კომპიუტერიზაცია.
- პროდუქციის კომპიუტერული კონტროლის ტექნიკა.

პროგრამას ახლდა „ინფრასტრუქტურის“ მხარეც, რომელიც უზრუნველყოფდა მის ეფექტურ გამოყენებას მონაწილეთა შორის ინფორმაციის გაცვლის სისტემის მეშვეობით, ხელს უწყობდა

მუშაობის კოორდინაციას, სტანდარტთან დაკავშირებული პრობლემების განხილვას და კვლევების შედეგების გავრცელებას ESPRIT I პროგრამის დასრულებისათვის - 1988 წლისთვის - განხორციელდა 227 პროექტი, რომელშიც მონაწილეობდა 536 კომპანია, უნივერსიტეტი და კვლევითი ინსტიტუტი და 3000 სრული განაკვეთით მომუშავე მკვლევარი. მონაწილე 327 კომპანიიდან თითქმის 45% წარმოადგენდა 500-ზე ნაკლები თანამშრომლით დაკომპლექტებულ ფირმებს (ხუთიდან ორი ფირმა დაკომპლექტებული იყო 50-ზე ნაკლები თანამშრომლით). ESPRIT I პროგრამის მთლიანი ღირებულება შეადგენდა 1,5 მილიარდ ეკიუს, რომლიდანაც 750 მლნ. ეკიუ დაფარა ევროგაერთიანებამ.

ESPRIT II-ის (1989-93 წწ.), ბიუჯეტი გაორმაგდა (3,2 მლრდ. ეკიუ) და დაფინანსება ხდებოდა 50:50 პრინციპით გაერთიანებისა და პროგრამის მონაწილეების მიერ. ESPRIT-ის სტრატეგია შემდგომ ხუთ წელიწადში კონცენტრირებული იყო სამ ტექნოლოგიურ არეზე

- მიკრო-ელექტრონიკა და პერიფერიული ტექნოლოგიები.
- ინფორმაციის დამუშავებისათვის საჭირო ტექნოლოგიებისა და ხელსაწყოების შექმნა.

საინფორმაციო ტექნოლოგიის გამოყენებისა და ინტეგრაციის სიმძლავრეების გაზრდა, უმთავრესად მისი გამოყენების არის გაფართოების თვალსაზრისით. შემდგომში ESPRIT გახდა ევროკავშირის მეოთხე და მეხუთე კვლევითი პროგრამების (იხ. გვ. 204-205) ნაწილი. ამჟამად მისი მუშაობის სფერო დაყოფილია რვა ნაწილად, და მოიცავს გრძელვადიან გამოკვლევებს კომპიუტერული პროგრამების ტექნოლოგიის, კომპონენტებისა და სუბსისტემების ტექნოლოგიის, მულტიმედიის სისტემების, ღია მიკროპროცესორების სისტემების, კომპიუტერული და ქსელური საქმიანობის გაუმჯობესების, ბიზნეს პროცესების და წარმოების ინტეგრაციის არეებში.

ევროპაში მოწინავე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კვლევა და განვითარება Research and development in advanced communications technologies for Europe (RACE)

RACE-პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ტელეკომუნიკაციის ინდუსტრიაში ევროპის წინა ხაზზე დარჩენას. მის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ფართობოჭკოვან-ოპტიკური ქსელებისათვის საჭირო ტექნოლოგიის შემუშავება, რომელიც ერთდროულად შეძლებს ბგერის, გამოსახულებისა და კომპიუტერიზირებული ინფორმაციის გადაცემას, რაც ახალ გაერთიანებულ ტელესაკომუნიკაციო მომსახურებას მრავალფეროვანს გახდის. RACE-ს საწყის ეტაპზე 44 მლნ. ეკიუ დაიხარჯა, ხოლო პროგრამის მთლიანი ღირებულება (1987-91წწ.) შეადგენდა 1,5 მლრდ. ეკიუს, რომლის ნახევარიც ფინანსდებოდა ევროგაერთიანების ბიუჯეტიდან. 1999 წელს გადაწყდა პროგრამის გაგრძელება 5 წლით, 1995 წლამდე. აქამდე მასში მონაწილეობდა 400-ზე მეტი ორგანიზაცია, როგორც წვერი ქვეყნებიდან, ისე ეთნოპ-ს ხუთ წვერ სახელმწიფოდან. მათ შორის იყო 11 ტელესაკომუნიკაციო ქსელი, 260 ბიზნეს ცენტრი, (მათ შორის 130 მცირე და საშუალო), 85 კვლევითი ცენტრი და უნივერსიტეტი, აგრეთვე 60 სხვადასხვა ორგანო, (მათ შორის მომხმარებელთა ჯგუფები). 1995 წლიდან RACE პროგრამა შეიცვალა მოწინავე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და მომსახურების პროგრამით ACTS (Advanced Communications Technologies and Service Programme), რომელმაც განაგრძო და გააფართოვა ადრე დაწყებული მრავალი პროექტი, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა რა მოწინავე ციფრული სისტემების სტანდარტიზაციას და შეთანხმებული განვითარების დაჩქარებას.

ევროკავშირში ინდუსტრიული ტექნოლოგიების ძირითადი კვლევა Basic research in industrial technologies for Europe (BRITE)

BRITE იყო ოთხწლიანი პროგრამა (1985-88) ორგანიზებული და დაფინანსებული ESPRIT-ის მოდელის მიხედვით, რომლის მიზანიც იყო „ტრადიციულ“ სექტორებში, რომლებიც ჯერ კიდევ

მოიცავდა სამრეწველო დასაქმების სამ მეოთხედს, ახალი ტექნოლოგიების, წარმოების ახალი მეთოდებისა და ახალი პროდუქციის გამოშვებისა და გავრცელებისათვის ხელის შეწყობა. პროგრამა შედგებოდა ორი ნაწილისაგან, რომლებიც შეეხებოდა შემდეგ საკითხებს. ესენია:

- სხვადასხვა დარგებში გამოყენებადი ძირითადი ტექნოლოგიები (აწყობის მეთოდი, პროდუქციის სანდოობის გაუმჯობესება, ცვეთის შემცირება, ახალი კომპიუტერიზებული ტესტირების მეთოდები, მემბრანული და ნაწილაკური ტექნოლოგია და ა.შ.)
- მოქნილი მასალები და პროდუქცია, რომლებიც განსაკუთრებით გამოიყენება საფეიქრო, ტყავისა და საყოფაცხოვრებო საქონლის წარმოებაში.

პროგრამის ღირებულებამ ევროგაერთიანების ბიუჯეტში ოთხი წლის მანძილზე შეადგინა 125 მლნ.ეკიუ. მას მოჰყვა კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მეორე ოთხწლიანი პროგრამა (1989-1992წწ.). პროგრამა BRITE გაერთიანდა ევროკავშირის მეორე ინიციატივასთან - მმმკ (ევროპაში მოწინავე მასალების კვლევა) (EURAM European research on advanced materials) და 1996 წლის ბოლოსათვის ხარჯების განაწილების პრინციპით დაფინანსდა 479 კვლევითი პროექტი. 1997 წლის განმავლობაში დაფინანსდა კიდევ 200 პროექტი.

ბიოტექნოლოგიური კვლევა

ხუთწლიანი ბიოტექნოლოგიური კვლევის პროგრამის (1985-89) მთავარ საგანს წარმოადგენდა ძირითადი სექტორი, რამდენადაც სამრეწველო საქონლის 40%-ს შეადგენს ბიოლოგიური ან ბიოლოგიური წარმოშობის პროდუქცია. მრავალი სიახლეა მოსალოდნელი სოფლის მეურნეობაში, ქიმიურ მრეწველობაში, ფარმაცევტიკასა და გარემოს დაცვის სფეროში. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ბიონფორმატიკა, ბიოლოგიური მასალების შეგროვება, უჯრედებისა და კულტივირებული ცოცხალი ქსოვილების საბაზისო ტექნოლოგია, კვლევისა და დახელოვნებისათვის ხელშეწყობა, ტოქსიკურობის და სხვა რისკების შეფასება, რომლებიც შესაძლოა გამოწვეულ იქნას ბიოტექნოლოგიის განვითარებით.

რებით. პროგრამის საბიუჯეტო ღირებულება შეადგენდა 55 მლნ.ეკიუს.

1990 წელს კომისიამ მიიღო ახალი წინადადება ბიოტექნოლოგიის სფეროში. სპეციფიკური კვლევისა და განვითარების პროგრამის შესახებ, რომელიც დაყოფილია სამ ნაწილად;

- მოლეკულური მეთოდები;
- უჯრედული და ორგანული მეთოდები;
- ეკოლოგია და მოსახლეობის ბიოლოგია.

ხუთწლიანი პროგრამის (1990-94) ღირებულება შეადგენდა 164 მლნ.ეკიუს. ეს ციფრი 552 მლნ.ეკიუმდე გაიზარდა პროგრამის ხუთი წლით გაგრძელების შედეგად, რომელსაც უნდა მოეცვა 1994-1998 წწ. პერიოდი. პროგრამის საგანს წარმოადგენდა უჯრედული სტრუქტურების დანაყოფები, გენომის ანალიზი, მცენარეთა და ცხოველთა ბიოტექნოლოგია, უჯრედული კომუნიკაცია, იმუნოლოგია და ვაქცინოლოგია, სტრუქტურული ბიოლოგია, ნორმატიული კვლევა, ბიოდივერსიფიკაცია და სოციალური თანხმობა, ინფრასტრუქტურები.

პროგრამა EUREKA

ევროგაერთიანების მრავალი ფირმა, უნივერსიტეტი და კვლევითი ინსტიტუტი ასევე სარგებლობს პროგრამით Eureka, მისი ინიციატივა ეკუთვნის ფრანსუა მიტერანს, რომელმაც 1985 წელს ეს პროგრამა დაასახელა პრეზიდენტ რეიგანის ვარსკვლავთა ომების ინიციატივის ალტერნატივად. Eureka არ არის მხოლოდ ევროგაერთიანების პროგრამა და მასში შეუძლიათ მონაწილეობის მიღება დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებსაც, მათ შორის ეთმპა-ს წევრებსაც.

ხუთწლიანი ძირითადი კვლევითი პროგრამები

მიუხედავად მზარდი ძალისხმევისა, ევროკომისია უკმაყოფილო იყო წვერი ქვეყნების დამოკიდებულებით მათი კვლევითი პროგრამების კოორდინაციისადმი. 1986 წელს კომისიის პრეზიდენტმა - ჟაკ დელორმა შეიტანა წინადადება რომ გაერთიანების ბიუჯეტის კვლევაზე განსაზღვრული წილი (მათ შორის ხარჯები ბირთვულ კვლევაზე იხ.გვ.247-248) ორჯერ მეტად გაზრდილიყო, მთლიანი ბიუჯეტის 3%-დან 8%-მდე, საწყისი ეტაპისათვის კომისიამ შეიმუშავა 5 წლიანი მიზნობრივი პროგრამა 1987-91 წლებზე, 7735 მლნ.ეკიუს ოდენობის ბიუჯეტით. მიუხედავად ევროპარლამენტისა და ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოწონებისა, წვერ ქვეყნებს (განსაკუთრებით

გაერთიანებულ სამეფოს) არ სურდათ ამ მასშტაბის ხარჯების გაღება და მხოლოდ 1987 წლის ივლისში მიღებულ იქნა 5396 მლნ. ეკიუმდე შეკვეცილი ბიუჯეტის პროგრამა. 1989 წელს კომისიის მოთხოვნით სამეცნიერო და სამრეწველი წრეებიდან ხუთი ცნობილი წარმომადგენლის მიერ 1987-91 წლის მიზნობრივი პროგრამის შუალედური შეფასების თანახმად, პროგრამა უნდა შეცვლილიყო ხუთწლიანი თანმიმდევრული პროგრამით, რომელიც ყოველწლიურად გადაისინჯებოდა. მოსაზრება მიღებულ იქნა და დამტკიცდა გამართივებული მიზნობრივი პროგრამა 1990-94 წლებზე, 57 მლრდ.ეკიუმდე გაზრდილი ბიუჯეტით.

ცხრილი 20 კვლევის მეოთხე მიზნობრივი პროგრამა 1994-98წწ. (მლნ. ეკიუ)

პირველი ეტაპი (კვლევა, ტექნოლოგიური განვითარების სადემონსტრაციო პროგრამები).	10686
მეორე ეტაპი (მესამე მსოფლიოს ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა)	540
მესამე ეტაპი (შედეგების გავრცელება და ოპტიმიზაცია)	330
მეოთხე ეტაპი (მკვლევართა მობილიზებისა და დახელოვნების სტიმულირება)	744
მაქსიმალური მთლიანი მოცულობა	12300 ¹⁾

¹⁾ შემდგომში გაზრდილი 13100 მლნ.ეკიუმდე
წყარო: მინისტრთა საბჭო

1992 წლის დეკემბერში ედინბურგის სამიტზე ევროსაბჭომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების სფეროში წარმოებული საქმიანობის ფოკუსირება უნდა გაგრძელებულიყო მრავალსექტორული ეფექტის მქონე ფუნდამენტურ წინა საკონკურენტო კვლევაზე. ამავდროულად ევროსაბჭომ შეადგინა 1993-99 წლისათვის ფინანსური პერსპექტივები და წარმოადგინა კვლევაზე გამოყოფილი ევროკავშირის ფინანსების ზოგადი სურათი. შემდეგ კომისიამ შემოიტანა წინადადება

მეოთხე მიზნობრივი პროგრამის (1994-98) შესახებ, რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 13,1 მლრდ. ეკიუს, ბირთვული კვლევის ჩათვლით. თუმცა, 1993 წლის დეკემბერში მინისტრთა საბჭოს მიერ ამ პროგრამის მოწონების მიუხედავად, იგი ევროკავშირის ფონდებიდან მხოლოდ 12,3 მლრდ.ეკიუს გამოყოფაზე დათანხმდა. (იხ. ცხრილი № 20). მაგრამ ავსტრიის, ფინეთის და შვედეთის გაწევრიანების გათვალისწინებით ბიუჯეტი 1996 წლის მანძილზე 800 მლნ.ეკიუთი გაიზარდა და გაუტოლდა თავდაპირველად შემოთავაზებულ 13,1 მლრდ.ეკიუს. 1997 წლის აპრილში კომისიამ შეიტანა წინადადება მეხუთე მიზნობრივი პროგრამის შესახებ, რომელიც მოიცავდა 1998-2002 წლებს. პროგრამის ბიუჯეტი უნდა ყოფილიყო 16,3 მლრდ.ეკიუ, რაც ევროკავშირის მშპ-ის თვალსაზრისით უდრიდა მეოთხე პროგრამის 3%-ით გაზრდას. 1998 წელს დეკემბერში მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა პროგრამა, თუმცა მისი ბიუჯეტი 14,96 მლრდ. ეკიუმდე შემცირდა. პროგრამის მიზანია კვლევის სფეროებს შორის უკეთესი კოორდინაცია. პროგრამა ყურადღების კონცენტრირებას მოახდენს გადამწყვეტი პროექტების მცირე რაოდენობაზე (იხ. ცხრილი № 21), რომლებიც ცხრა მთავარი მიმართულების გარშემო არის თავმოყრილი.

ცხრილი №21 მეხუთე მიზნობრივი კვლევის პროგრამა.
1998-2002 წწ. მლნ. ეკიუ.

ძირითადი ქმედებები და სხვა საქმიანობა	
1. ცხოვრების დონე & სასიცოცხლო რესურსების მართვა;	2.413
2. მომხმარებელთა მიმართ კეთილგანწყობილი ინფორმაციული საზოგადოება;	3,600
3. კონკურენტული და უწყვეტი ზრდა;	2.705
4. ენერგეტიკა, გარემო და უწყვეტი განვითარება;	2,125
5. ევრატიომი: ბირთვული ენერჯია;	979
6. გაერთიანების კვლევების საერთაშორისო როლის განმტკიცება;	475
7. ინოვაციის მხარდაჭერა და მცირე და საშუალო მასშტაბის საწარმოების მონაწილეობის წახალისება;	363
8. ადამიანის კვლევის პოტენციალისა და სოციოლოგიურ-ეკონომიკური ცოდნის ბაზის გაუმჯობესება;	1,280
9. ერთობლივი კვლევითი ცენტრი: პირდაპირი ქმედებები.	1.020
სულ	14,960

განვითარება ტელეკომუნიკაციის სფეროში

სფერო, რომელშიც ევროკავშირი ცდილობს შეასრულოს განსაკუთრებით აქტიური როლი არის ტელეკომუნიკაცია. კომისია არ იშურებს ძალისხმევას წევრ ქვეყნებში საზოგადოებრივი მომარაგების პოლიტიკის საჯაროობისა და ტექნიკური წესების პარმონიზაციის მისაღწევად. თუმცა ჯერჯერობით შედეგები არაერთგვაროვანია. კომისიამ უფრო მეტ წარმატებას მიაღწია ინფრასტრუქტურული პროექტების შემუშავებისა და განვითარების პროგრამების კოორდინაციის სფეროში.

ევროპული ქსელი Diana. 1980 წელს გაერთიანებისა და ეროვნული საფოსტო და სატელეფონო სამმართველოების მიერ შეიქმნა პირველი ევროპული საინფორმაციო ქსელი-Euronet Diana. იგი საშუალებას აძლევს წევრი ქვეყნების მომხმარებლებს მიიღონ კონსულტაცია 600-მდე მონაცემთა ბანკიდან და მონაცემთა ბაზიდან.

Apollo. პროგრამა Apollo შეიქმნა კომისიისა და ევროპის კოსმოსური სააგენტოს მიერ, რათა შესაძლებელი ყოფილიყო თანამშრომლობა სატელიტით მონაცემთა დიდი მოცულობის გადაცემის სფეროში. პროექტი გააადვილებს ექსპერიმენტული აღჭურვილობის განვითარებას და მოახდენს სახმელეთო სადგურებისა და მიძღები ანტენების ევროპული ბაზის შექმნის სტიმულირებას.

Insis და Caddia. ეს ორი პროგრამა შეიქმნა ევროკავშირის ფარგლებში, რათა მომხდარიყო ინფორმაციის გაცვლა გაერთიანებული ქსელის მეშვეობით, რომელიც მოიცავს:

- წერილობითი დოკუმენტების გადაგზავნას.
- ელექტრონულ ფოსტას.
- სტატისტიკური მონაცემების ბაზაში შეღწევას.
- ვიდეო კონფერენციებს.
- ვიდეო ტექსტებს.

კომისიის ძალისხმევა მიმართულია აგრეთვე მეორე თაობის ფიჭური მობილური ტელეფონების, მომსახურების ერთიანი ციფრული ქსელების და საერთაშორისო ფართო საკომუნიკაციო არხების

დაგეგმარების, განვითარებისა და საერთო მიდგომის უზრუნველყოფისაკენ.

22 რეგიონული პოლიტიკა

ევროგაერთიანების რეგიონული პოლიტიკა თავდაპირველად არ ემყარებოდა უშუალოდ რომის ხელშეკრულებას, თუმცა ხელშეკრულების პრეამბულაში ნათქვამია „სხვადასხვა რეგიონებს შორის არსებული სხვადასხვაობისა და ნაკლებად წარმატებული რეგიონების ჩამორჩენილობის შემცირების“ აუცილებლობის შესახებ. საგანგებო ევროპულმა აქტმა რეგიონული პოლიტიკა ჩართო ხელშეკრულებაში და ოფიციალურად ცნო იგი გაერთიანების ეკონომიკური და სოციალური შერწყმის პროცესის გაძლიერების ერთ-ერთ გზად. რეგიონული პოლიტიკის შემუშავების იმპულსად მიჩნეულია პირველი გაფართოება, როდესაც 1973 წელს გაერთიანებაში გაწევრიანდა გაერთიანებული სამეფო, ირლანდია და დანია. ერთ-ერთ ბრიტანელ კომისარს, ჯორჯ ტომსონს (ახლა მონივიტის ლორდი ტომსონი) მიანიჭეს სპეციალური პასუხისმგებლობა რეგიონების მიმართ ევროპის პოლიტიკის ზედამხედველობის სფეროში.

რეგიონებს შორის არსებული დიდი უთანასწორობა

ჯორჯ ტომსონმა დაადგინა, რომ ულარიბეს და უმდიდრეს რეგიონებს შორის, როგორც ქვეყნების, ისე გაერთიანების ფარგლებში, არსებობდა მნიშვნელოვანი უთანასწორობა. რამდენიმე წლის შემდეგ კომისიის მიერ გამოქვეყნებული ციფრების თანახმად ფარდობა იცვლებოდა შემდეგ ფარგლებში 1:1,4-გერმანიაში, 1:2,4-საფრანგეთში, 1:3,1 გაერთიანებულ სამეფოში, 1:3,8-იტალიაში და 1:5,1 მთლიანად გაერთიანებაში. (ფარგლები კიდევ უფრო გაიზარდა საბერძნეთის, ესპანეთის და განსაკუთრებით პორტუგალიის გაწევრიანების შემდეგ).

ნაკლებ პრივილეგირებული რეგიონები, რომლებიც მოიცავს ევროკავშირის მოსახლეობის ერთ მეოთხედზე მეტს, შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად:

■ განუვითარებელი სოფლის ზონა, რომლის ეკონომიკაც ძირითადად სოფლის მეურნეობას ეყრდნობა. ამ რეგიონებში შემოსავალი დაბალია, უმუშევრობის დონე - მაღალი და ინფრასტრუქტურა ხშირად ნაკლებად არის განვითარებული. მასში შულის საბერძნეთისა და პორტუგალიის უმეტესი ნაწილი, სამხრეთ ესპანეთი, იტალიის სამხრეთი, ირლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია, კორსიკა და საფრან-

გეთის ზღვისგადაღმა ნაწილი.

■ ზონები, რომლის წარსული აყვავება ეყრდნობოდა ამჟამად დაღმავალი ტენდენციის მქონე დარგებს და რომლებიც ხასიათდებიან მოძველებული ქარხნებითა და უმუშევრობის მაღალი დონით. ამ ზონებს ძირითადად ვხვდებით ბელგიაში, საფრანგეთში და გაერთიანებულ სამეფოში.

რეგიონული პოლიტიკის მიზნები
გაერთიანების რეგიონული პოლიტიკის მთავარი მიზნებია:

- უზრუნველყოფილ იქნას რეგიონული პრობლემების გათვალისწინება ევროგაერთიანების სხვა პოლიტიკებში.
- წვერი ქვეყნების რეგიონული პოლიტიკების კოორდინირების მცდელობა.
- გაერთიანების ღარიბი რეგიონების განვითარების ფინანსური მხარდაჭერა.

პირველი მიზნის მისაღწევად კომისია რეგულარულად აკვირდება ყველა რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას და შეისწავლის ევროგაერთიანების ნებისმიერი პოლიტიკის რეგიონულ შედეგებს. მაგალითად, საერთო აგრარული პოლიტიკა მნიშვნელოვნად ტენდენციურია უფრო მდიდარი სასოფლო-სამეურნეო ზომების მხარდაჭერის მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ მასში შეტანილ იქნა მთელი რიგი ცვლილებები ამ ანომალიის შესამცირებლად, მისი სრული აღმოფხვრა ვერ მოხერხდა.

სოციალური ფონდი (იხ. თავი 23) ორიენტირებულია ღარიბ რეგიონებზე. შემუშავებულია სპეციალური რეგიონული პროგრამები გაერთიანების სხვა პოლიტიკების მხარდასაჭერად. რაც შეეხება სხვადასხვა სახელმწიფოების ძალისხმევის კოორდინაციას, აქ უმთავრესი მიზანი იყო უზრუნველყოფილიყო მათი თავშეკავება დახმარების დონის გაზრდაში შეჯიბრის საბოლოო ჯამში თვითღამანგრეველი პრაქტიკისაგან. ერთიანი კანონები შესაძლებლობას აძლევს გაერთიანებას თავიდან აიცილოს მწირი რესურსების უყაირათოდ ხარჯვა და უზრუნველყოს განვითარების უფრო შეთანხმებული გეგმა. კომისიამ დააფიქსირა სახელმწიფო დახმარების ზედა ზღვარი, რომელიც შეიძლება გაიცეს განუვითარებელ რეგიონებში პოტენციურ

ინვენსტირებაზე. დახმარებები განსხვავდება ინვენსტიციების ღირებულების 10%-დან 100%-მდე დაფარვით მცოცავი სკალით იმის მიხედვით, თუ რამდენად სეროზულია კონკრეტულ რეგიონებში არსებული პრობლემები.

ERDF - რეგიონული პოლიტიკის ცენტრალური ელემენტი გაერთიანების რეგიონული პოლიტიკის ცენტრალური ელემენტი უდავოდ ევროპის რეგიონული განვითარების ფონდია (მრბშ) (ERDF- European Regional Development Fund), რომელიც 1975 წელს დაარსდა. ვინაიდან ცხადი გახდა, რომ თუ გაერთიანებული სამეფო არ მონახვდა გაერთიანების ხარჯების მისავე საზღვრებში მოზიდვის გზებს, იგი შეიძლება გამხდარიყო ევროგაერთიანების ბიუჯეტის მსხვილი მოწილე. გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ მიმართა განსაკუთრებულ ძალისხმევას რათა ესარგებლა მრბშ-ის (ERDF) ფონდებით. მის მაგალითს მიბაძეს ირლანდიამ და იტალიამ - ევროგაერთიანების მაშინდელმა უღარიბესმა ქვეყნებმა. თუმცა, დასაწყისიდანვე მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ მთლიანი ფონდი არ მოხმარდებოდა ერთი უღარიბესი ქვეყნის, უღარიბეს რეგიონს. ყოველ წევრ ქვეყანაზე გამოიყო კოტა და თითოეული ქვეყნის უღარიბესი რეგიონი მიიღებდა დახმარებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი გაცილებით მდიდარი იქნებოდა სხვა ქვეყნების უღარიბეს და საშუალო შეძლების მქონე რეგიონებზე. მიუხედავად ამისა, უღარიბესმა ქვეყნებმა მიიღეს უდიდესი კოტები და პირველ ათწლეულში 1984 წლის ბოლომდე ERDF-ს ხარჯების 91%-ზე მეტი გაიცა ხუთ ქვეყანაზე.

ესენია: საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია, ირლანდია და გაერთიანებული სამეფო.

ერთ სულ მოსახლეზე გაწეული ხარჯის მიხედვით ირლანდიამ მიიღო უდიდესი წილი, მეორე ადგილზეა საბერძნეთი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მხოლოდ 1981 წელს გაწევრიანდა გაერთიანებაში, ხოლო მესამეზე - იტალია. ERDF-ს გარანტიების ნახევარი დაიხარჯა პრიორიტეტულ რეგიონებზე: იტალიის სამხრეთი, საბერძნეთი (ათენის გარდა) ირლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია, გრენლანდია (რომელმაც დატოვა ევროგაერთიანება 1985 წლის რეფერენდუმის თანახმად, თუმცა, წასვლამდე შთანთქა დანიის მთლიანი კოტა) და საფრანგეთის ზღვისგალმა დეპარტამენტები. პირველი ათი წლის განმავ-

ლობაში 1984 წლისათვის ERDF-ის ბიუჯეტი რვაჯერ გაიზარდა მიაღწია რა 2149 მლნ. ეკიუს (ბიუჯეტის 7,8%). რაც შეადგენდა სპპ-ზე გაერთიანების დანახარჯების ერთ მერვედს. 1999 წლისათვის ERDF-ზე გამოყოფილი თანხა შეადგენდა 15,6 მლრდ.ეკიუს (ბიუჯეტის 16,2%-ს), რაც უდრიდა სოფლის მეურნეობაზე გაწეული ხარჯების 30%-ს.

ცხრილი № 22 მრბჴ-ის თანხების გამოყოფა (%)

	ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი
ბელგია	0,61	0,82
დანია	0,34	0,46
საფრანგეთი	7,47	9,96
გერმანია	2,55	3,40
საბერძნეთი	8,35	10,64
ირლანდია	3,81	4,61
იტალია	21,59	28,79
ლუქსემბურგი	0,04	0,06
ნიდერლანდი	0,68	0,91
პორტუგალია	10,65	14,20
ესპანეთი	17,95	23,93
გაერთიანებული სამეფო	14,48	19,31

წყარო: ევროკომისია

მრბჴ-ის მიერ სახსრების განაწილების წესი იცვლება

1985 წელს, კომისიასა და წევრ ქვეყნებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ შეიცვალა მრბჴ-ის მართვის წესები, რათა ისინი უფრო მოქნილი გამზდარიყვნენ და უშუალოდ ყოფილიყვნენ მიმართული ნაკლებად განვითარებული რეგიონებისაკენ. ფიქსირებული ეროვნული კოტის ნაცვლად თითოეულ ქვეყანაზე დაწესდა პროცენტული წილი. ახალი წესი ხელახლა იქნა განხილული 1986 წელს ესპანეთისა და პორტუგალიის გაწევრიანების შემდეგ და ამჟამად შეადგენენ ცხრილში № 22 ნაჩვენებ ციფრებს. 1995

წელს სამი ახალი წვერი ქვეყნისათვის - ავსტრიის, ფინეთისა და შვედეთისათვის სპეციალური პირობები იქნა დაშვებული, მაგრამ, ვინაიდან სამივე შედის კავშირის უმდიდრესი ქვეყნების რიცხვში, მათ ყველაზე ჩამორჩენილ რეგიონებზე გადაცემული დახმარება უკიდურესად მცირე იყო (იხ. ცხრილი № 24)

მინიმალური თანხა წარმოადგენს მრბზ-ის ბიუჯეტის გარანტირებულ ყოველწლიურ წილს თითოეულ წვერ ქვეყანაზე. ყოველთვის იგულისხმება, რომ კომისიას ეგზავნება შესაფერისი განაცხადი საკმაო ოდენობის დახმარებაზე. გამოყოფილი სახსრების ყოველწლიური ცვლილებები დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევა კომისია წვერი ქვეყნების მიერ წარმოდგენილ პროექტს კავშირის ასპექტში.

მრბზ-ის დაფინანსების პროგრამა

ფონდის თანხები იყოფა პროგრამებსა, პროექტებსა და კვლევებს შორის. თითოეულ შემთხვევაში მრბზ ფარავს მთლიანი ხარჯის 50%-55%-ს. დარჩენილ ნაწილს კი პროგრამაში მონაწილე წვერი ქვეყანა ან ქვეყნები. გამონაკლის შემთხვევაში მრბზ ფარავს მთლიანი ხარჯის 75%-ს და 80%-ს საბერძნეთის, პორტუგალიის, ირლანდიის და ესპანეთის პროგრამებზე. პროგრამები შეიძლება შეიცავდეს ერთობლივად ან ცალ-ცალკე, ინფრასტრუქტურის ან რეგიონებში შინაგანად წარმოქმნილი განვითარების პოტენციალის ექსპლოატაციისათვის საჭირო ზომებს. არსებობს პროგრამების ორი სახეობა.

ევროკავშირის პროგრამები. კომისიის ინიციატივით განხორციელებული პროგრამების მიზანია ხელი შეუწყოს ერთი ან რამდენიმე რეგიონის სერიოზული სოციალური და ეკონომიკური სიძნელეების მოგვარებას. პროგრამები შედგება შეთანხმებული, რამდენიმე წელზე გათვლილი და კავშირის მიზნებისა და პოლიტიკის განხორციელებაზე ორიენტირებული პროექტების ჯგუფებისაგან. საზოგადოდ, კავშირის პროგრამები ეხება რამდენიმე წვერ ქვეყანას, მათივე თანხმობით. (მაგალითად ლოთარინგიის მეტალურგიული ზონა, რომელიც მოიცავს საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიისა და ლუქსემბურგის რეგიონებს).

კავშირის მნიშვნელობის ეროვნული პროგრამები. ისინი კომისიას წარედგინება ეროვნული მთავრობების მიერ. პროგრამები ორიენტირებულია ეროვნულ მიზნებზე, თუმცა ამასთანავე წვლილი შეაქვს კავშირის პოლიტიკის მიზნების მიღწევის საქმეში. მრბჴ-ს შეუძლია დააფინანსოს ამ ტიპის პროგრამები წევრი ქვეყნების მიერ განსაზღვრულ ზონებსა და რეგიონებში რეგიონული დახმარების სქემებით. ერთი კონკრეტული ტიპის პროგრამა მიზნად ისახავს მცირე მასშტაბიანი ადგილობრივი რესურსების მობილიზებით რეგიონების ადგილობრივი პოტენციალის ექსპლოატაციას, მათ შორის ტურიზმის განვითარებას. თანხების უმეტესი ნაწილი იხარჯება წევრ ქვეყნებში ადგილობრივი სამმართველოების, საზოგადოებრივი ორგანოებისა და კომერციული ფირმების მიერ წარმოდგენილ ინდივიდუალურ პროექტებზე.

ცხრილი № 23 სტრუქტურული ფონდების განაწილება, 1998 (ეკიუ. მლნ)

მიზანი

1. განვითარების მხრივ ჩამორჩენილი რეგიონები	19,294
2. წარმოების დაღმავალი ტენდენციის მქონე სამრეწველო რეგიონები	2,079
3&4. ხანგრძლივი უმუშევრობა & ახალგაზრდების პროფესიული ინტეგრაცია	3,257
5ა. სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურების ადაპტაცია	1,160
5ბ. სოფლის ზონის განვითარება	1,422
6. ნაკლებად დასახლებული რეგიონების.	186
სულ	27,398

წყარო: ევროკომისია.

ევროკავშირის სხვა სახის გრანტები და სესხები გარდა მრბზ-ის რეგიონები სარგებლობენ ევროკავშირის სხვა წყაროების მთელი სპექტრით, რომელშიც შედის:

- მრბზ-დან გაცემული სესხები და გრანტები ქვანახშირისა და მეტალურგიულ ზონებზე
- სესხები ევროპის საინვენსტიციო ბანკიდან და ევროკავშირის სხვა ფონდებიდან.
- შეღავათიანი სესხები ევროპის სავალუტო სისტემიდან ირლანდიისა და იტალიისათვის.
- გრანტები ევროპის სოციალური ფონდიდან და ევროპის აგრარული ფონდის მართვის სექტორიდან.

რეგიონული ფონდი, სოციალური ფონდი, თევზჭერის მართვის ფინანსური ინსტრუმენტი (თმზი) ევროპის აგრარული ფონდის მართვის სექტორი ერთობლიობაში ცნობილია, როგორც ევროკავშირის სტრუქტურული ფონდები და საგანგებო ევროპული აქტის თანახმად 1988 წლის თებერვალში დაიდო შეთანხმება 1993 წლამდე მათი გაორმაგების შესახებ. 1990 წელს გამოიყო დამატებითი 3 მლრ.ეკიუ აღმოსავლეთ გერმანიისათვის 1991-93 წელს რეგიონული დახმარების გასაწევად. 1993 წლისათვის გათვალისწინებული იყო, რომ სტრუქტურულ ფონდებს უნდა შეედგინა ევროკავშირის ბიუჯეტის ერთი მეოთხედი.

1989-93 წლებში სტრუქტურული ფონდების მიერ სულ გამოყოფილ იქნა 73 მლრ.ეკიუ. 1994-99 წლებში ეს ციფრი გაიზარდა 141 მლრდ.ეკიუმდე (1992 წლის ფასებში). ცხრილში №23 ნაჩვენებია თანხების განაწილება ფონდის სხვადასხვა მიზნებზე 1998 წლის მანძილზე, როდესაც გაიცა დაახლოებით 27 მლრდ. ეკიუ. გამოყოფილი თანხის განაწილება წევრ ქვეყნებს შორის 1998 წელს ნაჩვენებია ცხრილში №24.

სტრუქტურული ფონდების ხარჯვის ძირითადი ნაწილი კონცენტრირებულია 1 მიზნის რეგიონებზე, სადაც ცხოვრების დონე ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე 75%-ზე ნაკლებია. რამდენადაც ზოგიერთი რეგიონი, ნაწილობრივ სტრუქტურული ფონდების დახმარებით, საკმაოდ დაწინაურდა, ისინი აღარ შედიან ამ ჯგუფში. 1999 წელს კომისიამ განიხილა შესაფერის ზონათა სია, რომლებიც

ცხრილი №24 სტრუქტურული ფონდების მიერ გაცემული თანხების ეროვნული წილი
1988 წ. (მლნ.ეკუ)

	1	2	3	4	5ა	5ბ	6	ჯამი	%
აუსტრია	42,1	20,8	20,7	94,1	83,8	-	-	261,5	1,0
ბელგია	202,2	9,0	71,2	36,2	11,1	-	-	329,7	1,2
დანია	-	-	9,5	50,9	6,7	-	-	67,1	0,2
ფინეთი	-	-	46,3	63,1	34,7	88,4	-	232,5	0,8
საფრანგეთი	452,9	479,3	760,0	308,7	521,0	-	-	2521,9	9,2
გერმანია	3343,0	79,4	653,6	243,9	74,4	-	-	4404,3	16,1
საბერძნეთი	3100,4	-	-	-	-	-	-	3100,4	11,3
ირლანდია	1521,6	-	-	-	-	-	-	125,6	4,7
იტალია	2596,8	27,7	227,2	139,3	411,2	-	-	3403,3	12,4
ლუქსემბურგი	-	-	3,8	12,2	1,6	-	-	17,6	0,1
ნიდერლანდი	57,1	20,8	176,0	0,4	14,1	-	-	268,4	1,0
პორტუგალია	3833,7	-	-	-	-	-	-	3833,7	14,0
ესპანეთი	3771,7	628,1	372,5	133,2	74,4	-	-	4979,9	18,2
შვედეთი	-	17,2	178,5	28,3	20,9	97,9	-	337,8	1,2
გაერთიანებული სამეფო	354,4	813,1	685,8	49,5	106,3	-	-	2009,1	7,3
ჯამი	19277,9	2078,6	3256,8	1160,1	1421,9	186,3	27381,6		

ჯამები ზუსტი არ არის, რამდენადაც მათში შედის წევრ ქვეყნებზე გაუკუმპელი მცირე თანხები.
წყარო. ევროკომისია.

ერთობლივად მიიღებენ სტრუქტურული ფონდებიდან 2000-06 წლებში სულ 1275 მილიარდს.

ზონები, რომლებიც უკვე აღარ შედიან მათ სიაში, მიიღებენ გარდამავალ დახმარებას ოთხი წლის განმავლობაში

1 მიზნის ჯგუფებში, 2000-06 წლებზე, ერთიანდებიან შემდეგი რეგიონები:

- გერმანია: ბრანდერბურგი, მეკლენბურგ-ფორპომერნი, საქსონია, ზაქსენ-ანჰალტი, თიურინგია.
- საბერძნეთი: აღმოსავლეთ მაკედონია, თრაკია, ცენტრალური მაკედონია, დასავლეთი მაკედონია, თესალია, იპეროსი, იონიის კუნძულები, დასავლეთი ელადა, მატერიკული ელადა, პელოპონესი, ეგეოსის ზღვის ჩრდილო და სამხრეთ კუნძულები, კრეტა (ე.ი. მთელი ქვეყანა)
- ესპანეთი: გალისია, ასტურია, ძველი კასტილია, ლეონი, ახალი კასტილია, ესტრემადურა, ვალენსია, ანდალუზია, მურსია, სუეტა და მელილა, კანარის კუნძულები.
- საფრანგეთი: გვადალუპე, მარტინიკა, გაიანა, რეუნიონი.
- იტალია: კამპანია, პულა, ბასილიკატა, კალაბრია, სიცილია, სარდინია.
- ირლანდია: სასაზღვრო ზონა, ცენტრალური ნაწილი და დასავლეთ ზღვისპირეთი.
- ავსტრია: ბურგენლანდი.
- პორტუგალია: ჩრდილოეთი ნაწილი, ცენტრალური ნაწილი, ალენტეჟო, ალგარვე, აკორეს, მადეირა.
- ფინეთი: *აღმოსავლეთ ფინეთი, ცენტრალური ფინეთი (ნაწილი)*

ჩრდილოეთ ფინეთი (ნაწილი)

■ შედეგითი: *ცენტრალური შედეგითის ჩრდილო ნაწილი, ცენტრალური ნორლანდი (ნაწილი) ზედა ნორლანდი (ნაწილი)*

■ გაერთიანებული სამეფო: სამხრეთ იორკშირი, დასავლეთ უელსი და ხეობები, კორნუოლი და სცილის კუნძულები, მერსი-საიდი.

დახრილი შრიფტით დაწერილი რეგიონები წარმოადგენს რეგიონებს, რომლებიც ამჟამად შედიან 1 მიზნის ჯგუფში, მაგრამ

2000-2006 წლებში უკვე აღარ იქნებიან ამისათვის შესაფერისი:
ეს რეგიონებია:

- გერმანია: აღმოსავლეთ ბერლინი.
- ბელგია: ენო.
- ესპანეთი: კანტაბრია
- საფრანგეთი: კორსიკა და ვალანსიენის, ღუეს და ავესნის რაიონები.
- იტალია: მოლისე.
- ირლანდია: სამხრეთი, აღმოსავლეთი.
- ნიდერლანდი: ფლეკოლანდი.
- პორტუგალია: ლისაბონი და ტეჟოს ველი.
- გაერთიანებული სამეფო: ჩრდილოეთ ირლანდია, შოტლანდიის ჩრდილოეთი (მთიანი) და კუნძულები.

ერთობლივი ოპერაციები.

უნდა აღინიშნოს გაერთიანების ერთობლივი ოპერაციებიც, რომელთა მიზანს წარმოადგენს ყურადღების გამახვილება გარკვეული, მრავალმხრივ გაჭირვებული რეგიონების დახმარებაზე. პირველი ორი ერთობლივი ოპერაცია წამოწყებულ იქნა ნეაპოლსა და ბელფასტში, შესაბამისად 1979 და 1981 წლებში. მას შემდეგ ოპერაციები ჩატარდა გაერთიანებული სამეფოს კიდევ ოთხ რეგიონში და ასევე ბელგიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, პორტუგალიასა და ესპანეთში.

ერთობლივი პროგრამები ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებში

გაცილებით დიდი მასშტაბისაა მინისტრთა საბჭოს მიერ 1985 წელს მიღებული ერთობლივი პროგრამები ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებისათვის. საბერძნეთის მხრიდან ზეწოლის შემდეგ ესპანეთის და პორტუგალიის გაწვევრიანების თაობაზე წარმოებული მოლაპარაკებების დასკვნით ეტაპზე, შვიდი წლის მანძილზე ევროგაერთიანებას გრანტების სახით უნდა გაეცა 4,1 მლრდ.ეკიუ, სესხების

სახით კი 2,5 მლრდ.ეკიუ იმ პროგრამებზე, რომლებიც ხელს შეუწყობდა გაერთიანების სამხრეთი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყო ამ რეგიონების გაფართოებისადმი ადაპტაცია. კომისიის მიერ ამ პროგრამის მოსარგებლე რეგიონებად არჩეული იყო ლანგედოკ-რუსიონი, კორსიკა, კოტ დ'აზურის პროვინცია, აკვიტანია და პირენეის შუა რეგიონები საფრანგეთში, სამხრეთ იტალია, ლატუმი, ტოსკანა, უმბრია, მარკესი, ლიგურია და ემილია—რომანიას ნაწილი იტალიაში და საბერძნეთის მთლიანი ტერიტორია.

შერწყმის ფონდი

1992 წლის თებერვალში კომისიამ გამოაქვეყნა წინადადებები ხუთი წლის მანძილზე. 1993-97 წლებში გაწეული ხარჯების შესახებ. ბოლოდინის მიუხედავად მან არ შეიტანა წინადადება მთლიანი რეგიონული დაფინანსების გაორმაგების შესახებ, თუმცა გათვალისწინებულ იქნა ხარჯების გაორმაგება ოთხი ულარიბესი ქვეყნის: საბერძნეთის, ირლანდიის, პორტუგალიისა და ესპანეთის რეგიონებზე. მასტრიხტის სამიტის თანახმად გათვალისწინებულ იქნა, აგრეთვე შერწყმის ფონდის შექმნა, საიდანაც დაფინანსდებოდა ულარიბესი ქვეყნების ტრანსპორტის, ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის სფეროები. ცხრილი №25 უჩვენებს 1998 წლისათვის შერწყმის ფონდიდან გამოყოფილ თანხებს.

ცხრილი №25 შერწყმის ფონდიდან გამოყოფილი სახსრები
1998

	გარემო კეიუ მლრდ	%	ტრანსპორტი კეიუ მლრდ	%	სულ ეკეიუ მლრდ	წილი %
ესპანეთი	871	57,0	705	52,8	1576	54,9
პორტუგალია	312	20,4	207	15,5	518	9,0
საბერძნეთი	210	13,7	307	23,0	517	18,0
ირლანდია	135	8,9	116	8,7	258	18,0
ტექნიკური დახმარება					2	0,1
სულ	1528	100,0	1334	100,0	2871	100,0

წყარო: ევროკომისია

23 სოციალური პოლიტიკა

ევროპის სოციალური ფონდი (მსწ) - სოციალური პოლიტიკის საყრდენი

რომის ხელშეკრულების 123 მუხლის თანახმად ევროკავშირის სოციალური პოლიტიკის მთავარ ნაწილს წარმოადგენს ევროპის სოციალური ფონდი. ფონდის მიზანი შემდეგში მდგომარეობს:

საერთო ბაზრის სივრცეში მშრომელთა დასაქმების შესაძლებლობის გაუმჯობესება და ამით ცხოვრების დონის ამაღლება. ფონდის ამოცანაა უფრო ადვილი გახადოს მშრომელთა დასაქმება და გაზარდოს გაერთიანების ფარგლებში მათი გეოგრაფიული და პროფესიული მობილურობა.

არსებობის პირველ წლებში მსწ-ს საქმიანობა მცირე მასშტაბიანი იყო, შემოიფარგლებოდა რა სტრუქტურული ცვლილებების გამო გადაადგილებული მუშახელის პროფესიული გადამზადებისათვის ხელშეწყობით. 1970-86 წლებში უმუშევრობის ექვსჯერ ზრდამ, როდესაც მან სარეკორდო დონეს - მშრომელი მოსახლეობის 12%-ს, ანუ 16 მლნ-ს. მიაღწია, განაპირობა ფონდის ფინანსებისა და კომპეტენციის სფეროს მკვეთრი ზრდა. 1986 წლის განმავლობაში დაახლოებით 2,5 მლნ. ადამიანმა (მათგან 85% 25 წლამდე ასაკის) ისარგებლა მსწ-ით, რომლის ფინანსურმა ვალდებულებებმა ამ წლისათვის შეადგინა 2500 მლნ. ეკიუ, ანუ ევროკავშირის მთელი ბიუჯეტის 7%. 1999 წლისათვის გამოყოფილი სახსრების მოცულობა გაიზარდა 9611 მლნ.ეკიუმდე, ანუ ევროკავშირის ბიუჯეტის 10,1%-მდე.

მსწ-ის მთავარი პრიორიტეტები...

1983 წელს მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად ამიერიდან მსწ-ს უნდა გააჩნდეს ორი უმთავრესი პრიორიტეტი. მას შემდეგ რესურსების უმეტესი ნაწილი სწორედ ამ ორ (ნაწილობრივ ურთიერთგადამფარავ) პრიორიტეტზე ფოკუსირდება.

ახალგაზრდობა. მსწ-ს მოეთხოვება მისი რესურსების უმეტესი ნაწილის დახარჯვა 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდების მომზადებასა და დასაქმებაზე. ფონდის მიზანს წარმოადგენს მინისტრთა საბჭოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისათვის ხელის შეწ-

ყოფა, ახალგაზრდობისათვის მომზადების ახალი შესაძლებლობების წარმოჩენის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით ეს ეხება მათ, ვინც განიცდის დასაქმების შესაძლებლობების დეფიციტს განათლების, ან პროფესიული მომზადების უკმარისობის ან არაადეკვატურობის გამო.

ყველაზე ჩამორჩენილი რეგიონები. მსწ-ს დაფინანსების 44% კონცენტრირებულია 7 აბსოლუტურად პრიორიტეტულ ზონაზე, რომელიც მოიცავს კავშირის შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთ მეექვსედ ნაწილს (23 მლნ. ადამიანი). მასში შედის: საბერძნეთი, ირლანდია, პორტუგალია; იტალიის სამხრეთი, ესპანეთის კასტილია, ლეონი, ახალი კასტილია, ესტრემადურა, ანდალუსია, მურსია, კანარის კუნძულები, გალისია, ქალაქები - კეუტა და მელილა; ჩრდილოეთ ირლანდია და საფრანგეთის ზღვისგალმა დეპარტამენტები. უფრო მეტიც. მიუხედავად იმისა, რომ ფონდიდან, როგორც წესი, იფარება შესაბამისი ხარჯების მაქსიმუმ 50%, და არ აღემატება წევრი ქვეყნების საზოგადოებრივი სამმართველოების მთლიან ფინანსურ შენატანებს, აბსოლუტურად პრიორიტეტული ზონების შემთხვევაში მსწ-ის დახმარება შეიძლება გაიზარდოს შესაბამისი ხარჯების 55%-მდე.

მსწ-ის მხარდაჭერა ახალგაზრდობის მომზადების პროგრამების...

ახალგაზრდობისათვის გათვალისწინებული დახმარების უმეტესი ნაწილის მიწოდება ხდება წევრი ქვეყნების მიერ შემუშავებული მთავარი პროგრამების მეშვეობით. მაგალითად, საფრანგეთში ათასმა ახალგაზრდამ ისარგებლა დასაქმება/მომზადების კონტრაქტებით, რამაც მისცა მათ საშუალება მსწ-ის დახმარებით ემუშავათ მომზადების პარალელურად. ირლანდიაში მნიშვნელოვანი დახმარება გაეწია სამრეწველო მომზადების სამმართველოს ახალგაზრდობის ინტენსიური მომზადების პროგრამების შექმნაში.

მეორე მხრივ, კომისია ეროვნული მთავრობების მეშვეობით იღებს ათასობით განაცხადს ყოველწლიურად მცირემასშტაბიანი პროგრამების მხარდაჭერის შესახებ. როგორც წესი, ამ განაცხადთა ნახევარი მტკიცდება.

...მოზრდილთა გარკვეული კატეგორიების...

ახალგაზრდობის სფეროში გადადგმული ნაბიჯების გარდა მსშ პრიორიტეტს ანიჭებს შემდეგ კატეგორიებში შემაჯალ მოზრდილებს:

■ უმუშევარი ან ნაწილობრივ უმუშევარი მშრომელები, განსაკუთრებით ხანგრძლივად უმუშევარი პირები.

■ სამსახურის შოვნის მსურველი ქალები.

■ შრომისუნარიანი ინვალიდები.

■ ევროგაერთიანების ფარგლებში გადაადგილებული მშრომელები და ემიგრანტები, რომლებიც ოჯახებით დასახლდნენ ევროკავშირში სამუშაოს შოვნის მიზნით.

■ მცირე და საშუალო ფერმების თანამშრომლები, რომლებიც აღმოჩნდნენ გადაშხადების აუცილებლობის წინაშე ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, ან მართვის მეთოდების გაუმჯობესების გამო.

■ დასაქმების სტიმულირების სფეროში მომუშავე ხალხი, პროფესიული მომზადების და დაკომპლექტების ექსპერტები, გამაერცელებელი აგენტები.

...და სხვა სპეციფიკური ოპერაციების სფეროში

და ბოლოს, მსშ-ის სპეციფიკური ოპერაციები, რომელზედაც გათვალისწინებულია ბიუჯეტის 5%, მოიცავს:

■ ევროკავშირის ტიპის საქმიანობას, რომელიც წარმოადგენს ერთიანი პროგრამების ნაწილს, ევროკავშირის სხვა ფონდების მონაწილეობით (იხ. გვ.216)

■ პროფესიული მომზადებისა და ახალგაზრდობის დასაქმების მხარდაჭერის ოპერაციებს;

■ ინდუსტრიულ ან სექტორულ რესტრუქტურისა ციასთან და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, ან შრომის ბირჟის განვითარებასთან დაკავშირებულ საქმიანობას;

■ ქალთა დასაქმებას იმ სფეროებში, სადაც ისინი სამუშაო ძალის უმცირესობას წარმოადგენენ;

■ ინვალიდ და გადაადგილებულ მშრომელთა დახმარებას. ინსტრუქტორების, პროფესიული ხელმძღვანელობის ან შრომითი მოწყობის მრჩეველთა მომზადებას.

■ 100-ზე ნაკლები ადამიანისაგან დაკომპლექტებულ სპეციალურ ნოვატორულ საქმიანობას.

მქვზ-ის მხარდაჭერა

მსწ-ის მიერ დაფინანსებული პროგრამების გარდა, 1993 წლის განმავლობაში მქვზ-ის ბიუჯეტიდან დაიხარჯა დაახლოებით 107 მლნ.ეკიუ ქვანახშირის და მეტალურგიის დარგების დასახმარებლად. დახმარებები გაიცა შემოსავლებზე დანაშაულების სახით პენსიაზე დროზე ადრე გასვლის, უმუშევრობის ან გადაადგილების შემთხვევაში, ამასთან გაკეთდა ფინანსური შენატანები პროფესიული მომზადების და მობილურობის სფეროში, და ფულადი დახმარებები ახალ სამუშაო ადგილებზე მშრომელთა ჩართვისას. 1990 წელს მოქმედება დაიწყო სპეციალურმა პროგრამამ - Rechar, რომელიც ფინანსურად დაეხმარებოდა ქვანახშირის მომპოვებელი იმ რეგიონების ეკონომიკურ კონვერსიას, სადაც მალაროები დაკონსერვდა. ამასთან მქვზ-მ გასცა 7,8 მლრდ. ეკიუს ოდენობის სესხები 1975-93 წლებში ორი დარგის კონვერსიის პროგრამების დასაფინანსებლად, რამაც 500000 ახალი სამუშაო ადგილი შექმნა. მქვზ 2002 წლისათვის უქმდება და ამასობაში მისი ბიუჯეტი და საქმიანობა თანდათანობით იზღუდება. მიუხედავად ამისა, 1998 წლისათვის დაიგეგმა 70 მლნ.ევროს გამოყოფა რეადაპტაციის ხელშეწყობისათვის 9 წერ ქვეყანაში 22000 მშრომელის დასახმარებლად.

მშრომელთა უფლებების სოციალური ქარტია

გაერთიანების სოციალური პოლიტიკის მიერ უმთავრესი ელემენტი მშრომელთა უფლებების სოციალური ქარტია, რომელსაც ხელი მოეწერა სტრასბურგში 1989 წლის დეკემბერში. მთავრობების 12 მეთაურიდან 11-ის მიერ. გაერთიანებული სამეფოს მაშინდელმა პრემიერ მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა უარი განაცხადა ქარტიაზე ხელის მოწერაზე იმ არგუმენტით, რომ ქარტიის მიღება გამოიწვევდა მისი მთავრობის მიერ შრომის ბაზრის განთავისუფლებისათვის ჩატარებული ღონისძიებების უკუქცევასა და უმუშევრობის კიდევ უფრო გაზრდას დამსაქმებელთა მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შეკვეცით.

ცხრილი 26 რეადაპტაციის ხელშეწყობა: გამოყოფილი თანხები (1998 წლის პროგრამები).

ფოლადის წარმოება და რკინის მადნის მოპოვება – ქვანახშირის მოპოვება –

	ტრადიციული დახმარება		ტრადიციული დახმარება		სოციალური ნახშირი	
	პრობლემა	მოცულობა (აშშ)	პრობლემა	მოცულობა (აშშ)	პრობლემა	მოცულობა (აშშ)
ბელგია	991	2973000	-	-	-	-
საფრანგეთი	-	-	1248	3744000	1162	3962000
გერმანია	2113	6339000	6019	16207345	2770	11080000
საბერძნეთი	1	3000	-	-	-	-
იტალია	390	1170000	-	-	-	-
ლუქსემბურგი	260	780000	-	-	-	-
პორტუგალია	245	735000	-	-	-	-
ესპანეთი	847	1967610	2655	7965000	2655	10552000
გაერთიანებული სამეფო	5	15000	500	1250000	500	1 250000
სულ	4852	13982610	10422	29166345	7087	26844000

წყარო: ევროკომისია

სოციალური ქარტია თავდაპირველად ჟაკ დელორის ჩანაფიქრს წარმოადგენდა, რომლის რწმენითაც 1992 წლის პროგრამის განხორციელებით ძირითადად ევროპული კომპანიები ისარგებლებდნენ, რომელთა მოგებაც გაიზრდებოდა მათი ევროპის მასშტაბით ფუნქციონირების ბარიერების გაუქმების შედეგად. მან წარმატებით დაარწმუნა მთავრობები (გაერთიანებული სამეფოს გარდა), რომ 1992 წლის პროგრამის პარალელურად უნდა განხორციელებულიყო ქმედებები მშრომელთა სოციალური და სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

თავად ქარტიას უფრო დეკლარაციის სახე ჰქონდა, თუმცა მას უნდა მოჰყოლოდა 47 კანონისაგან შემდგარი სოციალური ქმედების

პროგრამა, რომელიც, მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში, იურიდიულად სავალდებულო გახდებოდა წევრი ქვეყნებისთვის, მათ შორის გაერთიანებული სამეფოსათვის.

სოციალური სამოქმედო პროგრამების უმეტესი ნაწილის მიღება შესაძლებელი იყო ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით და შესაბამისად დამტკიცდებოდა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგობის მიუხედავად. ევროკავშირის ხელშეკრულების პროექტი, წარმოდგენილი 1991 წელს მასტრიხტის სამიტზე, შესაძლებელს გახდიდა დანარჩენი წინადადებების მიღებას ასევე ხმათა უმრავლესობით და არა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებებით. ჯონ მეიჯორმა უარი განაცხადა ამის მიღებაზე, ასე, რომ 11-მა წევრ-სახელმწიფომ ხელი მოაწერა სოციალური პოლიტიკის პროტოკოლს (ცნობილს როგორც სოციალური თავი), რომლის მიხედვითაც მათ შეეძლოთ ამ საკითხების გადაჭრა ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით, მაგრამ იმ პირობით, რომ გაერთიანებული სამეფო არ მიიღებდა მონაწილეობას განხილვაში და არ იქნებოდა პასუხისმგებელი მათ შედეგებზე. ეს ექსტრარდინარული გადაწყვეტილება, როდესაც 11 წევრ ქვეყანას შეეძლო ევროგაერთიანების ინსტიტუციების, პროცედურების და მექანიზმების გამოყენება ისეთი გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც არ შეეხებოდა მეთორმეტე წევრ ქვეყანას, უპრეცედენტო შემთხვევა იყო და მრავალი მიმომხილველის აზრით დიდხანს ვერ იარსებებდა.

მან მოქმედება შეწყვიტა 1997 წლის 1 მაისს გაერთიანებული სამეფოს საყოველთაო არჩევნებზე ლეიბორისტული პარტიის გამარჯვების შემდეგ. ახლად არჩეულმა მთავრობამ დრო არ დაკარგა და სასწრაფოდ გამოაცხადა თავისი დადებითი დამოკიდებულება პროტოკოლისადმი, რომელიც მომდევნო თვეს ოფიციალურად შევიდა ამსტერდამის ხელშეკრულებაში.

აქამდე სოციალური ქმედების პროგრამის თანახმად მიღებული დირექტივების უმრავლესობა შეეხებოდა ფუნდამენტურ ქალების შრომის უფლებების დაცვას, დროის ფიქსირებულ პერიოდში აუცილებელი სამუშაო საათების შემცირებას, სპეციალურ დადგენილებებს ღამის ცვლაში მუშაობის შეზღუდვის შესახებ, სხვა ქვეყნებიდან მოსული მშრომელების ადგილობრივ მშრომელებთან თანასწორი უფლებების გარანტირებას, (ჯანმრთელობის და უსაფრთხოების, სამსახურიდან დათხოვნის და შესაძლებლობების) და ნაწილობრივი განაკვეთით მომუშავეთათვის წერილობითი კონტრაქტების დადების უფლებას.

24 მშრომელთა უფლებები

რომის ხელშეკრულების 117 მუხლის თანახმად წვერი ქვეყნები შეთანხმდნენ ხელი შეუწყონ მშრომელთა ცხოვრების და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. მუხლი 118 კომისიას მიზნად უსახავს წვერ ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფას სოციალურ სფეროში და განსაკუთრებით ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებში:

- დასაქმება;
- შრომის კანონმდებლობა და სამუშაო პირობები;
- პროფესიული მომზადება, როგორც ძირითადი, ისე შემდგომი;
- სოციალური უსაფრთხოება;
- პროფესიული უბედური შემთხვევების და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა;
- პროფესიული ჰიგიენა;
- გაერთიანების შექმნის უფლება, მშრომელთა და დამსაქმებელთა შორის კოლექტიური მოლაპარაკებების უფლება.

პრაქტიკაში გაერთიანების ზეგავლენა ყველაზე მეტად აისახა მიგრირებული მშრომელთა უფლებების, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ანაზღაურების (იხ.გვ.288) და უსაფრთხოების ფაქტორებთან მიმართებაში. მიუხედავად ევროპის სოციალური ფონდისა (თავი 23) და ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის (თავი 22) მიერ განხორციელებული ქმედებებისა, გაერთიანების მშრომელთა სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ მცირედია მიღწეული. 1997 წლის ბოლოსათვის უმუშევრობა გაიზარდა 18 მლნ-მდე, ანუ სამუშაო ძალის 10,7%-მდე. 1999 წლის ივლისისათვის მაჩვენებელი 15,8 მლნ-მდე, ანუ 9,3%-მდე შემცირდა და კვლავაც აგრძელებს ვარდნას. სოციალური უსაფრთხოების სისტემების პარმონიზაციის მცდელობებს მხოლოდ ნაწილობრივი წარმატება მოჰყვა და კომისიის ინიციატივები მენეჯმენტის გადაწყვეტილებებში მშრომელთა უფრო ფართო მონაწილეობის პრინციპების შემუშავების შესახებ დაიბლოკა, ზოგიერთი წვერი სახელმწიფოს (განსაკუთრებით გაერთიანებული სამეფოს) ამ სფეროში კანონების

მიღებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამო.

მიგრირებული მშრომელების უფლებები

კავშირის წევრ ქვეყნებში დაახლოებით 5 მლნ ევროკავშირის მოქალაქე ცხოვრობს მშობლიური ქვეყნის ფარგლებს გარეთ (დაახლოებით 8 მლნ. ემიგრანტი ჩამოსულია ევროკავშირში გაუწევრიანებელი ქვეყნიდან). კავშირის კანონის თანახმად, ევროკავშირის ემიგრანტები მიჩნეულნი უნდა იქნან მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეებად. გარანტირებულია მათი თავისუფალი მოძრაობა ერთი ქვეყნიდან მეორეში. აკრძალულია ყოველგვარი ფორმის დისკრიმინაცია ეროვნულ ნიადაგზე დასაქმების, სოციალური უსაფრთხოების, პროფკავშირული უფლებების, ცხოვრების და სამუშაო პირობების, განსახლების, განათლების, და პროფესიული მომზადების თვალსაზრისით. კავშირის ემიგრანტებს, რომლებიც სამუშაოდ გადიან ევროკავშირის სხვა რომელიმე ქვეყანაში, არ სჭირდებათ სამუშაო ნებართვა და შეუძლიათ მოითხოვონ განსახლების ხუთწლიანი ნებართვა, რომლის განახლებაც ავტომატურად ხდება, მშრომელის პენსიაზე გასვლის შემდეგაც კი.

მუშაობის უფლება, თეორიულად, ექვემდებარება მხოლოდ ორ შეზღუდვას, ესენია:

- საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების „გასამართლებელი მიზეზები“
- საზოგადოებრივი ადმინისტრაციული სამუშაოს ზოგიერთი ფორმები.

პრაქტიკაში წევრი ქვეყნები ცდილობენ არ დაუშვან უცხოელი პრეტენდენტების დანიშვნა საზოგადოებრივ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, თუმცა ევროპის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ძალით იმ პოსტების რიცხვი, რომელზედაც შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მასპინძელი ქვეყნის მოქალაქე, შეიზღუდა.

პროფესიული კვალიფიკაციის ორმხრივი აღიარება

დიდი დრო დასჭირდა წვერი ქვეყნების მხრიდან პროფესიული კვალიფიკაციის ორმხრივი აღიარების თაობაზე შეთანხმების მიღწევას, ასე რომ, მრავალი წლის მანძილზე მშრომელთა უმრავლესობას არ შეეძლო თავისი პროფესია გამოეყენებინა ევროკავშირის სხვა ქვეყნებში, თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამჟამად ეს საშუალება აქვთ: ექიმებს, ძიძებს, ვეტერინარ ქირურგებს, კბილის ექიმებს და ბებია-ქალებს, რომლებსაც კვალიფიკაცია მიღებული აქვთ ევროკავშირის ფარგლებში. ადვოკატებს, რომლებიც მუშაობენ წვერ ქვეყანაში შეუძლიათ შესთავაზონ სამსახური ევროკავშირის სხვა რომელიმე ქვეყანაში, ასევე ფარმაცევტებსა და არქიტექტორებს. თუმცა ეს კანონი მოქმედებს მხოლოდ 1987 წლიდან, მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რასაც მანამდე გასული 20 წლის უმეტესი ნაწილი დასჭირდა.

სამუშაო პირობების გაუმჯობესება

გაცილებით უფრო მოკლე დროში იყო განხილული სამუშაო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული წინადადებები. 1975 წელს დუბლინში დაარსდა სამუშაო და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ევროპის ფონდი. დღიდან დაარსებისა ფონდი ეხმარება ევროგაერთიანების პოლიტიკის ჩამოყალიბებას ამ სფეროში. განსაკუთრებით ხაზი გაესვა სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვას, რამდენადაც ყოველწლიურად 100000 ადამიანი იღუპება უბედურ შემთხვევებში, ხოლო მილიონობით ადამიანი იღებს სხეულის დაზიანებას. ფონდის საქმიანობაში იმთავითვე ჩაერთო ემშპ, რომელმაც დააარსა მდარობებში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის კომისია - სახლმწიფო წარმომადგენლების, დამსაქმებლებისა და მშომელებისაგან შემდგარი ორგანო, რომელიც დაეხმარებოდა წინადადებების მომზადების პროცესებს ქვანახშირის მოპოვებისა და სხვა მოპოვებულ დარგებში. 1974 წელს დაარსდა მსგავსი ორგანო უფრო ზოგადი კომპეტენციით - სამუშაოზე უსაფრთხოების, ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის მრჩეველთა კომიტეტი.

ევროგაერთიანება 1984 წელს მიღებულ პროგრამაში სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების დაცვის შესახებ ყურადღებას ამახვილებდა შემდეგ საკითხებზე:

- წესები სახიფათო ნივთიერებების გამოყენების შესახებ.
- ერგონომიკული ზომები და პრინციპები უბელური შემთხვევებისა და სახიფათო სიტუაციების თავიდან ასაცილებლად.
- ორგანიზებულობის, მომზადებისა და ინფორმაციის გაუმჯობესება.
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვით წამოჭრილი პრობლემები.

მიღებულ იქნა რამდენიმე დირექტივა უსაფრთხოების ნიშნების შესახებ, მალაროს აირის შემცველ საბადოებში გამოყენებული ელექტრო აღჭურვილობის შესახებ და ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური ფაქტორებისაგან, როგორცაა: ტყვია, ასბესტი, ხმაური და ვინილ ქლორიდის მონომერი, დაცვის შესახებ. საგანგებო ეროპულსი აქტის ძალით ახალი დირექტივები ან კანონები, რომლებიც ეხება საშუალო პირობების გაუმჯობესებას და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას, აღარ საჭიროებს მინისტრთა საბჭოს მიერ ერთხმად დამტკიცებას. ამან ხელი შეუწყო გადაწყვეტილებათა მიღების სისწრაფეს ამ სფეროში.

მშრომელთა უფლებები კომპანიებში

1970-იანი წლების შუა პერიოდიდან ევროკომისიამ ენერგიული ნაბიჯები გადადგა მშრომელთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით სხვა არეალშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი უფლებების დაცვა კომპანიებში. 1977 წლიდან მიღებულ იქნა დირექტივები, რომლებიც ითვალისწინებენ მინიმალურ მოთხოვნებს მასობრივი შემცირებების მიმართ, 1979 წლიდან შემოღებულ იქნა უფლებები ტრანსფერის შემთხვევებში, ხოლო 1983 წლიდან დირექტივები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელფასის გაცემას და სხვა პრეტენზიების დაკმაყოფილებას, დამსაქმებლის საქმიდან გასვლის შემთხვევაში.

თუმცა კომისიის სამმა უმთავრესმა ინიციატივამ დიდი დაპირისპირება გამოიწვია, დაუდო რა სათავე ძვირადღირებულ, პროვოკაციულ, მაგრამ საბოლოოდ წარმატებულ ლობირებას დამსაქმებელთა ორგანიზაციების მხრიდან. ამ პროცესში ჩაერთო არამარტო ევროპის დამსაქმებელთა ძირითადი ასოციაცია UNICE, არამედ ამერიკის კონტროლის ქვეშ მყოფი დიდი მრავალეროვანი კომპანიები და იაპონიის დამსაქმებელთა ასოციაცია Keidanran. ევროპის პროფკავ-

შირების კონფედერაცია (მკპკ) შეეცადა მხარი დაეჭირა კომისიის წინადადებებისათვის, მაგრამ სამივე წინადადება ბლოკირებულ იქნა მინისტრთა საბჭოში (სადაც საჭირო იყო გადაწყვეტილების ერთხმად მიღება), უახლოეს მომავალში მათი მიღება მოსალოდნელი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ სამივე წინადადებას დადებითად შეხვდა წევრი ქვეყნების უმრავლესობა, რომელთაგანაც რამდენიმემ უკვე ბიილო შიდა კანონმდებლობაში შესავსი ღებულება, ეს სამი წინადადება შემდეგში მდგომარეობდა.

ევროპული კომპანიის წესდება. წესდების ეს პროექტი ადგენდა დარგობრივი ურთიერთობების ჩარჩოებს ევროპული კომპანიებისათვის, რომლებიც შეიძლებოდა შექმნილიყო, მაგალითად კომპანიების საზღვრის გადამკვეთი შერწყმის შედეგად. თავდაპირველი პროექტი, რომელიც შემოტანილ იქნა განსახილველად 1975 წელს, ეყრდნობოდა გერმანიის გამოცდილებას და შეიცავდა წინადადებას იმის შესახებ, რომ კომპანიას უნდა ჰქონოდა ორდონიანი საბჭოს სტრუქტურა, კერძოდ, იგი უნდა შესდგებოდეს მენეჯმენტის საბჭოსა და ზედამხედველთა საბჭოსაგან, რომელშიც უშუალოდ იქნებოდნენ წარმოდგენილნი მუშა-მოსამსახურეები.

მეხუთე დირექტივა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების სტრუქტურის შესახებ. პირველად ეს დირექტივა 1972 წელს იქნა შემოტანილი და იგი გათვალისწინებული იყო ევროგაერთიანების ნებისმიერ ფირმაზე, რომელშიც დასაქმებული იყო 500-ზე მეტი ადამიანი. იგი აგრეთვე ითვალისწინებდა მუშა-მოსამსახურეთა სავალდებულო წარმომადგენლობას ზედამხედველთა საბჭოში.

ფრედელინგის დირექტივა. დირექტივის პროექტი, რომელსაც სოციალური საქმეების ყოფილი კომისრის ჰოლანდიელი ჰენკ ფრედელინგის სახელი დაერქვა (მისი წინადადება 1980 წელს იქნა კომისიის მიერ მიღებული, ეხებოდა „კომპლექსურ“ კომპანიებს), (ანუ ერთზე მეტი ფილიალის მქონე კომპანიებს) თუმცა მის სამიზნეს უდავოდ მრავალეროვანი კომპანიები წარმოადგენდა, რომელთა ბუნებაც ართულებდა მათ კონტროლს წმინდა ეროვნულ საფუძველზე. დირექტივის მიზანს წარმოადგენდა უზრუნველყო მენეჯერთა

მხრიდან კომპანიის თანამშრომელთათვის კომპანიის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მათთან კონსულტაცია ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც გარკვეულ გავლენას იქონიებდნენ დასაქმებაზე (დახურვა, შემცირება, საწარმოს რეორგანიზაცია და ა.შ.)

მშრომელთა ძირითადი სოციალური უფლებების ქარტია ფართოდ გავრცელებულა აზრმა იმის თაობაზე, რომ 1992 წლის პროგრამამ მხოლოდ ბიზნეს გაერთიანებებს მოუტანა სარგებლობა, განაპირობა ამჯერად მშრომელთა უფლებების გაზრდის მიზნით მსგავსი პროგრამის შემუშავების მოთხოვნა, კომისიამ შეიმუშავა გაერთიანების მშრომელთა ძირითადი სოციალური უფლებების ქარტიის პროექტი, რომელსაც ხელი მოაწერა მთავრობების 11-მა მეთაურმა 1989 წელს სტრანსბურგში. გამონაკლისს კვლავ მარგარეტ ტუტჩერი წარმოადგენდა. ქარტიას თავად არ გააჩნდა არანაირი იურიდიული ძალა, თუმც იგი წარმოადგენდა ერთგვარ საფუძველს ღირებუებათა სერიისათვის, რომლებიც შემუშავებულ იქნებოდნენ შემდეგ სფეროებში მშრომელთა უფლებების გაფართოების მიზნით:

- შრომის მობილურობა;
- დასაქმება;
- სოციალური დაცვა;
- კავშირების შექმნის თავისუფლება და კოლექტიური გარიგებები;
- პროფესიული მომზადება;
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
- თანაბარი შესაძლებლობები;
- კონსულტაცია და მონაწილეობა;
- ქალთა, ახალგაზრდობის, ხანშიშესულთა და ინვალიდთა შრომის დაცვა.

ევროპული კომპანიების განახლებული სტატუსი.

1989 წელს კომისია შეეცადა ხალხსა შეეტანა განსახილველად მისი ადრინდელი წინადადება ევროპული კომპანიის წესდების შესახებ. შესწორებული ფორმით წარმოდგენილი და შეღავათიანი ბეგარის შესაძლებლობით დათაფლული ეს წინადადება კომპანიებისათვის ნებაყოფლობითი არჩევანის საგანი უნდა გამხდარიყო. წინადადებები მშრომელთა მონაწილეობის შესახებ უფრო მოქნილი გახდა სამმა ალტერნატიულმა სისტემამ, რომლებიც შემუშავდნენ საფრანგეთის, გერმანიისა და გაერთიანებული სამეფოს გამოცდილებაზე დაყრდნობით. მიუხედავად ამ მოქნილობისა, გაერთიანებული სამეფოს მაშინდელი მთავრობა მაინც მტკიცე უარზე იდგა. წესდების ნაწილი მიღებულ იქნა სოციალური პოლიტიკის პროტოკოლის მიხედვით (გვ.226-227) რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი გამოყენება თავიდან შესაძლებელი იქნებოდა სულ მცირე 14 წერ სახელმწიფოში. 1994 წლის აპრილში კომისიამ მოიწონა ამგვარი წინადადება, რომლის თანახმადაც ევროკავშირის ფარგლებში დაარსდებოდა ევროპის შრომის საბჭოები არსებულ მრავალეროვან ფირმებში, რომელთა მეშვეობითაც მუშა-მოსამსახურეები ინფორმირებულნი იქნებოდნენ და მონაწილეობას მიიღებდნენ კომპანიების სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს წინადადება, რომელიც 1994 წლის ბოლოს დამტკიცებულ იქნა მინისტრთა საბჭოს მიერ როგორც ღირეტივია, არ გავრცელდა გაერთიანებულ სამეფოს მშრომელებზე, მაგრამ გაერთიანებული სამეფოს კომპანიები, რომელთაც თანამშრომლები ჰყავდათ მშ-ის სხვა ქვეყნებში, ვალდებული იყვნენ დამორჩილებოდნენ მას. მოსალოდნელი იყო, რომ მრავალეროვანი ფირმები არ მოისურვებდნენ ბრიტანული თანამშრომლების დისკრიმინაციას და ჩართავდნენ მათ ხსენებულ საბჭოებში ნებაყოფლობით საფუძველზე, ხოლო გაერთიანებული სამეფოს პროფესიული კავშირები ზეწოლას მოახდენდნენ გაერთიანებული სამეფოს კომპანიებზე და აიძულებდნენ მათ მსგავსი შრომითი საბჭოების შემოღებას. პრაქტიკაში გაერთიანებულ სამეფოში ეს ღირეტივია უმეტესწილად მოქმედებს, მიუხედავად ჯონ მეიჯორის ღირეტივის საწინააღმდეგო მტკიცე პოზიციისა. 1998 წლის ივნისში არჩეულმა ლეიბორისტულმა პარტიამ საპირისპირო პოზიცია დაიკავა.

ამსტერდამის და ლუქსემბურგის ინიციატივა

დასაქმების შესახებ ახალი თავის შეტანამ ამსტერდამის ხელშეკრულებაში, რომელიც ძალაში 1999 წლის მაისში შევიდა, და ლუქსემბურგში დასაქმების თემაზე სპეციალური სამიტის მოწვევამ 1997 წლის ნოემბერში, ახალი ბიძგი მისცა ევროგაერთიანების საქმიანობას დასაქმების სფეროში. ლუქსემბურგის სამიტის შემდეგ მინისტრთა საბჭომ მიიღო ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც, წევრ ქვეყნებს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ ეროვნულ გეგმებში. ყურადღება გამახვილებული იყო ოთხ სტრატეგიულ ელემენტზე: ხალხის ნდობის ამაღლება, ინიციატივის განვითარება, საწარმოებისა და მათი თანამშრომლების ადაპტაციის უნარის სტიმულირება, თანასწორი შესაძლებლობების პოლიტიკის გაძლიერება. მიღებულ იქნა, აგრეთვე, ახალი სოციალური ქმედების პროგრამა 1998-2000 წლებისათვის.

25 ფოლადი

1951 წელს, როდესაც ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (მქშზ) შეიქმნა, ქვანახშირის და ფოლადის წარმოება მიჩნეულ იყო ძირითად დარგებად და მათ დასავლეთ ევროპის ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ. ამჟამად მდგომარეობა ოდნავ შეიცვალა, თუმცა ორივე ამ დარგს კვლავაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკაში. კერძოდ, ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე ცვლილებები განიცადა ფოლადის წარმოებამ. ამ პროცესებში გაერთიანება აქტიურად მონაწილეობდა, თავიდან მის სწრაფ ზრდაში, ხოლო შემდგომ მის მკვეთრ დაღმავლობაში.

გართიანების ძლიერი ზეგავლენა ფოლადის ინდუსტრიაზე გაერთიანების ძლიერი ზეგავლენა ფოლადის ინდუსტრიაზე განაპირობა იმან, რომ პარიზის ხელშეკრულება ევროკომისიას (უმაღლესი სამმართველოს შემკვიდრეს) გაცილებით უფრო დიდ ფაქტიურ და პოტენციურ უფლებამოსილებას ანიჭებდა ქვანახშირის და ფოლადის ინდუსტრიაზე, ვიდრე რომის ხელშეკრულება - სხვა დარგებზე. მას გააჩნდა მნიშვნელოვანი ძალაუფლება კომპანიების მიერ განხორციელებულ ინვენსტიციებზე, სახელმწიფო დახმარებებზე, წარმოების ღონესა და სარეალიზაციო ფასებზე, მასვე გააჩნდა კონკრეტული, თუმცა ლიმიტირებული ფინანსური დახმარების გაწევის შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში. პარიზის ხელშეკრულების 58 მუხლის თანახმად მას მინისტრთა საბჭოსთან თანხმობით, შეუძლია გამოაცხადოს აშკარა კრიზისის მდგომარეობა, რაც მას კიდევ უფრო დიდ უფლებამოსილებას აძლევს, რომელიც შეიცავს აგრეთვე კონკრეტულ კომპანიებზე კვოტის დაწესების და მისი გადაჭარბების შემთხვევაში ამკრძალავი დაჯარიმების უფლებას.

ექსპანსიას მკვეთრი ვარდნა მოჰყვა

მქშზ-ის დაარსება ნიშნავდა ფოლადის წარმოებაში ხანგრძლივი აღმავლობის დაწყებას. საბაჟო ბარიერების გაუქმებამ გამოიწვია შიდა ვაჭრობის სწრაფი ზრდა, რომელმაც პირველ 5 წელიწადში 129%-ს მიაღწია. ბაზრების გაფართოებით მქშზ-მ აგრეთვე ხელი შეუწყო კომპანიების შერწყმის პროცესს, დაეხმარა წარმოების რაციონალიზაციას და გაზარდა პროდუქტიულობა. ყოველწლიურად

მსოფლიო მოითხოვდა მეტალურგიის 6%-ით ზრდას. შესაბამისად გაიზარდა ევროგაერთიანების მწარმოებლობა 1962 წელს დაფიქსირებული 93 მლნ.ტონიდან 156 მლნ. ტონამდე 1974 წლისათვის, რამაც მსოფლიო მრეწველობის 22%-ი შეადგინა.

1974 წლიდან სიტუაცია საესებით შეიცვალა. ნავთობის პირველი „კრიზისის“ შედეგად მსოფლიოს მოთხოვნა ფოლადზე 1975 წელს მკვეთრად შემცირდა და შემდგომი 10 წლის განმავლობაში ასეთ დეპრესიაში იმყოფებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ევროგაერთიანების პროდუქციულობა ფოლადის წარმოების დარგში კვლავაც იზრდებოდა, მაღწია რა 200 მლნ. ტონას 1980 წელს, 1983 წლისათვის წარმოება 110 მლნ.ტონამდე შემცირდა. რამდენადაც დარგი მუშაობდა თავისი პროდუქციულობის მხოლოდ 57%-ის დონეზე. 1974 წელს ეს მაჩვენებელი 87% იყო. ფასები სწრაფად შემცირდა იმდენად, რომ კომპანიები უკვე აღარ იძლეოდნენ მოგებას. სამი წლის მანძილზე ფასების ვარდნამ საშუალოდ 45% შეადგინა. მნიშვნელოვანმა ფინანსურმა დანაკარგებმა აიძულა მრავალი ფირმა შეეზღუდა ან შეეჩერებინა საინვესტიციო პროექტები. ინტენსიური გახდა მთავრობების ჩარევა დანაკარგების ჩამოწერის თვალსაზრისით, ხოლო სუბსიდიები ყოველგვარი კონტროლის ზღვარს გადასცდა.

ევროფერ კარტელი ვერ ახერხებს პრობლემების მოგვარებას

1977 წელს კომისიამ დაარწმუნა უმრავლესი მწარმოებლები შეექმნათ ნებაყოფლობითი კარტელი „ევროფერი“, რომელმაც მოითხოვა წარმოების შეზღუდვა ფოლადის თითქმის ყველა სახის პროდუქციაზე და დააწესა მინიმალური „სახელმძღვანელო ფასები“, რომლებიც ჯარიმის სახით დაეკისრებოდა წესების დამრღვევ კომპანიას. დაწესდა საკონტროლო ფასები იმპორტზე და შემოდებულ იქნა ანტიდემპინგური გადასახადი დადგენილ დონეზე დაბალი ფასის მქონე ნებისმიერი სახის იმპორტზე.

სამი წლის განმავლობაში „ევროფერი“-ის საქმიანობა ეფექტური იყო. ფასების დაცემა შეწყდა. ბაზარზე მდგომარეობა გაუმჯობესდა და რამდენიმე ზედმეტი საწარმო დაიხურა. და მინც 1980 წლის ზაფხულში „ევროფერი“ კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რამდენადაც ფასებმა კვლავ დაიწყო ვარდნა. დასავლეთ გერმანულმა ორმა მომგებიანმა ფირმამ - კლინკლერმა და ტისენმა, დაიწყეს

ფასების შემცირება და წარმოების ზრდა. სხვები, მათ შორის ბრიტანეთის ნაციონალიზირებული ფოლადის კორპორაცია წამგებიანი გახდა. ევროგაერთიანების კომისარმა, ეტიენ დაეინიონმა, რომლის პასუხისმგებლობაშიც შედიოდა მრეწველობა, საპასუხოდ მოითხოვა „აშკარა კრიზისის“ მდგომარეობის გამოცხადება და შემდგომ გაცილებით უფრო მკაცრი კარტელის დაარსება, რომლის ძალითაც ფოლადის პროდუქციის 80% სავალდებულო კონტროლის ქვეშ მოექცა, ხოლო დანარჩენი ნაწილი (განსაკუთრებით კი სპეციალური ფოლადები) დაექვემდებარა ნებაყოფლობით ქვოტას. კომპანიებს, რომლებიც გადააჭარბებდნენ ამ კვოტებს დაეკისრებოდათ მძიმე ჯარიმა, რომელიც საკმარისად გაართულებდა კომპანიის საწყისი მდგომარეობის აღდგენას.

მკვეთრმა ვარდნამ...

საფასური, რომლის გადახდაც მრეწველობასა და წვერ მთავრობებს მათთვის გარანტირებული დაცვის სანაცვლოდ უწევდათ, იყო მრეწველობის მკვეთრი ვარდნა, რომელსაც სახელმწიფო სუბსიდების შეჩერება ერთვოდა. თითოეულ წვერ სახელმწიფოს დაევალა შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა და მათ კოლექტიურად შეიტანეს წინადადება წარმოების 19 მლნ. ტონით შემცირებაზე. კომისიის აზრით, ეს არ იყო საკმარისი და საბოლოოდ 1982 წლის ნოემბერში წვერი ქვეყნები დათანხმდნენ წარმოების 30-35 მლნ.ტონით შემცირებაზე. 1985 წლის ბოლოსათვის წარმოება შემცირებულ იქნა 32 მილიონ ტონით. სახელმწიფო დახმარებები, რომლებიც ექსპორტის ხელშეკრულების ძალით პრინციპულად იყო აკრძალული, ნებადართულ იქნა მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი მოხმარდებოდა დარგის რესტრუქტურისადაც, „იქნებოდა დროში შეზღუდული და არ შეუქმნიდა დაბრკოლებებს კონკურენციას“. იმავედროულად შემოღებულ იქნა დახმარებების გაუქმების სპეციალური განრიგი. 1985 წლის 31 დეკემბრისათვის ნაგარაუდები იყო ყოველგვარი სუბსიდების გაუქმება. ამ დღიდან აიკრძალებოდა ნებისმიერი სახის საინვენსტიციო და საოპერაციო დახმარებები ფოლადის წარმოებაში. თუმცა, მომდევნო სამი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყო სუბსიდების გაცემა გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო კვლევისა და განვითარების პროგრამებზე, ისევე როგორც კომპანიის დახურვასთან დაკავშირებული დახმარებები, რომელთა გაცემაც მოხდებოდა ძალზე მკაცრი პირობების საფუ-

ძველზე.

იმედოვნებდნენ, რომ იმავე პერიოდში მოიხსნებოდა სამრეწველო კვოტები და მოხდებოდა ფოლადის სექტორში სრული კონკურენციის აღდგენა. მაგრამ მოთხოვნა ფოლადზე კვლავ დაბალი რჩებოდა და ყველასათვის ცხადი იყო, რომ აუცილებელი იქნებოდა შემდგომი შეზრუდების შემოღება, სანამ დაღმავალი დარგი კვლავ არ აღმოჩნდებოდა სრული კონკურენტუნარიანობის პოზიციაზე. უფრო მეტიც, პროტექციონისტური ზომების გამოყენებით ხდებოდა ჩრდილოეთ ამერიკის მნიშვნელოვანი ბაზრის მზარდი დაცვა ევროგაერთიანების ექსპორტისაგან. 1985 წლის დეკემბერში გადაწყდა, რომ დერეგულაცია განხორციელდება ნაბიჯ-ნაბიჯ, სამწლიანი გარდამავალი პერიოდის მანძილზე და არა ერთ დღეში. ქვოტისადმი დაქვემდებარებული ფოლადის პროდუქციის პროპორცია 1988 წლის მანძილზე 65%-ით შემცირდა. 1987 წლის განმავლობაში კი 45%-ით.

...ხელი შეუწყო ინდუსტრიის გაჯანსაღებას

ფოლადის ინდუსტრიის რესტრუქტურისაცია 1985 წლის ბოლომდე მთავრობებს 33 მლრდ. ეკიუ დაუჯდა. თანმდევი სოციალური პრობლემების გადასაჭრელად კი გაერთიანებამ 5 მლრდ ეკიუზე მეტი დახარჯა. პრობლემებში შედიოდა: გადამზადება, ალტერნატიული სამუშაო ადგილების შექმნა, პენსიაზე ადრე გასვლა და ა.შ. ამ ხნის განმავლობაში გაუქმდა 152000 სამუშაო ადგილი. ინდუსტრია გამოჯანმრთელების გზას დაადგა, რამდენადაც რამდენიმე მსხვილი წამგებიანი კომპანია, როგორცაა „ბრიტანეთის ფოლადი“ კვლავ მომგებიანი ხდებოდა. მაგრამ ეს პროცესი ჯერ შორს იყო დასრულებისაგან და მხოლოდ 1988 წლის იენისში კომისიამ შესძლო გამოეცხადებინა „ამჟამინდელი კრიზისის“ მდგომარეობა მოხსნილად და გაუქმებინა 1980 წლიდან მოქმედი კვოტების სისტემა. დარგის ფინანსები მკვეთრად გაუმჯობესდა, თუმცა ამის მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ სამუშაო ძალის დიდი ნაწილის შემცირებით.

1990-ანი წლების დასაწყისიდან ეკონომიკურ უკუსვლას ახალი სიძნელეები მოჰყვა, რასაც უფრო ართულებდა გამალებული კონკურენცია უცხოელი მომწოდებლების, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის მხრიდან; 1992 წლის ნოემბერში მინისტრთა საბჭომ მიიღო კომისიის წინადადება, ინდუსტრიის შემდგომი რესტრუქტურისაციის შესახებ, რომლის მეშვეობითაც მოხდებოდა წარმოების შეზღუდვა კიდევ 20 მლნ.ტონით, 1991 წლის 137

მლნკონასთან შედარებით. დახურვის პროგრამის შეზღუდვით საბჭომ დაამტკიცა დარგის შემდგომი შეზღუდვით გამოწვეული სიძნელეების შემარბილებელი სოციალური დახმარებების სერია და წინადადებები არა წვერ ქვეყნიდან იმპორტის ღონის შემზღუდველი სატარიფო კვოტების დაწესების შესახებ.

მქვზ. ხელშეკრულება აღარ განახლდება

მქვზ - ხელშეკრულების ვადა იწურება 2002 წელს. 1991 წელს კომისიამ წამოიწყო დებატები, იმის თაობაზე, თუ რამდენად უნდა გაგრძელებულიყო ხელშეკრულების ვადა, რათა ქვანახშირისა და ფოლადის წარმოების დარგები იმავე მდგომარეობაში აღმოჩენილიყვნენ როგორც სხვა დარგები ევრო გაერთიანებაში ყოველგვარი სპეციალური უზრუნველყოფის გარეშე. ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ხელშეკრულებამ უნდა იარსებოს დათქმულ ვადამდე, მაგრამ აღარ უნდა ჰქონდეს ადგილი ვადის გაგრძელების მცდელობებს, კომისიის რეკომენდაციას მხარი დაუჭირა მინისტრთა საბჭომ და მქვზ-ს საკონსულტაციო კომიტეტმა. ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე იწყება ქვანახშირისა და ფოლადის წარმოებაზე დაწესებული გადასახადების თანდათანობითი გაუქმება, თუმცა ისინი იმაზე გაცილებით მეტ მოგებას იძლეოდნენ, ვიდრე საჭირო იყო ამ ორი დარგის შეზღუდვის შედეგად გამოწვეული სოციალური ხარჯების დასაფარად. 1999 წლისათვის მქვზ-ის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 196 მლნ.ეკიუ, რაც გაცილებით ნაკლებია 12 წლით ადრინდელ 339 მლნ.ეკიუზე.

26 ენერგეტიკა

ენერგეტიკის ერთიანი პოლიტიკის შექმნა შენელდა.

ქვანახშირის დარგი მქვშ-ს 1951 წლიდან დაექვემდებარა, ხოლო სამოქალაქო ბირთვული ინდუსტრია, განსაკუთრებით გამოკვლევებისა და განვითარების თვალსაზრისით - ევრატომს 1958 წლიდან. მიუხედავად ამისა გაერთიანება არ ჩქარობდა ენერგეტიკის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ერთიანი სტრატეგიის დაგეგმვასა და განხორციელებას ენერგეტიკულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. 1973 წელს წარმოქმნილმა პირველმა „ნავთობის შოკმა“, რომლისთვისაც ევროგაერთიანება სავალალოდ მოუმზადებელი აღმოჩნდა, განაპირობა პოლიტიკისა და საერთო მიზნების გარკვეული კონვერგენცია მათი კოორდინირების ცენტრალური მექანიზმის შემუშავების გარეშე. ამის შედეგად შეიქმნა ე.წ. „ნახევრად საერთო“ პოლიტიკა, რომელშიც ყველა ძირითადი მიზანი პრინციპულად შეთანხმებული იყო, თუმცა პასუხისმგებლობა გადანაწილებულ იქნა სხვადასხვა სექტორის მიხედვით. უეჭველია, რომ 1970 წლის დასაწყისში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა ევროგაერთიანების „სუსტ ადგილს“, კვლავ ენერგეტიკა წარმოადგენდა, სადაც მომარაგების გარე წყაროები 1991 წელს კვლავ აკმაყოფილებდნენ მთლიანი მოხმარების 50%-ს, მაშინ, როდესაც აშშ-სთვის ეს ციფრი სულ 18% შეადგენდა. უფრო მეტიც, მოსალოდნელი იყო შიდა ენერგეტიკული წარმოების სტაბილურობა ან ვარდნაც კი მაშინ, როდესაც ევროკავშირის მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზრდებოდა განახლებული ეკონომიკური ზრდის ფონზე. 15 წერი კვეყნიდან მხოლოდ ნიდერლანდები და გაერთიანებული სამეფო არიან ენერჯის წმინდა ექსპორტიორები.

1974 წელს პროგრამა ბოლოს და ბოლოს დამტკიცდა

1973 წლის კრიზისის, რომლის დროსაც ნავთობზე ფასები ერთ დღეში გაოთხმაგდა, მოჰყვა 1973 წლის დეკემბერში კოპენჰაგენში გამართული ევროგაერთიანების სამიტის მარცხი, რომელზედაც ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ნავთობის არაბი მწარმოებლების საპასუხო ერთობლივ ქმედებაზე. კერძოდ, საფრანგეთს და გაერთიანებულ სამეფოს ნავთობის მომწოდებლებთან ორმხრივი მოლაპარაკებები უფრო აძლევდა ხელს, ვიდრე გაერთიანების პარტნიორებთან

ერთად გაერთიანებული ფრონტის შექმნა. მხოლოდ 1974 წლის სექტემბერში გახდა შესაძლებელი მინისტრთა საბჭოში ევროკომისიის მიერ შემუშავებული პროგრამის დამტკიცება. პროგრამას ეწოდებოდა „ენერგეტიკის პოლიტიკის ახალი სტრატეგიისაკენ“. პროგრამა, რომლის გადახალისება 1980 და 1986 წლებში მოხდა, წარმოადგენდა ენერგეტიკული პოლიტიკის შესახებ მომდევნო დისკუსიების საფუძველს. როგორც აუცილებელი პრიორიტეტი იქნა გააზრებული იმპორტირებული ნავთობის მომწოდებლებზე დამოკიდებულების შემცირების მნიშვნელობა და მოწოდების განსხვავებული წყაროების არსებობის სასურველობა. ეს მიზნები გაერთიანების მიერ თვალსაჩინო წარმატებით იქნა მიღწეული. 10 წლის მანძილზე გაერთიანებამ ნავთობის იმპორტი ორჯერ შეამცირა, გამოთვლების თანახმად 1983 წლისთვის ენერჯის უფრო ეფექტურად გამოყენების ხარჯზე წლიურად იზოგებოდა 250 მლნ. ტონა ნავთობის ეკვივალენტი, ეს კი წარმოადგენდა 20%-ზე მეტ ეკონომიას. ჩრდილოეთ ზღვის წარმადობამ მიაღწია 130 მლნ.ტონას, იგივე ოდენობა დაიზოგა იმპორტზე, ბირთვული ენერჯის უფრო ინტენსიური გამოყენებით. 1974 წლის მოხსენების 1986 წელს კორექტირებული ვარიანტი ითვალისწინებდა ენერგეტიკის პოლიტიკის ახალ მიზნებს 1995 წლისათვის და ადგენდა, როგორც სექტორულ, ისე პორიზონტალურ გეგმურ მაჩვენებლებს.

სექტორული გეგმები

ეფექტურობა. ძალისხმევა კიდევ უფრო უნდა გაძლიერებულიყო, რათა 1995 წლისათვის, მიუხედავად ნავთობის ფასების ვარდნისა, უზრუნველყოფილიყო მინიმუმ 20%-ით გაუმჯობესება, კომისიას დაევეალა პროგრამების მომზადება ეკონომიკის ყველა სფეროსათვის, იქნებოდა ეს მომსახურება, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა თუ ტრანსპორტი და გაერთიანებისა და ეროვნული საჩვენებელი პროექტების, რომელთა დანიშნულება იყო ახალი აღჭურვილობის სამრეწველო და კომერციული ქმედითუნარიანობის გამოცდა, შედეგების ფართო გავრცელება. 1978-85 წლებში ევროგაერთიანებამ ენერჯის დამზოგველი საჩვენებელი 370 პროექტის მხარდაჭერაზე დახარჯა დაახლოებით 150 მლნ.ეკიუ. მსგავსი, ძირითადად მცირე ან საშუალო

მასშტაბიანი პროექტებისათვის მრეწველობისა და ინფრასტრუქტურებში მსბ-მ გასცა 3,3 მლრდ. ეკიუს ოდენობის სესხები. 1990 წლის ივნისში გაერთიანებამ დაამტკიცა ხუთწლიანი პროგრამა Thermie 350 მლნ. ეკიუს ოდენობის წლიური ბიუჯეტით, რომელიც ფინანსურ დახმარებას გაუწევდა ენერჯის რაციონალურ გამოყენებას განახლებადი ენერჯის, მყარი საწვავის და ნახშირწყალბადების ენერჯის ტექნოლოგიურ პროექტებს.

ნავთობი. 12 წლის მანძილზე ევროგაერთიანებამ ენერჯის მოხმარების სფეროში იმპორტირებული ნავთობის წილი 62%-დან 31%-მდე შეამცირა, თუმცა 1991 წლისათვის ეს ციფრი 35%-მდე გაიზარდა ეკონომიის და შენაცვლების შიდა კვლევების და წარმოების ხარჯზე, წმინდა იმპორტის დონე შენარჩუნებულ უნდა იქნას მთლიანი მოხმარების 1/3-ზე დაბლა. მეტი მხარდაჭერა დასახული ნახშირწყალბადების გამოყენების სფეროში ნოვატორული ტექნოლოგიების შემუშავებისა და კვლევებისათვის.

ბუნებრივი აირი. 1991 წლისათვის არსებული ბუნებრივი აირის საბაზრო წილი - 19,3% 1973 წლიდან 50%-მდე გაიზარდა. ევროპული წარმოების მოსალოდნელი შემდგომი ვარდნის ფონზე უფრო ინტენსიური უნდა გახდეს ბუნებრივი აირის ძიება და მესამე მსოფლიოს ქვეყნებიდან მოწოდების მრავალმხრივობისაკენ სწრაფვა. ამ მიზნების მიღწევას ხელს შეუწყობს მსბ-ს სესხები, რომლებიც მოხმარდება ნავთობსადენების გაყვანას.

მყარი საწვავი. გადაიდგა ნაბიჯები ქვანახშირის, მურა ნახშირის და ტორფის საბაზრო წილის გაზრდის მიზნით (1991 წ. 22,4%). მოუხედავად 1993 წლიდან ქვანახშირის იმპორტის ორჯერ გაზრდისა, მოხმარება ოდნავ შემცირდა, რაც განაპირობა გაერთიანების მიერ ქვანახშირის წარმოების 16%-ით შემცირებამ 1980-იანი წლების შუა პერიოდში. 1989 წლიდან ეს მაჩვენებელი იზრდება. ევროკავშირის მიერ გაცემული გრანტები და სესხები ეხმარება ელექტროსადგურების გარდაქმნას ნავთობიდან ქვანახშირზე და ქვანახშირის გამოყენებას რაიონულ გათბობის სისტემებში. გაერთიანება აგრეთვე აქტიურ მხარდაჭერას უწევს გარემოს ნაკლებ გამაბინძურებელი ტექნოლოგიების სტანდარტიზაციის დახვეწას.

ელექტრო ენერჯის გამომუშავება. ნავთობის ქვანახშირითა და ბირთვული საწვავით შენაცვლებისკენ სწრაფვა, რომელმაც უკვე შეამცირა ნავთობის წილი 50%-დან 25%-მდე, კიდევ უნდა გაგრძელებულიყო 1995 წლისათვის, ამ მაჩვენებლის 15%-ზე ქვემოთ შემცირების მიზნით. უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ბირთვული წილის გაზრდა მაშინდელი 30%-დან 40%-მდე 1995 წლისათვის და 50%-მდე საუკუნის დასასრულისათვის. შორეულ მიზნებად კომისიამ დაისახა ინვენსტიციების ჩადება სწრაფი მოქმედების რეაქტორების ქსელში (რაც ურანის ენერგოპოტენციალს 50-ჯერ გაზრდიდა) და 2005 წლისათვის მათ ეკონომიკურად კონკურენტუნარიანს გახდიდა. 1986 წლის ჩერნობილის კატასტროფამ და ბირთვული ელექტროსადგურების ფუნქციონირებით გამოწვეულმა საზოგადოების შეშფოთების ზრდამ დაარწმუნა კომისია, რომ შემდგომი პროგრესის მიღწევა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის შეცვლის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი. 1986 წლის ივლისში მან მინისტრთა საბჭოში შეიტანა სამოქმედო გეგმის შემუშავების წინადადება უსაფრთხოების ზომებისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევის შესახებ. მიუხედავად ამისა ბირთვული ენერჯის პროექტების შემუშავება შენელდა და 1993 წლისათვის ევროგაერთიანების მთლიან ენერგეტიკაში ბირთვული ენერჯის წილი 14,3%-მდე დაეცა, შემდგომი ვარდნის ტენდენციით.

ენერჯის ახალი და განახლებადი წყაროები. უფრო დიდი ფინანსური მხარდაჭერა უნდა გაეწიოს ახალი ტექნოლოგიების განვითარებას, როგორცაა: ელექტროენერჯის გამომუშავებისათვის, მინი-ჰიდროსადგურების აგება, ნარჩენებისა და ბიომასების, მზის, გეოთერმული და ქარის ენერჯის გამოყენება, რომლებსაც კომისიის აზრით ერთად შეუძლიათ მოხმარების 5%-ის დაკმაყოფილება საუკუნის ბოლოსათვის. კომისიამ 1985 წლისათვის უკვე გასცა გრანტები 500-ზე მეტი საჩვენებელი პროექტის მხარდასაჭერად, ხოლო მსბ-ს მიერ გაცემული სესხები მოხმარდა მხოლოდ 100 საჩვენებელ პროექტს. 1991 წელს საფუძველი ჩაეყარა ტექნოლოგიური განვითარებისა და კვლევის ახალ ხუთწლიან პროგრამას 157 მლნ.ეკიუს ოდენობის ბიუჯეტით.

სამომავლო გეგმები

შიდა ბაზრის სრულქმნა. ნავთპროდუქტების ბაზარი უკვე ღიაა და სულ რამდენიმე ნაბიჯია საჭირო ქვანახშირის ბაზრის შემდგომი გახსნისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ კავშირის შიგნით წარმოებული ქვანახშირის ღირებულება შედარებით მაღალია ისეთი ქვეყნებიდან, როგორცაა პოლონეთი და აშშ იმპორტირებული ქვანახშირის ღირებულებაზე. თუმცა არსებობს შიდა ვაჭრობის გაზრდის კარგი პერსპექტივა გაზისა და ელექტროენერჯის სექტორში ხანგრძლივი კონტრაქტების, საერთაშორისო ინვესტიციების და ეროვნული სისტემების თანამშრომლობის ხელშეწყობით. ამგვარი კავშირებია მაგალითად, საფრანგეთი-გაერთიანებული სამეფო და საფრანგეთი-იტალია, რომელთაც ხელი შეუწყო ქსბ-ს მიერ გაცემულმა სესხებმა. 1990 წელს დამტკიცებულ იქნა უფრო ყოვლისმომცველი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა გაერთიანების მასშტაბით ენერგეტიკული ქსელების ერთმანეთთან დაკავშირებას.

ერთიანი ფასწარმოქმნა. ევროგაერთიანება აქტიურად ცდილობდა უზრუნველყო ყველა ენერგეტიკული სექტორის მიერ ფასწარმოქმნის ერთიანი პრინციპების გატარება. ეს პრინციპები უნდა ყოფილიყო გამჭვირვალე, რეალური და მათ არ უნდა შეეფერხებინათ დარგთაშორისი კონკურენცია: მაგალითად, პოლანდიაში შეჩერებულ იქნა მებაღეებისათვის იაფი ბუნებრივი აირის მიწოდება, რაც მათ საშუალებას მისცემდა გაეთბოთ თავიანთი სათბურები ევროგაერთიანების სხვა ქვეყნების წარმომადგენლებზე უფრო იაფად. 1990 წელს მიღებულ იქნა დირექტივა, რომელიც უზრუნველყოფდა ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის მიწოდებაში ფასების პოლიტიკის გამჭვირვალეობას.

მოწოდების გაძლიერებული უსაფრთხოება. ამის მიღწევა შეიძლება კონკურენტული ევროპული პროდუქციის გამომუშავებით, იმპორტის არხების მრავალნაირობით, მოხმარების მოქნილობის გაზრდითა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებში ფექტური ზომების მიღებით. გაერთიანების კანონმდებლობა ითვალისწინებს ელექტროსადგურებში 30 დღის მოხმარების ოდენობის საწვავისა და მინიმუმ 90 დღის მოხმარების ოდენობის ნავთობის სავალდებულო მარაგების

არსებობას.

საგარეო ურთიერთობები. ევროგაერთიანება ცდილობს ხელსაყრელად გამოიყენოს თავისი, როგორც ენერგეტიკის მთავარი მომხმარებლის (კავშირი მოიცავს მსოფლიო ბაზრის 14%-ს) სავაჭრო ძალაუფლება. 1989 წელს ევროგაერთიანებამ დალო შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ სპარსეთის ყურის ქვეყნებთან, რომლებსაც მსოფლიოში ნავთობის უდიდესი მარაგი გააჩნიათ. მას მჭიდრო ურთიერთობა აქვს OAPEC-თან ნავთობის ექსპორტიორ არაბული ქვეყნების ორგანიზაციასთან (OAPEC - Organisation of Arab Petroleum Exporting Countries.) ბირთვულ სფეროში დადებული გრძელვადიანი ხელშეკრულებები ურანის უმთავრეს მომწოდებლებთან (ავსტრალიას, კანადასა და აშშ-თან) უზრუნველყოფს მოწოდების გარკვეულ სტაბილურობას. კომისია ცდილობს მიაღწიოს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას წევრ ქვეყნებს შორის ბუნებრივი აირის მოწოდების კონტრაქტების თვალსაზრისით. კავშირის 60-მდე პროგრამა ეხმარება განვითარებად ქვეყნებს ფართოდ დანერგონ ახალი ტექნოლოგიები (მზის ენერჯია, ენერჯის დაზოგვა და ა.შ.)

(იხ. ევროპის ქარტია გვ.249)

გარემოს დაცვა. 1989 წლიდან ევროგაერთიანებამ, საზოგადოებრივი აზრის ძლიერი ზეწოლის საპასუხოდ მიიღო ქმედებათა სერია, რომელიც მიზნად ისახავს ენერგეტიკის სექტორის მიზეზით გარემოსადმი მიყენებული ზიანის შემცირებას. გათვალისწინებულია ტყვიის შეუმცველი ბენზინის დანერგვა, ავტომანქანებიდან და ქარხნებიდან ტოქსიკური ნივთიერებების გამოყოფის შემცირება და ნავთისა და ღიზელის საწვავში გოგირდის შემცველობის შემცირება.

რეგიონული განვითარება. ემშპ-ს, მრბშ-სა და მსბ-ს მიერ რეგიონული განვითარების პროექტებისათვის (რომელთა უმრავლესობაც ენერგეტიკის სექტორს ეხება) გაცემული სესხებისა და გრანტების გარდა, 1986 წელს დაარსდა ვალორენის სპეციალური პროგრამა ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში ენერგორესურსების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით. პროგრამა რომლისთვისაც გამოიყო 400 მლნ ეკიუ, ცდილობს გამოიკვლიოს ადგი-

ლობრივი საწვავების (როგორცაა ტორფის და მურა ნახშირის მცირე საბადოები) გამოყენება. ამასთან იგი ხელს უწყობს ენერჯის ეფექტურ გამოყენებას. 1996 წელს ვალორენის პროგრამა ჩართულ იქნა ევროკავშირის პროგრამაში „სპეციალური ქმედება ენერჯის მაღალი ეფექტურობისათვის SAVE II“ 1996-2000 წწ., რომელიც ემსახურებოდა ენერჯის ეფექტურობის წინა პლანზე წამოწევას. ამ პროგრამის თანახმად კომისია აფინანსებს ადგილობრივი და რეგიონული სამმართველოების პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ 100-მდე ადგილობრივ ენერგეტიკულ სააგენტოს.

ტექნოლოგიური ინოვაცია. ევროგაერთიანება აწარმოებს მსხვილ კვლევით დანერგვისა და საჩვენებელ პროგრამებს, რომლებიც ფოკუსირებულია შემდეგზე:

- ბირთვული უსაფრთხოება (რეაქტორის უსაფრთხოება, ნარჩენების მენეჯმენტი, ხლეჩადი ნივთიერებების კონტროლი, რადიო-აქტიურობისაგან დაცვა და ა.შ.);
- კონტროლირებადი ბირთვული სინთეზი;
- მყარი საწვავი;
- ახალი ენერგორესურსები;
- ენერჯის ეფექტურად და გარემოსადმი უსაფრთხო გამოყენება.

კვლევები ძირითადად იწარმოება წვერი ქვეყნების ფირმებისა და ინსტიტუტების მიერ. მაგალითად 1993 წელს პროგრამას Thermie თანახმად (რომლის დანიშნულებაა ენერგეტიკული ტექნოლოგიის წახალისება) კომისიამ 129 მლნ. ეკიუს ოდენობის ფინანსური მხარდაჭერა გაუწია 137 სხვადასხვა პროექტს- ევრატომის მიერ უშუალოდ დაარსებული ოთხი კვლევითი ცენტრი კარლსრუეში (გერმანია), იპარაში (იტალია), გეელში (ბელგია), პეტენში (ნიდერლანდი), რომლებიც ერთად ცნობილია, როგორც ერთობლივი კვლევითი ცენტრი (მკც), მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებს ძირითადად ბირთვული უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სფეროში. ევროგაერთიანების ყველაზე ამბიციური წამოწყება იყო გაერთიანებულ სამეფოში, კალპემში ერთობლივი ევროპული ამჩქარებლის (JET)-ის დაარსება, სადაც კონცენტრირებულია დასავლეთ ევროპული კვლევა ბირთვული რეაქციების სფეროში.

ეს არის ერთ-ერთი მსოფლიოში არსებული ოთხი პროგრამიდან. დანარჩენები ხორციელდება რუსეთში, აშშ-სა და იაპონიაში. ამ ქვეყნებთან მიღწეულ იქნა შეთანხმებები თანამშრომლობასა და ინფორმაციის გაცვლის თაობაზე და ეს ოთხი პარტნიორი შეთანხმდა საერთაშორისო თერმობირთვული ექსპერიმენტული რეაქტორის (სთიპრ)-ის მშენებლობაზე მათი მფარველობის ქვეშ. ეს პროექტი განიხილება, როგორც შემდგომი უდიდესი ნაბიჯი პროგრამაში, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ელექტროენერჯის გამომუშავება უფრო ეკონომიკური, სუფთა და უსაფრთხო გზით, ვიდრე ბირთვული გაზღეჩა. 1999 წლის დასასრულისათვის შეთანხმება სთიპრ-ის მშენებლობის ადგილმდებარეობის შესახებ ვერ იქნა მიღწეული, თუმცა კომისია იმედოვნებს, რომ იგი ევროკავშირის ფარგლებში იქნება.

ამასობაში 1991 წელს წამოიწყო პროგრამა SAVE (Specific Actions for Vigorous Energy Efficiency), რომლის მიზანსაც წარმოადგენდა შემდგომი ხუთი წლის მანძილზე მმკ-ს თითოეულ ერთეულზე, ენერჯის 20%-ით შემცირება, 1993 წელს ამ პროგრამის თანახმად, ენერჯის ეფექტურობის გაზრდის ხარჯზე გადაიდგა ნაბიჯები ნახშირორჟანგის გამოყოფის შეზღუდვისაკენ. მთლიანად განხორციელდა 250 ცალკეული პროგრამა, რასაც მოხმარდა 25,1 მლნ.ეკიუ. 1996 წელს კი ძალაში შევიდა „SAVE II“ პროგრამა საუკუნის ბოლომდე სამუშაოს გაგრძელების მანდატით.

ენერგეტიკული თეთრი ფურცელი. 1995 წლის დეკემბერში კომისიამ მიიღო „თეთრი ფურცელი“ სახელწოდებით „ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა“, რომელიც მიძღვნილი იყო საუკუნის ბოლოსათვის დასახული ამოცანებისადმი. მომავალში განისაზღვრა ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის სამი საყრდენი. საყოველთაო კონკურენცია, ენერჯის მოწოდების უსაფრთხოება და გარემოს დაცვა. ამ პოლიტიკის განხორციელება ძირითადად მოხდებოდა ბაზრების ინტეგრაციის, გარე წყაროებზე დამოკიდებულების მენეჯმენტის და ენერგეტიკაში კვლევისა და ტექნოლოგიისათვის მუდმივი ხელშეწყობისა და განვითარების უზრუნველყოფის გზით. „თეთრი ფურცლის“ პირველ ნაყოფს წარმოადგენდა დირექტივები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ბაზრების ლიბერალიზაციასა და გამჭვირვალობას. 1996 წლის ბოლოს

მიღებულ იქნა დირექტივა ელექტროენერჯის, ხოლო 1998 წელს - ბუნებრივი აირის შესახებ.

ტრანსევროპული ქსელები. 1990 წელს კომისიამ მიიღო ტრანსევროპული ქსელების ტიშ (TENS-Trans-European Networks,) შექმნის პროგრამა ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციის მომზადების და ენერგეტიკის სფეროში. კერძოდ, პროგრამა შეიცავდა წინადადებებს ბუნებრივი აირის და ელექტროენერჯის ენერგეტიკული ურთიერთკავშირის შესახებ. შემოთავაზებულ იქნა ფინანსური ზომები კერძო დაფინანსების წახალისების მიზნით (განსაკუთრებით წინასწარი კვლევების ხარჯების დაფარვის თვალსაზრისით) და იმის უზრუნველსაყოფად, რომ მომავალში ევროკავშირის საბიუჯეტო სახსრებითა და ხარჯებით ოპერირებისას უპირატეობა მიენიჭებოდა ტიშ-ს. კომისიას განზრახული აქვს ფინანსების მიზიდვა კერძო სექტორიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. რაც შეეხება საზოგადოებრივ დახმარებას, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს მხარდაჭერას ევროგაერთიანების მხრიდან, იგი საჭირო გახდება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში. შერწყმის ფონდი, რომელიც შეიქმნა 1991 წლის დეკემბერში მასტრიხტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად აგრეთვე ითვალისწინებს ტიშ-ს დაფინანსებას კავშირის შედარებით ღარიბ ქვეყნებში. ევროკავშირის ყველაზე მსხვილი შენატანი ხორციელდება მსბ-ის სესხების მეშვეობით, რომელმაც 1998 წლისათვის შეადგინა თითქმის 27 მლრდ. ევროაქედან 3,9 მლრდ. ევრო მოხმარდა ენერგეტიკის სექტორს. მრბჴ-მა აგრეთვე გამოყო სუბსიდიები ენერგეტიკის პროექტებზე 2,3 მლრდ. ევროს ოდენობით.

ევროპის ენერგეტიკული ქარტია

ენერგორესურსების მოწოდების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის უდიდესი ინიციატივა შეტანილ იქნა ჰოლანდიის პრემიერ მინისტრის რუდ ლუბერსის მიერ, რომელმაც 1989 წელს წარმოადგინა წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა ევროგაერთიანებასა და საბჭოთა კავშირს შორის ენერგეტიკულ ქარტიაზე ხელის მოწერას, ამ ქარტიის ძალით საბჭოთა ბუნებრივი აირის და ნავთობის ინდუსტრიებისათვის ხელმისაწვდომი გახდებოდა დასავლეთის ნოუ-ჰაუ და ინვესტიციები. სანაცვლოდ საბჭოთა კავშირი

უზრუნველყოფდა მოწოდებას დასავლეთ ევროპაში ხანგრძლივი დროის მანძილზე. ევროპის ქარტია ენერგეტიკის სფეროში ხელმოწერილ იქნა ჰააგაში 1991 წლის დეკემბერში ევროგაერთიანების, ევროპის და მთბო-ს 37 ქვეყნის და 12 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მიერ. მისი მიზანი იყო საწარმოებისათვის სასურველი სამოქმედო გარემოს შექმნა და ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციებისა და ტექნოლოგიის მიზიდვა საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვით. კონკრეტული თანამშრომლობა ითვალისწინებდა შემდეგს:

- ენერგორეზერვების აღმოჩენა და ამოქმედება;
- შეღწევა ბაზარზე;
- ენერგიით ვაჭრობის ლიბერალიზაცია;
- ენერგიის ეფექტურობა და გარემოს დაცვა;
- უსაფრთხოების პრინციპები და საფუძვლები;
- კვლევა, ტექნოლოგიური განვითარება, ინოვაცია და გავრცელება;
- განათლება და მომზადება.

1994 წელს ხელმომწერმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს კიდევ ერთ საპასუხისმგებლო შეთანხმებას, ევროპის ენერგეტიკის ქარტიის ხელშეკრულებას, სადაც მოყვანილი იყო ენერგიით ვაჭრობის ზოგადი წესები, კონკურენციის პირობები, კაპიტალის მოძოვების გზები, გადაცემა და ტრანზიტი, ტექნოლოგიის გადაცემა, გარემოს დაცვა, ინტელექტუალური საკუთრება, ინვესტიციების პირობები და კამათის მოგვარებისათვის საჭირო პროცედურები. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1998 წელს, როდესაც იგი რატიფიცირებული იქნა 38 ქვეყნის, მათ შორის ევროკავშირის 13 წევრი სახელმწიფოს მიერ.

27 ტრანსპორტი

საერთო სატრანსპორტო პოლიტიკის ნელი პროგრესი...

რომის ხელშეკრულების მუხლი 74 ითვალისწინებს საერთო სატრანსპორტო პოლიტიკის შექმნას, მაგრამ ევროგაერთიანების არსებობის პირველი 24 წლის მანძილზე პროგრესი ამ მიმართულებით იმდენად ნელი იყო, რომ 1982 წლის სექტემბერში ევროპარლამენტმა სარჩელი შეიტანა ევროპის სასამართლოში მინისტრთა საბჭოს წინააღმდეგ, ბრალს სდებდა რა მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაში. ეს ქმედება ნაწილობრივ წარმატებული გამოდგა. სასამართლოს აზრით საბჭომ დაარღვია ხელშეკრულება, ვერ უზრუნველყო საერთაშორისო ტრანსპორტის სფეროში მომსახურების თავისუფლება და წევრ ქვეყნებში არსებული ეროვნული ტრანსპორტის სისტემებში არაადგილობრივი სატრანსპორტო კომპანიების დაშვების პირობების შემუშავება. სასამართლომ უარი განაცხადა მხედველობაში მიეღო ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის არარსებობა, რამდენადაც ხელშეკრულებაში ეს პოლიტიკა არ იყო განსაზღვრული იმ სიციხადით, რომ სასამართლოს შეძლებოდა მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. ამასთან სასამართლომ რეკომენდაცია მისცა საბჭოს მუდმივად ემუშავა საერთო სატრანსპორტო პოლიტიკის ჩამოყალიბების მიმართულებით.

... დააჩქარა სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლოს განაჩენს მოჰყვა სატრანსპორტო სფეროში საბჭოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის მკვეთრი დაჩქარება, ნაწილობრივ ევროგაერთიანების შიდა ბაზრის 1992 წლისათვის სრულქმნის განრიგის მიღების სახით. 1991 წელს დამტკიცდა მოხსენება სათაურით „ტრანსპორტი წელს და შემდგომ“, რომელმაც დასახა კონტინენტის მასშტაბით ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემის მიზნები, ეროვნული ქსელების დაკავშირების და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასთან კავშირების გაუმჯობესების სფეროში. ევროგაერთიანების მზარდაჭერის გათვალისწინებით ტრანსპორტი იძლევა ევროკავშირის მთლიანი ეროვნული პროდუქციის 6,5%-ს და ასაქმებს 6 მლნ. ადამიანზე მეტს. ძნელია მისი მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება დასავლეთ ევროპის ინტეგრაციის საქმეში. 1983 წელს ევროკომისიამ

შეიმუშავა პოლიტიკის მთავარი მიზნების მთელი სერია:

- ეროვნული სატრანსპორტო პოლიტიკების მეტი ინტეგრაცია.
- უკეთესი საკონკურსო გარემო სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტის ფარგლებში და მათ შორის
- ევროპული ტრანსპორტის ეფექტურობისა და პროდუქციულობის ზრდა ნაწილობრივ ვიწრო ადგილების მოსპობით და ბიუროკრატიული შეზღუდვების გაუქმებით.
- კავშირის მასშტაბის მნიშვნელობის მქონე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების ფინანსური მხარდაჭერა
- ტრანსპორტის დარგში კავშირის კოორდინირებული მიდგომა უსაფრთხოების, ტექნიკური ჰარმონიზაციის, გარემოს დაცვისა და სამუშაო პირობებისადმი.

1995 წელს კომისიამ მიიღო სამოქმედო პროგრამა 1995-2000 წლებისათვის, რომელშიც მოყვანილი იქნა ტრანსპორტისადმი საერთო მიდგომის საფუძვლები. მიღებული საფუძვლები მოიცავს შემდეგ სფეროებს: ხარისხის გაუმჯობესება, თანამედროვე ტექნოლოგიაზე დაყრდნობილი ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემების განვითარებით, რაც ასევე ხელს შეწყობს გარემოს დაცვას და უსაფრთხოებას, ერთიანი ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესება ეფექტურობის ხელშეწყობის მიზნით, სოციალური სტანდარტების დაცვით სატრანსპორტო მომსახურების არჩევანისა და მომხმარებლისადმი კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნა, ევროკავშირისა და მესამე ქვეყნებთან სატრანსპორტო კავშირის გაუმჯობესებით გარე განზომილების გაფართოება და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში სატრანსპორტო ბაზარზე ევროკავშირის ბიზნესის შეღწევის გაადვილება. შემდგომი პროგრამა - 2000-04 წწ. მეტ ყურადღებას უთმობს გარემოს დაცვის საკითხებს.

მიუხედავად იმისა, რომ კომისია ერთიანი პრინციპების დამკვიდრებით ცდილობდა ერთიანი პოლიტიკის გატარებას ტრანსპორტის სხვადასხვა, ერთმანეთთან განსხვავებული ღონის კონკურენციის მდგომარეობაში მყოფ დარგებში, მას მოუწია უმეტესწილად ინდივიდუური მიდგომის გამოყენება.

გზები.

სწორედ საგზაო ტრანსპორტის სფეროში გადაღვა კომისიამ ყველაზე აქტიური ნაბიჯები ევროგაერთიანების პოლიტიკის მიღების თვალსაზრისით. მას ხშირად წლობით უხდებოდა ლოდინი, სანამ მინისტრთა საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას მის მიერ შეტანილ წინადადებაზე. მის უმთავრეს ინტერესს წარმოადგენდა:

საგზაო უსაფრთხოება. ყოველწლიურად საგზაო შემთხვევების შედეგად იღუპება 50000 ადამიანი და 1,5 მლნ.- იღებს სხეულის დაზიანებას. ღირექტივების სერიამ მოახდინა მუხრუჭების, განათების, საქარე მინების, ხმოვანი სიგნალის ღონეების და ა.შ. სტანდარტების ერთმანეთთან შეთანხმება. 1984 წელს 20 წლიანი დაგვიანების შედეგად დაიღო ხელშეკრულება კომერციული მანქანების წონების და ზომების საერთო სტანდარტების შესახებ. სატვირთო მანქანის მაქსიმალური წონა მაშინ შეადგენდა 40 ტონას (38 ტონას გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში). 1986 წელს მიღწეულ იქნა გადაწყვეტილება მისაბმელიანი სატვირთო მანქანების ღერძზე მაქსიმალური დატვირთვის შესახებ (11,5 ტონა, 10,5 ტონა ირლანდიასა და გაერთიანებულ სამეფოში). 1986 წელი გამოცხადდა საგზაო უსაფრთხოების წლად. კომისიამ შეიმუშავა სამოქმედო პროგრამა, რომელშიც შედიოდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საგზაო ნიშნებთან, მანქანის უსაფრთხოებასთან, მძღოლთა ქცევასა და მომზადებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გააქტიურება. შესაბამისად მიღებულ იქნა ღირექტივები შემდეგ საკითხებზე:

- მანქანების ტექ-დათვალიერება;
- სატვირთო მანქანის ამორტიზაციის სისტემა;
- ავტობუსებსა და სატვირთო მანქანებში სიჩქარის შეზღუდვის ხელსაწყოების დამონტაჟება;
- საშიში საქონლის გადატანასთან დაკავშირებული რისკის შეზღუდვა;
- მძღოლთა სამუშაო საათების შეზღუდვა.

საზღვრების გადაკვეთა. ევროგაერთიანების შიდა ვაჭრობის შემაფერხებელ უღაგო გარემოებას და ხარჯის ძირითად წყაროს წარმოადგენდა შიდა საზღვრების გადაკვეთისას შეყოვნება და

ბიუროკრატიული შემოწმებები. 1992 წლის პროგრამის მიხედვით ამ ბარიერების გასაუქმებლად პროგრესული ნაბიჯები იქნა გადადგმული. 1988 წლის 1 იანვრიდან სატვირთო მანქანებით ევროგაერთიანების შიდა საზღვრების გადაკვეთისას საჭირო 70 სხვადასხვა ფორმას ჩაენაცვლა ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტი მპდ, მოქმედი ასევე მთმპ-ოს ქვეყნების საზღვრების გადაკვეთისას, 1993 წლის 1 იანვარს მპდ-მა მოქმედება შეწყვიტა და საქონლის სასაზღვრო კონტროლი ევროგაერთიანების შიდა საზღვრებზე გაუქმდა.

საქონლის საერთაშორისო ტრანსპორტირება ტრადიციულად იზღუდებოდა ქვოტების და ლიცენზიების მეშვეობით. 1985 წლამდე მოხერხდა საგზაო ფრახტის მხოლოდ 40%-ის ლიბერალიზაცია, მაგრამ 1986 წლის ივნისში მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული შეთანხმების თანახმად ვაჭრობის დარჩენილი ნაწილი პროგრესულად მოექცევა თავისუფალი კონკურენციის სფეროში. 1993 წლამდე გაუქმდა კვოტური შეზღუდვები, თუმცა მხოლოდ 1998 წლის ივნისისათვის მოხდება წევრ ქვეყნებში სატრანსპორტო მომსახურების მოქმედების სრული ლიბერალიზაცია. ამასობაში კომისიამ შემოიღო ფასწარმოქმნის უფრო რაციონალური სისტემა და გამოაქვეყნა სახელმძღვანელო ტარიფების ნუსხა, რომელიც პერიოდულ გადამოწმებას განიცდის.

დასაქმება საგზაო ტრანსპორტის ინდუსტრიაში. 1974 წლიდან გაერთიანებამ შეიმუშავა საგზაო ტრანსპორტის დარგში დასაქმების პირობები განსაკუთრებით პროფესიული უნარის და მომზადების შესახებ. შემოღებულ იქნა მანქანის მართვის მაქსიმალური პერიოდები დღის და კვირის განმავლობაში, ასევე დასვენების სავალდებულო პერიოდები. ამ წესების დაცვას აკონტროლებს ე.წ. „ტაქოგრაფი“ (ცნობილი დამცინავი სახელით „ჯგაშუში კაბინაში“) რომელიც იწერს მართვის და დასვენების დროს და მძიმეწონიანი მანქანების სიჩქარეს.

რკინიგზა.

გაერთიანების ქმედებები რკინიგზის დარგში უმთავრესად ფოკუსირებულია მის რთულ ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელიც

თანდათან უფრო უარესდება საგზაო, საჰაერო და სანაოსნო ტრანსპორტის მხრიდან მზარდი კონკურენციის ფონზე. შემოსავალსა და ხარჯებს შორის არსებულმა სხვაობამ გამოიწვია მწვავე ღეფიციტი. ღეფიციტის კომპენსირება ხდებოდა სუბსიდიებით, რომლებიც მძიმე ტვირთად დააწვა წვერი ქვეყნების ეროვნულ ბიუჯეტებს. მრავალ შემთხვევაში სუბსიდიები წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ნაკისრებ არაკომერციული ვალდებულებების ცნობას, როგორცაა მაგალითად, მგზავრობის დაბალი ფასები და წამგებიანი ხაზების გაგრძელება ნაკლებად დასახლებულ ზონებში.

1960-იანი წლების დასაწყისიდან გაერთიანება ცდილობდა მოეხდინა რკინიგზასა და ტრანსპორტის სხვა სახეობას შორის არსებული კონკურენციის დაბალანსება. მოხდა ფინანსური კონკურენციის წესების ჰარმონიზება, გათვალისწინებულ იქნა რა საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულებები, კაპიტალური და საოპერაციო სუბსიდიები, მთავრობების ფინანსური ჩარევა უფრო გამჭვირვალე გახდა, თუმცა არ შემცირებულა. 1975 წელს მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა ფინანსური გაჯანსაღებისა და სარკინიგზო კომპანიებსა (რომელთაგანაც თითქმის ყველა საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენდა) და სამთავრობო ორგანოებს შორის ურთიერთობების უფრო ნათლად განსაზღვრის საფუძვლები.

სარკინიგზო მომსახურების პროდუქციულობის ეფექტურობის და ხარისხის გასაუმჯობესებლად 1981 წელს კომისიამ შეიტანა წინადადება შეექმნათ მრავალწლიანი პროგრამები, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურასა და მოძრავ შემადგენლობაში ინვენსტირების, საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულებების გადამოწმების და სარკინიგზო მომსახურების დამოუკიდებელი უფლებამოსილების მქონე საეცალიზებული საერთაშორისო კომპანიის ზედამხედველობის ქვეშ მოქცევისათვის. ეს წინადადება ჯერ-ჯერობით არ არის მიღებული მინისტრთა საბჭოს მიერ. კომისიამ მას შემდეგ წარმოადგინა სხვა წინადადებები სარკინიგზო კომპანიების კაპიტალის სტრუქტურის გაუმჯობესებისა და ინფრასტრუქტურის ხარჯების უკეთესად განაწილების შესახებ (საგზაო და სანაოსნო ხარჯები როგორც წესი იფარება ეროვნული ბიუჯეტების მიერ).

1996 წლისათვის კომისიამ გადაწყვიტა, რომ აუცილებელი იყო უფრო რადიკალური სტრატეგია, რათა კავშირის სარკინიგზო სისტემა მთლიანად არ დაქცეულიყო და არ დაეთმო ადგილი

საგზაო ტრანსპორტისათვის საქონლის დიდ მანძილზე გადაზიდვის სფეროში, სადაც რკინიგზას საკონკურენციო და ეკოლოგიური უპირატესობით უნდა ესარგებლა. 1996 წლის იელისში კომისიამ გამოსცა თეთრი ფურცელი სათაურით „გაერთიანების სარკინიგზო სისტემის აღორძინების სტრატეგია“, რომელიც შეიცავდა შორს მიმავალ წინადადებებს რკინიგზის დაფინანსების, რკინიგზაზე საბაზრო მექანიზმების დანერგვის, საზოგადოებრივი მომსახურების უზრუნველყოფის და ეროვნული სარკინიგზო სისტემების ინტეგრაციის შესახებ. ყველაზე უფრო შთაბეჭდვე წინადადებას წარმოადგენდა სარკინიგზო „თავისუფალი გზების“ ქსელის სწრაფი აგება, რომელიც უზრუნველყოფდა ფრაზტის სწრაფ გადაზიდვას კონტინენტის ფარგლებში. თეთრი ფურცელი შეიცავდა რუქას, რომელზედაც ასახული იყო ამ „თავისუფალი გზების“ მარშრუტები. ერთერთი მათგანი, რომელიც სათავეს აიღებდა ლივერპურში, გაივლიდა ლონდონს, შემდეგ ლამანშის გვირაბის გავლით, ლილს, პარიზს, ლიონს, მადრიდს და დასრულდებოდა ლისაბონში. მეორე მარშრუტი გაივლიდა აღმოსავლეთისაკენ ლილიდან ჰანოვერში, ბერლინში, ვარშავაში და დასრულდებოდა მოსკოვში. მეორე აღმოსავლეთ მიმართულება გადიოდა ბრიუსელზე, კიოლნზე, მიუნხენზე, ვენაზე და ბუდაპეშტზე. ჩრდილოეთ - სამხრეთი მიმართულება გადაიჭიმებოდა სტოკჰოლმიდან აპენინის ნახევარკუნძულის ქუსლამდე. 1999 წლისათვის წვერ ქვეყნებს ჯერ კიდევ უწევდათ რეაგირება თეთრი ფურცლის წინადადებაზე, რომლებიც, მათი ეფექტურობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა განხორციელებულიყვნენ.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

ევროგაერთიანებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პროექტების დაფინანსების სფეროში. პროექტები მოიცავდა გზებს, მაგისტრალებს, ხიდებს, გვირაბებს, პორტებსა და აეროპორტებს, არხებს, რკინიგზის მოდერნიზაციასა და ელექტროფიკაციას, უფრო კომფორტული და ეკონომიკური აღჭურვილობის (საჰაერო ტრანსპორტის, ჩქაროსნული მატარებლების და ა.შ.) შესყიდვას. 1993 წლამდე მსბ-მა სესხების სახით გასცა თითქმის 20 მლრდ.ეკიუ. არანაკლები თანხა გაიკა ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის მიერ გრანტების სახით. გაერთიანებული სამეფოს ფარგლებში პროექტების მოსარგებლებები გახდნენ მანჩეს-

ტერისა და ბირმინჰემის აეროპორტები, ტიან-ვიარის მეტრო, მანჩესტერის სამგზავრო რკინიგზა, სვეერნის მეორე ხიდი, რამსგეიტისა და ჰერვიჩის პორტები.

ტრანს-ევროპული ქსელები (ტიმქ). 1990 წელს კომისიამ გამოაქვეყნა წინადადებები ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის სფეროში ტიმქ-ის განვითარებისათვის ხელშეწყობის შესახებ. რკინიგზის განვითარების თვალსაზრისით უმთავრეს გეგმას წარმოადგენდა 2010 წლისათვის ჩქაროსნული ქსელის შექმნა, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდა 9000კმ-ის სიგრძის ახალი ხაზები, 15000კმ სიგრძის მოდიფიცირებული გზა და 1200კმ სიგრძის დამაკავშირებელი გზები მთავარ მაგისტრალებს შორის. გარდა ამისა, დაფიქსირებული იქნა 15 ძირითადი, ხშირად სასაზღვრო რგოლი, სადაც ევროპის ქსელის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი დანერგვა გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. იგი გულისხმობდა აგრეთვე აღჭურვილობის ტექნიკური კონკურენტუნარიანობის სწრაფ პროგრესს. კომისიამ პრიორიტეტულად დაასახელა შემდეგი:

- ზემონახსენები 15 ძირითად მაკავშირებელ რგოლთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა.
- მთავარი მიმართულებები: ჩრდილოეთი მარშრუტი, პარიზი-ლონდონი-ბრიუსელი-ამსტერდამი-კიოლნი, დაკავშირებული სხვა წვერ ქვეყნებთან; სამხრეთის მარშრუტი: სევილია-ბარსელონა-ლიონი-ტურინი-მილანი-ვენეცია, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება ტარვისიოსსა და ტრიესტს, მადრიდი კი ლისაბონსა და ოპორტოს.
- გაუმჯობესებული კომუნიკაცია ირლანდიასთან: დუბლინი-ბელფასტი-კრიუს და დუბლინი-ბელფასტის მარშრუტები.

ამ დროისათვის ევროკავშირი, მსბ-ის მეშვეობით უკვე მხარს უჭერდა ლამანშის გვირაბის დაფინანსებას, რომელიც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ჩქაროსნულ სარკინიგზო ქსელში. მთლიანად 1998 წლისათვის მსბ-მა და სხვა ორგანიზაციებმა ტიმქ-ში ინვენსტირების მიზნით გაიღეს დაახლოებით 48 მლრდ.ეკიუ. მსბ-ის მიერ დაფინანსებული პროექტები 1997-98 წლებში საზოგადოებრივი და კერძო პარტნიორობით მოიცავდა ელბის ახალ გვირაბს ჰამბურგში,

სპატას აეროპორტს და პატრას- ათენი-თესალონიკის საავტომობილო გზატკეცილის ელფუსის-სტაეროსის მონაკვეთს საბერძნეთში. მალპენსოს აეროპორტს იტალიაში და M6 საავტომობილო გზატკეცილის გავრცობასა და მანჩესტერის მეტროს რგოლს გაერთიანებულ სამეფოში. კომისიამ შეიტანა კავშირის გზატკეცილების ქსელის მომავალი პერსპექტივების პარალელური შესწავლის ინიციატივა და რეკომენდაცია გაუწია ევროკავშირის მიერ სამი ტიპის პროექტებისათვის ფინანსურ მხარდაჭერას. ესენია:

- არსებული ქსელების დაკავშირება. ბრენერის მარშრუტი ალპების გადაჭრით იტალიიდან ჩრდილოეთ ევროპამდე; პირენეის გამჭოლი კავშირები: ტულუზა-ბარსელონა პიუმორენის გვირაბის გავლით, რომლის მშენებლობაც 1994წელს დასრულდა ტულუზა-შადრიდი და ბორდო-ვალენსია (სომპორტის გვირაბის გავლით, რომლის მშენებლობაც 1995 წელს დასრულდა).
- კომუნიკაციის გაუმჯობესება დაშორებულ რეგიონებთან: ირლანდიასთან დამაკავშირებელი გზატკეცილი (კრიუსა და პოლიჰედს შორის), ბრინდიზი-პატრას-ათენის გზატკეცილი და მადრიდ-ლისაბონის შემაერთებელი მონაკვეთი.
- სხვა დამაკავშირებელი მონაკვეთები ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით: ათენი-ევზონი-ყოფილი იუგოსლავიის მარშრუტი (შეჩერებული ომის გამო) და კავშირი სკანდინავიის ქვეყნებთან აალბორგ-ფრედრიკსჰაენის გზატკეცილსა და ფემარკის მონაკვეთის მეშვეობით.

შიდა სანაოსნო გზები

შიდა სანაოსნო გზები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირის სხვადასხვა ნაწილში მძიმე მრეწველობის ნაწარმით ვაჭრობის სფეროში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვან სამდინარო სისტემას ქმნის მდინარე რაინი და მისი შენაკადები. 1976 წელს წვერი ქვეყნები შეთანხმდნენ სამდინარო გზების ნაოსნობისათვის ვარვისიანობის შესახებ ერთმანეთის გადაწყვეტილებების ორმხრივ ცნობაზე. 1982 წელს მინისტრთა საბჭომ წარმოადგინა სანაოსნო ტრანსპორტის ტექნიკური მახასიათებლები. 1991 წელს საბჭომ მიიღო ღირეპტივა, რომლის ძალითაც მოხდა კაბოტაჟის ლიბერალიზაცია (საერთაშორისო კონკურენცია წვერ ქვეყნებს შორის სხვა ქვეყნის

ტერიტორიაზე – საქონლისა და მგზავრების გადაზიდვის სფეროში). მიღებულ იქნა სხვა ღირეპტივებიც, რომლებიც ეხებოდა გემის კაპიტანის სერთიფიკატების, ეკიპაჟის ლიცენზიების და მართვის ლიცენზიების ორმხრივ ცნობას.

კომისიამ შეიტანა შემდეგი ინიციატივები:

- ჭარბი ტევადობის ჩამოწერისა, რისი დაფინანსებაც მოხდება მთავრობის მიერ.
- ბაზრის მონიტორინგის სისტემის შექმნისა.
- საერთაშორისო შეთანხმების დადებისა, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალ კონკურენციას რაინ-მაინ-დუნაის არხის მშენებლობის დამთავრებისა და აღმოსავლეთ ევროპიდან გემების შემოღწევისათვის გზის გახსნისთანავე.

საზღვაო გადაზიდვა

1986 წლამდე სულ რამდენიმე შეთანხმება იქნა მიღწეული გაერთიანების მასშტაბით საზღვაო ტრანსპორტის შესახებ, მიუხედავად ამ სექტორის დიდი მნიშვნელობისა ევროგაერთიანების ვაჭრობაში. მისი გარე ვაჭრობის დაახლოებით 95% ხორციელდება ზღვით, იგი დიდ როლს ასრულებს ევროკავშირის შიდა ვაჭრობაშიც ნაწილობრივ იმის გამო, რომ სამ წევრ სახელმწიფოს არ გააჩნია დანარჩენ კავშირთან საერთო სახმელეთო საზღვარი. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტირების დარგის გახსნა საერთაშორისო კონკურენციისათვის ევროკავშირის ინტერესს უნდა წარმოადგენდეს, მინისტრთა საბჭო მხოლოდ 1986 წლის დეკემბერში შეთანხმდა გადაზიდვის საერთო პოლიტიკის უმეტეს ელემენტებზე, რაც საშუალებას მისცემს ევროკავშირს გამოიყენოს თავისი საბაზრო მექანიზმები მსოფლიო ბაზარზე კონკურენციისათვის პოზიციების გასამტკიცებლად. დამტკიცდა ოთხი კანონი, რომლებიც ძალაში 1987 წლის ივლისში შევიდა.

კონკურენცია. ეს კანონი ადგენს კონკრეტულ გზებს, თუ როგორ უნდა იქნას შემოღებული საზღვაო ტრანსპორტის სექტორში ევროკავშირის კონკურენციის ძირითადი წესები.

1962 წლის კანონში, რომელიც კონკურენციის წესებს ეხებოდა უმეტეს ეკონომიკურ სექტორებში ტრანსპორტი არ შედიოდა.

მესამე ქვეყნების მიერ მტაცებლური ფასწარმოქმნა. ეს კანონი ითვალისწინებდა კოორდინირებულ საპასუხო ქმედებებს, რომელთა მეშვეობითაც ევროგაერთიანებას საშუალება ეძლეოდა მიემართა ანტი-დემინგური ზომებისათვის ქვეყნებისა, თუ კონკრეტული კომპანიების წინააღმდეგ. შემოღებულ იქნა საჩივრების გამოძიების პროცედურები და ღრობითი, ან მუდმივი ბეგარა კონკრეტული ქვეყნის ხომალდებზე.

ტვირთვის რეზერვი. ეს კანონი ეხება ევროგაერთიანების კოორდინირებულ რეაგირებას მესამე მსოფლიო ქვეყნების ქმედებებზე, რომლებიც ახდენენ თავიანთი ნავაჭრის ნაწილის რეზერვირებას საკუთარ ხომალდზე. საპირისპირო ზომები მოიცავს ჩატვირთვის, გადატანისა და გადმოტვირთვის ნებართვას და კვტების შემოღებას, გადასახადებისა და ბეგარის დაკისრებას.

მომსახურების თავისუფლება. გაერთიანების გემებს თავისუფლად შეუძლიათ გადაადგილება წვერ ქვეყნებსა და მესამე ქვეყნებს შორის. წვერ ქვეყნებს ეკრძალებათ ისეთი შეთანხმების დადება მესამე ქვეყნებთან, რომელიც შეზღუდავდა გემების შესვლას სხვა წვერ ქვეყანაში.

მეხუთე კანონის მიღება, რომელიც ითვალისწინებდა წვერი ქვეყნების გემების კონკურენციას სხვა წვერ ქვეყნებთან სანაპირო ვაჭრობაში (კაბოტაჟი) და გადაზიდვის საერთო პოლიტიკის შექმნის დასრულებას, ღრობით გადაიღო. ამან სათავე დაუდო ამ კანონის მომხრე ჩრდილოეთის წვერი ქვეყნების და რამოდენიმე სამხრეთ ქვეყნის, რომლებიც ამართლებდნენ ეროვნული შეზღუდვების შენარჩუნებას, ცალ-ცალკე დაჯგუფებას. განსაკუთრებით ნაკლებ ენთუზიაზმს იჩენდა ესპანეთი სხვა წვერი ქვეყნებისათვის კანარის კუნძულებსა და კონტინენტურ ესპანეთს შორის ვაჭრობაში კონკურენციის ნების დართვის მიმართ. საბერძნეთს კი, თურქეთის გაწვერიანების შემთხვევაში სურდა კვლავაც გამოერიცხა თურქეთის გემების ნაოსნობა საბერძნეთის კუნძულებს შორის. შეთანხმება კაბოტაჟის პრინციპების შესახებ მიღწეულ იქნა 1991 წელს, თუმცა, ჯერ კიდევ, მრავალი წელია საჭირო საერთაშორისო კონკურენციის რეალური ჩამოყალიბებისათვის.

ლა კორუნიასა და შეტლანდის კუნძულებთან მომხდარი ტანკე-

რების კატასტროფის შედეგად ევროკომისიამ და მინისტრთა საბჭომ 1993 წელს შეიქმნა ევროკავშირის პოლიტიკა ზღვაზე უსაფრთხოების ზომების დაცვის შესახებ, რათა მოეხდინათ ინდივიდური წევრი ქვეყნების კოორდინირება და უზრუნველყოთ საერთაშორისო კანონების უფრო ეფექტური განხორციელება. კომისიამ მოამზადა ღირეპტივები და კანონები შემდეგი საკითხების შესახებ.

- გემების დათვალიერების საერთო წესების შექმნა;
- ეკიპაჟის მომზადების სავალდებულო მინიმალური დონის დადგენა;
- ნავთობშიდი ტანკერების ბალასტის მოთხოვნილებების რეგულირება;
- ხომალდების ევროსისტემის არღიცხვის შექმნა;
- სამიში და დამაბინძურებელი საქონლის გადატანის რეგულირება.

1998 წელს მიღებულ იქნა ევროკავშირის სხვა რამდენიმე ინიციატივა, მათ შორის: უსაფრთხოების საერთო წესები „ბორბლებიდან ბორბლებზე“ ტიპის ბორნებზე და ჩქაროსნულ სამგზავრო ტრანსპორტში. წინადადებები პორტში გემებზე არსებული ნარჩენების და ტვირთის ნაშთის მიძღები საშუალების გაუმჯობესების შესახებ, ღირეპტივები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული სამუშაო საათების შემოღების შესახებ. გაერთიანების მასშტაბით მოქმედ ყველა სახის ტრანსპორტზე (მათ შორის მესამე ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავ ხომალდებზე) უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების შემოღების და სამგზავრო გემების მგზავრების შემოწმების შესახებ.

საჰაერო ტრანსპორტი.

საჰაერო ტრანსპორტი წლების მანძილზე ის დარგი იყო, სადაც გაერთიანებას მინიმალური გავლენა ჰქონდა და სადაც საკონკურენციო წესები ქაღალდზე რჩებოდა. მთელი სისტემის კონტროლი ხდებოდა მთავრობათაშორისი და ავიახაზებს შორის დადებული ხელშეკრულებების სერიით, რაც ფაქტიურად გამორიცხავდა ყოველგვარ კონკურენციას და განაპირობებდა საჰაერო ტრანსპორტზე მსოფლიოში თითქმის ყველაზე მაღალი ფასების არსებობას. ფასი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე, ვთქვათ ჩრდილოეთ ამერიკის მსგავსი დისტან-

ციის მარშრუტზე. 1986 წლამდე ევროგაერთიანების საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლებოდა კატასტროფების შემთხვევებში თანამშრომლობის, საჰაერო ხომალდების ხმაურის შემცირების, ვერტმფრენებისა და გაერთიანების რამდენიმე რეგიონულ ცენტრს შორის მარშრუტის გახსნის შესახებ ღირებულებების მიღებით.

1986 წლის აპრილში ევროპის სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ მწვანე შუქი მისცა კომისიის გააქტიურებას. ფრანგული სამოგზაურო ფირმა „ნუველ ფრონტიერ“-ის საქმის თაობაზე, რომელმაც უგულებელყო საფრანგეთის სამოქალაქო ავიაციის კოდექსის თანახმად მიღებული დადგენილება ფიქსირებული ფასების შესახებ, სასამართლომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: ევროგაერთიანების საყოველთაო საკონკურსო წესები გამოყენებადი იყო საჰაერო ტრანსპორტის მიმართაც და რომის ხელშეკრულების ძალით წვერი ქვეყნების მეთაურებს ევალებათ არ მიიღონ საჰაერო ტარიფები იმ შემთხვევაში, თუ ისინი განპირობებულია ავიახაზებს შორის დადებული ხელშეკრულებით, ან შეთანხმებული პრაქტიკით. საჰაერო ტრანსპორტზე კონკურენციის წესების გავრცელების თაობაზე სპეციალური კანონის არარსებობის გამო ამის გადაწყვეტა ეწინააღმდეგება თუ არა, საჰაერო ტარიფების შეთანხმება-ხელშეკრულებაში მოყვანილ კონკურენციის წესებს, შედის კომისიის - (89 მუხლის თანახმად) და წვერი ქვეყნების ანტიისატრასტო სამმართველოების კომპეტენციაში (მუხლი 88). აქედან გამომდინარე, კონკურენციის მაშინდელი კომისარი, პიტერ საზერლენდი იურიდიული სანქციებით დაემუქრა ათ წამყვან ევროპულ ავიახაზს, თუ ისინი არ გააუქმებდნენ, ან რადიკალურად არ შეცვლიდნენ ფასების ფიქსირების შესახებ დადებულ ხელშეკრულებებს. რამოდენიმე თვის წინააღმდეგობის შემდეგ, 1987 წლის აპრილში, ათივე ავიახაზმა განაცხადა, რომ ისინი დააკმაყოფილებდნენ მოთხოვნას, თუმცა კონკურენტული ტარიფების შემოღება კვლავ დამოკიდებული იყო ავიახაზებსა და ეროვნული მთავრობებს შორის დადებული ორმხრივი შეთანხმებების შესწორებაზე ან გაუქმებაზე, მთავრობათაგან კი მხოლოდ რამდენიმე იყო მზად ამგვარი რადიკალური ცვლილებების განსახილველად.

იურიდიულ ინიციატივასთან ერთად კომისარი ცდილობდა უზრუნველყო პოლიტიკური კომპრომისის მიღწევა, რაც შესაძლებელს გახდიდა ტარიფების ნაწილობრივ ლიბერალიზაციას მაინც. ხანგრძლივი და მტკივნეული მოლაპარაკებების შედეგად 1987

წლის ივნისში ამგვარი კომპრომისი მიღწეულ იქნა მეტწილად ტრანსპორტის მინისტრთა მიერ. კომპრომისში შედიოდა: მგზავრობის შეღავათიანი ფასები, გადაზიდვის მოცულობათა განაწილება, არსებულ მარშრუტებზე ახალი კონკურენტების შემოსვლა, რეგიონული და საკვანძო აეროპორტების დაკავშირება, შუალედურ წერტილებში მგზავრების აყვანა-ჩამოსმის უფლება და ევროგაერთიანების საკონკურენტო წესებიდან განთავისუფლების პირობები. კომპრომისს დაუყოვნებლივ დაადო ვეტო ესპანეთმა, იმ არგუმენტით, რომ შეთანხმებაში ჰიბლარტარის, როგორც გაერთიანებული სამეფოს რეგიონულ აეროპორტის სახით ჩართვა უგულვებელყოფდა ჰიბლარტარზე ესპანეთის უფლებამოსილების პრეტენზიას.

გაერთიანებულ სამეფოსთან ჰიბლარტარის აეროპორტის გამოყენების შესახებ ორმხრივი გარიგების შედეგად 1987 წლის დეკემბერში ესპანეთმა ვეტო მოხსნა. კომპრომისული შეთანხმება ძალაში შევიდა 1988 წლის იანვარში. 1991 წელს კომისიამ მიიღო ლიბერალიზაციის მესამე პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა 1993 წლიდან ევროპის ავიახაზებს შორის სრული კონკურენციის შემოღებას. 1992 წლის მარტში ევროგაერთიანებამ მიიღო პრინციპული შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ავიახაზებს უფლება ეძლეოდათ საკუთარი ფასების დაწესებისა საერთაშორისო მარშრუტებზე, აქ ფაქტიურად ჩიხი წარმოიქმნა პროექტის დროში განაწილების თაობაზე. გაერთიანებული სამეფო და ნიდერლანდები მოითხოვდნენ თავისუფალი ბაზრის შემოღებას 1993 წლის დასასრულიდან, საფრანგეთი და სხვა წევრი ქვეყნები კი ემზრობოდნენ ექვსწლიან „გარდამავალ პერიოდს“. საბოლოოდ 1992 წლის ივნისში მიღწეულ იქნა ოთხწლიანი კომპრომისი და 1997 წლის მარტიდან ავიახაზებს მიენიჭათ საკუთარი ფასების დაწესებისა და ევროკავშირის ფარგლებში ნებისმიერი მიმართულებით ფრენის უფლება.

ხელშეკრულების მთავარი მოსარგებლები არიან კავშირის სწრაფად მზარდი კერძო ავიახაზები, რომლებიც შედარებით ნაკლები დამატებითი ხარჯები აქვთ და შეუძლიათ უმეტეს სახელმწიფო ორგანიზაციებზე უფრო დაბალი ფასების დაწესება. ლიბერალიზაციის მოწინააღმდეგეებმა მაინც შეძლეს ახალი კონკურენტებისათვის ხელის შემშლელი საკმარისი „გარანტიის“ მოპოვება. 1980-იან წლებში განხორციელებული დერეგულაციის შემდგომ ამერიკულ ავიახაზების მომგებიანობის ვარდნის მსგავსი მოვლენის თავიდან აცილების მიზნით, ევროკავშირის მთავრობებს მიეცათ შესაძლებლობა კომისი-

ისათვის საჩივრის წარდგენისა, თუ რომელიმე კომპანია ძალზე მცირე ფასს დაადებდა ბილეთებს.

კომისიის მცდელობები ეწარმოებია მოლაპარაკებები ლიბერალიზაციის თაობაზე მესამე ქვეყნებთან, განსაკუთრებით აშშ-სთან, ჩაიშალა რამდენიმე წევრ სახელმწიფოს, განსაკუთრებით გაერთიანებული სამეფოს უარის გამო, მიეცა კომისიისათვის მისი სახელით მოლაპარაკებების წარმოების უფლება.

შედეგად აშშ-მა გარკვეულწილად შეძლო ევროკავშირის მთავრობების ერთმანეთზე წაკიდება და მათ მიმართ გამორჩევით მიდგომა იმ ვარაუდით, რომ ერთობლივი გამოსავალი ნაკლებად მომგებიანი იქნებოდა ევროპის ავიახაზებისა და მომხმარებლებისათვის, ვიდრე სხვა ვარიანტი. 1999 წლის ბოლოსათვის ამ საკითხებზე გადაწყვეტილება არ იქნა მიღწეული. კომისია კვლავ მოითხოვდა უფლებამოსილებას ამ სფეროში და იმუქრებოდა წევრი ქვეყნების მიერ დადებული ორმხრივი შეთანხმებების ევროპის სასამართლოში გასაჩივრებით.

28 თევზის რეჟვა

თევზის რეჟვის საერთო პოლიტიკა გათვალისწინებული იყო რომის ხელშეკრულების 38-ე მუხლში, საერთო აგრარული პოლიტიკის მსგავსად. მიუხედავად ამისა, 1966 წლამდე არ ყოფილა შეტანილი არანაირი წინადადება ამგვარი პოლიტიკის თაობაზე. საერთო პოლიტიკის საბოლოოდ განსაზღვრას კი კიდევ 17 წელი დასჭირდა.

თევზჭერის საწყისი პოლიტიკა პრობლემებს ქმნის

1970 წელს ექვსი თავდაპირველი წევრი სახელმწიფო შეეცადა დაედგინა გაერთიანების თევზის რეჟვაში თავისუფალი შეღწევის პრინციპი, მაგრამ მაშინდელ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებების მოქმედების ასპარეზი საკმაოდ შეზღუდული იყო. შეიქმნა თევზის საერთო ბაზრის ორგანიზაცია, მათ შორის, ფასების მხარდევრის მექანიზმი და მიღებულ იქნა გაერთიანების ბაზრის დამცავი ზომები, სექტორის მოდერნიზების და მასში კონკურენციის თანაბარი პირობების უზრუნველყოფის მიზნით გაერთიანებას დაევალა წევრი ქვეყნების სტრუქტურული პოლიტიკის კოორდინირება და მათი მხარდაჭერა ფინანსური ინტერვენციით. ამ გადაწყვეტილების მიღების დრო ვერ იყო ხელსაყრელი, რადგანაც იგი დაემთხვა დანიასთან, ირლანდიასთან, ნორვეგიასა და გაერთიანებულ სამეფოსთან - თევზის უმსხვილეს მწარმოებელ ქვეყნებთან გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დასკვნით ეტაპს. როგორც ჩანს, თავდაპირველ ექვს წევრ-ქვეყანას განზრახული ჰქონდა მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღება, ვიდრე ახალ წევრ ქვეყნებს მათი გავლენის გამოყენების შესაძლებლობა მიეცემოდათ. შედეგად ნორვეგიაში გამართულ რეფერენდუმზე ხმების მცირედმა განსხვავებამ განაპირობა გაწევრიანების პირობებზე უარის თქმა. მიმომხილველების აზრით გაწევრიანების წინააღმდეგ ხმების ასეთ გადანაწილებაზე გამომწვევით მნიშვნელობა იქონია თევზის რეჟვის პოლიტიკამ. სამ პრედენდენტ ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრი შერბილებულ იქნა ბოლო წუთს დადებული ხელშეკრულებით, რომლის თანახმადაც ყველა წევრ ქვეყანას 1982 წლის ბოლომდე შეეძლებოდათ თევზჭერის შეზღუდვა ექვსი მილის სანაპირო ზოლში, ხოლო ზოგიერთ ზონაში 12

მილის სიგანის ზოლში იმ ხომალდებით, რომლებითაც ტრადიციულად ხდებოდა თევზჭერა ამ წყლებში.

თევზჭერის ექსკლუზიური ზონების გაფართოება

1982 წლის ბოლო ვადის დადგომამდე, დიდი ხნით ადრე, ნათელი გახდა, რომ ევროგაერთიანების წყლებში თევზის რესურსების შენარჩუნების მიზნით საჭირო გახდებოდა უფრო დეტალური მიდგომის შემუშავება. 1975 წლიდან ატლანტიკის აუზის რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის ისლანდიამ, ნორვეგიამ და კანადამ გაზარდეს თავიანთი ექსკლუზიური თევზჭერის ზონები 200 საზღვაო მილამდე. ეს ლიმიტები შემდგომში დამტკიცებული უნდა ყოფილიყო კონვენციით საზღვაო კანონის შესახებ. შედეგად უნდა მიმხდარიყო ამ წყლებიდან ევროგაერთიანების მრავალი თევზსაჭერი გემის და მესამე ქვეყნების ტრაულერების გაყვანა, რომელთა უმრავლესობაც თავისი ძალისხმევის კონცენტრირებას ჩრდილოეთის ზღვაში ახდენდა, და რომელსაც ჭარბი თევზჭერა სერიოზულად ემუქრებოდა.

თავდაცვის მიზნით 1977 წელს გაერთიანებამაც გაზარდა თევზჭერის ლიმიტი 200 მილამდე, თავის თავზე აიღო რა პასუხისმგებლობა ზღვის დიდ ნაწილზე, სადაც წვერი ქვეყნების მეთევზეებს შორის კონკურენცია ინტენსიური ხდებოდა. ამ ლიმიტებთან დაკავშირებით გაიმართა ცხარე კამათი, რომელშიც განსაკუთრებით გაერთიანებული სამეფო აქტიურობდა, იმის თაობაზე, თუ რა ფარგლებში შეეძლო წვერ ქვეყანას განეცხადებინა პრეტენზია სანაპირო წყლებში მუდმივ და ექსკლუზიურ უფლებებზე.

შეთანხმება თევზჭერის საერთო პოლიტიკის თაობაზე.

1974 წელს ევროკომისიამ წარმოადგინა წინადადებები, მაგრამ მხოლოდ 1983 წლის დასაწყისისათვის, დანიასთან მწვავე მოლაპარაკებების შემდეგ, დიდი გაჭირვებით მოხერხდა შეთანხმების მიღწევა. თევზჭერის საერთო პოლიტიკის შესახებ. იგი მოიცავს შემდეგ ძირითად ასპექტებს:

თევზჭერის ზონა. პრინციპში კავშირის წყლები ღიაა ევროკავშირის ყველა მეთევზისათვის 200 მილის საზღვრებში ატლანტიკიდან ჩრდილოეთი ზღვის ნაპირებამდე. ხმელთაშუაზღვასა და ბალტიის ზღვაზე ლიმიტები უფრო შეზღუდულია. წვერ ქვეყნებს შეუძლიათ ლიმიტების შენარჩუნება თავიანთ სანაპიროდან 12 მილის

ფარგლებში, სადაც თევზის რეწვა შეუძლია საკუთარ ფლოტს და ტრადიციული უფლებების მქონე გემებს წვერი ქვეყნიებიდან. გარდა ამისა, პოტენციურად საფრთხის ქვეშ მყოფ თევზის ჯიშების ჭერა ორკნებისა და შეტლანდის კუნძულების გარშემო 12 მილზე მეტი ზონის ფარგლებში ექვემდებარება კავშირის ლიცენზიის სისტემას. ეს ზომები იარსებებს 20 წლის მანძილზე, თუმცა შეიძლება ათი წლის შემდეგ განახლდნენ.

თევზის მარაგი. ამ მაჩვენებლის დაცვა და მართვა ხდება ნებადართული ჭერის მთლიანი მოცულობის ფიქსირებით, რომელიც თანხმდება მინისტრთა საბჭოში და ვრცელდება განადგურების საფრთხის წინაშე მყოფი თევზის სახეობებზე. მისი დარეგულირება ხდება წვერ ქვეყნებზე კვოტის დაწესებით.

თევზის მარაგების დაცვა. შესაბამისი ქმედებები შეიცავს მეცნიერული მიდგომით განსაზღვრული ლიმიტებით გარკვეულ ზონებში თევზაობის, ბადის მინიმალური უჯრედის ზომის და ზოგ შემთხვევაში, დაჭერილი თევზის მინიმალური ზომების რეგულირების ღონისძიებებს. კომისიის თანხმობით წვერ ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ მარაგების დაცვის დამატებითი ზომები, მაგრამ ისე, რომ ამან არ მოახდინოს სხვა წვერი ქვეყნების დისკრიმინაცია.

ინსპექცია. ზომები, როგორცაა სავალდებულო აღრიცხვის ჟურნალები, პორტის ინსპექცია და ა.შ. გამოიყენება წვერი ქვეყნების მიერ კომისიის ზედამხედველობის ქვეშ, რომელსაც ამისათვის გააჩნია ინსპექტორთა ჯგუფი.

მარკეტინგი. ხარისხის, ზომის, წონის, წარდგენის და შეფუთვის სტანდარტები გამოიყენება მთელ კავშირში, მეტწილად მწარმოებელთა ორგანიზაციების მიერ და კომისიის ინსპექციისადმი დაქვემდებარებით. „სახელმძღვანელო ფასებს“, ისევე, როგორც 70-90%-ან გასვლის ფასებს ადგენს მინისტრთა საბჭო, რამდენადაც კავშირი ახდენს ბაზრიდან მეთევზის გასვლის კომპენსირებას. საექსპორტო ანაზღაურება მოქმედებს, როგორც წესი, იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმძღვანელო და გასვლის ფასები აღემატება მსოფლიო ფასებს. თუ ევროპული მოწოდება მიჩნეულ იქნება არასაკმარისად, საბაჟო

გადასახადი იმპორტზე დროებით გაუქმდება, როგორც ეს მოხდა ბოლო წლებში თინუსსა და ვირთევაზე.

საერთაშორისო ურთიერთობები. ეკვივალენტური შეთანხმებები დაიღო რამდენიმე ქვეყანასთან, როგორცაა ნორვეგია, ფარერის კუნძულები, კანადა და აშშ, რაც აძლევდა მათ ერთმანეთის წყლებში და ბაზრებზე შეზღუდული შეღწევის უფლებას. აფრიკის განვითარებად ქვეყნებთან და ინდოეთის ოკეანის აუზის ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებით ევროკავშირის გემებს ეძლევათ თევზის რეწვის უფლება მათ წყლებში ტექნიკური და ფინანსური დახმარების სანაცვლოდ.

ევროკავშირი მსოფლიო წარმოებაში მეოთხე ადგილს იკავებს

1986 წელს ესპანეთისა და პორტუგალიის გაწვევრიანებამ გააორმაგა გაერთიანების მეთევზეთა რიცხვი, (ახლა დაახლოებით 300000-ია) გაზარდა თევზის რეწვის ფლოტის ტონაჟი 65%-ით, ხოლო მთლიანი თევზჭერა -30%-ით. ევროკავშირის ახლა მსოფლიო თევზჭერაში მეოთხე ადგილი უკავია. ესპანეთსა და პორტუგალიას მოუხდათ თავიანთი თევზჭერის პოლიტიკის მორგება თევზჭერის საერთო პოლიტიკასთან. სანაცვლოდ კი მიიღეს ორმხრივი შეღწევა თევზჭერის რამდენიმე ზონაში, რომელთაგან ნაწილი ხელახლა უნდა განხილულიყო 1995 წლამდე. 1994 წლის მარტში ნორვეგიის გაწვევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების მიმდინარეობისას მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ ესპანეთი და პორტუგალია მიიღებდნენ სრულ შეღწევას ევროკავშირის წყლებში 1995 წლის 1 იანვრიდან.

ამდროულად გაერთიანებამ უფრო ინტენსიურად დაიწყო ფინანსური დახმარებების გაწევა თევზჭერის ფლოტის რესტრუქტურისა და რეგულირებისათვის - ჭარბი პროდუქციულობის შემცირებისათვის, დანიშნული გრანტებით გემების აგებისა და მოდერნიზაციის, აკვაკულტურის განვითარებისა და დამუშავების და მარკეტინგის გაუმჯობესების სფეროში, 1998 წელს ევროკავშირმა მიიღო კანონი, რომელიც კრძალავდა ტივტივა ბადის გამოყენებას ზომალდების მიერ ბალტიის ზღვის გარდა ევროკავშირის ყველა წყლებში და ევროკავშირის ზომალდების მიერ სხვა წყლებში. ეს კანონი ძალაში 2002

წლის I იანვარს უნდა შესულიყო და თან უნდა დართვოდა სოციალური ზომები და მეთევზეთათვის კომპენსაციის გაცემა.

თევზჭერის საერთო პოლიტიკა უმეტესწილად სპპ-ს მოდელს ეყრდნობა, თუმცა მისი ხარჯები გაცილებით ნაკლებია. 1999 წლისათვის მთლიანმა ხარჯებმა შეადგინა 857 მლნ-მდე ეკიუ, რაც უღრის მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 0,9%-ს.

29 ბარემოს დაცვა

რომის ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული არანაირი იურიდიული ნორმა გარემოს დაცვის ევროგაერთიანების საერთო პოლიტიკის შესახებ, თუ არ ჩავთვლით 235 მუხლს, რომელიც მინისტრთა საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე განახორციელოს შესაბამისი ზომები გაერთიანების მიზნების მისაღწევად. ეს ხარვეზი, რომელიც ასახავდა გარემოს მდგომარეობით დაინტერესების უკმარისობას 1950-იან წლებში გარკვეულწილად გამოსწორებული იქნა საგანგებო ევროპული აქტის მეშვეობით, რომელიც 25-ე მუხლში ადგენს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მოქმედებების მიზნებს

- გარემოს თვისობრიობის შენარჩუნება, დაცვა და გაუმჯობესება;
- ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვა;
- ბუნებრივი რესურსების გონივრული და რაციონალური გამოყენება.

1973 წლიდან მიღებული პროგრამები

არ არის გასაკვირი, რომ ამ სფეროში ევროგაერთიანების კომპეტენციის განსაზღვრის არარსებობის გამო გაერთიანების პოლიტიკა გარემოს დაცვის სფეროში ვითარდებოდა ნაკლებად შესამჩნევი, თავისებური სახით. მინისტრთა საბჭომ, მხოლოდ 1985 წელს შეიმუშავა სამოქმედო პროგრამა გაერთიანებაში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მდგომარეობის შესწავლის მიზნით. და მანც 1973 წლიდან მოყოლებული საბჭომ მიიღო ხუთწლიანი სამოქმედო პროგრამების სერია, რომელმაც დაბინძურების სერიოზული პრობლემებისადმი სასწრაფო საპასუხო ქმედებებს საბოლოოდ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთო სტრატეგიის ფორმა მისცა. ძირითად სფეროებში, რომლებზედაც ევროკავშირმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება შედის:

წყლის დაბინძურება. დამტკიცებულ იქნა მრავალი დირექტივა, რომელიც ეხება ზედაპირული, მიწისქვეშა, მტკნარი, თუ მლაშე წყლის დაცვას. შემოღებულ იქნა ხარისხის სტანდარტები საბანაო, სასმელ წყალზე, თევზისა და მოლუსკების მოსაშენებელ წყალზე. მკაცრად კონტროლდება წყალში ტოქსიკური ნივთიერებების ჩაღვრა,

დაწესებულია ლიმიტები ვერცხლისწყლის პრეპარატების, კადმიუმის, ლანთანის დღტ-ს, პენტაქლოროფენოლის, ნახშირტეტრაქლორიდის შემცველობაზე შემოღებულია სპეციალური წესები ტიტანის დიოქსიდის წყალში ჩაღვრის (რაც წითელ ლაქებს იწვევს) კონტროლზე და თანდათანობით შემცირებაზე. კავშირი მონაწილეობს რამდენიმე კონვენციაში, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს დაბინძურების შემცირება ისეთ საერთაშორისო სანაოსნო გზებზე, როგორიცაა: მდინარე რაინი, ჩრდილოეთ ატლანტიკა, ჩრდილოეთის ზღვა და ხმელთაშუა ზღვა.

ატმოსფეროს დაბინძურება. მიუხედავად მიღებული ღირეპტივების სერიისა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: გოგირდის ორჟანგის გამოყოფა, ქლოროფლუორკარბონის გამოყენება აეროზოლის ბალონებში, ინდუსტრიული საწარმოების მიერ დაბინძურების კონტროლი, პროგრესი ორ უმთავრეს სფეროში ნელა მიიღწევა. ესენია: დაბინძურება ღიდი გამონაბოლქვის მქონე ქარხნებიდან, განსაკუთრებით თბოენერგოსადგურებიდან და ავტომობილების გამონაბოლქვი. ეს ორი ფაქტორი იწვევს ტყეების მასშტაბურ განადგურებას მუავე წვიმებით და საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას. 1985 წლის მარტში საბჭომ მიაღწია შეთანხმებას ბენზინში ტყვიის შემცველობის შესახებ (რომლის თანახმადაც 1989 წლის 1 ოქტომბრიდან) ტყვიისშემცველი ბენზინი გაერთიანებაში ხელმისაწვდომი გახდებოდა, მაგრამ, მხოლოდ 1987 წლის ივლისში, საგანგებო ევროპული აქტის მიერ გათვალისწინებული ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა კანონების სერია ავტომობილების გამონაბოლქვის შემცირების შესახებ. ევროკომისიამ წამოიწყო მნიშვნელოვანი სამოქმედო პროგრამა, რომელიც შეისწავლის სათბურის ეფექტს და დაადგენს ატმოსფეროს დათბობის თავიდან აცილების გზებს. დადგენილია სპეციალური ზომების მიღება ისეთი ნივთიერებებით, როგორიცაა ფოტოქიმიური ოქსიდანტები, დაბინძურების შესამცირებლად.

ხმაური. მიღებულ იქნა ღირეპტივები, რომლებიც ახდენენ მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანების, მოტოციკლების, ტრაქტორების, ზებგერითი თვითმფრინავების, გაზონების საკრეჭი მანქანების და სამშენებლო ტექნიკის ხმაურის მაქსიმალური დონის დადგენას. საყოფაცხოვრებო ტექნიკის ხმაურის დონე უნდა იყოს

მოცემული მის შესაფუთზე. განიხილება ვერტიფერებისა და ლოკომოტივებთან დაკავშირებული წინადადებები.

ქიმიური პროდუქტები. 1977 წელს ჩრდილოეთ იტალიაში სვევოს კატასტროფის შემდეგ, რამაც მაღალი ტოქსიკური დოზის ნით დიდი ტერიტორიის დაბინძურება გამოიწვია, გადადგმულ იქნა უკიდურესი ნაბიჯები ქიმიური ნივთიერების წარმოებით და გავრცელებით წარმოქმნილი რისკის შესამცირებლად. 1967 წელს მიღებული ორი ღირეექტივა აკონტროლებს დეტერგენტების შემცველობას. 1986 წლიდან მოქმედებს არსებული ქიმიური ნივთიერებების ინვენტარიზაციის ევროპული სამმართველო, რომელიც აქვეყნებს ბაზარზე არსებული ქიმიური პროდუქტების სიას, რაც შესაძლებელს ხდის მათ დაქვემდებარებას შეტყობინების, შეფასებისა და კონტროლის საზოგადო პროცედურებისადმი. სხვა ზომები კრძალავს პესტიციდებში ზოგიერთი ნივთიერების გამოყენებას და მკაცრად აკონტროლებს „PCB“, „PCT“-ს (სვევოს კატასტროფის გამოწვევი ნივთიერებები) და ასბესტის წარმოებასა და გამოყენებას. შემდგომი მასშტაბური კატასტროფებისა და მათი შედეგების თავიდან აცილების მიზნით 1982 წლის ღირექტივა ყველა წვერი სახელმწიფოს მეწარმეს ავალდებულებს შეატყობინონ შესაბამის სამმართველოებს ნივთიერების, მცენარეების ან უბედური შემთხვევების შესაძლო ადგილმდებარეობის შესახებ. ინლოეთში ბოპალის ტრაგედიის შემდეგ მოთხოვნა საკონტროლო ზომებზე მკვეთრად გამკაცრდა. ეს განსაკუთრებით ევროპარლამენტში შეიმჩნეოდა. დედამიწის ულტრაიისფერი სხივებისაგან დამცავი ოზონის შრის გათხელებით გამოწვეულმა შემოთებამ განაპირობა გაერთიანების მიერ მთელი რიგი ზომების მიღება, რომლებიც გამიზნული იყო CFC-ს და ამ ფენომენის გამომწვევი სხვა ნივთიერებების არსებითი შემცირებისათვის.

ნარჩენები. 1975 წლიდან ძალაში შევიდა გაერთიანების წესები ნარჩენების შეგროვების, განთავსების, გადაამუშავების და ხელახალი გამოყენების შესახებ. ევროკავშირი წლიურად აწარმოებს 2 მლრდ. ტონაზე მეტ ნარჩენებს. სპეციალური ზომები იქნა მიღებული კონკრეტულ სფეროებში, როგორიცაა: ორჟანგის ოქსიდის წარმოების ნარჩენები, ნაუთობის ნარჩენები, ნარჩენების ჩაძირვა ზღვაში და რადიოაქტიური ნარჩენები. გაკეთდა რეკომენდაციები ძველი ქალაქის, მუყაოს და სასმელების ტარის ხელახალი გამოყენების შესახებ.

ბუნების დაცვა. ევროკავშირი არის 1979 წლის ბერნის კონვენციის წევრი, რომელიც ეხება ველური ბუნების შენარჩუნებას. წევრმა ქვეყნებმა მიიღეს რეკომენდაცია შეუერთდნენ 1950 წლის პარიზის კონვენციას ფრინველთა დაცვის და უეტლენდის შესახებ რამზარის 1971 წლის კონვენციას. მინისტრთა საბჭომ მიიღო რამდენიმე ღირეპტივა გარეული ფრინველების დაცვის, პატარა სელაპების ტყავისაგან დამზადებული პროდუქციის იმპორტის აკრძალვისა (მასობრივი კამპანიის შედეგად, რომელშიც პარლამენტმა გადამწყვეტი როლი შეასრულა) და ცხოველებზე მეცნიერული ექსპერიმენტების შეზღუდვის შესახებ. ფინანსური მხარდაჭერა გაეწია პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავდა ბუნების ბინადართა დაცვას, და 1988-92წწ.-ს მეოთხე სამოქმედო პროგრამით დაიგეგმა შემდგომი წინადადებები ფლორისა და ფაუნის დაცვაზე.

გარემოს პოლიტიკის სპექტრის გაფართოება

1990-იანი წლების დასაწყისში ნათელი გახდა ევროგაერთიანების მიერ გარემოს მართვისადმი უფრო განსაზღვრული და სისტემური მიდგომის შემოღების აუცილებლობა. 1990 წლის ივლისში დუბლინში გამართულ სამიტზე წამოყენებულ იქნა გაერთიანებისა და წევრი ქვეყნების კოორდინირებულ ბაზისზე მოქმედების მოთხოვნა შემდგომი განვითარებისა და აღმკვეთი ზომების პრიორიტეტულობის პრინციპის დაცვის თვალსაზრისით. შეთანხმდა ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს შექმნა, მაგრამ მის დაარსებას ხელი შეუშალა შეუთანხმებლობამ წევრ ქვეყნებს შორის მისი ადგილმდებარეობის შესახებ.

1991 წელს ევროგაერთიანების გარემოს დაცვის პოლიტიკის სპექტრი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და უშუალოდ დაუკავშირდა საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებას. აუცილებელი გახდა კომისიას გამოეჩინა ინიციატივა გარემოს დაცვის თაობაზე მოსაზრებების ინტეგრაციისა პოლიტიკის სხვა სფეროებთან, როგორცაა: სოფლის მეურნეობა, შიდა ბაზარი, ტრანსპორტი და ენერგეტიკა. გლობალური დათბობის პრობლემების საპასუხოდ და ენერგეტიკული პოლიტიკის გარკვეულ საკითხებთან მჭიდრო კავშირში კომისიამ წარმოადგინა ქმედებების პაკეტი ნახშირორჟანგის გამოყოფის შეზღუდვის, ენერჯის ეფექტურობისა და მოწოდების უსაფრთხოების შესახებ. მან შემოიტანა წინადადება ნახშირორჟანგის ენერჯის ბეგარის დაწესების შესახებ, რაც 2000 წლისათვის ნახშირორჟანგის

გამოყოფის დონის 1990 წლის დონეზე სტაბილიზაციის საშუალებად მოიაზრებოდა. საბჭომ კომისიის წინადადებები პრინციპში მოიწონა, თუმცა ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, მიღებული იქნება, თუ არა ბევრაა ენერგიაზე. ევროპის მწარმოებლების აზრით ისინი დაკარგავენ ფასების კონკურენტუნარიანობას იაპონიასა და აშშ-სთან, თუ მსგავსი ბევარა ამ ორ ქვეყანაშიც არ იქნება შემოღებული. ეს საკითხი განიხილებოდა 1992 წლის ივნისში გაერთიანებული ერების „დედამიწის სამიტზე“ რიო დე ჟანეიროში, სადაც ევროგაერთიანებამ წამყვანი როლი შეასრულა ნახშირორჟანგის გამოყოფის შემცირებისადმი მსოფლიო მასშტაბით მიდგომის ჩამოყალიბებაში.

1991 წელს მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა პროგრამა LIFE, რომელიც მიზნად ისახავდა გარემოს დაცვის სფეროში პრიორიტეტული პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას. მანვე მიიღო კონკრეტული ზომები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით.

- ევროგაერთიანების პროექტი „Norspa“ (რომელიც ითვალისწინებს გარემოს დაცვას ირლანდიის ზღვის, ჩრდილოეთის ზღვის, ბალტიის ზღვის და ატლანტიკის ოკეანის ჩრდილო აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში და წყლებში);
- დაბინძურებული წყალი;
- გაერთიანების ეკონიშანი;
- ბუნების ბინადართა დაცვა;
- დაბინძურება სატვირთო მანქანებით.

1991 წლის დეკემბერში მასტრიხტის სამიტზე მიღწეული ევროკავშირის ხელშეკრულებით რომის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა ახალი განყოფილება გარემოს დაცვის შესახებ, რითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროგაერთიანების კომპეტენცია, თუმცა კომისიის სურვილის საწინააღმდეგო რამდენიმე საკითხი დაექვემდებარა მინისტრთა საბჭოში გადაწყვეტილების ერთხმად მიღების და არა ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპს. 1997 წლის ივნისის ამსტერდამის ხელშეკრულებამ „გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების და დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა“ გაერთიანების მიზნის დონემდე აამაღლა და ევროპარლამენტის ძალაუფლება განავრცო გარემოს დაცვის ზოგიერთ, თუ არა, ყველა საკითხში.

1997 წელს კიოტოში კლიმატის ცვლილების შესახებ გამართულ

გაეროს კონფერენციაზე ევროგაერთიანებამ ვალდებულება აიღო 2010 წლისათვის სათბურის აირის გამოყოფა 1990 წლის მაჩვენებლის 8%-ით შეემცირებინა. 1998 წლის ივნისში მინისტრთა საბჭო შეთანხმდა ამ გეგმური მაჩვენებლის მისაღწევად საჭირო ყოველი წვერი ქვეყნის წვლილზე. კავშირის მუშაობა ამ სფეროში ძირითადად ფოკუსირებულ იქნა ოზონის შრის დამასუსტებელი ნივთიერებების გამოყენების შემცირებისათვის საჭირო ზომების მიღებაზე.

30 მომხმარებლები

ევროკავშირის გერი

ევროკავშირის სამომხმარებლო პოლიტიკა გარკვეულწილად მის დაჩაგრულ გერს წარმოადგენდა. მის შესახებ სიტყვაც კი არ იყო ნახსენები რომის ხელშეკრულებაში და მხოლოდ მომხმარებელთა ორგანიზაციების ხანგრძლივი კამპანიების შემდეგ, რომელსაც ხშირად მხარს ევროპარლამენტიც უჭერდა, გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები მომხმარებელთა საკითხების მუდმივი და სერიოზული განხილვის უზრუნველსაყოფად. გადამწყვეტი როლი შეასრულა 1972 წელს პარიზში გამართულმა ევროგაერთიანების სამიტმა, რომელზედაც მთაურობების მეთაურებმა გადაწყვიტეს, რომ ეკონომიკურ განვითარებას თან უნდა ახლდეს ცხოვრების დონის გაუმჯობესება. ეს იმას ნიშნავდა, რომ გაერთიანებას აქტიური პოლიტიკა უნდა გაეტარებინა სამომხმარებლო სფეროში. შემდგომი რამდენიმე წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ესენია:

- გარემოს და მომხმარებელთა დაცვის სამსახურის, ხოლო შემდგომ გენერალური დირექტორატის შექმნა კომისიის შიგნით;
- მომხმარებელთა საკონსულტაციო კომიტეტის (მსკ) შექმნა;
- 1975 წლის აპრილში მინისტრთა საბჭოს მიერ მომხმარებელთა ინფორმირების და დაცვის პირველი პროგრამის მიღება. დასახელდა მომხმარებელთა ხუთი ძირითადი უფლება: ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის, ეკონომიკური სამართლიანობის, ზარალის ანაზღაურების, ინფორმაციის და განათლების და კონსულტაციის უფლება. ეს უფლებები უნდა განხორციელდეს კონკრეტული ზომების საშუალებით და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გაერთიანების პოლიტიკა სხვა სფეროებშიც, როგორცაა: სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, სოციალური საკითხები და გარემო.

მომხმარებელთა საკონსულტაციო საბჭო (მსს)

მსკ (რომელსაც 1989 წლიდან მომხმარებელთა საკონსულტაციო საბჭო ეწოდა) კომისიის მიერ იქნა დანიშნული და ორგანიზებული. იგი შედგებოდა 39 წევრისაგან, რომელთა რიცხვში შედიოდნენ ევროპის მომხმარებელთა ოთხი უდიდესი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

დგენილები:

- ევროპის მომხმარებელთა ბიურო (ემბ)
- ევროგაერთიანების ოჯახთა ორგანიზაციების კომიტეტი (Coface)
- ევრო გაერთიანების მომხმარებელთა კოოპერატივი (Euroco-op)
- ევროპის პროფესიული კავშირების კონფედერაცია (ETUC).

კომისია ყოველ მათგანზე გასცემს გრანტებს და ცდილობს დაამყაროს მჭიდრო კონტაქტი ამ ორგანოებსა და ევროპის ეკვივალენტურ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მწარმოებლებს, გამსაღებლებსა და სარეკლამო სააგენტოებს წარმოადგენენ. მსპ, რომელსაც 1995 წლიდან მომხმარებელთა კომიტეტი ეწოდება, იძლევა კონსულტაციებს კომისიის იმ ნებისმიერი საქმიანობის დასაწყისშივე, რომელიც მომხმარებელთა საკუთარ ინტერესებს უკავშირდება. მას შეუძლია აგრეთვე საკუთარი ინიციატივითაც გამოთქვას გარკვეული მოსაზრებები.

მომხმარებელთა არჩევანის გაფართოება

1979 წელს ევროპის სასამართლოს მიერ მიღებულმა მნიშვნელოვანმა გადაწყვეტილებამ დიდი გავლენა იქონია მომხმარებელთა არჩევანის გაფართოებაზე. „კასის დე დიჟონის“ საქმემ ხელახლა დაადასტურა პრინციპი, რომ ერთ წევრ ქვეყანაში ლეგალურად წარმოებული პროდუქტი ნებადართული უნდა იყოს სხვა წევრ ქვეყნებშიც. სასამართლოს გადაწყვეტილებით ეროვნული ტექნიკური კანონები, თუნდაც ისინი თანაბრად ვრცელდებოდეს, როგორც ადგილობრივ, ასე იმპორტულ საქონელზე, არ უნდა უქმნიდნენ ვაჭრობას ბარიერებს, თუ, რა თქმა უნდა, ამას საფუძვლად არ უდევს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

მხოლოდ 1983 წელს შეხვდნენ პირველად ერთმანეთს ევროგაერთიანების მინისტრები, რომელთა პასუხისმგებლობაშიც შედიოდა მომხმარებელთა საკითხები. ახლა ისინი მინისტრთა საბჭოში შედიან და წელიწადში რამდენიმეჯერ ხვდებიან, რათა ერთობლივად განიხილონ კომისიის მიერ წარმოდგენილ წინადადებათა მძლავრი ნაკადი მომხმარებელთა სფეროში. აქამდე მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება დაიყოს სამ მსხვილ კატეგორიად. ესენია:

- მომხმარებელთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;

- მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა;
- მომხმარებელთა უზრუნველყოფა ინფორმაციით და განათლებით.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

ამ კატეგორიაში მიღწეულ იქნა ყველაზე დიდი პროგრესი. მიღებული ზომები შეეხო შემდეგ სფეროებს:

საკვები პროდუქტები. შემოდებულ იქნა დასაშვები საკვები ნივთიერებების სია და სისუფთავის ევროპული სტანდარტები ისეთი საკვები დანამატებისა, როგორიცაა: საღებავები, აქტიოქსიდანტები, პრეზერვანტები, ემულგატორები, სტაბილიზატორები და შემსქელებლები. ხილ-ბოლსტნეულში პესტიციდების ნარჩენები და ერუკის მჟავას საკვებ ზეთებსა და ცხიმში მაქსიმალურად შეიზღუდა. მიღებულ იქნა კანონები თაფლის, ხილის წვენის, კონსერვირებული რძის, კაკაოს, შოკოლადის, ყავისა და ციკორის ექსტრაქტის, მინერალური წყლების, ხილფაფების, მარმელადის, წაბლის პიურესა და სპეციალიზებული საკვების, როგორიცაა სპეციალური დიეტური პროდუქტები, წარმოების შესახებ. ძალაშია შესული დირექტივები, რომლებიც ეხება საკვები პროდუქტების მარკირებასა და შემაღენელი ნივთიერებების რაოდენობისა და ვარგისიანობის ვადის აღნიშვნას. აიკრძალა ცხოველთა ზრდის სტიმულიატორების გამოყენება, რომლებიც შეიცავენ პორმონული ან თიროსტატიკური ეფექტის მქონე ნივთიერებებს.

სახიფათო ნივთიერებები. დირექტივებით კონტროლდება მრავალი ტოქსიკური ნივთიერებების, როგორიცაა პესტიციდები, გამხსნელები, საღებავები, ლაქი, საბეჭდი მელანი, წებო და ასბესტი, კლასიფიკაცია, რეალიზაცია და მარკირება.

ფარმაცევტული პროდუქცია. ევროკავშირის დირექტივებით კონტროლდება ფარმაცევტული პროდუქციის ტესტირება და დაატენტება, დაფასობა და რეალიზაცია.

სხვა პროდუქტები. ევროკავშირის დირექტივები უსაფრთხოების მიზნით არეგულირებს ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა: კოსმეტიკა,

საფეიქრო ნაწარმი (ამ შემთხვევაში ყველაზე დიდ ყურადღებას საჭიროებს აალებადი ქსოვილების გამოყენების შეზღუდვა), სათამაშოები და მრავალი სხვა ნაწარმი. მიღებულ იქნა ღირეპტივები სამრეწველო დარგში ხელსაწყოების კომპონენტების და მზა პროდუქციის სტანდარტიზაციის შესახებ, რაც ხელს შეუწყობდა ევროპული ფირმების პროდუქციულობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას. მაგრამ 1985 წლიდან მიღებულია ახლებური მიდგომა სტანდარტიზაციისადმი, მას შემდეგ ახალი ღირეპტივები კონცენტრირებულია უსაფრთხოების ზომებზე და ეყრდნობა ეროვნული სტანდარტების ორმხრივ აღიარებას იმ სფეროებში, სადაც ევროპული სტანდარტები ჯერ-ჯერობით არ არსებობს. თუმცა კომისია ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ევროპული სტანდარტების შექმნაზე პასუხისმგებელ ორ ორგანოს. ესენია: CEN და Cenelec-ი, რომლებსაც უფლება მიეცათ ევროპული სტანდარტების შემუშავებაზე განსაკუთრებით სათამაშოების, წნეებითი ჭურჭლის, აირის აღჭურვილობის და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში.

გამაფრთხილებელი სისტემა. 1984 წლის მარტში მინისტრთა საბჭომ დააარსა გაერთიანების სისტემა სახიფათო პროდუქციის შესახებ ინფორმაციის სწრაფი გაცვლისათვის. გამაფრთხილებელი სისტემა შესაძლებლობას აძლევს ერთი წევრი სახელმწიფოს შესაბამის სამმართველოს სასწრაფოდ მიაპყროს დანარჩენი სახელმწიფოების ყურადღება სერიოზულ ინციდენტზე და მოუწოდოს მათ კონკრეტული ქმედებებისაკენ მომხმარებელთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დასაცავად. შექმნილია პროექტები აგრეთვე სამომხმარებლო საქონლით გამოწვეული მარცხიანი შემთხვევების მონიტორინგისათვის, რათა შემცირდეს და აღიკვეთოს ამ ტიპის უბედური შემთხვევები, რომლებიც უფრო მეტ ზიანს აყენებენ მომხმარებლებს, ვიდრე საგზაო და პროფესიული მარცხიანი შემთხვევები.

მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა. მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დამცველი ქმედებები შედარებით ნელი ტემპით ხასიათდებოდა, რაც განპირობებული იყო მინისტრთა საბჭოში კომისიის მიერ წარმოდგენილ წინადადებებზე შეთანხმების მიღწევის სიძნელით. მიუხედავად ამისა ბოლო წლებში მიღებულ იქნა რამდენიმე ღირეპტივა შემდეგ საკითხებზე:

არაკეთილსინდისიერი რეკლამა. მომხმარებლებს შეუძლიათ სარჩელი შეიტანონ სასამართლოებში, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მოსთხოვონ რეკლამის დამამზადებლებს, მათი განაცხადის სიზუსტის დამტკიცება.

სამომხმარებლო კრედიტები. ყველა საკრედიტო ხელშეკრულება უნდა იყოს წერილობით შედგენილი, ადვილად გასაგები და მასში ნათლად უნდა იყოს მოცემული ფაქტიური საპროცენტო განაკვეთები.

კომივოიაჟორობა (კარდაკარ ვაჭრობა). ეს ღირეპტივა იცავს მომხმარებლებს რეალიზაციის აგრესიული მეთოდებისაგან და აძლევს მათ მოფიქრების საშუალებას.

ავიახაზები. კანონი, რომელიც ძალაში 1991 წლის აპრილში შევიდა, ითხოვს ავიახაზებისაგან ფინანსური კომპენსაციის გადაცემას იმ მგზავრებზე, რომლებიც შეყოვნებულ იქნენ კომერციული რეისების „ზედაჯავშნის“ გამო.

პროდუქციის სანდოობა. მომხმარებელთა შესახებ ევროგაერთიანების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1985 წლის აგვისტოში მიღებული ღირეპტივა პროდუქციის საიმედოობის შესახებ, რომელიც ძალაში 1988 წელს შევიდა. ამ ღირეპტივამ მკაცრი პასუხისმგებლობა დააკისრა მწარმოებლებს მათი პროდუქციის უზარისხობით გამოწვეულ ზარალზე. იგი მხოლოდ მრავალწლიანი კამპანიის შემდეგ იქნა მიღებული, რომელიც ფარმაცევტული პროდუქციის გაუთვალისწინებელი გვერდითი ეფექტების მსხვერპლთა სახელით მიმდინარეობდა. ამ ღირეპტივის ძალით წვერმა სახელმწიფოებმა შესაძლოა შეზიღონ საიმედოობის ჩარჩოები, მაგრამ ამას მინიმუმ 70 მლნ. ეკიუ დასჭირდება.

მომხმარებელთა უზრუნველყოფა ინფორმაციითა და განათლებით

საკვები პროდუქტების და საშიში ნივთიერებების კონტროლირებისა და მარკირების შესახებ მიღებული ღირეპტივების გარდა მოქმედებს ღირეპტივები, რომლებიც სავალდებულოდ მიიჩნევენ ელე-

ქტრულ საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე ენერჯის საშუალო მოხმარების, ხოლო საკვებზე ერთეულის (კილოგრამის ან ლიტრის) ფასის აღნიშვნას. შემოტანილია აგრეთვე წინადადებები ფასების მითითების შესახებ საკვები პროდუქტების გარდა სხვა საქონელზეც. 1990 წელს მიღებული სამწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს 22 შემდგომ ქმედებას ოთხ მთავარ სფეროში; ესენია:

- მომხმარებელთა წარმომადგენლობა;
- მომხმარებელთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
- მოხმარებელთა ინტერესებთან დაკავშირებული კომერციული გარიგებები;
- მომხმარებელთა უზრუნველყოფა ინფორმაციითა და განათლებით.

მეორე სამწლიანი გეგმა, რომელიც 1993 წლიდან დაიწყო, ყურადღებას ამახვილებდა ორ მნიშვნელოვან სფეროზე:

- ევროკავშირის კანონმდებლობის კონსოლიდაცია ვაჭრობის არასამართლიანი პირობებისა და კოსმეტიკურ პროდუქციაზე ღირებუტეების მიღებით.
- სელექციური პრიორიტეტები მომხმარებელთა დაცვის დონის ასამაღლებლად და მომხმარებელთა გათვითცნობიერება მათი უფლებების შესახებ. ეს უნდა განხორციელდეს სამართლის მიღწევის წახალისებით საზღვრების გამჭოლი გარანტიისა და რეალიზაციის შემდგომი სერვისის ევროპული სქემის შექმნითა და ფინანსური მომსახურების მიღებით.

ამ გეგმის მიზანს წარმოადგენდა აგრეთვე ევროკავშირის პოლიტიკის ფარგლებში სამომხმარებლო პოლიტიკის უფრო მეტი ინტეგრაცია. მესამე სამწლიანი გეგმა, 1996-98 წწ. ყურადღებას ამახვილებდა ტექნოლოგიური განვითარებით და ევროკავშირის გაფართოებით გამოწვეულ ცვლილებებზე. ყურადღება კონცენტრირებული უნდა ყოფილიყო ათ პრიორიტეტულ სფეროზე, მათ შორის: ფინანსური მომსახურებების, საკვები პროდუქტების, საზოგადოებრივი სარგებლობის მომსახურებებისა და განვითარებად ქვეყნებთან, ისევე როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, უფრო ღია ურთიერთობების დამყარების საკითხებზე. 1998-99 წლებში

გაიმართა ევროპის ახალგაზრდა მომხმარებელთა კონკურსი თემაზე „ევროს არსი“. მეოთხე სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა 1999-2001 წწ.-ს, უმეტესწილად მესამე გეგმის მიზნების განვითარებას ემსახურებოდა. ამასობაში მიღებულ იქნა სამი ახალი ღირეუქტივა: საქონლის ფასის ჩვენების, აკრძალვებისა და სამომხმარებლო კრედიტების თაობაზე.

კომისია აქტიურად ცდილობს მხარი დაუჭიროს ინფორმაციის ფართოდ გავრცელებას სამომხმარებლო საქონლის შედარებითი ტესტების შედეგების შესახებ, პროდუქციის გამომცდელი ორგანიზაციების უფრო მჭიდრო თანამშრომლობას და მომხმარებელთათვის მეტი ინფორმაციის მიწოდებას მათი სახელით წარმოებული მოქმედებების თაობაზე. იგი აფინანსებს რეგულარულ კონფერენციებს სამომხმარებლო საკითხებზე, მხარს უჭერს ექსპერიმენტებს სკოლებში სამომხმარებლო განათლების გავრცელებაზე და გასცემს სუბსიდიებს ეროვნულ მომხმარებელთა ჯგუფებზე, მომხმარებელთათვის ინფორმაციის მიწოდების პროგრამებს ხელშეწყობისათვის.

31 განათლება

განათლება ყოველთვის იყო მიჩნეული ისეთ სფეროდ, სადაც პატივისცემა ეროვნული ტრადიციებისა და მეთოდებისადმი, რომლებიც უკიდურესად განსხვავდება, შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო. სწავლების, სტრუქტურების, მეთოდების ან პროგრამების სტანდარტიზაციის ყოველგვარი მცდელობა უდავოდ მცდარი იქნება. რომის ხელშეკრულება ნაკლებად ეხება განათლების სფეროს, თუ არ ჩავთვლით დიპლომების ორმხრივი ცნობის (მუხლი 57) და პროფესიული მომზადების (მუხლი 41 და 118) აუცილებლობას.

1976 წელს მიღებული ექვსნაწილიანი პროგრამა

1974 წლიდან წევრ ქვეყნებში თანდათან იზრდებოდა განათლების სფეროში ახლო თანამშრომლობის აუცილებლობის გაცნობიერება. აქედან გამომდინარე 1976 წელს თებერვალში მინისტრთა საბჭომ მიიღო გაერთიანების ექვსნაწილიანი პროგრამა, რომელიც მოიცავდა შემდეგ სფეროებს:

1. მიგრირებული მშრომელებისათვის და მათი შვილებისათვის გაუმჯობესებული კულტურული და პროფესიული მომზადება;
2. ევროპაში არსებული განათლების სხვადასხვა სისტემების უკეთ გაგება;
3. ძირითადი დოკუმენტური ინფორმაციის და სტატისტიკური მონაცემების შეგროვება;
4. უმაღლესი განათლების სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა;
5. უცხო ენის სწავლების გაუმჯობესება;
6. ნებისმიერი ფორმის განათლების მოპოვების შესაძლებლობების თანასწორობა გაერთიანების მასშტაბით.

მოგვიანებით პროგრამა გაფართოვდა და მასში შეტანილ იქნა ახალგაზრდობის პროფესიული მომზადება და სკოლიდან სამუშაო ადგილებზე გადასვლის გაადვილება. 1980 წლიდან იზრდება შემფოთება ახალგაზრდობის უმუშევრობით, რის შედეგადაც 1983 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც სოციალური ფონდის 75% გათვალისწინებულ იქნა 25 წლამდე ახალგაზრდობის დასაქმებისათვის საჭირო ღონისძიებებზე (იხ.გვ. 222-223).

პოლიტიკა ძირითადად რეკომენდაციების სახეს იღებს.

რამდენიმე გამონაკლისის გარდა ევროგაერთიანების პოლიტიკა უფრო წვერი ქვეყნებისათვის გაწეული რეკომენდაციების სახეს ატარებდა, ვიდრე სავალდებულო კანონმდებლობისა, რომელიც მათგან ქმედებებს მოითხოვდა. ძირითად გამონაკლის წარმოადგენდა ძალისხმევა, რომელიც მიმართული იყო სამუშაოს და პროფესიის შეცვლის თავისუფლების გააძვილებისაკენ, მომზადებისა თუ სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ. წვერ ქვეყნებში ღირექტივათა გრძელმა სერიამ ცხადყო, რომ 1993 წლისათვის არსებობს ფორმულა, რომელიც უზრუნველყოფს დიპლომების ორმხრივ ცნობას და ნებისმიერ წვერ სახელმწიფოში ნებისმიერი პროფილით მუშაობის უფლებას. 1977 წელს მიღებული მეორე ღირექტივა შეეხებოდა გაერთიანებაში მიგრირებული მშრომელების შეიღების სასკოლო განათლებით უზრუნველყოფას. იგი წვერი ქვეყნებისგან მოითხოვდა სპეციალური კლასების შექმნას, მასწავლებელთა სპეციალიზებულ მომზადებას და განათლებას მშობლიური ქვეყნის ენასა და კულტურაში.

უფრო ტიპური იყო ევროგაერთიანების მიდგომა ენების შესწავლის სტიმულირების თვალსაზრისით. 1984 წლის ივნისში წვერ სახელმწიფოთა მინისტრებმა იკისრეს პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა სკოლის დამთავრებამდე მშობლიური ენის გარდა ორი ენის დაუფლებისათვის ხელშეწყობას. თუმცა არ არსებობს იმის გარანტია, რომ ყველა წვერი სახელმწიფო თანაბარ ძალისხმევას მოახმარს ამ სასურველი მიზნის მიღწევას. მსგავსი შეთანხმებები იქნა მიღწეული შემდეგ სფეროებში:

- მოსწავლეთა და მასწავლებელთა მობილურობა;
- განათლება ევროპის მიმდინარე საქმეებში;
- სწავლიდან შრომით საქმიანობაზე გადასვლა;
- განათლება ინვალიდებისათვის;
- განათლების დონის ამაღლების კამპანიები; და
- ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები

რვა უმნიშვნელოვანესი პროექტი

გაერთიანების უშუალო საქმიანობა ამ სფეროში საკმაოდ შეზღუდული იყო, თუმცა ბოლო წლებში დაფიქსირდა მისი აქტიუ-

რობის მკვეთრი ზრდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რვა პროექტი.

Eurydice. ეს საინფორმაციო მომსახურების ქსელი 1980 წლიდან ფუნქციონირებს და დაკავშირებულია ყველა წევრი ქვეყნის საგანმანათლებლო ადმინისტრაციებთან, 1982 წლიდან კი უფრო ფართო საზოგადოებრივ წარმომადგენლობასთან. იგი შედგება კომპიუტერულ მონაცემთა ბანკისაგან, რომელიც შეიცავს უხვ ინფორმაციას ევროკავშირის მასშტაბით განათლების განვითარების შესახებ,

Erasmus (უნივერსიტეტის სტუდენტთა მობილურობის ევროგაერთიანების სამოქმედო სქემა). პროექტი პირველად შემოთავაზებულ იქნა კომისიის მიერ 1985 წელს, მასში ნავარაუდევია იყო რომ, 1992 წლისათვის სტუდენტების 10% (ანუ 150000 სტუდენტი) სწავლების მთელ პერიოდს გაატარებდა ევროგაერთიანების სხვა წევრ ქვეყანაში. 1987 წელს მინისტრთა საბჭომ მიიღო ამ წინადადების ოდნავ შეკვეცილი ვერსია, რომლის თანახმადაც პირველი სამი წლის მანძილზე პროექტით ისარგებლებდა 45000-მდე სტუდენტი. 1990 წელს ბიუჯეტი გაორმაგდა და პროგრამა ახლა სტაბილურად ვითარდება. პარალელური პროგრამა - Science ხელს უწყობს მკვლევარების მობილურობას. 1990 წელს დაარსდა ტრანსევროპული მობილურობის სქემა -Tempus- უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, რომლის მეშვეობითაც პროგრამაში Erasmus ჩაერთვებოდნენ სტუდენტები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ახალბედა დემოკრატიული ქვეყნებიდან. Tempus II მხარს უჭერდა ამ ქვეყნებში უმაღლესი განათლების სისტემების რესტრუქტურისაგან და მასში მონაწილეობის საშუალებას აძლევდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს. იგი მოქმედებდა 1994-1998 წლებში. 1995 წელს Erasmus და Tempus პროგრამა Lingua-სთან ერთად (იხ. ქვემოთ) გაერთიანდა უფრო ყოვლისმომცველ პროგრამაში, სახელწოდებით Socrates, რომლის ბიუჯეტიც 1995-99 წლებში შეადგენდა 850 მლნ ეკიუს, ხოლო 2000-04 წლებზე 1,4 მლრდ. ეკიუს. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ კანდიდატ ქვეყნებს აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპიდან, ისლანდიას, ლიხტენშტეინს, ნორვეგიას და 15-ვე წევრ სახელმწიფოს. 1998 წელს ფინანსური დახმარება გაეწია 1627

უნივერსიტეტთაშორის თანამშრომლობის პროგრამას, 200000 სტუდენტს და 35000 მასწავლებელს მიეცათ საშუალება ესწავლათ, ან ესწავლებინათ სხვა ქვეყანაში.

Comett. პროგრამა, რომელშიც 1990 წლიდან მონაწილეობა შეუძლიათ აგრეთვე ეთნო ქვეყნებს, ითვალისწინებს უნივერსიტეტებს (საშუალო სკოლის მომდევნო საფეხურის ყველა სახის დაწესებულების ჩათვლით) და დარგებს შორის თანამშრომლობის სტიმულირებას და მის გაღრმავებას.

Lingua. დაარსდა 1990 წელს. იგი აწარმოებს სტიპენდიების, გაცვლის და სასწავლო მასალების დაფინანსებას, რათა ხელი შეუწყოს უცხო ენის მასწავლებელთა დახელოვნებას და ენების სწავლებას უმაღლეს სასწავლებელში, პროფესიული მომზადებისას და საწარმოებში.

Eurotechnet. პროგრამა მხარს უჭერს გამოცდილების გაცრეცელებას და გაცვლას, საჩვენებელი პროექტების ევროპული ქსელის შექმნას და პროფესიულ მომზადებას, კვლევით კოორდინაციას ახალი ტექნოლოგიების სფეროში.

European University Institute. ინსტიტუტი დაარსდა ფლორენციაში 1976 წელს ასპირანტებისათვის. აქ იკითხება კურსები ისტორიასა და ცივილიზაციის შესახებ, ეკონომიკაში, იურისპრუდენციაში, პოლიტიკასა და სოციალურ დარგებში.

European Centre for the Development of Vocational Training. დაარსდა ბერლინში. 1975 წელს ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს პროფესიულ მომზადებასა და მოზრდილთა სამსახურებრივი დახელოვნების განვითარებას ევროგაერთიანების დონეზე. 1995 წელს ევროკავშირმა დააარსა კიდევ ერთი პროგრამა Leonardo da Vinci - რომელიც ხელს შეუწყობდა პროფესიულ მომზადებას წევრ ქვეყნებში. მისი ბიუჯეტი 1997 წელს შეადგენდა 15,7 მლნ.ეკიუს. მან დააფინანსა 730 პროექტი. მათ შორის 188 მოწყობის და გაცვლის პროგრამა, რომელშიც მონაწილეობდა 9100 სტუდენტი

და მასწავლებელი.

The European Schools. ათი სკოლა სთავაზობს სწავლების პროგრამას, სადაც სწავლების ერთი ნაწილი მიმდინარეობს მოსწავლისათვის უცხო ენაზე. სკოლა ამზადებს ახალგაზრდობას ევროპული ბაკალავრიატისთვის, რაც უზრუნველყოფს მთელი კავშირის მასშტაბით უნივერსიტეტებში სწავლების უფლებას. სკოლა, რომელიც ძირითადად განსაზღვრული იყო ევროკავშირის ინტიტუციების თანამშრომლების შვილებისათვის, ხელმისაწვდომია სხვა ბავშვებისთვისაც. სკოლები განლაგებულია ლუქსემბურგში, ბრიუსელში (სამი), მოლში (ბელგია), ვარეზეში (იტალია), კარლსრუესა და მიუნხენში (გერმანია) და კალქელში (გაერთიანებული სამეფო).

32 ქალთა უფლებები

ქალთა მდგომარეობა კავშირში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ექმს-ს დაარსების დღიდანვე, თუმცა ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ყველა ის უარყოფითი მოვლენა, რასაც ქალები განიცდიან დისკრიმინაციას და ჯერ არ არის მიღწეული სრული თანასწორობა მამაკაცებთან. 1995 წლის ბოლოს შეფასებით, ევროგაერთიანების შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვი 148 მლნ. იყო, მათგან 61 მლნ-ს შეადგენდნენ ქალები (აქედან 79% დაკავებული იყო მომსახურების სფეროში, 17%- წარმოებაში და 4% - სოფლის მეურნეობაში). შემდგომი 25 წლის მანძილზე ქალთა წილი სამუშაო ძალაში სტაბილურად იზრდება 35%-დან 42%-მდე. მაგრამ ქალები ჯერ კიდევ ისეთ სფეროებში და ისეთ სამუშაო ადგილებზე არიან დაკავებული, სადაც შრომა ხშირად დაუცველია, ნაკლებად კვალიფიცირებულია, მცირედ ანაზღაურებადი და არ გააჩნია დაწინაურების პერსპექტივა. გარდა ამისა, ქალები ძირითადად დასაქმებულნი არიან ნაწილობრივ განაკვეთიან სამუშაოთი (80%, თუმცა ათი წლით ადრე ეს მაჩვენებელი 90%-ს უდრიდა) და ბოლოს ქალთა წილი უმუშევართა მთლიან რაოდენობაში აღემატება ქალთა წილს დასაქმებულთა შორის.

ევროკავშირმა ხელი შეუწყო ქალთა სტატუსის გაუმჯობესებას

უდავოა, რომ კავშირი დაინტერესებულია ქალთა სტატუსის გაუმჯობესებით. რომის ხელშეკრულების 119 მუხლი აცხადებს „ყოველმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს და გაატაროს პრინციპი, რომლის თანახმადაც მამაკაცებმა და ქალებმა თანაბარ შრომაში თანაბარი ანაზღაურება უნდა მიიღონ. მასში დეტალურად არის ჩამოყალიბებული ეს პრინციპი და ხაზგასმულია რომ, სიტყვა „ანაზღაურება“ გულისხმობს „ჩვეულებრივ ძირითად ან მინიმალურ ხელფასს, ან ნებისმიერ სხვა ანაზღაურებას, იქნება ეს ნაღდი ფულის ფორმით, თუ ნატურით, რასაც შშრომელი იღებს დამსაქმებლისაგან, პირადად თუ არაპირადად, თავისი სამუშაოს შესაბამისად“. შესაბამისი მუხლი ადგენს რომ “თანაბარი ანაზღაურება სქესობრივი დისკრიმინაციის გარეშე“ ნიშნავს შემდეგს:

- ანაზღაურება ერთი და იგივე რაოდენობრივ ერთეულებში გამოთვლილ უნდა იქნეს შეფასების ერთი და იგივე ერთეულის საფუძველზე.
- ანაზღაურება დროის მიხედვით, ერთნაირი უნდა იყოს ერთსა და იმავე შესრულებულ სამუშაოზე.

მიუხედავად ამ პირობის ცხადი არაორაზროვნებისა, მინისტრთა საბჭო იძულებული იყო მიემართა გარკვეული ზომებისათვის, სანამ წვერი ქვეყნები გადადგამდნენ ადეკვატურ ნაბიჯებს მათი განხორციელების უზრუნველსაყოფად.

კერძოდ, მიღებულ იქნა ხუთი ღირეპტივა:

ძირითადი ღირეპტივა ქალთა უფლებების შესახებ.

1975 წლის თებერვალი. წვერ სახელმწიფოებს ევალებათ გადახდონ თავიანთ კანონებს და გამორიცხონ ყოველგვარი დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე, განსაკუთრებით, ეს ეხება პროფესიული კლასიფიკაციის სისტემებს. ამ ღირეპტივის ძალით, მშრომელებს, რომლებიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად თვლიან ეძლევათ უფლება და შესაძლებლობა მიმართონ სასამართლოს და დაცულნი იქნან, ნებისმიერ სახით, სამუშაოდან არასწორი დათხოვნისაგან.

1976 წლის თებერვალი. წვერ ქვეყნებს ევალებათ, უზრუნველყონ თანაბარი დამოკიდებულება სამუშაო პირობების, დასაქმების, მომზადებისა და დაწინაურების თვალსაზრისით. აქვე შეტანილ იქნა პირობა, რომლის თანახმადაც ფიზიკურ პირებს ხელი მიუწვდებათ სამართალზე სამუშაო ადგილის დაკარგვის რისკის გარეშე. ნებისმიერ პირს, რომელიც თავს უსამართლობის მსხვერპლად თვლის, შეუძლია სარჩელი შეიტანოს ეროვნულ სასამართლოში და სხვა კომპეტენტურ ორგანოში. იმ შემთხვევაში, თუ კამათი გაერთიანების კანონმდებლობას ეხება, საქმეს ევროპის სასამართლო განიხილავს. ბელგიელი ბორტგამცილებლის მიერ აღძრული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმის განხილვისას სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ქალი თანამშრომლები არ უნდა იქნან გაშვებული პენსიაზე უფრო ადრეული ასაკიდან, ვიდრე მამაკაცები.

1978 წლის დეკემბერი. ყოველგვარი დისკრიმინაცია სოციალურ დაზღვევის დადგენილ სქემებში, რომლებიც ეხება დაავადების, ინვალიდობის, მოხუცებულობის, სამუშაო ადგილებზე მომხდარი მარცხის დაზღვევას, ასევე პროფესიულ დაავადებებს, უმუშევრობას და ოჯახურ შეშწობებს, მიჩნეულია უკანონოდ.

1986 წლის ივლისი. პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაცია დამოუკიდებელი მშრომელი ქალების მიმართ (ამაში შედის სოფლის მეურნეობაში დაკავებული მშრომელები) უნდა აღმოიფხვრას 1989 წლის ბოლოსათვის (უკიდურეს შემთხვევაში 1991 წლისათვის). ღირეპტივა ასევე შეიცავდა დამატებით პირობებს დედობის და სოციალური დაზღვევის საკითხებთან დაკავშირებით.

სამოქმედო პროგრამების სერია

ამ ღირეპტივების გარდა, ეროკომისიამ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სამოქმედო პროგრამების სერია, რომელიც მიღებულ იქნა რეკომენდაციების სახით (ანუ წევრი ქვეყნებისათვის არასავალდებულო). მათგან მესამე, გათვალისწინებული 1991-95 წლებზე, მოიცავდა სამ პრიორიტეტულ სფეროს:

- იურიდიული საფუძვლების დანერგვა და განვითარება;
- ქალთა პროფესიული ინტეგრაციისათვის ხელის შეწყობა;
- საზოგადოებაში ქალის სტატუსის გაუმჯობესება.

პროგრამაში გათვალისწინებული იყო აგრეთვე განსაკუთრებული ზომების მიღება ადამიანთა ცალკეული კატეგორიების შემთხვევაში გარკვეული პრობლემების გადაჭრის მიზნით. ესენია: მარტოხელა ქალები და დედები, ემიგრანტი ქალები, ინვალიდი ქალები, სახლში მომუშავე ქალები და ა.შ. მეოთხე სამოქმედო პროგრამა, გათვლილი 1996-2000 წლებზე, ყურადღებას ამახვილებდა სქესობრივ თანასწორობაზე შემდეგ სფეროებში: თანაბარი შესაძლებლობების ინტეგრაცია პოლიტიკის სხვა სფეროებში, თანასწორი დამოკიდებულება პროფესიული სოციალური დაზღვევის სქემების მეშვეობით, გამოცდის სიმძიმე, თანაბარი ანაზღაურება, სექსუალური შეწუხება, სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსება.

პროექტი NOW

ევროპის სოციალური ფონდის პროგრამის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს პროექტი NOW, რომელსაც კომისია აფინანსებს და რომლის მიზანსაც წარმოადგენს დასაქმებისა და პროფესიული მომზადების სფეროში თანაბარი შესაძლებლობებისათვის ხელის შეწყობა. კომისიამ განსახილველად წარმოადგინა ორი ღირეექტივა, რომლებიც ითვალისწინებდა სამუშაოზე ორსული ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებას. მათგან პირველი - მიღებული 1990 წლის სექტემბერში ადგენდა ჯამრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს. მეორე კი, რომელიც დამტკიცდა 1992 წელს, უზრუნველყოფს 14 კვირიან დეკრეტულ შვებულებას. ამასთან იგი იცავს ორსულ ქალებს სამსახურიდან დათხოვნისაგან და დაწინაურების უფლების დაკარგვისაგან.

თანაბარი შესაძლებლობების მხარდამჭერი საგანმანათლებლო ინიციატივები.

რწმუნამ, რომ სქესობრივი დისკრიმინაციის ფესვები განათლების სისტემაში ძვეს, განაპირობა კომისიის ინიციატივა, ხელი შეეწყოს სქესობრივი თანასწორობისათვის იმ ელემენტების აღმოფხვრით, რომლებიც ადგენენ სქესის სტერეოტიპებს ადრეული ასაკიდანვე და ახდენენ გოგონების გამიჯვნას ბიჭებისათვის ხელმისაწვდომი კარიერის არჩევისაგან. 1985 წლის ივნისში ევროგაერთიანების განათლების მინისტრებმა დაამტკიცეს თანაბარი შესაძლებლობების პროგრამა, რომელიც ძირითადად შემდეგ არეებს ეხებოდა:

- განათლებაზე პასუხისმგებელ პირთა მომზადება და მათი უკეთ გათვითცნობიერება.
- სასწავლო სამსახურებში ქალთა და მამაკაცთა უკეთესი პროპორცია.
- კარიერული წინსვლის ხელშეწყობის გაუმჯობესება.
- საგანმანათლებლო მასალებიდან სტერეოტიპების აღმოფხვრა.

პროფესიული მომზადების სფეროში, პროფესიული განვითარების ევროპული ცენტრი (Cedefop) აფართოვებს თავის კვლევით და ხელშეწყობის საქმიანობას, რომელთაგანაც უმეტესი ფოკუსირებულა ქალთა პრობლემებზე, როგორცაა მაგალითად ხანგრძლივი პერიოდის

შემდეგ სამუშაოზე დაბრუნების მცდელობა. ეროვნულ მთავრობებს მოუწოდებენ ისარგებლონ ევროპის სოციალური ფონდის მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობებით. ევროპის სოციალური ფონდი მონაწილეობს მრავალი პროგრამის, მათ შორის მომზადების, ხელახალი დასაქმების და პირველადი დასაქმების პროგრამების დაფინანსებაში, რომლებიც ყველასათვისაა ხელმისაწვდომი განურჩევლად სქესისა. იგი აგრეთვე ეხმარება ქალთა სპეციალური მომზადების (განსაკუთრებით არატრადიციული პროფესიის სფეროში) პროგრამების დაფინანსებას.

სპეციალისტთა სამსახური

კომისია ინახავს სპეციალისტთა ორ სამსახურს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ქალთა საკითხების მუდმივი მონიტორინგი და პოლიტიკური წინადადებების უწყვეტი ნაკადის შექმნა.

ქალთა დასაქმებისა და თანასწორობის ბიურო. იგი პასუხისმგებელია კავშირის პოლიტიკის ფორმირებასა და გატარებაზე, ასევე პოლიტიკის სხვა სფეროებში პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისას თანასწორობის პრობლემების გათვალისწინების კონტროლზე.

ქალთა საინფორმაციო სამსახური. იგი მუდმივ კონტაქტშია ქალთა ჯგუფებთან, ასოციაციებსა და მოძრაობებთან და აწვდის მათ ინფორმაციას კავშირის საქმიანობის შესახებ.

ძალადობა ქალთა მიმართ

1997 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ქალთა უფლების ხელყოფის შესახებ და ევროპის მასშტაბით ქალთა მიმართ ძალადობის შეუწყნარებლობის თაობაზე. მან მოითხოვა რომ 1999 წელი გამოცხადებულიყო ევროპაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის წელიწადად და არა წევრ ქვეყნებთან დადებულ შეთანხმებებში შესულიყო პუნქტები ქალთა უფლებების პატივისცემის შესახებ.

ქალი კომისრების სიმცირე

მიუხედავად ევროკავშირის დამოკიდებულებისა სქესობრივი თანასწორობისადმი, გასაკვირია, რომ მისი შექმნიდან 30 წლის განმავლობაში ევროკომისიის წევრად არ დანიშნულა არცერთი ქალი. დელორის მეორე კომისიაში, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 1989 წლის იანვარში, შედიოდა ორი წევრი ქალი - ვასო პაპანდრეუ და ქრისტინა სკრივენერი - 15 წევრ მამაკაცთან ერთად. 1993-94 წლებისათვის დანიშნულ ორწლიან კომისიაში შედიოდა მხოლოდ ერთი წევრი ქალი - ქრისტინა სკრივენერი და 16 წევრი მამაკაცი. სანტერის კომისიაში, რომელმაც ფუნქციონირება 1995 წლის იანვრიდან დაიწყო და რომელიც შეიცავდა 20 წევრს შედიოდა ოთხი წევრი მანდილოსანი. სანტერის კომისიამ შექმნა კომისართა სპეციალური ჯგუფი, რომელსაც სათავეში თავად სანტერი ედგა. ჯგუფის ამოცანას წარმოადგენდა „თანასწორი შესაძლებლობების“ ელემენტის დაცვა ევროკავშირის პოლიტიკის მთელ სპექტრში. იგი აგრეთვე უზრუნველყოფდა თავად კომისიის დაკომპლექტებას და დაწინაურების პროცესში კანდიდატი ქალების თანაბარ პოზიციას. შედეგად შესამჩნევად გაიზარდა ქალთა მონაწილეობა ყველა დონეზე, გარდა უმაღლესი თანამდებობებისა, 33 გენერალური დირექტორატიდან და სამსახურიდან მხოლოდ ერთს უდგას სათავეში ქალი. პროდის კომისიამ, რომელიც 1999 წლის სექტემბრიდან შეუდგა მუშაობას და რომელშიც 5 მანდილოსანი შედიოდა, დაუყოვნებლივ განაცხადა, რომ პრიორიტეტს მიანიჭებდა მაღალ მმართველ პოსტებზე ქალთა დანიშვნის პრაქტიკას.

33 კულტურა და მედია

მრავალი წლის მანძილზე ევროკავშირის მუშაობა კულტურის სფეროში მინიმალურ დონეზე მიმდინარეობდა, რაც ნაწილობრივ განაპირობა ევროპის საბჭოს საქმიანობის დუბლირების თავიდან აცილების სურვილმა. ევროპის საბჭო თავის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციად თვლიდა სწორედ ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და განვითარებას. ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ ტელე და კინო ინდუსტრიის რევოლუცია და წმინდა ეროვნული ზღუდეების აბუჩად აგდება გამოიწვია და ამდენად ღირებულებების გადაფასება, რამეთუ ამ სფეროში ჩაერთო ეკონომიკური და სოციალური ინტერესები, რაც აშკარად სცდებოდა ევროპის საბჭოს მიერ დადგენილ საზღვრებს. კომისიამ დაასკვნა, რომ მომავალში მან უნდა შეასრულოს ძირითადი როლი ევროპის საპასუხო ქმედების ჩამოყალიბებაში იმ კომერციულ და კულტურულ გამოწვევებზე, რასაც სათავეში ამერიკა და იაპონია უდგას.

კონცენტრირების არეები

ევროკავშირის ბიუჯეტი კულტურულ სფეროში მცირეა, თუ არ ჩავთვლით მის მიერ მოწინავე სატელევიზიო სამსახურის განვითარების ხელშეწყობას. 1973 წლიდან კომისიის მცირე განყოფილება პასუხს აგებდა წინადადებების შეტანაზე და მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტების განხორციელებაზე. განიხილება ოთხი უმთავრესი არე.

- ხელოვნების ნიმუშებით თავისუფალი ვაჭრობა;
- ხელოვნთა პირობების გაუმჯობესება;
- კულტურის აუდიტორიის გაფართოება;
- გაერთიანების არქიტექტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და დაცვა.

ხელოვნების მუშაკთა მხარდაჭერა და მომზადება

კინო და ტელე პროგრამების გარდა, ევროკავშირის ყურადღება კონცენტრირებულია ხელოვნების მუშაკთა წინაშე არსებული ბარიერების გაუქმებაზე, რომლებიც ხელს შეუშლის მათი ნიჭის წარმოჩენას და მათი ნამუშევრების ექსპორტს ევროკავშირის ერთი

წვერი ქვეყნიდან მეორეში. უზრუნველყოფილი იქნა ხელოვანთა პროფესიული იარაღების დროებითი დაუბეგრავი ექსპორტი (ეს ეხება მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ფოტოაპარატებს და ა.შ.) კომისია მუშაობს წინადადებებზე, რომლითაც მოხდება ხელოვნების ნიმუშების თავისუფალი ექსპორტი, გარდა მკაცრად განსაზღვრული „ეროვნული ხელოვნების საგანძურისა“. კომისია ასევე ცდილობს დააარსოს ევროპის საინფორმაციო ცენტრი, რომელშიც შეტანილი იქნება ხელოვნების მოპარული ნიმუშების მონაცემები, რაც გააძნელებს ქურდების მიერ მოპარული ნიმუშების რეალიზაციას.

კომისიის მიერ დაფინანსებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ კულტურის მუშაკთა უდიდესი ნაწილი უმუშევარია, და რომ მრავალი მათგანის შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. ისინი იძულებული ხდებიან სხვა დამატებითი სამუშაო მოიძიონ ან მიატოვონ ხელოვნება. კომისიამ წარმოადგინა მრავალი წინადადება, რომელიც ხელს შეუწყობს მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. წინადადებები შეიცავს:

- შემოქმედ ხელოვანთა და შემსრულებელთა საავტორო უფლებების, ეროვნული კანონების პარამონიზაციას.
- დრამატურგთა და კომპოზიტორთათვის წილის გამოყოფას საზოგადოებრივ სუბსიდიებში;
- მხატვრებისათვის „გაყიდვის უფლებების“ მინიჭებას, რაც უზრუნველყოფს მათთვის პროცენტის გადახდას, მათი ნამუშევრების ყოველი გაყიდვისას აღებული თანხებიდან;
- საზოგადოებრივ სფეროში შექმნილი ნამუშევრებისათვის საავტორო ჰონორარის გადახდას ფონდებში, რომლებიც მოხმარდება კულტურის მუშაკთათვის შემწეობების გამოყოფას და ხელოვნების დარგების ხელშეწყობას.

შემოტანილ იქნა წინადადებები სპეციალური სოციალური უსაფრთხოების და ბეგარის მოწესრიგებაზე, მაგრამ წვერი ქვეყნები საკმარისად გულგრილად არიან განწყობილნი სათანადო ღირექტივების მიღების მიმართ. ასე რომ დღემდე მინისტრთა საბჭო შემოიფარგლება წვერი ქვეყნებისათვის რეკომენდაციების მიცემით.

კომისია იყენებს ლიმიტირებულ ფონდებს, რათა დააფინანსოს ახალგაზრდა ხელოვანთა მომზადების რამდენიმე პროგრამა. მათ

შორის სიენისა და დუბლინის ახალგაზრდა მუსიკოსთა, კრემონაში ვიოლინოს დამამზადებლების, სარეის უნივერსიტეტის კომპოზიტორთათვის და ბრიუსელში მოცეკვავეთა დახმარების გაწევა. გაიცემა გრანტები, რომლებიც ხმარდება ბალეტის მოცეკვავეთა გადამზადებას მასწავლებლებად. ევროკავშირი აფინანსებს ჯაზისა და კლასიკური მუსიკის ახალგაზრდა ორკესტრებს და ლუქსემბურგის ვილციის ფესტივალს, რომელშიც მონაწილეობენ მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები და მოცეკვავეები ხუთი წევრი ქვეყნიდან. გარდა ამისა, ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი გარკვეულ დახმარებას უწევს ხელოვანთა მომზადებასა და დასაქმებას ადგილობრივ კულტურულ სფეროში.

კულტურის აუდიტორიის გაფართოების მცდელობა

ევროპის გაფართოებაზე პასუხისმგებლობის აღიარებით ჩატარდა ევროპის კულტურული თეგები კრაკოვში (პოლონეთი) 1992 წ., გრაცში (ავსტრია) 1993 წ. და ნიქოზიაში (კვიპროსი) 1995 წელს. შემდგომი ქალაქები, რომლებზეც შეჩერდა არჩევანი არის ვალეტა (მალტა), დალინცი (ავსტრია) 1998 წელს. კომისიამ დააფინანსა 1992 წელს სევილიაში გამართული 500 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა და 1998 წელს ლისაბონში გამართული ექსპო 98. გარდა ამისა კომისია ეწევა:

- თანამედროვე ლიტერატურის დიდი ნაწარმოებების თარგმნის დაფინანსებას 1982 წლიდან ეს განსაკუთრებით შეეხება ნაკლებ-გავრცელებულ ენებს, როგორცაა: დანიური, პოლანდიური და ბერძნული.
- მილანსა და პარიზში ევროპის თეატრის სპონსორობას;
- ევროპის კინო-ფესტივალის დაფინანსებას, რომელიც ყოველწლიურად სხვადასხვა ქალაქში ეწყობა;
- სხვადასხვა ღონისძიების მოწყობას ქალაქებში, რომელსაც კომისია ასახელებს წლის ევროპის კულტურის ქალაქად (ათენი 1985წ., ფლორენცია 1886წ., ამსტერდამი 1987წ., ბერლინი 1988წ., პარიზი 1989წ., გლაზგო 1990წ., დუბლინი 1991წ., მადრიდი 1992წ., ანტვერპენი 1993წ., ლისაბონი 1994წ., ლუქსემბურგი 1995წ., კოპენჰაგენი 1996წ., თესალონიკი 1997წ., სტოკჰოლმი 1998წ., ვაიმარი 1999წ., 2000 წელს ათასწლეულის აღსანიშნავად

დასახელებულია ცხრა ქალაქი: ავინიონი, ბერგენი, ბოლონია, ბრიუსელი, ჰელსინკი, კრაკოვი, პრაღა, რეიკიავიკი და სანტიაგო დე კომპოსტელა. შემდგომი წლისათვის, 2001წ. არჩეული იქნა როტერდამი და ოპორტო, 2002 წლისათვის - ბრიუგე და სალამანკა, 2003 წლისათვის გრაცი, ხოლო 2004 წლისათვის - გენუა და ლილი.

მონუმენტებისა და შენობების დაცვა

უპეტესწილად ევროპარლამენტის ზეწოლის შედეგად გამოყოფილ იქნა სახსრები პროცენტული სუბსიდიებისა და ძირითადი გრანტების სახით, ასევე მსბ-ს სესხების ფორმით, რომლებიც მოხმარდებოდა ევროკავშირის მნიშვნელობის ძეგლების კონსერვაციას და განვითარებად რეგიონებში იმ შენობა-ნაგებობების დაცვას, რომელთა აღდგენაც ქვეყანას ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს, განსაკუთრებით ტურიზმის მეშვეობით. 1982-83 წლებში პირველი ბენეფიციარები იყვნენ საბერძნეთში არსებული მუზეუმები, ვენეციაში ღოჭების სასახლე და ათენის პართენონი. 1984 წელს დამტკიცდა თორმეტი, ხოლო 1986 წელს კი კიდევ ცამეტი ასეთი პროექტი.

ეს ცამეტი პროექტი ნათლად ასახავს ამ სფეროში გაერთიანების მხარდაჭერის სპექტრის გაფართოებას, მოიცავს რა 12 წევრი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს:

- მარსელის ბირჟის უკან არსებული ბერძნული გალავნის ნანგრევებს;
- რომის ფორუმს;
- კარლოს დიდის კარის ეკლესიას აახენის საკათედრო ტაძარში;
- სანტა მარია დო ბუროს სააბატოს ამარესში (პორტუგალია);
- წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას ედამში (ნიდერლანდი);
- სტავრონიკას მონასტერს ათოსის მთაზე (საბერძნეთი);
- როშფორის საზღვაო არსენალს (საფრანგეთი);
- ბრაბანტის ჰერცოგის სახლს გრან პლასში (ბრიუსელი);
- გეორგიანული ეპოქის ციხე-ქალაქის სახლს სელბრიჯში (ირლანდია);
- მოწყალეების ტაძარს სტადლის სამეფო ბაღში რიპონის მახლობლად;

- დანიის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმს კოპენჰაგენში;
- არქეოლოგიურ და ინდუსტრიულ უბანს დიფერდანეში (ლუქსემბურგი);
- ალჰამბრას გრანადაში.

ამ სიას შემდგომში მიემატა კიდევ რამდენიმე ადგილი. 1997 წელს მათგან ექვსს ფინანსური დახმარება უშუალოდ ევროკავშირის ბიუჯეტიდან გაეწია; ესენია: აკროპოლისი, ათოსის მთა, ლისაბონი, კოიბრა, სანტიაგო დე კომპოსტელა და ვენეცია (ფენისის თეატრი).

წიგნები და კითხვა

1989 წელს მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ლიტერატურული სფეროს მხარდაჭერას. პროგრამა შეიცავდა რვა პრიორიტეტულ მიმართულებას

- ავტორთა და მთარგმნელთა ხელმძღვანელობა;
- წიგნების სექტორში სტატისტიკის გამოქვეყნების პროგრამა;
- ევროპის ლიტერატურული ჯილდო;
- ჯილდო ლიტერატურული ნაწარმოების საუკეთესო თარგმანი-სათვის;
- სტიპენდიები ლიტერატურული მთარგმნელობისათვის;
- მკვების შემცველი ქალაქისაგან დამზადებული წიგნების კონსერვაცია და მუდმივი ქალაქის გამოყენება;
- წიგნების ექსპორტის დამხმარე ზომების შესწავლა;
- წიგნებისა და კითხვის მნიშვნელობის ამაღლების ხელშეწყობის კამპანიები.

1996 წელს მიღებულ იქნა წიგნებისა და კითხვის ხელშეწყობის უფრო ამბიციური პროგრამა სახელწოდებით Ariane, და მასთან ერთად პროგრამა Raphael, რომელიც საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს ხდიდა მოძრავ და უძრავ კულტურულ მემკვიდრეობას და პროგრამა Kaleidoscope 2000 ტრანსევროპული კულტურული ინიციატივების მხარდასაჭერად.

1998 წელს კომისიამ შეიმუშავა გეგმები, რომლებიც ითვალისწინებდა კულტურის უფრო აქტიურ მხარდაჭერას ევროგაერთიანების პირველი პროგრამის ფარგლებში (2000-04). მან დაამტკიცა 167

ევრო. 167 მლნ.-ის ოდენობის ხუთწლიანი ბიუჯეტი.

კინო და ტელევიზია

კომისიის ინიციატივა კინოსა და ტელევიზიის სფეროში განაპირობა იმ პერსპექტივებმა, რომლებიც წარმოშვა დედამიწის თანამგზავრების მეშვეობით პირდაპირმა ტრანსლაციამ და საკაბელო ქსელების გაფართოებამ. 1986 წლის ნოემბერში მინისტრთა საბჭომ მოიწონა კომისიის წინადადება იმის თაობაზე, რომ წვერ-სახელმწიფოებს მიეღოთ ევროპის მრეწველობის და ევროპის სამაუწყებლო კავშირის მიერ ერთობლივად შემუშავებული სტანდარტების MAC-პაკეტი. ისინი თავსებადნი არიან და შესაძლებელს ხდიან ბგერის და გამოსახულების უკეთეს რეპროდუქციას, ერთი ვიზუალური არხის და რამდენიმე ბგერითი არხის ერთდროულ გამოყენებას (მრავალენოვანი პროგრამები) და თანდათანობით პროგრესს მაღალი სიმკვეთრის ტელევიზიის (HPTV)-ის მიმართულებით. იმედია კომისიის წინადადებების მიღება თავიდან აგვაცილებს PAL-ისა და SECAM ტელევიზიების ფიასკოს გამეორებას, რამაც თავის დროზე ევროგაერთიანების ქვეყნები ორი ერთმანეთთან არათავსებადი სისტემის ანაბარა დატოვა.

1991 წელს კომისიასა და აუდიო-ვიზუალური ინდუსტრიის ყველა მხარეს შორის (საკაბელო და სატელეტურო ოპერატორები, სამაუწყებლო კომპანიები, აღჭურვილობის მწარმოებლები) მიღწეულ იქნა შეთანხმება ხუთწლიან პროგრამაზე, რომელიც ხელს შეუწყობდა ახალი სატელევიზიო მომსახურების და ახალი სატელევიზიო გადაცემების დამკვიდრებას HPTV-ის MAC სტანდარტის გამოყენებით. 1992 წლის შემდგომ წარმოებული დიდი ტელევიზორებით შესაძლებელი იქნებოდა MAC ტრანსლაციის გადაცემის მიღება და კომისიამ პირობა დადო რომ ხუთი წლის მანძილზე წლიურად 100 მლნ.ეკიუს დახარჯავდა MAC-ის PAL-ის და SECAM-ის პროგრამების ერთდროული ტრანსლაციის უზრუნველსაყოფად და ახალი MAC მაუწყებლობის დასანერგად.

მწარმოებელთა განახლებულმა ორჭოფობამ და იაპონელი და ამერიკელი მკვლევარების მიერ ახალი ციფრული სისტემის შემუშავებამ, რომელმაც განდევნის საფრთხე შეუქმნა MAC სისტემას, შეაცვლევინა წვერ სახელმწიფოებს აზრი და განაპირობა 1993 წელს ამ პოლიტიკის ჩავარდნა. მის სანაცვლოდ მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ევროპაში

მოწინავე სატელევიზიო მომსახურების დანერგვას. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 228 მლნ. ეკიუს ოთხ წელიწადზე, რომლიდანაც ნახევარი მაინც მოხმარდებოდა პროგრამების წარმოებას. დაგეგმილ იქნა ფინანსური დახმარება, რათა მომხდარიყო ტელევიზიის ახალი 16:9 ფორმატის შემოღებით გამოშვებული დამატებითი ხარჯების კომპენსირება, როგორც ახალი მასალის გადაღებისას, ისე ძველი მასალის განახლებისას. გეგმა აგრეთვე აღგენდა სტანდარტებს ციფრული და არაციფრული ტრანსლაციებისათვის.

1989 წელს მიღებულ იქნა დირექტივა სახელწოდებით „ტელევიზია საზღვრებს გარეშე“, რომელიც ძალაში შევიდა 1991 წლის ოქტომბერში. ეს დირექტივა, რომელიც სავალდებულოა წვერი ქვეყნებისათვის, არაკანონიერად აცხადებს ევროკავშირის სხვა ქვეყნიდან პროგრამების ტრანსლირების შეფერხებას, თუ კი ისინი ეთანხმებიან დირექტივის მოთხოვნებს.

დირექტივა ეხება შემდეგ საკითხებს:

- სარეკლამო რგოლები;
- რეკლამის ხანგრძლივობა;
- ეთიკის პრობლემები;
- სპონსორობა;
- უმცირესობათა დაცვა;
- პასუხის გაცემის უფლება;
- ევროპული აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოება და დისტრიბუცია.

დირექტივა, რომელიც აშშ-ს მთავრობამ დისკრიმინაციაში დაადანაშაულა, მოუწოდებს წვერ ქვეყნებს უზრუნველყონ საერთო დროის მინიმუმ 50%-ის დათმობა ევროკავშირის ნაწარმოები პროგრამებისათვის და დაგეგმილი ბიუჯეტის მინიმუმ 10%-ის გამოყოფა დამოუკიდებელი ევროპული მწარმოებლის პროდუქციაზე.

კომისიამ აგრეთვე მიიღო სამოქმედო პროგრამა Media (1991-95), რომელიც ხელს შეუწყობდა ევროპულ კინო ინდუსტრიას, როგორც წარმოების, ისე დისტრიბუციის თვალსაზრისით. ამ პროგრამის ძალით 1988 წელი გამოცხადდა ევროპის კინოსა და ტელევიზიის წლად, რაც მიზნად ისახავდა წვერი ქვეყნების მხრიდან

მხარდამჭერი ქმედებების სტიმულირებას, მაგრამ შედეგებმა იმედი გააცრუეს. პროგრამა Media II (1996-2000) მიზნად ისახავდა უფრო ფართომასშტაბიან ხელშეწყობას. 1998წლის განმავლობაში ფინანსური დახმარება გაეწია 1000-მდე ფილმისა თუ სატელევიზიო პროგრამის წარმოებას და დისტრიბუციას.

1. ევროპის საბჭო (დაარსდა 1949 წელს) აერთიანებს 40 ქვეყანას, მათ შორის ევროკავშირის 15 წევრს. ეთნოპ-ს ოთხ ქვეყანას, კვიპროსს, მალტას, სან-მარინოს და თურქეთს, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობას და ყოფილი საბჭოთა კავშირის ევროპულ რესპუბლიკებს, რომლებიც 1990-ანი წლების განმავლობაში გაწვერიანდნენ. მის მიზანს წარმოადგენს წევრებს შორის უფრო მჭიდრო კავშირის მიღწევა, რათა დაცული და განხორციელებულ იქნას ის იდეალები და პრინციპები, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას და უზრუნველყოფენ მათ სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას. საბჭომ შეიმუშავა 140-მდე კონვენცია და ხელშეკრულება. მრავალი მათგანი ეხება კულტურის სფეროს, თუმცა ისინი არ არის კანონით სავალდებულო წვერი ქვეყნებისათვის. განსაკუთრებით ღიძია მისი წვლილი ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში ევროკომისიისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპის სასამართლოს მოღვაწეობის წყალობით, რომლებიც მისი გვილით ფუნქციონირებენ.

34 მოქალაქეთა უფლებები და სიმბოლიკა

მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ევროკავშირი ძალზე შორეულ ცნებას წარმოადგენს. მიჩნეულია, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ მთავრობების, სპეციალური კომიტეტებისა და ექსპერტების საქმეა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა დიდად აფასებს იმ ეკონომიკურ სარგებელს, რაც ევროკავშირის შექმნამ მოიტანა (და ეს განსაკუთრებით ექვს თავდაპირველ ქვეყანაში შეიმჩნევა), მაინცდამაინც არ იგრძნობა, რომ ევროკავშირი გავლენას ახდენდეს მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

დაარსდა „ხალხის ევროპის“ კომიტეტი

სწორედ ამ გრძობის დანერგვისა და წევრ ქვეყნებში მოსახლეობის ფართო მასებში ლოიალობისა და სოლიდარობის შეგრძნების გაძლიერების მიზნით ევროგაერთიანების მთავრობათა მეთაურებმა 1984 წლის ივლისში, ფონტენბლოს სამიტზე გადაწყვიტეს შეექმნათ კომისია „ხალხის ევროპა“, რომელიც წარადგენდა წინადადებებს ერთიანობის გაცნობიერებისა და გაერთიანების იმიჯის ამაღლებისათვის საჭირო გზების შესახებ. კომისიას, რომელიც შედგებოდა მთავრობათა მეთაურების და ევროკომისიის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლებისაგან, თავმჯდომარეობდა იტალიელი წარმომადგენელი პიეტრო აღონინიო. კომიტეტმა წარმოადგინა ორი ანგარიში, რომლებიც პრინციპში მიღებულ იქნა შემდგომ სამიტებზე 1985 წლის მარტში და ივნისში. მოხსენებაში შედიოდა რამდენიმე წინადადება, მათ შორის რამდენიმე წმინდა სიმბოლური ხასიათისა, ევროგაერთიანების მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და გაზრდის თაობაზე. რამდენიმე წინადადება სრულიად ახალი იყო, ნაწილი კი მიზნად ისახავდა გაერთიანების გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად პროცესისათვის ახალი ბიძგის მიცემას.

აღონინიოს მოხსენებები...

აღონინიოს პირველი მოხსენება შეიცავდა წინადადებებს რამდენიმე გადაუღებელი ქმედების შესახებ:

■ სასაზღვრო ფორმალობების გამარტივება;

- საბაჟო გადასახადებისაგან თავისუფალი სარგებელი;
- წიგნებისა და ჟურნალების განთავისუფლება ბეგარიდან;
- საზღვრისპირა მშრომელების დაბეგვრა;
- დიპლომების ურთიერთალიარების ზოგადი სისტემა;
- დიპლომების ეკვივალენტობა;
- დასახლების უფლება.

მეორე და ბოლო ანგარიშმა წამოაყენა როგორც უფრო კონკრეტული წინადადებები, ისე სამომავლო მიზნები, რომლებიც გაერთიანებას მის მოქალაქეთა თვალში უფრო რეალურ სახეს მისცემდა. ეს წინადადებები შეიცავდა მოქალაქეების სპეციალური უფლებების პროგრამებს. კულტურის, ინფორმაციის, ახალგაზრდობის, განათლების, გაცვლის, სპორტის, განვითარებადი ქვეყნებისათვის ნებაყოფლობითი დამხმარე სამუშაოს, ჯამრთელობის, სოციალური დაზღვევის, მედიკამენტების და ქალაქების დამშობილების სფეროებში იგი უფრო სასურველი ქმედებების მრავალფეროვან სიას წარმოადგენდა, ვიდრე მოქმედების თანმიმდევრულ გეგმას.

... ითვალისწინებს მოქალაქეთა სპეციალურ უფლებებს აღონინიოს კომიტეტის მიერ წამოყენებული მოქალაქეთა სპეციალური უფლებები შეიცავდა შემდეგს:

ევროარჩევნებში თანაბარი მონაწილეობის უფლება.

რომის ხელშეკრულების 138 მუხლის და ევროპარლამენტის მოთხოვნის თანახმად საარჩევნო პროცედურები ერთგვაროვანი უნდა გახდეს. თუ გაერთიანების მოქალაქეები არჩევნების დროს მოგზაურობენ ან საზღვარგარეთ ცხოვრობენ, მათ უნდა ჰქონდეთ უფლება ხმა მისცენ ან სამშობლოში, ან იმ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობენ.

თვითგამოხატვის და თავშეყრის უფლება. იგი უნდა მიენიჭოს გაერთიანების მოქალაქეებს იმავე პირობით, როგორც მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეებს.

სხვა წევრ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებნი შეადგენენ დაახლოებით 5 მლნ-ს და მათ უფლება აქვთ გარკვეული დროის

შემდეგ მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში. მათ აგრეთვე უფლება უნდა ჰქონდეთ მიიღონ კონსულტაციები მათთვის აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა განსახლება და უცხოური ენის სწავლება.

საზღვრისპირა რაიონების მცხოვრებნი. ფართო გაგებით ამ კატეგორიის მოსახლეობა შეადგენს 48 მლნ.-ს. მათ უფლება უნდა ჰქონდეთ გამოთქვან თავიანთი აზრი იმ შემთხვევაში, როცა მეზობელი ქვეყანა ახორციელებს ქმედებებს, რომლებმაც შესაძლოა გარკვეული გავლენა იქონიოს მათზე. ასეთი ქმედებები შეიძლება იყოს ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი სამუშაოები, ტრანსპორტის რეორგანიზაცია ან ეკოლოგიაზე, უსაფრთხოებაზე, ან ჯანმრთელობაზე გავლენის მქონე ღონისძიებები.

გაერთიანების მოქალაქეთა მიერ გაერთიანების პოლიტიკით მიღებული სიკეთით სრულად სარგებლობის უფლება. იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული უფლება ეწინააღმდეგება ეროვნულ კანონებს, მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოებს. თუმცა ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა, და მათი იურიდიული უფლებები უფრო დაცული იქნებოდა, თუ კი წევრი ქვეყნები უზრუნველყოფდნენ გაერთიანების კანონების საყოველთაო, პირდაპირ და სწრაფ განხორციელებას. ასევე მნიშვნელოვანი იქნებოდა თავად ამ კანონების კოდექსის სახით ჩამოყალიბება და განმარტება. ნებისმიერ შემთხვევაში ზედმეტი იურიდიული დებულებები გაუქმებული უნდა იქნას.

ადმინისტრაციისადმი იოლი მიმართვის უფლება. პირველ რიგში გაძლიერდება და გამარტივდება მოქალაქეთა უფლება პეტიციებზე, როგორც ამას ევროპარლამენტი მოითხოვდა. ევროპის ომბუდსმენი ან მედიატორი, ან პარლამენტის მოთხოვნით, მედიატორული კომისია შეისწავლის მოქალაქეთა საჩივრებს და დაეხმარება მათ მოთხოვნათა დაკმაყოფილებაში.

ევროკავშირის განვითარების ძალისხმევის თაობაზე ადეკვატური ინფორმაციის მიღების უფლება. გაერთიანების ინსტიტუციები და წევრი ქვეყნები უფრო მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ მოქალაქეებისათვის ევროგაერთიანების შექმნის, ისტორიული

მიზნების და მისი შემდგომი განვითარების მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საქმეში. იგივე შეეხება ევროგაერთიანების პოლიტიკასა და ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაზე მისი გავლენის ახსნა-განმარტებას.

ევროპული პასპორტის მფლობელები. ევროკავშირის პასპორტის მფლობელებს (იხ. ქვემოთ) უფლება უნდა ჰქონდეთ ისარგებლონ სხვა წევრი სახელმწიფოს საელჩოსა და საკონსულოს დახმარებით ისეთ ქვეყანაში ყოფნისას, სადაც მისი ქვეყანა წარმოდგენილი არ არის.

1986-97 წლებში კომისიამ წარმოადგინა კანონპროექტები, რომლებიც აკმაყოფილებდა ადონინოს ორ მოთხოვნაში ჩამოთვლილ საკითხებს და 1992 წლისათვის (თარიღი რომელიც გაერთიანებამ დაადგინა შიდა ბაზრის სრულქმნის ბოლო ვადად) განხორციელებულ იქნა პროგრამის „ხალხის ევროპა“ უმეტესი ნაწილი.

განსაკუთრებით პრობლემური საკითხები

სასაზღვრო კონტროლი. ნარკოტიკების კონტრაბანდის, ტერორიზმის, და უკანონო იმიგრაციის შიშით ზოგიერთ ქვეყნებს, განსაკუთრებით გაერთიანებულ სამეფოს, არც თუ ისე დიდი სურვილი ჰქონდათ გაეადვილებინათ, ან მოეხსნათ კონტროლი ევროკავშირის შიდა საზღვრებზე. ამან განაპირობა ხუთი ქვეყნის - საფრანგეთის, გერმანიის და ბენილუქსის სამი ქვეყნის მიერ შენგენის შეთანხმებაზე ხელის მოწერა (იხ. გვ.146), რომლის ძალითაც მათ 1992 წლისათვის დაგეგმეს თავიანთი სასაზღვრო კონტროლის გაუქმება და ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეებისათვის ემიგრაციის და სავიზო მოთხოვნების უნიფიკაცია, წევრი ქვეყნების უმრავლესობამ, ისეთმა ქვეყნებმაც კი, როგორცაა ისლანდია და ნორვეგია, ხელი მოაწერეს შენგენის შეთანხმებას, თუმცა ირლანდია და გაერთიანებული სამეფო მათ არ შეუერთდნენ და უახლოესი მომავლისათვის ეს ქვეყნები არ აპირებდნენ თავიანთი პოზიციის დათმობას. ამსტერდამის ხელშეკრულების ძალით შენგენის შეთანხმება შეტანილი იქნა ევროგაერთიანების დებულებაში და ახლა იგი სავალდებულოა ყველა წევრი სახელმწიფოსათვის, გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის გარდა.

ევროგაერთიანების პროცედურები. ევროპარლამენტის მოთხოვნა არჩევნების საყოველთაო პროცედურების მიღების შესახებ ჯერ-ჯერობით არ იქნა დაკმაყოფილებული, რაც უმეტესწილად განაპირობა გაერთიანებული სამეფოს ყოფილი კონსერვატული მთავრობის უარმა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის დანერგვაზე. 1997 წლის მაისში არჩეულმა ლეიბორისტულმა მთავრობამ ეს დასაშვებად მიიჩნია და 1994 წლის ივნისში ევროპარლამენტის არჩევნები თხუთმეტივე წევრ სახელმწიფოში პროპორციული წარმომადგენლობის განსხვავებული სისტემით ჩატარდა. მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ შეასუსტა ერთიანი სისტემის მოთხოვნა და როგორც ჩანს ერთიანი სისტემა უახლოეს მომავალში მიღებული არ იქნება.

ევროკავშირის მოქალაქეობა

მიუხედავად აღონინოს წინადადების წარმატებით განხორციელებისა, ესპანეთის მთავრობა მოითხოვდა ხელშეკრულებაში სპეციალური ნორმის შეტანას, რომლის ძალითაც წევრი ქვეყნის ყოველ წარმომადგენელს ექნებოდა ევროგაერთიანების მოქალაქეობა. 1991 წლის დეკემბერში, მასტრიხტში ხელმოწერილი ევროკავშირის ხელშეკრულება შეიცავდა პუნქტებს, რომლებშიც გათვალისწინებული იყო ევროკავშირის მოქალაქეობა. იგი უზრუნველყოფდა: თავისუფალი გადაადგილების და განსახლების უფლებას; ევროკავშირის მოქალაქეთა უფლებას ხმა მიეცათ ან მონაწილეობა მიეღოთ კანდიდატების სახით მუნიციპალურ არჩევნებში ევროპარლამენტის არჩევნებში მათთვის არა მშობლიურ ქვეყანაში; და მესამე ქვეყანებში, სადაც მათი ქვეყნები არ არის წარმოდგენილი, საკონსულოდან თანასწორი დაცვის მიღების უფლებას. მასში შეტანილ იქნა ევროპარლამენტისადმი მოქალაქეთა მიერ პეტიციის გაგზავნის უფლება. ევროპარლამენტს დაევალა ომბუდსმენის დანიშვნა, რომელიც მიიღებდა საჩივრებს მოქალაქეებისაგან ევროგაერთიანების ინსტიტუციების მიერ არასწორი მართვის თაობაზე.

კომისიას დაევალა ყოველ სამ წელიწადში წარმოედგინა ხელშეკრულების ამ ნაწილის შესრულების ანგარიში. ხოლო მინისტრთა საბჭოს მიენიჭა უფლებამოსილება, ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ხელშეკრულებაში შეეტანა ზემოხსენებული უფლებების გამაძლიერებელი ან დამატებითი პუნქტები.

ერთიანი სიმბოლიკის...

ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც ხელი შეუშალა ევროკავშირისადმი მოსახლეობის ლოიალობის განვითარების ჩამოყალიბებას, იყო ერთიანი სიმბოლიკის არარსებობა, ნაკლი, რომლის გამოსწორებასაც ბოლო პერიოდში კომისია და ეროვნული მთავრობები დიდ ყურადღებას უთმობენ.

...მათ შორის ევროკავშირის დროშის...

1986 წლიდან ევროკავშირს აქვს დროშა, რომელიც აღიმართება ეროვნული და საერთაშორისო დღესასწაულებისა და ცერემონიების დროს, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, რათა ხალხის თვალში ხაზი გაესვას კავშირის არსებობას. დროშა, რომლის ლურჯ ფონზეც გამოსახულია 12 ხუთქიმიანი ვარსკვლავი 1955 წლიდან გამოიყენებოდა როგორც ევროპის საბჭოს დროშა. ახლა იგი ორივე ზემოხსენებულის საკუთრებაა.

...ჰიმნის...

ევროსაბჭოსა და ევროკავშირის საერთო მფლობელობაშია აგრეთვე ჰიმნიც. ამისთვის შეარჩიეს ბეთპოვენის მეცხრე სიმფონიის ბოლო ნაწილი „ოდა სიხარულისა“, რომლის სიტყვები შილერს ეკუთვნის (იგი სრულიად განსხვავდება უმეტესი ეროვნული ჰიმნებისაგან - რომელთა ტექსტიც და მუსიკაც როგორც წესი ბანალურია, თუმცა, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი მიიზიდავს თუ არა იგი ხალხის ყურადღებას) 1986 წელს „ევროპის დღედ“ დასახელდა 9 მაისი - (რობერტ შუმანის დაბადების თარიღი 1886წელს). - იმ იმედით, რომ ყოველ წევრ ქვეყანაში იგი აღინიშნება როგორც სახალხო დღესასწაული.

...პასპორტის...

1974 წლიდან ევროპის საერთო პასპორტის შემოღების მიმართულებით არც თუ ბევრი გაკეთდა. 1981-82 წლებში წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ ერთიან მოდელზე. მისი ფორმატია 88მმ X 124 მმ, შინდისფერი, წარწერა კი „ევროკავშირისა“, რომლის ქვემოთაც მითითებულია წევრი ქვეყანა. მისი შემოღების თარიღად დასახელდა 1985 წლის იანვარი, თუმცა ამ ვადის დაცვა შეძლო მხოლოდ სამმა ქვეყანამ - დანიამ, ირლანდიამ და ლუქსემბურგმა. დანარჩენი

წვერი ქვეყნების უმრავლესობამ 1985 წელს გამოსცა ახალი პასპორტები (რომელთაც შეცვალეს ძველი ეროვნული პასპორტები). ევროპასპორტების შემოღება ყველა წვერ ქვეყანაში მხოლოდ 1989 წლისათვის მოხერხდა.

... და მართვის მოწმობის მიღების მცდელობა

1980 წელს მინისტრთა საბჭომ მიიღო დირექტივა გაერთიანების მართვის მოწმობის შემოღების შესახებ, რომელიც განხორციელდა ორ ეტაპად. 1983 წლიდან არსებობდა წვერი ქვეყნების მიერ ერთმანეთის მართვის მოწმობების ორმხრივი ცნობა, რომელიც ამ წლიდან გაიცემოდა თეორიული გამოცდის, პრაქტიკული ტესტების და საერთო სამედიცინო მოთხოვნების საფუძველზე. 1986 წლის 1 იანვრიდან წვერი ქვეყნების მიერ გაცემული მართვის მოწმობები შეესაბამება გაერთიანების მოდელს, რომელიც აკმაყოფილებს 1968 წლის ვენის საერთაშორისო საგზაო სატრანსპორტო კონვენციის მოთხოვნებს. ასე რომ, იგი მოქმედებს ამ კონვენციის ხელმოწერ არაევროკავშირის ქვეყნებშიც.

სპორტი

ევროკომისია, ისევე როგორც აღონინოს კომიტეტი, ყურადღებას ამახვილებდა სპორტზე; როგორც სფეროზე, რომელიც იწვევს მასების ინტერესს და ხშირად ფანატიკურ ერთგულებას. კომისია ცდილობდა, განსაკუთრებით 1985 წლიდან, ევროპულ სპორტში გაერთიანების განზომილება შემოიტანა და მან საკმაოდ დიდი ოდენობის თანხა დახარჯა სპორტის მთელი რიგი ახალი და არსებული სახეობების დაფინანსებაზე.

იახტების ევროპული რბოლა. 1985 წელს ერთმანეთს შეეჯიბრა 23 დიდი კატამარანი ბალტიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე 3000 მილის სიგრძის დისტანციაზე. ევროპული იახტების შეჯიბრი ახლა რეგულარულად იმართება ორ წელიწადში ერთხელ.

ველორბოლა. 1986-87 წლებში გაერთიანების დაფინანსებით გაიმართა ევროგაერთიანების მომავლის ტური. 1992 წელს კომისიამ დააფინანსა ტურ და ფრანსი, რომელიც თავისი არსებობის მანძილზე პირველად მოიცავდა შეიდ ქვეყანას, ხოლო მარშრუტი შეადგენდა

3830კმ-ს. რბოლამ სტარტი აილო საფრანგეთში, გაიარა საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდი, ლუქსემბურგი, გერმანია, იტალია და დასრულდა მასპინძელ ქვეყანაში.

ჩოგბურთი. მსოფლიოს დახურული დარბაზის უდიდეს ტურნირს ჩოგბურთში - ევროპის ჩემპიონთა ჩემპიონატს, რომელიც ანტვერპენში იმართებოდა, სახელი შეეცვალა და ეწოდა ევროგაერთიანების ჩემპიონატი. 1986 წლიდან იგი ფინანსდება კომისიის მიერ.

ცურვა. ევროგაერთიანების პირველი ჩემპიონატი ცურვაში გაიმართა ლიდსში 1987 წელს.

ევროპის ასოციაციის საიალქნო რეგატა. ევროპის ასოციაციის საიალქნო რბოლამ, რომელიც 1976 წლიდან ფინანსდება კომისიის მიერ, გააერთიანა ახალგაზრდა ნაოსნები სხვადასხვა წევრი ქვეყნებიდან. ასე შეიქმნა პირველი ევროპული სპორტული გუნდი. მან მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს გარშემო მოწყობილ ორ რბოლაში იახტით „რომის ხელშეკრულება“. ორჯერ მონაწილეობდა ტურ დე ფრანსში ნავით „ევროპა“ (მან 1984წ. გაიმარჯვა). 1987 წელს მან მოაწყო „კონსტიტუციის რბოლა“ რომის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის 30 წლისთავის და აშშ-ს კონსტიტუციის 200 წლისთავის აღსანიშნავად. რბოლა გაიმართა ნიუპორტიდან (ბელგია) ფილადელფიამდე.

ევროპის სპორტის ფორუმი. იგი შეიქმნა 1991 წელს და მისი სხდომა ტარდება წელიწადში ერთხელ ბრიუსელში. მონაწილეობენ წევრი ქვეყნების მთავრობის წარმომადგენლები, ეროვნული სპორტული ორგანიზაციები, ოლიმპიური კომიტეტები და სხვადასხვა სპორტული ფედერაციები. მათ შორის არიან აგრეთვე ევროპარლამენტის წევრები და კომისიის წარმომადგენლები. ფორუმი ასრულებს მრჩეველის ფუნქციას. კომისიამ შექმნა სპორტის სექტორი გენერალურ დირექტორატში, რათა გაითვალისწინოს მისი რეკომენდაციები. ბოლო წლებში შეიქმნა არაპირდაპირი დაფინანსების ორი პროგრამა „ევრათლონი“, რომელიც გასცემს გრანტებს ტრანსევროპულ სპორტულპროექტებზე და „ინვალიდთა სპორტი“, რომელიც ხელს უწყობს ისეთ მოვლენებს, როგორცაა სპეციალური მსოფლიო ოლიმპიური თამაშები და მსოფლიო ჯგუფური თასი (ინვალიდთა

სავარძელში მჯდომ ჩოგბურთელებს შორის). 1998 წელს ამ ორი პროგრამის მეშვეობით დაფინანსდა 250 სხვადასხვა პროექტი, რაზედაც დაიხარჯა 2.7მლნ ევრო.

ოლიმპიური თამაშები. 1992 წელს კომისია იყო ალბერტვილში ჩატარებული ზამთრის ოლიმპიური თამაშებისა და ბარსელონაში გამართული ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სპონსორი.

ამსტერდამის ხელშეკრულება. ხელშეკრულების დამატებაში მოცემულია დეკლარაცია, რომელიც ხაზს უსვამს სპორტის სოციალურ მნიშვნელობას და განსაკუთრებით მის როლს ხალხთა დაახლოების და ერთიანობის ჩამოყალიბებაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოყვარულთა სპორტის სპეციფიკურ მხარეებს. აქედან გამომდინარე, 1998 წლის ივნისში კარდიფში გამართულ სამიტზე მინისტრთა საბჭოსა და წევრ ქვეყნებს დაევალებათ იმის გარკვევა, თუ რა შეიძლება გაკეთდეს სპორტში ახალგაზრდების გაუცხოების დასაძლევად. თუმცა ჯერ-ჯერობით ევროკავშირის რაიმე სპეციფიკური პროექტი ამ სფეროში წარმოდგენილი არ ყოფილა.

35 ღახმარება და განვითარება

რომის ხელშეკრულების მეოთხე ნაწილი, რომელიც მოიცავს 131-136 მუხლებს, ითვალისწინებდა გაერთიანებასთან ბელგიის, საფრანგეთის, იტალიისა და ნიდერლანდის ყოფილი კოლონიების დაკავშირებას. მასში ნათქვამია:

ეს მოვლენა უპირველეს ყოვლისა უნდა ემსახურებოდეს ამ ქვეყნებისა და ტერიტორიების მოსახლეობის ინტერესების დაცვასა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას, რათა მათ მიაღწიონ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას, რისკენაც ისინი მიისწრაფვიან.

ევროკავშირის ურთიერთობა აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებთან კონვენციებით რეგულირდება

თავდაპირველად ზემოხსენებული პროცესი შეეხო აფრიკაში საფრანგეთის ყოფილ ტერიტორიებს, რომელთაგანაც უმრავლესობა 1960-იანი წლების დასაწყისში დამოუკიდებელი გახდა. შემდგომ იგივე გავრცელდა გაერთიანებული სამეფოს, ესპანეთისა და პორტუგალიის ყოფილ კოლონიებზე. ამ პროცესში თავდაპირველად მონაწილეობდა მხოლოდ 18 ქვეყანა, რომელთაც ეწოდა აფრიკის სახელმწიფოთა კავშირი და მადაგასკარი (ა.ს.კ.მ.). ამჟამად 71 ქვეყანა (მათ შორის სამხრეთ აფრიკა, რომელიც შეზღუდულ საფუძველზე იქნა მიღებული 1997 წლის აპრილში) 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან შეადგენს, აფრიკის, კარიბის და წყნარი ოკეანის (ა.პ.წ) ქვეყნების ერთობლიობას. (იხ. დანართი 7).

ამ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები რეგულირდება გარკვეული პერიოდულობით დადებული კონვენციებით. პირველ ორ კონვენციას ხელი მოეწერა იაუნდემში (კამერუნის დედაქალაქი) 1963 და 1969 წლებში და ისინი წარმოადგენდნენ ერთგვარ ნიშუმს ოთხი შემდგომი კონვენციისთვის, რომელთაც ხელი მოეწერათ ლომეში (ტოგოს დედაქალაქი) 1975, 1979, 1984 და 1989 წლებში. ერთი მხრივ ა.პ.წ ქვეყნებს მიენიჭათ უფლება მათი პროდუქციის უბათო ექსპორტისა ევროკავშირში ყოველგვარი შემზევდრი მოთხოვნების გარეშე; მეორე მხრივ, მათთვის ხელმისაწვდომი გახდა განვითარების მიზნით გაცემული ღახმარებები როგორც ამ მიზნისა-

თვის დაარსებული ევროპის განვითარების ფონდის (ეგფ) გრანტების, ისე მსბ-ის დაბალპროცენტიანი სესხების სახით. ევროკავშირის წვერი ქვეყნების დახმარების პროგრამების 10% იმართება კავშირის მიერ, მისი უდიდესი ნაწილი კი - აპწ ქვეყნების მიერ. თუმცა უდიდეს ცალკეულ მოსარგებლეს წარმოადგენს ინდოეთი.

ევროკავშირსა და - აპწ ქვეყნების კონვენციებმა მათ ურთიერთობებს ახალი საფუძველი ჩაუყარა ოთხი ასპექტით:

- ორ დაჯგუფებას შორის (რომელთაგან თითოეული მრავალ დამოუკიდებელ ქვეყანას შეიცავდა) ფიქსირებული ვადით შეთანხმებული კონტრაქტების დადებამ კანონიერი საფუძველი შეუქმნა თანამშრომლობის სტაბილურობას.
- დამყარდა ცალკე კონტრაქტი რეგიონულ ბლოკებს შორის, რითაც გამოირიცხა ეკონომიკური და იდეოლოგიური დისკრიმინაცია და ყურადღება გამახვილდა უკიდურესად განუვითარებელი ქვეყნების ანკლავებისა და კუნძულების სპეციფიკურ პრობლემებზე.
- შეიქმნა საერთო ინსტიტუციები, რაც შესაძლებელს ხდის მუდმივ დიალოგს და რომლებიც პასუხს აგებენ განვითარების პროგრამების განხორციელებაზე, ესენია: ევროპარლამენტართა და აპწ ქვეყნების წარმომადგენელთა ერთობლივი ასამბლეა, აპწ- ევროკავშირის მინისტრთა საბჭო და ელჩების კომიტეტი.
- დაინერგა გლობალური მიდგომა, რომელიც მოიცავს თანამშრომლობის ყველა ასპექტს: ფინანსურ დახმარებებს, სავაჭრო შეღავათებს, ექსპორტის შემოსავლების სტაბილიზაციას, აგრარულ და სამრეწველო დახმარებას.

აპწ ქვეყნებიდან ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლიდან 99,5% თავისუფალია საბაჟო გადასახადებიდან. მთავარ გამოწვევის წარმოადგენს ფერმერული ნაწარმი, რომელიც პირდაპირ კონკურენციას უწევს სპპ-ით დაცულ ევროკავშირში წარმოებულ პროდუქციას. სპეციალური გარიგებები იქნა მიღწეული შაქრის თაობაზე. მიუხედავად კავშირის ფარგლებში შაქრის ჭარხლის ჭარბი წარმოებისა ევროკავშირმა დადო კონტრაქტი შაქრის წლიური კვოტის - 1,4 მლნ. ტონის მაღალ, ევროკავშირში მოქმედ ფასად შესყიდვაზე. ეს დათმობა თავდაპირველად მიზნად ისახავდა რამ-

დენიმე ყოფილი ბრიტანული კოლონიის მიერ თანამეგობრობის უპირატესობების დაკარგვის კომპენსირებას. თუმცა აპწ საფეიქრო ნაწარმის ექსპორტი მკვეთრად არის შეზღუდული მულტიბოტკოვანი შეთანხმების (იხ. გვ.137-138) ძალით.

დახმარება განვითარებისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა...

დახმარება განვითარებისათვის კონვენციიდან კონვენციამდე მნიშვნელოვნად იზრდებოდა, თუმცა, ასევე იზრდებოდა მოსარგებლეთა რიცხვი. ლომეს მეოთხე კონვენციის თანახმად, რომელიც 1990-2000 წლებს მოიცავდა, პირველი ხუთი წლისათვის გამოიყო 12 მლრდ ეკიუ, თუმცა, ეს თანხა მთლიანად არ დახარჯულა. 1995 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ 2000 წლამდე პერიოდისთვის გამოყოფილი უნდა ყოფილიყო 14,625 მლრდ ეკიუ, ამ თანხის უმეტესი ნაწილი უნდა გაცემულიყო გრანტებისა და შეღავათიანი სესხების სახით. გარდა ამისა, 1997 წელს სამხრეთ აფრიკისათვის გამოიყო 127,5 მლნ ეკიუ. 1997-99 წლებისათვის ლომეს მეორე, მესამე და მეოთხე კონვენციები გამოირჩევა იმით, რომ მათში ჩართულია სტაბილიზაციის ფონდი (ცნობილი როგორც Stabex). ეს ფონდი ახდენს იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც უკიდურესად არიან დამოკიდებულნი ერთ ან რამდენიმე ძირითად ნაწარმზე, კომპენსაციის გაცემას, მათი საექსპორტო შემოსავლების მკვეთრი რყევის შემთხვევაში. მთლიანად ჩართულია 48 სახეობის ძირითადი სამრეწველო ნაწარმი. ბოლო წლებში წლიურად 400 მლნ. ეკიუზე მეტი გაიცა აპწ-ს 30-ზე მეტ ქვეყანაზე. მსგავსი სისტემა (Sysmin) მოქმედებს სამთო პროდუქტიაზე. იგი უზრუნველყოფს მაღაროს მოწყობილობის რეკონსტრუქციას და შენახვას, როდესაც მათი ფუნქციონირება შეწყვეტილია გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო. ცხრილი 27 წარმოადგენს ლომეს კონვენციით გაწეულ განვითარების ხარჯებს 1998 წელს.

ცხრილი 27 ლომე IV: ხარჯები განვითარებაზე 1998*

სექტორი	მლნ. კეიუ
ეროვნული და რეგიონული	1199,06
საჩვენებელი პროგრამა	585,56
სტრუქტურული დარეგულირება	0,51
Sysmin	151,69
Stabex	35,63
სასწრაფო დახმარება	0,54
დახმარება ლტოლვილებზე	294,55
რისკის კაპიტალი	19,14
პროცენტუანი სუბსიდიები	2288,09 ^b
ჯამი	

ა. პირობითი ციფრები

ბ. ჯამი წყაროში არ არის მითითებული

წყარო: ევროკომისია

...მაგრამ ყურადღება სხვაზე იქნა გადატანილი.

ლომეს მესამე და მეოთხე კონვენციების ძალით მბშ-ს ყურადღების ცენტრი გადატანილ იქნა სოფლის გარემოსა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და უფრო მრავალმხრივი შეთანხმებული პროგრამების და არა ინდივიდუალური პროექტების დაფინანსებაზე. მბშ აგრეთვე ხელს უწყობს რეგიონული განვითარების საერთაშორისო პროექტებს, რაც დაეხმარება მცირე და საშუალო წარმოებებს და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე „მიკროპროექტებს“. იგი მიზნად ისახავს ყურადღების გამახვილებას ბუნებრივი წონასწორობის აღდგენაზე: გვალვებისა და უდაბნოს გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლასა და ა.შ.

ესბ უზრუნველყოფს გრძელვადიან სესხებს საკუთარი წყაროებიდან, მბშ-ს მიერ გაცემული 3%-იანი სუბსიდიებით. იგი აგრეთვე

აფინანსებს (ან მონაწილეობს დაფინანსებაში) ინდუსტრიული პროექტების განხორციელებადობის გამოკვლევებს. ეს პროცესი მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესს, აგრობიზნესს, მომპოვებელ დარგებს, ტურიზმს და ენერგეტიკას, ასევე საწარმოო ინფრასტრუქტურას, როგორცაა: პორტები, რკინიგზა, წყალმომარაგება და ტელეკომუნიკაცია.

მშპ-მ ბრიუსელში დაარსა ინდუსტრიის განვითარების ცენტრი (იზც), რომელსაც სათავეში უდგანან აპწ-სა და ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლები. მის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს „აპწ ქვეყნებში სამრეწველო საწარმოების დაარსებისა და გაძლიერებისთვის ხელშეწყობა ევროგაერთიანებისა და აპწ ქვეყნების ეკონომიკური მოხელეების ერთობლივი ინიციატივების წახალისების გზით“. თანაშრომლობა გავრცელდება ისეთ სფეროებზეც როგორცაა: ენერგეტიკა, ნაოსნობა და თევზის რეწვა, ასევე სოციალურ და კულტურულ სფეროებზე: აპწ ქვეყნების ხალხების და კულტურული ერთიანობის განვითარება და ევროპაში აპწ ქვეყნების სტუდენტებისა და შრომელთა დახმარება¹.

კომისია ამჟამად დაკავებულია თავისი დახმარების სტრატეგიის გადახედვით 2000 წელს ლომეს მეხუთე კონვენციის თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებამდე. 1996 წელს მან გამოსცა „მწვანე ფურცელი“ ევროკავშირისა და აპწ ქვეყნებს შორის 21-ე საუკუნის მიჯნაზე არსებული ურთიერთობების შესახებ და შეიმუშავა მეხუთე კონვენციის ოთხი სავარაუდო ვარიანტი;

1. არსებულ კონვენციაში მცირეოდენი შესწორებების შეტანა;
2. საერთო შეთანხმების დადება მონაწილე ქვეყნებს შორის ორმხრივ შეთანხმებაზე ყურადღების გამახვილებით;
3. ლომეს კონვენციის დანაწევრება რეგიონულ შეთანხმებებად იმის საფუძველზე, რომ სამ რეგიონს განვითარების სხვადასხვა დონე და განსხვავებული მოთხოვნილებები აქვს. მათ შორის აფრიკის საპარის რეგიონი ყველაზე მეტ პრობლემას წარმოშობს;
4. ყურადღების კონცენტრაცია ძირითადად ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებზე.

1998 წლის სექტემბრიდან „მწვანე ფურცელი“ დეტალურად იქნა განხილული აპწ ქვეყნებთან მოლაპარაკებების დაწყებისთვის

სტრატეგიის შემუშავებამდე. წევრმა ქვეყნებმა არ მოიწონეს ზემო-ხსენებული ოთხი ვარიანტი და გადაწყვიტეს ყურადღება გაემახვი-ლებინათ ხუთ უმთავრეს მიზანზე, ესენია: პარტნიორობის აღორძინება და მისთვის მტკიცე პოლიტიკური განზომილების მიცემა; სიღარიბის აღმოფხვრის ერთიანი მიდგომის შემუშავებით თანამშრომლობის ცენტრის გადანაცვლება; ეკონომიკური პარტნიორობის გაფართოება; თანამშრომლობის ინსტრუმენტებისათვის ზუსტი შერჩევითი სახის მიცემა; აპწ ქვეყნების გეოგრაფიული გარჩევა მათი, როგორც ჯგუფის ერთიანობის ხელყოფის გარეშე. მოლაპარაკებების დასრუ-ლების ბოლო ვადად დასახელდა 2000 წლის თებერვალი, რომლის შემდეგაც ლომეს მეხუთე კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს.


განვითარებადი ქვეყნებისთვის დახმარების სხვა ფორმები ლომეს კონვენციას ევროკავშირი არ მიიჩნევს მოწყალების აქციად. კავშირის პირადი ინტერესები, რაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდე-ბული საკუთარი სამრეწველო ნაწარმის და განვითარებადი ქვეყნე-ბიდან ნედლეულის მოწოდებაზე, ღრმად არის ჩართული მსოფლიო ეკონომიკის სტაბილურობის შენარჩუნებისა და ღარიბი ქვეყნების სწრაფი განვითარების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ მბმპ პრიორიტეტს ანიჭებს აპწ ქვეყნების ხელშეწყობას მბმპ-ს მე-შეეობით იგი გაცილებით დიდ თანხებს ხარჯავს (1990 წლის ბიუჯეტში 5,9 მლრდ ეკიუ) განვითარებადი ქვეყნებისთვის დახმა-რების სხვა ფორმებზე, გარდა უპირატესობის სისტემით გათვალის-წინებული სავაჭრო შეღავათებისა. იგი მოიცავს სამ ძირითად კატეგორიას.

სასწრაფო დახმარება. კავშირი უგზავნის საკვებ პროდუქტებს ქვეყნებს, რომლებიც ითხოვენ დახმარებას საკვების მკვეთრი უკმარი-სობის დაძლევის მიზნით. სასწრაფო დახმარება უგზავნება იმ ქვეყნებს, რომლებიც დაზარალდნენ სტიქიური უბედურებების, ან სხვა კრიზი-სების შედეგად. 1998 წელს საკვები პროდუქტებით დახმარებაზე 530 მლნ. ეკიუ დაიხარჯა: ძირითადად მარცვლეულის, შაქრის, რძის პროდუქტების და მცენარეული ზეთების მიწოდებაზე. სასწრაფო დახმარება გაეწია რუანდასა და ბურუნდის, ბოსნიასა და ჩეჩნეთს. ამგვარი დახმარების მართვას, რომლის მიწოდებასაც ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციები ახდენენ, სათავეში უდგას ევროგაერ-

თანების ჰუმანიტარული სამსახური (მბჰს) (European Community Humanitarian Office (ECHO), რომელიც 1991 წელს შეიქმნა. 1998 წელს მბჰს-ს მეშვეობით ჰუმანიტარულ დახმარებაზე განაწილებული იქნა სულ 325 მლნ. ეკიუ. ბოლო წლებში ჩატარდა მრავალი სასწრაფო დახმარების პროგრამა, განსაკუთრებით შიმშილისა და სამოქალაქო ომის მსხვერპლთა დასახმარებლად ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: ეთიოპია, სუდანი, სომალი, ანგოლა, მოზამბიკი და ლიბერია, ასევე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში: ტაჯიკეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. ეს დახმარება არ არის მთლად უანგარო. კერძოდ, იგი ეხმარება სპაჰ-ს ჭარბი საკვები პროდუქტების შემცირებაში. ხდება აგრეთვე სპეციალური პროგრამების დაფინანსებაც, რომლებიც ითვალისწინებს ღარიბი ქვეყნების მიერ საკვების წარმოებაში არსებული პრობლემების დაძლევისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობისთვის ხელშეწყობას.

Phare და Tacis. 1998 წლის ივლისში ევროგაერთიანების სოფლის მეურნეობის მინისტრებმა გამოცვეს დაახლოებით 110 მლნ. ეკიუს ღირებულების საკვები პროდუქტები პოლონეთის დასახმარებლად. ამ ქმედებას საფუძვლად ედო პარიზში დასავლეთის ეკონომიკურ სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება, კომისიისთვის პოლონეთისა და უნგრეთისათვის სასწრაფო დახმარების კოორდინირების დავალება. ეს დახმარება უპირველეს ყოვლისა მოტივირებული იყო ამ ორი ქვეყნის დემოკრატიისკენ წინსვლის სტიმულირების სურვილით. მას მოჰყვა უფრო მასშტაბური დახმარების პროგრამა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, რომელსაც სათავეში ედგა ევრო გაერთიანება ეიშპო-ს ქვეყნების სახელით (24 ქვეყნისგან შემდგარი ჯგუფი) და რომელიც ცნობილია სახელით პროგრამა Phare (პოლონეთი და უნგრეთი – დახმარება ეკონომიკური რესტრუქტურისთვის) (Poland and Hungary-Aid for Economic Restructuring, Phare ფრანგულად ნიშნავს შუქურას). მსგავსი პროგრამა Tacis (Technical Assistanse for Commonwealth of Independent States - ტექნიკური დახმარება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისთვის) შეიქმნა 1991 წელს და შეეხო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და მონღოლეთს.


დიაგრამა №10 Phare პროგრამით დაფინანსება ქვეყნების მიხედვით 1990-97 (მლნ. ეკიუ)



^ა 1990-92 ^ბ 1990

წყარო: ევროკომისია

დიაგრამა 11 Tacis პროგრამით დაფინანსება 1990-98 (მლნ. ეკიუ)



* მხოლოდ 1990წ. 1992 წლიდან Phare პროგრამაში ჩაერთნენ ბალტიის კვანები
წყარო: ევროკომისია

1998 წლისთვის ამ ორი პროგრამით დაიხარჯა 9.4მლრდ. ეკიუ (იხ. მაჩვენებლები 10 და 11 გვ.318 და 319). საუკუნის დარჩენილ წლებზე ბიუჯეტი კიდევ უფრო გაიზარდა.

დახმარება არაასოცირებული ქვეყნებისათვის. ევროკავშირმა აზიის ქვეყნებთან, როგორცაა: ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში და ლათინურ ამერიკულ ქვეყნებთან დადო ხელშეკრულებების სერია, რომელიც ითვალისწინებს დახმარებას ამ ქვეყნების განვითარებისთვის. 1991-95 წლებში მიღებულ იქნა 2750 მლნ. ეკიუს ოდენობის დახმარების პაკეტი, რომლიდანაც 10% გათვალისწინებულია გარემოს, უმეტესწილად კი ამაზონიის ტყის დაცვაზე. ანალოგიური დახმარება გაიცემა ხმელთაშუაზღვის მარცხენა და მარჯვენა ქვეყნებზე და ისრაელზე, ამ ქვეყნებთან დადებული თანამშრომლობის შეთანხმებებზე თანდართული ფინანსური პროტოკოლის თანახმად.

1991-95 წლებში გამოყოფილ იქნა 2375 მლნ. ეკიუ. სამხრეთის წვერი ქვეყნების მოთხოვნით. 1995-99 წლებში მკვეთრდ გაიზარდა დახმარების პროგრამა ხმელთაშუა ზღვის რეგიონის არამოკავშირე ქვეყნებისათვის და მიაღწია ცენტრალურ და აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნებზე გამოყოფილი დახმარების მთლიანი მოცულობის დაახლოებით ერთ მესამედს. 1995 წლის ივნისის კანის სამიტზე მიღწეული შეთანხმებების შედეგად გამოყოფილი წლიური თანხები ნაჩვენებია 28 ცხრილში.

ცხრილი 28 ევროკავშირის დახმარება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე და ხმელთაშუა ზღვისპირეთის არამოკავშირე ქვეყნებზე 1995-99წ.წ. (მლნ. ეკიუ)

° ცენტრალური და ხმელთაშუა ზღვისპირეთის აღმოსავლეთ ევროპ. ქვეყნები (მესამე) ქვეყნები

1995	1154	550
1996	1235	900
1997	1273	1000
1998	1397	1092
1999	1634	1143
ჯამი	6693	4685

წყარო: მინისტრთა საბჭო

გაფართოების და გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ასპარეზი. როდესაც განვითარებადი ქვეყნებისთვის ევროკავშირის დახმარების პროგრამებს ერთიანობაში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ევროკავშირის ძალისხმევა ამ თვალსაზრისით ძალზე დიდია და რომ იგი მართლაც უთმობს განვითარების ხელშეწყობას მის მშპ-ს იმაზე დიდ ნაწილს, ვიდრე აშშ ან იაპონია. 1990-იანი წლების დასაწყისში იგი უზრუნველყოფდა მთლიანი მსოფლიო დახმარების 47%-ს., აშშ 20%-ს, ხოლო იაპონია 7,8%-ს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის მხოლოდ სამმა ქვეყანამ მიაღწია გაერთიანებული ერების გეგმიურ მაჩვენებლებს, დაუთმეს რა დახმარების პროგრამებს მათი მშპ-ის 0,7%. ეს ქვეყნებია: დანია, ნიდერლანდი და შვედეთი. უფრო მეტიც, ევროკავშირის პოლიტიკის რამდენიმე სფერო, კერძოდ სპპ (რომელიც ხელს უწყობს მსოფლიო ბაზარზე ევროკავშირის ჭარბი საკვები პროდუქტების დემპინგს და სშირად ამით უშუალო კონკურენციას უწევს განვითარებადი ქვეყნების ფერმერებს) და თავად საკვები პროდუქტებით დახმარების პროგრამები მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის განვითარებად ქვეყნებს. ევროკავშირის დახმარების პროგრამების მკაცრი კრიტიკის კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ისინი ევროკავშირის ფირმების ინტერესებს ემსახურება, რამდენადაც სწორედ ეს ფირმები იღებენ კონტრაქტების უმეტეს ნაწილს და სშირად პოტენციურ მოსარგებლებზე მეტ მოგებასაც კი. მიუხედავად ევროკავშირის განვითარების პოლიტიკის მიღწევებისა, ჯერ კიდევ ბევრი უნდა გაკეთდეს, რათა მოხდეს მისი მიზნების სრული რეალიზაცია.

1. *ლომეს კონვენცია ითვალისწინებს დახმარებას ზღვისგალმა ქვეყნებსა და ტერიტორიებზე (ზეტ-OCTS), რომლებიც ჯერ კიდევ კავშირში არიან წევრ ქვეყნებთან (იხ. სრული სია დანართში №7). ზღვისგალმა ტერიტორიებზე, რომლებსაც გააჩნიათ წევრი ქვეყნის პროვინციის ან ნაწილის სტატუსი (როგორცაა აზორის კუნძულები, მადეირა, კანარის კუნძულები, საფრანგეთის ზღვისგალმა ნაწილები) ეს დახმარებები არ ვრცელდება, სანაცვლოდ ისინი იღებენ მხარდაჭერას ევროპის რეგიონული განვითარების ფონდიდან (ერკფ).*

36 საბარემო, თავდაცვის და უშიშროების პოლიტიკა

რომის ხელშეკრულებაში არ იყო ნახსენები საგარეო პოლიტიკა, გარდა საგარეო ვაჭრობის პოლიტიკისა. ასე რომ, პროგრესი საგარეო პოლიტიკაში წვერი ქვეყნების თანამშრომლობისაკენ ძალზე ნელა და არაფორმალურად მიმდინარეობდა. თუმცა, იგი ერთ-ერთი იმ რამდენიმე სფეროთაგანია, რომელშიც პროგრესი, მიუხედავად მისი შეზღუდული ფორმისა, 1989 წლიდან მაინც უწყვეტად ვითარდება და ყოველწლიურად წვერი ქვეყნების თანამშრომლობა წინა წელთან შედარებით უფრო აქტიური ხდებოდა.

დავნიონის მოხსენება საფუძველს აყალიბებს

საგარეო პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობას (ევროკავშირის წრეებში ცნობილი როგორც პოლიტიკური თანამშრომლობა), ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, საფუძველი ჩაეყარა 1969 წლის დეკემბერში ჰააგაში გამართულ ევროკავშირის სამიტზე, როდესაც გადაწყდა დაევალებინათ უმაღლესი ეროვნული მოხელეებისათვის წარმოედგინათ მოხსენება საგარეო საქმეებში თანამშრომლობის მიღწევის შესაძლებლობებზე. კომიტეტმა ეტიენ დავნიონის (ბელგიის მაშინდელი საგარეო საქმეთა მოხელე, მოგვიანებით ევროგაერთიანების წამყვანი კომისარი) მეთაურობით შეიმუშავა მოხსენება, რომელშიც მოცემული სისტემა ითვალისწინებდა: „აზრების, შეხედულებებისა და დამოკიდებულებების ერთმანეთთან შეთანხმებას და შეძლებისდაგვარად საერთო გადაწყვეტილებების გამოტანას.“

დავნიონის მოხსენება დამტკიცდა და წლების მანძილზე გარკვეული შესწორებებით იგი წარმოადგენდა ევროგაერთიანების ქვეყნების პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითად საფუძველს 1970-იან 80-იანი წლების განმავლობაში. მოხსენების თანახმად ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრები წელიწადში ორჯერ მაინც უნდა შეკრებილიყვნენ და განეხილათ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები. ფაქტიურად ამჟამად მათი სხდომები იმართება ყოველთვიურად, კრიზისულ ვითარებაში კი უფრო ხშირად. მრავალი წლის მანძილზე უმეტესწილად გოლისტურ და პოსტ-გოლისტურ პერიოდში, ფრანგების მოთხოვნით, მკვეთრად იქნა გამიჯნული პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხებისადმი

მიძღვნილი (რომლის მოწვევა როგორც წესი ხდებოდა იმ ქვეყნის დედაქალაქში რომელსაც მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტის პოსტი ეკავა) და ევროგაერთიანების „ჩვეულებრივი“ საქმიანი სხდომები, რომლებიც ბრიუსელში ან ლუქსემბურგში იმართებოდა. წლების განმავლობაში ეს განსხვავება სუსტდებოდა. ამჟამად ამ ორი სფეროს ერთ სხდომაზე განხილვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

გარდა საგარეო საქმეთა მინისტრებისა, ყოველმა წევრმა სახელმწიფომ დანიშნა წამყვანი დიპლომატიური მოხელე-პოლიტიკური დირექტორი, რომლის უშუალო პასუხისმგებლობასაც წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის სფეროში 15 წევრი სახელმწიფოს თანამშრომლობა. პოლიტიკური დირექტორები იკრიბებიან ყოველთვიურად და თითოეულს ახლავს უმცროსი მოხელე-ევროკორესპონდენტი, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს ყოველდღიური კომუნიკაცია. ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან ტელექსის სპეციალური სისტემით და წელიწადში ერთმანეთს უგზავნიან 5000-ზე მეტ ტელეგრამას. ელექტრონული ფოსტის გამოგონებასთან ერთად მათი ურთიერთობა უფრო ინტენსიური გახდა და შეიძლება დახასიათდეს როგორც უწყვეტი პროცესი. პოლიტიკური თანამშრომლობის ორგანიზებას ახდენს იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც ამჟამად უკავია პრეზიდენტის პოსტი. საგანგებო ევროპული აქტით, რომელმაც პირველად მისცა პოლიტიკურ თანამშრომლობას ფორმალური სახე, 1987 წელს ბრიუსელში დაარსდა მცირე სამდივნო, რათა უზრუნველყო დამატებითი მხარდაჭერა და პროცესის უწყვეტობა.

ერთიანი საგარეო პოლიტიკისადმი ვალდებულებამ ფორმალური სახე მიიღო...

საგანგებო ევროპული აქტი წევრ ქვეყნებს ავალდებულებდა „ერთიანი ძალებით შეემუშაებინათ და გაეტარებინათ ევროპის საგარეო პოლიტიკა“ (მუხლი 30). იგი აწესრიგებდა ევროსაბჭოს პოზიციასა ან მთავრობების მეთაურთა სამიტებს, რომლებიც 1973 წლიდან წელიწადში სამჯერ, 1986 წლიდან კი წელიწადში ორჯერ იმართებოდა. ევროსაბჭოს სხდომებმა დიდი როლი შეასრულეს პოლიტიკური თანამშრომლობის სტიმულირებაში. საგარეო პოლიტიკა მუდმივად იკავებს მათი დღის წესრიგის მნიშვნელოვან, ხშირად კი უმეტეს ნაწილს. მნიშვნელოვან წილად მათ დასავლეთის ალიანსის ქვეყნებს შესაძლებლობა მისცეს მოეხდინათ საკუთარი პოზიციების

კოორდინირება და ამით ხელი შეუწყვეს მათი და აშშ-ის პოზიციების გათანაბრებას, რომელიც პირისპირ ჩაგრავდა თითოეულ მათგანს.

...მაგრამ განვითარება შეაფერხა წვერი ქვეყნების კერძო ინტერესებმა.

თუმცა განვითარებას რამდენიმე ფაქტორმა შეუშალა ხელი. ერთ-ერთი მათგანი იყო ირლანდიის ნეიტრალიტეტი, რამაც მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი ევროკავშირს შეესრულებინა NATO-ს ევროპული ფრთის როლი (ფაქტად რჩება აგრეთვე ისიც, რომ NATO-ს სამი ევროპული წვერი ქვეყანა: ნორვეგია, ირლანდია და თურქეთი არ არის ევროკავშირში გაწევრიანებული). უფრო მეტიც, დანია და საბერძნეთი მიუხედავად იმისა, რომ ორივენი ნატოს წევრები არიან, მტკიცედ ეწინააღმდეგებოდნენ ევროკავშირის ფარგლებში დასავლეთის უშიშროების საკითხების განხილვას. დანიის ამგვარ ქმედებას საფუძვლად ედო მისი მცდელობა შეეზღუდა ევროკავშირის უფლებამოსილება იმ საკითხებში, რომლებიც სპეციალურად იყო გათვალისწინებული რომის ხელშეკრულებაში. საბერძნეთის ამგვარი დამოკიდებულება კი იმით იყო გამოწვეული, რომ პაპანდრეუს მთავრობის დროს მას ნაკლებად კრიტიკული პოზიცია ეკავა საბჭოთა კავშირის (და რადიკალური არაბული სახელმწიფოების) მიმართ, ვიდრე NATO-ში შემავალ მის მოკავშირეებს.

დროდადრო ევროკავშირის სამი უმსხვილესი ქვეყანა: გერმანია, საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო, უხალისოდ უქვემდებარებდნენ მათ პირად ინტერესებს კავშირის ინტერესებს. 1990 წელს, გერმანიის გაერთიანებამდე, დასავლეთ გერმანიის მთავრობა, გამომდინარე აღმოსავლეთ გერმანიასთან არსებული კავშირებიდან და სურვილიდან შეენარჩუნებინა ახლო თანამშრომლობა აღმოსავლეთ გერმანიის რეჟიმთან და ხელი არ შეეშალა გაერთიანების სავარაუდო შორეული პერსპექტივისათვის, ხშირად უფრო რბილ პოზიციას იკავებდა აღმოსავლეთ ევროპის მიმართ, ვიდრე სხვა წვერი სახელმწიფოები. გაერთიანების შემდეგ იგი კვლავაც თავის მოკავშირეებზე მეტად იყო მონდომებული ფინანსური დახმარება გაეწიათ საბჭოთა კავშირისათვის და შეეშუშავებინათ ფართომასშტაბიანი ეკონომიკური დახმარების პროგრამა. 1992 წლისათვის გაერთიანების ხარჯები იმდენად გაიზარდა, რომ გერმანიამ უარი განაცხადა დანარჩენი აღმოსავლეთ ევროპისათვის გათვალისწინებული დახმარების ლომის წილის გადახდაზე. საფრანგეთისა და გაერთიანებულ სამეფოს მსო-

ფლიო მასშტაბის ინტერესებს უმეტესწილად მათი კოლონიზატორული წარსული განაპირობებდა. ასე რომ, ორივე ეს ქვეყანა თავისი ნაციონალისტური მიდგომით მკვეთრად განსხვავდებოდა დანარჩენი წევრი ქვეყნებისაგან. საფრანგეთი, რომელიც და გოლის ეპოქიდან მოყოლებული NATO-ს სამხედრო სტრუქტურის გარეთ რჩებოდა, მეტ მზადყოფნას იჩენდა ევროპელ პარტნიორებთან სხვა სფეროებში თანამშრომლობისადმი. განსაკუთრებით კი პრეზიდენტ მიტერანის არჩევის შემდეგ (1981). რაც შეეხება გაერთიანებულ სამეფოს, ტეტჩერის ეპოქაში იგი არც აპირებდა თავისი უფრო დამოუკიდებელი პოზიციის შერბილებას.

ამ მიზეზების გამო, ევროსაბჭომ და ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომებმა ფორმალურად არ იკისრა დასავლური ალიანსის ევროპული ფრთის საერთო შტაბის როლი, რაც სხვა დროს მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო. არაფორმალურად იგი საკმაოდ მიუახლოვდა ზემოხსენებულს. მაგალითად, თავდაცვის პრობლემები გამოირიცხა დღის წესრიგიდან (რამდენადაც იგი გამოჯნულია უშიშროების პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტებისაგან), თუმცა უეჭველია, რომ ეს პრობლემები არაერთხელ იქნა განხილული. ასეთ შემთხვევაში ირლანდიის პრემიერ-მინისტრი ან საგარეო საქმეთა მინისტრი სიჩუმეს ინარჩუნებდა. უფრო ლოგიკური იქნებოდა, მას რომ დროებით დაეტოვებინა სხდომა, მაგრამ არავის სურდა ამ საკითხის კამათის საგნად ქცევა. ასე რომ, ირლანდიის ნეიტრალური სტატუსი არ შელახულა მისი მინისტრების დასწრებით. მიუხედავად ამისა, გაერთიანება ეწინააღმდეგებოდა პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას თავდაცვის სფეროში. სწორედ ამან განაპირობა 1984 წელს ახალი სიცოცხლის შთაბერვა დასავლეთ ევროპის მომავლადი კავშირისათვის, როგორც დასავლეთ ევროპის ფორუმისა თავდაცვის საკითხების კონტექსტში.

თანამშრომლობა დამყარდა გარკვეულ ასპექტში.

საგარეო პოლიტიკის სფეროში ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა სამ ძირითად ასპექტში იქნა მიღწეული.

ევროკავშირის საერთო პოზიციის წარდგენა. დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმას, რომ შესაძლებელი გამხდარიყო საერთაშორისო ასპარეზზე 15 ქვეყნის ერთიანი ხმით აუღერება. ამჟამად პრეზიდენტის პოსტის მფლობელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი

გაერთიანებული ერების ყოველი სესიის (სექტემბერი) გახსნაზე საერთო დებატებში ყველა წევრი ქვეყნის სახელით გამოდის. წლის განმავლობაში გაეროს ევროკავშირის ქვეყნების 15 ელჩი მუდმივ კავშირში არის და მუხლჩაუკეცავად შრომობს, რათა უზრუნველყოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ხმის შეთანხმებული მიცემა გენერალური ასამბლეის დანაყოფებში. ჩამოყალიბდა პრაქტიკა რომ, ისევე როგორც გაეროში, ასევე სხვა საერთაშორისო კონფერენციებზეც, მათ შორის ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის კონფერენციებზე (მუშტკ), რომელსაც ჰელსინკის 1975 წლის შეთანხმებით ჩაეყარა საფუძველი, ევროკავშირის საერთო პოზიციას წარადგენს პრეზიდენტობის პოსტის მფლობელი ქვეყანა. 1992 წლიდან მუშტკ ცნობილია, როგორც „ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაცია (მუშტო)“. იგი შედგება 53 წევრისაგან და მასში შედის ევროპის ყველა ქვეყანა, აშშ და კანადა.

სანქციების გატარება. ერთობლივი ქმედებები წარმოებს ეკონომიკური სანქციების თვალსაზრისით. სანქციების გატარება მოხდა ევროკავშირის ყველა, ან უმეტესი წევრის თანხმობის საფუძველზე, რვა ცალკეულ შემთხვევაში:

- სამხრეთ როდეზიის წინააღმდეგ გაეროს რეზოლუციის თანახმად 1965 წელს.
- 1980 წელს ირანის წინააღმდეგ ამერიკელი ტყვეების აყვანის შემდეგ. პოლონეთში 1981 წელს კომენდატის საათის დაწესების გამო, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (საბერძნეთმა უარი განაცხადა სანქციების გატარებაზე).
- არგენტინის წინააღმდეგ ფოლკლენდის ომის განმავლობაში 1982 წელს (იტალიამ და ირლანდიამ სანქციები ომის შუა პერიოდში მოხსნეს).
- ისრაელის წინააღმდეგ 1982 წელს ლიბანში შეჭრის შემდეგ.
- 1986 წელს სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ (გაერთიანებულ სამეფოს თავიდან არ სურდა მონაწილეობის მიღება, თუმცა საბოლოოდ შეუერთდა სანქციას მას შემდეგ, რაც ზომების თავდაპირველი პაკეტი მნიშვნელოვნად შერბილდა).
- ერაყის წინააღმდეგ 1990 წლის აგვისტოში კუვეითში შეჭრის გამო, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის თანახმად.

- სერბეთის და მონტენეგროს (ჩერნოგორია) წინააღმდეგ 1991-95 წლებში ხორვატიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში მიმდინარე ბრძოლების განმავლობაში.
- სერბეთის წინააღმდეგ კოსოვოს კონფლიქტის განმავლობაში და მას შემდეგ 1998 წლიდან.

ვერ ვიტყვით, რომ პოლიტიკური მიზნით ევროკავშირის ეკონომიკური გავლენის გამოყენების ამ მცდელობებიდან, არცერთს არ მოჰყოლია სასურველი შედეგი. თუ კი რამ იქნა მიღწეული, ეს იყო ალბათ ევროკავშირის ქვეყნების მიერ ერთად მუშაობის ჩვევის განმტკიცება და საერთო მიზნის ცნების გაძლიერება.

ინიციატივები. ევროკავშირის მთავრობების შეთავაზებები ევროსაბჭოში მათი პერიოდული სხდომების მანძილზე არაერთი ინიციატივით გამოვიდნენ. გამოქვეყნდა დადგენილებები და დეკლარაციები: აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობებზე, ახლო აღმოსავლეთის, ირან-ერაყის ომის, ავღანეთის, პოლონეთის, ცენტრალური ამერიკის და სამხრეთ აფრიკის შესახებ, თუმცა მათ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი (როგორცაა ვენეციის დეკლარაცია ახლო აღმოსავლეთის შესახებ, რომელიც გულისხმობდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ჩართვას სამშვიდობო პროცესში) ფართოდ იქნა გაშუქებული. ამ განცხადებების მუდმივი სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი, როგორც წესი, წმინდა დეკლარაციულ ხასიათს ატარებენ და მათ სერიოზული ქმედებები არ მოჰყოლია.

ახალი ბიძგი საერთო პოლიტიკის მიმართულებით...

აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის კრაზმა, რომლის ერთ-ერთ შედეგსაც გერმანიის გაერთიანება წარმოადგენდა, შემდგომ კი სპარსეთის ყურეში ერაყის წინააღმდეგ გამართულმა ომმა, ახალი ბიძგი მისცა ერთიანი საგარეო პოლიტიკის შემუშავებას. ერთი მხრივ გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი გრძნობდა, თუ რაოდენ აუცილებელი იყო გერმანიის დაკავშირება ევროპის ფედერაციასთან იმისათვის, რომ მის მეზობელ ქვეყნებს გერმანიის გაერთიანების გამო შიშის მიზეზი აღარ ჰქონოდათ. მეორე მხრივ, ერაყის ომამდე და მისი მიმდინარეობისას წევრ ქვეყნებს შორის წარმოქმნილამა

არსებულმა აზრთა სხვადასხვაობამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, თუ რამდენად შორს იყო ევროგაერთიანება გარეშე მსოფლიოს წინაშე ერთიანი სახით წარდგენისაგან.

...რომელიც გაძლიერებული იქნება მასტრიხტის ხელშეკრულებით.

მთავრობათაშორისი კონფერენციის დღის წესრიგში მთავარი თემა იყო საერთო საგარეო თავდაცვის და უშიშროების პოლიტიკა. ეს კონფერენცია 1990 წლის დეკემბერში გაიხსნა და 1991 წლის დეკემბერში გამართულ მასტრიხტის სამიტზე მან მოხსენება წარადგინა, ევროკავშირის ხელშეკრულება, რომელიც ამ სამიტზე იქნა დადებული, მართლაც მოიცავდა შორს გამიზნულ დებულებებს, თუმცა მათი დიაპაზონი არ იყო ისე დიდი, როგორც ეს გერმანიას და სხვა წევრი ქვეყნების უმეტესობას სურდა. მიღებულ იქნა უფრო ფრთხილი მიდგომა, დაფუძნებული გადაწყვეტილების ძირითადად ერთხმად (და არა ხმათა უმრავლესობით) მიღების პრინციპზე, რაც უმეტესწილად გაერთიანებული სამეფოს მოთხოვნამ განაპირობა. მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ შემდგომ კონფერენციაზე 1966 წელს, ეს საკითხი ხელახლა განხილულიყო. გერმანია და მისი მომხრეები იმედოვნებდნენ, რომ ამ კონფერენციაზე მაინც იქნებოდა მიღებული უფრო ქმედითი მიდგომა. როდესაც ამ მთავრობათაშორისმა კონფერენციამ 1997 წლის ივნისში ამსტერდამის სამიტზე მოხსენება წარადგინა, მან ვერ შეძლო შეეტანა რაიმე რადიკალური წინადადება. ასე რომ, ამსტერდამის ხელშეკრულებამ ამ თვალსაზრისით დიდად ვერ წასწია წინ მასტრიხტის ხელშეკრულება.

მასტრიხტის ხელშეკრულება მოითხოვს „კავშირისა და მისი წევრებისაგან“ ამოქმედონ საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა (სსშპ). ამის მიღწევა უნდა მოხდეს წევრ ქვეყნებს შორის სისტემატური თანამშრომლობის დამყარებით და თანდათანობით ერთიანი ქმედებების განხორციელებით. წევრი ქვეყნები მოვალენი არიან მოახდინონ ერთმანეთის ინფორმირება და ერთმანეთთან კონსულტაცია მინისტრთა საბჭოს შიგნით საგარეო და უშიშროების პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მინისტრთა საბჭო კი საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს საერთო პოზიციას. წევრი ქვეყნები მოვალენი არიან შეუთანხმონ თავიანთი ეროვნული პოლიტიკა საერთო პოზიციას და მოახდინონ თავიანთი ქმედებების კოორდინირება

საერთაშორისო ორგანიზაციებში. ევროსაბჭოს ევალუა „ერთობლივი ქმედებების“ საერთო საფუძვლების განსაზღვრა და მანვე ერთხმად უნდა გადაწყვიტოს, დაექვემდებაროს თუ არა რომელიმე სფერო თუ საკითხი ერთობლივ ქმედებას. განხორციელების დეტალურ გეგმას გადაწყვეტს ხმათა კვალიფიციური უმრავლესობა (ანუ 87 ხმიდან 62 ხმა. მონაწილეობა უნდა მიიღოს მინიმუმ 10-მა წევრმა სახელმწიფომ. იხ. გვ.74).

ხელშეკრულების თანახმად სს“პ უნდა მოიცავდეს ევროკავშირის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, მათ შორის საერთო თავდაცვის პოლიტიკის საბოლოო ჩარჩოებს, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს საერთო თავდაცვის შემუშავებას. ამასობაში გადაწყვეტილებები უსაფრთხოების შესახებ, რომელშიც ჩართული იქნება თავდაცვის ელემენტები, მიღებულ იქნება მოთხოვნისამებრ დასავლეთ ევროპის კავშირის მიერ. ადრე, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა საერთო წევრთა მნიშვნელოვანი ჯგუფი, ურთიერთობები დიპ-თან გართულებული იყო იმ ფაქტის გამო, რომ მასში არ შედიოდა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. მასტრიხტში დიპ-ის მინისტრების პარალელურ სხდომაზე გადაწყდა, რომ ამ ორგანიზაციაში მიღებულ იქნებოდა ევროგაერთიანების ყველა მსურველი წევრი სახელმწიფო. საბერძნეთი შეუერთდა დიპ-ის არსებულ ცხრა სახელმწიფოს, ავსტრიამ, დანია, ირლანდიამ, ფინეთმა და შვედეთმა კი არჩიეს გამხდარიყვნენ დიპ-ის დამკვირვებელი ქვეყნები“. ამ ხუთეულიდან მხოლოდ დანია არის NATO-ს წევრი. ევროკავშირსა და დიპ-ს შორის მომავალი კოორდინირების ხელშეწყობის მიზნით მასტრიხტში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ უკანასკნელის შტაბბინის ბრიუსელში გადატანის შესახებ.

ხელშეკრულებამ მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტობის გარდამავალ პოსტზე მყოფ ქვეყანას მიანიჭა ევროკავშირის სახელით მოქმედების სპეციალური უფლებამოსილება, რაც წარსულში არაოფიციალური სახით ხორციელდებოდა. ხელშეკრულებამ მას დააკისრა სს“პ-ის მართვა, რაშიც მას დაეხმარებოდნენ წინამორბედი და შემდგომი პრეზიდენტები (ე.წ. Troika) და კომისია. პარლამენტი რეგულარულად ინფორმირებული უნდა იყოს პრეზიდენტის მიერ, უნდა მოხდეს მასთან კონსულტაცია მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე და მას უნდა პქონდეს უფლება კითხვები წარუდგინოს საბჭოს და მისცეს რეკომენდაციები, სს“პ-ის სფეროში გადაწყვეტილების ფაქტიური მიღება მთავრობათაშორის საფუძველზე ხდება და მასში

მონაწილეობას არ იღებს ევროგაერთიანების სხვა ინსტიტუციები. ეს პროცესი ცნობილია როგორც ევროკავშირის მეორე სვეტი.

ხელშეკრულება აგრეთვე ითვალისწინებდა წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობას უშიშროებასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებში:

- თავშესაფრის პოლიტიკა;
- წევრი ქვეყნების გარეთა საზღვრების გადაკვეთასთან დაკავშირებული წესები;
- ემიგრაციის პოლიტიკა;
- არაწევრი ქვეყნების წარმომადგენელთა ქვეყნებში შემოსვლისა და გადაადგილების პირობები;
- დასახლების, მათ შორის ოჯახის გაერთიანების და არაწევრი ქვეყნების წარმომადგენელთა დასაქმების პირობები;
- არაწევრი ქვეყნების წარმომადგენელთა უკანონო ემიგრაციისა და ქვეყანაში ყოფნის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა;
- თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა;
- სამოქალაქო საკითხებში იურიდიული თანამშრომლობა;
- იურიდიული თანამშრომლობა კრიმინალურ საკითხებში.
- თანამშრომლობა საბაჟო სისტემაში;
- სამართალდამცველთა თანამშრომლობა ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით ევროპოლიციის (ევროპოლის) ფარგლებში.

ეს საკითხებიც, ცნობილი, როგორც „მესამე სვეტი“, განიხილება მთავრობათაშორის საფუძველზე.

მაისტრიხტის ხელშეკრულების მთელი რიგი პუნქტების არაეფექტურობამ საყოველთაო იმედგაცრუება გამოიწვია, ასე რომ, 1997 წლის ივნისში, ამსტერდამის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა მთელი რიგი ცვლილებები. ისინი შეიცავდნენ შემდეგს:

- უმაღლესი წარმომადგენლის დანიშვნა, რომელიც წამყვანი პოლიტიკური ფიგურა იქნება სსშპ-ში. იგი შეასრულებს მინისტრთა საბჭოს გენერალური მდივნის მოვალეობას. მას დაენიშნება მოადგილე, რომლის პასუხისმგებლობაში შევა ყოველდღიური საქმიანობა. უმაღლესი წარმომადგენლობების გამგებლობაში იქნება პოლიტიკის დაგეგმვისა და ადრეული გაფრთხილების

განყოფილება.

- ახალი „Troika“-ის დაკანონება, რომელიც შედგება მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტის, კომისიის უმაღლესი წარმომადგენლის და პრეზიდენტისაგან (ან მისი კანდიდატისაგან).
- მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება მოხდება ერთხმად. მაგრამ „წევრ ქვეყნებს, რომელთაც არ ექნებათ ერთობლივ ქმედებაში მონაწილეობის სურვილი, მაგრამ ამავედროულად არ სურთ ხელი შეუშალონ მომხრე უმრავლესობის ერთობლივ ქმედებას, მიეცემათ შესაძლებლობა თავი შეიკავონ კენჭისყრისაგან“.
- მესამე სეგტში გატანილი საკითხებიდან მრავალი პირველი სეგტს დაუბრუნდება და მომავალში დაექვემდებარება ევროგაერთიანების ჩვეულებრივ პროცედურებს. პროდის კომისიამ ცალკე დააარსა სამართლისა და საშინაო საქმეების გენერალური დირექტორატი. 1999 წლის ოქტომბერში ტამპერეს სამიტზე ევროკავშირის ლიდერებმა წამოაყენეს, თავისუფლების, სამართლის და უსაფრთხოების“ ზონის შექმნის ინიციატივა.

ამ ცვლილებებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს ევროპის საგარეო პოლიტიკის ერთიანობის ზრდას. სანამ სსსრ-ში შენარჩუნებული იქნება გადაწყვეტილების ერთხმად მიღების პრინციპი, ევროკავშირი ალბათ ვერ შესძლებს შეასრულოს მსოფლიო არენაზე ის როლი, რის შესაძლებლობასაც მას აძლევს ეკონომიკური ძალა, სამხედრო პოტენციალი და დემოკრატიის სფეროში მიღებული დიდი გამოცდილება.

შენიშვნა: 1. საგარეო საქმეთა მინისტრები ქმნიან ე.წ. „საზოგადო საქმეთა საბჭოს“ (რომელიც მიჩნეულია მინისტრთა საბჭოს მრავალრიცხოვან წარმომადგენლობათა შორი უმაღლესად), რამეთუ ისინი ხშირად ხედებიან ერთმანეთს და განიხილავენ საგარეო საქმეებთან არადაკავშირებულ საკითხებს, საკითხებს, რომლებიც ნაწილობრივ ფარავს დარგობრივი მინისტრების კომპეტენციას. დროდადრო ისინი განიხილავენ განსაკუთრებით ჩახლართულ პრობლემებს, ან ასრულებენ მთავრობათა მეთაურების უშუალო მოადგილის მოვალეობას.

ნაწილი 4

სკეციფიკური
პრობლემები

37 ბაზართომა

თავიდანვე ნაგარაუდვეი იყო, რომ ევროგაერთიანების ექვს თავდაპირველ წევრს თანდათანობით შეუერთდებოდა ევროპის დანარჩენი ქვეყნებიც. კერძოდ, რომის ხელშეკრულების 23-ე მუხლში ნათქვამია „ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გამოთქვას გაერთიანებაში გაწევრიანების სურვილი“. ამ ზოგად მოპატიჟებას გარკვეულწილად განსაზღვრავდა ხელშეკრულების პრეამბულა, რომელიც თავდაპირველ წევრებს ამოცანად უსახავდა მშვიდობისა და თავისუფლების გაძლიერებას „ევროპის სხვა ხალხებს კი მოუწოდებდა გაეზიარებინა მათი იდეალები და შეერთებოდნენ მათ ძლისხმევას“. შემდგომ ეს გამოთქმა ისე იქნა გააზრებული, რომ კავშირში გაწევრიანება ხელმისაწვდომი იქნებოდა მხოლოდ მმართველობის დემოკრატიული ფორმის მქონე ქვეყნებისათვის. კიდევ ერთ ნაგულისხმევ პირობას წარმოადგენდა ის, რომ კანდიდატი ქვეყნების ეკონომიკა საკმაოდ ძლიერი უნდა ყოფილიყო, რათა დაეკმაყოფილებინა წევრობით გათვალისწინებული მოვალეობები და შესძლებოდა ეფექტური კონკურენციის გაწევა ბაზარზე.

წარმატებული კანდიდატები.

1961 წელს და ხელმეორედ 1967 წელს გაერთიანებულმა სამეფომ, დანია, ირლანდია და ნორვეგიამ შეიტანეს განაცხადი გაწევრიანებაზე. ორივე მცდელობისას გაერთიანებული სამეფოს გაწევრიანებას საფრანგეთმა ვეტო დაადო, ხოლო დანარჩენმა სამმა ქვეყანამ გაიტანა თავიანთი განაცხადები. 1969 წელს ადგილი ჰქონდა მესამე მცდელობას და განახლდა მოლაპარაკებები ზემოხსენებულ ოთხ ქვეყანასთან, ამჯერად მოლაპარაკებები ხელშეკრულებების დადებით დაგვირგვინდა, რომელზედაც ხელი 1972 წელს მოეწერა. სამმა შედარებით მცირე კანდიდატმა ქვეყანამ ხელშეკრულებები რეფერენდუმზე გაიტანა. დანიასა და ირლანდიაში შედეგები გაწევრიანების სასარგებლოდ დაბთავრდა. საფრანგეთის რეფერენდუმის შედეგების მიხედვით გაირკვა, რომ უმრავლესობა მხარს უჭერდა გაფართოებას. ნორვეგიის რეფერენდუმები კი გაერთიანებაში გაწევრიანების მოწინააღმდეგეთა მცირე უპირატესობით (53%-47%-ზე) დასრულდა. 1973 წლის 1 იანვარს დანია, ირლანდია და გაერთიანებული სამეფო ევროგაერთიანების სრულუფლებიანი წევრები გახდნენ, თუმცა მათ მიეცათ 5 წლიანი

გარდამავალი პერიოდი, რათა მოეხდინათ ტარიფების დარეგულირება და წვერობის სხვა მოთხოვნების მოწესრიგება, როგორცაა სოფლის მეურნეობა და საბიუჯეტო შენატანები. გაერთიანებულ სამეფოს გაერთიანებაში გაწვევრიანების საკითხი რეფერენდუმზე არ გაუტანია, თუმცა, 1974 წელს ლეიბორისტული მთავრობის არჩევის შემდეგ გაწვევრიანების პირობები ნაწილობრივ ხელახლა იქნა განხილული და გაწვევრიანება დამტკიცებულ იქნა 1975 წლის 5 ივნისის რეფერენდუმით 2:1-ზე მეტი უპირატესობით გაწვევრიანების სასარგებლოდ.

საბერძნეთის, პორტუგალიის და ესპანეთისათვის გამორიცხული იყო გაწვევრიანება, ამ ქვეყნებში დიქტატორული რეჟიმების არსებობის წლებში. საბერძნეთმა, რომელმაც 1967 წელს, სამხედრო გადატრიალების შედეგად დემოკრატიული მთავრობის დამხობამდე შვიდი წლით ადრე შეათანხმა თავისი სტატუსი ევროგაერთიანებაში, დრო აღარ დაკარგა და 1974 წელს დემოკრატიული მთავრობის აღდგენის შემდგომ წელსვე -1975 წელს შეიტანა განაცხადი გაერთიანების სრულყოფილებიან წევრად მიღების შესახებ. 1981 წლის 1 იანვარს საბერძნეთი გახდა გაერთიანების მეათე წევრი, მასაც მიეცა ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდი, რათა მოეხდინა იმპორტის გადასახადებისა და საერთო აგრარული პოლიტიკის უმეტესი საკითხების შეჯერება. ნებადართულ იქნა შეიდწლიანი პერიოდი ატმისა და პომიდორის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და მშრომელთა თავისუფალი გადაადგილების მოწესრიგებაზე. ეს პერიოდი 1988 1 იანვარს მთავრდებოდა.

პორტუგალიამ და ესპანეთმაც შეიტანეს განაცხადი გაწვევრიანებაზე პორტუგალიის რეეოლუციის (1974წ) და გენერალ ფრანკოს სიკვდილიდან (1975წ) ერთ-ორ წელიწადში. ეს მოლაპარაკებები გაცილებით ხანგრძლივი და რთული გამოდგა, ვიდრე საბერძნეთის შემთხვევაში, რაც ერთი მხრივ განაპირობა საფრანგეთის უხალისო დამოკიდებულებამ, მეორე მხრივ კი იმან, რომ მოსალოდნელი იყო, რომ ესპანეთის გაწვევრიანებას შეიძლებოდა დიდი პრობლემები მოჰყოლოდა არსებული წევრი ქვეყნებისათვის. შეთანხმება საბოლოოდ 1985 წლის მაისში იქნა მიღწეული და მას შემდეგ რაც ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა ყველა წევრ სახელმწიფოს, მათ შორის ესპანეთის და პორტუგალიის მიერ, 1986 წლის 1 იანვარს, მას ხელი მოეწერა 1985 წლის 12 ივნისს. ამჯერად გარდამავალ პერიოდად დადგინდა შვიდი წელი, რომელიც 1993 წლის 1 იანვარს უნდა დასრულდეს, თუმცა სოფლის მეურნეობის პროდუქტების

რამდენიმე მგრძობიარე სახეობაზე გარდამავალი პერიოდი ათ წლამდე, ანუ 1996 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდა. მშრომელთა გადაადგილების თავისუფლება სრულად არ შევიდოდა ძალაში შეიდი წლის, ხოლო ლუქსემბურგის შემთხვევაში (სადაც პორტუგალიელი ემიგრანტი მშრომელების რიცხვი ისედაც ძალზე მაღალი იყო) ათი წლის განმავლობაში.

წარუმატებელი კანდიდატები

თურქეთი, რომელიც მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მისი ტერიტორიის 96% აზიას მიეკუთვნება, ევროპულ სახელმწიფოდ იქნა მიჩნეული. მან სამოკავშირო შეთანხმებას ხელი ჯერ კიდევ 1963 წელს მოაწერა, ხოლო 1987 წლის აპრილში ოფიციალური განაცხადი შეიტანა გაერთიანების სრულუფლებიან წევრობაზე. იგივე მოიძოქმედა მაროკომაც, რომელმაც არაოფიციალური განცხადება სამი წლით ადრე, 1984 წლის ივლისში გააკეთა. მაროკო თავს აცხადებდა დემოკრატიულ ქვეყანად, რომელსაც ორგანული კავშირები გააჩნია ევროპასთან, მაგრამ მას თავაზიანად აგრძობინეს, რომ იგი არ იყო საამისოდ შესაფერისი, თურქეთის განაცხადი კი რომის ხელშეკრულების თანახმად და წინა შემთხვევების მსგავსად ოფიციალურად გადაეცა კომისიას განსახილველად. წარსულში კომისიის ვერდიქტი ყოველთვის დადებითი იყო და შესაბამისად მოლაპარაკებებიც იწყებოდა. თუმცა ამ შემთხვევაში კომისიამ განაცხადა, რომ თურქეთი ჯერ არ იყო მზად გაწევრიანებისათვის. ერთი მხრივ იმის გამო, რომ მისი ეკონომიკა არ იყო საკმარისად განვითარებული, მეორე მხრივ კი მისი დემოკრატია ჯერ არ იყო სრულად ჩამოყალიბებული. თურქეთს თავაზიანად განუცხადეს, რომ მისი განაცხადის განხილვა გაურკვეველი ღროით გადაიდო. ამ წარუმატებლობამ ვერ შეაჩერა თურქეთის მთავრობა, რომელმაც 1992 წლის ნოემბერში განაცხადა, რომ მას სურდა ევროკავშირთან სრული საბაჟო კავშირის შექმნის პროცესის გაგრძელება, რაც თავდაპირველ სამოკავშირეო შეთანხმებაში იყო გათვალისწინებული. გეგმურ თარიღად თურქეთმა დაასახელა 1995 წელი.

მიუხედავად სკეპტიკური განწყობისა და ევროპარლამენტის მხრიდან საკმარისად უხალისო დამოკიდებულებისა, საბაჟო კავშირი 1995 წლის 31 დეკემბერს ძალაში შევიდა. იგი ძალზე მკაცრი გამოცდა იქნება თურქეთის მრეწველობისათვის, რომელსაც მოუწევს ევროკავშირის მწარმოებლებთან თანასწორ პირობებში კონკურენცია.

მიუხედავად ამისა, თურქეთის მთავრობა მიესალმება ამ ფაქტს და მიაჩნია, რომ ეს ხელს შეუწყობს თურქული საწარმოების ეფექტურობის ზრდას. საბაჟო კავშირის შექმნიდან ათი თვის შემდეგ გაკეთებულ წინასწარ მოხსენებაში, 1996 წლის ოქტომბერში, კომისიამ თავი შეიკავა ამ კავშირის შორეული პერსპექტივების შეფასებისაგან, თუმცა ადრეული მაჩვენებლები იმედის მომცემი იყო. 1996 წლის დასაწყისშივე ევროკავშირის ექსპორტი თურქეთში მკვეთრად გაიზარდა. გაიზარდა თურქეთის ექსპორტიც ევროკავშირში, თუმცა არც თუ ისე მკვეთრად. ბოლო წლებში თურქეთმა მნიშვნელოვანი ოდენობის დასავლური ინვენსტიციები მიიზიდა, ცივი ომის დამთავრების შემდეგ კი გაიზარდა მისი სავაჭრო კავშირი ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან და მის სატელიტებთან ბალკანეთში, კავკასიასა და შუა აზიაში. თურქეთის აზრით, რაც უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება თურქეთი ევროკავშირს ეკონომიკურად, მით უფრო ძნელი იქნება კავშირისათვის უარი განაცხადოს მის სრულუფლებიან წევრობაზე. სინამდვილეში თურქეთის გაწევრიანება უახლოეს მომავალში ნაკლებად მოსალოდნელია და ალბათ არც განხორციელდება, თუ არ იქნება დაკმაყოფილებული სამი პირობა:

- თურქეთში ადამიანთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.
- კვიპროსის პრობლემის გადაჭრა და თურქეთის ჯარების გაყვანა.
- თურქეთის დემოკრატიის განმტკიცება.

ზმელთაშუა ზღვისპირეთის ორმა ქვეყანამ, რომლებსაც ევროკავშირთან სამოკავშირეო ხელშეკრულება აქვთ დადებული, მალტამ და კვიპროსმა განაცხადი გაწევრიანებაზე 1990 წელს შეიტანეს. ორივე ქვეყანას ალბათ საკმარისად ადვილად შეეძლო წევრობის მოთხოვნებთან ადაპტაცია, თუმცა მათ ეს საწყისი შესაძლებლობა არ მიეცათ. რაც შეეხება კვიპროსს, მიჩნეულ იქნა, რომ არ იქნებოდა კეთილგონიერული იმ ქვეყნის წევრად მიღება, რომლის ჩრდილოეთი ნაწილიც ჯერ კიდევ თურქეთის მიერ იყო ოკუპირებული. ორივე ქვეყნის მიმართ ევროკავშირს გააჩნდა ეჭვები იმის თაობაზე შეძლებდნენ თუ არა ისინი წევრობით გათვალისწინებული მოვალეობების ეფექტურად შესრულებას. და თუმცა ერთ-ერთი დამა-

არსებული წევრის - ლუქსემბურგის მოსახლეობა ტოლია მალტის მოსახლეობისა და გაცილებით ნაკლებია კვიპროსის მოსახლეობაზე, ამ ფაქტის ამ ორი ქვეყნის გაწევრიანების საწინააღმდეგო არგუმენტად გამოყენება ძნელი იყო. კოპენჰაგენის სამიტზე 1993 წლის ივნისში მიღებულ იქნა უფრო იმედისმომცემი მიდგომა და ორივე ქვეყანას დადებითი ნოტა გაეგზავნა. ეს იმას ნიშნავდა, რომ კვიპროსის გაწევრიანების საკითხი ხელახლა იქნებოდა განხილული 1995 წლის იანვარში იმისდა მიხედვით, თუ როგორი პროგრესი იქნებოდა მიღწეული თურქეთ-კვიპროსის კონფლიქტის საკითხში. მალტასთან კი გაგრძელდებოდა ინტენსიური დიალოგი, რაც ხელს შეუწყობდა მის მომზადებას ევროკავშირში ინტეგრაციისათვის. მოგვიანებით ორივე ქვეყანამ მიიღო შეტყობინება იმის თაობაზე, რომ მოლაპარაკებები გაწევრიანების თაობაზე დამთავრდებოდა 1996-97 წლების მთავრობათაშორისი კონფერენციის დახურვიდან ექვს თვეში. თუმცა მალტის განცხადების განხილვა შეწყდა 1996 წლის დეკემბერში ლეიბორისტული მთავრობის არჩევნების შემდეგ და განახლდა 1998 წლის სექტემბერში მისი დამარცხებისთანავე.

ევროკავშირის გაფართოებას ძლიერი ბიძგი მისცა ორმა მოვლენამ რის შედეგადაც შეხედულება იმის შესახებ, რომ ესპანეთის და პორტუგალიის გაწევრიანების შემდეგ (1986) იგი სტაბილურ მდგომარეობას შეინარჩუნებდა, შეიცვალა. ეს ორი მოვლენა იყო ევროპის ერთიანი ბაზრის სრულქმნის 1992 წლის პროგრამა და საბჭოთა კომუნისმის დამხობა.

მოლაპარაკებები ეთკპ-ს ქვეყნებთან.

1992 წლის პროგრამის დაწყებამ (იხ. თავი 16) უკმაყოფილება გამოიწვია ეთკპ-ს შვიდი ქვეყნის მხრიდან. მათ 1960-იან წლებში ევროგაერთიანებასთან ხელშეკრულებები დადეს თავისუფალ სამრეწველო ვაჭრობაზე, ახლა კი შიშობენ, რომ ვერ ისარგებლებდნენ იმ შესაძლებლობებით, რასაც უზრუნველყოფდა ევროპის ერთიანი ბაზრის შექმნა.

ორწლიანი მოლაპარაკებები დაგვირგვინდა შეთანხმებით ევროპის ეკონომიკური ზონის შექმნის თაობაზე, რომელიც ძალაში 1993 წლის 1 იანვრიდან უნდა შესულიყო. მოლაპარაკებების პროცესში ეთკპ-ს ქვეყნებმა დაასკვნეს, რომ მათ იმდენ დათმობაზე მოუხდათ წასვლა, რომ ჯობდა საქმე ბოლომდე მიყვანათ და პირდაპირ სრულ წევრობაზე შეეტანათ განაცხადი. ავსტრიამ ეს მოლაპარა-

კებების დაწყებამდევე გადაწყვიტა, შეეღებოთ კი განაცხადი 1991 წელს შეიტანა. მის მაგალითს მიბაძეს ფინეთმა და შვეიცარიამ 1992 წელს. ნორვეგიას ჯერ კიდევ მწარედ ახსოვდა 1972 წლის რეფერენდუმის შედეგები, რომლის შედეგადაც ქვეყანამ უარი განაცხადა გაწვევრიანებაზე მაშინ, როდესაც გაერთიანებული სამეფო, ირლანდია და დანია ერთდროულად იქნენ მიღებული. ნორვეგიის მთავრობა, მკვეთრად გაყოფილი საზოგადოებრივი აზრის ფონზე ორჭოფობდა, მიეღო, თუ არა, ეს გადაწყვეტილება. საბოლოოდ 1992 წლის ბოლოს მან დანარჩენი ქვეყნების მაგალითს მიჰბაძა. ამასობაში შვეიცარიის 1992 წლის დეკემბრის რეფერენდუმმა უარი განაცხადა ეკონომიკის წვერობაზე. ამან გამოიწვია შეთანხმების პირობების უმნიშვნელო შეცვლა და 1994 წლის 1 იანვარს მისი ძალაში შესვლა შვეიცარიის გარეშე. შესაბამისად შვეიცარიის განაცხადი ევროკავშირის წვერობაზე გაურკვეველი დროით გაიყინა, რაც ძალიან ართულებდა შვეიცარიის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობას.

დარჩა ეკონომიკის-ს ორი ქვეყანა. ისლანდია და ლიხტენშტეინი. ეს უკანასკნელი, რომლის მოსახლეობაც შეადგენს 28000-ს (ლუქსემბურგის მოსახლეობის ერთ-მეათედზე ნაკლებს) ვერ შეძლებს პრეტენზია იქონიოს სრულ წვერობაზე, მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლის აპრილიდან ის ეკონომიკის წვერი იყო. ისლანდია უარს ვერ ამბობს თევზის რესურსების სრულ კონტროლზე და ამჟამად არც კი ფიქრობს გაწვევრიანებაზე.

მოლაპარაკებები ავსტრიასთან, ფინეთთან და ნორვეგიასთან 1993 წლის დასაწყისში დაიწყო და წარმატებით დასრულდა 1994 წლის მარტში. რეფერენდუმები ჩატარდა ავსტრიაში 1994 წლის ივნისში, ფინეთში - სექტემბერში, შვედეთსა და ნორვეგიაში კი ნოემბერში. პირველი სამი რეფერენდუმი გაწვევრიანების მომხრე გამოდგა. ნორვეგიამ კი მეორეჯერ განაცხადა უარი კავშირში გაწვევრიანებაზე (52,5%- 47,5%-ის წინააღმდეგ). წვერი ქვეყნების რიცხვი 1995 წლის იანვარში 12-დან 15-მდე გაიზარდა.

მოლაპარაკებების პროცესში თავი იჩინა მცირეოდენმა პრობლემებმა. ოთხივე კანდიდატ ქვეყანას მაღალი სულადობრივი შემოსავალი გააჩნდა და ოთხივე საბოლოოდ ევროკავშირის ფონდების წმინდა კონტრიბუტორი გახდება. ყველაზე საკამათო საკითხს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა, გარემო, რეგიონული პოლიტიკა, ტრანსპორტი (განსაკუთრებით სატვირთო ტრანსპორტის ტრანზიტი ავსტრიის სამთო გზებზე), ალკოჰოლური სასმელების მონოპოლია (ჩრდი-

ლოეთის სამ ქვეყანაში) და ნორვეგიის შემთხვევაში თევზის რეწვა. მიღწეულ იქნა საბოლოო შეთანხმება იმის საფუძველზე, რომ კანდიდატი ქვეყნები დაექვემდებარებოდნენ ევროკავშირის კანონმდებლობას. მათ მიეცათ სხვადასხვა სიდიდის გარდამავალი პერიოდი და დაშვებულ იქნა რამდენიმე სპეციალური ზომა სპეციფიკური სიძნელეების დასაძლევად. ტრადიციულად ნეიტრალური პოლიტიკის მქონე ქვეყნების ავსტრიის, ფინეთის და შვედეთის მიერ პროგნოზირებული პრობლემები ცივი ომის დასრულებისთანავე მოიხსნა. თითოეულმა ქვეყანამ განაცხადა, რომ გაწვევრიანებისთანავე იგი მზად იქნებოდა აქტიური და სრული მონაწილეობისათვის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკაში, როგორც ამას ევროკავშირის ხელშეკრულება ითვალისწინებდა (მაასტრიხტის ხელშეკრულება).

ახალ წევრთა წინაშე აღმართული ბარიერები

ევროკავშირის ახალ წევრებს მოეთხოვებოდა მიიღონ არამარტო ხელშეკრულებების (თავი 3) ყველა პირობა, არამედ სრული *Acquis communautaire* (ანუ მეორადი კანონმდებლობა - დირექტივები, წესები, გადაწყვეტილებები, რომელიც მიღებულ იქნა ამ ხელშეკრულებების ძალით). შესაბამისად, მოლაპარაკებები გაწვევრიანებაზე, რომლებიც, როგორც წესი, ხანგრძლივი და მომქანცველია, ძირითად ყურადღებას იმ გარდამავალ პერიოდის ხანგრძლივობასა და ხასიათზე ამახვილებს, რომლის განმავლობაშიც კანდიდატმა ქვეყანამ უნდა მოახდინოს მისი არსებული კანონების მოდიფიკაცია შეჯერების თვალსაზრისით, და იმაზე, თუ რა დებულებები იქნას შეტანილი გარდამავალ მოწესრიგებებში. თუ ხელშეკრულება გაწვევრიანების შესახებ მიღებული იქნება, იგი რატიფიცირებულ უნდა იქნეს წევრი ქვეყნების პარლამენტების მიერ მანამ, სანამ ის ძალაში შევა. 1987 წელს საგანგებო ევროპული აქტის ძალაში შესვლის შემდეგ აუცილებელი გახდა ევროპარლამენტში ახალი წევრების მიღების რატიფიკაცია ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. ეს პირველად 1994 წლის 5 მაისს მოხდა, როდესაც ავსტრიის, ფინეთის, შვედეთის და ნორვეგიის გაწვევრიანების განცხადებები მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა

განთავისუფლდნენ თუ არა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები საბჭოთა კავშირის უღლისაგან 1989-91-იან წლებში, მაშინვე მზერა ევროკავშირის მიაპყრეს. ევროკავშირის წევრი ქვეყნების გარკვეული ნაწილი ამ მოვლენას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ 1991 წლის დეკემბერში მიღწეულ იქნა სამოკავშირეო შეთანხმებები ჩეხოსლოვაკიასთან, უნგრეთთან და პოლონეთთან, რომლებიც, კერძოდ, საბოლოო გაწევრიანებას ითვალისწინებდნენ. მსგავსი შეთანხმებები დაიდო მოგვიანებით ალბანეთთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან და ბალტიის ქვეყნებთან - ესტონეთთან, ლატვიასა და ლიტვასთან. შეთანხმება ჩეხოსლოვაკიასთან მოგვიანებით შეიცვალა ცალკეული შეთანხმებებით ჩეხეთის რესპუბლიკასა და სლოვაკეთთან. იგივე შეთანხმება დაიდო სლოვენიასთან, ხოლო ყოფილ იუგოსლავიის რესპუბლიკებთან, მათ შორის მათთან რაც ბოსნია-ჰერცეგოვინასგან დარჩა მსგავსი ურთიერთობების დამყარება მომავალშია მოსალოდნელი. მოგვიანებით, ზოგიერთმა მათგანმა ან ყველამ შესაძლოა გამოთქვას ევროკავშირის სრული წევრობის სურვილი.

1993 წლის ივნისში კოპენჰაგენის სამიტზე განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმას, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ნებისმიერ ქვეყანას შეეძლო სურვილისამებრ გამხდარიყო ევროკავშირის წევრი „თუ იგი შეძლებდა შეესრულებინა წევრობისთვის გათვალისწინებული ვალდებულებები და დაეკმაყოფილებინა ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნები“. პირველი კანდიდატი ქვეყნები გახდნენ უნგრეთი და პოლონეთი 1994 წლის მარტში. ორ წელიწადში მათ მაგალითს მიბაძეს: ბულგარეთმა, ჩეხეთის რესპუბლიკამ, ესტონეთმა, ლატვიამ, ლიტვამ, რუმინეთმა, სლოვაკეთმა და სლოვენიამ.

კომისიამ რეაგირება მოახდინა 1995 წლის მაისში „თეთრი ფურცლის“ გამოცემით. მასში მოყვანილ იქნა წინადადებები იმ წინასწარ ნაბიჯებზე, რომლებიც უნდა გადაედგათ კანდიდატ ქვეყნებს წევრობისათვის მოსამზადებლად. ეს ვრცელი დოკუმენტი, რომელიც ასეულობით რეკომენდაციას შეიცავდა 23 სხვადასხვა დასახელების პოლიტიკის შესახებ, წარმოადგენდა ერთგვარ სახელმძღვანელოს კანდიდატი ქვეყნებისათვის, რაც დაეხმარებოდა მათი ადმინისტრაციის მომზადებასა და კანონმდებლობის ადაპტაციას. ამავდროულად, პროგრამის მეშვეობით თითოეულ ქვეყანას მნიშვნელოვანი ტექნიკური

დახმარება გაეწია, რათა მინიმუმამდე შემცირებულიყო ის პრობლემები, რომლებიც აუცილებლად მოჰყვებოდა ამ პროცესს. ფლორენციის სამიტზე გადაწყდა, რომ მოლაპარაკებები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან დაიწყებოდა კვიპროსთან მოლაპარაკებების პარალელურად, ანუ მთავრობათაშორისი კონფერენციის დახურვიდან ექვს თვეში. კომისიას დაევალა მოემზადებინა დასკვნა თითოეული კანდიდატი ქვეყნის მზადყოფნის შესახებ მთავრობათაშორისი კონფერენციის დახურვისთანავე. ამის შესაბამისად 1997 წლის ივლისში კომისიამ გამოაქვეყნა თავისი მოსაზრება 11 კანდიდატი ქვეყნის შედარებითი მზადყოფნის შესახებ, რომლის თანახმადც გაწვევრიანებაზე მოლაპარაკებები მათგან ექვს ქვეყანასთან 1998 წლის დასაწყისშივე უნდა დაწყებულიყო. დანარჩენი ზუთი ქვეყანა კი ჯერ-ჯერობით არ იყო მზად ეკისრა წევრობით გათვალისწინებული მოვალეობები. კომისიის მოსაზრება გაზიარებულ იქნა ევროკავშირის მთავრობათა მეთაურების მიერ 1997 წლის დეკემბერში გამართულ ლუქსემბურგის სამიტზე. მარტის შემდეგ მოლაპარაკებები დაიწყო კვიპროსთან, ჩეხეთის რესპუბლიკასთან, ესტონეთთან, უნგრეთთან, პოლონეთთან და სლოვენასთან. ბულგარეთს, ლატვიას, ლიტვას, რუმინეთს და სლოვაკეთს მოუწოდეს გაეგრძელებინათ მომზადება. ისინი წაახალისეს გაეგრძელებინათ მათი მომზადება და დაარწმუნეს, რომ საკმარისი პროგრესის შემთხვევაში, ეს ქვეყნებიც იქნებოდნენ ჩართული პროცესში. ამასობაში კი ისინი მიწვეულნი იქნენ ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნების ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელიც პირველად ლონდონში ჩატარდა 1998 წლის მარტში. კონფერენციაზე თურქეთიც იქნა მოწვეული, მაგრამ მან, განაწყენებულმა იმით, რომ არ მიიღო იგივე დაპირება, რაც დანარჩენ კანდიდატ ქვეყნებს მიეცათ, ბოიკოტი გამოუცხადა კონფერენციას.

ცალკე პარალელური მოლაპარაკებები დაიწყო ექვს კანდიდატ ქვეყანასთან. მაგრამ ის, რომ ყველა მოლაპარაკება ერთდროულად დასრულდება და ყველა კანდიდატი ერთდროულად გაწვევრიანდება არ არის მოსალოდნელი. ცხადია, რომ ქვეყნებს შორის არსებობს მომზადების განსხვავებული დონე. გაწვევრიანებასთან ყველაზე უფრო ახლოს ესტონეთი და უნგრეთი დგანან. გარდა გაწვევრიანების სხვადასხვა ვადისა, ზოგიერთ კანდიდატ ქვეყანას ალბათ უფრო ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდი დასჭირდება, სანამ ისინი საბოლოოდ მოემზადებიან გაწვევრიანებით გათვალისწინებული ვალდებულებების თავის

თავზე ასაღებად. მოლაპარაკებები ხანგრძლივი და რთული იქნება და არ არის მოსალოდნელი, რომ კანდიდატი ქვეყნებიდან რომელიმე მაინც გაწევრიანდება 2003-04 წლამდე. მოსალოდნელი იყო, რომ 1999 წლის დეკემბერში პელსინკის სამიტზე ევროკავშირის ლიდერები მიიღებდნენ გადაწყვეტილებას 2000 წლის დასაწყისისათვის ბულგარეთთან, ლიტვასთან, ლატვიასთან, მალტასთან, რუმინეთთან და სლოვენიასთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ. მოსალოდნელი იყო აგრეთვე თურქეთის მისამართით მისი წევრობის კანდიდატად მიჩნევის შესახებ განცხადების გაკეთება და იმ პირობების წაყენება, რომლის დაკმაყოფილების შემდეგაც შესაძლებელი იქნებოდა მასთან მოლაპარაკებების დაწყება. კოსოვოს კონფლიქტის განმავლობაში ალბანეთი და მაკედონია იმედოვნებდნენ, რომ ისინი მიჩნეულნი იქნებოდნენ ძალზე პერსპექტიულ კანდიდატებად NATO-ს კამპანიის მხარდაჭერის სანაცვლოდ. მაგრამ ეს არ მოხდა, თუმცა მათ მიიღეს დაპირება, რომ გაეწეოდათ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ტექნიკური დახმარება. ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ ისინი, ისევე როგორც ბოსნია, ხორვატია და სერბეთი (როცა იგი სტაბილური დემოკრატიული ქვეყანა გახდებოდა) - აუცილებლად იქნებიან მიღებული კანდიდატებად, თუმცა მათ წევრებად დასახელებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შემდეგ მოდის საბჭოთა კავშირის ექვსი ყოფილი რესპუბლიკა ევროპაში - აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა - რომლებმაც განაცხადის საშუალებით უკვე გამოხატეს თავიანთი ინტერესი ევროსაბჭოში შესვლის თაობაზე. ჯერ-ჯერობით გაწევრიანებაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ თუ 21-ე საუკუნის I ათწლეულისათვის ისინი შეძლებენ დემოკრატიის განმტკიცებას და განავითარებენ თავიანთ ეკონომიკას (ორი დიდი „თუ“), მათგან რომელიმემ მაინც შესაძლოა მიუკაჟუნოს ევროკავშირის კარებს. რუსების დიდ ნაწილსაც სურს ევროკავშირთან შეერთება, მაგრამ ეს გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება. რუსეთის დიდი მოცულობა, უზარმაზარი ტერიტორია აზიაში, მისი ყოფილი (და შესაძლოა მომავალიც) „ზესახელმწიფოს“ სტატუსი - ყველაფერი ეს ხელს უშლის მის მიღებას რიგითი წევრის სახით. უფრო სავარაუდოა გარკვეული ექსკლუზიური ურთიერთობის დამყარება - რაც მსაგესი იქნება იმ ურთიერთობისა, რომლის მიღწევასაც ცდილობს NATO რუსეთთან - 1994 წელს რუსეთთან ხელმოწერილი პარტნიორობისა

და თანამშრომლობის შეთანხმების საფუძველზე. რუსეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების დადება შესაძლებელია, მაგრამ არა უახლოეს მომავალში.

გაფართოებით გამოწვეული მოსაზრებანი

წევრთა რიცხვის გაფართოებით გამოწვეული მოსაზრებები წარმოდგენდა 1998-97 წლის მთავრობათაშორისი კონფერენციისა და ამსტერდამის სამიჯის განხილვის თემას. სამწუხაროდ ინსტიტუციონალურ ცვლილებებზე გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, რაც აუცილებელია ამგვარი გაფართოების წინ. ასე რომ, ახალი წევრების მიღებამდე აუცილებელი იქნება კიდევ ერთი მთავრობათაშორისი კონფერენციის ჩატარება. ეს მოხდება პორტუგალიის პრეზიდენტობის დროს 2000 წლის პირველ ნახევარში და დასრულდება წლის ბოლოს. კონფერენციაზე განხილული იქნება მინისტრთა საბჭოში ხმების დათვლის საკითხი და სხვა პრობლემები, როგორცაა: უნდა ჰქონდეს თუ არა ყოველ წევრ ქვეყანას კომისრის დანიშვნის უფლება, ან ის, თუ, რამდენად უნდა გაიზარდოს პარლამენტის მოცულობა და შემოსუსაზღვრელად უნდა იზრდებოდეს თუ არა ოფიციალურ ენათა რიცხვი. ამჟამად მათი რიცხვი შეადგენს 11. ამჟამად გაცილებით მეტი პრობლემა იქნება, ვიდრე წარსულში გაფართოების დროს, რაც განპირობებულია კანდიდატი ქვეყნის სუსტი ეკონომიკით. შესაძლოა მათი ევროკავშირში შესვლა ვერ მოხერხდეს, რამდენადაც იგი ამჯერად შეუთავსებელი შეზღუდვების გარეშე არსებობს. მაგალითისათვის საკმარისი იქნება იმის თქმაც, რომ პოლონეთის მრავალრიცხოვანი ფერმერული მოსახლეობის შეთავსება გააკოტრებს სპპ-ს მისი ამჟამინდელი ფორმით. ასე რომ, თუ ლაპარაკი იქნება ევროკავშირში ამ ქვეყნების ადრეულ გაწევრიანებაზე, ეს მოხდება მხოლოდ, თანამედროვე მეტაფორებს თუ გამოვიყენებთ, ე.წ. "ორსიჩქარიანი" ევროპის, არჩეული წევრობის ან ცვალებადი გეომეტრიის საფუძველზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი წევრები არ მიიღებენ ყველა ვალდებულებას და არ ისარგებლებენ ყველა იმ უფლებით, რომლებიც გააჩნიათ არსებულ წევრებს.

ეს იმაზე ნაკლებრევოლუციური განვითარება იქნება, ვიდრე დროდადრო მიიჩნევენ. წარსულში შედარებით ღარიბმა ქვეყნებმა - საბერძნეთმა, ესპანეთმა, ირლანდიამ და პორტუგალიამ არაერთხელ მიიღეს შეღავათები ევროკავშირის საკანონმდებლო დადგენილ-

ბებიდან, მათი ძალაში შესაყვანად გადავადების სახით. გაერთიანებული სამეფოს ყოფილი ხელისუფლების მიერ მასტრიხტის ხელშეკრულების უარყოფის წარმატებულმა მცდელობებმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი „ორსიჩქარიანი“ ევროპის ფაქტიურ არსებობას. ამგვარი მიდგომა აღმოსავლეთის ახალ კანდიდატ ქვეყნებს არ შეაშინებს. ერთადერთი რისკენაც ისინი მიილტვიან არის უსაფრთხოების შეგრძნება, დასავლურ სამყაროში ადგილის მოპოვება და არა ევროკავშირის კანონების 100%-ით განხორციელება. თუმცა არსებული წვერი ქვეყნებისათვის არც თუ ისე ადვილი იქნება სრულმასშტაბიან დათმობებზე წასვლა, რაც ადრე გამონაკლისად იყო მიჩნეული.

გაერთიანება, რომელმაც 1958 წელს 6 წევრით დაიწყო არსებობა, ახლა 15 წევრისაგან შედგება და მოიცავს 370 მლნ-იან მოსახლეობას. 2008 წლისათვის მისი დაარსებიდან 50 წლისთავზე შესაძლოა შედგებოდეს 26 წევრისაგან და მოიცავდეს 450 მილიონ მოსახლეობას. 10 წლის შემდეგ წევრთა რიცხვი ალბათ 40-მდე გაიზრდება, ხოლო მოსახლეობის მოცულობამ შესაძლოა 700 მილიონი შეადგინოს, რაც უდრის ევროპის მთელ კონტინენტს რუსეთის გამოკლებით. ყოველივე ეს ალბათ ძნელი წარმოსადგენია და მრავალი ალბათ უკმაყოფილო იქნება კავშირის ბუნებაში მომხდარი ზღვა ცვლილებებით, რაც აუცილებლად მოჰყვება ამგვარ გაერთიანებას. მაგრამ რომის ხელშეკრულების ლოგიკა და ევროკავშირის მიერ აქამდე განხორციელებული ქმედებები უცილობლად მიგვანიშნებს წევრთა შემადგენლობის თანდათანობით, მაგრამ აჩქარებულ ზრდაზე.

38 ბაერთიანებული სამეფო და მკროკავშირი

გაერთიანებული სამეფო ევროგაერთიანებაში მოგვიანებით შევიდა და მას გაწევრიანების დღიდან (1973 წ.) საკმაოდ რთული ურთიერთობა აქვს თავის პარტნიორებთან.

უნდობლობის ისტორია

1973 წლამდეც, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა უნდობლობა და იმედგაცრუება, მიუხედავად თავდაპირველი 6 წევრის აშკარა სურვილისა გაერთიანებული სამეფო მათი პარტნიორი გამხდარიყო. მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას გაერთიანებული სამეფოს პრესტიჟი და პოპულარობა დასავლეთ ევროპაში არნახულად გაიზარდა და უდავო იყო, რომ თუ გაერთიანებული სამეფო გამოთქვამდა მჭიდრო ინტეგრაციის სურვილს, მას უდიდესი გავლენა ექნებოდა ნებისმიერი შექმნილი ასოციაციის ფორმასა და არსზე. აქედან გამომდინარე საყოველთაო უკმაყოფილება და გაუგებრობა გამოიწვია გაერთიანებული სამეფოს ინტერესის ნაკლებობამ 1951 წელს ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებაში შესვლის და 1955 წელს მესინას კონფერენციაზე (რომელმაც განაპირობა ემპ-ს შექმნა) დასწრების მიმართ. ამგვარი განზე გადგომის არგუმენტებს - აზრს, რომ გაერთიანებული სამეფო იყო არა ევროპული, არამედ უფრო გლობალური ძალა, რომ მას განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა აშშ-თან და რომ მისი სავაჭრო და პოლიტიკური კავშირები ძირითადად თანამეგობრობას მოიცავდა, ლა მანშის გადაღმა არაფრად დაგიდევდნენ. უფრო მეტიც, გაერთიანებული სამეფოს 1959 წლის ინიციატივა ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (ეეშპ-ს) შექმნის თაობაზე მიჩნეულ იქნა მის მცდელობად შეემცირებინა ერთი წლით ადრე შექმნილი ემპ-ის გავლენა.

მიუხედავად ყველაფრისა, გაერთიანებული სამეფოს განაცხადს ევროგაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ, რომელიც მან ბოლოსდაბოლოს 1961 წელს შეიტანა თბილად შეხვდნენ და პრეზიდენტ დე გოლის მიერ გაერთიანებული სამეფოს გაწევრიანებაზე ვეტოს ორჯერ დადებამ 1963 და 1968 წლებში ყველა წევრი ქვეყნის, მათ შორის საგრანგეთის, უკმაყოფილება გამოიწვია. მხოლოდ მესამეჯერზე, 1971 წელს, ეღვარა ჰითის კონსერვატიულ მთავრობას და

ექვს წევრ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებების განახლების შემდეგ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა გაწევრიანების პირობებზე.

ლეიბორისტულ პარტიაში არსებული დაპირისპირება ევროკავშირში გაწევრიანების საკითხის მიმართ

ზანგრძლივმა „ვაჭრობამ“ გაერთიანებულ სამეფოში თავისი შედეგი გამოიღო, სახელდობრ გაწევრიანებას საკმაოდ სერიოზული ოპოზიცია გამოუჩნდა. ეს შეეხო ორივე უმსხვილეს პოლიტიკურ პარტიას, თუმცა კონსერვატიულ პარტიაში ეს მოვლენა ვიწრო, მემარჯვენე ნაციონალისტურ საზღვრებს არ გასცდენია და პარტიის ლიდერებს არ გაძნელებიათ ევროგაერთიანების წინააღმდეგ განწყობილი წევრების იზოლაცია და დამარცხება. ლეიბორისტულ პარტიაში შინაგანმა დაპირისპირებამ უფრო სერიოზული სახე მიიღო. მარცხენა ფრთისათვის ევროგაერთიანება წარმოადგენდა პარტიის მთავარი მიზნების დასამზობად განხორციელებულ კაპიტალისტთა შეთქმულებას, პროფკავშირების წევრებს კი აშინებდათ სბპ-ს გავლენით საკვების ფასის ზრდა. პარტიაში არსებული ევროგაერთიანების მომხრე ჯგუფი, რომი ჯენკინსის მეთაურობით, მიიჩნევდა, რომ პარტიას უნდა დაევიწყებინა თავისი ძველი შეხედულებები, 69 ლეიბორისტმა პარლამენტარმა ბრძოლაში გამოიწვია პარტიის საპარლამენტო ლიდერი და შესაძლებელი გახდა თემთა პალატაში გაწევრიანების პირობების კარგი უპირატესობით დამტკიცება. ამ დაპირისპირებაში მარცხმა და განსაკუთრებით მისმა არატოლერანტულმა ქცევამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ლეიბორისტულ პარტიაში იმ განხეთქილების ჩამოყალიბებაზე, რომელიც თვალსაჩინო გახდა ათი წლის შემდეგ, როდესაც სოციალურ-დემოკრატიული პარტია შეიქმნა. ლეიბორისტული პარტიის შიგნით გამეფებული მტრული განწყობა კვლავაც გრძელდებოდა, თუმცა გარკვეულ დროით მაინც მოხერხდა მდგომარეობის განმუხტვა. ლეიბორისტული მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებით გაიმართა რეფერენდუმი გაერთიანებული სამეფოს წევრად დარჩენის საკითხის გადასაჭრელად. 1974 წლის არჩევნებში ლეიბორისტული პარტიის გამარჯვების შემდეგ წევრობის პირობები ხელახლა იქნა შეთანხმებული. მასში შეტანილი ცვლილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ფინანსური მექანიზმის დაარსება, რომელიც დაარეგულირებდა გაერთიანებული სამეფოს არსებულ ჭარბ შენატანებს (თუმცა მალევე გამოვლინდა მისი არაეფექტურობა

იხ. გვ. 23-24). მოუხდავად ლეიბორისტული პარტიის დიდი ნაწილის წინააღმდეგობისა კაბინეტის უმრავლესობამ პრემიერ-მინისტრის პაროლდ უილსონის და საგარეო საქმეთა მინისტრის ჯეიმს კალაჰანის მეთაურობით (რომლებიც 1971 წლის კენჭისყრაზე გაწევრიანების წინააღმდეგი იყვნენ) მოახერხეს განახლებული პირობების მიღების უზრუნველყოფა. 1975 წლის 5 მაისის რეფერენდუმზე 2:1 უპირატესობით გადაწყდა გაერთიანებაში ბრიტანეთის წევრად დარჩენა. დაპირისპირება თითქოსდა დასრულდა.

1979 წელს მან ხელახლა იჩინა თავი ჯეიმს კალაჰანის ლეიბორისტული მთავრობის არსებობის ბოლო ორ თვეში, როცა გამოაშკარავდა, რომ მოუხდავად ახალი პირობებისა გაერთიანებული სამეფო კვლაც მიუღებლად მაღალ წილს იხდიდა ევროგაერთიანების ბიუჯეტში, რომლის მოცულობაც მომდევნო წელს 1 მლრდ.-ს გადააჭარბებდა (გვ.29-30). 1979 წლის მაისში არჩეული მარგარეტ ტეტჩერის კონსერვატიული პარტია შეეცადა უზრუნველყო გაერთიანებული სამეფოს წილის მუდმივი კომპენსაცია. ტეტჩერი წამყვან როლს ასრულებდა მოლაპარაკებაში, რომელიც გაერთიანების ცხოვრების არსებით მხარეს წარმოადგენდა, და განსაკუთრებით ევროსაბჭოს სხდომებზე, ვიდრე შეთანხმება არ იქნა მიღწეული 1984 წლის ივნისში ფონტენბლოს სამიტზე (გვ.33). ამასობაში ლეიბორისტული პარტიის მტრული განწყობა გაწევრიანების მიმართ კიდევ უფრო გამწვავდა და 1983 წლის ივნისში საყოველთაო არჩევნების კომპანიის დროს პარტიამ შეიტანა წინადადება კავშირიდან ცალმხრივი გასვლის შესახებ, რეფერენდუმის ჩატარების გარეშე. არჩევნებში ლეიბორისტთა დამარცხებისა და პარტიის ლიდერის პოსტზე ნილ ქინოქის მიერ მაიქლ ფუტის შეცვლის შემდეგ ეს საკითხი მოიხსნა. 1987 წლის საყოველთაო არჩევნებზე ლეიბორისტული პარტიის მანიფესტში გაერთიანებიდან გასვლა აღარ მოიხსენიებოდა.

ერთი წლის შემდეგ, 1988 წლის პროფკავშირების კონგრესზე ეაკ დელორის ფრიად წარმატებული ვიზიტის შემდეგ, როდესაც მან აღაფრთოვანა დელეგატები ევროპის მისეული ხედვით, ევროპისა, სადაც პროფკავშირების წევრები სრულად გაიზიარებდნენ გაერთიანების შემდგომი განვითარების (მათ შორის 1992 წლის პროგრამის) ნაყოფს, ლეიბორისტულმა პარტიამ და პროფკავშირებმა როგორც იქნა დადებითი კუთხით შეხედეს ევროგაერთიანებას.

ტეტჩერმა შეამცირა გაერთიანებული სამეფოს გავლენა ევროგაერთიანებაში..

ამგვარი დადებითი დამოკიდებულება გაანეიტრალა კონსერვატიული პარტიის ჭირვეულმა მოქმედებამ, რომელიც მარგარეტ ტეტჩერის მეთაურობით 1988 წლიდან თანდათან უფრო მძაფრად ავლენდა მტრულ განწყობას. სწორედ ამ წელს ტეტჩერმა გააკეთა ფართოდ გაშუქებული მოხსენება ბრიუგეში, მისი მოხსენება მოწოდებასავით გაისმა მათთვის, ვინც ნოსტალგიას განიცდიდა იმ დროზე, როდესაც გაერთიანებული სამეფო მსოფლიო ძალას წარმოადგენდა, და მათთვის, ვისაც ფსიქოლოგიურად არ შეეძლო არსებულ რეალობასთან შეგუება. ტეტჩერმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა „სუვერენობის“ საკითხზე, რომელიც მას და მის მომხრეებს ნულოვანი საბოლოო შედეგის კონცეფციად მიაჩნდათ. მისი აზრით ევროგაერთიანების ინსტიტუციების უფლებამოსილების ზრდა ხდებოდა წევრი ქვეყნების ინსტიტუციების უფლებამოსილების შემცირების ხარჯზე. ეს კი ეწინააღმდეგებოდა გაერთიანებაში არსებულ საყოველთაო აზრს იმის შესახებ, რომ ეროვნული სუვერენიტეტი წლების განმავლობაში მცირდებოდა იმ მიზეზებიდან გამომდინარე, რომელთაც არაფერი არ ჰქონდათ საერთო ევროგაერთიანების ზრდასთან, და რომ მხოლოდ გარკვეულ სფეროებში რესურსების თავმოყრით ხდებოდა შესაძლებელი წევრი ქვეყნების მიერ იმ მიზნების მიღწევა, რომელთა განხორციელებაც ინდივიდუალური ძალებით შეუძლებელი იქნებოდა.

ცხადია, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფნის ბოლო წლების მანძილზე მარგარეტ ტეტჩერმა, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა გაერთიანებული სამეფოს მიერ ევროგაერთიანების ახალი ინიციატივების მიმართ უარყოფითი ან მინიმალისტური პოზიციის დაკავებას, მნიშვნელოვნად შეამცირა გაერთიანებული სამეფოს გავლენა ევროგაერთიანებაში. ამგვარ ინიციატივებს შორის იყო უცხო ენის სწავლების პროგრამა-Lingua რომელიც განსაკუთრებით მომგებიანი იქნებოდა გაერთიანებული სამეფოსათვის (გვ.286). ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მარგარეტ ტეტჩერი ზეიმობდა ევროსაბჭოს შეხვედრებზე ეულ უმცირესობაში ყოფნით. სწორედ ტეტჩერის ამგვარმა ქმედებამ 1990 წლის ოქტომბერში რომის შეხვედრაზე (რომელზედაც მსკ-ის მეორე ეტაპის დაწყების თარიღი დადგინდა) და მას შემდეგ გამოიწვია კონსერვატიული პარტიის ლიდერის პოსტზე მისი შეცვლა ჯონ მეიჯორის მიერ.

...მაგრამ არც ჯონ მეიჯორს შეუცვლია მდგომარეობა უკეთესობისაკენ

ჯონ მეიჯორი ამკარად არ იზიარებდა გაერთიანებისადმი ტეტჩერის ღრმა უნდობლობას და გამოთქვამდა „გაერთიანებული სამეფოს ევროპულ წიაღში დამკვიდრების“ სურვილს. მან მყისვე დაანება თავი ევროგაერთიანების უხემ კრიტიკას, მაგრამ კონსერვატიულ პარტიაში ტეტჩერის ჯერ კიდევ საგრძნობი გავლენით იგი მსკის შექმნის ინიციატივასა და პოლიტიკური კავშირის ფორმირებას ეჭვის თვალთ უყურებდა. მოლაპარაკების უფრო გონივრული მიდგომის გამოყენებით მან შეძლო უზრუნველყო მნიშვნელოვანი ცვლილებები ორ მთავრობათაშორის კონფერენციაზე, განსაკუთრებით „პოლიტიკური კავშირის“ შექმნის თაობაზე გამართულ მთავრობათაშორის კონფერენციაზე. პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშნვიდან ერთ წელიწადში კი იგი დათანხმდა ევროკავშირის მაასტრიხტის ხელშეკრულებას ორი გამონაკლისის შემთხვევაში, პირველი ეხებოდა გაერთიანებული სამეფოს უფლებას არ მიეღო მონაწილეობა მსკის მესამე ეტაპში, რაც ითვალისწინებდა ევროპის ცენტრალური ბანკის მსბ-ის შექმნას და საერთო ვალუტის შემოღებას. იმ დროს მხოლოდ რამდენიმე მიმომხილველი მიიჩნევდა, რომ არსებობდა გაერთიანებული სამეფოს მსკ-ში არ მონაწილეობის სეროზული შესაძლებლობა და რომ მაასტრიხტში მეიჯორის მიერ გამოჩენილი სიჯიუტის შედეგი იყო ის, რომ ლონდონის სიტის ამკარა მზადყოფნა განეთავსებინა მსბ, შეუსრულებელი დარჩა. ეს წინათგრძნობა გამართლდა, რამდენადაც ევროპის სავალუტო ინსტიტუტის-ცენტრალური ბანკის წინამორბედის ადგილმდებარეობად დასახელდა ფრანკფურტი. მეორე ეხებოდა სოციალურ ქარტიას (გვ.225-227).

ეს გამონაკლისები ორმაგდებოდა, რამდენადაც მეიჯორს უკავშირდებოდა. სკეპტიკოსების დამშვიდების მცდელობის არარსებობის ფონზე, გამონაკლისებისადმი მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდნენ ლიბორისტული და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიები, რომლებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს მაასტრიხტის ხელშეკრულებას. აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო ოპოზიციის მხრიდან ერთიანი მხარდაჭერა გაერთიანებული სამეფოს ორივე პალატაში რატიფიკაციის ხანგრძლივ და ძნელ პროცესში. ეს პროცესი მხოლოდ 1993 წლის ივლისში დასრულდა, მას შემდეგ, რაც რამდენიმეჯერ შეიქმნა მცირე საპარლამენტო უმრავლესობის მქონე მთავრობის დაშლის რეალური საშიშროება. მეიჯორსა და

მის კოლეგებზე ამ გამოცდილებამ შოკური ეფექტი იქონია და მას შემდეგ მათ პრიორიტეტი კონსერვატორი ევრო-სკეპტიკოსების კმაყოფილების შენარჩუნებას მიანიჭეს. ამან განაპირობა მინისტრების მიერ ტეტჩერისეული ანტი - ევროკავშირის რიტორიკის გადაღება. გაერთიანებული სამეფო კვლავ შეეცადა ევროპის ინტეგრაციისაკენ შემდგომი პროგრესისათვის ხელის შეშლას. ჯონ მეიჯორის მხრიდან არაკეთილგონივრული ნაბიჯი იყო მის პარტიამი არსებული ევროკავშირის მოწინააღმდეგეთა გულის მოგების მცდელობა 1994 წლის მარტსა და აპრილში, როდესაც მეიჯორი ცდილობდა შეენარჩუნებინა მინისტრთა საბჭოში კენჭისყრაში მბლოკავი უმცირესობის ოდენობა იგივე დონეზე, რაც არსებობდა 12 წევრი სახელმწიფოს შემთხვევაში. წესების შეცვლა ხდებოდა წევრთა რაოდენობის 16-მდე გაზრდის გამო ავსტრიის, ფინეთის, შვედეთის და ნორვეგიის მოსალოდნელი გაწევრიანებიდან გამომდინარე. მეიჯორს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ყველა ქვეყანამ, ესპანეთის გარდა და ევროპარლამენტმა. საბოლოოდ, მას მოუწია საკმაოდ დამამცირებელი უკუსვლა, რათა ხელი არ შეეშალა ოთხი კანდიდატის გაწევრიანებისათვის, რაც გაერთიანებული სამეფოს დიდი ხნის მიზანს წარმოადგენდა. სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა 1994 წლის ივნისში, როდესაც კორფუს სამიტზე ჯონ მეიჯორმა ვეტო დაადო ჟაკ დელორის შემდეგ კომისიის პრეზიდენტად ბელგიის პრემიერ-მინისტრის ჟან-ლიუკ დეაენის დანიშვნას. ამან ნამდვილი უკმაყოფილება გამოიწვია როგორც ბელგიის, ისე სხვა წევრი ქვეყნების მხრიდან, რომლებიც მხარს უჭერდნენ მის კანდიდატურას. მეიჯორის ქმედების მოჩვენებით არგუმენტად დასახელდა ის, რომ ჟ. დეაენი იყო „ფედერალისტი“, რომელსაც სჯეროდა სახელმწიფოს როლის მნიშვნელობისა ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სინამდვილეში ეს იყო კონსერვატორ, რიგით პარლამენტარებზე გამიზნული ძალის ერთგვარი დემონსტრაცია შთაბეჭდილების მოსახდენად და მას დიდი სარგებლობა არ მოუტანია. რამდენიმე კვირის შემდეგ ჯონ მეიჯორი უყოყმანოდ დათანხმდა ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრის - ჟაკ სანტერის დანიშვნაზე, რომელმაც მოკრძალებულად განაცხადა, რომ მისი შეხედულებები ზედმიწევნით ემთხვეოდა დეაენის შეხედულებებს.

შედეგად კონსერვატიულმა პარტიამ თავად ჩააგდო თავი არასასიძოვნო გაუგებრობის მდგომარეობაში ეკონომიკური და სავალუტო კავშირის საკითხთან დაკავშირებით და ამას მოჰყვა ევროსკეპ-

ტიკოსების მცდელობა მოეხდინათ გაერთიანებული სამეფოს გამოსვლა ევროკავშირიდან. ჯონ მეიჯორმა გაუძლო ამ ზეწოლას კავშირის საწინააღმდეგო რიტორიკის კიდევ უფრო მომძლავრების ფასად. ამას პრესის დიდი ნაწილიც აღვივებდა, რომელიც უცხოელთა საკუთრებაში ყოფნის მიუხედავად (რუპერტ მერდოკი და კონრად ბლეკი) მკვეთრად ნაციონალისტურ ხაზს ატარებდა. ჯონ მეიჯორის მთავრობამ უარყოფითი პოზიცია დაიკავა მთავრობათაშორის კონფერენციაზე, რამაც 1997 წლის 1 მაისს დანიშნულ გაერთიანებულ სამეფოში საყოველთაო არჩევნებად შეუძლებელი გახადა სერიოზულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება.

გაერთიანებული სამეფოს ბოლო შანსი?

ახლად არჩეულმა ლეიბორისტულმა მთავრობამ არ დააყოვნა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ აპირებდა ევროკავშირთან ურთიერთობაში „ახალი სტარტის“ აღებას, და რომ გაერთიანებული სამეფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვის მიუხედავად იგი თავის წინამორბედებზე უფრო პოზიტიურ მიდგომას გამოიყენებდა. არჩევნიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მისი პირველი ინიციატივა იმაში მდგომარეობდა, რომ გაერთიანებული სამეფო უარს იტყოდა დაშვებულ გამონაკლისზე და ხელს მოაწერდა სოციალურ ქარტიას პირველი შესაძლებლობისთანავე. ეს იყო ალბათ გაერთიანებული სამეფოს ბოლო შანსი გამოსწორებინა ის ზიანი, რომელიც გამოიწვია მისმა ადრინდელმა ნახევრად განდგომილმა დამოკიდებულებამ კავშირისადმი, და აღედგინა მისი, როგორც წამყვანი მონაწილის, გავლენა. ამის მისაღწევად ტონი ბლერმა და მისმა მინისტრებმა მთავრობათაშორისი კონფერენციების მოლაპარაკებებში უფრო შემრიგებლური პოზიცია დაიკავეს, რამაც შესაძლებელი გახადა 1998 წლის ივნისში ამსტერდამის სამიტზე შეთანხმების მიღწევა. ის ფაქტი, რომ ამსტერდამის ხელშეკრულება არ წარმოადგენდა ევროკავშირის მიერ უფრო მჭიდრო ინტეგრაციისაკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს, რისი იმედიც მრავალ ადამიანს ჰქონდა, არ იყო მოლაპარაკებაში ბრიტანელი წარმომადგენლების ბრალი. ბლერმა წარმატებით მოახერხა რამოდენიმე კვირაში გაქპარწლებინა წინა წლების მანძილზე გაერთიანებულ სამეფოსა და ევროკავშირის შორის არსებული უთანხმოება, მაგრამ იმავე წლის ბოლოს ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრის გორდონ ბრაუნის განცხადებამ იმის შესახებ, რომ გაერთიანებული სამეფო არ იქნებოდა ეკონომიკური და სავალუტო კავშირის დამ-

ფუნქციურ წევრებს შორის, დიდი იმედგაცრუება გამოიწვია. ბრიტანელ მინისტრებს არ სურდათ ამის აღიარება (და ეს ყველასათვის ნათელი იყო), რომ მათი გავლენა ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანდათანობით მცირდებოდა და საბოლოოდ გაქრებოდა. მათთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო მსკ-ის ჩამოყალიბების პროცესის სამეთვალყურეოდ შექმნილი მინისტრთა კომიტეტში ევრო-11 მათი არ შეყვანა.

ეს შეზღუდვა არც თუ ცოტა ხანს გაგრძელდა. მალე ნათელი გახდა, რომ ბლერის მთავრობა, რომელსაც საკმაოდ ეშინოდა ერთიან ვალუტაში გაერთიანებული სამეფოს შესვლის მოწინააღმდეგე პრესის გავლენისა, არ აპირებდა ჩაეტარებინა დაპირებული რეფერენდუმი ევროს თაობაზე შემდგომ საყოველთაო არჩევნებამდე, რომელიც მხოლოდ 2002 წლის გაზაფხულზე ჩატარდებოდა. ეს კი თითქმის ცალსახად ნიშნავს იმას, რომ 2002 წლის იანვრამდე - ბრუნვაში ევროს პირველი ბანკნოტებისა და მონეტების გაშვების დროისათვის, გაერთიანებული სამეფო მსკ-ის გარეთ იქნება. შეუერთდება თუ არა გაერთიანებულ სამეფოს მსკ-ს დამოკიდებულია არა მარტო საყოველთაო არჩევნებში ლეიბორისტთა გამარჯვებაზე, არამედ მთავრობის უნარზეც დაარწმუნოს ამომრჩეველთა უმრავლესობა მომდევნო რეფერენდუმზე მხარი დაუჭიროს გაერთიანებული სამეფოს მსკ-ში გაწევრიანებას. კონსერვატული პარტიის გამარჯვება, თუ პარტიის ახლანდელი პოლიტიკით ვიმსჯელებთ, ნიშნავს რეფერენდუმის არ ჩატარებას და მსკ-ში არ შესვლას დაახლოებით ათი წლის მანძილზე. უეჭველია, რომ პარტიის შიგნით ყალიბდება მზარდი ზეწოლა ევროკავშირიდან გაერთიანებულ სამეფოს გასვლის სასარგებლოდ.

გაერთიანებული სამეფოს მტრულ განწყობას მრავალი მიზეზები გააჩნდა...

ევროკავშირში გაერთიანებული სამეფოს წევრობისადმი მტრული განწყობა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე გრძელდებოდა, ვერ აიხსნება მხოლოდ ერთი მიზეზის დასახელებით. გაერთიანებული სამეფოს ისტორიული გამოცდილება და ინგლისის სრუტე, რომელიც, თანამედროვე სატრანსპორტო ტექნოლოგიის მეშვეობით მისი მცირე ფიზიკურ ბარიერამდე დაყვანის მიუხედავად, მაინც დარჩა დიდ ფსიქოლოგიურ ზღუდედ, უდავოდ დიდ ზეგავლენას ახდენდა გაერთიანებული სამეფოს დამოკიდებულებაზე. 1970-იან წლებში

ლეიბორისტულ პარტიაში მემარცხენეთა და მემარჯვენეთა შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლამ უდაოდ ხელი შეუწყო კონფლიქტის გაჭიანურებას, რომელიც სხვა შემთხვევაში გაცილებით ადრე მოგვარდებოდა. (მოგვიანებით კონსერვატიულ პარტიაში არსებულმა ანალოგიურმა განხეთქილებამ მარგარეტ ტეტჩერსა და მის მოწინააღმდეგეთა შორის ასევე შეუწყო ხელი ევროპასთან დაკავშირებული დაპირისპირების გამწვავებას). ეს მართლაც ბედის მწარე ირონია იყო, რომ გაერთიანებული სამეფოს ევროგაერთიანებაში საბოლოო გაწვერიანებას (რაც თითქმის ათი წლით შეაყოვნა დე გოლის შეურიგებლობამ) დაემთხვა ეკონომიკური კრიზისის დასაწყისი, რაც გამოწვეული იყო 1973 წელს ნავთობზე ფასების მკვეთრი ზრდით. ამ დროისათვის ექვსივე თავდაპირველმა წევრმა უკვე საკმაო სარგებელი მიიღო იმ 15 წლიანი კეთილდღეობით, რომლის განმავლობაშიც ისინი ევროგაერთიანების წევრები იყვნენ და ამ კეთილდღეობას სწორედ მკ-ის წევრობას მიაწერდნენ. ამის საპირისპიროდ კი გაერთიანებულ სამეფოს წევრობა ეკონომიკური სიძნელეების დროს მოუხდა. ბრიტანელების უმრავლესობამ ეკონომიკური წარუმატებლობისათვის განტყვეების ვაცად სწორედ ევროგაერთიანება მიიჩნიეს.

გაერთიანებული სამეფო უდავოდ განცდიდა იმ ფაქტს, რომ იგი არ იყო დამფუძნებელი წევრი და რომ გაერთიანების ის რამდენიმე ასპექტი, განსაკუთრებით სბპ-ს ცალკეული პროცედურები, რომელსაც იგი ეწინააღმდეგებოდა, იმ დროისათვის, როდესაც მოლაპარაკებები დაიწყო მის გაწვერიანებაზე უკვე მყარად იყო განმტკიცებული. მიუხედავად გარკვეული ცვლილებების შეტანისა უდავოა, რომ გაერთიანებული სამეფოს აზრით, უფრო მისაღები საფუძვლების დადგენა შესაძლებელი იქნებოდა გაერთიანებულ სამეფოს თავისი გავლენა დასაწყისშივე რომ გამოეყენებინა. ანალოგიურად, გაერთიანების მუშაობის მეთოდები (მათ შორის ფრანგულის, როგორც სამუშაო ენის ფართოდ გამოყენება, რაც გაცილებით დიდ პრობლემებს უქმნის გამორჩეულად მონოგლოტ ბრიტანეთს, ვიდრე მის ევროპულ პარტნიორებს) სხვაგვარად განვითარდებოდა და ორგანიზაციას უფრო კომფორტულ სამუშაო გარემოს შეუქმნიდა.

...მაგრამ იგი თანდათანობით შეეგუა ევროკავშირის წევრობას.

თუშცალა გაერთიანებული სამეფოს წევრობის დასაწყისში წამოჭრილი სიძნელეები დროთა განმავლობაში მოგვარდა და იმ ბრიტანელებმა რომელთაც მოუწიათ ევროკავშირისათვის მუშაობა, ან ჰქონდათ მასთან გარკვეული პროფესიული კავშირი, ადაპტაციის საკმარისი გამოიჩინეს და შესძლეს საწყისი ზღუდეების დაძლევა.

გაერთიანებული სამეფოს მრეწველობა განსაკუთრებით ადვილად შეეთვისა წევრობას. მაშინ, როცა 1972 წელს გაერთიანებული სამეფოს ექსპორტის და იმპორტის მხოლოდ ერთი-მესამედი მოდიოდა ევროგაერთიანებაზე, 1986 წლისათვის ეს მაჩვენებელი 50%-მდე, 1995 წლისათვის კი 57%-მდე გაიზარდა. გაერთიანებული სამეფო 1973 წელს ევროგაერთიანებაში რომ არ შესულიყო, მისი ეკონომიკა უდავოდ სხვა მიმართულებით განვითარდებოდა და ნებისმიერი ალტერნატიული შესაძლებლობები, რამდენად შეზღუდულიც არ უნდა ყოფილიყო, მისთვის სასარგებლო იქნებოდა. ახლა სიტუაცია სხვაგვარია და ყველასათვის ნათელია, რომ ევროკავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გასვლას საზარელი სიძნელეები მოჰყვება.

პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე გაერთიანებული სამეფო ევროკავშირში რჩება და სისულელე იქნებოდა ეროვნული პოლიტიკის სხვა საფუძველზე დამყარება, თუ არა კავშირის იმგვარ განვითარებაზე, რაც მის წევრებს მაქსიმალურ სარგებლობას მოუტანს. ბრიტანული მინისტრების მიერ ასე ხშირად გამოვლენილი ბოლშევიზური და მინიმალისტური დამოკიდებულება ევროკავშირისადმი, დიდ ზიანს აყენებდა გაერთიანებული სამეფოს ინტერესებს და ძირს უთხრიდა მის გავლენას ორგანიზაციაში. ეს ის გაკვეთილია, რომელიც, როგორც ჩანს, კარგად აითვისეს ტონი ბლერის მინისტრებმა და იმედს ვეიტოვებთ, რომ გაერთიანებული სამეფოს - როგორც მოუქნელი „განდეგილის“ დღეები წარსულს ჩაბარდა.

შეუძლია ევროკავშირს ზესახელმწიფო გახდეს?

როდესაც პოლ კენედიმ 1988 წელს თავისი გახმაურებული წიგნი „დიდი სახელმწიფოების აღმასვლა და დაცემა“ გამოაქვეყნა, მან ბოლო, ვრცელი, თავი 21-ე საუკუნის პროგნოზს დაუთმო. მისი აზრით 21-ე საუკუნეში იარსებებდა არა ერთი და ორი ზესახელმწიფო, არამედ ოთხი ან ხუთიც კი, რომელთაგანაც ვერც ერთი ვერ შეძლებდა ცალკე თავისი ნებასურვილის სხვებისათვის ძალით თავზე მოხვევას.

მას ეჭვი არ ეპარებოდა ამ ზესახელმწიფოებიდან ოთხის იდენტიფიკაციაში. ეს იქნებოდა აშშ და მაშინდელი საბჭოთა კავშირი, თუმცა ორივე მათგანი გაცილებით ძლიერი იქნებოდა, ვიდრე ახლო წარსულში; ჩინეთი თავისი უზარმაზარი მოსახლეობისა და რესურსების წყალობით; და იაპონია თავისი ხალხის გონებაშეხილობის წყალობით. კენედის აზრით საკითხი ის იყო, შეუერთდებოდა თუ არა ამ ოთხს მეხუთეც - ევროგაერთიანება.

კენედის აზრით, ეს არ მოხდებოდა. ევროგაერთიანება ზედმეტად დანაწევრებული, არა შეთანხმებული იყო იმისათვის, რომ მოეხდინა თავისი მთლიანი წონის თავმოყრა. კენედის დასკვნითი სიტყვების თანახმად, „თუ ევროგაერთიანება შეძლებს ერთიანი ძალებით მოქმედებას, მან შესაძლოა გააუმჯობესოს თავისი პოზიცია მსოფლიოში, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. თუ ეს არ მოხდება - რაც ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე უფრო მოსალოდნელია - მისი ფარდობითი ვარდნა გარდაუვლად გაგრძელდება“.

საკარაულოა, რომ 21-ე საუკუნის მიჯნაზე კენედის ალბათ აზრადაც არ მოუვიდოდა ასეთი სკეპტიკური ფრაზები, ნაშრომი ახლაც რომ დაეწერა. მოვლენათა სერიამ საფუძველი დაუდო შეხედულებას, რომ ევროგაერთიანება შეძლებს მსოფლიო ასპარეზზე ეკონომიკური და პოლიტიკური (ამასთანავე შესაძლებელია სამხედრო) გიგანტის ადგილის დამკვიდრებას. მათგან პირველი ორი მოვლენა უკავშირდება ევროგაერთიანების შიდა მოწყობას. პირველი, ერთიანი ბაზრის (იხ.თავი 16) სრულქმნის 1992 წლის პროგრამა დროულად განხორციელდა და ევროგაერთიანების, როგორც ერთიანი სავაჭრო ზონის ფუნქციონირების ხელშემშლელი შიდა ბარიერების უმეტესი ნაწილი უკვე მოიხსნა (ან მოიხსნება უახლეს მომავალში). მეორე,

წვერი ქვეყნები გაერთიანდნენ ეკონომიკურ და სავალუტო კავშირში. 1999 წლის დასაწყისში ევროს შედარებით უპრობლემოდ შემოღება უეჭველს ხდის იმ ფაქტს, რომ იგი დამატებით ბიძგს მისცემს ევროპის ინტეგრაციას და შესაძლებელია მომავალში კონკურენცია გაუწიოს, და გაუსწროს კიდევ, აშშ-ის დოლარს - მსოფლიოს ძირითად ვალუტას.

ამის გარდა, ევროკავშირმა სწორედ საგარეო სიტუაციის განვითარებისადმი სათანადო რეაგირებით აჩვენა, რომ იგი მზადაა თავის თავზე აიღოს ახლად წარმოქმნილი ზესახელმწიფოს პასუხისმგებლობა. იგი სათავეში უდგას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ახალბედა დამოუკიდებელი ქვეყნებისათვის მორალური და მატერიალური დახმარების გაწევის საქმეს და მათთვის ძლიერ მაგნიტს წარმოადგენს. სწორედ ევროკავშირის ინიციატივას წარმოადგენდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაარსება და მანვე გაიღო მისი \$12 მილიარდიანი კაპიტალის ნახევარზე მეტი. მატერიალური დახმარების ძირითადი ნაწილის მოწოდებას მოახდენს არა აშშ, არამედ სწორედ ევროკავშირი, რამდენადაც ეს ომისშემდგომი მარშალის გეგმის გაგრძელებას წარმოადგენს, რომელმაც ახალი სიცოცხლე შთაბერა დასავლეთ ევროპას.

დიდი გაფართოება გარდუვალია...

კავშირის შემადგენლობის გაზრდა, რაც ნაკლებად მოსალოდნელი იყო კენედის მიერ თავისი ნაშრომის შექმნის დროს, ახლა რეალობად იქცა. 1995 წელს მას შეუერთდა ეთნოპლურ-საქვეყნებიდან სამი სახელმწიფო, მომავალი საუკუნის დასაწყისისათვის კი კავშირში გაწევრიანებას ელოდება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანა. ამაზე შორეული მომავლის განჭვრეტა არაღამაჯერებელი იქნება, თუმცა, როგორც 37-ე თავში აღვნიშნეთ, არ იქნება გასაკვირი, თუ 2015 წლისათვის მისი შემადგენლობა 40 წევრამდე გაიზრდება და მოიცავს მთელ კონტინენტს რუსეთის გამოკლებით.

დიდი კავშირი ერთია, ქმედითი კი მეორე. შესაძლებლობა ხელიდან იქნა გაშვებული 1996-97 წლების მთავრობათაშორისი კონფერენციის და 1997 წლის ივნისის ამსტერდამის სამიტის მიერ, რომლებზედაც ვერ მოხერხდა მასტრიხტის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობა განსაკუთრებით საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის გატარებისა და საერთო თავდაცვის მისაღწევად საჭირო ძვრების თვალსაზრისით.

ევროკავშირის ბუნდოვანმა რეაქციამ 1991-92 წლებში ოუგოსლავიის დამლაზე, როდესაც დაპირისპირებული მხარეები უფრო ევროკავშირისაგან მოელოდნენ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას, ვიდრე ეშთო-საგან (ადრე ეშთიკ), ხაზი გაუსვა იმას, თუ რამდენად მოუშადებელია კავშირი და მისი წევრი ქვეყნები თავის თავზე ამგვარი როლის ასაღებად. იგივე განმეორდა 1998-99 წლებში კოსოვოში მიმდინარე მოვლენების დროს. სანამ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა ეყრდნობა გადაწყვეტილების უფრო ერთხმად, ვიდრე ხმათა უმრავლესობით მიღებას, იგი ალბათ შეინარჩუნებს თავის ნელ ტემპს, ორჭოფულ და უუნარო ხასიათს.

... მაგრამ ევროპის შეერთებული შტატების შექმნა ნაკლებად მოსალოდნელია

რა ხასიათს იქონიებს ევროკავშირი მომავალში? იარსებებს თუ არა მაგალითად „ევროპის პრეზიდენტი“? შეეკითხნენ ავტორს ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ტელეგადაცემაში. „დაიხ, მაგრამ ალბათ არა უახლესი 20 წლის მანძილზე“ უპასუხა მან და იმავე წუთს დაეჭვდა ხომ არ გამოიწვია მისმა სიტყვებმა არაგანზრახული გაუგებრობა, რადგანაც ჟურნალისტმაც და მაყურებლის უმრავლესობამაც უეჭველად წარმოიდგინა საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკული გაგებით, რაც თავისთავად გულისხმობდა ევროკავშირის გადაზრდას ევროპის შეერთებულ შტატებში, ძალაუფლების ისეთივე გადაწოდებით, როგორც ის ამერიკის შეერთებულ შტატებში გვხვდება.

ეს მოვლენათა არც თუ ისე მოსალოდნელი და სასურველი განვითარება იქნებოდა. ევროკავშირის 15 წევრი სახელმწიფო (თვით თავდაპირველი ექვსი წევრიც კი, რომლებიც უფრო მჭიდრო კავშირს ქმნიან) გაცილებით უფრო განსხვავებულია ერთმანეთისაგან, ვიდრე თავდაპირველი 13 კოლონია, რომლებიც გაერთიანდა 1774 წლის ფილადელფიის კონტინენტურ კონგრესზე. გარდა ენობრივი და კულტურული სხვაობისა, ისინი სუვერენულ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, რომელთაგანაც ზოგიერთის დამოუკიდებლობა ასობით წელს ითვლის, თავიანთი კონკრეტული პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სამართლებრივი სისტემებითა და საგრძნობლად განსხვავებული ისტორიული გამოცდილებით. 1990-იანი წლების დასაწყისში ბევრი მოელოდა დასავლეთ ევროპის გარკვეული ფორმის ფედერალური მთავრობის შექმნას (და არსებულ ევროკომისიას სწორედ ამგვარი მთავრობის ჩანასახად მიიჩნევდა¹). უფრო მოსალოდნელია,

რომ სრულად ფედერალური სისტემა არ შეიქმნება და რომ ახლანდელი ზეეროვნული ინსტიტუციების ჰიბრიდული სისტემა, რომელიც თანაარსებობაშია წვერი ქვეყნების სუვერენიტეტის მნიშვნელოვან დონესთან, კვლავაც იარსებებს, მიუხედავად არსებითი ცვლილებებისა. ეს კი, რაც დამაჯერებლადაა დასაბუთებული,² უფრო შეესაბამება საზოგადოებრივ აზრს, რომელსაც უფრო ქმედითი ევროკავშირი სურს, მაგრამ არა ისეთი, რომელიც გადათელავს ეროვნულ განსაკუთრებულობებსა და მგრძობიარე მხარეებს. ევროკავშირი ამ თვალსაზრისით არ წარმოადგენს ნახევრად აშენებულ ფედერალურ სახელმწიფოს, არამედ პოლიტიკური სისტემის ახალ ფორმას - „ევროპის ქსელს“, რომელშიც ძალაუფლება ნაწილდება მრავალ ცენტრს შორის.

ძალაუფლება სათანადოდ უნდა იქნას დაბალანსებული თუ შევადარებთ მსოფლიოს სხვა ნაწილებში კონფედერაციის და ფედერაციის შექმნის წარსულ მცდელობებსა და მეზობელ ქვეყნების ერთმანეთთან უფრო მჭიდრო დაკავშირებისაკენ მიმართულ ძალისხმევას ჩვენს თანამედროვეობაში, ევროკავშირის შექმნიდან 40 წლის განმავლობაში მიღწეული პროგრესი მართლაც ღირსია აღნიშვნისა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ, თუ ევროპას სურს შეინარჩუნოს მთელი თავისი ზეგავლენა სწრაფად შემცირებად, მაგრამ ამასთანავე სწრაფად განვითარებად მსოფლიოში, იგი შემდგომი 40 წლის განმავლობაში კიდევ უფრო სწრაფად და შორს უნდა წავიდეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ევროკავშირის ძალაუფლების გაზრდის მიზნით ბრიუსელში უფრო და უფრო მეტი ძალის კონცენტრირება უნდა მოხდეს. ზეცენტრალიზებული ევროპა ნაკლებად სასურველია, ვიდრე ზეცენტრალიზებული წვერი ქვეყნები, რომლებიც უკვე არსებობენ კავშირის შემადგენლობაში. საჭიროა მხოლოდ კეთილგონიერული მცდელობა იმ ძალაუფლების გაცნობიერებისა, რომლის ეფექტურად გამოყენებაც შესაძლებელი იქნება ევროპულ დონეზე ყველას სასიკეთოდ. ამგვარი და მხოლოდ ამგვარი ძალაუფლება უნდა მიენიჭოს ევროპულ ორგანოებს. ყველა დანარჩენი (მათ შორის ამჟამად ბრიუსელის მიერ გამოყენებული უფლებამოსილებების ერთი ნაწილი) უნდა გადაეცეს ეროვნულ მთავრობებს, ან ზოგიერთ შემთხვევაში რეგიონულ და ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივ მმართველობებსაც კი. ეს აღნიშნული იყო მასტრიხტის ხელშეკრულებაში, სადაც ნათქვამია „მჭიდრო კავშირის, სადაც

გადაწყვეტილებები მიიღება მოქალაქეების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით“ - შესახებ.

იმის ჩამოთვლა, თუ რომელი უფლებამოსილება და რომელ დონეზე გამოიყენება სცილდება ამ წიგნის ფარგლებსა და ავტორის კომპეტენციას. ისიც ცხადია, რომ არსებული ბალანსი დროთა განმავლობაში შეიცვლება. თავად კავშირისთვისაც თვალსაჩინო გახდა ის ფაქტი, რომ ბუნებრივი და ხელოვნური ძალებით ეროვნული სუვერენიტეტი უაზრობამდე დავიდა ისეთ სფეროებში, რომლებიც არ იყო თავდაპირველად მიჩნეული ევროკავშირის გადაწყვეტილებებისადმი დაქვემდებარებულად. ჩრდილოეთის ზღვაში თევზების სახეობების შენარჩუნება ამის მშვენიერი მაგალითია, რამდენადაც თევზს ვერ ავუკრძალავთ ერთი ქვეყნის ტერიტორიული წყლებიდან მეორეში გადანაცვლებას. მხოლოდ მაშინ, როდესაც ცხადი გახდა, რომ, ქაშაყი სრულებითაც არ განადგურებულა, ევროკავშირის ქვეყნებმა გააცნობიერეს, რომ თუ გადაწყდებოდა თევზის სახეობის შენარჩუნება, ეს კავშირის მასშტაბით უნდა განხორციელებულიყო. როდესაც შავ ტყეში დაიწყო ხეების მასშტაბური გახშობა, ნაწილობრივ გაერთიანებულ სამეფოში ქიმიური ნივთიერებების გამოფრქვევის გამო, ევროკავშირის გარემოს დაცვის პოლიტიკის აუცილებლობა - რომელიც არ იყო ნახსენები რომის ხელშეკრულებაში - ცხადი გახდა, როგორც ეროვნული მთავრობებისათვის, ისე ფართო მასებისათვის. ცხადია, რომ ევროკავშირი, მისი ამჟამინდელი ხასიათით, არ არის განწყობილი ზოგიერთი იმ პასუხისმგებლობის თავის თავზე ასაღებად, რომელიც ამჟამად ეროვნულ დონეზე არსებობს, მაგრამ რომელიც უფრო ეფექტურად იქნებოდა გამოყენებული ევროპულ დონეზე. დასავლეთ ევროპაში ეროვნული არმიების (და განსაკუთრებით დამოუკიდებელი ბირთვული შემაკავებელი ძალების) არსებობა მართლაც რომ ანაქრონიზმია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მასტრიხტის ხელშეკრულება ძალზე ფრთხილი გამოდგა ამ სფეროში, გაითვალისწინა რა მხოლოდ „საერთო თავდაცვის პოლიტიკის ერთ ჩარჩოში შესაძლო მოქცევა, დროთა განმავლობაში საერთო თავდაცვაში გადაზრდის შესაძლებლობებით“.

მას შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთო ევროპული თავდაცვის მიმართულებით მოძრაობის ტემპი. ეროვნული კვლევების და საწარმოო კონცერნების უაზრო კონკურენციამ, რომელთა უძრავლესობაც მეტად მცირე მოცულობისაა იმისათვის, რომ წარმატე-

ბული კონკურენცია გაუწიონ ამერიკულ მეტოქეებს, გამოიწვია კომპანიების შერწყმის სერია, რაც უეჭველად გაგრძელდება. დიდი ხნით მიძინებული დასავლეთ ევროპის კავშირი თანდათანობით NATO-ს ევროპული განშტოების ფორმას იძენს და არსებობს მასზე მზარდი ზეწოლა მისი ევროკავშირის მიერ შთანთქმის თაობაზე. მეტი კოორდინაცია ახლა დღის მოთხოვნაა, ყოველ შემთხვევაში ერთიანი ევროპული არმიის შექმნა უკვე აღარ წარმოადგენს განუხორციელებად ოცნებას. უფრო ახლო მომავლისათვის ევროკავშირმა სასწრაფოდ უნდა განახორციელოს რამდენიმე ინსტიტუციონალური ცვლილება, რათა მოემზადოს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პირველი ტალღის გაწვევრიანებისათვის.

2000 წლისათვის დაგეგმილია მთავრობათაშორისი კონფერენცია, რომელიც გაიხსნება პორტუგალიის პრეზიდენტობისას წლის პირველ ნახევარში. იმედოვნებენ, რომ მიღწეულ იქნება შეთანხმება ახალ ხელშეკრულებაზე, რომელიც დეკემბერში პარიზში გამართულ ევროსაბჭოს სხდომაზე უნდა იქნას მოწონებული. თავდაპირველად ამ მთავრობათშორის კონფერენციას უნდა განეხილა 1997 წლის ამტერდამის ხელშეკრულებიდან გამორჩენილი სამი გადაუჭრელი საკითხი: ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპის გამოყენება ახალ სფეროებში, მინისტრთა საბჭოში წევრი ქვეყნების ხმების გადასინჯვა და კომისიის მომავალი ფორმა და მოცულობა. რომანო პროდის აზრით ეს სრულიად არაადეკვატური რეაქცია იყო მოსალოდნელი გაფართოებით წამოჭრილ პრობლემებზე. სწორედ ამიტომ მან დანიშნა სამი „ბრძენი კაცისაგან“ შემდგარი დამოუკიდებელი კომიტეტი (მასში შედიოდნენ ბელგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჟან-ლიუკ დესენი, გერმანიის ყოფილი პრეზიდენტი რიხარდ ფონ ვაიციზეკერი, და ბრიტანეთის ყოფილი მინისტრი ლორდი საიმონი) რომელიც შეიმუშავებდა წინადადებებს ევროკავშირის რეფორმის უფრო აქტიური პროგრამის თაობაზე. კომიტეტმა თავისი მოხსენება 1999 წლის ოქტომბერში წარმოადგინა და მისი რეკომენდაციები მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- გაფართოებულ ევროკავშირში ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპი ნორმას უნდა წარმოადგენდეს;
- პარლამენტს უნდა გააჩნდეს ევროკავშირის კანონმდებლობის სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის

უფლება;

- რომის შესწორებული ხელშეკრულება უნდა გაიყოს ორ ნაწილად, რათა ადვილი გახდეს მომავალში მისი გადახედვა;
- „ძირითადი“ ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს მიზნებს, პრინციპებს, მოქალაქეთა უფლებებს და ინსტიტუციონალურ საფუძვლებს, შეიძლება მოდიფიცირებულ იქნას მხოლოდ მთავრობათაშორისი კონფერენციის მიერ;
- ყველა სხვა დებულებაში შესწორებების შეტანა უნდა განხორციელდეს მინისტრთა საბჭოსა და ევროპარლამენტის მიერ;
- კომისართა მცირე რიცხვი და მათთვის, ისევე როგორც კომისიის პრეზიდენტისათვის, მეტი ძალაუფლების მინიჭება;
- მოქნილობის უფრო მარტივი წესები, რაც საშუალებას მისცემს ზოგიერთ წევრ ქვეყანას დაწინაურდეს პოლიტიკის ცალკეულ სფეროში;
- ევროპული თავდაცვის ქმედითუნარიანობა შეტანილი უნდა იქნას რეფორმის პროექტში.
- კომისიას უნდა დაევალოს ხელშეკრულების პროექტის მომზადება, რათა 2000 წლის ბოლოსათვის მიღწეულ იქნას შეთანხმება ინსტიტუციონალურ რეფორმებზე.

პროგრესი ძნელი იქნება, მაგრამ ის აუცილებელია

ევროკავშირის განვითარება ადვილი არ იქნება და გაერთიანებულ სამეფოსა და სხვა ეროვნულ მთავრობებს მოუწევთ მტკივნეული გადაწყვეტილებების მიღება, თუმცა მათ წინაშე არჩევანი არ განსხვავდება იმ არჩევანისაგან, რომელსაც გამჭრიახი გადაწყვეტილებით უპასუხეს ექვსეულის ლიდერებმა 40 წლის წინათ. როგორც ცალკეულ ქვეყნებს, მათ ახლა მსოფლიოში უფრო შეზღუდული როლის შესრულება უწევთ; ერთად მათ შეუძლიათ მეტის მიღწევა, როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური თვალსაზრისით. ეს მომავალში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, რამდენადაც სხვა, ადრე ჩამორჩენილი ქვეყნები მიიწევენ წინ თავიანთი პოტენციის რეალიზაციისაკენ. ევროპა (ან დასავლეთ ევროპა) მალე აღმოაჩენს, რომ მისი მოსახლეობის ხვედრითი წილი მსოფლიოში მცირდება (15 წევრი ქვეყანა 1995 წელს შეადგენდა მსოფლიო მოსახლეობის 6,5%-ს. 2020 წლისათვის ეს ციფრი 4,8%-მდე შემცირდება. შემდგომი ვარდნის ზუსტი პროგნოზირება ძნელია, მაგრამ სავარა-

უღოდ იგი მნიშვნელოვანი იქნება).

ევროპის ხალხთა ისტორიულმა მიღწევებმა, მათმა კულტურამ, ენერჯამ და ადაპტაციის უნარმა უნდა უზრუნველყოს მათი მნიშვნელოვანი როლი მსოფლიოში, რომელშიც სხვა ხალხები და რეგიონებიც საკლებით სამართლიანად მიისწრაფვიან მათი როლის სრულად შესრულებისაკენ. მაგრამ იმისათვის, რომ სრულქმნან ყველაფერი ის რისი უნარიც მათ გააჩნიათ, მათ სჭირდებათ ევროპული საფუძველი, რაც მათ საუკეთესო საშუალებას მისცემს გამოავლინონ თავიანთი, როგორც ბრიტანელების, ჩეხების, პოლანდიელების, გერმანელების, იტალიელების, პოლონელების და სხვათა თვისებები. 18-ე საუკუნის ბოლოს ედმუნდ ბურკემ ოდესღაც ძლევაშისილი ესპანეთი ევროპის სანაპიროსთან გამორიყულ ვეშაპს შეადარა. თუ უახლოეს ათწლეულში ევროკავშირის განვითარება სათანადო მიზანდასახულობით არ განხორციელდება, მომავალში რომელიმე ისტორიკოსი ასევე სევდიანად შეადარებს ევროპას აზიის სანაპიროსთან გამორიყულ ვეშაპს.

შენიშვნა

1. უფრო მოსალოდნელია, რომ ამ როლს თავის თავზე წვერი ქვეყნების მთავრობათა მეთაურებისაგან შემდგარი ევროსაბჭო აიღებს.

2. იხ. კერძოდ, Mark Leonard, *Network Europe*, Foreign Policy Centre, London, 1999.

ନି ଧ ଟ ଟ ଟ ଟ ଟ

1 წვერი ქვეყნების პირითადი სტატისტიკური მონაცემები

წინამდებარე ცხრილი, რომელიც შედგენილ იქნა ევროკომისიის ეკონომიკური საქმეების გენერალური დირექტორატის და კავშირის სტატისტიკური სამსახურის (ევროსტატის) მიერ, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად შეიცავს 15 წევრ სახელმწიფოსა და მთლიანად ევროკავშირის შედარებით მონაცემებს, რომლებიც შეძლებისდაგვარად შედარებულია აშშ-ის, იაპონიის და მსოფლიო მონაცემებთან.

	ფართობი (1000კმ ²)	მოსახლეობა 1996წ '000	სიმჭიდროვე /კმ ²	მოსახლეობის საეარაულო რაოდ.2020წ. (‘000)
ავსტრია	83.9	8059	96	8370
ბელგია	30.5	10143	332	10535
დანია	43.1	5251	122	5264
ფინეთი	337.1	5117	15	5223
საფრანგეთი	544,0	58265	107	63453
გერმანია	356,9	81845	229	81478
საბერძნეთი	132.0	10475	79	10080
ირლანდია	70,3	3591	51	3791
იტალია	301.3	57331	190	53649
ლუქსემბურგი	2,6	413	160	488
ნიდერლანდი	41,2	15493	373	17148
პორტუგალია	92,4	9921	108	9730
ესპანეთი	504,8	39242	78	38348
შვედეთი	450.0	8838	20	9442
გაერთიანებული სამეფო	244,1	58684	240	61082
ევროკავშირი15	3234.1	372622	115	379188
აშშ	9372.7	264257	28	325939
იაპონია	377.8	125320	332	128345
მსოფლიო	136255,0	5690270*	42	7887856

ა.1995.

	1998 შპ (მლრდ.გკიუ)	1998 შპ ერთ სულზე (სმუ ^ა)	1999 ^ა (ინფლაცია %)	1999 ^ა უმუშევრობა (%)
აესტრია	190	112	0.3	4.3
ბელგია	223	112	1.0	9.1
დანია	157	115	1.2	4.4
ფინეთი	113	101	0.5	9.9
საფრანგეთი	1283	104	0.4	11.0
გერმანია	1930	109	0.2	9.2
საბერძნეთი	108	68	3.5	...
ირლანდია	76	108	2.1	6.6
იტალია	1059	101	1.5	12.0
ლუქსემბურგი	15	174	-1.4	2.8
ნიდერლანდი	352	106	2.1	3.2
პორტუგალია	95	72	2.5	4.7
ესპანეთი	494	81	1.5	15.7
შვედეთი	210	98	0.0	7.0
გაერთიანებული სამეფო	1238	99	1.6	6.0
ვეროკაემირი 15	7543	100	0.9	9.3
აშშ	7539	151	1.7	4.2
იაპონია	3381	111	0.2	4.7

^ა მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი, ვეროკაემირის საშუალო მნიშვნელობა=100

^ა იანვარი

^ა აგვისტო

2 უმაღლესი ორგანოს და კომისიის პრეზიდენტები

ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების (ექჟგ)
უმაღლესი ორგანოს (სამმართველოს) პრეზიდენტები.
(შეუერთდა ევროკომისიას 1967 წლის 1 ივლისს)

- 1952 ჟან მონე
- 1955 რენე მაიერი
- 1958 პოლ ფინე
- 1959 პიერო მალვესტიტი
- 1963 დინო დელ ბო

ევროპის ატომური გაერთიანების (ევრატომის)
კომისიის პრეზიდენტები
(შეუერთდა ევროკომისიას 1967 წლის ივლისში)

- 1958 ლუი არმანი
- 1959 ეტიენ პირში
- 1962 პიერ შატენე

ევროკომისიის პრეზიდენტები
(1967 წლიდან ევროპის გაერთიანების პრეზიდენტები)

- 1958 ვალტერ ჰალშტაინი
- 1967 ჟან რეი
- 1970 ფრანკო-მარია მალფატი
- 1972 სიკო მანშოლტი
- 1973 ფრანსუა-ჟსაეიე ორტოლი
- 1977 როი ვენკინსი
- 1981 გასტონ თორნი
- 1985 ჟაკ დელორი
- 1995 ჟაკ სანტერი
- 1999 რომანო პროდი

3 კომისია

რომანო პროდი (იტალია)

პრეზიდენტი

პასუხისმგებლობა

გენერალური სამდივნო

იურიდიული სამსახური

მედია და კომუნიკაცია

დემპარტამენტები

იურიდიული სამსახური

მედია და კომუნიკაციის

სამსახური

ნილ ქინოქი (გაერთიანებული სამეფო)

ვიცე პრეზიდენტი

ადმინისტრაციული

რეფორმის განხრით

პასუხისმგებლობა

ადმინისტრაციული რეფორმის

საერთო კოორდინაცია

გენერალური დირექტორი

პერსონალი და ადმინისტრაცია

ლინგვინისტური სამსახური

პროტოკოლი და უშიშროება

დემპარტამენტები

პერსონალისა და ადმი-

ნისტრაციის გენერა-

ლური დირექტორიატი

გენერალური ინსპექცია

ერთობლივი თარგმნისა

და კონფერენციების სამ-

სახური

თარგმნის სამსახური

ლოიოლა დე პალასიო (ესპანეთი)

ვიცე პრეზიდენტი

ევროპარლამენტთან ურთიერთობებისა

და ტრანსპორტის და ენერგეტიკის დარგში

პასუხისმგებლობა

ურთიერთობა ევროპარლამენტთან

ურთიერთობა რეგიონების კომიტეტთან

ეკონომიკურ და სოციალურ

კომიტეტებთან და ომბუდსმენტთან

ტრანსპორტის (ტრანს ევროპული

ქსელის ჩართვით)

დემპარტამენტი

ტრანსპორტის

გენ. დირექტორატი

ენერგეტიკის

გენ. დირექტორატი

მარიო მონტი (იტალია)
კომისარი კონკურენციის დარგში
პასუხისმგებლობა
კონკურენცია

დეკარტამენტი
კონკურენციის
გენერალური
დირექტორი

ფრანც ფიშლერი (ავსტრია)
კომისარი სოფლის მეურნეობის და
თევზჭერის დარგში
პასუხისმგებლობა
სოფლის მეურნეობა და
სოფლის განვითარება
თევზჭერა

დეკარტამენტი
სოფლის მეურნეობის
გენერალური
დირექტორატი
თევზჭერის გენერალური
დირექტორატი

ერკი ლიიკანენი (ფინეთი)
კომისარი საწარმოო და ინფორმაციის
საზოგადოების დარგში

პასუხისმგებლობა
წარმოება
კონკურენტუნარიანობა
ინოვაცია
საინფორმაციო საზოგადოება

დეკარტამენტები
წარმოების გენერალური
დირექტორატი
საინფორმაციო
საზოგადოების გენერალური
დირექტორატი

ფრინც ბოლკეშტაინი (ნიდერლანდი)
კომისარი შიდა ბაზრის დარგში

პასუხისმგებლობა
შიდა ბაზარი
ფინანსური სამსახური
საბაჟო
დაბეგვრა

დეკარტამენტები
შიდა ბაზრის გენერალური
დირექტორატი
საბაჟოსა და დაბეგვრის
გენერალური დირექტორატი

ფილიპ ბუსკინი (ბელგია)
კომისარი კვლევის დარგში

პასუხისმგებლობა
მეცნიერება, კვლევა და განვითარება
ერთობლივი კვლევის ცენტრი

დეპარტამენტი
კვლევის გენერალური
დირექტორატი
ერთობლივი კვლევის
ცენტრი

პედრო სოლბეს მარია (ესპანეთი)
კომისარი ეკონომიკის და
სავალუტო დარგში
პასუხისმგებლობა
ეკონომიკური და ფინანსური საქმეები
სტატისტიკის ბიურო

დეპარტამენტები
ეკონომიკური და
ფინანსური საქმეების
გენერალური
დირექტორატი
სტატისტიკის ბიურო

პოლ ნილსონი (დანია)
კომისარი განვითარების და
ჰუმანიტარული დახმარების
დარგში
პასუხისმგებლობა
დახმარება და თანამშრომლობა
განვითარებაში
ჰუმანიტარული დახმარება

დეპარტამენტები
განვითარების
გენერალური
დირექტორატი
ჰუმანიტარული დახმარების
ოფისი

გიუნტერ ფერჰოიგენი (გერმანია)
კომისარი გაფართოების დარგში
პასუხისმგებლობა
გაფართოების პროცესი გაწვევრიანების
წინა სტრატეგიის ჩათვლით

დეპარტამენტი
გაფართოების
სამსახური

კრის პატენი (გაერთიანებული სამეფო)

საგარეო ურთიერთობათა კომისარი

პასუხისმგებლობა

საგარეო ურთიერთობები
საერთო და საგარეო და
უშიშროების პოლიტიკა
დელეგაციები არაწევრ ქვეყნებში
საგარეო ურთიერთობათა
საერთო სამსახური

დეპარტამენტები

საგარეო ურთიერთობათა
გენერალური
დირექტორატი
საგარეო ურთიერთობათა
საერთო სამსახური

პასკალ ლამი (საფრანგეთი)

ვაჭრობის კომისარი

პასუხისმგებლობა

ვაჭრობის პოლიტიკა და მისი
მექანიზმები

დეპარტამენტი

ვაჭრობის გენერალური
დირექტორატი

დევიდ ბირნი (ირლანდია)

კომისარი ჯანმრთელობისა და
მომხმარებელთა

დაცვის დარგში

პასუხისმგებლობა

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

მომხმარებელთა დაცვა

დეპარტამენტი

ჯანმრთელობისა და
მომხმარებელთა დაცვის
გენერალური
დირექტორატი

მიშელ ბარნიე (საფრანგეთი)

კომისარი რეგიონული

პოლიტიკის სფეროში

პასუხისმგებლობა

რეგიონული პოლიტიკა

შერწყმის ფონდი

მთავრობათაშორისი კონფერენცია

დეპარტამენტი

რეგიონული პოლიტიკის
გენერალური დირექტორატი

ვივიენ რედინგი (ლუქსემბურგი)
კომისარი განათლებისა და
კულტურის დარგში
პასუხისმგებლობა
მოქალაქეთა ევროპა
გამჭვირვალობა
განათლება და კულტურა
საგამომცემლო სამსახური.

დეკარტამენტი
განათლებისა და კულტურის
გენერალური დირექტორატი

მიშელ შრაიერი (გერმანია)
კომისარი ბიუჯეტის დარგში
პასუხისმგებლობა
ბიუჯეტი
ფინანსური კონტროლი
თაღლითობის აღკვეთა

დეკარტამენტი
ბიუჯეტის გენერალური
დირექტორატი
ფინანსური კონტროლის
გენერალური დირექტორატი
თაღლითობის აღმკვეთი
ორგანო.

მარგო ვალსტრიომი (შვედეთი)
კომისარი გარემოს დაცვის სფეროში
პასუხისმგებლობა
გარემო
ბირთვული უსაფრთხოება.

დეკარტამენტი
გარემოს დაცვის
გენერალური
დირექტორატი

ანტონიო ვიტორინო (პორტუგალი)
კომისარი სამართლისა და საშინაო
საქმეების დარგში
პასუხისმგებლობა
თავისუფლება, უშიშროება და
სამართალი

დეკარტამენტი
სამართლის და
საშინაო საქმეთა
დირექტორატი

ანა დიამანტოპულო (საბერძნეთი)
კომისარი დასაქმებისა და
სოციალური საქმეების დარგში
პასუხისმგებლობა
დასაქმება
სოციალური საკითხები
თანაბარი შესაძლებლობები.

დეპარტამენტი
დასაქმების და
სოციალური საქმეების
გენერალური
დირექტორატი

4 კომისიის გენერალური დირექტორატები და სამსახურები

1999 წლის სექტემბრიდან კომისიის ადმინისტრაცია ორგანიზებულია 36 სხვადასხვა სამსახურისა და გენერალური დირექტორატის სახით. ესენია:

გენერალური სამდივნო
იურიდიული სამსახური
პრესა და კომუნიკაცია
ეკონომიკური და
ფინანსური საქმეები
მეწარმეობა
კონკურენცია
დასაქმება და
სოციალური საკითხები
სოფლის მეურნეობ
ტრანსპორტი
გარემოს დაცვა
კვლევა
ერთობლივი კვლევის ცენტრი
საინფორმაციო საზოგადოებ
თევზჭერა
შიდა ბაზარი
რეგიონული პოლიტიკა
დაბეგვრა და საბაჟო კავშირი
განათლება და კულტურა
ჯანმრთელობისა
და მომხმარებელთა დაცვა

სამართლის და საშინაო
საქმეები
საგარეო ურთიერთობა
ვაჭრობა
განვითარება
გაფართოება
საგარეო ურთიერთობათა
საერთო სამსახური
ევროსტატი
პერსონალი და ადმინისტრაცია
გენერალური ინსპექცია
ბიუჯეტი
ფინანსური კონტროლი
თაღლითობის საწინააღმდეგო
ევროპული სამსახური
ერთობლივი თარგმნისა
და კონფერენციის სამსახური
თარგმნის ბიურო
საგამომცემლო
ბიუროს სამსახური

5 ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუციების მისამართები

ევროპარლამენტი (European Parliament)

სამდივნო (Secretariat)

Centre Européen, Plateau du Kirchberg

L- 2929 Luxembourg

Batiment Jean Honnet Luxembourg Rue Alcide de Crasperc

ტელ.+352 43001

ევროკავშირის საბჭო

(Council of the European Union)

გენერალური სამდივნო

(General Secretariat) L-2920

Rui de la Loi 170

B -1048 Brussels

ტელ.+3222346111

ევროკომისია (European Commission)

Rue de La Loi 200

B-1049 Brussels

ტელ, +322 2991111

ევროპის გაერთიანების სასამართლო

(Court of Justice of the European Communities)

Boulevard Konrad Adenauer

L-2925 Luxembourg

ტელ +352 43031

ევროპის აუდიტორული სასამართლო

(European Court of Auditors)

12 Rue Alcide de Gasperi

L-1615 Luxembourg

ტელ + 352 43981

ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი
(Economic and Social Committee)
Rue Ravenstein 2
B-1000 Brussels
ტელ + 32 2 5199011

რეგიონული კომიტეტი
(Committee of the Regions)
Rue Belliard 79
B-1040 Brussels
ტელ + 32 2 2822211

ეკონომიკური და სოციალური კონსულტაციო კომიტეტი
(ECSC Consultative Committee)
Bâtiment Jean Monnet
Rue Alcide De Gasperi
L-2920 Luxembourg
ტელ + 352 43011

ევროპის საინვესტიციო ბანკი
(European Investment Bank)
100 boulevard Konrad Adenauer
L-2950 Luxembourg
ტელ + 352 43791

ევროპის ცენტრალური ბანკი
(European Central Bank)
Kaiserstrasse 29
D 60311 Frankfurt am Main
ტელ. + 49 69 27227000

6 პარტიული ჯგუფები ეკროპარლამენტში

ევროარჩევნებში მონაწილეობა მიიღო ყველა წევრ სახელმწიფოს პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამ. თუმცა პარლამენტში არჩეული წევრები ტრანსეოპონულ ჯგუფებში გაერთიანდნენ და სხვობებზე ისინი უფრო ამ ჯგუფებს წარმოადგენდნენ, ვიდრე ეროვნულ დელეგაციებს. ამჟამად არსებობს შვიდი ჯგუფი და 27 ეკროპარლამენტარი, რომელთაც უარი განაცხადეს რომელიმე ჯგუფში გაერთიანებებზე და წარმოადგენენ დამოუკიდებელ წევრებს.

ესპ/ელ - ევროპის სახალხო პარტია და ევროპის დემოკრატიები, მასში შედიან ქრისტიანი დემოკრატიები და მემარჯვენე ცენტრისტული პარტიები ყველა წევრი სახელმწიფოდან. მათ შორის არიან გაერთიანებული სამეფოს კონსერვატორები და ირლანდიის ფაინ გეელის წევრები. ეს არის პარლამენტში მოქმედი უდიდესი ჯგუფი და მასში შედის ოლსტერიის ეკროპარლამენტარი ჯიმ ნიკოლსონი.

ესპ - ევროპის სოციალისტთა პარტია შედგება ეკროკავშირის ყველა ქვეყნის. მათ შორის გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის წარმომადგენლებისაგან.

ელდრჯ - ევროპის ლიბერალ, დემოკრატ და რეფორმისტთა ჯგუფი, რომლის წევრთა უმრავლესობა გაერთიანებული სამეფოდანაა. მასში შედის ერთი ირლანდიელი დამოუკიდებელი წევრი - ჯგუფის ლიდერი.

მწვანეთა პარტია/ეთა - შედგება 38 წევრისაგან 11 ქვეყნის მწვანეთა პარტიებიდან, რომელთაც შექმნეს ევროპის თავისუფალი ალიანსი (მთა) შოტლანდიის, უელსის, ფლანდრიის, ბასკეთის, გალისიისა და ანდალუზიის ადგილობრივი მმართველობის (home rule) პარტიებიდან. გაერთიანებული სამეფოს მწვანეები და პლეიდ კიმრუ პირველად არის წარმოდგენილი თითო-თითო ეკროპარლამენტარის სახით.

ეგმ/ჩმმ - ევროპის გაერთიანებულ მემარცხენეთა და ჩრდილოელი მემარცხენე მწვანეების (ჩმმ ჯგუფის) კონფედერაციული ჯგუფი, შედგება: დანიის, ფინეთის, გერმანიის, საბერძნეთის, იტალიის, ნიდერლანდის, ესპანეთის და შვედეთის მემარცხენე მწვანეთა პარტიების წარმომადგენლებისაგან. მასში ასევე შედიან საფრანგეთის, საბერძნეთისა და პორტუგალიის კომუნისტური პარტიების წევრები.

ექვ - ერების ევროპის კავშირის მიზანს წარმოადგენს ეროვნული სახელმწიფოს დაცვა და მას სათავეში უდგას 13 წევრი საფრანგეთის ნაციონალისტური პარტიიდან. იგი უპირისპირდება მომავალში შემდგომ ინტეგრაციას. მასში შედის ექვსი წევრი ირლანდიის ფინანს ფეილიდან, ცხრა იტალიელი წევრი ბატონ ფინის ეროვნული გაერთიანებიდან, ერთი დანიელი წევრი სახალხო პარტიიდან და ორი პორტუგალიელი წევრი სახალხო პარტიიდან.

დამოუკიდებელი წევრები - მასში შედიან ბელგიელი და ფრანგი ეროვნული ფრონტის წევრები, იტალიელი რადიკალები, ავსტრიის თავისუფლების პარტიის რეგიონული წევრები, ესპანელი რეგიონული წევრი და იენ პეისლი.

დმეჯ - დემოკრატიის და მრავალფეროვნების ევროპის ჯგუფი მოიცავს ექვს წევრს, საფრანგეთის პრო-ნადირობის და სოფლის ტრადიციების დამცველთა ჯგუფიდან, ოთხ დანიელ წევრს ევროკავშირის მოწინააღმდეგეთა პარტიიდან და სამ ჰოლანდიელ კალენისტს.

პოლიტიკური ჯგუფები ევროპარლამენტში. ოქტომბერი, 1

	ესპ/ელ	ესა	ელდრჯ	მწვ/ეთა	გვ/ჩემ	ექვ	დამწევრ	დმეჯ	სულ
ავსტრია	7	7	-	2	-	-	5	-	21
ბელგია	6	5	5	7	-	-	2	-	25
დანია	1	3	6	-	1	2	-	4	16
ფინეთი	5	3	5	2	1	-	-	-	16
საფრანგეთი	21	22	-	9	11	12	6	6	87
გერმანია	53	33	-	7	6	-	-	-	99
საბერძნეთი	9	9	-	-	7	-	-	-	25
ირლანდია	5	1	1	2	-	6	-	-	15
იტალია	34	17	7	2	6	9	12	-	87
ლუქსემბურგი	2	2	1	1	-	-	-	-	6
ნიდერლანდი	9	6	8	4	1	-	-	3	31
პორტუგალია	9	12	-	-	2	2	-	-	25
ესპანეთი	28	24	3	4	4	-	1	-	64
შვედეთი	7	6	4	2	3	-	-	-	22
გაერთიანებული სამეფო	37	30	10	6	-	-	1	3	87
სულ	233	180	50	48	42	30	27	16	626

7 ევროკავშირის ზღვისბადაღმა
კავშირები

„აკვ“-ს 71 ქვეყანა

აფრიკა

ანგოლა	მოზამბიკი	მაიტი
ბენინი	ნამიბია	იამაიკა
ბოტსვანა	ნიგერი	სენტ კიტსი და ნევისი
ბურკინა ფასო	ნიგერია	სენტ ლუსია
ბურუნდი	სენეგალი	სურინამი
კამერუნი	რუანდა	სენ ვინსენტი და
კაპე ვერდე	სან ტომე და პრინციპე	გრენადინები
ცენტრალური აფრიკა	სეიშელი	ტრინიდა და ტობაგო
რესპუბლიკა	სიერა ლეონე	
ჩადი	სომალი	
კონგო	სამხრეთ აფრიკა ¹	წყნარი ოკეანე
კოტ დ'ივუარი	სუდანი	ფიჯი
ჯიბუტი	სვაზილენდი	კარიბატი
ეკვატორული გვინეა	ტანზანია	პაპუა ახალი გვინეა
ერიტრეა	ტოგო	სოლომონის კუნძულები
ეთიოპია	უგანდა	ტონგა
გაბონი	ზაირი	ტუვალუ
გამბია	ზამბია	დასავლეთ სამოა
განა	ზიმბაბვე	ვანუატუ
გვინეა-ბისაუ		
კენია	კარიბის ზღვა	
ლესოტო	ანტიგუა და ბარბუდა	
ლიბერია	ბაჰამის კუნძულები	
მადაგასკარი	ბარბადოსი	
მალავი	ბელიზე	
მალი	დომინიკა	
მავრიტანია	დომინიკის რესპუბლიკა	
მავრიკი	გრენადა	
	გაიანა	

1. შესაძლოა წევრობა

ზღვისგადაღმა ქვეყნები და ტერიტორიები

დანია

სპეციალური ურთიერთობა

გრელანდია

საფრანგეთი

საერთო ტერიტორიები

მაიოტი

სენტ პიერი და მიკელონი

ზღვისგადაღმა ტერიტორიები

ახალი კალედონია და დაქვემდებარებული ტერიტორიები

ფრანგული პოლინეზია

ფრანგული სამხრეთის ანტარქტიკული ტერიტორიები

ვალისის და ფუტუნას კუნძულები

ნიდერლანდი

ზღვისგაღმა ქვეყნები

ნიდერლანდის ანტილები (ბონერი, კიურასაო, სენ მარტინი,

საბა, სენ-ეუსტასი)

არუბა

გაერთიანებული სამეფო

ზღვისგაღმა ქვეყნები და ტერიტორიები

ანგუილა

ბრიტანეთის ანტარქტიკის ტერიტორიები

ბრიტანეთის ტერიტორიები ინდოეთის ოკეანეში

ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები

კაიმანის კუნძულები

ფოლკლენდის კუნძულები

სამხრეთ სენდვიჩის კუნძულები და დაქვემდებარებული ტერიტორიები

მონსერატი

პიტკერნის კუნძული

წმინდა ელენე და დაქვემდებარებული ტერიტორიები

ტურკსის და კაიკოს კუნძულები.

8 მასტრიხტის და ამსტერდამის ხელშეკრულებები.

ევროკავშირის ხელშეკრულება მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს სხდომაზე, რომელიც გაიმართა 1991 წლის 9-10 დეკემბერს მასტრიხტში, და იგი ხელმოწერილ იქნა მასტრიხტში 1992 წლის 7 თებერვალს, 12 ეროვნული პარლამენტის მიერ. მისი რატიფიკაციის შემდეგ 1993 წლის 1 ნოემბერს იგი ძალაში შევიდა.

ხელშეკრულება, რომელიც დაყოფილია ექვს ნაწილად და მოიცავს პროტოკოლებისა და დანართების ვრცელ ჩამონათვალს, ძირითადად შედგება იმ შესწორებებისაგან, რომლებიც შეტანილია რომის ხელშეკრულების ტექსტში. მასტრიხტის ხელშეკრულება შეიცავს შემდეგ დებულებებს:

1. გაერთიანების ვალდებულებას დაამყაროს ეკონომიკური და სავალუტო კავშირი და შემოიღოს საერთო ვალუტა, რომელსაც განაგებს ერთი დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი. ეს უნდა განხორციელდეს სამ ეტაპად. პირველი ეტაპი, რომელიც უნდა დაიწყოს არა უგვიანეს 1999 წლის 1 იანვრისა და დამთავრდეს შემდგომში 1997 წლის 1 იანვარს, ავალდებულებს ქვეყნებს „რომლებიც დააკმაყოფილებენ ოთხ ცალკეულ კრიტერიუმს ინფლაციის, საბიუჯეტო დეფიციტის, ვალუტის კურსის და საპროცენტო განაკვეთების თაობაზე, განაგრძონ პროცესი საერთო ვალუტის შემოღებამდე. პროტოკოლით გათვალისწინებულია, რომ გაერთიანებული სამეფო არ იქნება ვალდებული შეუერთდეს მსკ-ს მესამე ეტაპს მისი მთავრობისა და პარლამენტის ცალკე გადაწყვეტილებების გარეშე.

2. საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავებას, იმ თავდაცვითი დებულებების ჩართვით, რომლებიც თავიდან იყო დადებული დასავლეთ ევროპის კავშირთან, რომელშიც გაწვერიანება ევროგაერთიანების ყველა წევრ სახელმწიფოს შეეძლო.

3. კავშირის მოქალაქეობის შემოღებას, რაც იცავს წევრი ქვეყნების წარმომადგენლების უფლება-მოვალეობებს, მათ შორის გადაადგილების თავისუფლებას. ქვეყანაში ცხოვრების უფლებას, მუნიციპალურ და ევროპის არჩევნებში ხმის მიცემის, ან კანდიდატის სახით მონაწილეობის უფლებას და კავშირის გარეთ საზიარო

დიპლომატიურ დაცვას.

4. ევროგაერთიანების უფლებამოსილებას ისეთ სფეროებში, როგორცაა: განათლება და პროფესიული მომზადება, ტრანსევროპული ქსელები, მრეწველობა, ჯანმრთელობა, კულტურა, განვითარების თანამშრომლობა და მომხმარებელთა დაცვა, ხელახლა დამტკიცება ან გაფართოება.

5. შერწყმის ფონდის შექმნას მდიდარი წევრი ქვეყნებიდან ღარიბ წევრ ქვეყნებში რესურსების გადასროლის მიზნით.

6. წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებას იურიდიულ, ემიგრაციის და სამართალდამცავ სფეროში, უმეტესწილად მთავრობათაშორის საფუძველზე.

7. შეთანხმებას 11 წევრ ქვეყანას შორის, გაერთიანებული სამეფოს გამოკლებით, 1989 წლის სოციალური ქარტიიდან გამომდინარე ზომების გატარების მიზნით, მშრომელთა უსაფრთხოების დაცვის, სამუშაო პირობების, მშრომელთა ინფორმირებისა და კონსულტაციის, თანაბარი შესაძლებლობებისა და დამოკიდებულების, და შრომის ბაზრიდან გარიცხული პირების ინტეგრაციის სფეროში ევროგაერთიანების მექანიზმების გამოყენების მეშვეობით.

8. ინსტიტუციონალურ ცვლილებებს, მათ შორის ევროპარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილების გაზრდას, კომისიის უფლებამოსილების ვადის 4-დან 5 წლამდე გაზრდას და ევროპის სასამართლოსათვის უფლების მინიჭებას იმ წევრი ქვეყნების დაჯარიმებისა, რომლებიც ვერ შესძლებენ მისი გადაწყვეტილების განხორციელებას.

ამსტერდამის ხელშეკრულება მიღებულ იქნა ევროსაბჭოს სხდომაზე, რომელიც გაიმართა ამსტერდამში 1997 წლის 16-17 ივნისს. და იქვე იქნა ხელმოწერილი 1997 წლის 2 ოქტომბერს. ხელშეკრულება დაყოფილია ექვს ნაწილად და 19 თავად. მას მოჰყვება პროტოკოლების, დანართების და დეკლარაციების მნიშვნელოვანი რიცხვი. იგი ძირითადად შეიცავს წინა ხელშეკრულებაში შესატან შესწორებებს. 15 წევრი ქვეყნისა და ევროპარლამენტის მიერ რატიფიკაციის შემდეგ ხელშეკრულება შეტანილ იქნა რომის ხელშეკრულების ტექსტში. იგი ძალაში შევიდა 1999 წლის 1 მაისს, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა რატიფიკაციის ბოლო დოკუმენტი. მისი მთავარი დებულებებია:

1. პირთა თავისუფალი გადაადგილება, თავშესაფარი, ემიგრაცია, გარე საზღვრების გადაჭრა და სამოქალაქო საკითხებში იურიდიული თანამშრომლობა შეტანილია გაერთიანების საფუძვლებში (ე.ი. გადატანილია მესამე სვეტიდან პირველ სვეტში).

2. ასევე, გაერთიანების საფუძვლებში შედის შენგენის შეთანხმება შიდა საზღვრების გახსნის შესახებ.

3. პროტოკოლი სოციალურ პოლიტიკის შესახებ (სოციალური თავი) შედის ხელშეკრულებაში და ვრცელდება გაერთიანებულ სამეფოზე ისევე, როგორც ყველა მომავალ წევრზე.

4. ხელშეკრულებას დაემატა თავი დასაქმების თაობაზე.

5. განმტკიცებულია დებულებები საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკაზე, მინისტრთა საბჭოს გენერალური მდივანი უნდა გახდეს სსშპ-ის უმაღლესი წარმომადგენელი და მანვე უნდა შექმნას ე.წ. „Troika“ საბჭოსა და კომისიის პრეზიდენტებისაგან.

6. იზრდება ევროპარლამენტის უფლებამოსილება, რაც მას უფლებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს საბჭოს გადაწყვეტილებების მიღებაში ევროკავშირის კანონმდებლობის უმეტესი ნაწილის შესახებ.

7. მინისტრთა საბჭოში გადაწყვეტილების მიღებისას ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპის გამოყენება გაერცელებულია კვლევის, დასაქმების, სოციალური გამონაკლისის, თანაბარი შესაძლებლობების და ჯანდაცვის საკითხებზე.

8. კიდევ უფრო იზრდება კომისიის პრეზიდენტის როლი. მისი დანიშვნისათვის საჭირო იქნება ევროპარლამენტის თანხმობა. თავის მხრივ კომისიის სხვა წევრთა დანიშვნა უნდა მოხდეს პრეზიდენტის თანხმობით,

9. ხელშეკრულებაში შედის ახალი დებულება „მოქნილობის“ შესახებ, რაც შესაძლებლობას აძლევს წევრ ქვეყნებს გამოიყენონ გაერთიანების ინსტიტუტები ახლო თანამშრომლობის მიზნით იმ სფეროებში, რომლებიც სცილდება ევროგაერთიანების ექსკლუზიურ კომპეტენციას.

9 აბრევიატურები და აკრონიმები

ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ევროკავშირშიც დიდი რაოდენობით აბრევიატურები და აკრონიმები დაგროვდა, რომელთაც ხშირად ირონიულად „ევროჟარგონს“ უწოდებენ. წინამდებარე სია მართალია სრული არ არის, მაგრამ მასში მოცემულია საზოგადო ხმარებაში მოცემული ყველა აბრევიატურა, მათ შორის ევროკავშირთან შეხებაში მყოფი რამდენიმე ამ ორგანიზაციის აბრევიატურა, რომელიც არ მიეკუთვნება ევროკავშირს. ზოგიერთ შემთხვევაში აკრონიმები შედგენილია ფრანგულ ენაზე დაყრდნობით და ამიტომაც სიტყვები არ ემთხვევა საწყის ასოებს.

ადაპტ - გაერთიანების ინიციატივა სამუშაო ძალის ადაპტაციისა ინდუსტრიულ ცვლილებებთან –

ADAPT- Community Initiative on Adaptation of the Workforce to Industrial Change

აჟმ - აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია –

OAU - Organisation of African Unity

აისს - ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო (გაერო)–
IAEA - International Atomic Energy Agency (UN)

აემშ - აზია-ევროპის შეხვედრა –

ASEM - Asia-Europe Meeting

აპწ - აფრიკის, კარიბის ზღვის და წყნარი ოკეანის ქვეყნები, ლომეს კონვენციის მხარეები –

ACP - African, Caribbean and Pacific Countries, Parties to the Lomé Convention

აწ - არასამთავრობო ორგანიზაცია –
 NGO - Non-governmental Organisation

ALTENER - სპეციალური ქმედებები განახლებადი ენერჯის წყაროების სფეროში მეტი შეღწევის მხარდაჭერის მიზნით – Specific Actions to Promote Greater Penetration for Renewable Energy Sources

ბზქს - ბალტიის ზღვის ქვეყნების საბჭო –
 CBSS - Council of the Baltic Sea States

ბიზნ - ბირთვული იარაღის გაუკრძელებლობის ხელშეკრულება –
 NPT- Treaty on the Non-proliferation of Nuclear Weapons

ბაქრო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია –
 UN - United Nations

ბაი - გაერთიანების ახალი ინსტრუმენტი –
 NCI - New Community Instrument

ბეა - გაერთიანებული ევროპული ამქარებელი –
 JET- Joint European Torus

ბკც - გაერთიანებული კვლევითი ცენტრი –
 JRC - Joint Research Centre

ბმპ - გაერთიანების მხარდაჭერის პროგრამა (სტრუქტურული ფონდები) –
 CSF - Community Support Framework (Structural Funds)

გნსს - გლობალური ნავიგაციის სატელიტური სისტემა –
GNSS - Global Navigation Satellite System

დჰკ - დასავლეთ ევროპის კავშირი –
WEU - Western European Union

დსთ - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა –
CIS - Commonwealth of Independent States

დღბ - დამატებითი ღირებულების გადასახადი –
VAT - Value Added Tax

ეკ - ევროპული გაერთიანება –
EC - European Community

ეპდს - ევროპის გარემოს დაცვის სააგენტო –
EEA - European Environment Agency

ეპფ - ევროპის განვითარების ფონდი –
EDF - European Development Fund

ეეს - ევროპის დასაქმების სამსახური –
EURES - European Employment Services

ეეკ - ევროპის ეკონომიკური გაერთიანება –
EEC - European Economic Community

ეეზ - ევროპის ეკონომიკური ზონა –
EEA - European Economic Area

ეეოო - ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია –
OEEC - Organisation for European Economic Coopera-
tion

მეიჯ - ევროპის ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფი –
EEIG - European Economic Interest Grouping

მეს - ევროკომისია ევროპის საკითხებში –
ECE - European Commission for Europe (UN)

მვრატომი - ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება –
Euratom - European Atomic Energy Community

მვრო - საერთო ვალუტის ძირითადი ერთეული –
Euro - Basic Unit the Single Currency

მვროკონტროლი - საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების
ევროპული ორგანიზაცია –
Eurocontrol - European Organisation for the Safety of
Air Navigation

მვროპოლი - ევროპის პოლიციის ოფისი –
Europol - European Police Office

მვროსტატი - ევროგაერთიანების სტატისტიკის სამსახური –
Eurostat - Statistical Office of the European Commu-
nity

მვროტიქნეტი - გაერთიანების სამოქმედო პროგრამა მომზა-
დებისა და ტექნოლოგიური ცვლილებების სფეროში –
Eurotecnet - Community Action Programme in the Field
of Training and Technological Change

მეობო - ეკონომიკური თანამშრომლობა და განვითარების ორგანი-
ზაცია –
OECD - Organisation for Economic Cooperation

ETFA - ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია –
EFTA - European Free Trade Association

JICS - ერთობლივი თარგმნის და კონფერენციების სამსახური–
JICS - Joint Interpreting and Conference Service

COST - ევროპის თანამშრომლობა მეცნიერული და ტექნიკური
კვლევის სფეროში –
COST - European Co-operation on Scientific and Techni-
cal Research

Ecu - ევროპის სავალუტო ერთეული –
Ecu - European Currency Unit

ESA - ევროპის კოსმოსური სააგენტო –
ESA - European Space Agency

Erasmus - უნივერსიტეტის სტუდენტთა მობილურობის ევროგა-
ერთიანების სამოქმედო სქემა –
European Community Action Scheme for the Mobility of
University Students

ERDF - ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი –
ERDF - European Regional Development Fund

NCBS - ეროვნული ცენტრალური ბანკები –
NCBS - National Central Banks

EIB - ევროპის საინვესტიციო ბანკი –
EIB - European Investment Bank

ესე - ევროპის საანგარიშო ერთეული –
EUA - European Unit of Account

ესი - ევროპის სავალუტო ინსტიტუტი –
EMI - European Monetary Institute

ესპ - ეკონომიკური და სავალუტო კავშირი –
EMU - Economic and Monetary Union

ესმგფ - ევროპის სოფლის მეურნეობის მართვისა და გარანტიის
ფონდი –
EAGGF - European Agricultural Guidance and Guarantee Fund

ესს - ევროპის სავალუტო სისტემა –
EMS - European Monetary System

ესფ - ევროპის საინვესტიციო ფონდი –
EIF - European Investment Fund

ესც - ევროპის საინფორმაციო ცენტრი –
EIC - Euro-Info Centre

ეუთკ - ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის
კონფერენცია –
CSCE - Conference on Security and Co-operation in Europe

ეუთო - ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის ორგანი-
ზაცია –
OSCE - Organisation for Security and Cooperation in Europe

ექვზ - ევროპის ქვანახშირის და ფოლადის გაერთიანება –
ECSC - European Coal and Steel Community

ეცბ - ევროპის ცენტრალური ბანკი –
ECB - European Central Bank

ეცბს - ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემა –
ESCB - European System of Central Banks

ეკს - ევროგაერთიანების ჰუმანიტარული სამსახური –
ECHO - European Community Humanitarian Office

ვამ - ვაჭრობის შეფასების მექანიზმი –
TAM - Trade Assessment Mechanism

ოტს - თაღლითობასთან ბრძოლის სამსახური –
OLAF - Anti-Fraud Office

თმზი - თევზჭერის მართვის ფინანსური ინსტრუმენტები –
FIFG - Financial Instrument for Fisheries Guidance

იუმ - იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია –
FYROM - Former Yugoslav Republic of Macedonia

იუმრ - იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა –
FRY - Federal Republic of Yugoslavia

კთაბ - თაღლითობის აღკვეთის კოორდინაციის განყოფილება –
UCLAF - Unit for the Co-ordination of Fraud Prevention

კტბ - კვლევითი და ტექნოლოგიური განვითარება –
RTD - Research and Technological Development

Leader - გაერთიანების ინიციატივა სოფლის განვითარების
სფეროში –

Community Initiative Concerning Rural Development

LIFE - გარემოს დაცვის ფინანსური ინსტრუმენტი –
Financial Instrument for the Environment

Lingua - ევროგაერთიანებაში უცხო ენების ცოდნის ამაღლების
პროგრამა –

Programme to Promote Foreign Language Competance
in the European Community

მბშ - „მულტიბოჭკოვანი“ შეთანხმება –
MFA - Multi-Fibre Arrangement

მედიკ - აუდიო-ვიზუალური დარგის განვითარების პროგრამა–
MEDIA - Programme to Encourage the Development of
the Audiovisual Industry

მშპ - მთლიანი ეროვნული პროდუქტი –
GNP - Gross National Product

მშო - მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია –
WTO - World Trade Organisation

მისო - მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია
(გაერო) –

WIPO - World Intellectual Property Organisation (UN)

მკ - მთავრობათაშორისი კონფერენცია –
IGC - Intergovernmental Conference

მკშს - მონაცემთა კომპიუტერული შენახვის სისტემა –
CRS - Computerised Reservation Systems

მსკ - მომხმარებელთა საკონსულტაციო კომიტეტი –
CCC - Consumers Consultative Committee

მსო - მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია –
WCO - World Customs Organisation

მსპ - მსოფლიოს საკვების პროგრამა (გაერო) –
WFP- World Food Programme (UN)

მტკპ - მეცნიერული და ტექნიკური კვლევის კომიტეტი –
CREST- Scientific and Technical Research Committee

მშპ - მთლიანი შიდა პროდუქტი –
GDP - Gross Domestic products

მშს - მცირე და საშუალო საწარმოები –
SMES - Small and Medium-sized Enterprises

მწკ - მუდმივი წარმომადგენლების კომიტეტი –
COREPER - Committee of Permanent Representatives

ნატო - ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია–
NATO - North Atlantic Treaty Organisation

ნებმც - ნარკოტიკებთან და ნარკომანიასთან ბრძოლის ევროპული
ცენტრი –
ECDDA - European Centre for Drugs and Drug Addi-
ction

პაშ - პარტნიორობის ახალი მიდგომა –
NPA - New Partnership Approach

პდპეც - პროფესიული დახელოვნების განვითარების ევროპული
ცენტრი –
CEDEFOP - European Centre for the Development of
Vocational Training

PHARE - გაერთიანების პროგრამა ცენტრალური და აღმოსავ-
ლეთ ევროპის ქვეყნებისათვის დახმარების სფეროში –
Programme of Community Aid for Central and
East European countries

PETRA - ახალგაზრდობის პროფესიული მომზადებისა და მათი
სრულასაკოვანი შრომითი ცხოვრებისათვის მომზადების
პროგრამა – Programme for the Vocational Train
ing of Young People and their Preparation for
Adult and Working Life

რბსბ - რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო
ბანკი (გაერო) –
IBRD - International Bank for Reconstruction and Devel-
opment (World Bank) (UN)

Rechar - გაერთიანების ინიციატივა ქვანახშირის მომპოვებელ
ზონებში ეკონომიკური კონვერსიისათვის –
Community Initiative Concerning the Economic Conver-
sion of Coal-mining Areas

RECIS - გაერთიანების ინიციატივა შორეულ რეგიონებთან მიმართე-
ბაში – Community Initiative Concerning the Most
Remote re gions

Resider- გაერთიანების პროგრამა ფოლადის სფეროში კონვერსიის ხელშესაწყობად – Community Programme to Assist the Conversion of Steel Areas

სააქა - სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია – ASEAN - Association of South-East Asian Nations

საკ - საერთო აგრარული პოლიტიკა – CAP - Common Agricultural Policy

სბზს - საქმიანი გარემოს გამარტივების ხელშეწყობის სამსახური – BEST- Business Environment Simplification Task Force

სღნ - სრული დასაშვები ნადავლი – TAC - Total Allowable Catch

სეკ - სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტი – CEN - The European Committee for Standardisation

სთერ - საერთაშორისო თერმობირთვული ექსპერიმენტული რეაქტორი – ITER - International Thermonuclear Experimental Reactor

სთქ - საქმიანი თანამშრომლობის ქსელი – BC-Net - Business Cooperation Network

სპმ - საქონლის პარაზიტული ენცეფალოპათია – BSE - Bovine Spongiform Encephalopathy

საემეა - სამედიცინო პროდუქტების შეფასების ევროპის სააგენტო – EMEA - European Agency for the Evaluation of Medical Products

სსმო - საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (გაერო)–
FAO - Food and Agriculture Organisation (UN)

სსტ - საერთო საბაჟო ტარიფი –
CCT - Common Customs Tariff

სსშპ - საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა –
CFSP - Common foreign and Security Policy

სსფ - საერთაშორისო სავალუტო ფონდი (გაერო) –
IMF - International Monetary Fund (UN)

SAPARD- სოფლის მეურნეობისა და სოფლის გარემოს განვითარების ხელშემწყობი სპეციალური პროგრამა –
Special Assistance Programme for Agricultural and Rural Development

Sysmin - მადნეულის საექსპორტო შემოსავლების სტაბილიზაციის სისტემა –
System for the Stabilisation of Export Earnings from Mining Products

Stabex - საექსპორტო შემოსავლების სტაბილიზაციის სისტემა–
System for the Stabilisation of Export Earnings

სფ - დაპროგრამების ცალკეული დოკუმენტები (სტრუქტურული ფონდი) –

SPD - Single Programming Document (Structural Funds)

სქქქ - სპეციალური ქმედებები ენერჯის ეფექტურობისათვის –
SAVE - Research and Technological Development

- ტვსშ** - ტარიფების და ვაჭრობის საყოველთაო შეთანხმება –
GATT - General Agreement on Tariffs and Trade
- ტსკ** - ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი –
ITU - International Telecommunications Union
- ტძ** - ტრანსევროპული ქსელები –
TENS - Trans-European Networks
- TACIS** - ყოფილი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელი სახელმწიფოების და მონღოლეთის ტექნიკური დახმარების პროგრამა – Programme for Technical Assistance to the Independent States of the Former Soviet Union and Mongolia
- Target** - ტრანს-ევროპული ავტომატიზირებული მთლიანი ანგარიშსწორების ექსპრეს ტრანსფერი – Trans-European Automated Real-time Gross Settlement
- Tempus** - უმაღლესი განათლების ტრანს-ევროპული თანამშრომლობის პროგრამა – Trans-European Co-operation Scheme for Higher Education
- UNESCO** - გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, მეცნიერული და კულტურული ორგანიზაცია – United Nations Educational, Scientific and Cultural Organisation
- UNIDO** - გაერთიანებული ერების სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია – United Nations Industrial Development Organisation

- Unctad - გაერთიანებული ერების კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების საკითხებში – United Nations Conference on Trade and Development
- Unesco - გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისია – United Nations High Commissioner for Refugees
- UNRWA - ახლო აღმოსავლეთში პალესტინელი ლტოლვილების დახმარების და შრომითი უზრუნველყოფის გაეროს სააგენტო – United Nations Relief and Works Agency for Palestine Refugees in the Near East
- FORCE - უწყვეტი პროფესიული მომზადების განვითარების პროგრამა – Programme for the Development of Continuing Vocational Training
- ფსმქ - ფერმერული საბუღალტრო მონაცემების ქსელი – FADN - Farm Accountancy Data Network
- გთს - ყურეს თანამშრომლობის საბჭო – GCC - Gulf Co-operation Council
- შბკპ - შიდა ბაზრის კანონმდებლობის გამარტივება – SLIM - Simpler Legislation for the Internal Market
- შბკო - შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის ოფისი – OHIM - Office for Harmonisation in the Internal Market
- შსო - შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია – ILO - International Labour Organisation

შქტ - შორეული ქვეყნები და ტერიტორიები –
OCTS - Overseas Countries and Territories

წჯსკ - წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი –
ICRC - International Committee of the Red Cross

სთმს - ხმელთაშუაზღვის თევზჭერის გენერალური საბჭო –
GFCM - General Fisheries Council for the Mediterranean

ჯგუფი 8 - რვა უმსხვილესი ინდუსტრიული ქვეყნის ჯგუფი-
G8 - Group of Eight Major Industrialised Countries

ჯმო - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (გაერო) –
WHO - World Health Organisation (UN)

10 ევროკავშირთან დაკავშირებული უმთავრესი მოვლენების ქრონოლოგიური ჩამონათვალი

- 1945წ. მაისი - ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დასასრული.
- 1947წ. ივნისი - აშშ-მა საფუძველი ჩაუყარა მარშალის გეგმას ევროპის რეკონსტრუქციის დასახმარებლად.
- 1948წ. აპრილი - მარშალის გეგმით გათვალისწინებული დახმარების კოორდინირების მიზნით შეიქმნა ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECE).
- 1949წ. აპრილი - ხელი მოეწერა ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც შეიქმნა NATO.
- 1950წ. მაისი - საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რობერტ შუმანმა შეიტანა წინადადება საფრანგეთის და დასავლეთ გერმანიის ქვანახშირისა და ფოლადის რესურსების ერთ გაერთიანებაში თავმოყრის შესახებ, რომელიც ღია იქნებოდა დასავლეთ ევროპის ნებისმიერი ქვეყნისათვის.
- 1951წ. აპრილი - ბელგიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდმა და დასავლეთ გერმანიამ ხელი მოაწერეს პარიზის ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება - მძჴბ (ECSC).
- 1952წ. მაისი - იმავე ექვსმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც შეიქმნა ევროპის თავდაცვის გაერთიანება (EDC) (თავდაცვის ევროპული გაერთიანება) საერთო ევროპული არმიით.
აგვისტო - დაარსდა მძჴბ და მისი შტაბ-ბინა განთავსდა ლუქსემბურგში.
- 1954წ. აგვისტო - საფრანგეთის მთავრობა უარს აცხადებს ევროპის თავდაცვის გაერთიანების ხელშეკრულების რატიფიცირებაზე და იგი დაუყოვნებლივ უქმდება.
- 1955წ. ივნისი - მესინაში იწყება მოლაპარაკებები ევროპის საერთო ბაზრის შექმნის შესახებ
- 1957წ. მარტი - მძჴბ-ს ექვსი წევრი სახელმწიფო ხელს აწერს ორ ხელშეკრულებას რომში, რომლითაც იქმნება ევროპის

ეკონომიკური გაერთიანება და ევრატიომი.

1958წ. იანვარი - ძალაში შედის ემზ და ემპრატომი. იქმნება ემზ-ს კომისია, რომლის შტაბ-ბინაც ხელშეკრულების თანახმად ბრიუსელში განთავსდება.

1960წ. იანვარი - სტოკჰოლმის კონვენციამ დააარსა ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (EFTA), რომლის ძალითაც გაერთიანებული სამეფო უკავშირდება: ავსტრიას, დანიას, ნორვეგიას, პორტუგალიას, შვედეთს და შვეიცარიას.

დეკემბერი - ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია უქმდება და მას ენაცვლება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეიბი) - განთავსებული პარიზში.

1961წ. მაისი - დაარსდა ეიბი, მისი შტაბ-ბინა განთავსდა ჟენევაში.

ივლისი - ემზ ხელს აწერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას საბერძნეთთან. ირლანდიას შეაქვს განაცხადი ემზ-ში გაწევრიანების თაობაზე.

აგვისტო - ანალოგიური განაცხადები შეაქვთ დანიასა და გაერთიანებულ სამეფოს

ნოემბერი - ბრიუსელში იწყება მოლაპარაკებები გაწევრიანების შესახებ.

1962წ. აპრილი - ნორვეგიას შეაქვს განაცხადი ემზ-ში გაწევრიანებაზე.

1963წ. იანვარი - პრეზიდენტი დე გოლი ვეტოს ადებს გაერთიანებული სამეფოს გაწევრიანებას. დანარჩენი კანდიდატი ქვეყნები ღროებით აუქმებენ განცხადებას. ხელი მოეწერა საფრანგეთ-გერმანიის თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

ივლისი - კამერუნის დედაქალაქში იაუნდეში ხელი მოეწერა კონვენციას, რომელიც ითვალისწინებდა ეკონომიკურ მხარდაჭერასა და სავაჭრო შეღავათებს აფრიკის იმ 17 ქვეყნისათვის, რომლებიც ადრე ემზ-ს წევრი ქვეყნების კოლონიებს წარმოადგენდნენ.

სექტემბერი - ემზ ხელს აწერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას თურქეთთან

1964 წ. ივლისი - ძალაში შედის საერთო აგრარული პოლიტიკა -საპ (CAP).

1965 ივნისი - კრიზისი ემზ-ში მას შემდეგ, რაც საფრანგეთი იწყებს მისი სხდომების შეიდთვიან ბოიკოტს, უარს აცხადებს

- რა დამარცხდეს კენჭისყრისას ისეთ საკითხებზე, რომლებსაც ის უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს.
- 1966წ. იანვარი - საფრანგეთმა განაახლა მისი აქტიური წევრობა, მას შემდეგ რაც მიღწეულ იქნა „ლუქსემბურგის კომპრომისი“, რომლის ძალითაც უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდარიყო ერთხმად, მიუხედავად რომის ხელშეკრულების დებულებებისა.
- 1967წ. მაისი - დანიას, ირლანდიას, ნორვეგიასა და გაერთიანებულ სამეფოს შეაქვთ განაცხადები მმბ-ში გაწევრიანებაზე. დე გოლის მტრული განწყობის გამოისობით განაცხადებების დამტკიცება არ ხდება.
- ივლისი - მმბ უერთდება მმშზ-სა და მპრატომს და იქმნება ევროგაერთიანება (მმბ).
- 1969წ. დეკემბერი - საფრანგეთის პრეზიდენტი პომპიდუ თანხმდება მმბ-ის განარჩენ ლიდერებთან ერთად განიხილოს მმბ-ის გაფართოება ჰააგის სამიტზე.
- 1970 წ. ივნისი - ბრიუსელში იხსნება მოლაპარაკებები ოთხ კანდიდატ ქვეყანასთან.
- 1972წ. ივნისი - მმბ- ხელს აწერს გაწევრიანების ხელშეკრულებებს დანიასთან, ირლანდიასთან, ნორვეგიასა და გაერთიანებულ სამეფოსთან.
- ივლისი - ხელი მოეწერა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს მთვპ-ს იმ ექვს წევრ-სახელმწიფოსთან, რომელთაც არ მოისურვებს მმბ-ში გაწევრიანება.
- სექტემბერი - ნორვეგიაში გამართული რეფერენდუმის თანახმად (46% მომხრე 54% მოწინააღმდეგე) ქვეყანა უარს აცხადებს მმბ-ში გაწევრიანებაზე.
- 1973წ. იანვარი - დანია, ირლანდია და გაერთიანებული სამეფო სრულუფლებიანი წევრები ხდებიან.
- მაისი - ნორვეგია ხელს აწერს თავისუფალ ვაჭრობის შეთანხმებას მმბ-სთან.
- 1974წ. აპრილი - გაერთიანებული სამეფოს ახალი ლეიბორისტული მთავრობის მოთხოვნით იწყება გაწევრიანების პირობებზე ხელ-ახალი მოლაპარაკება.
- 1975წ. თებერვალი - ხელი მოეწერა ლომეს I კონვენციას, რომელმაც შეცვალა 1963 წელს ხელმოწერილი იაუნდეს კონვენცია და რომელიც ითვალისწინებდა ეკონომიკურ დახმარებასა და სავა-

- ჭრო შეღავათებს აფრიკის, კარიბის ზღვის და წყნარი ოკეანის აუზის 46 ქვეყნისათვის.
- იენისი - გაერთიანებულ სამეფოში გამართული რეფერენდუმის შედეგებით (2:1) ქვეყანა მბ-ში რჩება. საბერძნეთს შეაქვს განაცხადი ევროგაერთიანებაში გაწევრიანებაზე.
- 1977წ. მაისი - პორტუგალიას შეაქვს განაცხადი მბ-ში გაწევრიანებაზე.
- ივლისი - ესპანეთს შეაქვს ანალოგიური განაცხადი.
- 1979წ. მაისი - იქმნება ევროპის სავალუტო სისტემა.
- იენისი - ევროპარლამენტის პირველი პირდაპირი არჩევნები.
- დეკემბერი - დაპირისპირება დუბლინის სამიტზე ევრო გაერთიანებაში გაერთიანებული სამეფოს საბიუჯეტო შენატანების თაობაზე მარგარეტ ტეტჩერი მოითხოვს „ფულის უკან დაბრუნებას“.
- 1980წ. მაისი - გაერთიანებულ სამეფოს საბიუჯეტო პრობლემების პირობითი მოგვარება.
- 1981წ. იანვარი - საბერძნეთი ხდება მბ-ის წევრი.
- 1984წ. იენისი - ევროპარლამენტის მეორე პირდაპირი არჩევნები. ფონტენბლოს სამიტზე მიიღწევა შეთანხმება გაერთიანებული სამეფოს საბიუჯეტო შემცირებისა და მბ-ს ფინანსური რესურსების გაზრდის შესახებ.
- 1985წ. იანვარი - ჟაკ დელორი ხდება ევროკომისიის პრეზიდენტი.
- იენისი - მილანის სამიტზე მიიღწევა შეთანხმება შიდა ბაზრის 300 ბარიერის გაუქმების შეიღწლიან განრიგზე, ბრიტანელი კომისრის ლორდ კოჯილდის პროგრამის თანახმად ინიშნება მთავრობათაშორისი კონფერენცია რომის ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების განსახილველად.
- დეკემბერი - მთავრობათაშორისი კონფერენცია ადგენს საგანგებო ევროპულ აქტს, ხელშეკრულებაში შესატან ცვლილებათა სერიას, რომელიც მიმართულია გადაწყვეტილების მიღების პროგრესის დასაჩქარებლად. განსაკუთრებით, ეს ეხება გადაწყვეტილებებს შიდა ბაზრის ფორმირებისათვის საჭირო ნაბიჯებზე.
- 1986წ. იანვარი - ესპანეთი და პორტუგალია ხდებიან მბ-ის წევრები.
- 1987წ. აპრილი - თურქეთს შეაქვს განაცხადი მბ-ში გაწევრიანებაზე.
- ივლისი - ძალაში შედის საგანგებო ევროპული აქტი.
- 1988წ. თებერვალი - მიღწეულია შეთანხმება დელორის I პაკეტზე, რომელიც 1988-92 წლებზე ადგენს მბ-ის ბიუჯეტის გაზრდის მონახაზს და უფრო მკაცრ კონტროლს სასოფლო-სამეურნეო

დანახარჯებზე.

1989 წ. იენისი - ევროპარლამენტის მესამე პირდაპირი არჩევნები. ავსტრია აკეთებს განაცხადს მზ-ის წევრობაზე.

ივლისი - დიდი შვიდეულის სამიტი თხოვნით მიმართავს მზ-ს მოახდინოს პოლონეთისა და უნგრეთისათვის დასავლეთის დახმარების კოორდინირება. ეს დახმარება შემდგომში ვრცელდება აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებზე. ამას მოსდევს სავაჭრო და სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება საბჭოთა კავშირის ყოფილ სატელიტებთან.

ნოემბერი - ბერლინის კედლის დანგრევა იუწყება კომუნიზმის დამხობას აღმოსავლეთ ევროპაში.

დეკემბერი - მზ-სა და მთმზ-ის ქვეყნებს შორის იწყება მოლაპარაკებები ევროპის ეკონომიკური ზონის შექმნის თაობაზე.

1990წ. ივლისი - გაერთიანების მასშტაბით ხდება კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზება. მადრიდის სამიტმა პრინციპში დაამტკიცა ეკონომიკური და სავალუტო კავშირის სამ ეტაპად შემოღების გეგმა. მარგარეტ ტეტჩერმა გაერთიანებული სამეფოს პოზიცია უცვლელი დატოვა. კვიპროსსა და მალტას შეაქვთ განაცხადები მზ-ში გაწევრიანებაზე.

ოქტომბერი - გერმანიის გაერთიანება. ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორია უერთდება ევროგაერთიანებას როგორც დასავლეთ გერმანიის ნაწილი.

დეკემბერი - მუშაობას იწყებს ორი მთავრობათაშორისი კონფერენცია, ეკონომიკური და სავალუტო კავშირისა და პოლიტიკური კავშირის შესახებ. ევროგაერთიანების რომის სამიტი ამტკიცებს ორ პროგრამას საბჭოთა კავშირის საკვები პროდუქტებით და ტექნიკური დახმარების შესახებ.

1991წ. ივლისი - შეედგენ შემოაქვს განაცხადი მზ-ში გაწევრიანებაზე.

სექტემბერი - საბჭოთა კავშირში წარუმატებელი ამბოხების შემდეგ მზ-ის მისია ეწვია ყოფილ საბჭოთა კავშირსა და ახალბედა ბალტიის დამოუკიდებელ ქვეყნებს, რათა განეხილა დახმარების უფრო ინტენსიური პროგრამა. მზ-ის სპონსორობით იხსნება სამშვიდობო კონფერენცია იუგოსლავიის შესახებ.

ნოემბერი - მიღწეულ იქნა შეთანხმება 1993 წლის 1 იანვარს ევროპის ეკონომიკური ზონის გახსნის შესახებ.

დეკემბერი - მასტრიხტის სამიტზე მიღწეულ იქნა შეთანხმება ევროკავშირის ხელშეკრულების შესახებ. იგი მოიცავს მსკ-სათვის მზადების დეტალურ გეგმას. გეგმაში გათვალისწინებულია ერთიანი სავალუტო ერთეულის ძალაში შესვლა არა უგვიანეს 1999 წლისა; გათვალისწინებულია გამონაკლისი გაერთიანებული სამეფოსათვის და თანდათანობითი პროგრესი საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის მიმართულებით.

1992წ. თებერვალი - დელორის II პაკეტის თანახმად მზ-ის ბუჯეტი უნდა გაიზარდოს 30%-ით ხუთი წლის მანძილზე.

მარტი - ფინეთს შეაქვს განაცხადი მზ-ში გაწევრიანებაზე.

მაისი - შვეიცარია აკეთებს ანალოგიურ განაცხადს.

ივნისი - დანიაში გამართული რეფერენდუმი ხმათა მცირე უმრავლესობით უარს აცხადებს მასტრიხტის ხელშეკრულებაზე. ჟაკ დელორი ლისაბონის სამიტზე 1993 წლიდან ხელახლა ინიშნება კომისიის პრეზიდენტად ორი წლით. მინისტრთა საბჭო ხმათა მცირე უმრავლესობით ამტკიცებს სპკ-ის რეფორმას.

ნოემბერი - ბლერ ჰაუსის შეთანხმება ხვეწს და თანამედროვე სახეს აძლევს მზ-სა და აშშ-ის წინადადებებს GATT-ის მოლაპარაკებების ურუგვაის რუნდის სოფლის მეურნეობის სექტორის შესახებ.

დეკემბერი - შვეიცარიაში გამართული რეფერენდუმი უარს აცხადებს მპმზ-ზე; ედინბურგის სამიტი ამტკიცებს წინადადებას ევროპის საინვესტიციო ფონდის შექმნის შესახებ და დელორის II საბიუჯეტო პაკეტის შემცირებულ ვარიანტს, რომელიც ხუთი წლის ნაცვლად შვიდ წელიწადზე ვრცელდება.

1993წ. თებერვალი - იწყება მოლაპარაკებები ავსტრიის, ფინეთის და შვედეთის გაწევრიანებაზე.

აპრილი - იწყება მოლაპარაკებები ნორვეგიის გაწევრიანების შესახებ.

მაისი - მეორე რეფერენდუმზე დანიელი ხალხი ემხრობა მასტრიხტის ხელშეკრულებას.

ივლისი - ყოფილი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის მიზნით TACIS პროგრამის მიღება.

აგვისტო - ხანგრძლივი დაყოვნების შენდეგ გაერთიანებული სამეფო ახდენს მასტრიხტის ხელშეკრულების რატიფიცირებას.

ოქტომბერი - გერმანია, რიგით ბოლო, ახდენს მასტრიხტის ხელშეკრულების რატიფიცირებას მას შემდეგ, რაც წარუმატებ-

- ლად სრულდება სასამართლოში გაპროტესტების ცდა.
- ნოემბერი - ძალაში შედის მასტრიხტის ხელშეკრულება: ევროგაერთიანება გარდაიქმნება ევროკავშირად.
- დეკემბერი - ბრიუსელის სამიტი ამტკიცებს სამოქმედო გეგმას, რომელიც ეყრდნობა ევროკომისიის „თეთრ ფურცელს“ ზრდის, კონკურენციის და დასაქმების შესახებ.
- დეკემბერი - მოლაპარაკებების ურუგვაის რაუნდი წარმატებით სრულდება ჟენევაში.
- 1994წ. იანვარი - ძალაში შედის შეთანხმება ევროპის ეკონომიკური ზონის შესახებ, რომლის მეშვეობითაც ერთმანეთს უკავშირდება ევროკავშირი და მთავარ-ს ხუთი წევრი სახელმწიფო, შვეიცარიისა და დროებით ლიხტენშტეინის გამოკლებით.
- მარტი - მოლაპარაკებები გაწვევრიანების შესახებ ავსტრიასთან, ფინეთთან, ნორვეგიასა და შვედეთთან წარმატებით სრულდება.
- ივნისი - ევროპარლამენტის მეოთხე პირდაპირი არჩევნები. კორფუს სამიტზე ხელი მოეწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას რუსეთთან. გაერთიანებული სამეფო ვეტოს ადებს ევროკომისიის პრეზიდენტად ჟან ლიუკ დეაენის კანდიდატურას.
- ივლისი - ჟაკ დელორის შემდგომი კომისიის პრეზიდენტად სახელდება ჟაკ სანტერი.
- ნოემბერი - ნორვეგიაში გამართული რეფერენდუმების შედეგების თანახმად ქვეყანა უარს აცხადებს ევროკავშირში გაწვევრიანებაზე.
- დეკემბერი - ესენის სამიტზე მიღებულ იქნა ტრანსევროპული ქსელების პირველი 14 პრიორიტეტული პროექტი.
- 1995წ. იანვარი - ევროკავშირს უერთდება ავსტრია, ფინეთი და შვედეთი. ფუნქციონირებას იწყებს ახალი კომისია ჟაკ სანტერის მეთაურობით. პარიზში ხელი მოეწერა ევროპაში სტაბილურობის პაქტს ევროკავშირისა და ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (მშთომ-ს) წევრ ქვეყნებს შორის.
- აპრილი - ლიხტენშტეინი უერთდება მმზ-ს
- მაისი - კომისია გამოსცემს „თეთრ ფურცლის“ იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც უნდა გადადგან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ევროკავშირში გაწვევრიანებისათვის მოსამზადებლად.

ივლისი - ევროკავშირის წევრი ქვეყნები ხელს აწერენ ევროპოლის კონვენციას (ევროპის პოლიცია) შექმნის შესახებ. არჩეულ იქნა ევროკავშირის პირველი ომბუდსმენი იაკობ ზოდერმანი.

ნოემბერი - ბარსელონაში გამართულ ევროპა-ხმელთაშუაზღვის-პირეთის მინისტრთა კონფერენციაზე ევროკავშირსა და ხმელთა-შუაზღვისპირეთის 12 ქვეყნის მიერ მიღებულ იქნა დეკლარაცია მომავალი ურთიერთობების დარეგულირებაზე, რომელიც მოიცავდა ფინანსურ დახმარებას და პროგრესს თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნისაკენ.

დეკემბერი - ევროკავშირი და აშშ ხელს აწერენ ახალ ტრანსატლანტიკურ პროგრამას და ერთობლივი ქმედების პროგრამას, ევროპარლამენტი ამტკიცებს თურქეთსა და ევროკავშირს შორის საბაჟო კავშირის დამყარებას. მადრიდის სამიტი იღებს გადაწყვეტილებას 1999 წლის 1 იანვარს საერთო სავალუტო ერთეულის შემოღების შესახებ. ამავე წლის განმავლობაში ევროკავშირში გაწვევრიანების თაობაზე განაცხადი შეაქვთ ბულგარეთს, ესტონეთს, ლატვიას, ლიტვას, რუმინეთს და სლოვაკიას.

1996წ. იანვარი - ჩეხეთის რესპუბლიკას შემოაქვს განაცხადი ევროკავშირში გაწვევრიანებაზე.

მარტი - ტურინში იხსნება მთავრობათაშორისი კონფერენცია მასტრიხტის ხელშეკრულების განსახილველად და შემდგომი გაფართოებისათვის მოსამზადებლად. ევროკავშირი კრძალავს გაერთიანებული სამეფოდან საქონლის ხორცის ექსპორტს და სთავაზობს ფინანსურ დახმარებას საქონლის პარაზიტული ენცეფალოპათიის წინააღმდეგ ბრძოლაში. გაერთიანებული სამეფო მიმართავს სისტემატური არათანამშრომლობის პოლიტიკას აკრძალვის გაუქმების მიზნით.

ივნისი - გაერთიანებული სამეფო წყვეტს არათანამშრომლობის პოლიტიკას მას შემდეგ, რაც ევროკავშირი ადგენს აკრძალვის მოხსნისათვის აუცილებელ პირობებს. სლოვენიას შემოაქვს განაცხადი ევროკავშირში გაწვევრიანებაზე.

ოქტომბერი - ევროკავშირი ხაზგასმით უარყოფს კუბასთან ვაჭრობის თაობაზე ჰელმს-ბარტონის აქტის ექსტრატერიტორიულ დებულებებს და იმუქრება აშშ-ის წინააღმდეგ საპასუხო ზომების მიღებით.

დეკემბერი - დუბლინის სამიტზე იღება სტაბილურობის პაქტი

ერთიან სავალუტო სისტემაში შემაჯავლი ქვეყნებისათვის ეკონომიკური და ფინანსური შეზღუდვების დადების მიზნით. იგი კიდევ უფრო ამტკიცებს რწმენას, რომ 1999 წლის იანვარში მსპ წარმატებით დაიწყებს ფუნქციონირებას.

1997წ. მაისი - გაერთიანებულ სამეფოში არჩეული ლეიბორისტული მთავრობა აცხადებს „ახალ სტარტს“ ევროკავშირთან ურთიერთობებში და წყვეტს „სოციალური თავის“ უგულებელყოფას.

ივნისი - ხელი მოეწერა ამსტერდამის ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს რომისა და მასტრიხტის ხელშეკრულებებში შესატან მოკრძალებულ ცვლილებებს.

ივლისი - კომისიამ მიიღო „პროგრამა 2000“-ის პოლიტიკური დებულება, რომლითაც მომზადდა საფუძველი ევროკავშირის შემდგომი გაფართოებისათვის და დადგინდა ფინანსური და სასოფლო-სამეურნეო რეფორმების სამომავლო გეგმური ვადები.

დეკემბერი - ლუქსემბურგის სამიტზე მომზადდა საფუძველი 1998 წლის მარტში კვიპროსთან, ჩეხეთის რესპუბლიკასთან, ესტონეთთან, უნგრეთთან, პოლონეთთან და სლოვენიასთან გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებისათვის.

1998 წ. მაისი - მიღწეულ იქნა შეთანხმება ბრიუსელის საგანგებო სამიტზე მსპ-ს ძალით 1999წლის 1 იანვრიდან 12 წევრი ქვეყნის საერთო სავალუტო სისტემაში მონაწილეობის თაობაზე. ევროპის ცენტრალური ბანკის პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ვიმ დიუზენბერგი. ევროკავშირის და აშშ-ის სამიტზე პრეზიდენტი კლინტონი თანხმობას აცხადებს თხოვნით მიმართოს აშშ-ის კონგრესს გაათავისუფლოს ევროკავშირი ჰელმს ბარტონის აქტით გათვალისწინებულ სანქციებისაგან.

სექტემბერი - მალტას ხელახლა შეაქვს განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანებაზე.

დეკემბერი - ევროპარლამენტი უარს აცხადებს 1996 წლის ბიუჯეტის საბოლოო ანგარიშის მიღებაზე, რითაც წარმოიშევა დაპირისპირება კომისიასთან.

1999წ. მარტი - სანტერის კომისია ერთობლივად ტოვებს პოსტს პარლამენტის მხრიდან უნდობლობის გამოცხადების მოლოდინში. ბერლინის სამიტზე სანტერის შემცვლელად სახელდება რომანო პროდი. იგივე სამიტზე მიიღება 2000-06 წლების საბიუჯეტო პერსპექტივები.

მაისი - ძალაში შედის ამსტერდამის ხელშეკრულება. კოსოვოს კონფლიქტის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრებს შეაქვთ წინადადება სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპისათვის სტაბილურობის პაკტის მიღების თაობაზე.

სექტემბერი - ევროპარლამენტის თანხმობის შემდეგ ფუნქციონირებას იწყებს ახალი კომისია რომანო პროდის მეთაურობით.

ოქტომბერი - სპეციალური სამიტი სამართლისა და საშინაო საქმეების თაობაზე მოითხოვს ევროკავშირის ფარგლებში „თავისუფლების, სამართლისა და უშიშროების“ ზონის შექმნას.

დამატებითი ლიტერატურა

ევროკავშირის შესახებ მრავალი ნაშრომი არსებობს, რომელთაგანაც უმრავლესობა უკიდურესად მეცნიერულ ხასიათს ატარებს. ამგვარი ნაშრომების შესახებ საუკეთესო და ყველაზე სრულყოფილი სახელმძღვანელო შექმნილია ჯონ პექსტონის მიერ John Paxton - *Bibliography on the European Communities*, Clio Press, Oxford, 1992. ვიმედოვნებთ, რომ ეს მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი რეგულარულად განახლდება. ევროკომისია თავადაც გამოსცემს სხვადასხვა სახის ბროშურებსა და ლოკუმენტაციას, რომელთა უმრავლესობაც ხელმისაწვდომია (ხშირად უფასოდ) ევროკავშირის საინფორმაციო სამსახურებში ლონდონში, ედინბურგში, კარდიფსა და ბელფასტში. ანალოგიური ბიუროები ფუნქციონირებენ ევროკავშირის ყველა წამყვან მსხვილ ქალაქში ისევე, როგორც სხვა უმსხვილეს ცენტრებში - ნიუ იორკში, ვაშინგტონში, ნიუ დელიში, ოტავაში, კანბერაში და ა.შ.

გაერთიანების შექმნის ისტორია დაწვრილებით არის აღწერილი ჟან მონეს მემუარებსა და მის ბიოგრაფიაში, და გადმოცემულია უფრო ფართო ნაშრომებში ორი სხვა ცნობილი ავტორის მიერ.

- Duchêne, François, *Jean Monnet: The First Statesman of Interdependence*, W. W. Norton, New York and London, 1994.
 Grosser, *The Western Alliance: European-American relations since 1945*, Macmillan, London, 1980.
 Monnet, Jean, *Memoirs*, Collins, London, 1978.
 Stirk, Peter M.R., *A History of European Integration since 1914*, Pinter, London and New York, 1996.

გაერთიანების საქმიანობის კონკრეტულ ასპექტებზე შექმნილ უამრავი ნაშრომიდან შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი.

- Bainbridge, Timothy, *The Penguin Companion to European Union*, Penguin Books, Harmondsworth, 2nd edition, 1998.
 Bond, Martin, Smith, Julie and Wallace, William (eds), *Eminent Europeans: Personalities who shaped contemporary Europe*.

- Greycoat Press, London, 1996.
- Denman, Roy, *Missed Chances: Britain and Europe in the Twentieth Century*. Cassell, London, 1996.
- Duff, Andrew (ed.), *Understanding the Euro*, Kogan Paul, London, 1998.
- Edwards, Geoffrey and Pijpers, Alfred (eds), *The Politics of European Treaty Reform*, Pinter, London, 1997.
- Edwards, Geoffrey and Spence, David (eds), *The European Commission*, Cartermill, London, 1994.
- Emerson, Michael, *Redrawing the Map of Europe*, Macmillan, London, 1998.
- Grant, Charles, *Delors: Inside the House that Jacques Built*, Brealey, London, 1994.
- Hix, Simon, *The Political System of the European Union*, Macmillan, London, 1999.
- Jacobs, Francis, Corbett, Richard and Shackleton, Michael, *The European Parliament* (3rd edition), Cartermill, London, 1995.
- Jenkins, Roy, *European Diary 1977-1981*, Collins, London, 1989.
- Leonard, Mark, *Network Europe: The New Case for Europe*, Foreign Policy Centre, London, 1999.
- March Hunnings, Neville, *The European Courts*, Cartermill, London, 1996.
- Mathijssen, P.S.R.F., *A Guide to European Union Law*, Sweet and Maxwell, 7th edition, London, 1999.
- Pond, Elisabeth, *The Rebirth of Europe*, Brookings Institute, Washington, 1999.
- Radice, Giles, *Offshore Europe: Britain and the European Idea*, I.B. Taurus, London, 1992.
- Roney, Alex. *EC/EU Fact Book*, Kogan Page, 5th edition London, 1999.
- Westlake, Martin, *The Council of the European Union*, Cartermill, London, 1995.
- Westlake, Martin (ed.), *The European Union beyond Amsterdam*, Routledge, London and New York, 1998.
- Young, Hugo. *This Blessed Plot: Britain and Europe from Churchill to Blair*, Macmillan London, 1998.